80
1979/2

# ცისკარი

1979
4

ეროვნული
ბიბლიოთეკა





ნ. რუშევა. ტატიანას წერილი

# საუნჯე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავარი სარედაქციო კოლეგია

## შინაარსი

ოთარ ნოდია. მაღალი იდეურობისათვის 4

ალექსანდრ პუშკინი. ლექსები. თარგმნეს გივი გეგეჭკორმა, გივი შაჰნაზარმა, ემზარ კვიტაიშვილმა და გიორგი ნიშნიანიძემ 6

გრაფი ნულინი. პოემა. თარგმნა მურმან ჯგუბურიამ 10

პროზის შესახებ. წერილები. თარგმნა დოდო ხარიკიძემ 15

უკანასკნელი წლების წერილები. თარგმნა რუსუდან ქებულაძემ 24

დღიური. თარგმნა ალექსანდრე ბუაჩიძემ 42

თეოდორ დოსტოევსკი. პუშკინი. ნარკვევი. თარგმნა ჯანსუღ ღვინჯილიამ 61

ვადიმ კოვალევი. პუშკინი და მასონები. თარგმნა მანანა ამისულაშვილმა 70

ქეთევან ხორავაძე. პუშკინის ნაწარმოებთა თარგმანი შესრულებული თბილისში 76

ვასილ შუკშინი. მოთხრობები. თარგმნა ჯუმბერ თითმერიამ 78

კენძაბურო ოე. მოხუცებულთა პატივისცემის კვირეული. მოთხრობა. თარგმნა იზოლდა ლეჟავამ 104

ჟაკ პრევერი, შარლ ვან ლერბერგი. ლექსები. ფრანგულიდან თარგმნა სალომე გაბუნიამ 115

გი დე მოპასანი. მარტოობა. მოთხრობა. ფრანგულიდან თარგმნა გივი მაღულარიამ 118

ალფონს დოდე. ლეგენდა ოქროსტვინიან კაცზე. მოთხრობა. ფრანგულიდან თარგმნა გივი მაღულარიამ 122

ალბერ კამიუ. ირონია. მოთხრობა. ფრანგულიდან თარგმნა გიორგი ჭკუაშვილმა 125

□

მთავარი რედაქტორი: შოთა ნიშნიანიძე.

სარედაქციო კოლეგია: მზია ბაქრაძე, ბაჩანა ბრეგვაძე, გურამ გოგიაშვილი, ნანა დარჩია (პ. მგ. მდივანი), მაგალი თოდუა, ნოდარ კაკაბაძე, მიხეილ ქვესელავა, ზურაბ კიკნაძე, ვახუშტი კოტეტიშვილი, რომან მიმინოშვილი, ოთარ ნოდია, ნიკო ყიასაშვილი, თამაზ ჩხენკელი, დავით წერედიანი.

4 ივლისი აგვისტო
1979
(31)

# საქართველოს მწერალთა კავშირი
# მსოფლიო ლიტერატურის ორთვიური ალმანახი

## შინაარსი


ანრი მიშო. მოთხრობები. ფრანგულიდან თარგმნა როენა ყენიამ 132

სადეყ ჰედაიათი. ბრმა ბუ. მოთხრობა. სპარსულიდან თარგმნა თენგიზ კაჭარავამ 140

იგორ სევერიანინი. ცხენები. ლექსი. თარგმნა გრიგოლ ჯულუხიძემ 171

პავლო ტიჩინა. პასტელით ნახატები. ლექსი. უკრაინულიდან თარგმნა ნია აბესაძემ 173

ადამ მიცკევიჩი. ლექსები. თარგმნა თედო ბექაშვილმა 175

ჰელენა ბობინსკა. ქაბუნაშრია შთამომავლის შურისძიება. რომანი. დასასრული. პოლონურიდან თარგმნეს სტანისლავ რაევიჩმა და ვიქტორ კაჩაიაშვილმა 178

სტანისლავ ვიგოდსკი. კონცერტი დაკვეთით. მოთხრობა. თარგმნა ბიძინა ნიშნიანიძემ 195

ბერტოლდ ბრეხტი. აღუნიღრუკებული დეჯაბერი. მოთხრობა. თარგმნა ციხანა ბეგლარიშვილმა 208

მაგდა საბო. გაქცევა სიზმარში. მოთხრობა. თარგმნა ლია თევზაძემ 212

ლია თაკავარელია. „რომანტიკული ირონია“ ე. თ. ა. ჰოფმანის შემოქმედებაში 221

ლერი ჩანტლაძე. დოსტოევსკი და რუსული ექსისტენციალიზმი 227

რუსუდან თურნავა. ფრანგი პროფესორი ბერნარ უტიე და ქართული კულტურა 236


* *

გარეკანზე: ა. პუშკინი ნ. მეიტმანის გრავიურა

□

«САУНДЖЕ»
ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ АЛЬМАНАХ
НА ГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ № 4 1979
ГЛАВНАЯ РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ
ХУДОЖЕСТВЕННОГО ПЕРЕВОДА И ЛИТЕРАТУРНЫХ ВЗАИМОСВЯЗЕЙ
ТБИЛИСИ, УЛИЦА ШАЛВЫ ДАДИАНИ, 2

## ოთარ ნოდია

# მაღალი იდეურობისათვის

ეროვნული

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „იდეოლოგიური და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ" აღნიშნულია, რომ ამ „მუშაობის დედაარსი იყო და არის საბჭოთა ადამიანებისათვის მეცნიერული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება, პარტიის საქმის, კომუნისტური იდეალების უსაზღვრო ერთგულების, სოციალისტური სამშობლოს სიყვარულის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ჩანერგვა... რევოლუციური თეორიის, პარტიის პოლიტიკის ცოდნა საბჭოთა ადამიანებს უნდა გადაექცეთ კომუნიზმისათვის უცხო იდეოლოგიის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ მტკიცე მებრძოლის მრწამსად, აქტიურ ცხოვრებისეულ პოზიციად, მოქმედების სახელმძღვანელოდ განვითარებული სოციალიზმის აქტუალური პრობლემების გადაჭრისათვის". ცენტრალური კომიტეტის დადგენილება მჭიდროდ აკავშირებს იდეურ-პოლიტიკურ აღზრდას მჭიდროდ აკავშირებს მათ ზნეობრივ და შრომით აღზრდასთან. მორალურ-ეთიკური მდგრადობის, ზნეობრივი სულიერი წესრიგის გამომუშავება-განმტკიცება თავისთავად საფუძველია ადამიანში პიროვნების ფორმირებისა, აუცილებელი პირობაა ახალგაზრდის იდეურ-პოლიტიკური და შრომითი, ინტერნაციონალური და ესთეტიკური აღზრდისათვის. ეს არის სწორედ საბჭოთა ადამიანის სულიერი სამყაროს შემდგომი გამდიდრების ჭეშმარიტი გზა.

თანამედროვე საზოგადოების მორალურ-ეთიკური ატმოსფეროს შემდგომი გაჯანსაღება, ამ საზოგადოების წიაღში სულიერი ცხოვრების დღევანდელი პათოსი აუცილებლად ითვალისწინებს სინამდვილის ღრმა წვდომას, მოვლენების გაცნობიერებაში პიროვნების მიერ სულიერი მთლიანობის შენარჩუნებას; ადამიანის სულიერი სამყაროს, სულისკვეთებისა და პრაქტიკული ცხოვრების ჰარმონიული ურთიერთშეფარდება კი თავისთავად ინდივიდის ზნეობრივი საზოგადოებრივი ქმედების განმსაზღვრელია. სწორედ ამას ემყარება პირადი და საერთო სახელმწიფოებრივი ინტერესების ერთიანობა. ამ თვალსაზრისით ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებასა და მოღვაწეობაში საჭიროა გავითვალისწინოთ პრობლემათა ერთიანობა, დაწყებული მოწინავე იდეოლოგიისა და იდეალების პროპაგანდით და დამთავრებული ახალგაზრდობის აღზრდის კონკრეტული, პრაქტიკული საკითხებით. ამ საკითხთა ისეთში კი მთელი ცხოვრებაა მოქცეული.

**

საზოგადოებრივ მმართველობაში მასების მონაწილეობის თანმიმდევრული და განუხრელი ზრდა, საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაცია დღესაც აუცილებელი პირობაა არსებული ნეგატიური მოვლენების აღმოფხვრისათვის. ამავე დროს აუცილებელია შრომის კულტურის შემდგომი ამაღლება, შრომის ნაყოფიერების ზრდა, საწარმოო დისციპლინის განმტკიცება. ამისთვის ერთადერთი გზა არსებობს და ეს არის კომუნისტური იდეოლოგიის, თანამედროვე რევოლუციური ჰუმანიზმის პრინციპებით გაჯერებული, ადამიანთა საერთო ინტერესებით განპირობებული ცხოვრების წესის -შრომითი დისციპლინის დანერგვა. მმართველობის დემოკრატიზაცია სულაც არ ნიშნავს იმას, რომ არ ვიცოდეთ — რას რა ჰქვია, მიმტევებელი ვიყოთ მეშჩანობისა და კარიერიზმის გამოვლინებისადმი, დუმილით ავუაროთ გვერდი დანაშაულს. „საქმე ეხება იმას, — ნათქვამია ე. ა. შევარდნაძის მოხსენებაში საქართველოს პარტიული აქტივის კრებაზე 1979 წლის 26 ივნისს, — რომ მომწიფებული სოციალიზმის პირობებში ეკონომიური განვითარების კანონების ობიექტური არსის დონის კიდევ უფრო იზრდება სუბიექტური ფაქტორების მნიშვნელობა. სწორედ სუბიექტურ ფაქტორებშია მოქცეული ჩვენი საზოგადოების მატერიალურ ფასეულობათა და სულიერ ღირებულებათა ზრდის რეზერვი". თანამედროვე ცხოვრების გადაუდებელი ამოცანაა განვავრცოთ ბრძოლა საბჭოთა ადამიანის შემდგომი მორალურ-ზნეობრივი სრულყოფისათვის, ადამიანში მეშჩანური სულისკვეთების აღმოფხვრისათვის. ახალგაზრდობის სულიერი აღზრდაც უშუალო

კავშირშია ამ ბრძოლასთან. ეს ხომ არსებითად იგივე ბრძოლაა ადამიანისათვის. საზოგადოებრივი ინდიფერენტულობა, გულგრილობა ადამიანისადმი, გულგრილობა მშვენიერებისადმი, სამშობლოსა და ცალკეულ ხალხთა ბედისადმი — ეს საბოლოო ჯამში ადამიანის სულიერი განვითარების დამაბრკოლებელი და შემბოჭავი მეშჩანობის შედეგია. ამიტომაც ბრძოლა მეშჩანობის წინააღმდეგ საზოგადოების გაჯანსაღებისა და წინსვლის აუცილებელი პირობაა. ისევე, როგორც კანონიერებისათვის ბრძოლა აუცილებელია კანონიერების უმაღლესი პოზიციებიდან, ასევე მეშჩანობას მაღალი კომუნისტური შეგნებულობის პოზიციიდან უნდა ვებრძოლოთ. ისევე, როგორც კანონიერების დაცვა არ შეიძლება მივანდოთ თვით კანონის დამრღვევთ, მეშჩანობასთან ბრძოლის დიდი საქმეც ხელში არ უნდა ჩავუგდოთ არაპროგრესულ, იდეოლოგიურად ჩამორჩენილ, მით უმეტეს — თვით მეშჩანური ფსიქოლოგიისა და სულისკვეთების პირებს. ამ ბრძოლაში პირველ რიგში საჭიროა მეცნიერულად გამოვიკვლიოთ მეშჩანობის გენეზისი. არ შეიძლება მეშჩანობის ყველა ნიშან-თვისება და ფაქტი მხოლოდ კაპიტალიზმის გადმონაშთებს მივაწეროთ და ამით როგორღაც შევასუსტოთ ჩვენი აქტიური მოქალაქეობრივი პოზიცია, პათოსი. ეს იქნება გაუბრალოებული, ვულგარიზატორული მიდგომა ამ დიდი საზოგადოებრივ-იდეოლოგიური მნიშვნელობის პრობლემისადმი. წარმატების საწინდარია მხოლოდ იდეოლოგიური და ორგანიზატორული მუშაობის ერთიანობა, აღზრდის საკითხებისადმი მეცნიერული, კომპლექსური მიდგომა, უნდა გამოვლინდეს კომუნისტური მორალიდან გადახვევის ყოველი დიდი თუ მცირე ნაირსახეობა. მაგალითად, გარკვეულ მომენტში მეშჩანობა ცდილობს თავის თავზე აიღოს საქვეყნო საქმე, სათავეში ჩაუდგეს მოქალაქეობრივ მოღვაწეობას. ძალ-ღონეს არ იშურებს, არ ერიდება ყოველგვარი ხრიკებისა და უტიფარი სიცრუის გამოყენებას, რათა პროგრესული საქმიანობის მედროშედ მოევლინოს საზოგადოებას, დააგროვოს მორალურ-პოლიტიკური კაპიტალი. ასეთი ადამიანები განსაკუთრებით „საშიშ შინაარსს" იძენენ, როცა მათ, ისედაც მეშჩანური და კარიერისტული სულისკვეთებით გაჟღენთილთ, „პატრიოტული", „ეროვნული" გრძნობები მოეძალებათ. მიზანი ერთია — მეშჩანობამ უნდა ხელში ჩაიგდოს ამა თუ იმ საქმის მართვა-გამგებლობა, მოახდინოს მეშჩანური ყოფის ლეგალიზაცია, გაბატონოს ცხოვრების მეშჩანური წესი. ჩვეულებრივ, ასეთი ტიპის „მოღვაწეთა" არსი მეტნაკლები სიცხადით ვლინდება საკუთარი და გარე კულტურების შეზღუდულ, სტიქიურ შეფასებაში, პოლიტიკურ-სტრატეგიულ სიბეცეში, საკუთარი თანამედროვეობრივი მდგომარეობის მიმართ უკიდურესად ეგოისტურ დამოკიდებულებაში.

ადამიანი, პიროვნება საზოგადოებრივ საქმიანობაში გაბედული უარყოფის ან დასტურის მორალურ უფლებას მხოლოდ მაშინ იძენს, როდესაც მის ცნობიერებაში მთელი სიმწვავით აისახება ბოროტების არსება და ნათლად წარმოჩნდება სიკეთის კონტურები. საზოგადოებრივ მოღვაწეს, რა თქმა უნდა, მოეთხოვება კერძოზე, „ეპიზოდურზე" მაღლა დადგეს, მთელი თავისი მოქალაქეობრივი და პიროვნული პათოსი და ძალა ჩააქსოვოს საერთო სახალხო მიზნებისა და პრინციპების ხორცშესხმისათვის მეთოდურ, გონივრულ ქმედებაში. სულიერი და გონებრივი განვითარების ამ ეტაპზე იძენს პიროვნება მორალურ უფლებას ხალხის სახელით ილაპარაკოს, ხალხის სახელით იბრძოლოს, სახალხო საქმის ამა თუ იმ უბანს უხელმძღვანელოს. აქ არის სწორედ საჭირო სიფხიზლე: დროზე გავარჩიოთ კარიერისტულ-საქმოსნური პარადული მცდელობა და ხმაური ნამდვილი მოქალაქეობრივი აქტიურობისაგან. ეს აუცილებელი პირობაა მეშჩანობის, კარიერიზმის, ყოველგვარი ბოროტებისა და ნეგატიური მოვლენის წინააღმდეგ წარმატებითი ბრძოლის, ახალი ადამიანის სულიერი, ზნეობითი აღზრდის, ჯანსაღი საზოგადოებრივი ატმოსფეროს შექმნის, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ-მატერიალური და იდეოლოგიურ-თავდაცვითი ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის, ყველა იმ პრობლემის დადებითი განხორციელება-გადაჭრისათვის, რაც ასე დროულად და ჩვეული პარტიული პრინციპულობითაა დაყენებული სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამ დიდმნიშვნელოვან დადგენილებაში.

□

# ალექსანდრე პუშკინი

## პოეზია. წერილები. დღიური

180
ეროვნული
ბიბლიოთეკა

* *

„დავიდგი ძეგლი...“ (ჰორაციუსი)

დავიდგი ძეგლი ხელთუქმნელი, ძეგლთან მოვუხმე
ხალხს და აწ მოვა კიდევ უფრო მეტი და მეტი.
ვერ შეედრება აღზევებულს და ქედმოუხრელს
თვით ალექსანდრეს მაღალი სვეტი.

არა, მე ასე ვერ მოვკვდები — ჩანგს ეჭიდება
სული, რომ სიკვდილს შეებრძოლოს და შორს მიილტვის,
ამ მზის ქვეშ მანამ არ ჩაქრება ჩემი დიდება,
სანამ იცოცხლებს ერთი პიიტიც.

ჩემი სახელი დიად რუსეთს მოეფინება
და მე მახსენებს უთვალავი ენის გუგუნში
ამაყი სლავი და ყალმუხი, კიდევ ფინელი
და დღეს ველური ისევ ტუნგუსი.

არ დაივიწყებს ჩემი ხალხი ალბათ აროდეს,
რომ კეთილ გრძნობებს ვუღვიძებდი პოეტის ჩანგით,
თავისუფლებას სასტიკ დროში რომ ვუგალობე
და ვქომაგობდი დევნილს და ჩაგრულს.

იყავ მორჩილი, ჩემო მუზავ, მაღალი ღმერთის,
ლანძღვას გაუძელ და გვირგვინი ნუ გსურს, გამაგრდი;
ქება-დიდებას და ძაგებას გულგრილად შეხვდი,
არ გაუმართო რეგვენს კამათი.

თარგმნა გივი გეგეჭკორმა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* *

მე თქვენ მიყვარდით: სიყვარული თქვენი- ეგების
მინავლულ ცეცხლად სულში დღემდე კიდეც ვითნიე;
ამიერიდან მშფოთვარ ფიქრს ნუ გადაეგებით,
სულაც არ მინდა დამწუხრება თქვენი რითიმე...

მე თქვენ მიყვარდით უიმედოდ; ენა დადუმდა
იჭვით, სიმხდალით ვერ გასმინეთ ხმა საესავი;
მე თქვენ მიყვარდით ისე წრფელად, ისე სათუთად,
რომ, ღმერთმა ქნას და, შეგიყვაროთ სხვამაც ჩემსავით.

თარგმნა **გივი შაჰნაზარმა**

□

* *

ჩემო ლაყლაყა კრიტიკოსო, შე ქონის გუდავ,
პოეტის მუზას მგრძნობიარეს რომ კილავ მუდამ,
აქ მოდი, ჩემთან, დამიჯექი, გეთაყვა, ახლოს,
ერთად შევებათ სევდას ტიალს, რას იზამ, ვნახოთ.
რა სურათს უმზერ: ქოხმახები ხალხის ლატაკის,
ველი დამრეცი და შავმიწა ჩანს ნიადაგი,
ცაზე ღრუბელი გაწოლილა, მაცნე ავდარის,
ოქროს ყანები, ტყე, მდინარე, მითხარ, სად არის?
თვალს რომ აამონ და ეს სივრცე შეავსონ ღია,
ღობესთან ორი საცოდავი, საბრალო ხეა,
სულ ორად ორი. ამათგან ერთს არა აცვია,
ცივ შემოდგომას, წვიმებიანს, გაუძარცვია,
ხოლო მეორე, მთლად ყვითელი, უცდის ბორიოს,
მკვდარი ფოთლები გუბის წყალში რომ ამორიოს,
ეს არის და ეს. სხვა სულიერს ვერ ხედავს თვალი.
თუმც არა, აგერ გლეხკაცს ორი მოჰყვება ქალი.
არ ხურავს ქუდი, კუბო მოაქვს იღლიით ბავშვის,
მღვდლის ბიჭს ეძახის, მხართეძოზე რომ გდია სახლში,
ყვირის, გაალოს მამაშენმა საყდარი. ჩქარა!
ამას აქამდეც დავმარხავდი, ლოდინი კმარა!

რად მოიწყინე ასე ძლიერ, რა გჭირთება?
— ლხინი მომინდა, არ გვაწყენდა ახლა გართობა! —
საით აპირებ? — მოსკოვს, სად მაქვს მე დრო ამდენი,
გრაფის დღეობას დავაკლდები.
— იცოდე, კარანტინი!

ჩვენში ქოლერა მძლავრობს, ადრე რომ მძვინვარებდა,
როცა პირქუში დარიალის დამსვეს კარებთან,
დაჯექ, იცადე, ვით ვიცდიდი მე, შენი მონა;
რაო, ძმობილო, არ ქილიკობ, რამ დაგაღონა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

თარგმნა ემზარ კვიტაიშვილმა

□

## წინასწარმეტყველი

ძლეული ქვეყნის მიუსაფრობით
მე მივტიროდი სულს უსაყვარლესს,
რომ სერაფიმი ბნელ უდაბნოში
გამომეცხადა გზაგასაყარზე.
ზმანებასავით უმსუბუქესი
ხელი შემახო უცებ გუგებზე,
მომცილდა ხიბლი და მეც არწივებრ
თვალთაგან ელვა ამოვაბრწყინე.
თითები მისი სასმენელს შესწვდა
და მესმა ხმები ზენაარ ზესთა,
და ვგრძნობდი უკვე ჩემ გასაოცრად —
ანგელოსების ათასფეროვან
ირაოს წიაღ ცათა სფეროთა
და ჯურღმულებში მყვრელთა ძრაობას.
და მერე მისი უსპეტაკესი
ბაგე დამაკვდა უცებ ბაგეზე,
გამომწლა ენა ცოდვილიანი
და სისხლიანი ხელით ასპიტის
ენა ჩამიდგა, როგორც სასტიკი
და ულმობელი სიბრძნის ზიარი.
შუა გამიპო მკერდი მახვილით,
ყოვლის მომწყველელით და შემმუსრავით,
ამომაგლიჯა გული დაღლილი
და ჩამიმხუთრა შიგ მუგუზალი.
მე დიდხანს ვეგდე ბნელ უდაბნოში,
ძორი ძლეული მიუსაფრობით,
და ისმა ღვთის ხმა: „აღდეგ მისანი,
გადაუარე ყველა ზღვა და ხმელს
და გულისგული ადამისანი
გრძნეული სიტყვის შანთით დადაღე!"

თარგმნა გიორგი ნიშნიანიძემ

□

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ნადია რუშევა. „ყრმა პოეტი და მისი ოცნების განოვანი"

# გრაფი ნულინი

გამთენიის ხანს მახვილი
ისმის საყვირის ძახილი;
ამხედრებულა მდევარი,
ტყისაკენ იწევს მწევარი;
კარში გამოდის ბატონი,
ტურფაა დილის ბუნება,
გულში ილვიძებს სიამით
ხალისიანი გუნება.
ტანს შვენის კაბა ფარფარა,
ქამარს — ხანჯალი ფატარა,
რომით სავსეა მათარა —
სალხინებელი პატარა.
როგორც ცისკარი ხალასი,
ადრიან ამოწვერილი,
მკერდმოღეღილი, ლამაზი,
წყნარი და გულმოწყენილი
ქალი გასცქერის მარეკებს
ნამძინარევი თვალებით...
მიჰგვარეს ცხენი რჩეული,
ბატონმა ხელი ჩვეული
ჩასჭიდა ფაფარს ზვიადად,
ამხედრდა, შემოტრიალდა,
ცოლს მოაძახა — ხვალისთვის
მოვბრუნდებით დღიანად,
ცხენს შეუძახა ხალისით,
ჭიშკარი გადაიარა.

სექტემბერია გვიანი;
სოფლად ცხოვრება ჭრელია,
ღარია დარ-ავდრიანი,
შემოგარენი ბნელია.
ქრის ქარაშოტი ხმიერი.
გზებია ტალახიანი,
ხან დაიძახებს ტყიერი,
ხან ლამის მგზავრი გვიანი;
ქარში წრიალებს ტირიფი,
თოვდება, თოვლი ირიბი
ცრის. მაგრამ. გაგიხარია,
ევაა ლხინი იმისთვის,
ვინც ტყე-ტყე დაეხეტება,
ყიალებს უგზო მხარეში,
ბუზღუნებს, ჯავრობს, სველდება,
უყვარს მინდორში თარეში.
თავს რითი ირთობს ნეტავი
ცოლი — მეუღლის გარეშე?
ქალია სახლის მეთავე,
საქმე უცქერის თვალებში!
აქ — საკუჭნაო, ბოსელი,
იქით — ბოსტანი, მწვანილი,
ქათმებს — საკენკი დროული,
სოკოს — საკმარი მარილი.
არ დაელევა ხელსაქმე,
აღარ დადგება აროდეს,
ოღონდაც ჰქონდეს სურვილი
და გული მიუხაროდეს...
საუბედუროდ, ქალბატონს
სძულდა ხელსაქმე ქალისა,
ეზარებოდა ფუსფუსი
და მობრუნება მხარისა;
ასეთი ჰქონდა ბუნება:
ხშირად იცვლიდა გუნებას,
რასაც კი მოისურვებდა,
რისიც გააჩნდა წადილი,
ნებისად აისრულებდა —
ამგვარად იყო გაზრდილი...

წიგნს კითხულობდა მდუმრიად
ქალი — ფიქრებში გართული,
უცებ გაისმა წკაფუნი —
თიკანს უყეფდა მურია...
გაერთო ქალი ლამაზი,
თან მოიღერა ყელია,
ყივის მამალი კაპასი,
მცირე მინდორი სველია:
ბალღს ეძახოდა ფარეში,
იხვი ყვინთავდა გუბეში,
და დედაბერი სარეცხით
მიფრატუნებდა წუმპეში,
ილრუბლებოდა ამინდი,
დღე ლამდებოდა გვიანი...
უეცრად გზიდან მოისმა
ზანზალაკების წკრიალი.
გამორბის მანდილოსანი
გახარებული ძალიან,

* იბეჭდება შემოკლებით.

ხედავს აივნით მზირველი,
სადაც ჭალაკის წყალია, —
ეტლი მიფრინავს ფრთამალი —
თუ არ მატყუებს თვალია.
ეტლი მიჰყვება ჭალისპირს,
წისქვილის გაღმა ხიდია,
საით მიდიან ნეტავი?
ვაი, სხვა მხარეს მიდიან;
გაბრუნდა ეტლი წყეული.
დგას ქალი გულამღვრეული.

მაგრამ ოჰ, ჩქარი ჭენებით
ვერ განვლეს გასასვლელები,
უეცრად დადგნენ ცხენები.
დაფერდდა ეტლი... „ვასია,
აბა ჰე, კაცი გზაზეა,
რას დაიკრიფე ხელები!
ბრიყვო, გეყოფა ფაფხური,
ბატონკაცს აქ მოსვენება
მითხოვეთ". გარბის მსახური...
უცნობის მოსაჩვენებლად
ჩამოიშალა კულული
ქალმა და გულგატრუნული
გაბრწყინდა, როგორც მზის
სხივი,
საცაა მოვლენ ისინიც...
შორ გზებზე ნაღთღიალნი,
მოთხვრილნი და ნაღვლიანნი
ძლივს მოსთხავენ მგზავრები,
უკან ბატონი მოჰყვებათ,
ცაცხანებს დაუზარებლივ —
მსახური აღარ ღონდება.
ციმციმ გაიწყო მაგიდა...
სტუმარს ელიან ყველანი, —
აი, იღება კარი და
გულის ხშირდება ძგერანი,
წამოიწევა მზისფერი
ქალი და თავაზიანად
კითხულობს, ველარ ისვენებს,
ხომ არა დაიზიანა
გრაფმა..
მოუსხდნენ მაგიდას,
სტუმარი გახდა მწყაზარი,
ჰყვება, მორწმუნე რუსეთი
რარიგ გამხდარა საზარი.

უკვირს მარადი თოვლეთი,
ახსოვს ძვირფასი პარიზი,
„თეატრი?" — „ჰოი, თეატრი
დაობლდა შესაბრ[illegible]
დაყრუვდა ტალმა, ბრწყინვ[illegible]
მარსიც დღითიდღე გვცილდება,
მარტოდენ დიდი პოეტი
იხვეჭს ჩვეულად დიდებას".
„მოდას რომელი მწერალი
შემორჩა?" „გითხრათ ნამდვილი,
ეგაა კვლავ ლამარტინი".
„აქაც ჰყავს მას მიმდევარი,
ჩვენშიც გაღვივდა გონება,
ბევრი რამ მოგეწონებათ",
„ჰაი, რომ ხდება ოცნება,
გვეტყობა გამოცოცხლება;
ო, ღმერთო, ღმერთო ძლიერო,
ჩვენც გაგვანათლე, ციერო!"
„სამოსი?" „ქალებს სამოსი
მოსავთ წელგამოყვანილი,
რა კარგია და ლამაზი,
რა ტურფა, რა საყვარელი,
რარიგ გიხდებათ ეს კაბა,
ეს სამშვენისი ბრიალა".
„ჩვენ — ტელეგრაფიც
მოგვიდის,
ახალთახალი, კრიალა".
„ეს პანგი მიყვარს მე ძლიერ,
თუკი თქვენ მოისურვებდით".
„ოჰ, კრძი ნუ გააციეთ",
„მე მაძღარი ვარ სრულებით".

დგებიან. დიასახლისი
კისკისებს გულმხიარულად,
გრაფს დაავიწყდა პარიზი
და ქალს უცქერის მალულად.
მოსალამურდა ნელიად,
ლამაზი ქალის თვალები
ხან საამურად ბნდებიან,
ხან ბრწყინვენ შეუბრალებლივ.
ჩაფიქრებული, მდუმარი,
ამღვრეულია სტუმარი;
შუაღამეა წკვარამი.
სოფელს გაჰყივის მამალი.
ლოგინში ხვრინავს მსახური.

ხან ისმის ხმა მაძახურის.
ჩაქრა ოთახში სანთელი,
და ქალმა „ძილი ნებისა“
უსურვა სტუმარს, სტუმარი
დგება ნაწყენი ბედისა,
ხელს ეკონება ბატონი,
ფიქრი ეცვლება წამისად,
მაგრამ, ეჰ, სად დაფარულა
კოპწიაობა ქალისა,
ცეტმა დიაცმან, მალულად
(ღმერთო, შეუნდე ამისად).
ანაზდად მისცა სტუმარსა
ნიშანი მეტურფალისა...

მოენთო სიცხე მხურვალე,
გრაფი ლოგინში ტრიალებს,
ფხიზლობს ეშმაკი მწყურვალი
და გრძნობებს უღიზიანებს.
თან ფიქრი ახლავს მაცდური
და როგორც ცხადი დასტური
გულს ახსოვს დიასახლისის
თვალები, ნაზად დახრილი,
თვალები, დრო-დრო მკვესარი,
თვალები, როგორც მახვილი,
სხივი — ელვარე მზესავით,
მკერდი — გაშლილი ბაღივით.
ხმა — მიმზიდველი, ქალური,
მწყაზარი და საამური.
ლაწვები, ვით ბროწეული,
სხეული — მიმორხეული...
ჩაქრობილია სანათი...
წამოისხურა ხალათი,
წამოაქცია წყვდიადში
სკამი და გულის ჭახანით
წავიდა ლუკრეციასთან
ტარკვინიუსი ახალი.

ამგვარად კატა მზაკვარი,
ზიზია და ნებიერი,
მიიპარება ცბიერი,
მიიწელება ცაცანით,
მიილურსება, ჩუმდება,
მძინარედ მიიკუნტება.
და უცებ ავი ბრჭყალებით
ეცემა მსხვერპლს გამწარებით.
მიიხეტება ტრფიალი
წყვდიადში ხელისცეცებით,
თუთქავს სურვილი ძლიერი,
წყურვილი ურჯულოების.
მაგრამ კანკალებს, ტიალი
ოდეს მისწვდება ჭრიალი.
აი, მივიდა კარებთან,
მჩატედ შეეხო სახელურს,
კარი გაიღო, დანებდა, —
წყვდიადში დაჩნდნენ საგნები.
ხედავს: ძლივს ბჟუტავს
სანთელი,
ქალს მკრთალი შუქი ადგია,
ქალბატონს სძინავს
გულმშვიდად
ან იტყუება, ცხადია.

ის შედის, იცდის, ქვავდება,
და... მისთა ფერხთითვარდება...
არ მინდა თავის ქებანი,
და არცა — თავი ვიგინო,
მაგრამ თუ დამრთეს ნებანი —
პეტერბურგელმა ქალებმა;
აწ თვითონ წარმოიდგინონ
ღამის ამგვარი ცვალება,
და გადაწყვიტონ თავისად
მდგომარეობა ქალისა...
ის... დიდი, ფართე თვალებით
შესცქერის გრაფს ნამკრთალევი..
გრაფი წაიღო მორევმა,
აფორიაქებს წყურვილი,
ვერ ძალუძს თავის მორევა,
ფხიზლობს მაცთური სურვილი.
საბნისკენ მიაქვს თამამი
ხელები... კრთება მძინარე,
მაგრამ ყველაფერს სამანი
დაუდო ქალმა მძვინვარემ —
უცებ მოიცა გონება,
ავარდა, მგვანი აფთარის,
და ქალმა დაუყოვნებლად
გრაფს სილა სტკიცა მაგარი!
სტკიცა! და მერე როგორი!
დაიქცეს მაგის მომგონი!

ვინა თქვას, გულჯავრიანი
რას იზამს ადამიანი?
მაგრამ უეცრად აყეფდა
დიდი ბამბურა, ტიალი;
მოახლეს ძილი გაუწყდა,
ნულინს ხმაური ჩაესმა,
მიაყურადა ხმაურსა,
სული უხსენა ღამესა,
დასწყევლა ქალი ზიზია,
თავქარიანი, გულცივი,
მერე მიენდო სიბნელეს
და გაიძურწა ქურდივით.
ვინ რას იფიქრებს ღამეში,
ვიდრე ამოვა ცისკარი,
განსაჯეთ, როგორც გნებოთ,
მე რას გიშველით, მითხარით!

ცისკრის ხანს ადგა სტუმარი,
ზანტად ირთვება მდუმარი:
აღარ ფაცურებს ჩვეულად,
თმას არ ისწორებს ღიღინით,
აღარ ახარებს პაწია
ოქროს მაკრატლის ტიტინი.
რას ფიქრობს გრაფი? არ ვიცი.
მაგრამ უხმობენ. თავისი
გადაივიწყა ფარული
სირცხვილი თუ სინანული
და მიდის. სუფრას ხალისით
დასცქერის დიასახლისი...

გრაფს მოარიდა ლამაზმა
ქალმა ეშმაკი თვალები.
ელვარებს სხივი ალმასი
სხვაგვარი აელვარებით.
საუბარს იწყებს ნელიად
ქალი და გულის მწველია
ესე ყოველი ნამდვილად,
ჩვენმა სტუმარმა ადვილად
აუბა მხარი ყველაფერს,
ჯერ იყო კიდეც ღელავდა
(ქალი თავისას ჰკერავდა),
მაგრამ გამხნევდა თანდათან
და გახდა ენაწყლიანი,
უხერხულობა გათავდა,
ღამის ამბავი ჩათავდა,
ქვეყნად დილაა მზიანი;
გავიდა ერთი საათიც
ხუმრობით და მასლაათით
და ისევ იგრძნო ტრფიალი
გრაფმა...

გაისმა ჭრიალი...
„ვინ არის?"
„შენი სურვილი".
„მეუღლე".
„გრაფი ნულინი".
„მოხარული ვარ...
ამ თავით
რა ჩქარა დადგა ზამთარი".
„სამჭედლოს გვერდით მეფური
დგას ეტლი შეკეთებული...
ჩვენ მოვიმწყვდიეთ ნადირი,
სადაც ქალაკის წყალია;
ხომ არ დარჩებით
სადილად?" —...
„რა ვიცი, ვჩქარობ ძალიან".
„ეს მოგვარდება ადვილად,
სტუმარი გასახარია".
გრაფს გაუცრუვდა იმედი,
ჯიუტობს გულმოჩვარული,
მსახურს გადუკრავს მცირედი,
ფუცხუნებს კვლავ მხიარული.
უკვე ზანდუკიც დახურეს,
და ბარგი მიაქვთ მსახურებს,
მორჩნენ ყველაფერს. კარები
გაალეს. მიწყდა ყაყანი,
წავიდა გრაფი. ზღაპარი
დამთავრდა. მაგრამ ამბავი
რაკიდა აღარ გწყინდებათ,
ორ სიტყვას ვიტყვი კიდევაც.
ეტლი წავიდა. ცოლმა კი
ქმარს ჩაუკაკლა ყოველი,
ემცნო სიახლე ქვეყანას,
და თოვდა ენა მთოველი.
ვის ლხენდა ესე ამბავი?
ვინ იყო ქალის ზიარი?
ვის ჰქონდა აულაგმავი
შვება?..
ქმარს?.. —
ის ჯავრიანი
დაბარბაცებდა ეზოში,

იყო ნაწყენი ძალიან,
იგინებოდა, იძახდა:
„ნულინი მხდალზე მხდალია.
თუკი ყოველი ახდება,
მეტი რაღა მაქვს სათქმელი —
ლაჩარი გრაფი გახდება
ჩემი ძაღლების სათრევი".
მაგრამ ისმოდა ქირქილი —
ველარ ძლებოდა სიცილით
კარის მეზობლად მცხოვრები,
ყმაწვილი კაცი — ლიდინი.

აწ ვთქვათ სიმართლე ნამდვილი,
თუმცა სიმართლე ძვირია,
ქმარს ერთგულებდეს ლამაზი
ცოლი, რა გასაკვირია!

თარგმნა **მურმან ჯგუბურიამ**

□



**ნადია რუშევა.** „თავისუფლად მოაზროვნე ლიცეისტები — კიუხელბეკერი, პუშჩინი, პუშკინი, დელვიგი". 1969

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პროზის შესახებ

თარგმნა დოდო სანიკიძემ

•

ერთხელ დ' ალამბერმა ლაგარპს[1] უთხრა: ნუ მიქებთ ბიუფონს, ეს კაცი წერს: „ადამიანის ყოველ შენაძენთაგან უკეთილშობილესი გახლავთ ეს ცხოველი, ამაყი, ფიცხი და ა. შ." რატომ არ შეიძლება უბრალოდ ვთქვათ: ცხენი? ლაგარპს აოცებს ფილოსოფოსის ცივი მსჯელობა. მაგრამ დ'ალამბერი ძალზე ჭკვიანი კაცია და, უნდა ვაღიარო, თითქმის ვეთანხმები მის აზრს.

გაკვრით აღვნიშნავ, რომ ლაპარაკია ბუნების დიდ მხატვარზე — ბიუფონზე. მისი ფერადოვანი, სავსე ფრაზა მუდამ მაგალითი იქნება აღწერითი პროზისა. მაგრამ რა უნდა ვთქვათ ჩვენს მწერლებზე[2], რომელთაც ჩვეულებრივი რამეების უბრალო ახსნა სიმდაბლედ მიაჩნიათ და საბავშვო პროზის გამოცოცხლებას დამატებებითა და უილაჯო მეტაფორებით ცდილობენ? ეს ხალხი სიტყვა მეგობრობას ისე ვერ იტყვის, თუ ზედ არ მიუმატა: „წმინდა გრძნობა ესე, რომლის კეთილშობილური ალი" და სხვ. უნდა დაიწეროს: „ალიონზე", ისინი კი წერენ: „ოდეს ამომავალი მზის მეწინავე სხივებმა გაიცისკროვნა ზეცის აღმოსავლეთი კაბადონი" — აჰ, რა ახალი და ცინცხალია ყოველივე ეს, მაგრამ განა იმითაა უკეთესი, რომ უფრო გრძელია?

ვკითხულობ თეატრის რომელიმე მოყვარულის წერილს: „ნორჩი ქალწული, აღზრდილი თალიასი და მელპომენესი, აპოლონისგან უხვად ცხებული..." ღმერთო ჩემო! მიდი და უბრალოდ დაწერე: „ეს ახალგაზრდა, კარგი მსახიობი ქალი" და ისე გააგრძელე — დარწმუნებული იყავი, ვერავინ შეამჩნევს შენს გამოთქმებს, მადლობას არავინ გეტყვის.

„ბილწი ზოილი, ვისი დაუცხრომელი შურიც ძილისმომგვრელ შხამს ანთხევს რუსული პარნასის გვირგვინებს, ვისი გამაბეზრებელი სირეგვნეც შეიძლება მხოლოდ უსაშველო ბოროტებას შეედაროს..." ღმერთო ჩემო, რატომ არ შეიძლება, უბრალოდ ვთქვათ: ცხენი! ანდა განა უფრო მოკლე არ არის — „ამა და ამ ჟურნალის ბატონი გამომცემელი..."

ვოლტერს შეუძლია თავი მოიწონოს კეთილგონიერული სანიმუშო ფრაზით. — თავის მიკრომეგასში მან აბუჩად აიგდო ფონტენელის მოხდენილი, ნატიფი გამოთქმები, რაც ვერა და ვერ აპატია ფონტენელმა.

სიზუსტე და სისხარტე — აი, პროზის თავიდათავი ღირსებანი. პროზა მოითხოვს აზრებს და აზრებს — უამისოდ ლამაზი სიტყვები არაფრის მაქნისია. აი, ლექსები კი სულ სხვა საქმეა (თუმცა ჩვენს პოეტებს არ აწყენდათ გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი იდეები ჰქონოდათ, ვიდრე დღეს აქვთ: ჩავლილი სიჭაბუკის მოგონებებით ჩვენი ლიტერატურა შორს ვერ წავა).

კითხვა: ვისი პროზა სჯობს ჩვენს ლიტერატურაში? პასუხი: კარამზინისა. ეს არც ისე დიდი შექებაა — კიდევ რამდენიმე სიტყვა ვთქვათ ამ კოვლად პატივცემულ....

1827 წ.

## მასალები „წერილების, აზრების, შენიშვნების ნაწყვეტებისათვის“

ლანძღეთ და აგინეთ კაცები რამდენიც გენებოთ, გამოაფინეთ მთელი მათი მანკიერებანი, კაციშვილი არ დაიცავს მათ. მაგრამ აბა გაბედეთ და დასცინეთ მშვენიერ სქესს — ყველა ქალი ერთსულოვნად აღდგება თქვენ წინააღმდეგ: ქალები ერთ ხალხს, ერთ სექტას ქმნიან.

* *

ერთ-ერთი მიზეზი იმ სიხარბისა, რითაც დიდ ადამიანთა ჩანაწერებს ვკითხულობთ, ჩვენი თავმოყვარეობაა: გვიხარია, თუკი გამოჩენილ ადამიანს რამეთი მაინც ვგავართ — აზრებით, გრძნობებით, ჩვევებით, სისუსტითა და ნაკლითაც კი. ალბათ ვინმე არაკაცის შეხედულებას, ჩვევასა და სისუსტეში უფრო მეტ საჩვენო მსგავსებას ვპოვებდით, მათაც რომ დაეტოვებინათ თავიანთი აღსარებანი.

1827 წ.

## წერილების, აზრების, შენიშვნების ნაწყვეტები

ერთ-ერთი ჩვენი პოეტთაგანი ამაყად ამბობდა: შეიძლება ჩემს ლექსებში უაზრობა აღმოჩნდეს, სამაგიეროდ პროზას ვერ ნახავთო. ბაირონს არ შეეძლო აეხსნა ზოგი თავისი ლექსი. არსებობს უაზრობის ორი სახე: ერთი მაშინ წარმოიქმნება, როცა გრძნობებისა და აზრების უქმარობას სიტყვებით ცვლიან; მეორე — გრძნობებისა და აზრების სიჭარბისაგან, როცა სიტყვები არ ჰყოფნით მათ გამოსათქმელად.

* *

შთაგონება არის სულის განწყობა შთაბეჭდილებათა ცხოველმყოფელი მიღებისა და ცნებათა გაგებისათვის, ამისდა კვალად — მათი ახსნისათვის. შთაგონება გეომეტრიაშიც ისევე საჭიროა, როგორც პოეზიაში.

1828 წ.

# ვიდოკის წერილების შესახებ

„ლიტ. გაზეთის“ ერთ-ერთ ნომერში ნახსენები იყო პარიზელი ჯალათის წერილები; პოლიციის მაძებრის — ვიდოკის* ზნეობრივი თხზულებანი — არანაკლებ საინტერესო მოვლენაა.

წარმოიდგინეთ უსახელო, უსახლკარო ადამიანი, რომელიც ყოველდღიური დასმენებით ცხოვრობს და ერთ-ერთი იმ უბედურ ქალთაგანი ჰყავს ცოლად, ვისი ზედამხედველობაც ჩინით ევალება; წარმოიდგინეთ ნამდვილი ყალთაბანდი, ერთნაირად უტიფარი და ბილწი და. შემდეგ, თუკი ძალგიძთ, წარმოიდგინეთ, რა უნდა იყოს ასეთი კაცის ზნეობრივი თხზულებანი.

ვიდოკი წერილებში თავის თავს პატრიოტს, ძირეულ ფრანგს (un bon Français) უწოდებს, თითქოსდა ვიდოკს შეიძლება ჰქონდეს სამშობლო! იგი გვარწმუნებს, სამხედრო კაცი ვარ და მარტო ნებადართული კი არა, ნაბრძანებიც მაქვს, როგორც მინდა, ისე ჩავიცვაო. თანაც თავს იწონებს საპატიო ლეგიონის ორდენით და კაფეებში იმ პატიოსან ღარიბთ აღაშფოთებს, მცირე ხელფასზე რომ ცხოვრობენ (officiers á la demi-solde). იგი თავხედურად ტრაბახობს აწ განსვენებულ ცნობილ ადამიანებთან თავისი მეგობრობით, რომლებსაც მასთან ურთიერთობა ჰქონიათ (ვინ არ ყოფილა ახალგაზრდა? ვიდოკი კი სამსახურის გამწევი, საქმიანი კაცი გახლავთ). იგი საოცარი თავმომწონეობით ლაპარაკობს კარგ საზოგადოებაზე, თითქოსდა ნებადართული ჰქონდეს ამ საზოგადოებაში ყოფნა, მკაცრად მსჯელობს ცნობილ მწერლებზე, ნაწილობრივ მათი უგულვებელმყოფელი პასუხის იმედიც აქვს, თან თავისი ანგარიშიც: ვიდოკის მსჯელობანი კაზიმირ დე ლა ვინისა და ბ. კონსტანის შესახებ შეიძლება სწორედ თავისი უაზრობით იყოს საინტერესო.

ვინ დაიჯერებდა? ვიდოკი და პატივმოყვარე! იგი ცოფდება, როცა ჟურნალისტთა არამწყალობლურ გამოხმაურებას კითხულობს თავისი სტილის თაობაზე (ბატონი ვიდოკის სტილი!), ასეთ შემთხვევაში აბეზღებს თავის მტრებს, აბრალებს მათ უზნეობას, თავისუფალ აზროვნებას და (სრულიად სერიოზულად) გრძნობათა კეთილშობილებასა და შეხედულებათა დამოუკიდებლობაზე კამათობს: გულფიცხობა ყველა სხვა მჯღაბნელს თუ სასაცილოს ხდის, ვიდოკის შემთხვევაში სანუგეშოა, რაკი აქ ჩანს, რომ ადამიანური ბუნება, რა დამდაბლებულიც არ უნდა იყოს იგი, მაინც ინარჩუნებს მოწიწებას ადამიანთა მოდგმის წმინდა ცნებებისადმი.

ჩნდება მნიშვნელოვანი კითხვა:

ჯაშუში ვიდოკის, ჯალათი სამსონის* და სხვ. თხზულებანი არ შეურაცხყოფს არც გაბატონებულ რელიგიას, არც მთავრობას, ზნეობრიობასაც კი ამ სიტყვის ზოგადი აზრით; ამასთანავე არ შეიძლება საზოგადოებრივი წესრიგის უკიდურეს შეურაცხყოფადაც არ მივიჩნიოთ ისინი. და განა სამოქალაქო ხელისუფლებამ თავისი ბრძნული ყურადღება არ უნდა მიაპყროს ამ ახალი სახის საცთურს, კანონმდებლობას რომ არ გაუთვალისწინებია და სრულებით რომ გამორჩენია?

1830 წ.

# სამსონის წერილების შესახებ

ფრანგული ჟურნალები გვამცნობენ, რომ მალე გამოვა პარიზელი ჯალათის სამსონის წერილები. ეს მოსალოდნელიც იყო. აი, სანამდე მიგვიყვანა სიახლისა და ძლიერი შთაბეჭდილებების წყურვილმა.

XVIII საუკუნის მაცდუნებელი ა ღ ს ა რ ე ბ ი ს[6] შემდეგ არანაკლებ მაცდუნებელი პოლიტიკური აღსარებანი გამოჩნდა. არ გვაკმაყოფილებდა ჩაჩსა და საშინაო ხალათში გვეხილა ცნობილი ხალხი, ახლა საძინებელ ოთახში და უფრო შორს შეყოლა მოვუნდომეთ. ესეც როცა მოგვყირჭდა, გამოჩნდა ბნელი ადამიანების ჯგრო, თავიანთი სამარცხვინო ამბებითურთ. მაგრამ ჰენრიეტა ვილსონის[7], კაზანოვასა და თანამედროვე ქალის[8] უტიფარ წერილებზე არ შევჩერდით, ახლა პოლიციის ჯაშუშის თაღლითურ აღსარებასა და ვინმე დაღდასმული კატორღელის განმარტებებს ვეცით. ვიდოკის წერილების ნაწყვეტებით აივსო ჟურნალები. პოეტ ჰიუგოს არ შერცხვა და მათში შთაგონებას ეძიებდა ცეცხლითა და ჭუჭყით აღსავსე თავისი რომანისათვის[9]. უახლეს ლიტერატორთა რიცხვს ჯალათიღა აკლდა. ბოლოს ისიც გამოჩნდა და, ჩვენდა სამარცხვინოდ უნდა ვთქვათ, რომ მისი წ ე რ ი ლ ე ბ ი ს წარმატება უეჭველი ჩანს.

არა გვშურს იმ ხალხისა, ვინაც თავისი ანგარიშები ჩვენს უზნეო ცნობისწადილზე დაამყარა და ალბათ წერა-კითხვის უცოდინარი სამსონის ნაამბობის აღნუსხვას მიუძღვნა თავისი კალამი. მაგრამ აღსარებათა საუკუნეში მცხოვრებნი, ჩვენც ვაღიარებთ: თუმც ზიზღით, მაგრამ მოუთმენლად ველით პ ა რ ი ზ ე ლ ი ჯ ა ლ ა თ ი ს წ ე რ ი ლ ე ბ ს. ვნახოთ ერთი, რა საერთოა მას და ცოცხალ ადამიანებს შორის, რომელი მხეცის ღმუილით აგვიხსნის იგი თავის აზრებს? რას გვამცნობს ეს ქმნილება, ვინც გრაფ მეისტრს ესოდენ პოეტური, ამაზრზენი წერილი შთააგონა? რას გვეტყვის ეს კაცი, რომელიც თავისი ორმოცწლიანი სისხლიანი ცხოვრების განმავლობაში ესწრებოდა დიდებულთა და უცნობთა, წმინდათა და უწმინდურთა უამრავი თავისი მსხვერპლის უკანასკნელ შეჟრჟოლებას? ყველანი ისინი,— მისი წუთიერი ნაცნობნი,— რიგრიგობით ჩაივლიან ჩვენ წინ გილიოტინაზე, რომელზედაც ეს მძვინვარე ოინბაზი თავის ერთფეროვან როლს თამაშობს. მოწამენი, ბოროტმოქმედნი, გმირები — წამებული ხელმწიფეცა და მისი მკვლელიც,[10] შარლოტა კორდეც, მშვენიერი დიუ-ბარიც, შეშლილი ლუველიც, მეამბოხე ბერტონიც, ექიმი კასტენიც, რომელმაც თავისიანები მოწამლა და პაპავუანიც, ბავშვთა მკვლელი: ჩვენ ყველას ვიხილავთ მათ უკანასკნელ, საშინელ წუთს. ყოველი მათგანის თავი, უკანასკნელი სიტყვის წარმოთქმის შემდეგ, ერთიმეორის მიყოლებით დაცვივა ჩვენ წინაშე... და ჩვენს სასტიკ ცნობისმოყვარეობას რომ გააძღობს, ჯალათის წიგნი თავის ადგილს დაიჭერს ბიბლიოთეკებში, მომავალი დროის ისტორიკოსის მეცნიერულ დასკვნებს დაელოდება.

1830 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საბავშვო წიგნი

### (პატარა მატყუარა)

პავლუშა კოპწია, კეთილი და ბეჯითი ბიჭუნა იყო, მაგრამ ერთი დიდი ნაკლი ჰქონდა — სამ სიტყვას ისე ვერ იტყოდა, ერთი ტყუილი რომ არ გაერია. მამამ დაბადების დღეზე ხის ცხენი აჩუქა. პავლუშა ირწმუნებოდა, ეს ცხენი კარლ XII-ის ცხენია, სწორედ ისაა, რითაც მეფე პოლტავის ბრძოლიდან გაიქცაო. იმასაც ამბობდა, სახლში პატარა მზარეული ბიჭი რომ გვყავს, ასტრონომი გახლავთ, ფორეიტორი — ისტორიკოსია, მეყვავილე პრომჯა კი ლომონოსოვზე უკეთ თხზავს ლექსებსო. თავდაპირველად ამხანაგებს სჯეროდათ პავლუშას ნათქვამი, მაგრამ მალე მიუხვდნენ და უკვე მაშინაც კი არ უჯერებდნენ, როცა ზოგჯერ სიმართლესაც გამოურევდა ხოლმე.

* *

დიაკონის ვაჟი ვანიუშა მეტად ოინბაზი ვინმე გახლდათ. მთელ დღეებს ქუჩაში, ბიჭებთან ატარებდა, მათთან ერთად კოტრიალობდა ტალახში და თავის საგარეო ტანისამოსს თხუპნიდა. ვინმე პატიოსანი კაცი რომ ჩაუვლიდათ გვერდით, ვანიუშა ენას უყოფდა, მისდევდა და მთელი ხმით მისძახოდა: ლოთო, მახინჯო, გარყვნილო! ღრეჭია, მჯღაბნელო! ნიჰილისტო, ურჯულოო! თან ტალახს ესროდა. ერთხელ მისგან ლაფით გასვრილი დარბაისელი კაცი გაბრაზდა, სწვდა ვანიუშას ქეჩოში და ხელჯოხით მაგრად მიბერტყა. ატირებული ვანიუშა საჩივლელად მამასთან გავარდა. ბებერმა დიაკონმა ასე უთხრა შვილს: ახია შენზე, საძაგელო; ღმერთმა ხელი მოუმართოს, ვინაც არ იუკადრისა და ჭკუა გასწავლაო! ვანიუშა ძლიერ დაღონდა, თავისი დანაშაული შეიგნო და გამოსწორდა.

1830 წ.

## TABLE-TALK [11]

### (სუფრული საუბრები)

იეზუიტი პოსევინი, ესოდენ ცნობილი პიროვნება ჩვენს ისტორიაში, ერთ-ერთი თავგამოდებული მდევნელი იყო მაკიაველისა. მან ერთ წიგნად შეკრიბა ყველა ცილისწამება, ყველა თავდასხმა, რაც კი უკვდავი ფლორენციელის თხზულებებს დააწიეს, და ამით შეაჩერა ამ თხზულებათა ახალი გამოცემა. სწავლულმა Conringius-მა, რომელმაც 1860 წელს გამოსცა „Il principe“, დაამტკიცა: პოსევინს არასოდეს წაუკითხავს მაკიაველი და მასზე მხოლოდ ყურმოკრული ცნობებით მსჯელობდაო.

* *

ადამიანს თავისი ბუნებით სხვათა განკიცხვის მიდრეკილება უფრო აქვს, ვიდრე ქებისა (ასე ამბობს მაკიაველი, კაცთა ბუნების უდიდესი მცოდნე).

განკიცხვის უგუნურება არც ისე თვალში საცემია, როგორც უგუნური ქება...

## დერჟავინზე

დერჟავინი მხოლოდ ერთხელ ვნახე ჩემს ცხოვრებაში, მაგრამ დაუვიწყებლად კი ვერასოდეს დავივიწყებ. ეს მოხდა 1815 წელს, ლიცეუმის საჯარო გამოცდებზე. როგორც კი გავიგეთ, დერჟავინი უნდა გვწვეოდა, ყველანი აღელდით. დელვიგმა კიბე ჩაირბინა, რათა პირველს ეკოცნა სტუმრისთვის ხელზე, რომელმაც „ჩანჩქერი" დაწერა. მოვიდა დერჟავინი, შემოვიდა დერეფანში და დელვიგმა გაიგონა, როგორ ჰკითხა მან შვეიცარს: „სადაა, ძმობილო, აქ საჭირო ოთახი?" ამ პროზაულმა შეკითხვამ დელვიგს გუნება გაუფუჭა, ხელი აიღო თავის განზრახვაზე და დარბაზში დაბრუნდა. დელვიგი ამას მხიარულად, საოცარი გულწრფელობით მიყვებოდა. დერჟავინი ძალზე მოხუცი გახლდათ. მუნდირი და ხავერდის ჩექმები ეცვა. ჩვენმა გამოცდამ ერთობ დაღალა. იჯდა, თავი ხელზე ჩამოედო, უაზრო სახე ჰქონდა, თვალები ამღვრეოდა, ქვედა ტუჩი ჩამოვარდნოდა; ძალიან ჰგავდა თავისსავე პორტრეტს, სადაც იგი ჩიჩში და ხალათშია გამოსახული. თვლემდა, სანამ რუსულ სიტყვიერებაში არ დაიწყო გამოცდა. აქ კი გამოცოცხლდა, თვალები გაუბრწყინდა, მთლად გადასხვაფერდა. რასაკვირველია, კითხულობდნენ მის ლექსებს: წამდაუწუმ აქებდნენ მის ლექსებს, არჩევდნენ მის ლექსებს. უჩვეულოდ მხიარულად უსმენდა. ბოლოს მე გამომიძახეს. წავიკითხე ჩემი მოგონებები ცარსკოე სელოზე. დერჟავინისაგან ორ ნაბიჯზე ვიდექი. ვერ აგიწერთ ჩემს სულიერ მდგომარეობას: როცა იქამდე მივედი, სადაც დერჟავინის სახელს ვახსენებ, ხმა ჭაბუკურად ამიჟღერდა, ხოლო გული აღტაცებით ამიძგერდა... არ მახსოვს, როგორ დავამთავრე კითხვა, არც ის მახსოვს, საით გავიქეცი. დერჟავინი აღფრთოვანებული იყო; ჩემი ნახვა უნდოდა, უნდოდა გადამხვეოდა... მეძებეს, მაგრამ ვერ მიპოვეს...

* *

ერთხელ დენის დავიდოვი ავანგარდში თავად ბაგრატიონთან გამოცხადდა და უთხრა: „მთავარსარდალმა მიბრძანა. მოვახსენო თქვენს ბრწყინვალებას, რომ მტერი ცხვირზე გვაზის და გთხოვთ დაუყოვნებლივ უკან დაიხიოთ". ბაგრატიონმა მიუგო: „მტერი ცხვირზე გვაზისო? ვის ცხვირზე? თუ თქვენსაზე, მაშინ ახლოს ყოფილა; თუ ჩემსაზე — მაშინ სადილობასაც მოვასწრებთ".

* *

დელვიგი ერთხელ რილეევს ტურფებთან ეპატიჟებოდა. „მე ცოლიანი ვარ," — მიუგო რილეევმა. „მერე რა, — თქვა დელვიგმა, — ნუთუ არ შეგიძლია რესტორაციაში ისადილო მხოლოდ იმიტომ, რომ შინ მზარეული გყავს?"

* *

დელვიგს არ უყვარდა მისტიკური პოეზია. იგი ამბობდა: „რაც უფრო ახლოა ცა, მით უფრო ცივა".

* *

სატირიკოსი მილონოვი ერთხელ მთვრალი მივიდა გნედიჩთან, ჩვეულებისამებრ მოჩაჩული და ჩამობრანძული. გნედიჩმა შეგონება დაუწყო. გულ-

აჩუყებული მილონოვი ატირდა, თვალები ცისკენ აღაპყრო და თქვა: „იქ, იქ ვპოვებ მე ჯილდოს ყველა ჩემი ტანჯვისა წილ...“ „ძმობილო, — შეეპასუხა გნედიჩი, — ჩაიხედე სარკეში: აგიშვებენ კი იქ?“

1834 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვოლტერი

ვოლტერი ვერ ეგუებოდა ჩრდილოელ სოლომონს[12], თავის ყოფილ მოწაფეს. ბერლინის აკადემიის პრეზიდენტი მოპერტიუი პროფესორ კიონიგს წაეჩხუბა. მეფემ თავისი პრეზიდენტის მხარე დაიჭირა, ხოლო ვოლტერი პროფესორს გამოესარჩლა. ავტორის ხელმოუწერლად გამოქვეყნდა თხზულება, სათაურად „წერილი საზოგადოებისადმი“. მასში კიონიგს გამოსდგნენ და ვოლტერსაც კენწლავდნენ. ვოლტერი გამოედავა ამ წერილს და თავისი გესლიანი პასუხი გერმანულ ჟურნალებში გამოაქვეყნა. რამდენიმე ხნის შემდეგ „წერილი საზოგადოებისადმი“ ბერლინში გადაბეჭდეს და თავფურცელზე გვირგვინი, სკიპტრა და პრუსიული არწივი დაუმძღვარეს. მხოლოდ ახლა მიხვდა ვოლტერი, ვისაც გაეჯიბრა ასე დაუფიქრებლად და უკან დახევაზე დაიწყო ფიქრი. ხელმწიფის საქციელში აშკარად დაინახა მისადმი გულაცრუება და იგრძნო ამოთვალწუნებისა. „ვცდილობ არ დავიჯერო ეს, — წერდა ვოლტერი პარიზში დ'არჟანტალს, — მაგრამ მეშინია არ დავემსგავსო რქიან ქმრებს, რომლებიც თავს ძალას ატანენ, თავიანთი ცოლების ერთგულება დაიჯერონ. საცოდავები გულში კი გრძნობენ თავიანთ უბედურებას!“ გულგატეხილობის მიუხედავად, თავს მაინც ვერ იკავებდა, კიდევ ერთხელ არ გაეკენწლა თავისი მოწინააღმდეგენი. დაწერა თავისი ყველაზე უფრო მხიარული სატირა (La Diatribe du dr. Akakias)[13] და დაბეჭდა კიდეც, თანაც დაბეჭდვის თანხმობა თვით ხელმწიფეს გამოსტყუა.

შედეგები ცნობილია. ფრიდერიკის ბრძანებით სატირა ჯალათმა დაწვა. მაშინ ვოლტერი ბერლინიდან გაემგზავრა, ფრანკფურტში პრუსიელმა პოლიციელებმა დააკავეს, რამდენიმე დღე დაპატიმრებული იყო და იძულებული გახდა გაეცა ფრიდერიკის ლექსები, რომლებიც ერთეულებისათვის იყო დაბეჭდილი და რომელთა შორის იდო სატირული პოემა ლუდოვიკო XV-სა და მის სამეფო კარზე.

მთელი ეს უბადრუკი ისტორია პატივს არ სდებს ფილოსოფიას. ვოლტერმა მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში ერთხელაც ვერ მოახერხა საკუთარი ღირსება დაეცვა. თუმცა ახალგაზრდობაში ბასტილიაშიც იყო გამომწყვდეული, თან გაძევებისა და დევნის სიმწარეც იგემა, მაინც ვერ დაიმსახურა ხალხის თანაგრძნობა, რაზედაც უარს არასოდეს ეუბნებოდნენ ხოლმე გატანჯულ ტალანტებს. მეფეთა მესაიდუმლე, ევროპის კერპი, საუკუნის პირველი მწერალი, მოაზროვნეთა და თანამედროვე აზრის მეთაური ვოლტერი სიბერეშიაც არ იმსახურებდა თავისი ჭაღარისადმი პატივისცემას: ამ ჭაღარაზე დადგმული გვირგვინები ლაფიანი იყო. ცილისწამება, გამოჩენილ ადამიანს რომ თანა სდევს, მაგრამ ჭეშმარიტების წინაშე მუდამ ქარწყლდება, მიუხედავად ამ ზოგადი კანონისა, ვოლტერს არ სცილდებოდა, რამეთუ ყოველთვის სარწმუნო და დამაჯერებელი იყო. თავად არ სცემდა საკუთარ თავს პატივს

და არც ხალხის მხრიდან მიაჩნდა პატივისცემა აუცილებელი. რა ეძიდავდა ვოლტერს ბერლინში? რატომ უნდა გაეცვალა თავისი დამოუკიდებლობა ხელმწიფის თავქეიფა[14] მოწყალებაზე? მისთვის უცხო ხელმწიფის მოწყალებაზე, ვისაც არავითარი უფლება არ ჰქონდა, ვოლტერისათვის სამოწყალოდ გაეხადა საქმე.

ფრიდერიკ II-ის ღირსებაზე მეტყველებს ისიც, რომ თვითონ ხელმწიფეც, მიუხედავად თავისი თანდაყოლილი დამცინავობისა, არ დაამცირებდა თავის მოხუც მასწავლებელს, მასხარის ხიფთანს არ ჩამოაცვამდა უპირველეს ფრანგ პოეტს, არ გაიმეტებდა ქვეყნის სასაცილოდ, თვით ვოლტერს რომ არ ეცადა ასეთი უბადრუკი მასხარაობა.

აქამდე ეგონათ, თვით ვოლტერმა, კეთილშობილი სასოწარკვეთილებით მოცულმა გაუგზავნა ფრიდერიკს კამერჰერის გასაღები და პრუსიის ორდენი, ხელმწიფის იშვიათი წყალობანი; მაგრამ ახლა ირკვევა, ხელმწიფემ თვითონ გამოითხოვა უკან ეს ყველაფერი. როლები შეიცვალა: ფრიდერიკი გაშმაგებულია და იმუქრება, ვოლტერი ცრემლსა ღვრის და ეხვეწება...

რა უნდა დავასკვნათ აქედან? ის, რომ გენიოსსაც აქვს სუსტი მხარეები, რაც ანუგეშებს საშუალო ხალხს, მაგრამ დაამწუხრებს კეთილშობილ გულებს, რაკი შეახსენებს მათ, რაოდენ არასრულყოფილია კაცობრიობა; რომ მწერლის ნამდვილი ადგილი მისი სამუშაო კაბინეტია; და ბოლოს ის, რომ მხოლოდ დამოუკიდებლობას და საკუთარი თავის პატივისცემას შეუძლია დაგვაყენოს ცხოვრებისეულ წვრილმანებსა და ბედისწერის გრიგალებზე მაღლა.

1536 წ.

შენიშვნები:

1. დ'ალამბერის თანამოსაუბრე იყო არა ლაგარპი, როგორც დაამახსოვრდა პუშკინს, არამედ ტოვერთლი.

2. პუშკინი აქ მწერალ-სენტიმენტალისტების „გრძნობიერი" პროზის წინააღმდეგ ილაშქრებს.

3. პუშკინი ალბათ დელვიგს — მის თანამედროვე პოეტს გულისხმობს. ვიაზემსკის უწერია: „დელვიგი კეთილშობილური სიამაყით აცხადებდა: შეიძლება უაზრობა დავწერო, მაგრამ პროზაულ ლექსს არასოდეს დავწერო".

4. პარიზის სამხედრო პოლიციის უფროსი იყო.

5. ანრი სანსონი — რევოლუციის ეპოქის პარიზელი ჯალათი. „სანსონის წერილები" შეადგინეს ბალზაკმა და ლერიტიემ სანსონის პირადი შენიშვნებისა და სხვა მასალის საფუძველზე, ჯალათის სიკვდილის შემდეგ რომ დარჩა.

6. იგულისხმება ჟან ჟაკ რუსოს „აღსარება".

7. ინგლისელი მსახიობისა და ცუდი ყოფაქცევის ქალის ჰენრიეტა ვილსონის სკანდალური მემუარები 1825 წელს გამოვიდა, ფრანგულ ენაზე ითარგმნა და მეტად პოპულარული გახდა.

8. ფრანგი ავანტიურისტი ქალის Ebrellina Van Ayl de Fonghe-ს წიგნი „თანამედროვე ქალის წერილები" 1827 წელს გამოქვეყნდა. ავტორი აღწერდა თავის სასიყვარულო ამბებს, ასახელებდა ბევრ სახელმწიფო მოღვაწეს, ვისთანაც მიჯნურობა აკავშირებდა.

9. წიგნში „მსჯავრდადებულის უკანასკნელი დღე" ჰიუგოს მოხსენებული ჰყავს სანსონის ორი მსხვერპლი — ექიმი კასტენი და ბავშვთა მკვლელი პაპავუანი.

10. იგულისხმება მეფე ლუი XVI და რობესპიერი, რომელმაც მეფე სიკვდილით დასაჯა.

11. პუშკინი ხშირად იწერდა ფაქტებს, ანეკდოტებს, რომლებიც ამა თუ იმ ისტორიული პიროვნების ცხოვრებასა და შემოქმედებას ეხებოდა, იწერდა აგრეთვე XVIII საუკუნის,

თავისდროინდელი ყოფისა და ზნე-ჩვეულებებისათვის დამახასიათებელ პატარ-პატარა ამბებს. სუფრული საუბრები ამ ჩანაწერების კრებულია.

12. ასე უწოდებდა ვოლტერი ფრიდრიხ II-ს თავის სახოტბო წერილებში.

13. დოქტორ აკაკიასის პამფლეტი.

14. ეპითეტი ამოღებულია ჟურნალ „სოვრემენნიკიდან".

ეროვნული ბიბლიოთეკა

□



მხატვარი ტ. ვართაგავა. ა. პუშკინი. „გასროლა"

# უკანასკნელი წლების წერილები

ეროვნული ბიბლიოთეკა

თარგმნა რუსუდან ქებულაძე

## 14. პ. ვ. ნაშჩოკინს

23—30 აპრილი, 1834 წ. პეტერბურგი

შენ არც კი იცი, ჩემო საყვარელო მეგობარო, რარიგ გამახარა შენმა წერილმა. ჯერ ერთი, შენგან რვეული მივიღე, დასტური იმისა, რომ დროც ბევრი გაქვს, ქაღალდიც, არც სულიერი სიმშვიდე გაკლია და ჩემთანაც ლაპარაკი მოგსურვებია. პირველივე სტრიქონმა მამცნო შენი მშვიდი და ბედნიერი ყოფა. ყოველი შენი სიტყვა იმ ჭორებს მიბათილებს, რომლის ნახევარი არ მეჯერა, ნახევარმა კი ფრიად შემაშფოთა. სობოლევსკი და ლ. (სერგეევიჩი)[1] ჩემთან ბრძანდებოდნენ სადილად. შენი წერილი ჯერ მე ჩავათვალიერე და მერე იმათაც წავუკითხე ხმამაღლა. ყველანი კმაყოფილნი დავრჩით, ყველამ ბედნიერება გისურვეთ. ნატ. (ალია) ნიკ. (ოლაევნას) მოუთმენლად სწადია შენი ვერა ალექსანდროვნა გაიცნოს და წინასწარ გთხოვს დაამეგობრო ისინი. მას გულით უყვარხარ და გილოცავს... მაგრამ ჯერ საქმეზე ანუ ფულზე ვილაპარაკოთ. ხომ გახსოვს, როცა მოსკოვიდან გამოვისტუმრე, გეგონა, რომ ჩემი ფულის გარეშეც იოლას გახვიდოდი, ამიტომაც ფულზე არ მიზრუნია. ამ ცოტა ხნის წინ საკმაოდ დიდი თანხა მქონდა, მაგრამ შემომეხარჯა და ოქტომბრამდე აღარ მექნება — თუმცა შენს 3000-ს ამ მოკლე ხანში მოგაწვდი, როგორც კი შევიძლებ. აქ თქვეს, რაც ძმისგან უნდა მიგეღო, თურმე ვალში წაგივია ყველაფერი; შენ არ იცი, როგორ შემაწუხა ამ ამბავმა; მაგრამ ახლა შენს ცხოვრებაში მომხდარი გარდატეხის იმედითა ვარ. დარდების გადასაყრელად კენზ-ელ-ვა[2] და პლიე[3] აღარ დაგჭირდება. ნათქვამია, ზოგი ჭირი მარგებელია, ჭკუას გასწავლისო. შეიძლება ასეც იყოს. მაგრამ ბედნიერება კი ყველაზე კარგი უნივერსიტეტია. იგი ანათლებს სიკეთისა და მშვენიერების მადლით აღსავსე სულს, როგორიც შენია, ჩემო მეგობარო, და ჩემიც, როგორც თავად უწყი. მაშ, ბარიბარში ვყოფილვართ, თუკი შენს

[1] პუშკინის ძმა.

[2] ბანქოს თამაშისას 15-ჯერ გადიდებული ფსონი.

[3] ორჯერ მეტი ფსონი ბანქოში.

დაქორწინებას მე მიმადლი — იმედია, ვერა ალ. (ექსანდროვნას) ისევე ვეყვარები, როგორც შენ ნატალია ნიკოლაევნას. ხომ იცი, ამ დღეებში ცოლი კინაღამ მომიკვდა. წლევანდელ ზამთარს მეჯლისების საოცარი ბრწყინვალება ჰქონდა. ყველიერში უკვე დღეში ორჯერ იყო ცეკვები. ბოლოს [illegible] დიდმარხვის წინა კვირაც დადგა. ვიფიქრე, მადლობა ღმერთს, მეჯლისებს გადავრჩით-მეთქი. ცოლი სასახლეში იყო. უცებ ვნახოთ, ცუდად გახდა — შინ მოვიყვანე და მუცელი მოეშალა. ახლა (ჯვარი სწერია), ღვთის მადლით, კარგადაა. ამ დღეებში კალუგაში მიემგზავრება დებთან, სოფლად. ჩემი სიდედრის ხუშტურებმა ყველა ჯვარს აცვა. ვიაზემსკის ვალი შენი წერილის მიღებამდე ჩემზე გადმოვიწერე. ანდრეი პეტროვიჩი საშინელ დღეშია. შიმშილით ლამის სული გასძვრა, კაცი გაგიჟებას იყო. მე და სობოლევსკი ფულით ძუნწად, ჭკუადარიგებებით კი უხვად ვეხმარებოდით. ახლა ვფიქრობ პოლკში გავამწესო კაპელმეისტერად, რამეთუ სულითა და ზნით შემომქმედი კაცია, ანუ უდარდელი, მერყევი, ზარმაცი, ამაყი და თავქარიანი; დამოუკიდებლობა ყველაფერს ურჩევნია. თუმცა მათხოვარიც ხომ დღიურ მუშაზე უფრო დამოუკიდებელი გახლავს. მაგალითისათვის გერმანელ გენიოსებს ვუსახელებ, ამდენი რომ ივაგლახეს დიდებისა და ლუკმაპურის მოსაპოვებლად. რამდენი გმართებს მისი? გინდა შაგასაც მე მივცე? — ჩემი მდგომარეობა აი კიდევ რამ დაამძიმა. ამ დღეებში მამამ კაცი გამომიგზავნა. მივედი — ატირებული დამხვდა, დედა მწოლიარე — მთელი სახლი საოცრად შეშფოთებული და შეწუხებული. რა იყო, რა მოხდა? მამულს გვიწერენ. მაშ, სასწრაფოდ უნდა ვალს გადახდა. — ვალი უკვე გადახდილია. აი მოურავის წერილი. — აბა რაღა გაწუხებთ?: — ოქტომბრამდე რითი ვიცხოვროთ. — სოფელში გადადით. — არც მაგისი სახსრები არის. — რას იზამ კაცი? უნდა აიღე და მამულს თავად მოუარო, მამას საცხოვრებელი სახსარი დაუნიშნო. არადა, ისევ ვალები, ისევ დაკიდარაბა. საჭირო კია: ძალიან მინდა მამას მშვიდი სიბერე შევუქმნა, ჩემი ძმალევის საქმეებიც მოვაგვარო. ესეც ისეთივე შემოქმედია, როგორც ანდრეი პეტროვიჩი, იმ განსხვავებით, რომ ვერაფერს ქმნის. ჩემს დაია ოლგა სერგეევნას მუცელი მოეშალა და ახლა ისევ ფეხმძიმედაა. სასწაულია პირდაპირ.

სხვა ახალსაც გეტყვი: იანვრის თვიდან კამერ-იუნკერი გახლავარ. ბრონჯაოს მხედარი არ გაუშვეს — ზარალი და უსიამოვნებანი ბლომად მხვდა! სამაგიეროდ პუგაჩოვი იბეჭდება ხელმწიფის ხარჯზე. ამან დიახაც მანუგეშა. მით უმეტეს, რომ როცა კამერ-იუნკერად დამნიშნა, ხელმწიფე ჩემს დაწინაურებაზე უფრო ფიქრობდა, ვინემ წლოვანებაზე — ჩემი დაბერება არ უფიქრია. როგორც კი საკუთარ საქმეებს მოვაგვარებ, მაშინვე შენსას მოვკიდებ ხელს.

მშვიდობით, ფულს ელოდე.

## 16. მ. პ. პოგოდინს

დაახლოებით (არა უგვიანეს) 7 აპრილი, 1834 წ. პეტერბურგი

მიხარია, შემთხვევა რომ მაქვს გულახდილად გელაპარაკოთ. მოყვარულთა საზოგადოებამ[1] ისე მომექცა, მასთან საერთოს ვერ ვიქონიებ. მან ამირჩია თა-

[1] რუსული სიტყვიერების მოყვარულთა საზოგადოება, მოსკოვის უნივერსიტეტთან არსებული.

ვის წევრად ბულგარინთან[1] ერთად, ვინც ერთხმად გაამავეს ინგლ. (ისურ) კლუბში (პეტერბურგში), ვითარცა ჯაშუში, ცილისმწამებელი და მოღალატე, და ვისი ლანძღვა-გინების პასუხად იძულებული გავხდი წერილი დამებეჭდა ვიდოკზე, რათა დამემტკიცებინა საზოგადოებისათვის, ვისთვისაც უნდა გაკვირვებოდა ჩემი ამდენი მოთმინება, რომ სრული უფლება მქონდა არად ჩამეგდო ბულგარინის აზრი და დაკმაყოფილება არ მომეთხოვა სახელგატეხილ გაიძვერას, პატიოსნებას და სინდისიერებას რომ იჩემებს. მაგრამ რა? ამ დროს შალიკოვის გაზეთში ვკითხულობ: ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ს ე რ გ ე ე ვ ი ჩ ი და ფ ა დ ე ი ვ ე ნ ე დ ი ქ ტ ო ვ ი ჩ ი, ჩვენი სიტყვიერების ეს ორი კორიფეი, არჩეულ იქნენ etc. etc[2]. თქვენ როგორც გნებავთ და ეს სილის გაწნას უდრის. მჯერა, რომ საზოგადოებას ამ შემთხვევაში ჩემი შეურაცხყოფა არ უფიქრია და ფამუსოვივით მოიქცა.

მოგეხსენებათ, ყველას შევხვდები მე სიხარულით[3].

მაგრამ ჩემი ვალი იყო დაუყოვნებლივ დამებრუნებინა გამოგზავნილი დიპლომი. მე კი არ დავაბრუნე, ვინაიდან მაშინ დიპლომებისთვის არა მცალოდა—ოღონდაც მოყვარულთა საზოგადოებასთან არავითარი საქმე არ მსურს ვიქონიო.

თქვენ მეკითხებით ბრინჯაოს მხედრის, პუგაჩოვისა და პეტრეს თაობაზე. პირველი არ დაიბეჭდა, პუგაჩოვი შემოდგომისთვის გამოვა. პეტრეზე მუშაობა ისეთსავე შიშის კანკალს მგვრის, როგორსაც თქვენ ისტორიული კათედრა. ისე კი ძალიან ბევრს ვწერ ჩემთვის, ვბეჭდავ იძულებით და ისიც მხოლოდ ფულის გულისთვის. განა რა სასიამოვნოა გამოჩნდე საზოგადოების წინაშე, ვისაც შენი არ ესმის, ოთხმა ბრიყვმა კი თავის ჟურნალებში მთელი ექვსი თვე ლამის დედა გაგინოს მერე. დრო იყო, ლიტერატურა კეთილშობილთა, არისტოკრატთა ასპარეზი გახლდათ. ახლა კი ტილიანების ბაზარია. რას იზამ.

## 20. ნ. ნ. პუშკინას

17 აპრილი, 1834 წ. პეტერბურგი

პა, როგორ მგზავრობ, ცოლიკო? საშკა და მაშკა რასა იქმიან? ღმერთმა კარგად გამყოფოთ! უვნებლად და ჯანმრთელად ჩასულიყავით მალე მოსკოვს. ნოვგოროდიდან ველი შენს წერილს; ჯერჯერობით კი ჩემი ბოგანო ცხოვრების ამბებს მოგახსენებ. ამ სამი დღის წინათ ცარსკოე სელოდან საღამოს ხუთი საათისათვის დავბრუნდი. მაგიდაზე ორი ბილეთი დამხვდა 29 აპრილის მეჯლისზე და კიდევ ლიტას წერილი, მეორე დღეს მიბარებდა თავისთან. მივხვდი, დატუქსვას მიპირებდა, წირვა-ლოცვას რად არ დაესწარით. მართლაც იმავ საღამოს ჟუკოვსკიმ შემომირბინა და მისგან შევიტყვე, ხელმწიფე უკმაყოფილო დარჩენილა ამდენი კამერ-პერისა და კამერ-იუნკერის დაუსწრებლობით და უბრძანებია ჩვენთვის ეს ემცნო. ლიტა სასახლეში თურმე დიდი აღშფოთებით გაიძახოდა: Il y a cependant pour less Messieurs de la Cour des regles fixes, des régles fixes. ნარიშკინს კი ასე უთქვამს მისთ-

[1] მწერალი და ჟურნალისტი.

[2] ა. შ., ა. შ.

[3] „ვაი ჭკუისაგან", ა. გრიბოედოვი.

ვას: Vous vous trompez: c'est pour les demoiselles d'honneur[1]. მე წერილობით მოვუბოდიშე. ამბობენ, ინსტიტუტის გოგოებივით წყვილ-წყვილად უნდა გვატარონ. აბა, წარმოიდგინე, ჩემი ჭაღარა წვერით ბეზობრაზოვს ან კრაიმარსს რომ ამოვუდგე — არამც და არამც! J'aime mieux avoir le fouet devant tout le monde, როგორც M' Jourdain[2] ამბობს. დილით ჩემს კაბინეტში ვიჯექი, ჩემო ანგელოზო, შენი ზარის წკარუნის მოლოდინში, რომ სობოლევსკი დამადგა თავზე, სად ვისადილოთო? მაშინღა გამახსენდა, მარხვის შენახვას რომ ვაპირებდი, არადა მარხვა უკვე გავტეხე. რაღას ვიზამდი; გადავწყვიტეთ დიუმესთან გვესადილა, მანამდე კი ბიბლიოთეკას დავუწყეთ მოწესრიგება. დეიდაშენი მეწვია შენი ამბების გასაგებად. რა გაიგო, ჯერაც ხალათი მეცვა, თვითონ შემოვიდა ჩემთან — შევასრულე შენი დავალება, ვილაპარაკეთ შენზე, ვივიშვიშეთ და წუხილი გამოვთქვით. ჰოდა, გადავწყვიტეთ ჩვენი ხვეწნა-მუდარა კვლავაც გაგვემეორებინა — თავს მოუარე და ჩვენი რჩევა-დარიგებანი ისმინე, მერე დიუმეს ვეახლე, სადაც ჩემმა გამოჩენამ საყოველთაო მხიარულება გამოიწვია: ბოგანო, ბოგანო პუშკინიო! დამალევინეს შამპანური და პუნში, მკითხეს, სოფია ასტაფიევნასთან ხომ არ წამოხვალო? ყოველივე ამან ისე შემაცბუნა, დიუმესთან ამას იქით აღარც მივალ. დღეს შინ ვსადილობ, სტეპანს თევზი და beafsteaks შევუკვეთე. საღამო შინ გავატარე, დღეს 7 საათზე გამეღვიძა და შენ გწერ ახლა ამ დაწვრილებით მოხსენებას. გიგზავნი დედაშენის წერილს, ამ სამი დღის წინათ მივიღე — პასუხს მივწერ, მანამდე კი გეხვევი, გკოცნი და გლოცავთ სამთავეს.

## 22. ნ. ნ. პუშკინას

20 და 22 აპრილი, 1834 წ. პეტერბურგი

ჩემო ანგელოზო ცოლიკო! ეს წუთია მივიღე ბრონიციდან შენი წერილი — გულითადად გიხდი მადლობას. მოუთმენლად ველი ტორჟოკის ამბებს. იმედია, ამ დილით გაივლი და მოსკოვს კვლავ საღ-სალამათი, მხიარული და ტურფა მოევლინები. შენი წერილი დეიდაშენს გავუგზავნე, მე არ მიმიტანია, რადგან თავს ავადმყოფად ვასაღებ და მეშინია ხელმწიფეს არ შევხვდე. ამ უქმეებს შინ გავატარებ. არ ვაპირებ ტახტის მემკვიდრეს მისალოცად ვეახლო. მისი მეფობის ჟამი წინ არის; მე ალბათ ვერც მოვესწრები. სამი ხელმწიფე უკვე ვიხილე: პირველმა[3] ქუდი მომახდევინა და გადია გამიჯავრა; მეორე[4] არა მწყალობდა; მესამემ[5] თუმცა კამერ-პაჟად მიკრა თავი, მაინც არა მსურს მეოთხეში გავცვალო: უკეთესი იქნება თუ არა, ჯერ კიდევ საკითხავია. ვნახოთ, ჩვენი საშკა როგორ შეეწყობა თავის სეხნიას; ჩემსას მე ვერ შევეწყვე. ღმერთმა ნუ ქნას, ჩემს კვალზე იაროს, ლექსები წეროს და მეფეებს ეჩხუბოს! ლექსის წერაში მა-

---

[1] ხომ არსებობს კარის კავალერებისთვის განკუთვნილი წესები, განკუთვნილი წესები... თქვენ სცდებით: ეს ფრეილინებისათვის გახლავთ.

[2] მირჩევნია საჯაროდ გამამათრახონ, როგორც ბ-ნი ჟურდენი ამბობს (ჟურდენი მოლიერის „გააზნაურებული მდაბიოს" გმირია).

[3] პავლე I.

[4] ალექსანდრე I.

[5] ნიკოლოზ I.

მას ვერ აჯობებს, ქვეყანას კი ვერ გაასწორებს! ახლა გვეყოს ამდენი ტრედ-მოეთი, საქმეზე ვილაპარაკოთ. თუ შეიძლება თავს გაუფრთხილდი, მეტადრე დასაწყისში; არ მიყვარს წმინდა ქვირა მოსკოვში; დებს არ დაუჯერო, დილიდან საღამომდე არ იტანტალო სასეირნოდ, ცისკრის ლოცვამდე არ იცეკვო მეჯლისებზე. ისეირნე ზომიერად, ადრე დაწექი და დაიძინე. მამა არ გააკარო ყმაწვილებს, არ შეაშინოს, განა ცოტაა მოსალოდნელი![1]. ყველაზე მეტად დედათა წესის დროს გაუფრთხილდი თავს — ბაბუაშენის ბიბლიოთეკიდან სოფლად უწესო წიგნები არ იკითხო, გონება არ წაიბილწო, ცოლიკო. ნება მომიცია რამდენიც გინდა იკეკლუცო. დამთხვეულ ცხენზე არ შეჯდე (რაზედაც უმორჩილესად ვთხოვ დმ.(იტრი) ნიკ.(ოლაევიჩს)[2]. იმასაც გთხოვ, მაშკა და საშკა არ გაანებივრო, ხოლო თუ გერმანელი ქალი ან ძიძა არ მოგეწონა, მაშინვე დაითხოვე, არ შეგრცხვეს და არ მოგერიდოს.

კვირა. ქრისტე აღსდგა, ჩემო საყვარელო. ძალიან. ძალიან მოწყენილი ვარ, ჩემო ანგელოზო, უშენოდ. შენი წერილი თავიდან არა მცილდება. მე მგონი, მეტისმეტად გადაიღალე. ჩახვედი მოსკოვში, დების ნახვა გაგეხარდა, ძარღვები დაგეჭიმა, მოგეჩვენა, კარგად ვარო, მთელი ღამე მწუხრის ლოცვაზე ფეხზე ჩამოწყდი, ახლა კი ლოგინზე ხარ გაშოტილი, ისტერიკაში ჩავარდნილი და აკანკალებული. აი, რისი მეშინია, ჩემო ანგელოზო. ისე რომ რეტი მესხმის და სხვა ვერაფერზე მიფიქრია. მოვესწრები კი იმ დღეს, როცა სოფლისაკენ გავქუსლავ. დღეს დიდმა თავადმა ფიცი დადო. ცერემონიაზე არ ვყოფილვარ, რამეთუ თავი მოვიავადმყოფე, თუმცა მართლაც ვერა ვარ კარგად. კოჩუბეი კანცლერი გახდა; წყალობა ბევრს მიეცა; ექვსი ფრეილინა დაინიშნა, მათ შორის შენი მეგობარი ნატალი ობოლენსკაია, ჩვენი მაშენკა ვიაზემსკაია კი არა. საწყენია და ბრაზის მომგვრელიც. ტახტის მემკვიდრეს ფრიად აუჩუყდა გული, ხელმწიფესაც. ამბობენ, ყოველივემ დიდი შთაბეჭდილება მოახდინაო. ერთი მხრივ ძალიან მწყდება გული, რომ ეს ისტორიული სცენა ვერ ვნახე და სიბერეში ვეღარ ვილაპარაკებ ამაზე, ვითარცა მოწმე. კიდევ ახალი ამბავი: მერდესი გარდაიცვალა, ეს ჯერ კიდევ საიდუმლოა დ.(იდი) მთავრისთვის და ყმაწვილს სიხარულს ჩაუშხამებს. მიიცვალა არაკჩეევიც. მთელ რუსეთში მარტო მე დამწყდა, მგონი, გული — ვერ მოვახერხე მასთან შეხვედრა და ლაპარაკი. დეიდაშენმა შოკოლადის ბილიარდი მაჩუქა — საუცხოო რამაა. კოცნას გიგზავნის, ძალიან ენატრები. მშვიდობით, ქრისტე აღსდგა.

## 30. ნ. ნ. პუშკინას

12 მაისი, 1835 წ. პეტერბურგი

რა ჩურჩუტი ხარ, ჩემო ანგელოზო! სამი დღე რომ წერილი არ მოიწერო, რა თქმა უნდა, არ ავღელდები, ისევე როგორც ეჭვიანობას არ დაგიწყებ, თუკი სამი დღე ზედიზედ კავალერგარდთან ვალსს იცეკვებ. ეს როდი ნიშნავს, გულგრილი ვარ და ეჭვი არ მიტანს. პ.(ეტერ) ბ.(ურგიდან) შეშფოთებულმა გამიგისტუმრე. ბრონიციდან გამოგზავნილმა შენმა წერილმა კიდევ უფრო შე-

[1] ნ. პუშკინას მამა ფსიქიურად ავად იყო.

[2] ნ. პუშკინას ძმა.

მაშინა. მაგრამ როცა გავიგე, ტორჟოკში მშვიდობით ჩახველ, გულზე მომეშვა
და ღარიბს თავი აღარ მივეც. შენმა წერილმა ძალზე მაამა; ხოლო შენმა ეჭვებმა
ქ. (არამზინასთან) ჩემი მეგობრობის ჭეშმარიტ მიზეზთა თაობაზე გამაამაყა.
გპასუხობ შეკითხვებზე: სმირნოვა ქ. (არამზინებთან) აღარ [illegible] მუც-
ლით იმ კიბეზე ვერ ავა. მგონი, უკვე აგარაკზე უნდა იყოს. არც [illegible]
ს. (ოლოგუბი) დაიარება იქ, მაგრამ კნ. (ეინა) ვ. (იაზემსკაიასთან) კი შევხვდი.
არშიყობით არავის ვეარშიყები, თავი მისკდება, სიცოცხლე მომძულებია, მამუ-
ლი რომ წამოვიკიდე, მაგრამ სხვა რა გზა იყო? ჩემთვის თუ არა, ყმაწვილები-
სთვის არის საჭირო. დეილაშენი გუშინ მესტუმრა, კოცნას გიგზავნის. გუშინ
დიდი ალლუმი იყო, მაგრამ ამბობენ, არ ვარგოდაო. ხელმწიფემ ტახტის მემ-
კვიდრეს პატიმრობა მიუსაჯა. აქ ელიან პრუსიის პრინცს და სხვა მრავალ სტუ-
მარს. ვიმედოვნებ, არც ერთ დღესასწაულს არ დავესწრო. შენმა გამგზავრებამ
ეს ერთი სიკეთე მაინც მიყო, მეჯლისებზე თვლემა და ნაყინის თქვლეფა აღარ
მჭირდება. გიგზავნი წერილს იაროპოლეცში, სადაც სამი დღის წინათ უნდა ჩა-
სულიყავ. გადაეცი ჩემი გულითადი სალამი ნატ. (ალია) ივ. (ანოვნას), გკოცნი
შენ და ბავშვებს. გფარავდეთ იესო ქრისტე!

იცი თუ არა, რომ კნ. (ეინა) მეშჩ. (ერსკაია) და Sophie Kar. (amzine) საზ-
ღვარგარეთ მიემგზავრებიან? Sophie ორი კვირაა ცრემლად იღვრება. კრონშ-
ტადტამდე მე მივაცილებ.

## 33. ნ. ნ. პუშკინას

16 მაისი, 1834 წ. პეტერბურგი

ჩემო ანგელოზო! მომილოცნია მაშას დაბადების დღე, გკოცნით ორივეს.
ღმერთმა კიჭები და ჯანი მისცეს. იგივეს ვუსურვებ საშკასაც, თუმცა მისი და-
ბადების დღე არ არის. იმდენი ხანია აღარ მოგიწერია, თუმცა უმიზეზო შიში
არ მიყვარს, მაინც ვშიშობ. იაროპოლეციდან წესით ორი წერილი უნდა მომს-
ვლოდა. კარგად თუ ხართ შენ და ბავშვები? დამშვიდდი კია? მე აღარ გწერდი,
ვინაიდან გამიჯავრეს, შენ კი არა, სხვებმა. ერთი ჩემი წერილი პოლიციას ჩა-
ვარდნია და სხვა და სხვ. ფრთხილად იყავ, ცოლიკო: იმედია, ჩემს წერილებს
არავის აძლევ გადასაწერად. თუ ფოსტა ქმრის წერილს გახსნის, ცოლთან გაგ-
ზავნილს, მისი ნებაა, არასასიამოვნო მხოლოდ ისაა, ოჯახური საიდუმლო საძა-
გელი და უპატიოსნო გზით რომ გამჟღავნდა. მაგრამ თუ შენ ხარ დამნაშავე,
გული დამწყდება. ჩვენი ამბები კაცმა არ უნდა იცოდეს; ჩვენს საწოლში კაცი
არ უნდა შემოუშვა. თუ ოჯახის საიდუმლოს არ დაიცავ, არც ოჯახური ცხოვ-
რება გვექნება. მე გამოსაქვეყნებლად არა გწერ. არც შენ გმართებს ხალხი
მესაიდუმლედ გაიხადო. მაგრამ ვიცი, ეს არ მოხდება. ადამიანების ღორობა კი
დიდი ხანია აღარ მაკვირვებს.

გუშინ კონცერტზე ვიყავი, ღარიბებისთვის რომ გაიმართა ნარიშკინის მარ-
თლაც დიდებულ დარბაზში. გული მწყდება, შენ რომ ვერ ნახე. ველგორსკის
ახალ მუსიკაზე იმღერეს ჟუკოვსკის ლექსი. მე არავის ვხვდები და არსად დავ-
დივარ, მუშაობა დავიწყე და დილაობით ვწერ. უშენოდ ისე მომეწყინა, ყოველ
წამს ვფიქრობ, ავდგე და ერთი კვირით მაინც ჩამოგაკითხო. აგერ უკვე ერთი
თვეა უშენოდ ვცხოვრობ; აგვისტომდე როგორმე გავძლებ; შენ კი თავს გაუ-

ფრთხილად: მეშინია, ცხენით რომ დასეირნობ. მე ხომ არ ვიცი, როგორი ცხენოსანი ქალი ხარ, უნაგირზე მარჯვედ თუ ზიხარ? აი, რა არის საკითხავი. ღმერთმა ქნას, შენ ჯანმრთელი, ყმაწვილები კი ცოცხალი და უვნებელი გიხილო! როგორ მინდა მივაფურთხო ამ პეტერბურგს, სამსახურს თავი გავანებო, ბოლდინოში გადავსახლდე და იქ ბატონკაცურად ვიცხოვრო! სხვაზე დამოკიდებული ყოფნა ვერაფერი სახარბიელო ამბავია; მეტადრე თუ 20 წელი დამოუკიდებლად გიტარებია. ამას შენ სასაყვედუროდ არ ვამბობ, ჩემს თავზე ვჩივი. გლოცავთ ყველას, ჩემო შვილებო.

## 39. ნ. ნ. პუშკინას

8 ივნისი, 1834 წ. პეტერბურგი

ჩემო საყვარელო ანგელოზო! კი მოგწერე ოთხგვერდიანი წერილი, მაგრამ ისეთი მწარე და დარდიანი გამოვიდა, აღარ გამოვაგზავნე და ახლა მეორეს გწერ. დასტურ სპლინი მჭირს. უშენოდ მოწყენილი ვარ და ვერც გამიბედავს, რაც გულში მაქვს, ყველაფერი მოგწერო. შენ ბოლდინოზე მეკითხები. რა სჯობია იქ ჩაჯდომას, მაგრამ რომ არ ხერხდება! ამაზე კიდევ მოგასწრებთ ლაპარაკს. გული ნუ მოგივა, ჩემო კარგო, ცუდად ვაგუგია ჩემი ჩივილი. მე შენ უნდა მეთხოვე: ვინაიდან უშენოდ მთელი სიცოცხლე უბედური ვიქნებოდი; მაგრამ არ უნდა შემესახურა და, რაც ყველაზე უარესია, ფულადი ვალდებულებები არ მეკისრა. ოჯახური მოვალეობა ადამიანს უფრო ზნეობრივსა ხდის. მაგრამ მოვალეობა, რასაც პატივმოყვარეობა თუ გაჭირვება გვაკისრებს, ძალზე გვამცირებს. მაგათ თვალში ახლა მე ყმა ვარ, როგორიც უნდათ, ისე მომექცევიან. ზიზღს დასტურ რისხვა მირჩევნია. ლომონოსოვივით მეც უფალი ღმერთის გარდა მსახურად ვერავის დავუდგები. მაგრამ შენ რა შუაში ხარ, დამნაშავე მე ვარ, ყველაფერი ჩემი გულის სიკეთით მომდის, რაიც მეტისმეტი მომდგამს, მიუხედავად ამდენი გამოცდილებისა.

მადლობელი ვარ სასწორისათვის, ჩემი სიძუნწის ეგზომ დიდებული აზრის გამო. ლეიდაშენმა გამომიგზავნა უზარათოდ. ახლა ალბათ დიდ გაწამაწიაში იქნება, ნატ. (ალია) კარ. (ილოვნას) თ. (ავად) კოჩუბეის სიკვდილი როგორ ამცნოს. შან ხომ თქვენამდე ვეღარ ჩამოაღწია, როგორც აპირებდა, და მოსკოვში გარდაიცვალა. ფულს ჯერ ვერ გიგზავნი. იძულებული გავხდი ჩემი ბეზრები სოფელში გამესტუმრებინა. უმოწყალოდ მწეწავენ. ალბათ შენ დაგიჯერებ და სულ მალე ხელს ავიღებ მამულის მართვაზე. დაე, როგორც უნდათ, ისე დააქეცმაცონ. მათი წუთისოფელი როგორმე ეყოფათ, ჩვენ კი შევეცდებით საშკას და მაშკას ლუკმაპური დავუტოვოთ, ხომ ასეა? ახალი არაფერია. ფიქელმონიავად გახლავს და ნაღველი შემოსწოლია, ველგორსკი იტალიაში მიემგზავრება თავის ავეულ ცოლთან; პ. (ეტერ) ბ. (ურგი) დაცარიელდა, ყველა აგარაკებზე გაიკრიფა. 4 საათამდე შინ ვზივარ და ვწერ. ვსადილობ დიუმესთან. საღამოობით კლუბში ვარ. ასე გადის ჩემი დღე. გასართობად ბანქოს თამაში ვცადე კლუბში, მაგრამ იძულებული ვიყავი თავი გამენებებინა. თამაში მაღელვებს — ღვარძლი კი არ მშორდება. გკოცნით და გლოცავთ. მშვიდობით. ველი შენს წერილს იაროპოლეციდან. მაგრამ ფრთხილად კი იყავი... ალბათ შენს წერილებსაც ხსნიან. ასე თხოულობს სახელმწიფოს უშიშროება.

## 40. ნ. ნ. პუშკინას

11 ივნისი, 1834 წ. პეტერბურგი

ნეტა რად მეჩხუბები საზაფხულო ბაღისა და სობოლევსკის გამო? საზაფხულო ბაღი ხომ ჩემი ბაღჩაა. როგორც კი დილით თვალს გავახელ, ხალათითა და საშინაო წაღებით იქ მივდივარ. ნასადილევს იქ მძინავს, იქ ვკითხულობ და ვწერ. ის ჩემი სახლია. სობოლევსკი კი? სობოლევსკი თავისთვისაა, მე ჩემთვის. ის თავის სპეკულიაციებს იქმს, მე ჩემსას. ჩემი სპეკულიაციაა შენთან გამოვკურცხლო სოფელში. აბა, რისა მწერ კალუგაზე? იქ რა დაგრჩენია სანახავი? კალუგა ცოტა უარესია მოსკოვზე, როგორც მოსკოვია ბევრად უარესი პეტერბურგზე. რა გესაქმება? ალბათ დები გშლიან ჭკუაზე, მეტადრე მე რომ მიყვარს, ის. მაგისგან არ მიკვირს. ძალიან გთხოვ, ჩემო კარგო, კალუგაში არ წახვიდე. შინ იყავი, ასე აჯობებს. დეიდაშენი აგარაკზეა, ჯერ არ მინახულებია. დღეს შენი წერილებით ვეახლები. ნატ. (ალია) კირ. (ილოვნამ) გაიგო კოჩუბეის სიკვდილის ამბავი. Je ne croyais pas, ბრძანა თურმე, ge la mort de კ. (ოჩუბეის) me fit tant de peine[1]. თავს ინუგეშებს, ის რომ მოკვდა და არა მამა. დღეს ჩემები სოფელში მიემგზავრებიან და მე მივყვები კარეტამდე, არა ცარსკოე სელომდე, სადაც ლ. (ევ) სერგ. (ეევიჩი) ფეხით დაბრძანდება. ვაი, ვაი, რა გამწეწეს; შენ გამახსენდი, ჩემო ანგელოზო. მაგრამ რას იზამ. მამულს თუ არ მივხედე, ტყუილად დაიკარგება, ოლგა სერგ. (ეევნა) და ლ. (ევ) სერგ. (ეევიჩი) მშრალზე დამირჩებიან, ორივე ისევ ჩემი სათრევი გახდება, სატირლად მექნება საქმე, მაგათ რა ენაღვლებათ, მევე დამიწყებენ დაცინვას. ვაი, ოჯახო, ოჯახო!

ძალიან გთხოვ, კალუგაში არ წახვიდე, ჩემო კარგო. იქ ვის უნდა შეხვდე? გუბერნატორის ცოლს? ის ძალიან საამური და ჭკვიანი ქალია, მაგრამ არ მესმის, შენ რად უნდა ეახლო. დმ. (იტრი) ნიკ. (ოლაევიჩის) საცოლე წარუდგინო? ეს სხვა ამბავია! ეგ საქმე გაასწორე და ჯვრის მამად ჩამოვალ. მომწერე, ცოლიკო, რას იქმოდი, როგორ იყავი იაროპ(ოლეცში), როგორ შეეგუე დედასა თუ სხვებს. იმედია, მეგობრულად დაშორდით, ჩხუბი და ქექიანობა ვერ მოასწარით. ჩვენთან პრუსიის პრინცს ელიან. გუშინ ბერლინიდან ოზეროვი ჩამოვიდა და ცოლიც ჩამოიყვანა, სამი კაცი ვერ შემოუწვდენს მკლავებს. ვუყურებდი და შენზე ვფიქრობდი, ნეტა შენც მანდედან ამისთანა მსუქანი დედალი დამიბრუნდებოდე. ჩხირივით როდემდე უნდა იყო. მშვიდობით, ჩემო ცოლო. გულში ნათელი ჩამიდგა. ორი დღე ზედიზედ მომდის შენი წერილები და წრფელი გულით შევურიგდი ფოსტასაც და პოლიციასაც. ჯანდაბას მაგათი თავი. ყმაწვილები როგორ არიან? იმათ ვლოცავ, შენ კი გკოცნი.

11 ივნისი, იმავე დღეს

ეს წუთია დეიდაშენი გავისტუმრე. შენ გთხოვა წერილები მოიწერო, მე კი — ყური აგიწიო. ცარსკოე სელოში გადადის, თ. (ავად) კოჩუბეის სახლში ნატ. (ალია) კირ. (ილოვნასთან), ამ საოცარ კეთილ, საყვარელ ქალთან ერთად; ხვალ ვეახლები დასამშვიდობებლად. დეიდაშენს რატომ არ უგზავნი წერილებს? რა დაუდევარი ვინმე ხარ მართლა! შენზე შემეხვეწა, კალუგაში გაუშვიო, მაგრამ განა არ ვიცი, ჩემი ნებართვის გარეშეც რომ გაქანდები. შენ ხომ

[1] არ მეგონა (...), კოჩუბეის სიკვდილი თუ ასე შემაწუხებდა.

ასეთ ამბებში ყოჩაღი მყავხარ. ახლახან დავემშვიდობე მამას და დედას. მამა ნაღვლობს და შავ ფიქრებს მისცემია. იცი, რა მომაფიქრდა? ამ ზაფხულში ხომ არ გეწვიოთ? მაგრამ არა, ჩემო ცოლო, საქმეები მაქვს, თვე-ნახევარი კიდევ მოვითმინოთ. მერე კი მოულოდნელად დაგეცემი თავს, თუკი გამომიშვეს. ნეტავ შენ, დების სასახლის კარზე მოსაწყობად თავს რად იწუხებ? ერთი, ალბათ უარს იტყვიან; მეორეც, თუკი მოვაწყვეთ, აბა, იფიქრე, რა საძაგელი ჭორები გავრცელდება ამ ლოთურ პ.(ეტერ)ბ.(ურგში). შენ მეტისმეტად ლამაზი ხარ, ჩემო ანგელოზო, რომ მთხოვნელობა იკისრო. დაიცა, დაქვრივდები, დაბერდები — მაშინ იქნებ კარდაკარ სათხოვნელად სიარული. შენთვის და შენი დებისთვის მირჩევნია, რაც შეიძლება შორს დაიჭიროთ თავი სასახლის კარიდან; სახარბიელო იქ არაფერია; თქვენ ხომ მდიდრები არ ხართ. დიდედაშენს ყველანი ვერ დასხდებით კისერზე. ღმერთო ჩემო! ნეტავი რომ ჩემი იყოს, პ.(ეტერ) ბ.(ურგში) მოსკოვის კალაჩითაც ვერ შემიტყუებდნენ. ბატონკაცურად ვცხოვრებდი ჩემთვის. მაგრამ ქალებს დამოუკიდებლობის სიკეთისა რა გესმით, მზადა ხართ მონებად იქცეთ მთელი სიცოცხლე, ოღონდ კი თქვენზე თქვან: Hier Madame une telle était décide ment la plus belle et la mieux mise du bal. მშვიდობით, Madame une telle[1]. დიდედაშენმა შენი წერილი გამომიგზავნა. რაზედაც დიდი მადლობელი ვარ. იყავ ჯანმრთელი, ჭკვიანი და ლამაზი, დამთხვეულ ცხენზე არ შეჯდე, ყმაწვილებზე თვალი გეჭიროს, გამდელებმა კარგად მოუარონ, ხშირ-ხშირად მომწერე; დები შინაურულად გადამიკოცნე, დ.(მიტრი) ნიკ.(ოლაევიჩიც) ასევე — ბავშვები დამილოცე. გკოცნი. მივდივარ ველგორსკის გასაცილებლად პიროსკოფამდე. ცოლს ალბათ ცოცხალს ვერ ჩაუსწრებს. პეტრე I-ის საქმე კარგად მიდის: ვნახოთ, იქნებ I ტომი ზამთრისთვის დავბეჭდო. იმაზე[2] აღარ მომდის გული, ვინაიდან, toute réflexion faile[3], რა მისი ბრალია ირგვლივმყოფთა ლოთობა. ფეხსადგილში როცა ცხოვრობ, ძალაუნებურად ეჩვევი (... ...) და სიმყრალე აღარ გაწუხებს, გინდაც gentleman[4] იყო. ნეტამც გამაქცია აქედან სადმე სუფთა ჰაერზე!

## 42. ა. ქ. ბენკენდორფს

### ბატონო გრაფო

რამეთუ ოჯახური საქმეები ხან მოსკოვსა და ხან პროვინციაში საჭიროებს ჩემს ყოფნას, იძულებული ვარ სამსახურს თავი ვანებო და უმორჩილესად ვთხოვო თქვენს ბრწყინვალებას მიშუამდგომლოს სათანადო ნებართვის მიღების თაობაზე.

როგორც უკანასკნელ წყალობას, გთხოვთ აგრეთვე არქივებში შესვლის ნებართვა, რაიც მისმა უდიდებულესობამ ინება ჩემთვის მოეცა, არ ჩამომერთვას.

---

[1] გუშინ მეჯლისზე ქალბატონი ესა და ეს [illegible] ყველაზე ლამაზი და ყველაზე უკეთ მორთული იყო (...) ქალბატონო ესა და ეს.

[2] იგულისხმება ნიკოლოზ I.

[3] მართალი რომ ითქვას.

[4] ჯენტლმენი (ინგლ).

ერჩები პატივმცემელი, ბატონო გრაფო, თქვენი ბრწყინვალების უმდაბ-
ლესი და უმორჩილესი მსახური

ალექსანდრე პუშკინი
15 ივნისი, პეტერბურგი

## 51. ვ. ა. ჟუკოვსკის

6 ივლისი, 1834 წ. პეტერბურგი

მართლა ვერ გამიგია, რა ამბავია ჩემს თავს. გადავდგე სამსახურიდან, როცა
ამას გარემოება, მთელი ჩემი ოჯახის მომავალი ბედ-იღბალი, ჩემი საკუ-
თარი სიმშვიდე ითხოვს, განა რა ისეთი დანაშაულია? ან სადაური უმადურობა?
მაგრამ ხელმწიფე ამ ამბავში ისეთ რამეს ხედავს, მე რომ ვერ გამიგია. მაშ, აღარ
ვითხოვ სამსახურიდან გადადგომას და ვითხოვ ისევ სამსახურში დამტოვონ.
ახლა, რადაა ჩემი წერილები ასეთი მშრალი? კი მაგრამ რად უნდა იყოს წუწუ-
ნით და ცრემლით სავსე? ხელმწიფის წინაშე გულის სიღრმეში თავს მართლად
ვგრძნობ, მისი წყრომა მწყინს და მაღონებს, მაგრამ რაც უფრო ცუდ დღეში
ვარ, მით უფრო მეტად მებმის ენა და კალამი მშრალი გამომდის. რა ვქნა? პატი-
ება ვითხოვო? კი, მაგრამ რისთვის? ისევ ვეახლები ბენკენდორფს და ავუხსნი,
რაც გულში მიდევს — თუმცა არ ვიცი კია, რად არის ჩემი წერილები უწესო
და უთავაზო, ვცდი და მესამეს დავწერ.

## 56. ნ. ნ. პუშკინას

დაახლოებით (არა უგვიანეს) 14 ივლისი, 1834 წ. პეტერბურგი

უცილობლად გინდა იცოდე, მალე ვიქნები შენს ფერხთა ქვეშე? ინებე, ჩე-
მო მზეთუნახავო, დავაგირავებ მამის მამულს ამ ერთ კვირაში, დავბეჭდავ პუგა-
ჩოვს — ამას ერთი თვე მოვუნდები; ისე რომ აგვისტოს ნახევრამდე მოითმინე,
ჩემო კარგო, მერე მოგევლინები, გადაგეხვევი და ყმაწვილებს დავიკოცნი. ნე-
ტა თუ გგონია, ბოგანოდ ყოფნა ასე მახარებს? სიზმრად მაქვს გადაქცეული
შენთან ჩამოსვლა, ხოლო მოსკოვთან ერთ-ერთ თქვენს სოფელში დარჩენისათ-
ვის ღმერთს სანთელსაც კი დავუნთებდი; სამოთხეში გულით მწადია, მაგრამ
ცოდვები არ მაძლევს ნებას. დამაცა, ფული ვიშოვო, ჩემთვის კი არა, შენთვის.
მე ფული ნაკლებად მიყვარს — მაგრამ ვაფასებ, როგორც კეთილშობილი და-
მოუკიდებლობის ერთადერთ საშუალებას. ნეტა ვისზე მწერ ასეთ ცბიერ წერი-
ლებს? ვისით მაშინებ? აქედანვე ვიცი, ვინცა ბრძანდება: 36 წლის კაცი, ყო-
ფილი სამხედრო ან მოსამსახურე, ღიპიანი და კარტუზიანი. ჰყავს 300 სული
და იმათ დასაგირავებლად მიემგზავრება — მოუსავლიანობის გამო. გამგზავრე-
ბამდე კი შენ გეარშიყება. ხომ ასეა? შენ კი, დიაცო, რაკი ის ერთი[1] ან მეორე
გვერდით აღარ გეგულვის, თაყვანისმცემლად ეგ აირჩიე: ჭკვიანურია. ნეტა რო-
გორ არ მოგბეზრდა ეს მეჯლისები, რომ იმათ გამო კალუგაში მიდიხარ ხოლმე.
მიკვირს პირდაპირ! თუმცა ჩემი დარდებიც უნდა გითხრა. ამ დღეებში ნაღველი

[1] იგულისხმება ნიკოლოზ I.

მომერია, სამსახურიდან გადადგომა ვითხოვე. მაგრამ ჟუკოვსკიმ ისეთი დღე მაყარა, ბენკენდორფმა კი ისეთი მშრალი აშიდი[1] მომცა, დავფრთხი და დაჩოქილი ვიმუდარები, სამსახურიდან აღარ გადამაყენონ. გიხარია განა? კარგია, თუ 25 წელი კიდევ ვიცოცხლე, ხოლო თუ ათ წელზე ადრე გავძაღლდები, არ ვიცი, შენ რას იზამ, ან მაშკა, მეტადრე საშკა რას იტყვიან. განა რა ნუგეშს მისცემთ ის ამბავი, რომ მათი მამიკო მასხარასავით[2] დაასაფლავეს, დედიკო კი ანიჩკოვის მეჯლისზე, ნუ იტყვი, ისე ლამაზი იყო. თუმცა რა გაეწყობა, ღმერთი მოწყალეა; თავიდათავი ისაა, რომ არ მინდა უმადურობა შემწამონ. ეს ლიბერალიზმზე უარესია. იყავი კარგად. დამიკოცნე ყმაწვილები და დილოცე ჩემ მაგივრად. მშვიდობით, გკოცნი.

## 93. ა. ქ. ბენკენდორფს.

დაახლოებით (არა უგვიანეს) 11 აპრილი, 1835 წ. პეტერბურგი

(შავი)

ვბედავ თქვენს ბრწყინვალებას განსასჯელად წარმოვუდგინო.

1832 წელს მისმა უდიდებულესობამ ინება და ნება დამრთო გამომეცა პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი.

ეს არ გახლავთ ჩემი ხელობა და მრავალმხრივ არცთუ დიდად სასიამოვნო, მაგრამ გარემოება მაიძულებს ამ საშუალებას მივმართო, რომლის გარეშეც აქამდე იმედი მქონდა როგორმე თავი გამეტანა. მე პეტერბურგში ვცხოვრობ, სადაც მისი უდიდებულესობის წყალობით შემიძლია უფრო მნიშვნელოვანსა და ჩემი გემოვნების შესაფერ საქმეებს მოვეკიდო, მაგრამ ჩემი აქაური ყოფა-ცხოვრება გასავალს ითხოვს, ოჯახური საქმეები კი უკიდურესად აწეწილი მაქვს, ამიტომ იძულებული ვარ ან ისტორიულ ნაშრომებზე ავიღო ხელი, ან ხელმწიფის სიკეთის იმედად ვიყო, რის უფლებასაც მხოლოდ და მხოლოდ მისგან ნაბოძები წყალობანი მანიჭებს.

გაზეთი მე საშუალებას მაძლევს პეტერბურგში ვიცხოვრო და ჩემი წმინდა ვალი აღვასრულო. ასე რომ მწადია ვიყო გამომცემელი იმ გაზეთისა, ყველაფერში რომ „სევერნაია პჩოლას“ ემგვანება. რაც შეეხება წმინდა ლიტერატურულ წერილებს (როგორიცაა: ვრცელი კრიტიკული ნაწერები, დიდი თუ პატარა მოთხრობები, პოემები და ა. შ.), რომლებიც ფელეტონად ვერ გავა, მე ვისურვებდი მათ ცალკე გამოცემას, ყოველ სამ თვეში თითო-თითო ტომად, ინგლისურ Review-თა მსგავსად.

მაპატიეთ, მაგრამ იძულებული ვარ ყველაფერი მოგახსენოთ. ჩემდა სამწუხაროდ, მე შემომწყრა ბ. სახალხო განათლების მინისტრი, აგრეთვე თავადი დონდუკოვი, დაბადებით კორსაკოვი. ორივემ უკვე მაგრძნობინა ეს ამბავი საკმაოდ უსიამოვნო გზით. რაკილა იმ სარბიელზე ვაპირებ გასვლას, სადაც ძალზე მთლიანად დამოკიდებული უნდა ვიყო, თქვენი უშუალო მფარველობის გარეშე დავიღუპები. ამიტომ ვბედავ და გეაჯებით, რომ ჩემს გაზეთს ცენზორი თქვენი კანცელარიიდან დაუნიშნოთ; ეს მით უფრო აუცილებელია ჩემთვის, რომ ჩემი

[1] სამსახურიდან გადაყენება.

[2] ანუ კამერ-იუნკერის მუნდირში.

გაზეთი და „სევერნაია პჩოლა“ ერთსა და იმავე დროს გამოვა და ცრიდ იბეჭდირდება იგივე ცნობათა გადათარგმნისათვის — არადა იძულებული ვიქნები წინადღეს გამოქვეყნებული ახალი ამბები ხელახლა დავბეჭდო; ეს ერთიც საკმაო იქნება, რომ ჩემი საქმე დაღუპოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 129. პ. ა. პლეტნევს

დაახლოებით (არა უგვიანეს) 11 ოქტომბერი, 1835 წ. მიხაილოვსკოე

ძალიან გამახარა შენმა წერილმა (შენებურად საქმიანმა). შევეცდები მუხლ-მუხლად და დაწვრილებით გიპასუხო: შენ მიიღე მოგზაურობა[1] ცენზურიდან; მაგრამ რა გადაწყვიტა კომიტეტმა ჩემს უმორჩილეს სათხოვარზე? ნუთუ ჩორჩორ ნიკიტენკოს ტლინკებისა და ბუღა დუნდუკის რქების წერა უნდა ვიყო? თუმცა ეგენი ვერც ეგრე ადვილად გადამირჩებიან. დიდზე დიდი მადლობა გოგოლს ეტლისათვის, ეგ ეტლი ალმანახს კარგა დიდზე გააქანებს; მაგრამ აი, რას ვფიქრობ: ეტლი მუქთად არ უნდა გამოვართვათ, ფასი დავადოთ; გოგოლს ფული უჭირს. პო, შენ ალმანახისთვის სახელსა მთხოვ: დავარქვათ არიონი ან ორიონი; მიყვარს ისეთი სახელები, არაფრის მთქმელი რომ არ არის: ენას ველარავინ გაილესავს. ვინიეტკაც ასევე არაფრის მთქმელი დაახატინე ლანგერს. ყვავილები, ქნარი, ფიალა, სური, როგორც გოგოლის კომედიაში[2] ალექს. (ანდრ.) ივ. (ანოვიჩის) ბინაზე. დიახაც ბუნებრივი იქნება. ნოემბერში სიამოვნებით გამოგეცხადებით. მეტადრე, რომ ასეთი უნაყოფო შემოდგომა ჩემს სიცოცხლეში არ მქონია. ვწერ დაუდევრად. შთაგონებისთვის ადამიანს სულიერი სიმშვიდე სჭირდება, მე კი მშვიდად სულაც არა ვარ. ყოყმანი და ორჭოფობა შენ არ შეგშვენის. ჩემი რწმენით, ყველაფერი კარგად გამოდიოდა. ალმანახი მოგზაურობით გავხსნათ, კორექტურა გამომიგზავნე, მე კი ლექსებს მოგაწვდი, ვინ იქნება ჩვენი ცენზორი? მიხარია, სენკოვსკი რომ ბელკინის[3] გვარით მოღვაწეობს, ვითომ რა იქნება გამოვაცხადოთ (რა თქმა უნდა საფარს მოფარებით და უჩუმრად, მაგალითად „მოსკოვსკიე ნაბლიუდატელში“[4]), ნამდვილი ბელკინი მიიცვალა და თავისი ომონიმის ცოდვებს ვერ იკისრებს-თქო? ღმერთმანი, ურიგო არ იქნებოდა.

## 168. ნ. ნ. პუშკინას

6 მაისი, 1836. მოსკოვი

აგერ უკვე სამი დღეა მოსკოვს ვიმყოფები და ჯერაც არაფერი გამიკეთებია: არქივი არ მინახავს, წიგნის გამყიდველებსაც არ გავრიგებივარ, ვიზიტით ყველას არ ვწვევივარ, სოლნცევებსაც არ ვხლებივარ. რას მიბრძანებ ვქნა? ნაშჩოკინი გვიან დგება, მასთან ყბედობაში დრო ისე გარბის — გაიხედავ, სადილის

[1] „მოგზაურობა ერზრუმში“.

[2] გოგოლის დაუმთავრებელი პიესა „მესამე ხარისხის ვლადიმირი“, რომლის ნაწყვეტიც „სოვრემენნიკში“ დაიბეჭდა სათაურით: „საქმიანი კაცის დილა. პეტერბურგელი სცენები“.

[3] პუშკინის მოთხრობათა გმირი.

[4] ჟურნალი.

ხანი მოსულა, მერე ვახშმობა უწევს, მერე ძილი — და დღეც გავიდა. გუშინ დმიტრიევი, ორლოვი, ტოლსტოი ვინახულე; დღეს სხვებთან ვაპირებ წასვლას. პოეტი ხომიაკოვი იაზიკოვას თხოულობს, პოეტის დას. საქმროც მდიდარია და საცოლეც. კიდევ რა მოსკოვური ჭორები გითხრა? შეიძლება ბევრიც, მაგრამ არ მახსენდება. სიცილით მოკვდები, მოსკოვი რას ლაპარაკობს პ.(პეტერ) ბ.(ურგზე). მაგალითად: თქვენთან თურმე ვიღაც საველიევია, კავალერგარდი, მშვენიერი ყმაწვილი, რომელსაც Idalie პოლეტიკა შეუყვარდა და მისი გულისთვის სილაც გაარტყა გრინვალდს. საველიევს ამ დღეებში დახვრეტენ. რა საცოდავია Idalie, არა! შენზედაც, ჩემო სიცოცხლევ, რაღაც ხმები დადის, თუმცა ჩემამდე ჯერ არ აღწევს, მოგეხსენება, ქმარი ყველაზე გვიან იგებს ცოლის ამბავს. მაგრამ, ეტყობა, შენი კეკლუცობითა და გულქვაობით ვიღაც ისე გაგიმწარებია, სანუგეშებლად თეატრის მოწამე გოგოებისგან მთელი ჰარამხანა გაუჩენია. არ გეკადრება, ჩემო ანგელოზო: თქვენს სქესს ყველაზე მეტად კდემა შვენის. მოსკოვი ჩემგან სტუმრის პირობაზე წვრილად ახალ-ახალ ამბებს ელის და მეც ვყვები, რომ ალექ. (სანდრ) კარამზინმა (ისტორიკოსის ვაჟმა) კინაღამ თავი მოიკლა pour une belle brune[1], მაგრამ ბედად ტყვიამ მარტო წინა კბილი ჩაუმტვრია. თუმცა კმარა ჩმახვა. გოგოლი დაიბარე და ეს წაუკითხე: მსახიობი შჩეპკინი შემხვდა, რომელიც ქრისტე ღმერთს აფიცებს გოგოლს, მოსკოვში ჩამოვიდეს და რევიზორი მსახიობებს წაუკითხოს. ამის გარეშე მსახიობთა შეწყობა არ მოხერხდებაო — იძახის, კომედია კარიკატურული და ბინძური გამოვაო (მოსკოვს ეს ცოდვა მუდამ მოსდგამდა). ჩემი მხრივ მეც ვურჩევ: არ ივარგებს, რევიზორი რომ მოსკოვში დამარცხდეს, სადაც გოგოლი პ. (ეტერ) ბ. (ურგზე) მეტად უყვართ. პლეტნევსაც ვუგზავნი სოვრემენიკისთვის პაკეტს. ცენზორმა თუ არ გაუშვა, კომიტეტს მისცეს და, ღვთის გულისათვის, № 2-ში დაბეჭდოს. მოუთმენლად მოველი შენს წერილს. რასა იქმს შენი მუცელი?[2] მოსკოვს ჩამოსვლას არ ვნანობ. მაგრამ პეტერბურგი კი მენატრება. უკვე აგარაკზე ხარ თუ არა? სახლის პატრონთან როგორ მოაგვარე საქმე? ბავშვები როგორ მყვანან? ეს რა უბედურ დღეში ვარ! ვატყობ, შემოსავალი უთუოდ 80.000 უნდა მქონდეს და კიდევაც მექნება. ტყუილად კი არ მივყე ხელი საჟურნალო სპეკულაციას — ეს ხომ იგივეა, რაც ფეხსადგილების წმენდის საქმე, რომლის იჯარით აღება ბეზობრაზოვის დედას უნდოდა: რუსული ლიტერატურის გასუფთავება ხომ იგივე ფეხსადგილების წმენდა და პოლიციაზე დამოკიდებული ყოფნაა. ერთიც ვნახოთ და... თუმცა ჯანდაბას მაგათი თავი! სისხლი ლამის ნაღველად მექცეს. გკოცნი შენ და ბავშვებს. გლოცავთ სუყველას. ქალბატონთ ჩემი სალამი.

## 173. ნ. ნ. პუშკინას

14 და 16 მაისი, 1836 წ. მოსკოვი

ეს რასა ჰგავს, ცოლიკო? ასე კარგად დაიწყე და ასე ცუდად დაამთავრე! შენგან სტრიქონი არა ჩანს; ხომ არ იმშობიარე? დღეს გრიშკას დაბადების

---

[1] ერთი ლამაზი შავგვრემანი ქალისთვის.

[2] ნ. პუშკინა ფეხმძიმედ იყო.

დღეა, გილოცავთ ორივეს. სადღეგრძელოს შევსვამ მისას. ახალი ძმაა ან დაა. ხომ არ გაუჩნდა? ჩემს ჩამოსვლამდე დაიცადე. უკვე წამოსვლას ვაპირებ. არქივებში ვიყავი და ალბათ 6 თვე მომიხდება იქ ქექვა. შენ რას იზამ მაშინ? როგორც გენებოს და უთუოდ თან წამოგიყვან. ვცხოვრობ ყოველთვის დარბაისლურად და წესიერად. ვზივარ შინ — ვხედავ მარტო მამრობით სქესს. ფეხით არ დავდივარ, არ დავხტი — და ვსუქდები. ამ დღეებში ჩერტკოვმა სადილად მიწვია, მივედი — მის ცოლს თურმე მუცელი მოშლია. მიუხედავად ამისა ვისადილეთ, თუმცა ძალზე მოწყენითა და უგემურად. მოსკოვის ლიტერატურას რაც შემიძლია ვკაკალუცებ; მაგრამ ნაბლუდატელები არა მწყალობენ. მარტო ნაშჩოკინს ვუყვარვარ. ოლონდაც ტინტერე[1] მყავს მეტოქედ და მას ვეწირები მსხვერპლად. აქაური ლიტერატორების სჯა-ბაასს რომ ყურს ვუგდებ, გაოცებას ვარ! როგორ ახერხებენ ნეტა, ასეთი დარბაისელი ხალხი ჩანდნენ ნაწერებში, საუბარში კი ასეთი ბრიყვები. გამოტყდი, მეც ასევე ვარ? მართალი გითხრა, მეშინია. ბარატინსკი ძალზე საამური კაცი ჩანს, თუმცა ჩვენ რატომღაც ვერა ვართ ახლოს. ბრიულოვს პ. (ეტერ) ბ. (ურგში) ვეპატიჟები — ის კი ავადაა და დარდიანობს. აქ აპირებენ ჩემი ბიუსტის გამოძერწვას, მაგრამ უარზე ვარ. მთელი ჩემი სიმახინჯე, როგორც შავი არაბისა, უკვდავყოფილი იქნება მკვდარ, გაყინულ ხაკვთებში; ვიძახი, შინ მზეთუნახავი მიზის, რომელსაც ოდესმე იქნება გამოვაქანდაკებთ-მეთქი. ხომიაკოვის საცოლე ვნახე. სიბნელეში კარგად ვერ გავარჩიე. როგორც ცხონებული გნედიჩი ამბობდა, pas un bel femme, მაგრამ une jolie figuriotte[2]. მშვიდობით ერთი წუთით: ორი ბუფონი მეწვია. ერთი მაიორ-მისტიკოსი გახლავთ, მეორე — ლოთი პოეტი. გტოვებ მათი გულისთვის.

202. პ. ტ. ჩააადაევს

19 ოქტომბერი, 1836 წ. პეტერბურგი.

მადლობას მოგახსენებთ ბროშურის გამოგზავნისათვის. სიამოვნებით გადავიკითხე, თუმცა ძალიან გამიკვირდა, როგორ თარგმნეს და დაბეჭდეს. თარგმანით კმაყოფილი ვარ. დედნის ძალა და უშუალობა არ დაკარგვია, რაც შეეხება აზრებს, მოგეხსენებათ, ყველაფერში არ გეთანხმებით. უეჭველია, სხიზმამ[3] გაგვთიშა დანარჩენი ევროპისაგან და იმ დიად ამბებში, ევროპას რომ აზანზარებდა, ამიტომ წილი არ დაგვიდია. მაგრამ ჩვენ ხომ საგანგებო მოწოდება და დანიშნულება გვეკისრა. რუსეთმა და მისმა თვალუწვდენელმა სივრცეებმა ჩანთქა მონღოლთა შემოსევა. თათრებმა ველარ გაბედეს ჩვენი დასავლეთი საზღვრები გადაელახათ, ჩვენ კი ზურგში მოვექციეთ. ისინი თავიანთ უდაბნოებს დაუბრუნდნენ, და ქრისტიანული ცივილიზაციაც გადარჩენილ იქნა. იმ მიზნის მისაღწევად სრულიად სხვა არსებობას უნდა ვწეოდით, რამაც ქრისტიანობა შეგვინარჩუნა, სამაგიეროდ ქრისტიანული სამყაროსთვის უცხო გაგვხადა. ასე რომ ჩვენი ტანჯვა-წამების ფასად კათოლიკური ევროპის ძალუმი განვითარება ყოველგვარ შეფერხებას გადაურჩა. თქვენ ბრძანებთ, წყარო, საიდანაც ქრისტიანობას ვეწაფებოდით, არ იყო წმინდა, რომ ბიზანტია ზიზღის ღირსია და ზიზღს

[1] ბანქოს ერთ-ერთი სახეობა.

[2] მზეთუნახავი არაა, მაგრამ კოხტა კია.

[3] განხეთქილება, გამოყოფა ერთიანი ეკლესიიდან რომელიმე მისი ნაწილისა, მწვალებლობა.

კიდეც იმკის და ა. შ. ეჰ, ჩემო მეგობარო, განა თვითონ იესო ქრისტე ებრაელი არ იყო და განა იერუსალიმს ყველა ყბად არ იღებდა? მაგრამ განა ამით სახარებას, მის საოცრებას რამე დააკლდა? ბერძნებისაგან ჩვენ გადმოვიღეთ სახარება და თქმულებანი, მაგრამ ბალღურ მეწვრილმანეობისა და დავა-შუღლობის სულისკვეთებას როდი ვზიარებივართ. ბიზანტიის წესი და რიგი არასოდეს ქცეულა კიევის წესად და რიგად. ჩვენი სამღვდელოება ფეოფანამდე პატივისცემის ღირსი იყო, მას არასოდეს შეუბღალავს თავი პაპიზმის სიმდაბლენით და, რა თქმა უნდა, არც არასოდეს გამოიწვევდა რეფორმაციას იმ დროს, როცა კაცობრიობას ერთიანობა ასე სჭიროდა. თანახმა ვარ, რომ ჩვენი ახლანდელი სამღვდელოება ჩამორჩება. გნებავთ იცოდეთ ამის მიზეზი? წვერს ატარებს, ეს არის და ეს. იგი რჩეულთა წრეს არ მიეკუთვნება. რაც შეეხება ჩვენს ისტორიულ არარაობას, ამაში ვერა და ვერ დაგეთანხმებით. ოლეგისა და სვიატოსლავის ომები და მთავართა შინაბრძოლები — განა იგივე ცხოვრება არაა, მღელვარე და ბობოქარი, ფიცხელი, უმიზნო საქმიანობით აღსავსე, რაიც ხალხის სიყრმეს სჩვევია? თათართა შემოსევა საუცხოო და დიადი სანახაობაა. რუსეთის გამოღვიძება, მისი ძლიერების ზრდა, მისი მისწრაფება ერთიანობისაკენ (ცხადია, რუსთა ერთიანობისაკენ), ორივე ივანე, უგლიჩში დაწყებული და იპატის მონასტერში დამთავრებული დიადი დრამა — ნუთუ ეს ყველაფერი ისტორია კი არა, მხოლოდ და მხოლოდ ულიმღამო, ნახევრად დავიწყებული სიზმარია? ან პეტრე დიდი, ერთი რომ უდრის მთელი მსოფლიოს ისტორიას! ან ეკატერინე მეორე, რუსეთი რომ ევროპის ზღურბლს მიაყენა? ან ალექსანდრე, პარიზს რომ ჩაგვიყვანა? (გულზე ხელი დაიდეთ) და განა დიდებულს ვერაფერს ხედავთ რუსეთის ახლანდელ მდგომარეობაში, რაიც მომავალ ისტორიკოსს განცვიფრებით აღავსებდა? ნუთუ გგონიათ, რომ იგი ევროპიდან გამოგვრიყავს? მართალია, ხელმწიფის მიმართ მე პირადად გულითადად ვარ განწყობილი, მაგრამ რასაც ჩემ ირგვლივ ვხედავ, დიდ აღტაცებას დიახაც არ მგვრის, ვით ლიტერატორს — მაღიზიანებს, ვით ადამიანს, ვისაც თავისი შეხედულება გააჩნია — შეურაცხმყოფს, მაგრამ პატიოსნებას ვფიცავ, არამც და არამც არ ვისურვებდი სხვა სამშობლო ან სხვა ისტორია მენატრა, თუ არა ჩვენი წინაპრების ისტორია, როგორიც გვარგუნა იგი ღმერთმა.

წერილი ფრიად გამიგრძელდა. მართალია, კი შეგედავეთ, მაგრამ ბევრი რამ თქვენს ნაწერში უაღრესად მართალია. დიახაც უნდა აღიაროს კაცმა, რომ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება — საცალალოა, რომ საზოგადოებრივი აზრის უქონლობა, გულგრილობა ყოველგვარი მოვალეობის, სამართლიანობისა და ჭეშმარიტების მიმართ, ცინიკური უგულველყოფა ადამიანის აზრისა და ღირსებისა — დასტურ სასოს წარუკვეთს ადამიანს. ამის ხმამაღლა გაცხადებით თქვენ ჩინებული საქმე მოიმოქმედეთ. მაგრამ ვშიშობ კი, რომ თქვენმა (რელიგიურმა) ისტორიულმა შეხედულებებმა არა გავნოთ რა... ღაბოლოს მწყინს, რომ თქვენთან არ ვიყავ, როცა ეს ხელნაწერი ჟურნალისტებს გადაეცით. მე არსად დავდივარ და ვერ გეტყვით, რა შთაბეჭდილება მოახდინა თქვენმა წერილმა. იმედია, კუდს არ გამოაბამენ, წაიკითხეთ კი „სოვრემენიკი" № 3? წერილები „ვოლტერი" და „ჯონ ტენერი" — ჩემი გახლავთ. კოზლოვსკის ღმერთად გავიხდიდი, დასტურ რომ გადაეწყვიტა ლიტერატურობა. მშვიდობით, ჩემო მეგობარო. ორლოვი და რაევსკი თუ ნახოთ, ჩემი სალამი გადაეცით. რას ამბობენ ისინი თქვენს წერილზე, ეგზომ საშუალო ქრისტიანები?

212. ა. ქ. ბენკენდორფს

21 იანვარი, 1836 წ. პეტერბურგი

ბატონო გრაფო!

უფლებამოსილად და მოვალედაც კი ვრაცხ ჩემს თავს თქვენს ბრწყინვალებას მოვახსენო, რაც ამას წინ მოხდა ჩემს ოჯახში. 4 ნოემბრის დილის მე მივიღე სამი ანონიმური წერილი, ჩემი და ჩემი მეუღლის სახელის შეურაცხმყოფელი. ქაღალდის, სტილის და წერილის შედგენის მიხედვით მაშინვე მივხვდი, რომ ის წარჩინებული უცხოელი დიპლომატის დაწერილია. მე კვალს გავსდიე, როგორც გავარკვიე, შვიდმა თუ რვა კაცმა ერთსა და იმავე დღეს მიიღო იგივე წერილის თითო ცალი, ორმაგ კონვერტში ჩადებული და ჩემს სახელზე გამოგზავნილი. უმრავლესობამ, ვისაც ეჭვი ჰქონდა, რა სისაძაგლეს შეიცავდა იგი, წერილი მე არ გამომიგზავნა.

ერთი სიტყვით, ყველა აღაშფოთა ამ უგვანო და უმიზეზო შეურაცხყოფამ; მაგრამ ამტკიცებდნენ რა ჩემი მეუღლის ყოფაქცევის უზადობას, ამ სიმდაბლის მიზეზად ბ-ნ დანტესის დაჟინებულ არშიყობას მიიჩნევდნენ ჩემი მეუღლის მიმართ.

ჩემთვის უკადრისი იყო, ჩემი მეუღლის სახელი ამ შემთხვევაში ვისიმე სახელთან ყოფილიყო დაკავშირებული. მე დავავალე ეს ამბავი გადაეცათ ბ-ნ დანტესისათვის. ბატონი ჰეკერნი მობრძანდა ჩემთან და ბ-ნ დანტესის სახელით ჩემი გამოწვევა მიიღო, ოღონდ ორი კვირის ვადა ითხოვა.

თურმე ამ დროის მანძილზე ბ-მა დანტესმა მოასწრო და შეიყვარა ჩემი ცოლისდა, მადემუაზელ გონჩაროვა, და მას ცოლობა სთხოვა. ეს რომ შევიტყვე საზოგადოების მითქმა-მოთქმიდან, დავავალე ეთხოვათ ბ-ნ არშიაკისთვის (ბ-ნ დანტესის სეკუნდანტისთვის), ისე ჩაეთვალა, თითქოს ჩემგან გამოწვევა არ ყოფილიყო. ამასობაში დავრწმუნდი, რომ ანონიმური წერილი ბ-ნ ჰეკერნს ეკუთვნოდა, და მოვალედ მივიჩნიე თავი ეს ამბავი მთავრობისა და საზოგადოებისთვის მემცნო.

როგორც ჩემი და ჩემი მეუღლის პატიოსანი სახელის ერთადერთი მსაჯული და დამცველი, მე არ ვთხოვ არც მართლმსაჯულებას, არც შურისძიებას, მაგრამ არ შემიძლია და არც მსურს ვისმე დამადასტურებელი საბუთები წარვუდგინო იმისა, რასაც ვამტკიცებ.

ყოველ შემთხვევაში იმედი მაქვს, რომ ეს წერილი დასტური გახლავთ ჩემი თქვენდამი პატივისცემისა და ნდობისა.

ამ გრძნობებით პატივი მაქვს დავშთე თქვენს მონა-მორჩილ მსახურად,
ა. პუშკინი.

247. ნ. ლ. ჰეკერნს

26 იანვარი, 1837 წ. პეტერბურგი

ბარონო!

ნება მიბოძეთ დასკვნა გავუკეთო იმ ამბებს, რაც ამ ცოტა ხნის წინათ მოხდა. თქვენი ვაჟის საქციელი ჩემთვის კარგა ხანია ცნობილია,გახლდათ და არ შეიძლება ჩემთვის სულ ერთი ყოფილიყო. მე მეთვალყურის როლს ვარჩევ-

დი აქამდე და მზად ვიყავ მაშინ ჩავრეულიყავ, როცა დროულად მივიჩნევდი. შემთხვევამ, რაიც ყველა სხვა დროს ფრიად უსიამოდ დამრჩებოდა, გასაჭირიდან გამომიყვანა. მე ანონიმური წერილები მივიღე. მე ვნახე, რომ დრო დადგა და ამით ვისარგებლე. დანარჩენი თავად მოგეხსენებათ. მე [illegible] თქვენი ვაჟი ისეთი სასოდავი როლი გაეთამაშა, მისი სილაჩრითა და [illegible]ბით გაოცებულმა ჩემმა მეუღლემ სიცილი ვერ შეიკავა. ის გრძნობა, რაიც შესაძლოა აღუძრა მას ამ დიდმა და ამაღლებულმა ვნებამ, მშვიდმა და სრულიად დამსახურებულმა ზიზღმა ჩააქრო.

მე იძულებული ვარ ვაღიარო, ბარონო, რომ თქვენს საკუთარ საქციელსაც არცთუ მთლად პატიოსნური დაერქმეოდა. თქვენ, გვირგვინოსანი გვარის წარმომადგენელი, მამაშვილურად მაჭანკლობდით თქვენს ვაჟს. როგორც ჩანს, ყველა მის მოქმედებას (საკმაოდ უხერხულთ) თქვენ წინამძღვრობდით. ალბათ თქვენ კარნახობდით იმ უგვანო სიტყვებს, რასაც ის ამბობდა, იმ სისულელეებს, რის მოწერასაც იგი ბედავდა. უსირცხვილო დედაბერივით ყოველ კუთხეკუნჭულ უსაფრდებოდით ჩემს ცოლს და თქვენს უკანონო, ეგრეთ წოდებულ ვაჟის სიყვარულზე ჩასჩიჩინებდით, ხოლო როცა მას სიფილისი შეეყარა და იძულებული გახდა შინ მჯდარიყო, ჩემს ცოლს ეუბნებოდით, რომ თქვენს ვაჟს მისი სიყვარული ჰკლავს; ებუტბუტებოდით: შვილი დამიბრუნეთო.

თქვენ კარგად გესმით, ბარონო, რომ ამ ამბების შემდეგ მე არ დავუშვებ, ჩემმა ოჯახმა რაიმე ურთიერთობა იქონიოს თქვენთან. მხოლოდ ამ პირობებით დავთანხმდი ესოდენ ბინძური საქმისთვის მსვლელობა არ მიმეცა და თქვენი თუ ჩვენი მეფის კარზე თქვენთვის თავი არ მომეჭრა, რის საშუალებაც და სურვილიც მქონდა. მე არ მსურს, რომ ჩემმა ცოლმა აწ კვლავაც ისმინოს თქვენი მამაშვილური შეგონებანი. მე არ დავრთავ ნებას თქვენს ვაჟს მისი ბილწი საქციელის შემდეგ ჩემს ცოლთან ლაპარაკი გაბედოს, მით უმეტეს — კაზარმული კალამბურები უთხრას და ერთგულება და უიღბლო ვიჟნურის როლი გაითამაშოს, მაშინ როცა ის ლაჩარია და სალახანა, სხვა არაფერი. ასე რომ იძულებული ვარ გთხოვოთ, ხელი აიღოთ ამ ხრიკებზე, თუ არ გნებავთ კვლავ აურზაური გამოიწვიოთ,ვინაიდან მე არაფერი შემაჩერებს.

მაქვს პატივი დავრჩე თქვენს მონა-მორჩილ მსახურად.

ალექსანდრ პუშკინი

## 249. ო. დ. დ'არშიაკს[1]

27 იანვრის დილის 9 ს. 30 წ. და 10 ს. შორის, 1837. პეტერბურგი

ბატონო ვიკონტო,

იოტისოდენა სურვილი არ მაქვს პეტერბურგელი უსაქმურები ჩემი ოჯახის საქმეებს ვაზიარო; ამიტომაც სეკუნდანტებს შორის არავითარ მოლაპარაკებაზე არ დავთანხმდები. მე და ჩემი სეკუნდანტი მხოლოდ შეხვედრის ადგილზე გავხლებით. რაკი შეურაცხყოფილი ბ-ნი ჰეკერნი ბრძანდება და ის მიწვევს დუ-

---

[1] დანტესის სეკუნდანტი

ელში, მას უფლება აქვს, თუკი ინებებს, სეკუნდანტიც თავად ამოირჩიოს. მე წინასწარვე თანახმა ვარ ლაქიაზედაც. რაც შეეხება დროსა და ადგილს, მზად ვარ, სადაც და როდის ინებებს. ჩვენი რუსული წესით ესეც საკმარისია... მერწმუნეთ, ვიკონტო, ეს ჩემი უკანასკნელი სიტყვაა და მეტს აღარაფერს დავამატებ; სახლიდან მხოლოდ მისთვის გამოვალ, შეხვედრის ადგილზე გეახლოთ.

დარწმუნებული ბრძანდებოდეთ ჩემს თქვენდამი სრულ პატივისცემაში.
ა. პუშკინი.

□



ნადია რუშევა. „მამი, მეთამაშე!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დღიური

1833—1835

თარგმნა, წინასიტყვაობა და
შენიშვნები დაურთო ალექსანდრა ბუაჩიძემ

●

1837 წლის იანვრის დამლევს პეტერბურგის მახლობლად, ჩორნაია რეჩკაზე ფრანგმა შუანმა ჟორჟ დანტესმა სასიკვდილოდ დაჭრა ალექსანდრ პუშკინი. დიდმა პოეტმა ორი დღე-ღამე სიკვდილ-სიცოცხლის გზაგასაყართან გაატარა და 29 იანვარს გარდაიცვალა.

ბუნებრივია, პუშკინის ბინაში დარჩა პოეტის ჩანაწერები, შენიშვნები, დაუმთავრებელი ნაწარმოებები, გამოქვეყნებული თუ გამოუქვეყნებელი თხზულებების ხელნაწერები.

პუშკინის სიკვდილის დღესვე ეს ქაღალდები, იმპერატორის ბრძანებით, ვასილ ჟუკოვსკიმ პუშკინისავე კაბინეტში დალუქა. შემდეგ ქაღალდები ორ დიდ სკივრში მოათავსეს (სკივრებიც დალუქეს) და გადასასინჯად ჟუკოვსკის ბინაში გადაიტანეს.

სამი კვირის განმავლობაში გაფაციცებით ათვალიერებდა მათ ჟუკოვსკი, მას „ეხმარე-ბოდა" ჟანდარმთა შეფის, გრაფ ბენკენდორფის მიერ საგანგებოდ მიჩენილი III განყოფი-ლების წარმომადგენელი, ჟანდარმი დუბელტი.

ყველა ქაღალდი აღწერილ იქნა, ყველა ფურცელი, ჟანდარმერიის ბრძანებით, წითელი მელნით დაინომრა. აღწერის ჟურნალი ბენკენდორფმა იმპერატორს წარუდგინა.

ამ „ოპერაციის" შემდეგ ხელნაწერები ჟუკოვსკის დაუტოვეს, და მანაც დაუყოვნებლივ დაიწყო ზრუნვა პოეტის თხზულებათა კრებულის გამოსაცემად. ეს გამოცემა თერთმეტ ტომად გამოვიდა 1837—1841 წლებში. მაშინ პოეტის „დღიურის" გამოცემაზე ფიქრიც კი არ შეიძ-ლებოდა.

მალე რევოლუციის მღელვარე დღეები დადგა. „დღიურის" შენახვა ერთ ადგილზე (როგორც ა. ა. პუშკინი ინახავდა) აღარ შეიძლებოდა. მას რეალური საფრთხე ემუქრებოდა, მალავდნენ სხვადასხვა ადგილას, რათა ყოველგვარი შემთხვევითობა თავიდან აეცილებინათ. სამოქალაქო ომი რომ დაიწყო, „დღიურს" არა მხოლოდ ოჯახური რელიქვიის, არამედ მატე-რიალური ფასეულობის მნიშვნელობაც მიეცა. ერთ მშვენიერ დღეს იგი სახელმწიფო სა-კუთრება გახდა. ეს მოხდა 1920 წელს. 1923 წელს მუზეუმის შრომათა პირველსავე ტომში დაიბეჭდა დიდი რუსი პოეტის „დღიურის" სრული და ზუსტი ტექსტი.

„დღიურის" შედგენილობა მეტყველებს, რომ პუშკინი მას წლინახევრის მანძილზე წერ-და. ამასთან ჩანს, რაც დრო გადიოდა, პუშკინი თანდათან კარგავდა ინტერესს დღიურისადმი: ჩანაწერები მცირდება. ბოლო ჩანაწერს თარიღიც არ უზის, ზოგადადაა აღნიშნული — „თე-ბერვალი".

პუშკინი „დღიურს" ჩვეულებრივ „მეორე დღეს" ავსებდა, ამიტომაა, ასე ხშირად „გუშინ" რომ უზის ჩანაწერს დასაწყისში. ხშირად „მესამე დღეს" წერს მომხდარ ფაქტზე, ზოგჯერ ამ ფაქტებთან კავშირში ისტორიული ამბები და ანეკდოტები ახსენდება. შეიმჩნევა, რომ პოეტს სიამოვნებით შეაქვს „დღიურში" ისტორიული ანეკდოტები და თანამედროვე ამბებიც, თუ მათ, მისი აზრით, რაიმე მნიშვნელობა ექნება შთამომავლობისათვის.

დიდი ადგილი უჭირავს ჩანაწერებში სასახლის ჭორებს. „დღიური" ნათლად გვიჩვენებს, რომ პუშკინის სიძულვილი თვითმპყრობელობისადმი სიცოცხლის ბოლო წლებში კი არათუ არ შესუსტებულა, არამედ გაღრმავდა კიდეც. ნიკოლოზ I რეჟიმის მძიმე შეურაცხყოფამ სულიერად ვერ გატეხა პოეტი, მეფემ ვერ „მოიშინაურა", ვერ უვნებელყო პუშკინი. იგი კვლავ შეამხილა, კვლავ განაგრძობს ბრძოლას თვითმპყრობელობის უღლის წინააღმდეგ.

სწორედ ეს არის „დღიურის" უდიდესი ღირსება.

ბიბლიოთეკა

1833

24 ნოემბერი. ვისადილე ე. ა. კარამზინასთან,[1] ვნახე ჟუკოვსკი, ჯანმრთელადა და გაახალგაზრდავებული. საღამოს rout-ზე ვიყავი ფიკელმონთან. უცნაური შეხვედრა მქონდა: მომაახლოვდა ულვაშებიანი ჭაღარა მამაკაცი. ასე 45 წლისა. სახით ბერძენს ჰგავდა და ამ სახეში ადვილად შევიცანი ჩემი ძველი კიშინიოველი ამხანაგი. ეს იყო სუცო, ყოფილი მოლდაველი მთავარი. ახლა ელჩადაა პარიზში; ჯერ არც ვიცი, აქ რატომაა. მან გამახსენა, რომ 1821 წელს იპსილანტთან ერთად მასთან ვყოფილვარ. მე ვუამბე, როგორ მოატყუა პესტელმა იგი და ულალატა ეთერიას, წარუდგინა რა ის იმპერატორ ალექსანდრეს, როგორც კარბონარიზმის ერთ-ერთი განხრა. სუცომ ვერ დამალა ვერც გაკვირვება, ვერც წყენა. ფანარიოტის გამჭრიახობა რუსი ოფიცრის ეშმაკობამ დაამარცხა! ეს შეურაცხყოფდა მის თავმოყვარეობას.

გუშინწინ ხელმწიფე მოულოდნელად მოსკოვს გაემგზავრა.

27. სადილი ენგელგარდტთან, ვსაუბრობდით სუხოზანეტზე, რომელიც კორპუსთა უფროსად დანიშნეს. ალბათ იმიტომ, რომ სხვა მიმართულება მისცეს ამ დაწესებულებებს[2],— თქვა ენგელგარდტმა.

ძალზე კიცხავენ მანდილოსნის ოქრომკერდით ნაქარგ ხავერდის მუნდირებს, განსაკუთრებით ჩვენს ლატაკ და უბედურ დროში[3].

საღამო ვიაზემსკებთან.

28. რაუტი ს. გ. სალტიკოვთან. გრაფი ორლოვი ამბობს თურქეთის ელჩზე: ის ცხოველია. — ე. ი. მას მდივანი ჰყავს? — ლიახ, ფანარიოტია და ამით ყველაფერია ნათქვამი.

30. ნოემბერი. გუშინ მეჯლისი იყო ბუტურლინთან (კომენდანტთან). საინტერესო საუბარი მქონდა ბლაისთან: რატომ გიდგათ ფლოტი ბალტიის ზღვაში? პეტერბურგის დასაცავად? მაგრამ მას ხომ კრონშტადტი იცავს? თამაშაა!

— კიდევ დიდხანს აპირებთ გაფართოებას (ჩვენ ბუტურლინის მიერ შედგენილ რუსეთის მიწა-წყლის თანდათანობითი გაფართოების რუკას ვათვალიერებდით). თქვენი ადგილი აზიაშია; იქ მოახდინეთ ცივილიზაციის [illegible]... etc[4].

მორიგეობის დროს უწესრიგობისათვის რამდენიმე ოფიცერი სამართალს გადასცეს. დიდმა მთავარმა[5] [illegible] ზოგი ხალხით ნახა. ზოგიც უმართლოდ... მას ძლიერ აშფოთებს აზრი, რომ შეიძლება გვარდია გადაგვარდეს. მაგრამ რა საშუალებით ფიქრობს მისი სიმტკიცის ამაღლებას? ეკატერინეს დროს მელის ქურქში გახვეული ყარაულის ოფიცერი თავის ოცეულს ლახურული მარშით მიჰყვებოდა. ალექსანდრეს მეფობის დასაწყისში ოფიცრებიც თავნება, ამპარტავანი და უწესრიგო ხალხი იყო, გვარდია კი ჰყვაოდა..

ამბობენ, თითქოს ალექსანდრეს სვეტის გახსნაზე 100.000 შეიარაღებულ გვარდიელს გამოიყვანენ.

---

[1] კარამზინა ეკატერინე ანდრიას ასული (1780—1851), მწერალ პ. ა. ვიაზემსკის და, ისტორიკოს ნ. მ. კარამზინის ქვრივი.

[2] აქაც და ყველგან შავით შესრულებული ტექსტი ორიგინალში დაწერილია ფრანგულად.

[3] „ჩვენს ლატაკ და უბედურ დროში", — პუშკინს მხედველობაში აქვს 1833 წლის მოუსავლიანობა.

[4] etc — და ასე შემდეგ (ლათ.).

[5] მიხეილ პავლეს ძე, დიდი მთავარი (1798—1849), ნიკოლოზ I უმცროსი ძმა.

## დეკემბერი 1833

3. გუშინ ხელმწიფე მოსკოვიდან დაბრუნდა, 38 საათში ჩამოვიდა. [illegible] ელოდნენ თურმე — სასახლეში არც ერთი ოთახი არ გაეთბოთ — ხელმწიფეს [illegible] ვერ დაალევინეს.

გუშინ გოგოლმა ზღაპარი წამიკითხა: როგორ წაეჩხუბა ივ. ივ-ი ივ. ტიმოფ.-ს — მეტად ორიგინალური და სასაცილო ზღაპარია.

4-ში საღამოს ზაგრიაჟსკაიასთან (ნატ. კირ.) ვიყავი. ეკატერინეს შესახებ გვქონდა საუბარი: რევოლუციის დროს ნატალია კირილოვნა პეტრე III-სთან ერთად გალერეაზე იმყოფებოდა. მან მხოლოდ ორჯერ ენახა ეკატერინე გულმოსული და ორივეჯერ თავადის ქალ. დაშკოვაზე. ეკატერინემ იგი ერმიტაჟში მიიწვია. თავადის ქალმა დაშკოვამ კარისკაცებს ჰკითხა, იქ როგორ შედიხართო. მათაც უპასუხეს, საკურთხევლის გავლითო. მეორე დღეს დაშკოვა თავისი ათი წლის ვაჟითურთ პირდაპირ საკურთხეველში შეძვრა. წირვის შემდეგ, შვილს იმ ადგილის სიწმინდეზე უამბო მოკლედ და ერმიტაჟში შევიდა. მეორე დღეს ყველანი, მათ შორის დაშკოვაც, დედოფალს ელოდნენ. უეცრად კარი გაიღო, დედოფალი შემოიჭრა და პირდაპირ დაშკოვას მიაშურა. შეფიქლულ სახეზე და მკვირცხლ ლაპარაკზე ეტყობოდა, რომ გაბრაზებული იყო. ფრეილინები დაფრთხნენ. დაშკოვა პატიებას ითხოვდა გუშინდელი საქციელის გამო, ამბობდა, არ ვიცოდი, თუ ქალს საკურთხეველში შესვლა ეკრძალებაო.

— როგორ არ გრცხვენიათ, — უპასუხა ეკატერინემ, — რუსი კი ხართ და თქვენსავე კანონს არ იცნობთ; მღვდელი იძულებულია შემოსწმინდოს... ნატალია კირილოვნა ანეკდოტს ძალიან ცოცხლად მოჰყვა. თავადის ქალმა კოჩუბეიმ შენიშნა, დაშკოვა საკურთხეველში ალბათ, როგორც რუსული აკადემიის პრეზიდენტი, ისე შევიდაო. მეორე ანეკდოტი არ მომისმენია.

ქალთა მუნდირების გამო ატეხილი ხმაური გრძელდება. ეკლესიისათვის მხოლოდ მცირე ნაწილი იქნება მზად. ამიტომაც ადრინდელ რუსულ კაბებში მოსვლის ნება დართეს.

ხრაპოვიცკი (ჩანაწერების ავტორი) ოდესღაც გრაფ კირილ რაზუმოვსკის ადიუტანტი ყოფილა. ელიზავეტა პეტროვნას უკანონო შვილი ჰყოლია, გვარად ტარაკანოვა. ეს ამბავი ნატალია კირილოვნამ ელიზავეტასდროინდელი ფრეილინისაგან იცოდა.

დედოფალი[1] ჩანაწერებს ადგენს... მიაღწევს კი შთამომავლობამდე! ელიზავეტა ალექსეევნასაც ჰქონია ჩანაწერები, შემდეგ ისინი მისმა ფრეილინამ დაწვა; მარია ფეოდოროვნაც წერდა, მაგრამ ხელმწიფემ ეს ჩანაწერები მისივე განკარგულებით დაწვა. დიდი დანაკარგია! ელიზავეტას უნდოდა ჩანაწერები კარამზინისთვის ეანდერძა (ეკატერინა ანდრეევნასაგან გავიგე).

6 დეკემბერი. ხელმწიფის დღეობა. მარტინოვი კომენდანტია. ოთხი ნაღდი გენერალი. პეროვსკი გენერალ-ლეიტენანტია, მენშიკოვი — ადმირალი. მანდილოსნები რუსულ კაბებში წარსდგნენ. ზოგიერთი ყველაფერს, როგორც ზეიმს, ისე უყურებს. ცალხელა ხრობელევმა თავადის ქალს ვ.-ას უთხრა: ასეთი ზეიმის გულისთვის უკანასკნელ სამ თითსაც დავთმობდი! ვ. თავდაპირველად ვერ მიუხვდა.

საღამოს გრაფ ა. ბობრინსკისთან ვიყავი. მიატლევი სასაცილო ლექსებს კითხულობდა. ახალგაზრდა ოფიცრები, რომლებიც დიდმა მთავარმა ღამით უწესრიგო მდგომარეობაში ნახა და პატიმრობაში იყვნენ, ახლა მიტევებულნი არიან.

14 დეკემბერი. სადილი ბლაისთან; საღამო სმირნოვებთან. 11-ში მივიღე ბენკენდორფის მიწვევა, მეორე დღეს დილით მიბარებდა. მივედი. „ბრინჯაოს მხედარი" ხელმწიფის შენიშვნებიანად უკან დამიბრუნეს. სიტყვა კ ე რ პ ი უმაღლესმა ცენზურამ არ გაუშვა.

---

[1] იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული (1798—1860) პრუსიის მეფის ფრიდრიხ-ვილჰელმ III და სილამაზით განთქმული ლუიზას ქალიშვილი, ნიკოლოზ I მეუღლე.

ერთი სტროფი კი

უმცროს სატახტოს წინაშე თავი
მოხუცმა მოსკოვმა დახარა ზავით.
ვით ნორჩ დედოფლის წინაშე მკრთალმა
პორფიროსანმა ქვრივმა დედოფალმა.[1]

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამოშლილია. ბევრ ადგილას დასმულია (?), ყველაფერი ეს დიდ განსხვავებას ქმნის. იძულებული გავხდი სმირდინთან დადებული პირობა შემეცვალა.

კოჩუბეიმაც და ნესელროდემაც ორივემ 200—200 ათასი მიიღეს თავიანთი მშიერი გლეხობის სარჩენად. ეს ოთხასი ათასი მათ ჯიბეში დარჩება. შიმშილობის წელიწადია, სამუშაოს შოვნასა და პურის ფასების შემცირებაზეა ზრუნვა საჭირო; თუ გლეხებმა გაიგეს, რომ მთავრობა ან მემამულენი მათ რჩენას აპირებენ, არ იმუშავებენ და შიმშილსაც ვერარავინ ააცდენს. ყველაფერი ეს ძლიერ მაცდუნებელია. საზოგადოება უკმაყოფილებას გამოთქვამს, ხოლო ნესელროდესთან და კოჩუბეისთან მეჯლისები გაიმართება (ესეც მეფის კარის საამებლად).

15. გუშინ სასახლეში, ჩვეულებისამებრ, მეჯლისი არ გაუმართავთ. იმპერატრიცა შეუძლოდ გრძნობს თავს. დილაადრიანად იყო წირვა და პარაკლისი.

16. მეჯლისი კოჩუბეისთან. იმპერატრიცა უნდა ყოფილიყო, მაგრამ არ მოვიდა. გაცივდა. უბრწყინვალესი მეჯლისი გახლდათ. გრ. შუვალოვა საოცრად კარგი იყო.

17. საღამო ჟუკოვსკისთან. გერმანულის amateur[2], მოსწავლე ტიკოვი ფაუსტს კითხულობდა, ჩემის აზრით საკმაოდ უხეიროდ.

ქალაქში უცნაურ შემთხვევაზე ლაპარაკობენ. ერთ სახლში, რომელიც სასახლის საჯინიბოს უწყებას ეკუთვნის, ავეჯმა მოძრაობა, ხტუნვა დაიწყო. ეს ამბავი უფროსების ყურამდეც მივიდა. თ. ვ. დოლგორუკიმ გამოძიება დანიშნა. ერთმა მოხელემ მღვდელი მოიწვია, მაგრამ არც პარაკლისის დროს სურდათ გაჩერება სკამებსა და მაგიდებს. ამ ამბის შესახებ დიდი მითქმა-მოთქმა ატყდა. N-მა თქვა, ავეჯი მეფის კარის კუთვნილებაა და ანიჩკოვში დაბრუნებას თხოულობსო.

ქუჩებში გავლა სახიფათოა. სასახლის მოედანზე სუხტელენს თავს დაესხნენ და გაძარცვეს. ეტყობა, პოლიციას ქურდებისა და ქურდობისათვის არა სცალია, პოლიტიკითაა დაკავებული. წუხელ ბლუდოვი გაუძარცვავთ.

## 1834

1. იანვარი. გუშინწინ კამერ-იუნკრობა მიბოძეს (რაც ნაკლებ შეეფერება ჩემს ასაკს). მაგრამ მეფის კარზე უნდოდათ, რომ ნატალია ნიკოლაევნას ანიჩკოვშიც ეცეკვა[3]. მაშ ასე, მე რუს Dangeau-დ ვიქცევი[4].

მალე ქალაქში გავრცელდება ხმა ბეზობრაზოვის შესახებ, რომელიც თავის ახალგაზრდა ცოლს ეჩხუბება. თურმე ეჭვიანი ყოფილა. საქმე არაერთხელ ცემა-ტყეპამდე, თვით დანამდეც კი მისულა. ბეზობრაზოვმა თავისი ხელქვეითები დაითხოვა, არ ენდობოდა მათ. გუშინწინ მისი ცოლი დედოფალს ფეხებში ჩაუვარდა და ქმრის ნებართვა სთხოვა. ხელმწიფე ძალიან გაბრაზებულა. ბეზობრაზოვი დაპატიმრებულია. მგონი, ჭკუიდან შეცდა.

მეკითხებიან, ვარ თუ არა კმაყოფილი კამერ-იუნკრობით. კმაყოფილი ვარ, რადგან ხელმწიფეს ჩემი წარჩინება ჰქონდა განზრახული და არა სასაცილო მდგომარეობაში ჩა-

---

[1] თარგმ. ვალ. გაფრინდაშვილისა.

[2] მოყვარული (ფრანგ.).

[3] ანიჩკოვის სასახლეში საღამოებზე მხოლოდ რჩეულნი იღებდნენ მოწვევას, იქ მოხვედრა დიდ პატივად ითვლებოდა.

[4] „მე რუს Dangeau-დ ვიქცევი" — მარკიზი დანჟო, ლუი XIV დაახლოებული პირი... ცნობილია მისი დღიური, რომელშიც ზუსტად აღწერა სამეფო კარის ცხოვრება, მფარველობდა ფრანგ მწერლებს.

ჯენება. მართალი გითხრათ, თუგინდ კამერ-პაჟობა იყოს, ოღონდ ფრანგული ვოკაბულებისა და არითმეტიკის სწავლა არ დამაძალონ.

ახალ წელს ნატალია კირილოვნა ზაგრიაჟსკაიასთან შევხვდი. ესაუბრობდა სპერანსკისთან პუგაჩოვზე, კანონთა კრებულის შესახებ, ალექსანდრეს მეფობის პირველ წლებზე, ერმოლოვზე.

7. ვიგელმა ვარსკვლავი მიიღო, რითაც ძალიან კმაყოფილია. გუშინ ჩემთან იყო. მიყვარს მასთან საუბარი, საინტერესო და საქმიანი კაცია, მაგრამ საუბარს ყოველთვის მამათმავლობაზე ლაპარაკით ვამთავრებთ. ვიგელმა ერთი საინტერესო ანეკდოტი მითხრა, რომელიც ეკატერინე II 96 წლის ახლოს გარდაცვლილ ძიძის ვაჟს, ვინმე ნორმანსა თუ მერმანს, ოდესღაც უამბნია მისთვის. — ამ კაცის დედა დედოფლის ნაბოძებ ბელორუსულ სოფელში ცხოვრობდა. ერთხელ შვილს უთხრა: „ჩაიწერე დღევანდელი რიცხვი, უცნაური სიზმარი ვნახე — თითქოს კალთაში მიზის თეთრ კაბაში გამოწყობილი პატარა ეკატერინე, სწორედ ისეთი, როგორიც 60 წლის წინ იყო". შვილმა დედის ბრძანება შეასრულა. ცოტა ხნის შემდეგ მიიღო ცნობა ეკატერინეს სიკვდილის შესახებ. თავის ჩანაწერს მიაგნო, სადაც 1796 წლის 6 ნოემბერი ეწერა. დედოფლის გარდაცვალების ამბავი რომ გაიგო, მოხუც ძიძას არ უგლოვია, მხოლოდ დადუმდა და სიკვდილამდე — იგი ხუთი წლის შემდეგ გარდაიცვალა — ხმა არ ამოუღია.

მაღალ საზოგადოებაში დიდი ხმაურია ბეზობრაზოვების შესახებ. ქმარი ჯერ კიდევ პატიმრობაშია. მისი ცოლი წუხელ ღამით თავის ძმასთან, დავიდოვის გენერალთან, გაემგზავრა. ფიქრობენ, რომ ბეზობრაზოვი ფლიგელ-ადიუტანტობას ვერ შეინარჩუნებს.

ხელმწიფემ თავადის ქალს, ვიაზემსკაიას[1] უთხრა: იმედი მაქვს, პუშკინმა თავისი დანიშვნა კარგად მიიღო. აქამდე ჩემთვის მოცემულ სიტყვას ასრულებდა და მისით კმაყოფილი ვიყავი.

დიდმა მთავარმა ამას წინათ თეატრში მომილოცა: — უმორჩილესად გმადლობთ, თქვენო უმაღლესობავ, აქამდე მხოლოდ დამცინოდნენ, პირველმა თქვენ მომილოცეთ.

**17.** გრაფ ბობრინსკისთან გამართული მეჯლისი უბრწყინვალესი იყო. ხელმწიფეს არაფერი უთქვამს ჩემს კამერ-იუნკრობაზე, არც მე გადამიხდია მადლობა. ჩემი „პუგაჩოვის" შესახებ კი მითხრა: „დასანანია, არ ვიცოდი, თუ პუგაჩოვზე წერ. გაგაცნობდი მის დას, სამი კვირის წინ რომ გარდაიცვალა ერლინგოფის ციხე-სიმაგრეში (1774 წლიდან!)." მართალია, გარეუბანში თავისუფლად ცხოვრობდა, მაგრამ დაშორებული იყო თავის დონურ სოფელს და უცხო, ცივ მხარეში იმყოფებოდა. დედოფალმა მკითხა, სად ვიყავი ზაფხულში. როდესაც გაიგო, რომ ორენბურგში, პეროვსკის ამბავი თბილად მოიკითხა.

**26 იანვარი.** წინა სამშაბათს ანიჩკოვში ვიყავი მიწვეული. მუნდირით მივედი. მითხრეს, სტუმრები ფრაკებში არიანო გამოწყობილი. ნატალია ნიკოლაევნა დავტოვე, უკან გამოვბრუნდი, გადავიცვი და ს. ვ. სალტიკოვთან წავედი საღამოზე. ხელმწიფე უკმაყოფილო დარჩენილა და რამდენჯერმე უთქვამს ჩემზე: მას შეეძლო წასულიყო, ფრაკი ჩაეცვა და ისევ დაბრუნებულიყო. გადაეცით ჩემი საყვედური.

სამშაბათს, მეჯლისი თ. ტრუბეცკოისთან. გლოვობდნენ ვიღაც თავადს (ე. ი. პრინცს). მანდილოსნები ძაძებში იყვნენ. ხელმწიფე მოულოდნელად მოვიდა. ნახევარ საათს დარჩა. ჩემს ცოლს უთხრა: **ჩექმების თუ ღილების გამო (ე. ი. უმიზეზოდ, ასარგებით) არ მობრძანდა თქვენი ქმარი უკანასკნელ მეჯლისზე?** (მოხუცმა გრ. ბობრინსკაიამ გამამართლა: მუნდირის ღილები არ ჰქონდა დაკერებული და ამის გამო ვერ გეახლაო.)

ორი შუანი, ბარონი დ'ანტესი და მარკიზი დე პინა, გვარდიაში პირდაპირ ოფიცრებად იქნებიან მიღებულნი. გვარდიაში აღშფოთებაა.

ბეზობრაზოვი კავკასიაში გაგზავნეს, მისი ცოლი კი ისევ მოსკოვშია.

**28** თებერვალი. გასული თვე საკმაოდ ხმაურიანი იყო. უამრავი მეჯლისი, რაუტი, etc. დადგა ყველიერი. დედოფალი ავად იყო და დაახლოებით ორი კვირა საზოგადოებაში არ გამოსულა. რამდენჯერმე ვნახე. ხელმწიფემ „პუგაჩოვის" დაბეჭდვის უფლება მომცა; დამიბრუნეს ხელნაწერი, რომელსაც მეფის შენიშვნები (ძალიან საქმიანი) ერთვოდა. კვირას მეჯლისზე, საკონცერტოში, ხელმწიფე დიდხანს მელაპარაკა; საუბრობს გამართულად, რო-

---

[1] ვიაზემსკაია ვერა თევდორეს ასული, თავადის ქალი (1790—1886), პოეტ პ. ა. ვიაზემსკის მეუღლე; კარამზინის, ჟუკოვსკისა და პუშკინის ახლო მეგობარი.

სულსა და ფრანგულს ერთმანეთში არ ურევს, ჩვეულებრივ, შეცდომებსაც არ უშვებს.

გუშინ გრ. ბობრინსკისთან ბალი იყო. გუშინწინ კი მეჯლისი — შუვალოვისას. მეჯლისზე მეფის მკვლელი სკარიატინი[1] მობრძანდა. დიდი მთავარი ბევრს ოხუნჯობდა (ხეთთი უბამში ყველიერი ჯერ არ მისულა). დღეს ავსტრიელ ელჩთან მეჯლისია.

**6 მარტი.** მადლობა ღმერთს! ყველიერი, და მასთან ერთად მეჯლისები, დამთავრდა.

ყველიერის ბოლო დღის (4 მარტი) აღწერაც საკმარისია, რომ დანარჩენებზეც წარმოდგენა შეგექმნათ. რჩეულნი დილის მეჯლისზე პირველის ნახევრისთვის იყვნენ დაპატიჟებულნი სასახლეში. სხვები კი საღამოს ცხრის-ნახევრისთვის. 9-ზე მივედი. ცეკვავდნენ მაზურკას, რომლითაც დილის მეჯლისი მთავრდებოდა. მანდილოსნები თავს იყრიდნენ, დილიდანვე სასახლეში მყოფნი კი მორთულობას იცვლიდნენ. ბევრი უკმაყოფილო იყო: საღამოს დაპატიჟებულთ დილანდელი იღბლიანებისა შურდათ. მოსაწვევები დაუდევრად და და თავად კოჩუბეის მეჯლისებზე ხშირ მისულთათვის დაერიგებინათ. ასე რომ, არც კოჩუბეი და მისი ოჯახი, არც მასთან დაახლოებული პირები დაპატიჟებულნი არ იყვნენ, რადგან სიაში არ ყოფილან. ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ ჩემს ცოლს მუცელი მოსწყდა, აი, რა მოჰყვა ამდენ ცეკვა-თამაშს.

„პუგაჩოვის" დასაბეჭდად მეფემ 20.000 მასესხა. მადლობელი ვარ.

ქალაქში ბევრს ლაპარაკობდნენ ახალგაზრდა თავადის ქალ სუვოროვას და ვიტგენშტეინის კავშირზე. სუვოროვას ახალი ბრილიანტები შეუძენია, ამბობენ, რომ ვიტგენშტეინმა აჩუქა (თითქოსდა მისი განსვენებული ცოლის ანდერძის თანახმად) და სუვოროვს ამის გამო ცოლთან დიდი უსიამოვნება მოუვიდა. etc. etc. ცარიელი ჭორებია: ბრილიანტები სუვოროვას მულს, კ-ვას ეკუთვნოდა და ოჯახიდან გასაყიდად გამოგზავნეს. მაგრამ სუვოროვას გაუფრთხილებელი საქციელი ყველას ყურადღებას იპყრობს. დედოფალმა იხმო და დატუქსა, მეფემ კი უფრო მეტად. სუვოროვა ატირდა: თქვენო უდიდებულესობავ, მე ახალგაზრდა ვარ, ბედნიერი, ბევრს მოვწონვარ, ამიტომ შურთ ჩემი და სხვ. სუვოროვა ძალიან სულელია და, რიგიანად რომ ვთქვათ, ძალიან თამამი კეკლუცა, თუ უარესი არა.

სობოლევსკი გრაფ ველგორსკიზე ამბობს: ის უკიდურესობებს ერიდება, რადგან ყოველთვის შეზარხოშებულია (სიტყვების თამაში: suste milieu — ოქროსშუაგული და საფრანგეთის მმართველი პარტიის სახელწოდება, entre deux vins — შეზარხოშებული, სიტყვასიტყვით: ორ ღვინოს დათრობას შორის.

**3 მარტი.** საღამოს ვ. ოდოევსკისთან[2] ვიყავი. სობოლევსკი ლანსკაიას (ყოფილ პოლეტიკას) ეარშიყებოდა და საჯაროდ უთხრა: ზეცაში მეტი სასუფეველი არაა, ვიდრე ჩემი უკანალის წილში (Cul ნაცვლად coeu-ის-გულისა). მან საძაგლად დაირცხვინა, მოწმეებმა (მათ შორის ლანსკაიამ) სიცილი ვერ შეიკავეს. ოდოევსკაია ბოღმისგან გამწვანებული მიბრუნდა მასკენ. სობოლევსკი გაიქცა.

1826 წლის 13 ივლისს, შუადღისას ხელმწიფე ცარსკოე სელოში იმყოფებოდა, ტბორთან იდგა, კაგულის ძეგლის უკან რომ არის, ცხვირსახოცს წყალში ისროდა და თავის ძაღლს აიძულებდა ნაპირზე ამოეტანა. უცებ მსახურმა მოირბინა და რაღაც უჩურჩულა. მეფემ ძაღლსაც და ცხვირსახოცსაც თავი ანება და სასახლისკენ გაიქცა. ძაღლმა ნაპირზე გამოცურა, პატრონი რომ ვერ დაინახა, ცხვირსახოცს ამასაც თავი ანება და მეფეს გამოუდგა. ფრ.-მა ისტორიული დღის სახსოვრად ცხვირსახოცი წყლიდან ამოიღო.

**8 მარტი.** გუშინ სმირნოვასთან[3] ვიყავი. ც. ნ. ანეკდოტებს[4] ვუსმენდი. ამას წინათ ფი-

---

[1] სკარიატინი იაკობ თევდორეს ძე, პავლე I მკვლელობის ერთ-ერთი მონაწილე, მასონი, იზმაილის პოლკის შტაბს-კაპიტანი.

[2] ოდოევსკი ვლადიმერ თევდორეს ძე, თავადი (1803—1869), ცნობილი მწერალი-მოაზროვნე.

[3] სმირნოვა, ალექსანდრა ოსიპის ასული (1809—1882), ფრანგი ემიგრანტის როსეტის ქალიშვილი, კამერ-იუნკერ ნ. მ. სმირნოვის მეუღლე. ჰქონდა ლიტერატურული სალონი, სადაც თავს იყრიდნენ იმ დროის გამოჩენილი მწერლები.

[4] „ც. ნ. ანეკდოტები" — პუშკინის გამოცემების რედაქტორები მართებულად ხსნიან „ც. ნ. — ანეკდოტებს" — „ციციანოვის ანეკდოტებად". თავადი დიმიტრი ევსევის ძე ციციანოვი (1747—1835) ცნობილი კაცი იყო პეტერბურგში, გონებამახვილობითა და ანეკდოტებით განთქმული.

კელმონის მეჯლისზე (მე არ ვყოფილვარ, რადგან ჭრელ მუნდირებში იყვნენ) ჟუკოვსკიმ მეფის მკვლელი სკარიატინი გამოიჭირა და აიძულა 11 მარტის ამბები მოეყოლა. ისინი დასხდნენ. ამ დროს გრ. ბენკენდორფის თანხლებით ხელმწიფე შემოვიდა და თავს წაადგა თავისი შვილის გამზრდელს, რომელიც მამამისის მკვლელთან მეგობრულად საუბრობდა! სკარიატინმა მოიხსნა შარფი, რომელმაც პავლე I-ის სიცოცხლე შეიწირა. ფრეილინა — თავადის ასული ტურკისტანოვა — ფარული საყვარელი იყო განსვენებული ხელმწიფისა და თ. ვლადიმერ გოლიცინისა, რომლისგანაც დაორსულდა კიდეც. თავადის ასული ყველაფერში ხელმწიფეს გამოუტყდა. მიღებულ იქნა საჭირო ზომები და მან სასახლეში იმშობიარა, ისე, რომ ეჭვიც არავის აუღია. როდესაც ის უგონოდ იწვა ლოგინში, იმპერატრიცა მარია ფეოდოროვნა მოდიოდა და სახარებას უკითხავდა. მერე თავადის ასული სხვა ოთახებში გადაიყვანეს, სადაც იგი გარდაიცვალა. გოლიცინს ყველაფერი ქალაქში გაუხმაურებია, დედოფალმა რომ შეიტყო, ძალიან გაჯავრდა.

უვაროვის დაკრძალვაზე აწ განსვენებული ხელმწიფე კუბოს მიჰყვებოდა. არაკჩეევმა ვიღაცას, მგონი, ა. ორლოვს, ხმამაღლა უთხრა: „ერთი მეფე აქედან აცილებს, ნეტავ იქ მეორე როგორღა დახვდება?" (უვაროვი 11 მარტის მეფის მკვლელობის მონაწილეა).

ხელმწიფეს არაკჩეევი არ უყვარს. იგი მტირალია, ამბობდა მეფე 1825 წელს, მასთან მუშაობის შემდეგ, როცა იმპერატრიცასთან სულ მთლად არეულ-დარეულ ტანსაცმელში ბრუნდებოდა.

17 მარტი. გუშინ გრეჩთან[1] ლიტერატურული თავშეყრა იყო, რუსული Conversation's Lexikon[2]-ის გამოცემის თაობაზე. ასამდე კაცი ვიყავით. უმეტესად რუსეთის გამოჩენილი ადამიანები იყვნენ, მე მათ არ ვიცნობდი. გრეჩმა გამაფრთხილა: „პლიუშარი ამ საქმეში შარლატანია, მე კი ჯამბაზი ვარ; ვსვამ მის წამალს და ვაქებ". ასეც გამოდგა. თაღლითობა ბევრი შევნიშნე, აზრი კი ძალიან ცოტა. მილიონიანი საქმეა, სარგებლობას კი ვერა ვხედავ. ღირსებაზე აღარაფერს ვამბობ. რა მაინც მორევში, სადაც ბულგარინი, პოლევოი და სვინინი ჭყუმპალაობენ. ჟუკოვსკიმ მხოლოდ პირობით მოაწერა ხელი. მე და თავადმა ოდოევსკიმ მას მივბაძეთ. ვიაზემსკი დაპატიჟებული არ იყო. შევხვდი ჩემს კეთილ გალიჩს, ძალიან გავეხარდი. ოდესღაც ის ჩემი პროფესორი იყო და არჩეულ ასპარეზზე მამხნევებდა. 1814 წელს, გამოცდისთვის „მოგონებანი ცარსკოე სელოში" მან დამაწერინა. უსტრიალოვმა მითხრა, რომ ნიკონის პროცესს გამოსცემს. კარგი საქმეა!

გუშინწინ ავსტრიის ელჩთან ბალი იყო. რამდენიმე შეცდომა დავუშვი: 1. $5^1/_2$-ის ნაცვლად 5-ზე მივედი და კარგა ხანს ველოდე დიასახლისს. 2. ჩექმები მეცვა, რამაც მთელი საღამო ჩამაშხამა. ელჩთან და მის მეუღლესთან [illegible] და მეფის მკვლელზე, სკარიატინზე ვლაპარაკობდი. ფიკელმონმა არაფერი იცოდა ამ ამბებისა. ჩვენი საზოგადოების უცნაურობანი მას აკვირვებს: განსვენებული ხელმწიფე ხომ მამის მკვლელებით იყო გარშემორტყმული. აი, რატომ არ შედგა სასამართლო პროცესი 14 დეკემბერს დაღუპულ ახალგაზრდა შეთქმულებზე მის სიცოცხლეში. ის მეტად მკაცრ სიმართლეს გაიგებდა. 3. ამჟამინდელ ხელმწიფეს ჰქონდა შესაძლებლობა მეფის მკვლელები ან განმზრახველნი სიკვდილით დაესაჯა; მისი წინამორბედნი იძულებულნი იყვნენ მოეთმინათ და ეპატიებინათ.

ბევრს ლაპარაკობენ მეჯლისზე, რომელიც თავადაზნაურობამ ტახტის მემკვიდრის სრულწლოვანების აღსანიშნავად უნდა გამართოს. ამ საქმეს თავადი დოლგორუკი (ობერშტალმაისტერი და პეტერბურგელი წინამძღოლი) და გრაფი შუვალოვი განაგებენ. დოლგორუკიმ ნარიშკინს ფრანგულად დაწერილი ბარათი გაუგზავნა, რომელშიც სთხოვდა ხელისმოწერაში მიეღო მონაწილეობა. ნარიშკინმა უპასუხა: „მოწყალეო ხელმწიფევ, თქვენი ბრწყინვალების წერილის თარგმანიდან დავინახე etc". ალბათ ვაჭართა წრეც საკუთარ მეჯლისს გამართავს. დღესასწაულები ნახევარი მილიონი მაინც დაჯდება. რას იტყვის ხალხი, რომელიც შიმშილით იხოცება?

მოსკოვიდან იწერებიან, რომ ბეზობრაზოვს მუცელი მოსწყდა.

იტალიიდან იწერებიან, გრაფის ქალი პოლიე ვიღაც მდიდარსა და ქვრივ პრინცს მიჰყვება. ხუმრობას ჰგავს; მაგრამ ჩვენთან ამაზე ეცინებათ და სიამოვნებით იჯერებენ.

[1] გრეჩი — ცნობილი ლიტერატურული „ტრიუმვირატის" წევრი (ბულგარინი და სენკოვსკი), რომელსაც პუშკინი შეუპოვრად ებრძოდა.

[2] ენციკლოპედიური ლექსიკონი (გერმ.).

20. გუშინწინ თ. მეშჩერსკისთან ვიყავი. ჩემი კარეტიდან ბალიშები მოუპარავთ. მაგრამ დათვის ტყავის სალიჩა დაუტოვებიათ, ეტყობა, ვერ მოასწრეს.

ვიღაც კარცოვმა 1814 წელს პარიზელი ქალია შეირთო, შემდეგ გაეყარა და ცალკე ცხოვრობდა. ამ დღეებში ყოფილ ცოლს სახლში მიუვარდა და ვერცხლეულით დატენილი დამბაჩა ხახაში დაახალა. კარცოვი დააპატიმრეს, ცოლი ჯერჯერობით ცოცხალია.

**2 აპრილი.** ამას წინათ (წინა ხუთშაბათს) თ. ნიკ. ტრუბეცკოისთან ვსადილობდი. აქ იყვნენ ვიაზემსკი, სოროკი და კუკოლნიკი (რომელიც პირველად ვნახე). მგონი, ძალიან წესიერი ახალგაზრდაა. ნიჭიერია თუ არა, არ ვიცი: ბოლომდე არ წამიკითხავს მისი „ტორკვატო ტასო" და არც მისი „უზენაესის ხელმა სამშობლო იხსნა" მინახავს etc. კარგი მუსიკოსია. ვიაზემსკიმ თქვა: იგი მუსიკაში იმდენ ტიტინებს, როგორც ლექსებში. კუკოლნიკი „ლიაპუნოვს" წერს. ხომიაკოვიც. მაგრამ კარგ ტრაგედიას ვერც ერთი ვერ შექმნის. ბარონ როზენი უფრო საშიშია.

გუშინწინ ინგლისურ კლუბში ახალ წევრებს ირჩევდნენ. სმირნოვი (ჩემი იუნკერი) გააშავეს; ზოგი ამბობს, — ეს იმიტომ, რომ იგი ეკსკულმა[1] ჩაწერაო; სხვები ფიქრობენ, რომ მის მოგვარე ბანქოს მოთამაშეში ეგონათო. არც ერთი მართალი არ არის. სმირნოვის არჩევა გვარდიის ზოგიერთ ოფიცერს არ უნდოდა, ისინი გადაკრულში იყვნენ და აურზაური ატეხეს. მაგრამ ბევრი სმირნოვს გამოესარჩლა. ლაპარაკობდნენ, რომ ამ ამბის შემდეგ არც ერთი წესიერი კაცი ახალი წევრის დასახელებას აღარ იკისრებს, რომ საერთო აზრს ანგარიში უნდა გაეწიოს და რომ ხელახალი კენჭისყრაა საჭირო. კანონი ამბობს: ერთხელ გაშავებულ კაცს უფლება აღარა აქვს ხელახლა იქნეს არჩეული. მაგრამ ყოფილან გამონაკლისებიც: გრ. ჩერნიშოვი (სამხ. მინისტრი) დ[illegible]ლიდკოვი (ობერ-პოლიცმაისტერი), რომლებიც მთავრობის სურვილით აირჩიეს, თუმცა პირველად უარყოფილნი იყვნენ. სმირნოვს კვლავ კენჭი უყარეს და იგი არჩეულ იქნა. ეს ამბავი პატივს დებს მას. ის არც მინისტრია, არც ობერ-პოლიცმაისტერი, ხოლო კერძო პირის მიმართ პატივისცემა სასიამოვნო უნდა იყოს ყველასთვის.

თავადი ოდოევსკი, ეკიმი გოვსკი, ზაიცევსკი და მე Conversation Lexikon-ის გამომცემლის სიიდან ამოგვშალეს: ჩვენმა შენიშვნებმა გაანაწყენა სხვები, მაგრამ პატიოსანი კაცი, ამბობს ოდოევსკი, შეიძლება ერთხელ მოტყუვდეს, მეორედ მხოლოდ ბრიყვი ტყუვდება. ლექსიკონი სხვა რა იქნება, თუ არა „Северная Пчела"-ს და „Библиотека чтения"-ს განმეორება ახალი წესითა და მოცულობით.

წინა კვირას სპერანსკისთან ვსადილობდი. მიამბო, როგორ განდევნეს 1812 წელს. პეტერბურგიდან ტიხვინას მიყრუებული გზით გააგზავნეს. გამცილებლად ახლდა პოლიციის მოხელე, კეთილი, მაგრამ ბრიყვი კაცი. ერთ-ერთ სადგურზე ცხენები რომ არ მისცეს, მოხელე მფარველობის სათხოვნელად პატიმართან მივიდა: — თქვენო მაღალაღმატებულებავ! შეგვიწყალეთ! გამოარჩიეთ დიდსულოვნება, ეს მუდრეგები ცხენებს არ გვაძლევენ.

სპერანსკი ჩემ ძალიან თავაზიანია. ველაპარაკებოდი ალექსანდრეს მეფობის მშვენიერ დასაწყისზე: თქვენ და არაკჩეევი, როგორც ბოროტებისა და სიკეთის გენიები, ამ მეფობის მოპირდაპირე კარებში დგახართ-მეთქი. პასუხად ის ქათინაურებს მეუბნებოდა და ჩვენი დროის ისტორიის დაწერას მირჩევდა.

7 აპრილი. „ტელეგრაფი" აკრძალეს. უვაროვმა ხელმწიფეს რამდენიმე თვის განმავლობაში შეგროვილი ამონაწერები აჩვენა. ისინი ჟურნალისადმი პოლევოის მიერ მიცემული მიმართულების არაკეთილგანზრახულებას ადასტურებდნენ (ამონაწერები, ბლუდოვის რჩევით, ბრიუნოვმა გააკეთა). ჟუკოვსკი ამბობს: — მიხარია, რომ „ტელეგრაფი" აკრძალულია, თუმცა ამასთან ვნანობ კიდეც. „ტელეგრაფი" ღირსია ამგვარი ხვედრისა. ძნელია ამაზე უტიფრად პოლიციის ცხვირწინ იაკობინელობა იქადაგო, მაგრამ პოლევოი პოლიციისგან განებივრებული იყო. მას შეეძლო პოლიცია დაერწმუნებინა, რომ მისი იაკობინელობა მხოლოდ ნიღაბია.

გუშინ გრ. ფიკელმონთან rout-ი იყო. S. არ ყოფილა.

თუმცა არ ყოფილა მთელი ქალაქიც.

---

[1] ეკსკული — იმდროის ინგლისური კლუბის წევრთა შორის ორი პიროვნება იყო ამ გვარისა: ბარონი კარლ ბორისის ძე ეკსკული და მისი ვაჟი ალექსანდრე. რომელს გულისხმობს პუშკინი, გაურკვეველია.

ჩემი „პიკის ქალი" დიდ მოდაშია. მოთამაშეები ფსონს სამიანზე, შვიდიანზე და ტუზზე ჩადიან. მეფის კარზე შენიშნეს მოხუცი გრაფის ქალისა და ნატალია პეტროვნას[1] მსგავსება. მგონი, არ ჯავრობენ...

გოგოლმა ჩემი რჩევით რუსული კრიტიკის ისტორიის წერა დაიწყო.

8 აპრილი. გუშინ rout-ი იყო თ. ოდოევსკისთან. ახსნა-განმარტება [illegible] K. [illegible] იყო გრ. ლ-ს ოჯახი, გრ. კ-ს, იდეალიზებული დედა. ახლა სასახლეში მივდივარ, დედოფალს უნდა წარვუდგე.

2 საათი. წარვსდექი. დედოფალს სამ საათს მაინც ველოდეთ. ოც კაცამდე ვიქნებოდით. პასკევიჩის ძმა, შერემეტიევი, ბოლხოვსკოი, ორი კორფი, ვოლხოვსკი და სხვები. სამში ბოლოს ვიყავი. დედოფალი სიცილით მომიახლოვდა: არა, ეს უმაგალითოა! მე თავს ვიმტვრევდი ფიქრით, რომელ პუშკინს წარმომიდგენდნენ. აღმოჩნდა, რომ ეს თქვენა ხართ!.. თქვენი ცოლი როგორ არის? დეიდამისი მოუთმენლად ელოდება, ჯანმრთელი იხილოს თავისი გულის რჩეული შვილი, თავისი შვილობილი... და გატრიალდა. დედოფალი ძალიან მიყვარს, მიუხედავად იმისა, რომ უკვე 35 წლისაა. ვგონებ, ოცდათექვსმეტისაც.

გამოვემშვიდობე ვოლხოვსკის, რომელიც ამ დღეებში საქართველოში მიემგზავრება. ბოლხოვსკოი მეუბნებოდა, რომ კოტლიარევსკის (გმირის) წერილის მიხედვით ვორონცოვს[2] ტყავი გააძვრეს. ის (ე. ი. ბ.) ძალიან ბოროტად, ცუდად ლაპარაკობს ოდესურ ყოფაზე, გრ. ვორონცოვზე, მის მაცდუნებელ კავშირზე ო. ნარიშკინასთან etc. etc. — ძალიან აქებს გრაფის მეუღლეს ვორონცოვას.

ამბობენ, ფინეთის თავადაზნაურობამ ბრინკენი ჩამოახრჩო, თუ ჩამოხრჩობას უპირებენო.

10 აპრილი. გუშინ საღამოს უვაროვთან ცოცხალი სურათები წარმოადგინეს. დიდხანს სიბნელეში ვისხედით. S. არ იყო — საშინლად მომეწყინა. სურათების შემდეგ ბალი, კადრილი და ცუდი ვახშამი.

სვინინი რუსეთის აკადემიას XVI საუკუნის მანუსკრიპტს სთავაზობს. უვაროვმა თქვა: უნდა შემოწმდეს, რაიმე სიყალბე არ იყოს. სვინინს შეუძლია, თავისი ბიჭების რვეულები ძველ ხელნაწერებად გაასაღოს.

ამბობენ, თითქოს პოლევოი საპყრობილეშია: რა სისულელეა!

11 აპრილი. ამ წუთას გრაფ სტროგანოვისგან „ფრანკფურტული ჟურნალის" ფურცელი მივიღე, სადაც შემდეგი სტატიაა დაბეჭდილი:

ს.-პეტერბურგი. 27 თებერვალი. ვარშავის აჯანყების დამარცხების შემდეგ პოლონური ემიგრაციის კორიფეები თავის გამოსვლებსა და წერილებში მეტისმეტად ხშირად გვამტკიცებდნენ, რომ თავიანთი ჯგუფების წინ წასაწევად და ადრინდელი მოქმედების გასამართლებლად ტყუილსა და ცილისწამებასაც არ ერიდებიან. ამიტომ მათი ცინიანი ურცხვობის ახალი მაგალითები არავის გააკვირვებს...

(საუბარია დღესასწაულზე, რომელიც ბრიუსელში პოლონელმა ემიგრანტებმა გამართეს, და ლელეველისა[3] და სხვათა მიერ წარმოთქმულ სიტყვებზე. დღესასწაული 14 დეკემბრის წლისთავზე მოეწყო).

...დაამახინჯა რა ამგვარადვე გასული საუკუნის ისტორია, რათა ის თავისი საქმის სასარგებლოდ აალაპარაკოს, ბატონი ლელეველი უახლეს ისტორიასაც ასევე უდიერად ეპყრობა. ამ მხრივ ის თანმიმდევრულად იქცევა.

ის თავისებურად გადმოგვცემს რუსეთში რევოლუციური მოძრაობის წინსვლასა და განვითარებას, მოჰყავს ჩვენი დროის ერთ-ერთი საუკეთესო რუსი პოეტის ციტატა, რათა

---

[1] გოლიცინა ნატალია პეტრეს ასული, თავადის ქალი (1741—1837), დიდი პატივისცემით სარგებლობდა მაღალ საზოგადოებაში, მის დღეობაზე მთელი სამეფო გვარი ცხადდებოდა. ვარაუდობენ, რომ „პიკის ქალში" მოხუცი გრაფის ქალის სახით პუშკინმა სწორედ ნ. პ. გოლიცინა გამოიყვანა.

[2] მიხეილ სემიონის ძე, გრაფი, შემდეგ თავადი; XIX საუკ. I ნახევრის გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე, ნოვოროსიის გენერალ-გუბერნატორი, მეფისნაცვალი ამიერკავკასიაში.

[3] ლელეველი იოაქიმ (1786—1861), პოლონელი ისტორიკოსი, აქტიურად მონაწილეობდა პოლონეთის 1830—1831 წლების აჯანყებაში.

მის მაგალითზე რუსი ახალგაზრდობის პოლიტიკური განწყობილება გვიჩვენის. არ ვიცით, მართლა შეთხზა თუ არა ა. პუშკინმა ლელეველის მიერ მოყვანილი სტრიქონები იმ დროს, როდესაც მისი საუცხოო სიჭი ჯერ კიდევ დუღდა და ქაფი მოცილებული არა ჰქონდა, მაგრამ შეგვიძლია დარწმუნებით ვთქვათ, რომ ის მით უფრო მოინანიებს თავის პირველ ცდებს პოეზიაში, რადგან საშუალება მისცეს მისი სამშობლოს მტერს აზრთა და მისწრაფებათა რაღაც შესატყვისობა აღმოეჩინა მათში. რაც შეეხება პუშკინის შეხედულებას პოლონეთის აჯანყებაზე, იგი გამოთქმულია პიესაში „რუსეთის ცილისმწამებლებს", რომელიც პუშკინმა თავის დროზე დაბეჭდა.

ვინაიდან ბატონი ლელეველი დაინტერესებულია „იმპერიის შორეულ მხარეებში გადასახლებული" პოეტის ბედით, ჩვეულებრივი, ბუნებრივი ადამიანური გრძნობა გვაიძულებს შევატყობინოთ მას, რომ პუშკინი... პეტერბურგშია, ამასთან აღვნიშნოთ, რომ მას ხშირად ხედავენ მეფის კარზე და თავისი ხელმწიფის წყალობითა და კეთილმოსურნეობით სარგებლობს...

**14.** აპრილი. გუშინ გაიმართა კონცერტი ღარიბებისათვის. კონცერტზე მეფის კარს 800 ადგილი და 2000 ბილეთი ჰქონდა!

აღშფოთებით ლაპარაკობენ ორ ბანოვანზე, რომელნიც მომავალი მეჯლისისათვის პეტერბურგის თავადაზნაურობის წარმომადგენლებად არიან არჩეულნი. ესენი გახლავან თავადის ქალი კ. თ. დოლგორუკოვა და გრაფის ქალი შუვალოვა. პირველი თ. პოტიომკინის ხასა და ყველა იტალიელი კასტრატის საყვარელია, მეორე კი პოლონელი გეგლუცია, ე. ი. ძალიან უხამსი ვინმე; უნდა ვაღიაროთ, რომ საზოგადოებრივ კეთილზნეობაში მოვიკოჭლებთ.

ხმა პოლეტიკის დაპატიმრებისა და პეტერბურგში ჩამოყვანის შესახებ დადასტურდა. ამბობენ, ერთი კვირის წინ ვიღაცას ქუჩაში შეხვედრია, ძალიან დარცხვენილი ყოფილა.

**16.** გუშინ ნატალია ნიკოლაევნა იჟორამდე გავაცილე. დაბრუნებულს, მაგიდაზე დამხვდა სათავადაზნაურო მეჯლისის მოსაწვევი და ბრძანება გრაფ ლიტასთან გამოცხადების თაობაზე. მივხვდი, რა საქმეზეც მიბარებდნენ — არც შაბათს — მწუხრის ლოცვაზე და არც ბზობის კვირას — წირვაზე სასახლის კარის ეკლესიაში არ გამოვცხადებულვარ. ასეც გამოდგა: ჟუკოვსკიმ გადმომცა, რომ ხელმწიფეს უკმაყოფილება გამოუთქვამს რამდენიმე კამერჰერისა და კამერ-იუნკერის გამოუცხადებლობის გამო: „თუკი ასე უძნელდებათ საკუთარი ვალდებულებების შესრულება, გამოვნახავ საშუალებას, რომ გავათავისუფლო". ლიტამ ამავე საკითხზე ქ. ა. ნარიშკინთან საუბარში გაცხარებულმა თქვა: ბოლოს და ბოლოს ხომ არსებობს განსაზღვრული წესები კამერჰერებისა და კამერ-იუნკერებისათვის. რაზედაც ნარიშკინმა მიუგო: — მაპატიეთ, მხოლოდ ფრეილინებისთვის (სიტყვების თამაში; სიტყვას regles ფრანგულად ორი მნიშვნელობა აქვს: წესები და მენსტრუაცია).

მაგრამ სასჯელის მისაღებად არ წავედი და ახსნა-განმარტება დავწერე.

ამბობენ, ამ დღეებში გამოვა ბრძანება რუსი ქვეშევრდომების საზღვარგარეთ ყოფნის უფლებათა გაუქმების შესახებ.

სუვოროვა, ვფიქრობ, უდროო დროსაა ორსულად. ცნობისმოყვარენი „ინვალიდის" მეშვეობით ცდილობენ მისი ქმრის პეტერბურგში ჩამოსვლის ვადის დადგენას. სუვოროვა მოსკოვს გაემგზავრა.

წმინდა კვირის ოთხშაბათი.

სრულწლოვანების დღესასწაული შედგა მე არ დავსწრებივარ. ეს იყო ერთდროულად სახელმწიფო და ოჯახური ზეიმი. დიდი მთავარი ძალიან აღელვებული იყო. ფიცი მტკიცე და მხიარული ხმით წარმოთქვა, მაგრამ როდესაც ლოცვა დაიწყო, გაჩერდა და ცრემლი მოერია. ხელმწიფეცა და დედოფალიც ტიროდნენ. ლოცვის დამთავრების შემდეგ მემკვიდრე მამამისს მივარდა და მოეხვია, მამამ შუბლზე, თვალებსა და ლოყებზე აკოცა და იმპერატრიცას მიჰგვარა. სამივენი აცრემლებულნი ერთმანეთს მოეხვივნენ. ფიცის დადება გიორგის დარბაზში დროშების ქვეშ პირველი ნაწილის განმეორება გამოდგა და საკმაოდ ცივად ჩატარდა. არაჩვეულებრივმა სანახაობამ ყველა აღაფრთოვანა, ბევრი ტიროდა, ვინც არ ტიროდა, თვალებს იწმენდა, რომ რამდენიმე კურცხალი მაინც გადმოეგდო. სასახლე ხალხით იყო სავსე. უნდა მენახა კატერინა ივანოვნა ზაგრიაჟსკაია. იმ იმედით, რომ არავინ შემხვდებოდა, მისკენ უკანა კიბით გავემურე, მაგრამ აქაც დიდი ჭყლეტა იყო. სასახლის კარის ხალხი აღშფოთებულია, ეკლესიაში რომ არ შეუშვეს, სადაც, როგორც ამბობენ, არავის უკრძალავდნენ შესვლას. საზეიმო შემთხვევებს თითქმის ყოველთვის ბევრი რამ სასაცილო

ახლავს იან. ფიცის დადების დროს ქადაგება ფილარეტმა შეადგინა. პარემიისთვის მან მეფეთა წიგნიდან ის თავი აირჩია, სადაც, სხვათა შორის, ნათქვამია, რომ მეფემ [illegible] ათასთავენი, ასისთავენი და საჭურისნი შეკრიბა. კ. ა. ნარიშკინმა თქვა, ეს არის [illegible] მიმართვა კამერპაჟებისადმიო. ქალაქში ხმა გავრცელდა, წარვისას საჭურისებზე [illegible]-ცონო. იძულებული იყვნენ საჭურისი სხვა სიტყვით შეეცვალათ.

წყალობათა ზღვაა. კოჩუბეის სახელმწიფო კანცლერობა უბოძეს.

მოკვდა მერდერი, კეთილი, პატიოსანი და შეუცვლელი კაცი. დიდ მთავარს ეს ამბავი ჯერ არ გაუგია, უმალავენ, რომ სიხარული არ ჩაუშხამონ. ამბობენ 28-ის მეჯლისის შემდეგ მოკვდა აგრეთვე არაკჩეევი. და ამ თვითმპყრობელის სიკვდილმა არავითარი შთაბეჭდილება არ მოახდინა. ნოვგოროდის გუბერნატორი პეტერბურგში ჩამოვიდა და ბლუდოვს სთხოვა, მისი ავადმყოფობა აცნობა, რათა გრაფის ქაღალდების თაობაზე ბრძანება მიეღო. „ეს ჩემი საქმე არაა, — უპასუხა ბლუდოვმა, — ბენკენდორფს მიმართეთ". კლეინმიხელი და იგნატიევი გრუზინოში გაგზავნეს.

პეტერბურგი სავსეა ცნობებითა და მითქმა-მოთქმით განვლილ დღესასწაულზე. ათასგვარ სისულელეს ლაპარაკობენ. ყველგან ერთი და იგივე გაისმის, მხოლოდ სმირნოვა დარჩა უჩვეულებრივად ხანდომიანი და გულგრილი ამ ფუსფუსის მიმართ. ღმერთმა ქნას, მშვიდობიანად ამშობიაროს, მეშინია კი მის გამო.

3 მაისი. გასული აპრილის 28-ს დიდი მთავრის სრულწლოვანების აღსანიშნავად თავადაზნაურობის მიერ განზრახული მეჯლისი, როგორც იქნა, გაიმართა. ამბობენ, ძალიან კარგი გამოვიდაო. წასვლის ხანს ჩოჩქოლი არ ამტყდარა, არც დიდძალი ხალხით გატენილ ვიწრო ქუჩაზე მომხდარა უბედური შემთხვევა.

მეფე ცარსკოე სელოში გაემგზავრა.

მერდერი იტალიაში გარდაიცვალა. მაგრამ დიდი მთავრისთვის, რომელსაც იგი ძალიან უყვარდა, მეჯლისამდე არაფერი უთქვამთ.

გამოვიდა ბრძანება უცხოეთში მყოფი რუსი ქვეშევრდომების შესახებ. ესაა პეტრე III-ის მიერ თავადაზნაურობისათვის ნაბოძები უფლების აშკარა დარღვევა; მაგრამ რაკი გამონაკლისებიც დაშვებულია, ეს იქნება ერთ-ერთი იმ მრავალრიცხოვან ფუჭ ღონისძიებათაგან, რომლებსაც გონიერი ხალხის გულსატკენად და მთავრობის საზიანოდ ყოველდღიურად იღებენ.

1 მაისს უამინდობის გამო სეირნობა არ შედგა — ათამდე ეკიპაჟი იყო. გრაფის ქალი ხრეპტოვიჩი მაინც წალასლასდა. ეცოტავება ფუქსავატობა.

მოხდა უბედურება: რაღაც ხის კოშკი, მილორადოვიჩის წამოწყებათა ძეგლი ეკატერინგოფში, ჩამოინგრა და რამდენიმე კაცი დამარხა. აი, ეკატერინგოფის კარის წარწერა:

Хвостовым некогда воспетая дыра!
Провозглашаешь ты природы
русской скупость.
Самодержавие Петра
И Милорадовича глупость.

გოგოლმა დაშკოვთან თავისი კომედია წაიკითხა, დაშკოვი საღამოზე ვიაზემსკის იწვევდა და ბარათში სწერდა: **მოლიერმა ტარტიუფთან ერთად თავისი როლი ითამაშოს და, რაც მთავარია, ლამბერმა მე მომცა სიტყვა.**

ვიაზემსკიმ უპასუხა:

ეს როგორ! გრაფი ლამბერი თუ იქნება, ამასთან მისი ცოლიც, მაშინ ლავალსაც უხმეთ.

ლიფლანდიის თავადაზნაურობამ ბრინკენის გასამართლებაზე უარი განაცხადა, რადგან ის პეტერბურგის კორპუსში გაიზარდა. ესეც შენ ბრაწი, ახია.

10 მაისი. რამდენიმე დღის წინ ცარსკოე სელოდან ჟუკოვსკის პატარა ბარათი მივიღე. შემატყობინა, შენი ერთ-ერთი წერილი ქალაქში გავრცელებულა და მას ხელმწიფეც მელაპარაკაო. ჩემი ფიქრით, საქმე ეხებოდა უწმაწურ ლექსებს, რომელთაც ხალხი მოწყალედ მე მაწერდა. მაგრამ სხვა რამ გამოდგა. მოსკოვის ფოსტამ გახსნა ჩემი წერილი ნატალია ნიკოლაევნასადმი, რომელშიაც, ეტყობა, არაოფიციალური სტილით დიდი მთა-

ერის მიერ ფილის დიდების ცერემონიალი იყო აღწერილი, და ყველაფერი პოლიციას მოახსენა. პოლიციამ ვერ გაიგო და წერილი ხელმწიფეს წარუდგინა. თავდაპირველად მანაც ვერაფერი გაიგო. საბედნიეროდ წერილი ჟუკოვსკის აჩვენეს, რომელმაც ახსნა იგი. ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა. ხელმწიფეს ხელს არ აძლევდა, რომ ჩემს კამერიუნკერობაზე სხვაგვარად შემეხედა, თუ არა მადლიერების გრძნობით. შემიძლია ვიყო ქვეშევრდომი, მონაც კი, მაგრამ მასხარა მაღალზეციერთანაც არ ვიქნები. მაგრამ რა უზნეო ჩვეულებებია ჩვენს მთავრობაში! პოლიცია ხსნის ქმრის წერილს ცოლისადმი და წასაკითხად აჩვენებს მეფეს (ზრდილ, წესიერ კაცს), მეფეს ამის აღიარება არ ერცხვინება, და, ვიდოკისა და ბულგარინის რომ ეკადრება, ისეთ ინტრიგას უწყობს ხელს! რაც გინდა თქვი: ძნელია — იყო თვითმპყრობელი.

12. გუშინ პარადი იყო, რომელიც რატომღაც კარგი ვერ გამოვიდა. ხელმწიფემ მემკვიდრე სასახლის აუმტვახტში ჩასვა, რადგან ჩორთის ნაცვლად ცხენს ოთხით მიაჭენებდა.

გასული მეფობის დროს არაკჩეევმა გრუზინოსთვის მაიორატობა გამოითხოვა, რითაც უფლება მიიღო თვით აერჩია საკუთარი მემკვიდრე, ხოლო თუ მოულოდნელად გარდაიცვლებოდა, ამ საქმის გადაწყვეტას ხელმწიფეს ანდობდა. მაგრამ არაკჩეევი ისე მოკვდა, ანდერძი არ დაუწერია, არც ზიარება მიუღია, რადგან ეგონა, უსათუოდ 30 აგვისტომდე, ალექსანდრეს სვეტის გახსნის დღემდე იცოცხლებდა. ხელმწიფემ გრაფ არაკჩეევის მემკვიდრედ ნოვგოროდის კადეტთა კორპუსი დანიშნა და ბრძანა, ამ კორპუსს არაკჩეევის სახელი ეწოდოს.

21. გუშინ პოლეტიკასა, ველგორსკისა და ჟუკოვსკისთან ერთად სპერანსკისთან ვსადილობდი. საუბარი ეკატერინეზე ჩამოვარდა. პოლეტიკამ რამდენიმე ანეკდოტი გვიამბო. ვინმე ჩერტკოვი[1], სასტიკი, მაგრამ მერყევი ბუნების კაცი, ერთხელ სასახლეში ყოფილა. ზუბოვი მისულა მასთან და უთქვამს: „ოჰ, ჩემო ლამაზო!" ჩერტკოვი ძალზე შეუხედავი გახლდათ. იგი გაბრაზებულა და ზუბოვისთვის მიუმართავს: „ბატონო, მე ჩემი გარეგნობით ფორტუნას არ დავეძებ". ყველა გაჩუმდა. ეკატერინემ, იქვე მანქოს რომ თამაშობდა, ზუბოვს უთხრა: „თქვენ არ გემახსოვრებათ ესა და ეს კაცი (ჩერტკოვის სახელი და მამის სახელი ახსენა). მე კი მახსოვს და შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ ის საკმაოდ ლამაზი იყო".

ეკატერინეს მეფობის დასასრული გულისამრევი იყო. კონსტანტინე ირწმუნებოდა, რომ ერთხელ თავრიზის სასახლეში თავის მოხუც ბებიას გრაფ ზუბოვთან წაუსწრო. ყველანი აღშფოთებულნი იყვნენ, მაგრამ აი გამეფდა პავლე და აღშფოთებამაც იმატა. Laharpe ახალგაზრდა დიდი მთავრის (ალექსანდრეს) წერილებს მიჩვენებდა, სადაც ეს გრძნობა განსაკუთრებით ძლიერად იყო გამოხატული. მინახავს მისი წერილები ლანჟერონისადმიც, სადაც იგი ასევე გულახდილად ლაპარაკობს. ერთმა ფრაზამ გამაოცა: — მე თქვენ ცოტას და იშვიათად გწერთ, იმიტომ რომ ცულის ქვეშ ვარ.

ლანჟერონი მაშინ უკმაყოფილო იყო და მითხრა: — აი, რას მწერდა; როგორც მეგობარს, ისე მეპყრობოდა; ყველაფერში მენდობოდა; — მეც მისი ერთგული ვიყავი. მაგრამ ახლა, მართალი გითხრათ, ვცდილობ როგორმე თავი დავიხსნა.

ალექსანდრეს ბევრი ბავშვური თვისება ჰქონდა. ერთხელ ლაგარპისათვის მიუწერია: როგორც კი ჩემს ქვეყანას თავისუფლებასა და კონსტიტუციას მივცემ, ტახტზე ხელს ავიღებ და ამერიკაში გადავსახლდებიო. პოლეტიკამ თქვა: იმპერატორი ნიკოლოზი უფრო დადებითია, მართალია, მასაც, ისევე როგორც მის ძმას, აქვს ცრუ შეხედულებანი, მაგრამ ის ნაკლებ ფანტასტიკურია. ვიღაცამ ხელმწიფეზე თქვა: — მასში ძალიან ბევრია პრაპორშჩიკისა და ძალიან ცოტა პეტრე დიდისა.

2 ივნისი. ქალაქში ბევრს ლაპარაკობენ დერემზე, რომელიც მინისტრად დანიშნეს ლონდონში, როგორც გოროდნიჩის ცოლები ამბობენ. ეს დიპლომატიური იჭვებია, ინგლისს ჩვენთან ელჩი არ გამოუგზავნია: ჩვენ ლივენი გამოვიწვიეთ. ბლაი უკმაყოფილოა. ის ამბობს — მაგრამ დერემი ხომ სავსებით ახალგაზრდა კაცია, ე. ი. ძუძუმწოვარაა. ხელმწიფეს კანინგის (strangford) მიღება არ უნდოდა, რადგან დიდ მთავრად ყოფნის დროს მასთან რაღაც უსიამოვნება მოსვლია.

[1] „ვინმე ჩერტკოვი"—ევგრაფ ალექსანდრეს ძე ჩერტკოვმა ხელი შეუწყო ეკატერინე II გამეფებას.

26 მაისს ვემზე ვიყავი, მეშჩერსკებს გავეცალე, რომლებიც იტალიაში გაემგზავრნენ.

მეორე დღეს დიდი თავადის ქალს წარვუდექი, რვანი ვიყავით. სხვათა შორის, იყო კრასოვსკი [1] (მშვენიერი ცენზორია).

დიდმა თავადის ქალმა მკითხა: ყველაფერს წაიკითხავ, რაც კი დღის პერიოდიკაში [illegible], ალბათ მოსაწყენი მოვალეობაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიახ, თქვენო საიმპერატორო უმაღლესობავ, — ვუპასუხე მას, — თანამედროვე ლიტერატურა ისეთი საძაგლობაა, რომ მისი წაკითხვა მართლაც, წამებაა.

დიდი თავადის ქალი სასწრაფოდ გამორდა, მელაპარაკა პუგაჩოვის შესახებ. გუშინ კატერინა ანდრეევნასთან გაიმართა საღამო, ტაიცემი მიემგზავრება. ტაიცი ოდესღაც ჩემი პაპის მამას ჰანიბალს ეკუთვნოდა. კატერინა ანდრეევნასთან იყვნენ ვიაზემსკი, ჟუკოვსკი და პოლეტიკა. ძალიან მიყვარს პოლეტიკა. ბევრი ვისაუბრეთ პავლე I-ზე, ჩვენს რომანტიკოს იმპერატორზე.

3 ივნისს მე, ჟუკოვსკიმ, დავიდოვმა და კისელიოვმა ვიაზემსკისთან ვისადილეთ. ბევრი ვილაპარაკეთ ვლახეთში მის მმართველობაზე. შესაძლოა ის ყველაზე თვალსაჩინო კაცი იყოს ჩვენს სახელმწიფო მოღვაწეთა შორის დიდ შარლატანთან, ერმოლოვთან ერთად.

ხელმწიფენი პეტერგოფს გაემგზავრნენ.

საღამო ხმირს. — თან; ვითამაშე, 1200 მანეთი მოვიგე.

გენერალ ბოლხოვსკოის უნდოდა ჩანაწერები ჰქონოდა (დაიწყო კიდეც წერა, ოდესღაც, ჩემი კიშინიოვში ყოფნის დროს, მაკითხავდა). კისელიოვმა ჰკითხა: „მაპატიე! მაგრამ რაზე უნდა წერო? რა გინახავს?“ — „რა მინახავს? — შეეპასუხა ბოლხოვსკოი. — მე ისეთი რამეები მინახავს, რომელზედაც არავის წარმოდგენა არა აქვს. დავიწყოთ თუნდაც იმით, რომ დედოფლის შიშველი... მინახავს (ეკატერინე II-ისა, მისი სიკვდილის დღეს)“.

გრ. ფიკელმონი ძლიერ ავადაა. მისი ოჯახი ძალიან შეწუხებულია. Elisa მახითლა ცოცხლობს.

19-ში ნაშჩოკინს 1000 მანეთი გავუგზავნე. მადლობა ღმერთს, მისი შვილის სიკვდილის ამბავი მართალი არ გამოდგა.

ორი კვირის წინ მივიღე ცნობა თ. კოჩუბეის სიკვდილის შესახებ. ამ ამბავმა დიდი ზემოქმედება მოახდინა; ხელმწიფე დადარდიანდა, ახალმა მინისტრებმა თავები ჩაკიდეს. თითქოსდა ამ არარაობის სიკვდილს საქმეთა მსვლელობაში ცვლილება არ უნდა გამოეწვია, მაგრამ რუსეთი სახელმწიფო ადამიანებით იმდენად ღარიბაა, რომ კოჩუბეის შემცვლელიც არავისაა! აი, აზრი მის შესახებ: მას ჰქონდა უმაღლესი ღონის შემრიგებლური ჭკუა; მასავით კარგად არავის შეეძლო რაიმე საკითხის გადაწყვეტა, ანდა მხარეების შეთანხმება-მორიგება.

უმისოდ საბჭოს სხდომა ლაშის ჩხუბად იქცეოდა, ამიტომ იძულებული იყვნენ ავადმყოფიც მოეწვიათ, რომ მის დასწრებას მღელვარება დაეცხრო. საქმე ისაა, რომ იგი ძალიან ზრდილი კაცი იყო, რაც ჩვენში იშვიათი შემთხვევაა. ამისთვისაც მადლობა გვეთქმის. კოჩუბეიზე ნათქვამია:

Под камнем сим лежит граф
Виктор Кочубей.
Что в жизни доброго он сделал
для людей,
Не знаю, чорт меня убей.

თანახმა ვარ; მაგრამ ეპიგრამას მე მომაწერენ და მთავრობა ისევ განაწყენდება ჩემზე.

აქაა პრუსიის კრონპრინცი,[2] თან ახლავს მეუღლე, რომელიც პეტერგოფის გზაზე გაისეირნეს და თვალები ასტკივდა.

22 ივლისი. გასული თვე ძალიან შფოთიანი იყო. კინაღამ სასახლის კარს წავეჩხუბე, მაგრამ ყველაფერი კარგად დამთავრდა. თუმცა ვფიქრობ, ეს მაინც არ შემრჩება.

---

[1] კრასოვსკი ალექსანდრე ივანეს ძე (1780—1857). ცენზორი, 1832 წლიდან საგარეო ცენზურის კომიტეტის თავმჯდომარე.

[2] პრუსიის კრონპრინცი — ფრიდრიხ-ვილჰელმი (1795—1861). მეფე ფრიდრიხ-ვილჰელმ III უფროსი ვაჟი, რუსეთის იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასულის უფროსი ძმა.

მარშალი მეზონი მანევრების დროს ცხენიდან გადმოვარდა და კინაღამ [illegible] პოლკმა გაჭყლიტა. არნტმა[1] თქვა, რომ საშიში არაფერია. აუსტერლიცთან მან [illegible]-დები აიცხა, ვალს გადახდა უნდა.

ერთადერთი კერძო ბინა კრემლში თ. ტრუბეცკოის ეკუთვნოდა. ეკატერინემ [illegible] იგი და შიგ სენატი შეასახლა.

9 აგვ. პავლეს მეფობის დასასრულს ტროშჩინსკი შერისხეს. სამსახურიდან გაძევებული, სოფელში წასვლას ითხოვდა. ჯიბრზე ხელმწიფემ ქალაქიდან გასვლა აუკრძალა. ტროშჩინსკი პეტერბურგში დარჩა, არსად არ დადიოდა, იჯდა სახლში, ადრე დგებოდა და ადრე წვებოდა. ერთხელ, ღამის 2 საათზე მის ჭიშკარს ფელდიეგერი მიადგა. კარი ჩაკეტილი იყო. მთელ სახლს ეძინა. ფელდიეგერი აკაკუნებდა, მაგრამ ამაოდ. ბოლოს ფელდიეგერმა ვამდნარ თოვლში ქვა იპოვა და ფანჯარას ესროლა. სახლში გაიღვიძეს, ჭიშკარი გააღეს — სასწრაფოდ მძინარე ტროშჩინსკის მიცვივდნენ და უთხრეს, რომ ხელმწიფე იბარებდა—წასაყვანად ფელდიეგერი იყო მოსული. ტროშჩინსკი დგება, იცვამს, ჯდება მარხილში და მიემგზავრება. ფელდიეგერს იგი პირდაპირ ზამთრის სასახლეში მიჰყავს. ტროშჩინსკის ვერ გაუგია, რა ხდება მის თავს. ბოლოს ხედავს, რომ დიდი მთავრის ალექსანდრეს სამყოფელში მიჰყავთ. მხოლოდ ახლადა მიხვდა, რომ სახელმწიფოში რაღაც ცვლილება მოხდა. კაბინეტთან პანინი დახვდა, მოეხვია და ახალი იმპერატორის გამეფება მიულოცა. ტროშჩინსკიმ ხელმწიფე მუნდირში გამოწყობილი ნახა, მაგიდას დაყრდნობოდა და ტიროდა. ტროშჩინსკი რომ დაინახა, კისერზე ჩამოეკიდა და უთხრა: — იყავი ჩემი ხელმძღვანელი. ამავე წუთს დაწერეს მანიფესტი და მეფემ, რომელსაც არაფრის თავი არა ჰქონდა, მას ხელი მოაწერა.

28 ნოემბერი. სამი თვის განმავლობაში არაფერი ჩამიწერია. აქ არ ვიყავი — ალექსანდრეს სვეტის გახსნამდე 5 დღით ადრე პეტერბურგიდან წავედი, რომ ჩემს ამხანაგებთან, კამერ-იუნკრებთან, ერთად ცერემონიალს არ დავსწრებოდი. რამდენიმე საათი მოსკოვში დავყავი — ვნახე ა. რაევსკი[2], რომელიც რევმატიზმისაგან საკმაოდ გასულელებული მეჩვენა. შეიძლება განიკურნოს შემდეგ ფოსტის ცხენებით (მხასური არ ვიახლე) კალუგას გავემგზავრე. ტარუტინოში მთვრალმა მეეტლეებმა კინაღამ მომკლეს. მაგრამ ყველას თავისი ადგილი მივუჩინე. სადაური ყმაწვილები ხართ? — მეუბნებოდნენ ისინი. — თავისუფლება მოგვეცა და ჩვენ სამარცხვინოდ ... სვეტიც ააგეს. გრაფ რუმიანცოვს სულაც არ ემადლიერებიან მასი ქვეყნისთვის და ამტკიცებენ, უკეთესი იქნებოდა, თუ ეკლესიას ააგებდათ. ამ აზრს მეც ვიზიარებ. ეკლესია და მასთან სკოლა უფრო სასარგებლოა, ვიდრე არწივიანი სვეტი გრძელი წარწერით, რომელსაც კიდევ კარგა ხანს ვერ გაიგებს ჩვენი წერა-კითხვის უცოდინარი გლეხი. ზავოდში[3] ორი კვირა ვიცხოვრე, შემდეგ ნატალია ნიკოლაევნა მოსკოვში ჩამოვიყვანე, მე კი ნიჟეგოროდის სოფელში[4] გავემგზავრე. მოურავები თვალს მიხვევდნენ და მეც, მგონი საკმაოდ უხეიროდ, ვთვალთმაქცობდი. 15 ოქტომბერს პეტერბურგში დავბრუნდი, „პუგაჩოვი" დაიბეჭდა. ველოდებით მეფის ჩამოსვლას პრუსიიდან. სადამის ჩამოვიდა. დილას მთავარმა, მიხეილ პავლოვიჩმა ეს ამბავი ბუტურლინის მეჯლისზე გვამცნო, მეჯლისი მხიარული იყო. 3 საათზე დავიშალეთ.

5 დეკემბერი. სვალ სასახლეში უნდა გამოვცხადდე. მუნდირი ჯერ კიდევ არა მაქვს არაფრის გულისთვის არ წარვსდგები კამერ-იუნკრებთან, 18 წლის ლაწირაკებთან ერთად. მეფე გაბრაზდება, მაგრამ რა ვქნა? მანამდე კი, მოდი, ენა მოვიფხანოთ.

წელს, მოსკოვში ყოფნისას, ბევრი თავშესაქცევი ამბავი მოხდა. მოსკოვი თუმცა ის

---

[1] არნტი — უფრო სწორია „არენდტი", ნიკოლოზ თევდორეს ძე (1785—1859), ცნობილი ექიმი, ნიკოლოზ I ლეიბ-მედიკოსი. დიდი პოპულარობით სარგებლობდა საზოგადოებაში. მკურნალობდა სასიკვდილოდ დაჭრილ პუშკინს.

[2] რაევსკი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე (1795—1868), ცნობილი გენერლის, 1812 წლის გმირის ნ. ნ. რაევსკის უფროსი ვაჟი. დიდ გავლენას ახდენდა პუშკინზე. პოეტის ცნობილ ლექსში „დემონი", თანამედროვენი დემონში ა. რაევსკის სცნობდნენ.

[3] ზავოდი — გონჩაროვების მამული კალუგის გუბერნიაში.

[4] ნიჟეგოროდის სოფელი — სოფელი ბოლდინო ნიჟნი-ნოვგოროდის გუბერნიაში, პუშკინების საგვარეულო მამული.

აღარაა, რაც უწინ იყო, მაგრამ ბოიარული ავხორცობა (des velleités d'Aristokratie)[1], ისევ გრძნულდება. მეფეს არ ეცალა ბევრი სენატორებისათვის, რომლებმაც [illegible] ლი ბრიგადირები შესცვალეს; ისინი ბუზღუნებდნენ, როდესაც მეფე ახალგაზრდა თავადის ასულს, დოლგორუკოვას ეარშიყებოდა (საშკა ბულგაკოვის შვილს! — [illegible] ამბობდნენ უკმაყოფილონი).

ერთხელ მეფე კულისებში ავიდა და მოსკოველ მსახიობ ქალებს სცენაზე ელაპარაკა; ხალხს არც ეს ამბავი მოეწონა. მეფის მოსკოვში ყოფნის დროს დაიჭირეს შფოთის ამტეხნი. თავადმა მ. გოლიცინმა პოლიციის მეებრის მოვალეობა იკისრა, ურიახავით მოქმედებდა და სხვ. რომელ საუკუნეში ვცხოვრობთ! ნიჟნი-ნოვგოროდში მეფე ძალიან მკაცრად მოეპყრო თავადაზნაურობას, რომელიც შეშინდა, თუმცა თვითონაც არ იცოდა, რატომ (არც მე ვიცი).

გუშინ ლეკსთან ვიყავი. ჯერ კიდევ 1821 წელს გავიცანი კიშინიოვში. მახსოვს, საწოლი არ ჰქონდა, ვიღაც მოხელესთან ერთად ტყაპუჭში გადაიხურავდა და ისე ეძინა. მე პირველმა ვუთხარი ინზოვს, რომ ლეკსი ჭკვიანი და საქმიანი კაცია.

იმავე დღეს სალტიკოვთან მეჯლისი იყო. NN-მა თქვა: აი, ქალბატონი ერმოლოვა, ჭუჭყიანი (ლასალ). სიტყვების გადაუთარგმნელი თამაში: „la sale" ფრანგულად — ჭუჭყიანი, ისევე გამოითქმის, როგორც Lassale, გვარი ლასალ (ფრანგ.). ერმოლოვა და კურაკინი. გენ. მორონ ქალიშვილი, ყველაზე ცუდად იცვამენ.

6-ში არ წავედი სასახლეში, ავადმყოფობა მოვიმიზეზე. მეფეს თურმე ვალდეგვერის თუ ბარანტის გამოგზავნა უნდოდა ჩემს წასაყვანად.

**18 დეკ.** გუშინწინ, როგორც იქნა, გამოვცხადდი ანიჩკოვში. მომავალი ვალტერ-სკოტის სასარგებლოდ ყველაფერს დაწვრილებით აღვწერ.

დილაადრიან კარის ლაქიამ მოწვევა მომართვა: $8^1/_2$ მე მუნდირის ფრაკში, ხოლო ნატალია ნიკოლაევნა ჩვეულებრივად გამოწყობილი, ანიჩკოვში უნდა ვყოფილიყავით.

9 საათზე მივედით. კიბეზე მოხუცი გრაფის ასული ბობრინსკაია შემეხვდა, რომელიც ჩემი გულისთვის ხშირად ტყუის, რათა როგორმე უსიამოვნება აგვარიდოს. მან შენიშნა, რომ სამკუთხა ბლიუმაჟიანი ქუდი მეხურა (რაც ფორმას არ შეეფერება: ანიჩკოვში მრგვალი ქუდებით დადიან, მაგრამ ჯერ ხომ სხვა ხარ?). სტუმრები უკვე შეკრებილიყვნენ, მეჯლისი კონტრდანსებით დაიწყო. დედოფალი თეთრ სამოსში იყო და ფირუზით მოჭედილი თავსამკაული ეხურა; ხელმწიფე კი კავალერგარდის მუნდირში გამოწყობილიყო. დედოფალი ძალიან დამშვენდა. გრაფმა ბობრინსკიმ ჩემი სამკუთხა ქუდი შეამჩნია და ბრძანა მრგვალი მოეტანათ. მომცეს ქუდი, მაგრამ პომადით ისე იყო გაქონილი, რომ ხელთათმანები დამისვრილდა და გამიყვითლდა. — საერთოდ კი მეჯლისი მომეწონა. ხელმწიფე ძალიან უბრალოა, შინაურული. აქვე იყვნენ კენინგისა და ველინგტონის ახალგაზრდა ვაჟები. დურონს ჰკითხეს, თუ როგორ მოსწონს მეჯლისი. — მომწყინდა. — უპასუხა მან. — რატომ? აქ ყველა ფეხზე დგას, მე კი ჯდომა მიყვარს. ლენსკის მიცკევიჩზე ჩამოვუგდე სიტყვა, და შემდეგ პოლონეთზე ვესაუბრებოდი, მან სიტყვა შემაწყვეტინა და მითხრა: ჩემო ძვირფასო მეგობარო, აქ პოლონეთზე ლაპარაკის ადგილი არაა, ნეიტრალური მიწა ავირჩიოთ, თუნდაც ავსტრიის ელჩთან.

მეჯლისი $1^1/_2$-ზე დამთავრდა.

დილით სასახლის ბაღში დიდი მთავარი შემხვდა. აქ მარტო რას ფილოსოფოსობ? — ვსეირნობ. — ერთად ვიაროთ. ქალებზე ვლაპარაკდით — ნათესავებს არ გაეხართ, თქვენს ოჯახში მამაკაცები ადრე ქაჩლდებიან. — ხელმწიფე ალექსანდრე და კონსტანტინ პავლოვიჩი ასე ადრე იმიტომ გაქაჩლდნენ, რომ მამაჩემის დროს თმას იპუდრავდნენ და მერე ივარცხნიდნენ ხოლმე; სიცივეში ქონი იყინებოდა და თმა ცვიოდა. ახალი კალამბურები ხომ არ იცით? — ვიცი, მაგრამ არც ერთი არ ვარგა, თქვენს უმაღლესობას ვერ ვკადრებ. — არც მე ვიცი; გავიგონე. დიდი მთავარი ხიდამდე მივაცილე და გამოვეთხოვე (ალბათ ეთიკეტის საწინააღმდეგოდ).

გუშინ (17-ში) ხილამო 5-თან. ნარიშკინს რუს თავადაზნაურობაზე, გერბებსა და პეტრე I-ის ოჯახობაზე ვესაუბრე etc. ჩვენი გერბები ძალიან ახალია. ამიტომაა, რომ თავადების, კიაზემსკებისა და რჟევსკების გერბებზე ზარბაზანია გამოსახული. ბევრ ჩვენს ძველ თავადს გერბი არა აქვს.

---

[1] არისტოკრატიული პრანჭვა-გრეხა (ფრანგ.).

22 დეკემბერი, შაბათი. თიზენჰაუზენის ხიტროვოსთან ვიყავი. დიდ მთავართან ხანგრძლივი საუბარი მქონდა. ჟურნალებით დავიწყეთ. — წარმოგიდგენია, რა სისულელე დაბეჭდეს „Северная Пчела"-ში; საქმე ეხება ხელმწიფის ყოფნას მოსკოვში. „Пчела" ამბობს: „ხელმწიფე იმპერატორმა ტაძრებს ჩამოუარა, სასახლეში დაბრუნდა და თავისი წითელი მარშლობიდან ხალხს მდაბლად (მდაბლად!) დაუკრა თავი". მაგრამ ეს როდი იკმარა ჟურნალისტმა, იგი განაგრძობს: „რა მომხიბლავი სანახავი იყო დიდი ხელმწიფე, მოსკოველ მოქალაქეთა წინაშე თავდახრილი"! — არ დაგავიწყდეს „Пчела"-ს მედუქნეები კითხულობენ. მართალია დიდი მთავარი, ჟურნალისტი კი, რასაკვირველია, სულელი. შემდეგ თავადაზნაურობაზე ვისაუბრეთ. დიდი მთავარი ეწინააღმდეგებოდა საპატიო მოქალაქეობის დადგენებას. დამსახურებას წინ რატომ უნდა ელუდგეს პატივმოყვარეობის უმაღლესი მიზანი? რა საჭიროა tiersétat[1], ამბოხებათა და ოპოზიციათა მუდმივი სტიქიის შექმნა? მე შევამჩნიე, რომ სახელმწიფოში თავადაზნაურობა ან სულაც არ უნდა იყოს, თუ იქნება, უნდა დაიცვან და ვერავინ შეახოს ხელი, თუ არ ხელმწიფის პირადი სურვილით. თუ თავადაზნაურად გახდომა ისევე იქნება შესაძლებელი, როგორც ვთქვით, ჩინის მომატება სამსახურეობრივი წესით და არა მარტოოდენ ხელმწიფის ნებით, სულ მალე თავადაზნაურობა ან სულ არ იარსებებს ან ყველა თავადაზნაური გახდება (რაც ერთი და იგივეა). რაც შეეხება tiersétat[1], რაღას ნიშნავს ჩვენი ძველი თავადაზნაურობა, გაუთავებელი დანაწილებისაგან განადგურებული მამულებით, განათლებით, არისტოკრატიისადმი ზიზღითა და ძალაუფლებისა და სიმდიდრის მისწრაფებით? ამბოხებების ასეთი საშინელი სტიქია ევროპაშიც არ არის. ვინ იყო 14 დეკემბერს მოედანზე? მხოლოდ თავადაზნაურობა. რამდენი იქნებიან ისინი ახალი აჯანყების დროს? არ ვიცი, მაგრამ, მგონი, საკმაოდ ბევრი. ძველ თავადაზნაურობაზე საუბრისას მე ვთქვი: ჩვენ იმთავითვე კარგი თავადები ვართ, როგორც იმპერატორი და თქვენ... ა. შ.

დიდი მთავარი ძალიან თავაზიანი და გულახდილი იყო. — თქვენი ოჯახის ჭეშმარიტი წარმომადგენელი ბრძანდებით. ყველა რომანოვი რევოლუციონერი და გამთანასწორებელია, — ვუთხარი მას.

მადლობთ: ე. ი. შენ იაკობინელად შემრაცხე! დიდი მადლობა, აი, რეპუტაცია, რომელიც მაკლდა.

საუბარი მისი უმაღლესობის საყვარელ საგანს, აღზრდას შეეხო. მე ბევრის თქმა მოვასწარი. ღმერთმა ქნას, ჩემმა სიტყვებმა თუნდაც პაწაწინა მარცვალი დათესონ სიკეთისა.

ცენზორი ნიკიტენკო დაპატიმრებულია და, რა შემთხვევის გამო: დელარიუმ სმირდინის „ბიბლიოთეკაში" ვ. ჰიუგოს ოდის თარგმანი დაბეჭდა, რომელშიც ასეთი ღრმა აზრია გატარებული: ღმერთი რომ ვიყო, მთელ ჩემს სამოთხეს და ანგელოზებს — ქალწულის ან ბლოის ერთ კოცნაში მივცემდით. მიტროპოლიტი (რომელიც მოცლილია, ჩვენი სინოდელი იკითხოს) ხელმწიფესთან ჩივის, მართლმადიდებლობა დაეცემა დელარიუსა და სმირდინის თავდასხმებისგანო. ერთი ვაი-უშველებელი ატყდა. კრილოვმა ძალიან კარგად თქვა:

Мой друг! когда бы был ты бог,
То глупости такой сказать бы ты
не мог.

ეს იგივეა, მიიხრა მან, ვთქვათ, მე რომ დამეწერა: არქიელი რომ ვყოფილიყავი, ჩემს სამოსელში ფრანგული კადრილის საცეკვაოდ წავიდოდი. ყველაფერში კი გლინკაა (თევდორე) დამნაშავე. მისი გამჟღავნული ფსალმუნის შემდეგ, სადაც მან ღმერთი ღვინის დაყიდოვის ენაზე აალაპარაკა, ცენზორმა იფიქრა, რომ მან თავი აიმაღლა...

— გლინკას ფსალმუნი ძალიან სასაცილოა.

## 1835

8 იანვარი. ახალი წელი ჭორებით დავიწყეთ, საბედნიეროდ...

ბრილიანტები და მეგობრების თვლები ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ მცირედ ფასობდნენ. ახლა არავის სჭირდებოდა. მოსკოვის ლომბარდში დაგირავებული ნატალია ნიკოლაევნას

[1] მესამე წოდება (ფრანგ.).

ბრილიანტები გამოიცვლიდე და, რადგან უარი უთქვამთ მათ გაყიდვაზე ნაღდის ფასად, იძულებული ვყოფილვარ კერძო პირთან გადამეცვალებინა, ახლა გაიგეს, რომ ბრილიანტების ფასმა ისევ აიწია. მათ კაბინეტში თხოულობენ. აი, რა შემთხვევის გამო

ამას წინათ ხელმწიფემ თავად ვოლკონსკის უბრძანა მისთვის კაბინეტში ყველაზე ძვირფასი სათუთუნე მოეტანა. 9000 მანეთიანზე ძვირფასი არ აღმოჩნდა. თავადმა ვოლკონსკიმ სათუთუნე მოიტანა. ხელმწიფეს საკმაოდ იაფი ეჩვენა. — უფრო ძვირფასი არ არის, — უპასუხა ვოლკონსკიმ.

რადგან ასეა, რაღა ვქნათ, — თქვა ხელმწიფემ, — მინდოდა შენთვის რაიმე ძვირფასი ნივთი მეჩუქებინა, აბა, შენი იყოს. წარმოიდგინეთ, ბებერი კრიჟანგი რა ხიფათს მიიღებდა. ამ დროიდან დაიწყეს ბრილიანტების მოთხოვნა. ახლა კაბინეტში უკვე 60.000 მანეთიანი სათუთუნეებიც გაჩნდა.

დიდმა თავადის ქალმა ეკატერინე II-ის ჩანაწერები გამომართვა და ლამის ჭკუაზე შეშალოს, ისე მოსწონს.

6-ში გარდაიცვალა ს. ი. სმირნოვა, მშვენიერი ახალგაზრდა ქალიშვილი.

გასული წლის დამლევს ჩემი ცოლისდა დიდი თავადის ქალისათვის მილოცვის გადახდებად ჩემი კარეტით მიემგზავრებოდა. მისი ლაქია კარისკაცს წაეკიდა. კომენდანტმა მარტინოვმა ის პაუპტვახტში ჩასვა და ეკატერინა ნიკოლაევნა იძულებული იყო ოთხი საათის განმავლობაში სადარბაზოში უქუროდ დაეცადა. ნახევარი საუკუნის მანძილზე კომენდანტის ადგილი ბრიყვებს უჭირავთ, მაგრამ მარტინოვისნაირი პირუტყვი ჯერ არ გვინახავს.

6-ში საკარო მეჯლისი (ძველთ მასკარადი) იყო. კარის ხალხი პავლე I-ის დროინდელ მუნდირებში იყვნენ. გრაფი პანინი (მინისტრის ამხანაგი) ბავშვივით მორთულიყო, ბობრინსკი ბრიზგალოვად (მიხეილის სასახლის კასტელიანად). გამოთხოვებული ბერიკაცი, მასხრებივით მორთული ორი ხუმარი ვაჟის თანხლებით, თავის ჯამბაზურ მუნდირში იპრანჭებოდა და თავს იწონებდა (შ ე ნ ი შ ვ ნ ა შ თ ა მ ო მ ა ვ ლ ო ბ ი ს ა თ ვ ი ს). ხელმწიფე იზმაილოვის პოლკის პოლკოვნიკად იყო გადაცმული etc. ქალაქში მითქმა-მოთქმა ატყდა — რა მოსაწონი საქციელი ეს არისო.

თებერვალი. იანვრიდან ძალიან დაკავებული ვარ. პეტრეზე ვმუშაობ. მეჯლისზე ერთი სამჯერ თუ ვიქნებოდი; უკან ადრე ვბრუნდებოდი. საკარო ჭორები სულ არ მაინტერესებს. მრაწი შთამომავლობას.

ამას წინათ თეატრში გრაფმა ფიკელმონმა თქვა რა, რომ Bertrand და Raton[1] არ იყო ნათამაშევი პეტერბურგის თეატრში დანიის ელჩის (ჩვენი ძველი ჯაშუშის), ბლუმის, წარდგინით, დასძინა: არ ვიცი რატომ, მაგრამ დანიაზე კომედიაში ერთი სიტყვაც არაა თქმული.

მე დავამატე: იმაზე მეტად არა, ვიდრე ევროპაზე.

ფილარეტმა პავსკი დააბეზღა, თითქოს ის ლუთერანია. — პავსკი დიდ მთავარს მოაწონეს. მიტროპოლიტმა და სინოდმა ფილარეტის აზრი დაადასტურეს. ხელმწიფემ თქვა, რომ სასულიერო საქმეებს მსაჯულად არ გამოდგება; მაგრამ პავსკის ღიმილით დაემშვიდობა. მეცოდება ჭკვიანი, სწავლული და კეთილი მღვდელი! პავსკი არ უყვართ. შიშკოვს, რომელმაც აკადემია ხუცესებით გატენა, არ უნდოდა პავსკის მიღება, რომელსაც კარგად სცოდნია ებრაული ენა და სიტყვის „ეტიმოლოგიის" ძიების მოყვარულ პრეზიდენტს რაღაც შეუსაბამობა გამოუჩხრიკა. მიტროპოლიტი პავსკის ნაცვლად გაიძვერა და ჭორიკანა ხუცესს, კოჩეტოვს[2], ასახელებდა. ხელმწიფემ არ ისურვა და სხვა, როგორიც ამბობენ, ძალიან წესიერი კაცი, არჩია. ეს კაცი მიტროპოლიტს ეახლა და ამ ბებერმა ეშმაკმა კი უთხრა, ხელმწიფესთან რეკომენდაცია მე გაგიწიეო. ნეტავ აქ ვის ატყუებენ?

ჩემს პუგაჩოვს ხალხში ძალიან ლანძღავენ და უფრო მეტიც, არ ყიდულობენ. უვაროვი დიდი უნამუსო კაცია. იგი ჩემს წიგნს აღმაშფოთებელ დოკუმენტს უწოდებს. მისი დამქაში დუნდუკოვი (ბრიყვი და დურდო) თავისი ცენზურის კომიტეტის საშუალებით მდევნის. ის წინააღმდეგია, რომ ჩემი თხზულებები მხოლოდ მეფის თანხმობით იბეჭდებოდეს. მეფეს უყვარხარ, მეძაღლეს კი არა. ბარემ უვაროვის ამბავსაც გეტყვით: დიდი არამზადა და შარლატანია. ისიც კარგადაა ცნობილი, რა გარყვნილი კაცია, იმდენად სულმდაბალია, რომ კანკრინის ბავშვებს ხელზე მოსამსახურედ დაუდგა. მასზე თქვეს, რომ თავდაპირველად იყო

---

[1] ბერტრანი და რატონი — ლაფონტენის იგავ-არაკების გმირები.

[2] კოჩეტოვი — უფრო სწორად კოჩეტოვი, იოაკიმ სიმონის ძე (1789—1851), დეკანოზი; რუსეთის აკადემიის წევრი.

პ..., მერე ძმა, ხოლო შემდეგ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი გახდა, როგორც თავადის ქალი დაშკოვა გახდა რუსეთის აკადემიის პრეზიდენტი. უვაროვი სახაზინო შეშას იპარავდა და დღემდე ვალად ადევს (11.000 სული ჰყავს), სახაზინო ზეინკლებს საკუთარ სამუშაოზე ამუშავებდა. etc, etc. დაშკოვმა (მინისტრმა), ადრე მისი ამხანაგი რომ იყო, როცა უვაროვთან ხელკავით მოსეირნე ჟუკოვსკის შეხვდა, გვერდზე გაიყვანა და უთხრა: როგორ არ გრცხვენია საჯაროდ ასეთ კაცთან ხეირნობა!

ცენზურამ ჩემს ზღაპარში ოქროს მამლაყინწაზე არ გაუშვა შემდეგი სტრიქონები:

Царствуй, лежа на боку

და

Сказка ложь, да в ней намек,
Добрым молодцам урок.

კრასოვსკის დროება დაბრუნდა. ნიკიტენკო[1] ბირუკოვზე[2] უფრო სულელია.

□

1 ნიკიტენკო ალექსანდრე ვასილის ძე (1805—1877), რუსული სიტყვიერების პროფესორი, ცენზორი და კრიტიკოსი.

2 ბირუკოვი ალექსანდრე სტეფანეს ძე (1772—1844), ცენზორი, გამოირჩეოდა სიმკაცრითა და შარიანობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნადია რუშევა. „საშა პუშკინი და მისი და“. 1968

# თეოდორ დოსტოევსკი

## პუშკინი ნარკვევი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თარგმნა ჯანსუღ ღვინჯილიამ

წარმოთქმულია 1880 წლის 8 ივნისს რუსული სიტყვიერების მოყვარულთა საზოგადოების სხდომაზე

პუშკინი არაჩვეულებრივი და შესაძლოა ერთადერთი მოვლენაა რუსული სულისაო, უთქვამს გოგოლს. ჩემი მხრივ დავძენ: წინასწარმეტყველურიც. დიახ, ჩვენთვის, რუსებისათვის, მისი მოვლინება უდავოდ წინასწარმეტყველური გახლავთ. პუშკინი სწორედ რომ ჩვენი ჭეშმარიტი თვითშეცნობის დასაწყისში მოგვევლინა, თვითშეცნობისა, რომელიც ის-ის იყო დაიწყო და ჩაისახა პეტრეს რეფორმებიდან ასი წლის შემდეგ ჩვენს საზოგადოებაში, და პუშკინის გამოჩენამ საოცრად შეუწყო ხელი ახალი წარმმართველი შუქით ჩვენი ბნელი გზის განათებას. სწორედ ამ თვალსაზრისით არის პუშკინი წინასწარმეტყველი და გზის მაჩვენებელი. ჩვენი დიდი პოეტის მოღვაწეობას მე სამ პერიოდად ვყოფ. ამჯერად მე არ ვლაპარაკობ, როგორც ლიტერატურის კრიტიკოსი: ვეხები რა პუშკინის შემოქმედებით მოღვაწეობას, მინდა მხოლოდ განვმარტო ჩემი აზრი რუსებისათვის პუშკინის წინასწარმეტყველურ მნიშვნელობაზე და ისიც, თუ რას ვგულისხმობ ამ სიტყვაში. თუმცა გაკვრით შევნიშნავ, რომ პუშკინის მოღვაწეობის პერიოდები, მე მგონია, მტკიცედ არ ემიჯნება ერთმანეთს. მაგალითად, „ონეგინის" დასაწყისი, ჩემი აზრით, პოეტის მოღვაწეობის ჯერ კიდევ პირველ პერიოდს მიეკუთვნება, ხოლო მთავრდება „ონეგინი" მეორე პერიოდში, როდესაც პუშკინმა უკვე პოვა საკუთარი იდეალები მშობლიურ ნიადაგში, მთლიანად აღიქვა, შეიყვარა ეს იდეალები თავისი შორსმჭვრეტელური და მოყვარული სულით. ჩვენში ხშირად ამბობენ, რომ თავისი მოღვაწეობის პირველ პერიოდში პუშკინი ბაძავდა ევროპელ პოეტებს — პარნის, ანდრე შენიეს და სხვებს, განსაკუთრებით კი ბაირონს. დიახ, ეჭვი არ არის, ევროპელმა პოეტებმა დიდი ზეგავლენა მოახდინეს მისი გენიის განვითარებაზე და მთელი მისი სიცოცხლის მანძილზე გრძელდებოდა ეს ზეგავლენა. მიუხედავად ამისა, პუშკინის პირველი პოემებიც კი არ ყოფილა მარტოოდენ მიბაძვა, ასე რომ ჯერ კიდევ მათშიაც გამოიკვეთა მისი არაჩვეულებრივად თვითმყოფადი გენია. მიბაძვები არასდროს გამოავლენს გულისტკივილის, განცდის ისეთ თვითმყოფობას და თვითშეგნების ისეთ სიღრმეს, როგორიც დაგვანახა პუშკინმა, მაგალითად, პოემა „ბოშებში", რომელსაც მე მთლიანად მისი შემოქმედებითი მოღვაწეობის პირველ პერიოდს მივაკუთვნებ. აღარაფერს ვამბობ შემოქმედებით ძალასა და გაქანებაზე, რაც ასე არ გამოვლინდებოდა, უკეთუ მხოლოდღა მიმბაძველი ყოფილიყო. პოემა „ბოშების" გმირის, ალეკოს ტიპი უკვე შეიცავს ძლიერსა და ღრმა, სავსებით რუსულ აზრს, რაც შემდეგ ასეთი ჰარმონიული სისრულით გამოიხატა „ონეგინში", სადაც იგივე ალეკო გვევლინება უკვე არა ფანტასტიკურ შუქზე, არამედ ხელშესახებ-რეალური და გასაგები სახით. პუშკინმა ალეკოში უკვე იპოვა და გენიალურად მიანიშნა იმ უბედურ ყარიბზე მშობლიური მიწა-წყლისა, იმ ისტორიულ რუს წამებულზე, რომლის გამოჩენაც ხალხისაგან მოწყვეტილ ჩვენს საზოგადოებაში ისტორიულად ესოდენ აუცილებელი იყო. და იგი, რაც თქმა უნდა, მარტოოდენ ბაირონთან არ უპოვია. ეს ტიპი ნამდვილია და შეუმცდარად

დაჭვრილი, ეს ტიპი მუდმივია და კარგა ხნით დამკვიდრებული ჩვენს რუსულ ნიადაგზე. ეს მაუსაფარი რუსი ყარიბნი დღემდეც განაგრძობენ ყარიბობას და, მგონი, კიდევ დიდხანს არ გაქრებიან. და თუკი ჩვენს დროში ისინი, ჩვენი რუსული ინტელიგენტური საზოგადოების უთავბოლო და უაზრო ცხოვრებით დაღლილნი, აღარ მიაშურებენ ბოშათა [illegible] თავისებურ ყოფაში ეძიონ თავიანთი საკაცობრიო იდეალები და ბუნების წიაღში [illegible], სულ ერთია, მაშინ სოციალიზმს ეზიარებიან მთელი არსებით, რომელიც ალეკოს დროს ჯერ კიდევ არ იყო შემოსული, ახალი რწმენით აღვსილნი სხვა ასპარეზზე იმოღვაწებენ თავგამოდებით, ვინაიდან ალეკოსავით სწამთ, რომ ფანტასტიკური საქმიანობით მიაღწევენ თავიანთ მიზნებსა და არა მარტო საკუთარ, არამედ საკაცობრიო ბედნიერებას. რამეთუ რუსი ყარიბს დასამშვიდებლად აუცილებელია სწორედ საკაცობრიო ბედნიერება, ამაზე მცირეს იგი არ დასჯერდება, რა თქმა უნდა, ვინემ საქმე მხოლოდ თეორიას ეხება. ეს იგივე რუსი ადამიანია, ოღონდ სხვა დროს მოვლენილი. ეს ადამიანი, ვიმეორებ, ხალხისაგან, ხალხის ძალისაგან მოწყვეტილ ჩვენს ინტელიგენტურ საზოგადოებაში ჩაისახა სწორედ პეტრესეული დიდი რეფორმებიდან მეორე ასწლეულის დამდეგს. ო, რუს ინტელიგენტთა დიდი უმრავლესობა მაშინაც, პუშკინის დროსაც, — ისევე როგორც ახლა, ჩვენს დროში — მსახურობდა და მსახურობს წყნარად და მშვიდად ხაზინაში, რკინიგზაზე თუ ბანკებში, ჩინოვნიკებად ან უბრალოდ სხვადასხვა საშუალებით მოიპოვებს ფულს, ან მეცნიერებითაც კი არის გატაცებული, ლექციებს კითხულობს — და თანამიმდევრულად, ზანტად და აღუშფოთველად იღებს ჯამაგირს, თამაშობს პრეფერანსს და არავითარი სურვილი არა აქვს მიაშუროს ბოშათა ბანაკს ან რომელიმე სხვა, ჩვენი დროისათვის შესატყვის ადგილს. დიდი-დიდი წაილიბერალონ „ევროპული სოციალიზმის ელფერით", ერთგვარი არხეინი რუსული ხასიათი რომ მიუღია, — მაგრამ ყველაფერი ეს ხომ მხოლოდ დროის საკითხია. რა ვუყოთ, რომ ერთი ჯერაც არ შეშფოთებულა, მეორემ კი მოასწრო უკვე დაკეტილ კართან მისვლა და შუბლით ზედ შეხეთქება. ყველას იგივე ელის თავის დროზე, თუკი არ დაადგებიან ხალხთან თავმდაბლური, თვინიერი ურთიერთობის მხსნელ გზას. თუნდაც ყველას ნუ მოელის ეს: თუნდაც მხოლოდ „რჩეულები", თუნდაც მხოლოდ მეათედი ნაწილი მოიცვას შეშფოთებამ, რომ დარჩენილი უმრავლესობის უდიდეს ნაწილს მათი წყალობით მოსვენება არ ეღირსოს. ალეკოს, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ არ ძალუძს სწორად გამოთქვას თავისი წუხილი და ნაღველი: იგი ჯერ კიდევ განყენებულად გრძნობს ყველაფერს, მას მხოლოდ ბუნება ენატრება, ჩივის მაღალ საზოგადოებაზე, საკაცობრიო მისწრაფებებზე, ჰგოდებს სადღაც და ვიღაცის მიერ დაკარგულ სიმართლეზე, რომელიც ვერა და ვერ უპოვია. აქ ცოტაოდენი ჟან-ჟაკ რუსოს გავლენაც არის. რას წარმოადგენს ეს სიმართლე, სად და რაში შეიძლებოდა გამოხატულიყო და სახელდობრ როდის დაიკარგა, რა თქმა უნდა, ამას თვითონაც ვერ იტყვის, ოღონდ გულწრფელად კი იტანჯება. ფანტასტიკურ და სულწასულ ადამიანს უპირატესად მარტოოდენ გარეგნული მოვლენებისაგან გადარჩენა სწყურია; ასეც უნდა იყოს: „სიმართლე სადღაც მის მიღმაა, იქნებ რომელიმე სხვა, მაგალითად, ევროპის ქვეყნებში, სადაც მტკიცე ისტორიული წყობაა, სადაც დადგენილია საზოგადოებრივი და სამოქალაქო ცხოვრება". და ვერასოდეს ვერ მიხვდება, რომ სიმართლე უპირველეს ყოვლისა თვით მის არსებაშია, აბა როგორ უნდა მიხვდეს: ის ხომ თავის მიწაზე უცხოდ გაბნეული დადის, ის ხომ მთელი საუკუნეა შრომას გადაჩვეული, არა აქვს კულტურა, ინსტიტუტელი ქალიშვილივით გამოკეტილში იზრდებოდა, ასრულებდა უცნაურ და შეუცნობელ მოვალეობებს იმისდა მიხედვით, თუ რის მიეკუთვნებოდა იმ თოთხმეტი კლასიდან, რომლებადაც დაყოფილია განათლებული რუსი საზოგადოება. იგი ხომ ჯერჯერობით მიწას მოწყვეტილი, ქარის მიერ ატაცებული ბალახის ღეროა. იგი გრძნობს ამას, ამის გამო იტანჯება, მერედა ზოგჯერ რა საშინლად იტანჯება! რა ბედენაა, რომ იგი, იქნებ ტიტის აზნაური და შესაძლოა ყმების პატრონიც, სწორედ ამ აზნაურშვილური უპირატესობით აჰყვა თავის პატარა ფანტაზიას — ეცხოვრა იმ ადამიანებთან, რომელთათვის არა კანონი არ არსებობს, დროებით ბოშათა ბანაკს მიეკედლა, დათვს ათამაშებდა და ხალხს ართობდა? ცხადია, ქალს, „ველურ ქალს", ერთი პოეტის თქმისა არ იყოს, ყველაზე მეტად შეეძლო აღეძრა იმედი ამ სევდა-ნაღველის განქარვებისა, და მისაც დაუფიქრებლად, მაგრამ გულმხურვალე რწმენით მიაშურა ზემფირას: „აი, სად არის ხსნა, აი, სად შეიძლება ვპოვო ჩემი ბედნიერება, აქ, ბუნების წიაღში, მაღალი საზოგადოებისაგან მოშორებით, ამ ადამიანებთან, რომელთაც ცივილიზაცია და კანონები არ გააჩნიათ!" და რა აღმოჩნდა: მან ვერ გაუძლო ამ ველური ბუნების პირობებთან პირველსავე შეტაკებას — და სისხლით შეიღება ხელები. უბადრუკი მეოცნებე არათუ მსოფლიო ჰარმონიისათვის, ბოშებისათვისაც კი ვერ შეიქნა გამოსადეგი

და მაიაც გაამევს იგი — სამაგიეროს მოუზღველად, უბოროტოდ, სულგრძელად და გულწრფელად:

Оставь нас, гордый человек,
Мы дики, нет у нас законов,
Мы не терзаем, не казним.

ეროვნული

ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, ფანტასტიკურია, მაგრამ „ამაყი ადამიანი" [illegible] და მარჯვედ მიგნებულიც გახლავთ. ჩვენში მას პირველად პუშკინმა მიაგნო და ეს უნდა დავიმახსოვროთ. დიახ, დიახ, თუ ოდნავ მაინც ისე არ მოხდა, როგორც ამ ამაყ ადამიანს სურს, იგი გულღვარძლიანად აწამებს და დასჯის ამ თავის წყენისათვის, ან, რაც უფრო მოსახერხებელიც კი არის, გაიხსენებს, თოთხმეტი კლასიდან ერთ-ერთს რომ მიეკუთვნება, და იქნებ თვითონვე უხმოს ხმამაღლა (რამეთუ ესეც მომხდარა) კანონს მაწამებელსა და დამსჯელს, ოღონდ კი ჯავრამოყრილი იქნას მისი პირადი წყენა. არა, ეს გენიალური პოემა არ გახლავთ მიბაძვა! აქ უკვე ნაკარნახევია რუსული გადაწყვეტა საკითხისა, „წყეული საკითხისა", ხალხის რწმენისა და სიმართლის მიხედვით: ქედი მოიდრიკე, ამაყო კაცო, და უწინარეს ყოვლისა მოდრიკე სიამპარტავნე შენი. ეღირსე მორჩილებით, უქნარა კაცო, და უწინარეს ყოვლისა მშობლიურ ყანაში დაღვარე ოფლი შენი. — აი ესაა გადაწყვეტილება ხალხური სიმართლითა და ხალხური გაგებით. „სიმართლე შენს გარეთ კი არა, შენშივეა; მონახე თავი შენი შენშივე, დაუმორჩილე თავი შენივე თავს, დაეუფლე შენს თავს და სჭვრეტ სიმართლეს. საგნებში როდია ეს სიმართლე, შენს გარეშე როდია და სადღაც ზღვის გაღმა იქით, არამედ უწინარეს ყოვლისა საკუთარ თავზე შენივე შრომით სძლევ, დაიმორჩილებ საკუთარ თავს და შეიქნები თავისუფალი, როგორსაც ვერასდროს ვერ წარმოიდგენდი, დაიწყებ დიდ საქმეს, სხვებსაც შეიქმ თავისუფალთ და იხილავ ბედნიერებას, რამეთუ აღივსება ცხოვრება შენი და ჩასწვდები ბოლოს და ბოლოს შენს ხალხს და მის წმინდა სიმართლეს. ვერც ბოშებთან და ვერც ვერსად ჰპოვებ მსოფლიო ჰარმონიას, თუ შენ თვითონვე არ ხარ მისი ღირსი, თუ ავი ხარ და ამაყი, თუ ცხოვრებას მუქთად ითხოვ და ფიქრადაც არ მოგდის, რომ მისთვის რაღაც უნდა გაიღო". საკითხის ასეთი გადაწყვეტა უკვე ძლიერად არის ნაკარნახევი პუშკინის პოემაში. უფრო ნათლად არის იგი გამოხატული „ევგენი ონეგინში", უკვე არა ფანტასტიკურ, არამედ ხელშესახებად რეალურ პოემაში, რომელშიაც ნამდვილი რუსული ცხოვრება ასახულია ისეთი შემოქმედებითი ძალითა და ისეთი სისრულით, როგორიც არც პუშკინამდე და, კაცმა რომ თქვას, არც მის შემდეგ ყოფილა.

ონეგინი ჩამოდის პეტერბურგიდან — უსათუოდ პეტერბურგიდან, ეს უეჭველად აუცილებელი იყო პოემაში, და პუშკინსაც არ შეეძლო ხელიდან გაეშვა ასეთი დიდი რეალური შტრიხი თავისი გმირის ბიოგრაფიისა. კვლავ ვიმეორებ: ეს იგივე ალეკო გახლავთ, მეტადრე მას შემდეგ, როდესაც ის კაეშნით წამოიძახებს:

Зачем, как тульский заседатель,
Я не лежу в параличе?

მაგრამ ახლა, პოემის დასაწყისში, ის ჯერ კიდევ მაღალი საზოგადოების დარდიმანდი წარმომადგენელია და ჯერ იმდენი არ უცხოვრია, რომ ეს სოფელი ბოლომდე მოეძულებინა. მაგრამ მასაც უკვე სტუმრობს და აწუხებს:

Бес благородный скуки тайной.

თავისი სამშობლოს გულისგულში, მიყრუებულ კუთხეში, ის, ცხადია, თავს შინ ვერ გრძნობს, არ იცის, რა აკეთოს იქ და ისე ჰგონია, თითქოს საკუთარი თავის სტუმარი იყოს. შემდგომ, როდესაც დახეტიალობს მშობლიურსა თუ უცხო ქვეყნებში, იგი, როგორც უდავოდ ჭკვიანი და უდავოდ წრფელი ადამიანი, კიდევ უფრო მეტი ძალით გრძნობს, რომ უცხოთა შორის უცხოა საკუთარი თავისთვისაც. მართალია, მასაც უყვარს მშობლიური ქვეყანა, მაგრამ არ ენდობა მას. რა თქმა უნდა, სმენია მშობლიურ იდეალებზეც, მაგრამ არა სწამს მათი. მას სწამს მხოლოდ ის, რომ ყოვლად შეუძლებელია რაიმე საქმის კეთება მშობლიურ მიწაზე, ხოლო მათ, ვისაც ეს შესაძლებლად მიუჩნევია, — ახლანდელივით მაშინაც მცირეთ, — სევდიანი დაცინვით უყურებს. ლენსკი უბრალოდ კაეშანმა მოაკვლევინა, ვინ იცის, იქნებ საკაცობრიო იდეალის კაეშანმაც — ეს მეტისმეტად ჩვეულებრივია, ეს დასაჯერებელია. ასეთი როდია ტატიანა: ესაა მტკიცე ხასიათი, თავის ნიადაგზე მტკიცედ მდგარი. იგი ონეგინზე ღრმაა და, რაც თქმა უნდა, მასზე უფრო ჭკვიანი. ის თავისი კეთილშობილური ალღოთი წინასწარვე გრძნობს, სად და რაშია სიმართლე, რაც პოემის დასასრულ კიდევაც გამოჩნდა. იქნებ უკეთესიც ყოფილიყო, პუშკინს თავისი პოემისათვის ტატიანას სახელი და-

ერქმია და არა ონეგინი, ვინაიდან პოემის მთავარი გმირი უდავოდ სწორედ ტატიანაა,—ეს გახლავთ დადებითი და არა უარყოფითი ტიპი, ეს გახლავთ ტიპი დადებითი სილამაზისა, იგი აპოთეოზია რუსი ქალისა, და მას დააკისრა პოეტმა გამოეთქვა პოემის დედაზრი ტატიანასა და ონეგინის ბოლო შეხვედრის ცნობილ სცენაში. შეიძლება ითქვას, რომ ასეთი სილამაზის დადებითი ტიპი რუსი ქალისა თითქმის აღარ განმეორებულა ჩვენს მხატვრულ ლიტერატურაში, თუ ლიზას არ ჩავთვლით ტურგენევის „აზნაურთა ბუდიდან“. მაგრამ ქედმაღლური ცქერის ჩვევამ ისა ქნა, რომ ონეგინმა სრულიად ვერ იცნო ტატიანა, როდესაც პირველად შეხვდა მიყრუებულ სოფელში, შეხვდა უმანკო, მოკრძალებულ ქალიშვილს, რომელიც ასე დაირცხვინა მისი ნახვისას. ონეგინმა ვერ შეძლო საბრალო გოგონაში დაენახა სრულყოფილება და იქნებ მართლაც მიიჩნია იგი „ზნეობრივ ემბრიონად“. ესეც ერთი, ტატიანა ყოფილა ემბრიონი, ონეგინს წერილი რომ გაუგზავნა, ის ტატიანა! თუკი ვინმეა პოემაში ზნეობრივი ემბრიონი, რაღა თქმა უნდა, თვითონ ონეგინია, და ეს უეჭველია. მან მართლაც ვერ შესძლო ტატიანას ცნობა: განა მან იცის ადამიანის სული? იგი ხომ განყენებული ადამიანაა, მოუსვენარი მეოცნებე. ვერც მერე იცნო, პეტერბურგში, წარჩინებულ ქალბატონში, როდესაც, ტატიანასადმი გაგზავნილ მისი წერილის სიტყვებით რომ ვთქვათ: „სწვდებოდა სულით მის სრულქმნილებას“. მაგრამ ეს მარტოოდენ სიტყვებია: ტატიანამ ასე ჩაიარა მის ცხოვრებაში, ონეგინმა ვერ შეიცნო და ვერ დააფასა იგი; სწორედ ეს გახლავთ მათი რომანის ტრაგედია. ო, მაშინ სოფელში, ტატიანასთან პირველი შეხვედრისას რომ ჩამოსულიყო ინგლისიდან ჩაილდ-ჰაროლდი, ან თვით ლორდი ბაირონი, შეემჩნია ტატიანას მოკრძალებული, სათნო მშვენება და მიეთითებინა ონეგინისთვის, — ო, ონეგინი მაშინვე მოიხიბლებოდა და განცვიფრდებოდა, რამეთუ ამ მსოფლიო ყარიბებს ხშირად მოსდგამთ სულიერი ლაქიობა! მაგრამ ეს არ მოხდა, მსოფლიო ჰარმონიის მაძიებელმა ქალს ჭკუა დაარიგა, მაინც პატიოსნად მოიქცა და მსოფლიო სევდითა და სულელური სიბრაზის გამო დაღვრილი სისხლით ხელებშეღებილი მიემგზავრება სამშობლოში სახეტიალოდ; თუმცა ვერც ამ თავის სამშობლოს ხედავს და, ჯანღონით აღსავსე, წყევლით წამოიძახებს:

Я молод, жизнь во мне крепка,
Чего мне ждать? тоска, тоска!..

ამას მიხვდა ტატიანა. რომანის უკვდავ ტაეპებში პოეტმა დაგვიხატა ტატიანა, რომელიც ეწვია მისთვის ჯერ კიდევ უცნაური და ამოუცნობი ადამიანის სახლს. აღარაფერს ვამბობ ამ ტაეპების მხატვრულობაზე, მათ მიუწვდომელ სილამაზესა და სიღრმეზე. აი, ტატიანა ონეგინის კაბინეტშია, ათვალიერებს მის წიგნებს, საგნებს, ავეჯს: ცდილობს მათი მეშვეობით ამოიცნოს მისი სული, ამოხსნას თავისი ამოცანა და „ზნეობრივი ემბრიონი“ ბოლოს ჩერდება ჩაფიქრებული, უცნაური ღიმილით, ამოცანის ამოხსნის წინათგრძნობით, და მისი ბაგეები წყნარად ჩურჩულებენ:

Уж не пародия ли он?

დიახ, მას უნდა ეჩურჩულებინა ეს, მან ამოიცნო! პეტერბურგში, დიდი ხნის შემდეგ, მათი ახალი შეხვედრისას, ტატიანამ უკვე კარგად იცის, ვინც არის იგი. ჰო, ვინ თქვა, მაღალი საზოგადოების, სამეფო კარის ცხოვრება გამხრწნელად შეეხო ტატიანას სულს და სწორედ მაღალი საზოგადოების ქალის წოდება, და ამის შესატყვისი ახალი შეხედულებანი იყო ნაწილობრივ მიზეზი იმისა, ონეგინს უარი რომ უთხრაო? არა, ასე არ ყოფილა. არა, ის იგივე ტანიაა, წინანდელი სოფლელი ტანია! ის არ წაუხდენია ამ მდიდრულ პეტერბურგულ ცხოვრებას, პირიქით, იგი დათრგუნა და გატანჯა ამ ცხოვრებამ, მას სძაგს თავისი წოდება წარჩინებული საზოგადოების ქალისა, და ვინც სხვაგვარად სჯის, მას სრულიად ვერ გაუგია, რისი თქმა სურდა პუშკინს. და აი, ტატიანა მტკიცედ ეუბნება ონეგინს:

Но я другому отдана
И буду век ему верна.

მან ეს გამოთქვა სწორედ როგორც რუსმა ქალმა, ესაა მისი აპოთეოზი. მან გამოთქვა პოემის სიმართლე. ო, მე კრინტსაც არ დავძრავ მის რელიგიურ რწმენაზე, მის შეხედულებებზე ქორწინების საიდუმლოების შესახებ, — არა, მე ამას არ შევეხები. მაგრამ მერე რა: განა მან იმიტომ უთხრა უარი, თუმცა თვითონვე გაუტყდა: „მე თქვენ მიყვარხართო“, რომ მას, „როგორც რუს ქალს“ (და არა ვინმე სამხრეთელსა ან ფრანგ ქალს!) არ შეუძლია გაბედული ნაბიჯის გადადგმა, არ შეუძლია დაწყვიტოს ხუნდები, არ ძალუძს დასთმოს ხიბლი პატივისა, სიმდიდრისა, მაღალ საზოგადოებაში თავისი წონისა, დასთმოს სათნოება? არა, რუსი ქალი მამაცია, რუსი ქალი თამამად გაჰყვება იმას, რასაც იწამებს და კიდეც დაამ-

ტკიცა ეს, მაგრამ ას

«...другому отдана
и буду век ему верна.»

რისა, ვისი ერთგული იქნება? რა მოვალეობისა? აი, ამ მოხუცი გენერლისა, ვინც არ შეიძლება უყვარდეს თუნდაც იმიტომ, რომ ონეგინი უყვარს, და ვისაც ცოლად მხოლოდ იმიტომ გაჰყვა, რომ

Со слезами заклинаний
молила мать.

რომ მას შეურაცხყოფილ, დაკოდილ სულში მაშინ მირჩიოდნენ სასოწარკვეთა და უიმედობა სუფევდა? დიახ, იგი ერთგულია ამ გენერლისა, თავისი ქმრისა, პატიოსანი ადამიანისა, რომელსაც უყვარს იგი, რომელიც პატივს სცემს მას და ამაყობს ასეთი ცოლით. რა ვუყოთ, რომ დედა „ევედრებოდა"; აკი მან და არა სხვა ვინმემ მისცა თანხმობა, აკი მან, მან თვითონ შეჰფიცა, ერთგული ცოლი ვიქნებიო. რა ვუყოთ, რომ სასოწარკვეთილი იყო და იმიტომ გაჰყვა, ახლა იგი მისი ქმარია და ცოლის ღალატი საქვეყნოდ შეარცხვენს, თავს მოჭრის და სიცოცხლეს მოუსწრაფებს. განა შეუძლია ადამიანს თავისი ბედნიერება სხვის უბედურებაზე ააგოს? ბედნიერება მარტოოდენ სიყვარულით ტკბობა კი არა, სულის ჩუმი ჰარმონიულობაა, რითაც დაიმშვიდებს სულს, თუკი დაუფიქრებელ, უპატიოსნო, არაადამიანურ საქციელს ჩაიდენს? გაიქცეს მარტოოდენ იმიტომ, რომ იქ ეგულება ბედნიერება. მაგრამ ის რა ბედნიერებაა, რომელიც სხვის უბედურებაზეა დაფუძნებული? აბა წარმოიდგინეთ, რომ თქვენ თვითონ აშენებთ კაცობრიობის ბედ-იღბლის შენობას იმ მიზნით, რომ დასასრულ გააბედნიეროთ ადამიანები, მისცეთ მათ ბოლოს და ბოლოს სიმშვიდე და მოსვენება. წარმოიდგინეთ ისიც, რომ ამისათვის აუცილებლად უნდა აწამოთ მხოლოდ ერთი არსება, თუნდაც არც დიდად ღირსეული, თუნდაც სხვათა აზრით სასაცილო არსებაც კი, არა რომელიმე შექსპირი, არამედ ერთი პატიოსანი მოხუცი ქმარი ახალგაზრდა ქალისა, ვისი სიყვარულიც მას ბრმად სწამს, თუმცაღა მის გულს სრულიად არ იცნობს, პატივს სცემს, ამაყობს, მისი ქმრობით ბედნიერი და უშფოთველია. და საჭიროა მხოლოდ მისი შერცხვენა, პატივის აყრა და წამება, და ამ შერცხვენილი მოხუცის ცრემლებზე უნდა ააგოთ ეს თქვენი შენობა! დათანხმდებით კი იყოთ ხუროთმოძღვარი ამგვარი პირობით აგებული შენობისა? აი, რაა საკითხავი. და შეძლებთ კი თუნდაც წუთით დაუშვათ აზრი, რომ ის ადამიანები, ვისთვისაც ეს შენობა ააგეთ, დაეთანხმებიან ასეთ ბედნიერებაზე, როცა შენობის საძირკველში ჩაყოლებულია ტანჯვა თუნდაც ვინმე არარა, მაგრამ შეუბრალებლად და უსამართლოდ წამებული არსებისა, და თუ დაეთანხმებიან, შესძლებენ კი საუკუნოდ ბედნიერად იგრძნონ თავი? ბრძანეთ, განა შეეძლო სხვაგვარად გადაეწყვიტა ესოდენ მაღალი სულის, მრავალტანჯული გულის მქონე ტატიანას? არა, უმწიკვლო რუსული სული ასე წყვეტს: „დაე, მხოლოდ მე დავკარგო ბედნიერება, დაე, ჩემი უბედურება განუზომლად დიდი იყოს, ვიდრე უბედურება ამ მოხუცისა, დაბოლოს დაე, ნურავინ და ნურასოდეს, — ნურც ეს მოხუცი ნუ შეიტყობს ჩემს მსხვერპლს და ნუ დააფასებს მას, მაგრამ არ მინდა სხვისი დაღუპვის ფასად ვპოვო ბედნიერება!" აქ ტრაგედიაა, ტრაგედია ხდება კიდევაც, და საზღვრის გადალახვა აღარ შეიძლება, გვიანღაა! და აი, ტატიანა უარით ისტუმრებს ონეგინს. შეიძლება გვითხრან: ონეგინიც ხომ უბედურია: ერთი იხსნა, მეორე კი დაღუპაო! მოითმინეთ, აქ სხვა საკითხია და იქნებ პოემის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხიც. სიტყვამ მოიტანა და კითხვას: რატომ არ გაჰყვა ტატიანა ონეგინს, ჩვენში, ყოველ შემთხვევაში, ჩვენს ლიტერატურაში მეტად დამახასიათებელი, თავისებური ისტორია აქვს, და ამიტომაც მივეცი ჩემს თავს ნება შევხებოდი ამ საკითხს ვრცლად. ყველაზე უფრო დამახასიათებელი ის არის, რომ ამ საკითხის ზნეობრივი გადაჭრა ასე დიდხანს იწვევდა ეჭვს. მე აი, რას ვფიქრობ: კიდევაც რომ მომკვდარიყო მოხუცი ქმარი და ტატიანა დაქვრივებულიყო, იგი მაშინაც არ გაჰყვებოდა ონეგინს. ხომ უნდა გვესმოდეს მთელი არსი ამ ხასიათისა. ტატიანა ხომ ხედავს, ვინც არის ონეგინი. მარადიული ყარიბი. ქალი, რომელსაც ადრე არად აგდებდა, უცებ ნახა მან ახალ, ბრწყინვალე, მიუწვდომელ გარემოში — კაცმა რომ თქვას, აკი სწორედ ეს გარემოა თავადათავი საქმისა; აკი ამ გოგონას, რომელსაც იგი ლამის ზიზღით ეკიდებოდა, ახლა ეთაყვანება მაღალი საზოგადოება, ეს საშინელი ავტორიტეტი ონეგინისათვის, მიუხედავად მისი საკაცობრიო მისწრაფებებისა. — აი, რისთვის, აი, რატომ მიაშურებს მას დაბრმავებული! „აი, ჩემი იდეალი, — წამოიძახებს ის, — აი, ჩემი ხსნა, აი, საშველი ჩემი სევდისა, მე ვერ შევამჩნიე ის, „ბედნიერება კი თურმე იყო ისე ახლოს, ისე შესაძლო"! და როგორც ადრე ალეკო

ზემფირასაკენ, ისიც ასევე მიილტვის ტატიანასაკენ, მაგრამ რა, რომ ეს ახალი [illegible]-რებული ოცნება გადაწყვეტს ყველა მის საფიქრალს. განა ამას ვერ ხედავს ტატიანა, განა მან ადრევე არ გამოიცნო ონეგინი? მან ხომ კარგად იცის, რომ ონეგინი, კაცმა რომ თქვას, მხოლოდ ამ თავის ახალ ოცნებას ეტრფის და არა მას, [illegible] მორცხვ, მოკრძალებულ ტატიანას! იცის, რომ ონეგინს ვიღაც სხვად [illegible] იმად, რაც სინამდვილეშია. რომ ტატიანაც კი არ უყვარს, რომ შესაძლოა არც არავინ უყვარს. და არც შეუძლია ვინმეს სიყვარული, მიუხედავად იმისა, რომ ასე მწარედ იტანჯება! მას უყვარს ოცნება, და თვითონაც ხომ ოცნებაა. ტატიანა კიდევაც რომ წაჰყვეს, ონეგინს ხომ ხვალვე გული აუცრუვდება და თავის გატაცებას დაცინვით შეხედავს. მას ნიადაგი არა აქვს, ქარის წაღებული ბალახის ღერია. ტატიანა სრულებითაც არ გახლავთ ასეთი: მას სასოწარკვეთისა და გამრუდებული ცხოვრების მტანჯველი შეგრძნების დროსაც კი აქვს რაღაც მყარი და შეურყეველი, რაც საყრდენია მისი სულისა. ეს მისი ბავშვობის მოგონებაა, მოგონება მშობლიური სოფლისა, სადაც დაიწყო მისი უბრალო და უმწიკვლო ცხოვრება. ეს არის

Крест и тень ветвей
над могилой ее бедной няни.

ო, ეს მოგონებანი და წინანდელი ხატებანი მისთვის ახლა ყველაფერზე ძვირფასია, ეს სატკბარიღა შემორჩენია, მაგრამ სწორედ ეს შველის მის სულს სრულ სასოწარკვეთას არ მისცეს. და ეს ცოტა როდია, არა, ეს უკვე ბევრია, იმიტომ, რომ ესაა ფუძე, ესაა რაღაც ურყევი და წარუვალი. ამით ეზიარება იგი სამშობლოს, მშობელ ხალხს, მის წმიდათაწმიდას. ონეგინს კი რა შერჩენია, ვინ არის იგი? მართლა ხომ ვერ გაჰყვება თანაგრძნობის გულისათვის, ოღონდ კი გაართოს იგი, ოღონდ კი სიყვარულით სავსე უსაზღვრო სიბრალულის გამო თუნდაც დროებით აჩუქოს აჩრდილი ბედნიერებისა, თუმცა წინასწარვე მტკიცედ იცის, რომ იგი ხვალვე დაცინვით შეხედავს თავის ამ ბედნიერებას. არა, არიან ღრმა და მტკიცე სულის მქონენი, რომელთაც არ შეუძლიათ შეგნებულად წაბილწვინონ თავიანთი წმიდათაწმიდა თუნდაც უსაზღვრო თანაგრძნობის გამო. არა, ტატიანა ვერ გაჰყვებოდა ონეგინს...

ამგვარად, „ონეგინში", თავის ამ უკვდავ და მიუწვდომელი სიმაღლის პოემაში, პუშკინი მოგვევლინა დიდ სახალხო მწერლად, როგორიც მანამდე არასოდეს ყოფილა. მან ერთბაშად ყველაზე შეუცდომლად, ყველაზე გამჭრიახად შენიშნა მთელი სიღრმე ჩვენი არსისა, ხალხის ზედამდგომი ჩვენი საზოგადოებისა; პუშკინმა შენიშნა ტიპი რუსი ყარიბისა, ჩვენს დრომდე არსებული და ჩვენი დროის ყარიბისა, გენიალური ალღოთი პირველმა გამოიცნო მისი ისტორიული ბედი და ის უდიდესი მნიშვნელობა, რაც ამ ყარიბს ჰქონდა ჩვენი მომავალი ბედისთვისაც, რუსი ქალის სახით გვერდით დაუყენა ტიპი დადებითი და უეჭველი სილამაზისა. პოეტმა, რაღა თქმა უნდა, ასევე პირველმა ჩვენს რუს მწერალთაგან, თავისი მოღვაწეობის ამ პერიოდის სხვა ნაწარმოებებში თვალწინ გაგვიტარა მთელი რიგი დადებითი, მშვენიერი რუსული ტიპებისა, რუს ხალხში რომ იპოვა. ამ ტიპების მთელი სილამაზე მათ სიმართლეშია, უცილო სიმართლეში, ასე რომ მათი უარყოფა უკვე აღარ შეიძლება, ისინი დგანან, ვით ჩამოსხმული ქანდაკებანი. კიდევ ერთხელ შეგახსენებთ: მე არ ვლაპარაკობ, როგორც ლიტერატურის კრიტიკოსი, და ამიტომაც ჩემი აზრის განსამარტავად არ მოვყავს ჩვენი პოეტის ამ გენიალურ ნაწარმოებთა გამოწვლილვით ლიტერატურულ განხილვას; მაგალითად, რუს მემატიანე ბერზე შეიძლებოდა დაწერილიყო წიგნი, რათა ეჩვენებინათ, თუ რაოდენი მნიშვნელობა აქვს ამ დიდებულ რუსულ სახეს, რომელიც პუშკინმა რუსულ მიწაზე აღმოაჩინა, გამოძერწა და წინ დაგვიყენა თავისი ახლა უკვე საუკუნოდ უცვლელი, თვინიერი და დიადი სულიერი სილამაზით, ვით დადასტურება ხალხის ცხოვრების იმ ძლიერი სულისა, რომელსაც შეუძლია თავისი წიაღიდან წარმოაჩინოს ესოდენ უცილობელი სიმართლის მქონე სახეები. ეს ტიპი მოცემულია, არსებობს, არ შეიძლება იდავო მის გამო, თქვა, რომ ეს გამოგონილია, რომ ეს მხოლოდდა პოეტის ფანტაზია და იდეალიზაციაა. თქვენ ხედავთ მას და ეთანხმებით: დიახ, ის არსებობს, მაშასადამე, მისი შემქმნელი ხალხის სულიც არსებობს, მაშასადამე, ამ სულის სასიცოცხლო ძალაც არსებობს და ეს ძალა დიდია და განუსაზღვრელი. პუშკინთან ყველგან იგრძნობა რწმენა რუსული ხასიათისა, რწმენა მისი სულიერი სიძლიერისა, ხოლო სადაც რწმენაა, იქ იმედიც არის, — დიდი იმედი რუსი ადამიანის გამო.

В надежде славы и добра
Гляжу вперед я без боязни, —

თქვა პოეტმა სულ სხვა რამის გამო, მაგრამ მისი ეს სიტყვები შეიძლება პირდაპირ მივუსადაგოთ მთელ მის ეროვნულ შემოქმედებით მოღვაწეობას. არც ერთი რუსი მწერალი, არც

მანამდე და არც შემდეგ, ისე გულითადად და თვისტომურად არ შეუწყნარებია თავის ხალხს, როგორც პუშკინი. თ, ჩვენ გვყავს მწერლებს შორის ბევრი მცოდნე ჩვენი ხალხისა, ისე ნიჭიერად, ისე მართლად და ისეთი სიყვარულით რომ წერენ ხალხზე! არიან, თუ მათ პუშკინს შევადარებთ, ღმერთმანი, დღემდე ერთი ან, ბევრი-ბევრი, ორი გამონაკლისის გარდა-მისი გვიანდელი მიმდევრებიდან ყველანი არიან მარტოოდენ [illegible] ხალხის შესახებ წერენ. მათგან ყველაზე ნიჭიერნისაც კი, აი, თვით [illegible] კი, ახლა რომ ეხსენე, ანაზდად გაუჩნდება ხოლმე რაღაც ქედმაღლური, რაღაც სხვა ქვეყნისა და სამყაროსეული, რაღაც მოწადინება და სურვილი, — აამაღლოს ხალხი თავის დონემდე და გააბედნიეროს ამ ამაღლებით. პუშკინს კი აქვს სწორედ ის რაღაც, რამაც იგი ნამდვილად გაუთვისტომა ხალხს და რაც მას არსებაში თითქმის რაღაცნაირ გულჩვილობამდე მიდის. ბილეთ თქმულება დათვზე და იმაზე, როგორ მოკლა გლეხმა მის ქალბატონი ძუ; გაიხსენეთ ლექსი:

Свет Иван, как пить мы станем, —

და მიხვდებით, რისი თქმაც მსურს.

ხელოვნებისა და მხატვრული წინასწარყვეს მთელი ეს საუნჯე დიდმა პოეტმა თითქოს მათთავად დაუტოვა მის შემდგომ შემოქმედთ. გადაჭრით შეიძლება ითქვას: პუშკინი რომ არ ყოფილიყო, არც მის შემდეგ მოსული ტალანტები იქნებოდნენ. ყოველ შემთხვევაში, ვერ გამოვლინდებოდნენ იმ ძალით და იმ სიცხადით, მიუხედავად თუნდაც მათი დიდი ნიჭიერებისა, როგორც შესძლეს თავის გამოჩენა შემდეგში, უკვე ჩვენს დროში. მაგრამ მხოლოდ ამაში როდია საქმე, არც მარტოოდენ მხატვრულ შემოქმედებაში: პუშკინი რომ არ ყოფილიყო, იქნებ ასეთი შეურყეველი ძალით (როგორც ეს გამოვლინდა შემდეგში, თუმცა ჯერ ყველასთან არა, ჯერ ძალზე მცირე ვინმესთან) არ ჩამოყალიბებულიყო ჩვენი რუსული თვითმყოფობის რწმენა, ჩვენი ამჟამად უკვე გაცნობიერებული იმედი ხალხის ძალებისა, და შემდგომ ევროპულ ხალთა ოჯახში მომავალი თვითმყოფი დანიშნულების რწმენაც. პუშკინის ეს ღვაწლი განსაკუთრებით ცხადი შეიქნება, თუ ჩავუკვირდებით იმას, რასაც მე მისი შემოქმედებითი მოღვაწეობის მესამე პერიოდს ვუწოდებ.

კვლავ და კვლავ ვიმეორებ: ამ პერიოდებს არა აქვს მტკიცე მიჯნები. ზოგიერთი ნაწარმოები, თუნდაც ამ მესამე პერიოდისა, შეიძლებოდა ჩვენი პოეტის მოღვაწეობის დასაწყისში დაწერილიყო, რამეთუ პუშკინი მუდამ გახლდათ მთლიანი, ასე ვთქვათ, ერთიანი ორგანიზმი, რომელიც თავის თავში ატარებდა ყველა ჩანასახს ერთბაშად და არ იღებდა მათ გარეგანს. გარეგანი ამბები მხოლოდ აღვიძებდა იმას, რაც უკვე ჰქონდა სულის სიღრმეში. მაგრამ ეს ორგანიზმი ვითარდებოდა, და ამ განვითარების პერიოდები მართლაც შეიძლება მოინიშნოს და აღინიშნოს, თითოეულ მათგანს აქვს საკუთარი ხასიათი და ერთი პერიოდი თანდათანობით აღმოცენდება მეორიდან. ამრიგად, მესამე პერიოდს შეიძლება მივაკუთვნოთ ნაწარმოებთა ის წყება, რომლებშიც უპირატესად გამოანათა საყოველთაო იდეალებმა, აისახა სხვა ხალხთა პოეტური სახეები და ხორცი შეესხა მათ გენიას. ამ ნაწარმოებთაგან ზოგიერთი უკვე პუშკინის სიკვდილის შემდეგ გამოჩნდა. თავისი მოღვაწეობის სწორედ ამ პერიოდში ჩვენი პოეტი წარმოგვიდგება თითქმის რაღაც საოცრებად, მანამდე არსად და არავისთან რომ არ გვსმენია და გვინახავს. მართლაც, ევროპულ ლიტერატურას ჰყავდა უდიდესი მხატვრული გენიოსები — შექსპირები, სერვანტესები, შილერები. მაგრამ მიჩვენეთ თუნდაც ერთ-ერთი ამ დიდ გენიოსთაგან, რომელსაც ჩვენი პუშკინივით შესწევდეს საყოველთაო თანაგრძნობის უნარი. სწორედ ამ უნარს, ჩვენი ეროვნულობის უმთავრეს უნარს, იზიარებს იგი ჩვენს ხალხთან ერთად, და უმთავრესად სწორედ ამიტომაც არის იგი სახალხო პოეტი. ყველაზე უდიდესმა ევროპელმა პოეტებმა ვერასოდეს ვერ შეძლეს ასეთი ძალით განესახიერებინათ თავიანთ თავში გენია უცხო, იქნებ სულაც მეზობელი ხალხისა, მისი სულის მთელი სიღრმე და ჭეშმარიტი მისი მისწრაფებისა, როგორც ეს შეძლო პუშკინმა. პირიქით, უცხო ხალხებს ევროპელი პოეტები მეტწილად გარდასახავდნენ თავიანთსავე ეროვნულობაში და თავისებურად აღიქვამდნენ. თვით შექსპირისაც კი, მაგალითად, იტალიელები თითქმის ყველგან იგივე ინგლისელები არიან. მსოფლიო პოეტთაგან მარტოოდენ პუშკინს ძალუძს მთლიანად გარდაისახოს სხვა ეროვნულობაში. აი, სცენები „ფაუსტიდან“, აი, „ძუნწი რაინდი“ და ბალადა „იყო ბეჩავი რაინდი ქვეყნად“. გადაიკითხეთ „დონ-ჟუანი“, და პუშკინის ხელმოწერა რომ არა, ვერასოდეს შეიტყობდით, რომ ესპანელის დაწერილი არ არის. რა ღრმა, ფანტასტიკური სახეებია პოემაში „ლხინი ჟამიანობის დროს“! მაგრამ ამ ფანტასტიკურ სახეებში ისმის გენია ინგლისისა; ესაა საოცარი სიმღერა პოემის გმირისა ჭირიანობაზე, ესაა სიმღერა მერისა, სიტყვებით:

Наших деток в шумной школе
Раздавались голоса, —

ეს ხომ ინგლისური სიმღერებია, ესაა სწორედ ბრიტანული გენიოსი, მისი გოდება, მისი ტან-ჯული წინათგრძნობა მომავლისა. გაიხსენეთ უცნაური სტრიქონები:

Однажды странствуя среди

долины дикой...

ესაა ერთი ძველი ინგლისელი რელიგიური სექტანტის მიერ პროზაულად დაწერილი უცნაური მისტიკური წიგნის პირველი სამი გვერდის თითქმის სიტყვასიტყვითი გადმოცემა, — მაგრამ განა მხოლოდ გადმოცემაა! ამ ლექსების ნაღვლიან და აღფრთოვანებულ მუსიკაში იგრძნობა სული ჩრდილოური პროტესტანტიზმისა, ინგლისელი მწვალებლისა, უსაზღვრო მისტიკოსისა, მისი ჩლუნგი, პირქუში, დაუძლეველი ლტოლვა და მისტიკური ოცნებათა მთელი დაუოკებლობა. კითხულობთ ამ სტრიქონებს და თითქმის გესმით რეფორმაციათა საუკუნეების სული, თქვენთვის გასაგები ხდება ახლად უეხალებული პროტესტანტიზმის ეს მეომრული ცეცხლი, გასაგები ხდება ბოლოს თვით ისტორია, და არა მარტო აზროვნებად, არამედ თითქოს თქვენც იქ იყავით, გვერდით ჩაუარეთ შეიარაღებულ სექტანტთა ბანაკს, მათთან ერთად მღეროდით მათ ჰიმნებს, ერთად ტიროდით მისტიკური აღტაცებით მოცული და მათთან ერთად გწამდათ ის, რაც მათ იწამეს. აქ თუნდაც: ამ რელიგიური მისტიციზმის გვერდით რელიგიურივე სტრიქონები ყურანიდან არის — „მიბაძვა ყურანისა". განა აქ არ არის მუსულმანი, განა ეს თვით ყურანის სული არ არის, მისი ხმლითვე რწმენისა და მისი მრისხანე სისხლიანი ძალა? აი, ძველი სამყარო, აი, „ეგვიპტური ღამეები", აი, მიწიერი ღმერთები, თავიანთ ხალხს რომ გაუბატონდნენ თავიანთი ღმერთებით, რომელთაც უკვე შესძულებიათ ხალხის გენია და მისწრაფებანი, აღარ სწამთ მისი, მართლაც განმარტოებულ ღმერთებად ქცეულან და ამ განმარტოებაში გონს გადასულნი სიკვდილის წინ ნაღველით მოცულნი თავს იქცევენ ფანტასტიკური მხეცობით, მწერთა ბესთიცობით, ადამიანების დედალი ობობისა, რომელმაც შეჭამა თავისი მამალი ობობა. არა, გადაჭრით ვიტყვი, არ არსებულა ისეთი კაცობრიული თანაგრძნობის პოეტი, როგორიც პუშკინი იყო, და განა მარტო თანაგრძნობაა აქ მთავარი, არამედ მისი გაუნაცვლებრივებელი სიღრმე, თავისი სულის სხვა ხალხთა სულად გარდაქმნა, თითქმის სრული და ამიტომაც განსაცვიფრებელი გარდაქმნა, ვინაიდან არსად, მთელი ქვეყნიერების არც ერთი პოეტის პოეზიაში ასეთი მოვლენა აღარ განმეორებულა. ეს მხოლოდ პუშკინთან შეინიშნება და ამ თვალსაზრისით, ვიმეორებ, ისაა არნახული და არგაგონილი მოვლენა, ხოლო ჩვენებურად წინასწარმეტყველურიც, რამეთუ... რამეთუ აქ ყველაზე მეტად გამოიხატა მისი ეროვნული რუსული ძალა, გამოიხატა სწორედ ხალხურობა მისი პოეზიისა, უკვე განვითარებული ხალხურობა, ხალხურობა ჩვენი მომავლის დღისა, რომელიც ჩასახულია აწმყოშივე და გამოიხატა წინასწარმეტყველურად. რამეთუ სხვა რაა რუსული ხალხურობის სულიერი ძალა, თუ არა მისი საბოლოო მისწრაფება — გახდეს მსოფლიო, საკაცობრიო? და რის მოლაპარაკე სახალხო პოეტი გახდა, რის ეზიარა ხალხურ ძალას, მაშინვე წინასწარ იგრძნო ამ ძალის მომავალი დანიშნულება. აქ არის იგი მისანი, აქ არის წინასწარმეტყველი.

მართლაც რა არის ჩვენთვის პეტრესეული რეფორმა, და არა მარტო მომავლის აზრით, არამედ იმითაც, რაც უკვე იყო, რაც უკვე თვალნათლივ აცხადდა? რას ნიშნავდა ჩვენთვის ეს რეფორმა? განა ის ჩვენთვის მარტოოდენ ევროპული სამოსის, ჩვეულებების, გამოგონებათა და ევროპული მეცნიერების ათვისება იყო? დავუკვირდეთ, როგორ იყო საქმე, უფრო გულმოდგინედ დავუკვირდეთ. დიახ, ძალიანაც შესაძლებელია, რომ პეტრემ თავდაპირველად მხოლოდ ამ მიზნით დაიწყო რეფორმა, ესე იგი უახლოესი უტილიტარული თვალსაზრისით, მაგრამ მერმე, თავისი იდეის შემდგომ განვითარებისას, ეჭვი არ არის, პეტრე დაემორჩილა ერთგვარ იდუმალ ალღოს, რომელიც იტაცებდა მას მომავალი მიზნებისაკენ, გაცილებით დიდი რომ იყო, ვიდრე მარტოოდენ უახლოესი უტილიტარიზმი. ზუსტად ასევე არც რუს ხალხს მიუღია ეს რეფორმა მხოლოდდა უტილიტარიზმის გამო, არამედ, ეჭვგარეშეა, თითქმის მაშინვე მისმა წინათგრძნობამ დაანახვა ერთგვარი შორეული, შეუდარებლად უფრო მაღალი მიზანი, ვიდრე უახლესი უტილიტარიზმია; — დაანახვა ეს მიზანი კვლავ, რაღა თქმა უნდა, ვიმეორებ ამას, გაუცნობიერებლად, მაგრამ თანაც უშუალოდ და მთელი სიცოცხლით. ჩვენ ხომ მყის შევაშურეთ მაშინ ყველაზე სასიცოცხლო გაერთიანებას, საკაცობრიო ერთიანობას! ჩვენ მტრულად კი არა, როგორც თითქოს უნდა მომხდარიყო, არამედ მეგობრულად, სიყვარულით მივიღეთ ჩვენს სულში უცხო ხალხთა გენიოსები, ყველანი ერთად, არ შევარჩიეთ ტომობრივი უპირატესობის მიხედვით, შევძელით ინსტინქტურად, თითქმის პირველი ნაბიჯებიდანვე გაგვერკვია, მოგვეხსნა წინააღმდეგობები, შეგვეწყნარებინა და ჯერ კიდევ მათთან შეგვერიგებინა განსხვა-

ვებანი და ამით უკვე გამოვხატეთ ჩვენი მზადყოფნა და მიდრეკილება, ჩვენ თვითონაც ეს-ეს არის ახლა რომ გვითხრეს და გამოგვიცხადეს, — მიდრეკილება დიდებული არიული მოდგმის ყველა ტომთან საერთო საკაცობრიო შეერთებისაკენ. დიახ, რუსი ადამიანის დანიშნულება უეჭველად სრულიად ევროპული და სრულიად საკაცობრიოა. ნამდვილ რუსად გახდომა, სავსებით რუსად გახდომა იქნებ მხოლოდ იმას ნიშნავს (ბოლოს და ბოლოს ხაზი გაუსვით ამას), რომ ძმად გაუხდე ყველა ადამიანს, გახდე ს რ უ ლ ი ა დ ა დ ა მ ი ა ნ ი, თუ გნებავთ. ო, მთელი ეს ჩვენი სლავიანოფილობა და დასავლეთელობა მარტოოდენ დიდი გაუგებრობაა, თუმცა ისტორიულად აუცილებელიც. ყოველი ნამდვილი რუსისათვის ევროპა და მთელი დიდებული არიული მოდგმის წილხვედრი ისევე ძვირფასია, როგორც თვით რუსეთი, როგორც საკუთარი მშობლიური ქვეყნის წილხვედრი, იმიტომ, რომ ჩვენი წილხვედრი სწორედ საკაცობრიულობაა, და მოპოვებულია არა მახვილით, არამედ ძმობით, ადამიანების ერთობისკენ ჩვენი ძმური მისწრაფების ძალით. თუ მოისურვებთ ჩასწვდეთ პეტრეს რეფორმების შემდგომ ჩვენს ისტორიას, თქვენ უკვე იპოვით ამ ჩემი აზრის, თუ გნებავთ, ამ ჩემი ოცნების კვალს და მითითებას ევროპის ხალხებთან ჩვენი ურთიერთობის ხასიათში, ჩვენს სახელმწიფოებრივ პოლიტიკაშიც კი. რამეთუ განა სხვას რას აკეთებდა რუსეთი მთელი ამ ორი საუკუნის განმავლობაში თავის პოლიტიკურ სარბიელზე, თუ არ იმას, რომ ემსახურებოდა ევროპას, იქნებ უფრო მეტად, ვიდრე თავის თავს? არა მგონია, რომ მარტოოდენ ჩვენი პოლიტიკოსების უუნარობის გამო ხდებოდა ეს. ო, ევროპის ხალხებმა არც კი იციან, რარიგ ძვირფასნი არიან ჩვენთვის! და მჯერა — მომავალში ჩვენ, უფრო სწორად, ჩვენ კი არა, არამედ მომავალი რუსი ადამიანები, უკლებლივ ყველანი მიხვდებიან, რომ ნამდვილ რუს ადამიანად გახდომა სწორედაც ნიშნავს: ვეცადოთ საბოლოოდ მოვარიგოთ ევროპული წინააღმდეგობანი, გამოსავალი უჩვენოთ ევროპულ სევდას თავის რუსულ, საკაცობრიო და ყოვლისმომცველ სულში, ძმური სიყვარულით დაიტიოს ყველა ჩვენი ძმანი, ბოლოს დასასრულ იქნებ კიდევაც წარმოთქვას საბოლოო სიტყვა დიდი, საერთო ჰარმონიისა, ყველა ტომთა საბოლოო ძმური ერთობისა ქრისტეს სახარების კანონის მიხედვით! ვიცი, ძალიან კარგად ვიცი, რომ შესაძლოა ჩემი სიტყვები აღტაცებულ, გაზვიადებულ და ფანტასტიკურ სიტყვებად მოგეჩვენოთ. დაე, ასე იყოს, მაგრამ არ ვნანობ, რომ ვთქვი. ეს უნდა ითქმოდა, ოღონდ განსაკუთრებით ახლა, ჩვენი ზეიმის წუთებში, ჩვენი დიდი გენიოსისათვის პატივის მიგების წუთებში, გენიოსისა, ვინც სწორედ ამ იდეას შეასხა ხორცი მხატვრული ძალით. ეს აზრი ხშირად გამოუთქვამთ კიდეც, მე ახალს არაფერს ვამბობ. მთავარი ისაა, რომ ყოველივე ეს თვითდაჯერებულად მოგეჩვენებათ: „ჩვენ, ამ ჩვენს ღატაკ, ამ ჩვენს უხეშ ქვეყანას ერგო ასეთი წილხვედრი? ჩვენ ვართ მოწოდებულნი ამქვეყნად ახალი სიტყვა ვთქვათ?" განა მე ეკონომიურ დიდებაზე, მახვილის ან მეცნიერების დიდებაზე ვლაპარაკობ? მე მხოლოდ ხალხთა ძმობაზე ვლაპარაკობ და კიდევ იმაზე, რომ მსოფლიო, საკაცობრიო ძმური ერთიანობისათვის რუსული გული იქნებ სხვა ხალხთა შორის ყველაზე მეტად არის მოწოდებული. ამის კვალს ვხედავ ჩვენს ისტორიაში, ჩვენს ნიჭიერ ადამიანებში, პუშკინის შემოქმედებით გენიაში. დაე, იყოს ჩვენი მიწა ღატაკი, მაგრამ ეს ღატაკი მიწა „В рабском виде исходил благословляя Христос". რატომ არ მივიღოთ გულისხმად მისი უკანასკნელი სიტყვები? ან განა თვით იგი ბაგაში არ იშვა? ვიმეორებ: სხვა თუ არაფერი, ჩვენ უკვე შეგვიძლია მივუთითოთ პუშკინზე, მისი გენიის საკაცობრიო და მსოფლიო მნიშვნელობაზე. მან ხომ შეძლო თავის სულში შეეთვისებინა უცხო გენიოსები, როგორც მშობლიურნი. ხელოვნებაში, ყოველ შემთხვევაში, მხატვრულ შემოქმედებაში მან უეჭველად გამოავლინა რუსული სულის ამ მისწრაფების მსოფლიურობა, სწორედ ეს უკვე დიდი მანიშნებელია. თუ ჩვენი აზრი ფანტაზიაა, მაშინ პუშკინი მაინც კმარა, რომ ვთქვათ, რასაც ემყარება ეს ფანტაზია. მეტსიც რომ ეცოცხლა, იქნებ მას მოევლინებინა უკვდავი და დიდებული სახეები რუსული სულისა, უკვე გასაგები რომ იქნებოდნენ ჩვენი ევროპელი ძმებისათვის, უფრო მეტად მოეზიდა ისინი, ვიდრე ახლაა, იქნებ მოესწრო აეხსნა მათთვის მთელი სიმართლე ჩვენი მისწრაფებისა, და ისინიც უკეთ გაგვიგებდნენ ჩვენ, ვიდრე ახლა ესმით, და იქნებ აღრევე გამოვეცალით, აღარ დაეწყოთ ასე უნდობლად და ქედმაღლურად ცქერა, როგორც ჯერ კიდევ გვიყურებენ. მეტხანს რომ ეცოცხლა პუშკინს, იქნებ ჩვენ შორისაც ნაკლები გაუგებრობა და დავა ყოფილიყო. მაგრამ ღმერთმა სხვაგვარად განსაჯა. პუშკინი მოკვდა თავისი ძალების სრული გაფურჩქვნისას და სამარეში თან ჩაიყოლა დიდი რამ საიდუმლო. და აი, ჩვენ ახლა უმისოდ ვცდილობთ ამ საიდუმლოს ამოცნობას.

□

# ვადიმ ბიგალევი

## პუშკინი და მასონები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თარგმნა მანანა ამისულაშვილმა

იდუმალებით არის მოცული პოეტის სიკვდილი. მას შემდეგ საუკუნეზე მეტი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში მრავალი ვარაუდი გამოითქვა, მრავალი გამოკვლევა გამოქვეყნდა ამის თაობაზე. თითქმის ყოველ მათგანში საგანგებოდ აღინიშნა, რომ პოეტი თვითმპყრობელობამ შეიწირა, რომ იგი მაღალი საზოგადოების შეთქმულების მსხვერპლი გახდა. მაგრამ კერძოდ ვინ იყვნენ შეთქმულები ან ვინ ჩაიდინა დანაშაული? ძიება ამ მიმართულებით დღესაც გრძელდება.

წინამდებარე ნარკვევი ნებას გვაძლევს კიდევ ერთხელ ჩავუღრმავდეთ ტრაგედიის მიზეზს, კიდევ ერთხელ ვცადოთ და გამოვავლინოთ მისი კონკრეტული მონაწილეები.

1837 წლის 5 მარტს (ახალი სტილით), პუშკინის სიკვდილიდან სამი კვირის თავზე, პარიზის გაზეთში „Temps" გამოაქვეყნეს წერილი, რომელიც ეძღვნებოდა რუსი პოეტის ცხოვრებასა და მოღვაწეობას კიშინიოვში. ანონიმი ავტორის კალამში არც გულითადობა იგრძნობა და არც თაყვანისცემა რუსი გენიოსისადმი. იგი ვინმე „მოგზაურის" ნაამბობს იმოწმებს: პუშკინი ქედმაღალი და უკმეხი კაცი იყო... სულ მცირე შეკამათებაზეც კი ცხარობდაო. შემდეგ წერილის ავტორი იუწყება: „რამდენიმე ფრანგმა, იმხანად კიშინიოვში რომ იმყოფებოდა, იქ მასონთა ლოჟა დააარსა. პუშკინი მასონთა ლოჟაში შევიდა..."

წერილში ისე დაწვრილებითაა ყველაფერი აღწერილი, რომ მისი დამწერი ან კიშინიოვის საიდუმლო მასონთა ჯგუფის მუდმივი წევრი უნდა ყოფილიყო ან ლოჟის ერთ-ერთი უზენაესი თავკაცი, „ოსტატი". ეს უკანასკნელი კი, რაგინდ შორსაც არ უნდა ყოფილიყო, მასონთა წესდების თანახმად მუდამ იღებდა დაწვრილებით ცნობებს „ძმებზე". ხოლო რაც შეეხება ალექსანდრე სერგეის ძის კავშირს მასონობასთან, ამას თვითონ პოეტი ადასტურებს თავისსავე დღიურში, სადაც ჩაუწერია: 1821 წლის 4 მაისს მასონად მიმიღესო.

პუშკინის კავშირს „ოვიდიუსის" ლოჟასთან და აქედან გამომდინარე შედეგებს პოეტის ბევრი მკვლევარი და ბიოგრაფი არ ანიჭებდა ჯეროვან მნიშვნელობას, თუმცაღა ეს საკითხი შესწავლის ღირსია.

„ოვიდიუსის" ლოჟა დაარსდა მალე მას შემდეგ, რაც პუშკინი ჩავიდა კიშინიოვში. მისი ერთ-ერთი დამაარსებელი იყო ამ მხარის სამხედრო უფროსი, გენერალი ი. ნ. ინზოვი. იგი მოწონებით შეხვდა პოეტის კურთხევას მასონად და სხვა „ძმებთან" ერთად, რომელთა შორის უცხოური წარმოშობისანიც ერივნენ, გაფაციცებით ადევნებდა თვალს, ერთგულად ემსახურებოდა თუ არა პუშკინი „თავისუფალ კალატოზთა" საზოგადოებას. პოეტის ერთ-ერთი პირველი ბიოგრაფი პ. ვ. ანენკოვი წერს, რომ პუშკინს, მის ყოველ სიტყვას, მის ყოველ ნაბიჯსა თუ აზრს გულდასმით ადევნებდნენ თვალყურს „მხოლოდ ერთი განზრახვით — თვალთახედვიდან არ გამოპარვოდათ მოვლენა, რომელიც არ შეეფერებოდა ცხოვრების საერთო წესს".

ლოჟის ოსტატები და დეპოსტატები ასე ასწავლიდნენ „ძმებს": „თუ მწერალი თავის წიგნში ისეთ აზრებს გამოთქვამს, რაც სავსებით სწორია, მაგრამ არ შეეფერება ჩვენს მოძღვრებას და თანაც ძალიან ნაადრევია, მაშინ ან უნდა მოვისყიდოთ ეს მწერალი, ან არადა საქვეყნოდ მოვჭრათ თავი".

წესდება აფრთხილებდა ძმების წევრებს: „შენი ნება ემორჩილება კანონთა და უზენაესთა ნებას ორდენში... გულშიაც კი არ გაივლო, რომ ეს ფიცი ნაკლებ წმინდაა საერთო საზო-

გადლობაში დადებულ ფიცზე, შენ თავისუფალი იყავ, როცა ფიცს წარმოთქვამდი ძმობის წინაშე, მაგრამ აღარ ხარ თავისუფალი, რომ გასტეხო იგი; შენ ფიცის მონა-მორჩილი ხარ".

„ოვიდიუსის" ლოჟა ექვემდებარებოდა დიდ მეთაურ ლოჟას — „ასტრეას", რომელიც აერთიანებდა რუსეთის ათობით ლოჟას. „ასტრეა" კი თავის მხრივ ემორჩილებოდა „დიდ პროვინციის ლოჟას", რომელსაც განაგებდნენ უცხოელი ოსტატები. ამას გარდა „ასტრეა" ვალდებული იყო დროდადრო ანგარიში ჩაებარებინა საიდუმლო „კაპიტულისათვის" და ეხელმძღვანელა მისი მითითებებით. „კაპიტული" პეტერბურგში დაარსეს უცხოელმა დიდოსტატებმა საგანგებოდ იმისათვის, რომ თვალი მიედევნებინათ რუსი მასონების მოღვაწეობისათვის. ყველა მასონს მეთაურობდა „დიად ღვთივ კურთხეულთა" დიდი ლოჟა. მის წევრებად ირჩევდნენ უგანათლებულეს ძმებს ყველა უწმინდესი კაპიტულიდან.

ბევრი რუსი მასონი წრფელი ზრახვით შევიდა ძმობაში — „შეეძინა ცხოვრებისეული სიბრძნე", „აღმოეფხვრა ბოროტება და დაენერგა კეთილი ზნე". იგი მთელი თავისი სიცოცხლე უსიტყვოდ ემორჩილებოდა ოსტატებს, მაგრამ მასონური „საიდუმლოებანი" სამუდამოდ ამოუცნობი დარჩა მისთვის.

რუსი მასონები, ნებით თუ უნებლიეთ, შეგნებულად თუ ბრმად, ხელს უწყობდნენ ტაძრის რაინდთა ძველი ორდენის აღორძინებას, მისი გავლენის გავრცელებას.

ალბათ საჭირო იქნება მკითხველს მოკლედ შევახსენოთ ტაძრის რაინდთა შუასაუკუნეების ორდენის ისტორია.

ტამპლიერები — ტაძრის რაინდები ჯვაროსნული ლაშქრობების დროს ეკუთვნოდნენ ძლიერ საიდუმლო გაერთიანებას. ისინი იყვნენ „იერუსალიმის ტაძრის ორდენის" წევრები. ორდენი დაარსდა მე-12 საუკუნეში და ეს სახელწოდება მიიღო მას შემდეგ, რაც მეფე ბალდუინმა დაუთმო ციხე-დარბაზი იერუსალიმში იმ ადგილის მახლობლად, სადაც გადმოცემით ოდესღაც სოლომონის ტაძარი მდგარა. იმ დროის კვალობაზე ორდენი მართლაც ძლიერი იყო. მას დიდძალი მიწები ჰქონდა და გათავისუფლებული იყო ყოველგვარი გამოსაღებისაგან. ტამპლიერთა სამფლობელოები გადაჭიმული იყო პალესტინიდან ირლანდიამდე. დიდძალი ქონების პატრონთ არაფრად უღირდათ თუნდაც მთელი კუნძული კვიპროსი ეყიდათ ინგლისის მეფისაგან.

ტამპლის ციხე-დარბაზში მოკალათებული ორდენის თავკაცები იმ პრინციპს მისდევდნენ, რომ ყველაფერი ნებადართულია.

არაერთი ისტორიკოსის აზრით, უზენაეს ტაძრის რაინდთა საიდუმლო გეგმა მიზნად ისახავდა ხელთ ეგდოთ ძალაუფლება სხვადასხვა სახელმწიფოში და დაემყარებინათ თავიანთი მსოფლიო „ათასწლოვანი ბატონობა". ტაძრის რაინდებმა მართლაც ბევრ სამეფოს დასცეს შიშის ზარი, ბევრ სახელმწიფოში მოიპოვეს შეღავათიანი უფლებები, აიძულეს შეძლებული დიდგვაროვანნი, რომ ორდენისათვის მთელი საგრაფოები ებოძებინათ. მაგრამ ტაძრის რაინდებს მეტისმეტი მოუვიდათ. 1307 წლის 13 ოქტომბრის ღამეს ტამპლიერთა მეთაურები დაიჭირეს და ინკვიზიციას გადასცეს. მაგრამ ორდენი არ გამქრალა, ფარულად განაგრძობდა არსებობას.

თუმცა, მოდით, დავუბრუნდეთ პუშკინის ცხოვრებისა და შემოქმედების კიშინიოვის ხანას.

ჩვენ მიერ ნახსენები „Temps"-ში დაბეჭდილი წერილი იმით მთავრდებოდა, რომ რუსი პოეტი პეტერბურგში იმყოფება, „მაგრამ ამ დროიდან იგი თვალთაგან დაგვეკარგა".

როგორც ჩანს, წერილის ავტორებს, რომლებიც უეჭველად მასონები იყვნენ, პუშკინი მართლა თვალთაგან კი არ „დაეკარგვოდათ", საქმე ის არის, რომ ალექსანდრე სერგეის ძე თავისი ხასიათით, აზროვნებითა და შემოქმედებით მასონობის მკაცრ საზომებს ვერ ეგუებოდა. „ძმებისათვის" ნათელი გახდა, რომ პოეტი მათ აღარ ემორჩილებოდა და პატივსაც აღარ სცემდა ორდენის მოთხოვნებს. მისი წეს-ჩვეულებები უფრო და უფრო უაზრო ეჩვენებოდა, „თანაც ისე უცხო რუსული ბუნებისათვის", რომ თანდათან გაუნელდა ადრინდელი ლტოლვა მასონობისაკენ, რომელიც ცნობისმოყვარეობამ და კიშინიოვში გამეფებულმა მოწყენილობამ გაუჩინა. ყოველივე ეს შეუმჩნეველი არ დარჩენილა, რადგან პუშკინის მტრებსა თუ მეგობრებში ბევრი ერია მასონი.

ერთხელ კიდევ გავიმეოროთ მასონების ერთ-ერთი წესი, პრინციპული მითითება: „თუ მწერალი თავის წიგნში ისეთ აზრებს გამოთქვამს, რაც სავსებით სწორია, მაგრამ არ შეეფე-

რება ჩვენს მოძღვრებას და თანაც ძალიან ნაადრევია, მაშინ ან უნდა მოვისყიდოთ ეს მწერალი, ან არადა, საქვეყნოდ მოვჭრათ თავი“.

პუშკინი წერდა „შეუფერებელსა“ და „ნაადრევ“ ნაწარმოებებს, ნაადრევს, ეტყობა, იმ აზრით, რომ ისინი მიუკერძოებლად განჭვრეტდნენ და ამხილებდნენ [illegible] მათი ბელადების მეთოდებს. პუშკინის მოსყიდვა კი შეუძლებელი იყო:

И неподкупный голос мой
Был эхо русского народа.

1826 წელს, მალე ნიკოლოზ I-ის მეფედ კურთხევის შემდეგ, პოეტი გადასახლებიდან გამოიწვიეს. ახალმა იმპერატორმა მას ნება დართო გასცნობოდა მნიშვნელოვან საბუთებს — პეტრე დიდის არქივს. პუშკინი მთელი არსებით ჩაეფლო მუშაობაში, შეისწავლა ისტორია და შექმნა ისეთი ნაწარმოებები, რომელთა ისტორიულ-პოლიტიკურმა სიღრმემ და მხატვრულმა ღირსებამ შესძრა შემდეგ მთელი მსოფლიო

კიშინიოვის შემდეგდროინდელ პერიოდში პუშკინის სახელი საკმაოდ ხშირად გაიელვებდა ხოლმე უცხოური პრესის ფურცლებზე; სათაურ ცნობებს ბეჭდავდნენ. მ. პ. ალექსეევი თავის გამოკვლევაში „პუშკინი და დასავლეთის ლიტერატურა“ შენიშნავდა: „უცხოელი მოგზაურები რუსეთში თავიანთი მოგზაურობის აღწერისას პუშკინს ხშირად ისეთნაირად იხსენიებდნენ, რომ ჟანდარმერიის ხელისუფალნი იძულებული იყვნენ უფრო მეტად ედევნებინათ თვალყური მისთვის“.

ოცდაათიანი წლების დასაწყისში რუსეთში ჩამოვიდა ჟორჟ დანტესი. პირველი დღეებიდანვე იგი სარგებლობდა ბარონ ჰეკერნის, ნიდერლანდის ელჩის დიდი მხარდაჭერითა და მფარველობით. გამოჩნდა თუ არა ახალგაზრდა ფრანგი პეტერბურგში, თვითონ ჰეკერნმა საიქაროდ გაავრცელა ხმა, რომ დანტესის შვილად აყვანა სურდა. მაღალ საზოგადოებაში ამან სათანადო შთაბეჭდილება მოახდინა და დანტესის წინსვლაც დაჩქარდა.

ჟორჟ დანტესი იყო ვაჟი მსხვილი სულცელი საქმოსანი-მრეწველისა, რომელიც იმ ციხე-დარბაზის მფლობელი გახლდათ, ადრე ტამპლიერთა (ტაძრის რაინდთა) ორდენს რომ ეკუთვნოდა. ეს ციხე-დარბაზი შემთხვევით არ ხვდომია წილად დანტესების ოჯახს, დანტესის ბიძა ტამპლიერთა ორდენის კომანდორი იყო. დანტესების ოჯახი აღიარებდა ტამპლიერობას და განსაკუთრებული მდგომარეობა ეკავა „ძმათა“ შორის. ბიძის სიკვდილის შემდეგ დანტესების ქონებრივი მდგომარეობა არ შერყეულა, პირიქით, „საიდუმლო მეგობრების“ წყალობით მათი სიმდიდრე მნიშვნელოვნად გაიზარდა.

ჟორჟ დანტესი 1812 წელს დაიბადა, 1829 წელს იგი ჩაირიცხა სენ-სირის სამხედრო სასწავლებელში. ზოგიერთი უიღბლო პოლიტიკური ავანტიურის შემდეგ დანტესი პრუსიის ტახტის მემკვიდრე პრინცის — ვილჰელმის პროტექციის წყალობით გაემგზავრა რუსეთში. პრინცი ფრიად ახლოს იყო მასონურ წრეებთან. ერთი პატარა სასაზღვრო ქალაქის ტრაქტირში დანტესი შეხვდა ჰოლანდიის ელჩს — ჰეკერნს, რომელიც იცნობდა მისი ოჯახის წევრებს, მათ შორის მამამისსაც.

ჰეკერნი და დანტესი კარგა ხანს დარჩნენ ტრაქტირში. ეტყობა, სალაპარაკო ჰქონდათ. დარჩენის მიზეზი ორივეს მოეძებნებოდა: დანტესს — „ავადმყოფობა“, ჰეკერნს კი „ტექნიკური შეფერხება“ — კარიოლეტი გაუფუჭდა. ალბათ სწორედ აქ, ტრაქტირში შეიმუშავეს „შვილად აყვანის“ გეგმა, რადგან პეტერბურგში ჩასვლისთანავე თვითონ ჰეკერნმა და დანტესმა გაავრცელეს ხმა, რომ მალე მათ „ბიოგრაფიაში“ ცვლილება მოხდებოდა. ორივეს გულუბრყვილო რუსი არისტოკრატიის იმედი ჰქონდა. მათი ვარაუდი გარკვეული აზრით გამართლდა კიდეც, რადგან მალე რუსეთის სამეფო კარმა ირწმუნა „შვილად აყვანის“ ვერსია და გზა გაუხსნა დანტესს მაღალ საზოგადოებაში.

პუშკინის გარდაცვალების 100 წლის თავზე პარიზის ჟურნალმა „Revue des etudes slave“ გამოაქვეყნა ორი ჰოლანდიელი მეცნიერის ნაშრომი. ამ ნაშრომში მოყვანილი საბუთები მთელი ასი წელი ინახებოდა ჰოლანდიის სახელმწიფო არქივებში. როგორც ამ მასალებიდან ჩანს, სამინისტროთა შორის მიმდინარეობდა ხანგრძლივი კამათი იმის თაობაზე, გადაეცათ თუ არა დანტესისათვის აზნაურის ტიტული და ჰეკერნების საგვარეულო გერბი. დავა ყოფილა აგრეთვე „შვილობილის“ ეროვნულ წარმოშობაზეც. საქმე ის არის, რომ „შვილად აყვანა“ ეწინააღმდეგებოდა ნიდერლანდის კანონმდებლობის მთელ რიგ დებულებებს. ფრანგულ ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიის — „ორი ბარონი ჰეკერნის“ ავტორები აღნიშნავენ, „მართალია, თვით ჰოლანდიის მეფე დათანხმდა, რომ დანტესს გვარი შეეცვალა და თანაც იმ პირობით დათანხმდა, რომ „სიგელს“ იურიდიული უფლება მხოლოდ 1837 წლი-

დან მიენიჭებოდა (ამ დროისათვის კი დუელი უკვე მომხდარი იყო და დანტესმაც რუსეთი დატოვა), მაინც „შვილად აყვანას“, — განაგრძობენ ჰოლანდიელი მეცნიერები, — ვერ მივიჩნევთ დამაჯერებელ ფაქტად. ეს იყო მოჩვენებითი, შეთითხნილი ამბავი“.

„შვილად აყვანა“ (მშობელი მამის სიცოცხლეში) — წინასწარ მოფიქრებული ავანტიურაა. მას მოჰყვა მეორე ავანტიურა — ბინძური და პროვოკაციული ანონიმური წერილი, გამიზნული იმისათვის, რომ ჩირქი მოსცხებოდა პუშკინს. ალექსანდრ სერგეის ძეს შესანიშნავად ესმოდა, ეს ახალგაზრდა ვიგინდარა როდი იყო მთავარი, მის ზურგს უკან სხვები იდგნენ და ის სხვები შეგნებულად ხლართავდნენ შეთქმულების ბადეს.

დანტესი როგორღა იქცეოდა? იგი ავანტიურიზმში არ ჩამორჩებოდა თავის ახალ „მამას“, ბარონის მაღალი ტიტული რომ ჰქონდა. დანტესი ზუსტად ასრულებდა მასონთა მითითებებს, კერძოდ, შემდეგ მითითებას: „მსოფლიო მოვლენებზე ზემოქმედება ყველაზე უფრო მეტად ქალების დახმარებით შეიძლება მოვახდინოთ“. 1836 წლის ნოემბერში დანტესმა მოულოდნელად გადაწყვიტა ცოლად შეერთო ეკატერინე გონჩაროვა. ამ ამბავმა ბევრი განაცვიფრა.

დანტესის ქორწინების საკითხს განიხილავდა რუსეთის უმაღლესი ხელისუფლება, გადასაჭრელი იყო ამ შემთხვევაში ქვეშევრდომობისა და სარწმუნოების საკითხი. საბოლოოდ დანტესმა და მისმა მფარველმა ჰეკერნმა მიაღწიეს იმას, რომ მათ მიერ წამოყენებული ყველა პირობა დააკმაყოფილეს.

გონჩაროვასთან ქორწინება არც ნიდერლანდის ელჩს ჰქონდა გამიზნული და არც თვით დანტესს სურდა. „ჰეკერნი პატივმოყვარე კაცი იყო, — წერდა ნ. მ. სმირნოვი, — სურდა მდიდარ ქალზე დაექორწინებინა შვილობილი. იგი ბოროტი, ეგოისტი ადამიანი იყო, მიზნის მისაღწევად არაფერს არ ერიდებოდა“. აღსანიშნავია, რომ ჰეკერნი ელჩისათვის უგვანო და შეუწყნარებელ საქმიანობას ეწეოდა რუსეთში. იგი ვაჭრობდა უცხოური ღვინოებით, ჭურჭლეულით, სურათებითა და ავეჯით. ასეთივე თვისებებით, საქციელითა და სულიერი სამყაროთი გამოირჩეოდა დანტესიც.

რამ აიძულა ჰეკერნი და დანტესი ასე ძირფესვიანად შეეცვალათ თავიანთი გეგმა და თანხმობა ეთქვათ იმ ქალთან ქორწინებაზე, რომელსაც არც სიმდიდრე გააჩნდა და არც სილამაზე?

როგორც ეტყობა, ჰეკერნს დანტესის ბედი სულაც არ აწუხებდა — დანტესს წინდაწინვე მიაკუთვნეს გარკვეული როლი და, როგორც ფაქტები გვიჩვენებენ, მოკლებული იყო ყოველგვარ თავისუფლებას, — იგი ესწრაფვოდა გადაეჭრა რაიმე უფრო მნიშვნელოვანი საქმე, რის აღსრულებაც ღმერთმა უწყის, ვინ დაავალა მას. ამავდროულად, ჰეკერნი შეგნებულად უბიძგებდა დანტესს ავანტიურისტული ქორწინებისაკენ, უნდოდა ჯერ მარტო ამ ქორწინების გამოცხადებით აეფორიაქებინა პუშკინის სული, გაეჭიანურებინა დუელი, რათა დანტესი მომზადებული ყოფილიყო ორთაბრძოლისათვის და, როგორც იტყვიან, მერე პოეტისთვის საბოლოოდ გაესწორებინათ ანგარიში.

1836 წლის 4 ნოემბერს, დილით, პუშკინმა მიიღო ფრანგულ ენაზე ბეჭდური ასოებით ნაწერი ანონიმური წერილი. პოეტს ატყობინებდნენ: „რქებდადგმულთა უწმინდესი ორდენის პირველი ხარისხის კავალერებმა, კომანდორებმა და რაინდებმა, რომლებიც შეიკრიბნენ დიდ კაპიტულში ორდენის ღრმადპატივცემული დიდი მაგისტრის, მისი აღმატებულების დ. ლ. ნარიშკინის თავმჯდომარეობით, ერთხმად აირჩიეს ბ-ნი ალექსანდრ პუშკინი რქებდადგმულთა ორდენის დიდი მაგისტრის მოადგილედ და ორდენის ისტორიოგრაფად“ და ა. შ. ამ შემთხვევაში მასონური ტერმინოლოგია შეგნებულად, განგებ არის ნახმარი.

ცხადია, ბარათი იმ მასონების დაწერილია, რომლებიც კარგად იცნობდნენ ორდენის სისტემას. მაგრამ ამასთან ერთად ისიც შევნიშნოთ, რომ მასონებს წესად არ ჰქონდათ შეურაცხყოფა მიეყენებინათ თავიანთი „ძმებისათვის“. მხოლოდ საიდუმლო დიდოსტატებს შეეძლოთ მიეცათ ამის ნება განსაკუთრებულ შემთხვევებში.

ამ ბინძურ პასკვილში სხვაც ბევრია გადაკვრით ნათქვამი სიტყვა. მაგალითად, შემთხვევით არ არის ნახსენები ობერ-ეგერმაისტერის დ. ლ. ნარიშკინის სახელი. თავის დროზე არისტოკრატიულ წრეებში ცოტას როდი ჭორაობდნენ იმპერატორ ალექსანდრე I-ის ურთიერთობაზე ნარიშკინის მეუღლესთან, მშვენიერ მარია ანტონის ასულთან. ხოლო ალექსანდრე I-ის ძმა, ახალი იმპერატორი ნიკოლოზ პავლეს ძე მთლად გულგრილი არ გახლდათ პუშკინის ცოლის — ნატალია ნიკოლოზის ასულისადმი.

იმავე დილას შეიტყო პუშკინმა, რომ „დიპლომის“ რამდენიმე ასლი მის ახლო ნაცნობებში მოგზაურობს და ხელიდან ხელში გადადის.

პუშკინმა არ იცოდა და ვერც ხვდებოდა, რომ ამ პასკვილის დაწერაში მონაწილეობდა ორი მასონი, რომელთაც კარგად იცნობდა: თავადი პეტრე ვლადიმერის ძე დოლგორუკი, ჰეკერნის მეგობარი, და თავადი ივანე სერგეის ძე გაგარინი, დანტესის [illegible]. სამაგიეროდ ალექსანდრ სერგეის ძემ სხვა რამ იცოდა — „დიპლომის“ მთავარი ავტორები დანტესი და ჰეკერნი იყვნენ. პუშკინმა არ დააყოვნა და დანტესი დუელში გამოიწვია, სეკუნდანტების საკითხიც კი იმავე დღეს გადაწყვიტა.

მაგრამ 4 ნოემბერს პუშკინს კიდევ ელოდა ერთი „სიურპრიზი“. სადილობისას, რომელზედაც სეკუნდანტი კ. ო. როსეტიც იმყოფებოდა, „პუშკინს წერილი მოართვეს სუფრასთან. როცა წაიკითხა, თავის უფროს ცოლისდას ეკატერინე ნიკოლოზის ასულს მიმართა: — მოგილოცავთ პატარძლობას; დანტესი თქვენს ხელს თხოულობს. — ეკატერინე ნიკოლოზის ასულმა ხელსახოცი მაგიდაზე დააგდო და თავის ოთახში გაიქცა. ნატალია ნიკოლოზის ასულიც უკან მიჰყვა. — დიდი თაღლითი! — უთხრა პუშკინმა როსეტს დანტესზე“.

როგორც ჩანს, პუშკინის მტრებმა წინასწარ გაითვალისწინეს ყველა შესაძლებელი ვარიანტი, წინასწარ „გაითამაშეს“ ყველა შესაძლებელი სიტუაცია.

1837 წლის იანვარში გაავრცელეს ახალი დასტა ბინძური ანონიმური წერილებისა. ამით კიდევ ერთხელ უბიძგეს პუშკინს დუელისაკენ. ამ წერილების მქლაბნელებისთვისაც კი ნათელი იყო, საცაა მოთმინების ფიალა აევსებოდა პოეტს.

წერილები მაშინვე III განყოფილებაში მოხვდა. ბენკენდორფი (აგრეთვე მასონი) გრძნობდა, ეს ამბავი ტრაგიკულად დასრულდებოდა, მაგრამ არაფერი იღონა უბედურების თავიდან ასაცილებლად. უფრო მეტიც, მალე წერილები სადღაც გაქრა და დღემდე არავის მიუკვლევია მათთვის.

სამართლიანად შენიშნავდა მ. იაშინი: „მაშინ, როდესაც ბენკენდორფმა ჯაშუშები დაახვია პუშკინის მეგობრებს და მათ ყოველ ნაბიჯს თვალყურს ადევნებდა, არაფერი იღონა იმისათვის, რომ ეპოვა დამნაშავენი, ისინი, ვინც ანონიმურ წერილებს წერდნენ და პუშკინს სდევნიდნენ. უფრო მეტიც: ზოგიერთი საბუთი იმ სამხედრო-სასამართლო საქმისა, რომელიც დუელს ეხებოდა, რატომღაც არ წარადგინეს განსახილველად; ეს საბუთები III განყოფილების საიდუმლო დოსიეში აღმოჩნდა. აქვე აღმოჩნდა ორიოდ სიტყვაც პასკვილის ანონიმური ავტორების ძებნის თაობაზე, რასაც განზრახ სულ სხვა გზით წარმართავდნენ“.

პუშკინის სიკვდილის შემდეგ შეუდგნენ საქმიანი ქაღალდებისა და საბუთების გაცნობა-განხილვას და დაიწყეს გამოძიება. ამასთანავე იწერებოდა ოქმები. მეორე ოქმში № 7-ით აღნიშნულია „ბილეთებიანი პაკეტი“. ეს პაკეტი „რატომღაც გადაეცათ გრაფ ბენკენდორფისათვის“. ამ საბუთებს, სახელმძღვანელოდ რომ შეიძლებოდა გამომდგარიყო და აეხსნა „სასამართლო კომისიის“ არსი, ჩვენს დრომდე სრულად არ მოუღწევია. ყოველ შემთხვევაში, ბევრი მათგანისათვის აქამდე ვერ მიუკვლევიათ. ვერ მიუკვლევიათ აგრეთვე მნიშვნელოვანი ჩვენებებისათვის, დანტესმა რომ მისცა სასამართლოზე 9 თებერვალს.

საერთოდ, უმნიშვნელოვანესი საბუთები, რომლებსაც შეეძლოთ ოდნავ მაინც აეხსნათ შეთქმულების საიდუმლო, სამხედრო-სასამართლო საქმის მასალებში არ აღმოჩნდა. ეს საბუთები სადღაც გაქრა. ბარემ ისიც შევნიშნოთ, რომ ქაღალდების გარჩევა, განსაკუთრებით კი ფრანგულ ენაზე დაწერილი ქაღალდებისა, მიანდეს დუბელტს. ეს უკანასკნელიც მასონი იყო, ამდენად, ჩვენ ამას სავანგებოდ აღვნიშნავთ, დანაშაული კვლავ თვითმპყრობელობას ეკისრება, რომელსაც მსახურებდნენ ის ადამიანები, ვინც დაინტერესებულნი იყვნენ მომხდარი ტრაგედიით და მიზნად ჰქონდათ ბინძური კვალის დაფარვა. ისინი მორჩილად ემსახურებოდნენ არა რუს ხალხს, არამედ გადამთიელ ავანტიურისტებს, მასონთა საიდუმლო ბელადებს.

მაგრამ დავუბრუნდეთ ფაქტებს.

29 იანვარს შეწყდა დიდი პოეტის გულისცემა. დანტესი დააპატიმრეს და 1837 წლის 19 მარტს საზღვარგარეთ გაასახლეს. დამთავრდა „მამამისის“ — ჰეკერნის კარიერაც რუსეთში. ყველანი, ვისაც კი რამდენიმე წილი ედო პასკვილების შედგენასა და მომხდარ ტრაგედიაში, დიდხანს დუმდნენ.

მას შემდეგ, რაც დანტესს შეხვდა ბერლინში, ლუი ჰეკერნი ჰოლანდიაში გაემგზავრა, რათა საძირკველი ჩაეყარა თავისი ახალი პოლიტიკური კარიერისათვის ჰააგაში. დანტესი კი თავის ცოლთან ერთად, რომელიც არ უყვარდა, სულცში წავიდა, სადაც მამამისის ოჯახი ცხოვრობდა.

დანტესისა და ჰეკერნის „საქმიანი“ ურთიერთობა ამით არ შეწყვეტილა. ივნისის მიწურულს დანტესი გაემგზავრა ბადენ-ბადენში, სადაც სწორედ ამ დღეებში ჩავიდა ჰეკერნიც.

აქ ჩამობრძანდა დიდი თავადი მიხეილ პავლეს ძე, რომელსაც უკვე დიდი ხანია შორიახლო უტრიალებდნენ ევროპელი მასონები და ცდილობდნენ თავიანთ ბადეში გაებათ იგი. ბადენ-ბადენში გამგზავრება სასარგებლო იყო როგორც დანტესისათვის, ასევე ჰეკერნისათვისაც. ისინი ხვდებოდნენ რუს მასონებს, წარჩინებულ დიდგვაროვნებთ, მათგან იღებდნენ თავიანთთვის საჭირო ცნობებს და უცოდველნი ვართო, არწმუნებდნენ „საქმეში გარეულ" რუს ძმებს. ტყუილად როდი ირჯებოდნენ: რუსეთში მიდიოდა წერილები, რომლებიც ამართლებდნენ მკვლელს. აი, მაგალითად, ანდრეი კარამზინი, იმხანად ბადენში რომ ცხოვრობდა, თავის ნათესავებს სწერდა: „დანტესს დამცველები გამოუჩნდნენ. ვფიქრობ, სამართლიანადაც. მე პირველი გავუწვდი ხელს გულღიად, თუმცა ჯერაც ცრემლი მდის პუშკინისათვის. დანტესი მოიქცა, როგორც შეეფერება პატიოსანსა და კეთილშობილ ადამიანს — ყოველ შემთხვევაში, მე ასე მგონია..."

სამაგიეროდ არც დანტესი და არც ჰეკერნი ასეთი „გულჩვილობით" არ გამოირჩეოდნენ და ცრემლის ღვრასაც არ აპირებდნენ. ისინი იეზუიტური ცინიზმით, დაჟინებითა და თანმიმდევრობით სდევნიდნენ გონჩაროვებს. როგორც ეტყობა, სურდათ საბოლოოდ გასწორებოდნენ პუშკინის ახლობელ ადამიანებს. უნდა აღინიშნოს, რომ დანტესი გამოძალვას ეწეოდა, რამაც გაღატაკებამდე მიიყვანა გონჩაროვები. სამშობლოს მოწყვეტილი ეკატერინე ნიკოლოზის ასული კი მალე გარდაიცვალა. შვილები დანტესმა აღსაზრდელად მისცა თავის გაუთხოვარ დას, თვითონ კი პარიზში გადავიდა, უფრო ახლოს გავლენიან ძმებთან — მასონებთან. სწორედ აქ დაიწყო მისი თავბრუდამხვევი კარიერა, რითაც, ეტყობა, მასონებმა დააჯილდოვეს წარმატებით ჩატარებული „რუსეთის ოპერაციისათვის". დანტესი გახდა სენატორი, მრავალი საკრედიტო ბანკისა და რკინიგზის კომპანიის წევრი. მისი კაპიტალი, ისევე როგორც ჰეკერნისა, წლითიწლობით იზრდებოდა. მის მიტოვებულ ბავშვებს კი საცოდავი ცხოვრება ჰქონდათ: ეკატერინეს ვაჟს მემკვიდრეობა წაართვეს, ბედის ანაბარა მიატოვეს, ქალიშვილი კი, მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული გოგონა, რომელიც პუშკინზე იყო შეყვარებული, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გარდაიცვალა.

ჩვენ არ ვამთავრებთ ამ ისტორიულ ქრონიკას. ჯერ კიდევ არ არის ნაპოვნი ბევრი საბუთი, არ არის გაშიფრული და გამოქვეყნებული მასონთა არქივები, საბოლოოდ არც მათი როლია განსაზღვრული მომხდარ ტრაგედიაში.

⊡



ნადია რუშევა, „პოეტის უკანასკნელი წუთები". 1968

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**ქეთევან ბორცვაძე**

უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის
პოლონური ენის მასწავლებელი

# პუშკინის ნაწარმოებთა თარგმანი პოლონურ ენაზე — შესრულებული თბილისში

პოლიტიკური დევნის გამო XIX საუკუნის I ნახევარში ბევრი პოლონელი აღმოჩნდა საქართველოში. ისინი განათლებული, პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები იყვნენ.

ბევრმა მათგანმა საქართველოში დაიწყო ლიტერატურული მოღვაწეობა. ამჟამად პოლონური ლიტერატურის ისტორიაში ისინი „კავკასიელ პოეტთა ჯგუფის" სახელით არიან ცნობილი. ამ მოღვაწეთა შორის უპირველესად უნდა მოვიხსენიოთ ლეონ იანიშევსკი (1810—1861), რომელმაც თბილისში გაატარა 20 წელი (1841—1861). მისი შემოქმედება განსაკუთრებულ სამეცნიერო ინტერესს იმსახურებს, რადგან შეიცავს ცნობებს იმდროინდელ საქართველოზე და საშუალებას იძლევა სრულად დავახასიათოთ საქართველო-პოლონეთის ლიტერატურული ურთიერთობა.

ამ პატარა პუბლიკაციაში მე შევეხები ლეონ იანიშევსკის პოეტური შემოქმედების მხოლოდ ერთ ასპექტს, კერძოდ, პუშკინის ნაწარმოებთა მისეულ თარგმანებს პოლონურ ენაზე.

პოლონურმა პროგრესულმა ყოველთვიურმა ჟურნალმა „ბიბლიოტეკა ვარშავსკამ" 1842 წელს გამოაქვეყნა ლეონ იანიშევსკის მიერ პოლონურ ენაზე თარგმნილი პუშკინის პოემა „ბოშები". იმავე წელს ეს თარგმანი ცალკე წიგნადაც გამოიცა ვარშავაში. ლეონ იანიშევსკიმ თარგმნა აგრეთვე „კავკასიელი ტყვე". ამ თარგმანს გ. ფრანცევმა სპეციალური წერილი მიუძღვნა — „პუშკინის „კავკასიელი ტყვის" უცნობი თარგმანი" (ჟურნალი „სლავია" XIII, 1934, I). პუშკინის პოემები, რომლებიც თბილისში თარგმნა პოლონელმა მოღვაწემ, დამსახურებული აღიარებით სარგებლობს თანამედროვეთა შორის, რასაც ადასტურებს ისიც, რომ „ბოშები" შესულია პოლონურად თარგმნილ მსოფლიო პოეზიის ანონიმურ კრებულში „ფანტაზია", (ვარშავა, 1855).

კრაკოვის მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ფონდში დაცულია ლეონ იანიშევსკის წერილი, გაგზავნილი 1842 წლის 1/X თბილისიდან გამოჩენილი პოლონელი მწერლის, იუზეფ იგნაცი კრაშევსკის მისამართით. ლეონ იანიშევსკი სწერს კრაშევსკის, რომ აპირებს „ონეგინის" თარგმნას.

გასული საუკუნის პოლონური ლიტერატურის ბიბლიოგრაფიის ფრიად სარწმუნო წყაროს წარმოადგენს პოლონური ლიტერატურის ისტორიკოსის, კრაკოველი კაროლ ესტრაიხერის შრომა, სადაც იანიშევსკი მოხსენიებულია, როგორც პუშკინის პირველი მთარგმნელი პოლონურ ენაზე.

თუმცა XIX საუკუნეში პუშკინის ნაწარმოებები არაერთხელ ითარგმნა პოლონურ ენაზე, — და ითარგმნა ისეთი დიდი პოეტების მიერ, როგორიცაა ადამ მიცკევიჩი და იულიან ტუვიმი, — თბილისში შესრულებულ ლეონ იანიშევსკის პირველ თარგმანებს ისტორიული ღირებულება აქვს, რადგანაც მათ დიდი როლი შეასრულეს პოლონეთში პუშკინის გენიის პოპულარიზაციისათვის.

□



მხატვარი ტ. ვართაგავა. ა. პუშკინი. „ქალბატონი-გლეხის გოგო“.

# ვასილ შუკშინი

## მოთხრობები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თარგმნა ჯუმბერ თითმერიამ

### სამი გრაცია

(ხუმრობა)

კვირადღეა. დღეს მთელი დღე ყველა და ყველაფერი მძულს. უკვე ორი თვეა, რაც ახალ ბინაზე გადავედი და ყოველ კვირადღეს, დილიდან საღამომდე, ყველა და ყველაფერი მძულს.

აი, რატომ:

დილის ცხრა საათიდან ჩემი აივნის ქვემოთ სკამზე სამნი სხდებიან. ის სამი გრაცია იწყებს ლაპარაკს. რაღაზე არ ლაპარაკობენ: სხვების ქმრებზე, პოლიტიკაზე, გამვლელ-გამომვლელზე... მე აივანზე გამომაქვს სავარძელი, ვაბოლებ, ყურს ვუგდებ იმ სამს და მძულს. მთელი კაცობრიობა მძულს, საღამოსთვის ვიღლები კიდეც.

ნეტა დღეს როგორ წავა საქმე? დიდებული დღეა (ერთი-ორი კვირადღე წვიმა იყო, ისინი არ მოსულან და ისე მოვიწყინე, რა მექნა, არ ვიცოდი). დღეს იმათ გულიანი მუსაიფი უნდა გააბან.

მაშ ასე, მოვიმარაგე სიგარეტი, დავიდგი კარგი ღვინო (როცა ამ სამთაგან რომელიმე მეტისმეტად მწარედ გაჰკრავს ხოლმე კბილს გამვლელს, ან როცა გაირკვევა, რომ 27-ე ბინაში მცხოვრებ საქონელმცოდნეს დიდი დანაკლისი აღმოაჩნდა ან ცოლი რქებს ადგამს და ა. შ. სიამოვნებით გადავკრავ ხოლმე თითო ჭიქას).

მოდით, ჯერ ორიოდე სიტყვით აგიწეროთ თვითეული.

პირველი ნომერი გარეგნულად დინჯია, სათვალეს ატარებს, ტანდაბალია. ოცდაათისა თუ ცოტა მეტისაც იქნება. ისე ჩუმად ლაპარაკობს, იძულებული ვარ დავიხარო, რომ კარგად გავიგონო, თუ რას ამბობს. მარტოხელაა, მაგრამ აუჩემებია, „ეგენი ვერსად წამივლენო“. მოდით, ჩვენთვის ჩუმათელა დავუძახოთ.

მეორე ნომერი. ორმოც წელს გადაცილებული გახლავთ. მსუქანია, ალუბლის კურკის ხელა მეჭეჭი აზის კისერზე, ხმამაღლა, დაჯერებულად ლაპარაკობს, ხშირ-ხშირად იხოცავს ცხვირს, თანაც უთუოდ ჩუმად უნდა დააყოლოს:

„ჰმ, ჰმ, ჰმ.“ ამ მეორე ნომერმა სამჯერ განაცხადა: „მაგათში ახლა არც ერთი არაფრად არ ვარგა.“ მოდით, მას ჩოლვაწე დავარქვათ.

მესამე ნომერი. ქალთმიანია, ასე ორმოც წელს გადაცილებული. მეტისმეტად მოძრავი და ცქაფი. დიდი ფანტაზიის პატრონია. ვერაფერს ნუ მიაბარებ, ჭორების გუდაა. ეგეც ჩემსავით სულწასულად ელოდება [illegible] — დაქალებზე ადრე მოდის, შეუძლია გაუთავებლად ირატრატოს, მაგრამ კოლექტივში ავტორიტეტით არ სარგებლობს: ზერელედ მსჯელობს. მას ტალიაზე მოსრიალე დავარქვათ. ისე კი შეგვიძლია მოკლედ მწითურა დავუძახოთ.

ათი საათია, რატომღაც იგვიანებენ. თერთმეტის თხუთმეტი წუთია... უკვე ვღელავ. რა დაემართა ამ ხალხს? ქალაქს ხომ არ გაემგზავრნენ? არა!.. აი, მწითურა გამოჩნდა. მოხველ, ოქრო! შეხეთ, შეხეთ, ახალი სვიტრი აცვია!... ახლა როგორ მოდის!.. ცარიელი პლასტიკა და წინსწრაფვაა. არკოლის ხიდზე მდგარი ნაპოლეონია. თვალები უელავს. ალბათ რომელიმე მისი უფროსი დაითრინეს უზნეო საქციელის გამო, ახლა სადღაც ვიღაცას ფეხი წაუცდა. უტოპისტია: სულ ეჩვენება, რომ არავინ არასოდეს არაფერი არ უნდა დათმოს. ჰმ, შენი გულისა!..

აი, ჩუმათელაც გამოჩნდა. მოდის, კვატივით მობაჯბაჯებს. ესეც, ისე რომ ვთქვათ, ოქრო ვინმეა. ცხადია, ხიდზე შემდგარი ნაპოლეონი არ გახლავთ, მაგრამ ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ „ეგენი ვერსად წაუვლენ“. ერთხელ როგორღაც თქვა: „ვილი, მაგათ ყველას რაცა სურთ“. ახლა, როცა ასე დამაბრმავებლად ლაპლაპებს მისი სათვალე, მჯერა—მართლა იცის.

ორნი მოვიდნენ. მესამე სადაა?

აგერ, ისიც — როცა ვუყურებ მოლვაწეს, ყოველთვის მგონია, რომ ნებისყოფა ადამიანს, მეჭეჭისა არ იყოს, ღვთისაგან აქვს ნაბოძები.

მაშ, ასე, სამივენი აქ არიან. გავაბოლოთ! ალბათ პოლიტიკიდან დაიწყებენ — ჯერ გამვლელ-გამომვლელი ცოტაა.

— მთელი ღამე ისე ცუდად მეძინა, ისე ცუდად! — ამას მწითურა ლაპარაკობს, — ჩემ ქვევით, აი, იმათ ძაღლი ჰყავთ... ის სასიკვდილე, ისა! მთელი ღამე „ჰამ-ჰამ-ჰამ!“-ით შემიკლა ხელში.

— მე კიდევ იმ ორთქლმავალმა გამამწარა და გამაცოფა, — თქვა მოლვაწემ, — მთელი ღამე „ტუ-ტუ-ტუ-ტუო“, კიოდა. რა აკივლებდა ნეტავი! ღამე ხომ რელსებზე ბავშვები არ დადიან.

— სამანევრო იქნებოდა, — აუხსნა ჩუმათელამ.

— რაო?

— რაო და სამანევრო იქნებოდა-მეთქი. თავის თანამშრომლებს უკივის, სხვა რელსებზე გადამიყვანეთო. მე კიდევ რატომღაც მთელი ღამე თავი მტკიოდა...

არც ერთს არ უძინია წესიერად. მაგარი საუბარია მოსალოდნელი!

— რა ღირს ახლა კიტრი? — იკითხა მოლვაწემ.

— წინა შაბათს ვიყავი ბაზარში — ორი მანეთი ღირდა.

— ორი მანეთით?! მე გუშინ „ხილ-ბოსტნეულში“ მანეთად და ოცდაათ კაპიკად ვიყიდე. ხალხიც ცოტა იყო.

— მე კიდევ გუშინ... — დაიწყო მწითურამ, მაგრამ გაუთვალისწინებელი ამბავი მოხდა: ვიღაც ბიჭმა, აშკარად ნაბახუსევმა, ჩამოიარა, ეტყობოდა, მაღაზიაში ლუდზე მიდიოდა.

სამივემ თვალი გააყოლა. გაები, ძმაკაც! შაბათს დალიე, ხომ? ჰოდა, აგერ დაგხვდება კიდეც წინ.

— მო-დის, — თქვა მოლვაწემ. ეს ისეთი კილოთი თქვა, თითქოს ტზოში ღამის მძარცველს შემოევლოს, რომელსაც კუთხეში ლუდი [illegible]სანი მილიცია ელოდა.

ბიბლიოთეკა

— ამ ვაჟკაცს უყურეთ... არ ჩაუწყვია ხელები ჯიბეში!

— რაო, გეთაყვა, ნაბახუსევი ხარ?

ბიჭმა მოხედა.

— მერე თქვენ რა გინდათ?

— რა უნდა გვინდოდეს, შიდი, მიდი, დალიე. საერთოდ, მეტი სვი და ორმოცი წლისა უკვე ფაფუ, ჩამოიწერები, — ეს მოღვაწემ ბრძანა.

გაოგნებული ბიჭი შეჩერდა.

— რაებს მელაპარაკები?

— ისეთს არაფერს, მეტი სვა-მეთქი!

ჩუმათელა და მწითურა დუმდნენ.

ბიჭმა მხრები აიჩეჩა და გზა განაგრძო. მაგრამ იქაურობას გასცდა თუ არა, ჩემი გრაციები დაუკრეფავში გადავიდნენ.

— ამისი ფასი ახლაც კაპიკია. ამისას ძვალს თუ ჩააბარებენ დამზადებას.

— ლოთია ეგ უბედური. არადა როგორ თქვა, „მერე თქვენ რა გინდათო?“

— მე კიდევა სიძე მყავს, დის ქმარი, — დაიწყო მწითურამ, — ვეუბნები: შენ რასა სვამ, რომ სვამ, შე კრეტინო, ხელფასიდან ხომ, — რამდენი იყო? — თორმეტი მანეთი მიხარჯე-მეთქი. თორმეტი მანეთი მთელი კვირა გეყოფა, თუკი ისევ არ ჩაისხამ მაგ ოხერ სასმელს და მაინცდამაინც ხორცს არ მოითხოვ-მეთქი“. იცით, რას მეუბნება: „ყველა სვამს, ძაღლისა და კატის გარდაო, ძაღლი და კატა კი სვლეპენო“. ასეთი პარაზიტია, აბა!

— ეჰ! მაგათ ენა აქვთ!

— „მეო, ამბობს, ვმუშაობო. რაო, სმის უფლებაც არა მაქვს, თუ რაო?“

— ვმუშაობო, მაგათმა მზემ! ერთი ჩემი კარის მეზობელია, ისიც მუშაობს! ამ დღეებში დივანს ვბერტყავდი. ეგ კიდევ მეუბნება: „რასა შვრებითო, ხალხი აქ მუშაობს და თქვენი მტვერი უნდა ყლაპონო?“ ვეუბნები: „ერთი მითხარი, გეთაყვა, აი, შენ სად მუშაობ, რო... შენ ხომ მთელი დღეები შინ ზიხარ-მეთქი, ამას თუ ეძახი-მეთქი მუშაობას.“ მეო, გენაცვალე, დისერტაციას ვწერო. ეჰ, ჩემო ქოსატყუილავ, აბა, დისერტაციის წერ? თუ ასეა, ასე ადრე რატომ გაქაჩლებულხარ-მეთქი?

— გაქუცულა კაცი.

— მაშ, მაშ!

— სვამს?

— სვამს არა! მოკვდება და ერთ ბოთლ ღვინოს არ იყიდის.

— ქაჩალი ხალხი ასეა, გაიქუცებიან და მერე ირტყამენ თავში ხელს, ეს მტკივაო... ის მტკივაო... შემსალაროში კი, იცოცხლე, ფულს აქუჩებენ.

დავლიე იმ ქაჩალის სადღეგრძელო, დისერტაციას რომ წერს. იმიტომ დავლიე, რომ ძალიან მაგრად მოხვდა. დედიშობილა დასვეს ის უბედური, ყველაფერი გამოუშზეურეს. შენ გაგიმარჯოს, სათვალიანო!

მოლვაწემ ცხვირი მოიხოცა, ჰმ, ჰმ, ჰმ, დააყოლა და დაწყებულს გააგრძელა:

— ეგენი მელოტდებიან, ამ მიწაზე კი ხალხი მცირდება. ამისთანებს ადგილზე მივახვრეტდი.

— ესენი!... ესენი ყველა ერთ ადგილას უნდა შეაქუჩო და სასწორების სისტემაზე დასვა! — მოულოდნელად რიხითა და გაბოროტებით თქვა ჩუმათელამ, — ახი იქნება მათზე.

რანაირია მაინც ეს ჩუმათელა!.. ეგ რომ იტყვის... საბარათო სისტემა... რაც მართალია, მართალია, კარგად მოიგონა!

— ერთმა ქაჩალმა, — სწრაფად წაართვა ჩუმათელას სიტყვა მწითურამ, — კაპრონის თმა გაიკეთა, ვალუტა გადაიხადა. ისე გამოილეშა, ჩემს მტერს. ჰოდა, ადგნენ და თავი გადაპარსეს მილიციაში. ხა-ხა-ხა! აბა იძათ რა იცოდნენ! ხა-ხა-ხა!

ესა, ეს ანეგდოტების გიჟია. არა, ოქრო, არა, სულში თუ არაფერი გილივის, კაპრონის თმაც ვერაფერს გიშველის. ეს რა ხდება?! არა, დღეს მწითურა აშკარად მოიკოჭლებს.

ამ დროს სადარბაზოდან პაეროვანი არსება გამოგოგმანდა. ასფალტზე წვრილი ქუსლების კაკუკით წატუსტუსდა. მოკლე ქვედა კაბა, — ჰოპა! — იქით-აქეთ, იქით-აქეთ მიუთამაშებდა.

— ესეც აგერ არ არის! — ერთხმად წამოიძახეს მოღვაწემ და ჩუმათელამ.

— კი მაგრამ, ასე მოკლე კაბის ჩაცმა შეიძლება? — წაიკნავლა მწითურამ.

— მოკეტე, თუ ქალი ხარ!

— აბა, აბა... ხომ შეიძლება ამისთანების გარეშე... — თქვა მოღვაწემ.

— მეტი არაფერი არა აქვთ და რა ქნან, მუხლებს იშიშვლებენ, — ჩაერთო ჩუმათელა.

— რაო, რაო, „არაფერი აქვთო“? ვერ გავიგე. შენა, ქალო, გატყობ, რაღაც სხვანაირად ჰკაჭკაებ, ვერა ხარ... ობიექტური.

— საყვარელთან მიდის. ეჩქარება. ახლა მიადგება და იქ სხვა დახვდება.

— მათ გრაფიკი აქვთ. ორთქლმავლებივით არიან, რომ იცოდეთ.

— მიდის და მიათამაშებს კურტუმოს... არა, რა კურტუმოს ქნევა აუტყდა, აქვს რო?

— ცოცხალი ჩონჩხია...

ამ დროს მზისთვის ზურგის მისაფიცხებლად გამოვიდა ერთი ღრმად მოხუცებული კაცი.

— აქეთ მობრძანდით! — დაუძახა მოღვაწემ.

ბერიკაცი სკამზე ჩამოჯდა.

— შვილთან ჩამოხვედით?

ბერიკაცს ყურს აკლდა.

— რაო?

— რძალი როგორი გყავს, თუ კაცი ხარ...

— არა უშავს, კარგი ქალია.

— ეგენი ყველანი კარგები არიან... როცა სძინავთ. რა ამბავია მანდა, თქვენთან, სოფელში?

— გმადლობთ, კარგადა ვართ... თივვა დაიწყო...

— ოპტიმისტი ბერიკაცია! — თქვა მწითურამ, — მაგას რომ ჰკითხო, ყველგან ყველაფერი კარგადაა! ფილმი „ოპტიმისტური ტრაგედია“ თუ გინახავს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოლვაწემ მოფერებით წაუთათუნა მხარზე ხელი ბერიკაცს.

— ერთი ჩხუბისთვის კიდევ გეყოფა ეგ თმა!..

ბერიკაცს გაეცინა.

— უკვე სამოცდათხუთმეტს მივუკაკუნე...

— რას ამბობთ! ასეა და მაინც წუწუნებთ, სოფელში ძნელია, გვიჭირს ცხოვრებაო.

— მე არ ვწუწუნებ...

— ახლა ეგენი, მშრომელები, ყველანი კარგები არიან...

— კი მაგრამ ორ მანეთად კიტრს ვინ ჰყიდის?! მეტროში ტომრებაკიდებული ვინ მგზავრობს? — აიწყვიტა მწითურამ. — ვინ ეწყობა შეეზოვედ იმისათვის, რომ მერე სექცია მიიღოს? ვინ იყო, კოლმეურნეობაში შესვლა რომ არ უნდოდა? ვინ გაკეროპდა?!

მოლვაწემ კბილები გაალრჭიალა და, პირგამეხებულმა, აქეთ-იქით დაიწყო ყურება.

— ვინ იყო, რომ მოფარებულიდან ისროდა? — იკითხა მან ჩუმად. — ვინ იყო, რომ უამრავ დანაშაულს სჩადიოდა?!

ჭიქა შევივსე. ის ბერიკაცი, რა თქმა უნდა, არ ელოდა, თუ ასეთ დღეს დააწევდნენ. ირგვლივ ჩამიჩუმი არ ისმოდა. თბილოდა, მზე ანათებდა.

— ახლა ისიც ვთქვათ, ვინ იყო, სოფელს მინდვრიდან მწიფე თავთავს რომ ჰპარავდა? — თითქმის წაუწკმუტუნა ჩუმათელამ. — ვინ ხდიდა სახლში არაყს...

ბერიკაცი ახლა კი ადგა, წელში გაიწვართა და მოულოდნელად ხმამაღლა, მთელი ეზოს გასაგონად, გასცა ბრძანება:

— ფეხზე სდექ!

გრაციები გაოგნდნენ. ენა ჩაუვარდათ.

— ფეხზე სდექ!!! — იღრიალა ბერიკაცმა. იღრიალა და ჯოხი აიქნია.

მწითურა და ჩუმათელა წამოდგნენ. მოლვაწეს კი თავი ჩაეხარა და ბერიკაცს შეჰყურებდა.

— მე გეორგის ორდენის კავალერი ვარ! — ყვიროდა ბერიკაცი. — მე მედალი მაქვს შრომითი მამაცობისათვის! ჩემი შვილი მეჩვიდე თანრიგის ხარატია. მე თქვენ ამას და იმას გიზამთ! — ადგა და წავიდა.

მწითურა და ჩუმათელა დასხდნენ. შერცხვათ, რატომ შეგვეშინდაო. თავის მართლება დაიწყეს.

— ეგ რომ ჭკუაზე არაა, კარგა ხანია შევამჩნიე.

— მეც ვამჩნევდი.

— ეს „კარგა ხანია“ მაინც რამდენი ხანია? — იკითხა მოლვაწემ.

— აბა, როგორ გითხრა, კარგა ხანია...

— ეგა გუშინ ჩამოვიდა. თვითონ რა უჭირს, შვილი ჰყავს აფრაკად.

— რომელი? მოტოციკლზე რომ ზის? ჰო, ეგ უკვე ხუთჯერ იწვა საგიჟეთში. გაიტანს ვილაცას და ამით გათავდება ყველაფერი. „მეჩვიდე თანრიგის ხარატი“ უძახე შენ. ვიცით, ვინც არიან ეგ თქვენი ხარატები, პრემიების ბოჭვაზე არიან გადასულნი.

მოლვაწემ თამბაქო დაყნოსა.

— მერე იმ პრემიებს ოსტატებთან ერთად ამღერებენ და მოტოციკლებს გიჟებივით ერეკებიან.

— იმათ ჰგონიათ, აქაოდა, მოტოციკლეტი გვყავსო, ყველა მუხლში ჩაუვარდება! დაიკარგონ იქით!.. — ჩუმათელამ მართლაც [illegible]. — მართლაც, მე მოტოციკლეტი კი არა, ტრაქტორიც არაფრად მიმაჩნია, ჩემთვის მთავარია, ადამიანთან მქონდეს საქმე, ადამიანთან!

ჭიქა შევავსე — მოტოციკლეტისტები ვადღეგრძელე. საერთოდ ჩვენი სახელოვანი სპორტი დავლოცე. დღეს ძალიან იყოჩაღეს ჩემმა გრაციებმა, ჩემმა ოქროებმა! სულ გადაქექეს ყველაფერი, კოლექტივიზაციიდან მოკიდებული მოტოსპორტით დამთავრებული. გულს უხარია, ღმერთმანი! ცოტათი იმ ბერიკაცმა გამინაწყენა გრაციები... მაგრამ არაფერია, ასეც ხდება... არც ამათ დაუკლიათ ხელი: ამას იქით ეცოდინება, როგორ უნდა მოფარებულიდან სროლა და თავთავების მოპარვა. ეგ კულაკი მამაძაღლი, ეგა, თანაც გიორგის ჯვრით რომ იწონებდა თავს! წყალი არ გაუვა: რომელიღაც პროლეტარს რექა ტყვია. ეგ ჯირკვი, ეგა. ეგ ფუტურო, ეგა! ერთი ჭიქაც დავლიე. მერე კიდევ ერთი დავცალე: 27-ე ბინაში მცხოვრები საქონელმცოდნე მარტო მფლანგველი კი არ ყოფილა, თურმე ცალი ფილტვი ჰქონია. წურბელა ყოფილა ეგ მოსახრჩობი, ეგა, და ამ დროს ერთი იდეა დამებადა. როგორც კი ცოტა ზედმეტს დავლევ, ათასნაირი იდეა მებადება. ნასვამზე ზოგჯერ მთელი სხეული მელეწება. ამჯერად ასეთი იდეა გამიჩნდა: ჩვენს ეზოში ერთი მაღალზურგიანი მერხი დგას. ის საზურგე რომ კოხტად მოვახერხო და მერე ისევ თავის ადგილას ჩავდგა? აბა, წარმოიდგინეთ! მოდის კაცი, ჯდება სკამზე, საზურგეს აწვება და... აი, ის ბერიკაცი, ან თუნდაც ეს ცალფილტვა საქონელმცოდნე... წარმოგიდგენიათ? ყველაფერ ამას ხომ შეიძლება კაცმა ჩემი აივნიდან ადევნოს თვალი. კიდევ სამ სავარძელს გამოვიტან — აივანი კარგა მოზრდილი მაქვს.

ჭიქა ღვინოც დავლიე და გრაციებთან ჩავედი.

— გამარჯობათ! — მივესალმე. — წარმოგიდგენიათ?.. კაცი სკამზე ჩამოჯდა, უნდა დაისვენოს, გესმით? ჩამოჯდა და ბრახ! გადაყირავდა! ფეხებით ჰაერში აფრინდა! თქვენ მკითხავთ: ეგ როგორ უნდა გაკეთდესო, როგორა და აი, იმ სკამს ხომ ხედავთ? საზურგეს მოვხერხავთ, გაიგეთ? ამას მე ვიკისრებ. შაბათი რომ შეღამდება... კვირა დილას მზად იქნება, მერე მთელი დღე ვიხარხარებთ: ბერიკაცი ყირას გადავა. მე ჩამოვალ და საზურგეს ისევ ჩავდგამ თავის ადგილას... იმას კი, იმ ცალფილტვას, იმდენი რა უნდა... აივანზე დივანს გამოვიტან და... დავლევთ, სულს ვიცხონებთ!

ჩუმათელა ადგა და სადღაც წავიდა.

მე განვაგრძობდი ჩემი იდეის განვითარებას. ვამტკიცებდი, რომ ყოველი იდეა უნდა განხორციელდეს, მისგან უნდა შეიქმნას სანახაობა, წარმოდგენა. მხოლოდ მაშინ იქნება იდეა ბოლომდე გამოკვეთილი.

27-ე ბინაში მცხოვრები სამი დღის შემდეგ მეუბნებოდა:

— თქვენ იმათ უყვიროდით: „რატომ, რატომ არ მოგწონთ ეს ჩემი იდეა?.. მხოლოდ ლაქლაქი შეგიძლიათ, მეტი არაფერი! კუსტარები ხართ, კუსტარები!“ რა გინდოდათ იმათგან? ისინი ხომ ჩერჩეტები არიან...

შევყურებდი ამ ცალფილტვიანს და ვფიქრობდი: „ეგენი ჩერჩეტები რომ არ იყონ, ახლა საავადმყოფოში იწვებოდი“. მაგრამ ეს ცოტა გვიანდელი ამბავია.

მაშინ კი, იმ კვირადღეს უცებ დავინახე, რომ მილიციელი დამდგომია თავზე, თითქოს მიწიდან ამოძვრაო. საოცარია, გრაციებმა გამყიდეს. ვერ ვერაფერი გაიგეს, ვერა...

იგივე მეზობელი მეუბნებოდა:

— მილიციელს რომ მიჰყავდით, ტიროდით... იმ ქალებს ვეხვეწებოდით და ეუბნებოდით: „ერთი თქვენა ყოფილხართ! ბატისტვინებო! მე კი თქვენ მიყვარდით! აბა, იჯექით ახლა და იფხანეთ ენა! მეშჩანებო! წლები კი გადის!... გათავდა ცხოვრება!“ მაინც რა გინდოდათ იმ ქალებისგან, რას ერჩოდით?

— სრულყოფილება. მთლიანობა. სილამაზე. აი, რა მინდოდა.

მეზობელმა გადაიხარხარა (არადა, ერთი ფილტვი ჰქონდა!).

— თქვენც ნახეთ რაღა მზეთუნახავები!.. რა, უფრო ახალგაზრდები ვერ შეარჩიეთ?

არა, ზედმეტი არ უნდა დამელია. ზედმეტი რომ არ დამელია, მშვიდად, გულდასმითავუხსნიდი ჩემს გრაციებს, რატომაც მინდოდა სკამის საზურგის მოხერხვა. ეჰ, რა მშვენიერი იდეა დავწვარხე ცოცხლად!

## ვერსია

სანკა ქურაულიოვი გასაოცარ ამბავს მოჰყვა. ქალაქში ყოფილა (მოტოციკლეტის საყიდლად წასულა), მოშივებია, რესტორანში გულის შესამაგრებლად შესულა, ლაბადა გარდეროპში ჩამოუკიდია, დარბაზისაკენ გაუწევია....

სანკამ მინის კედელი ვერ შეამჩნია და თავი გლიჯა, გლიჯა და კიდევაც გამოუყვანა წირვა. მინა, როგორც იდგა, ისევე ჩამოწვა სანკას ფეხებთან და წკრიალ-ჟღრიალით დაიფშხვნა. ხალხი მოვარდა, ცხადია. სანკა სავსებით ფხიზელი იყო, ამიტომ მილიციას არ დაუძახეს. სანკა პირდაპირ დირექტორთან აიყვანეს მეორე სართულზე. კაცმა, რომელსაც იგი კიბეზე აჰყავდა, დაიანგარიშა:

— ორი თვის ხელფასს ჩამოყაჭავ, შეიძლება სამი თვისასაც.

— ძალით ხომ არ დამიმტვრევია.

— ეგ ჩვენთვის სულ ერთია.

დირექტორის კაბინეტში შევიდნენ... და აქ დაიწყო ის საკვირველი ამბავი... სოფლელები ყველაფერს ისმენდნენ, ერთმანეთს შესცქეროდნენ თვალსა და ყურს არ უჯერებდნენ. სანკა ამბავს ასე ჰყვებოდა:

— შევდივართ და რას ვხედავ — ზის ახალგაზრდა ქალი, ფაშფაშა ვინმე, თვალები გადმოუკარკლავს, ტუჩები მოუპრუწავს, ოქროს საათი უკეთია. „რა მოხდა?“ ის ამხანაგი მოახსენებს იმ ქალს, ესაო, ისაო, მინას ეს უყვესო... ის ქალი კიდევ მომჩერებია.

სანკა ცდილობდა ეჩვენებინა, როგორ უყურებდა ქალი: ტუჩებს პრუწავდა, თვალებს კარკლავდა, თან ხალხს უყურებდა. ყველანი იცინოდნენ და არავინ უჯერებდა.

— რას ამბობ, კაცო?

— იმ ქალმა იმ ამხანაგს უთხრა: „კარგით პო, წადით. თვითონ გავერკვევით.“ ღმერთო, რა კაბინეტი ჰქონდა! მარტო მინისტრებს თუ ექნებათ იმხელა

კაბინეტი: ირგვლივ სულ რბილი სავარძლები და დივნები იდგა, კედლებზე სურათები ეკიდა... „თქვენ საიდანა ხართ?“ — მეკითხება. ავუხსენი, საიდანაც ვიყავი. „გასაგებია, გასაგებია, მეუბნება, ეგ ამბავი როგორ დაგემართათ?“ თვითონ კიდევა მიყურებს, მიყურებს... დიდხანს მიყურა.

თანასოფლელებს კიდევ იმიტომ არ სჯეროდათ სანკასი, რომ მისთვის ქალს, მით უმეტეს ქალაქელ ქალს, ვითომ რატომ უნდა ეყურებინა! ვითომ სანკა რა ასეთი საყურებელი იყო?! წოწოლა, დიდცხვირა, დროზე ადრე სახედანაოჭებული ჯეელი... ხვდებოდნენ, სანიამ მთელი ეს ამბავი იმიტომ მოიგონა, თანასოფლელ ქალიშვილებს, რომლებსაც იგი გულზე არ ეხატათ, თვალში ნაცარი შეაყაროსო.

— მერე, მერე, სანია, მერე რა მოხდა?

თურმე მერე მოხდა, რაც მოხდა. მის მოყოლილ ამბავს რესტორნის იმ მინასავით სულ წკრიალ-ჟღრიალი გაჰქონდა.

— მერე მე და ის ქალი მის სამოთახიან ბინაში წავედით და ჩვენი ჭია გავახარეთ. სამი დღე იქ ვიყავი! ვიღვიძებ, ჩემო ბატონო, და დავბორიალობ ოთახში, ხელში მხვდება შამპანურის ბოთლი. ეჰე! ის მეუბნება: „შენ თუ გინდა დიდი ჭიქით დალიე, სანია ჩემო, ხომ ხედავ, რამდენი ჭიქა გვიყრია!“ მე ვეუბნები: „მაგ დიდ ჭიქებს მე ვხედავდი-მეთქი, აბა!“ სამი დღე და ღამე ვიგიჟეთ! თითქოს სიზმარ-ცხადში ვცხოვრობდი. იგი სამუშაოდ საღამოობით მიდიოდა, მე კი შინ ველოდი. აბაზანას ვიღებ, ტუალეტში ვზივარ... აბაზანა ცისფერი კაფელითაა გაწყობილი, ტუალეტი — ყვითლით. ყველაფერი ბრწყინავს: კრიალებს, ავეჯი ხომ პრიალებს და ბრჭყვიალებს. თავიდან ვფრთხილობდი, არაფერი წავახდინო-მეთქი. მან კიდევ ეს შემატყო და სასაცილოდ აიგდო: „კარგი ერთი, სანკა, თუ კაცი ხარ! შენ კი არ უნდა ემსახურო ნივთებს, ისინი უნდა გემსახურონ! რაო, როგორა ფიქრობ, ყველაფერს იმ ქვეყანას ხომ არ წაიღებ?“ მწვანე ფარდები ეკიდა, ფოთლებიანი... ჩამოუშვებდი და ოთახში სანახევროდ ბნელდებოდა. ვინმე თუ წოლილხართ კარელიური არყის ხის საწოლში? ჩვენ ხომ ფრაერები ვართ! ჩვენთვის რკინის საწოლიც ცხოვრების მიზნად ქცეულა. მე ახლა უბრალო არყის ხის საწოლს ვიკეთებ... ქალაქი უკვე ხის საწოლებზე გადავიდა. თუ ყოველდღე ამოდენა სტრესს იღებ, კარგად მაინც უნდა გამოიძინო!

— მერე, მერე რა ჰქენით, სანია?

— ასე გავიდა სამი დღე. საღამოს იმან ტაქსით ვარიები და რანაირი არ გინდა ლაზიანი საჭმელები მოიტანა. სიგნალი მომცეს და ჩავეგებე, ამოვიტანე გადასატანი მაცივარი, არის ასეთი, — და ისევ ვიგიჟეთ. დაბალ ხმაზე ჩავრთე რადიოლა, ვსვამთ შამპანურს... ოღონდ კი მოვისურვო რამე, და მაშინვე მისრულებს. ერთხელ ვეუბნები: „აი, მე კინოში ვნახე: კაცმა ჭიქაში ცოტა ვისკი ჩაისხა, შემდეგ სიფონიდანაც ჩაუმატა... აბა, შენ თუ შესძლებ“... „იმასო, მეუბნება, სოდიანი ვისკი ჰქვია. სიფონი მაქვს, ვისკის კი ახლავე მომიტანენ“. მართლაც ზუსტად თხუთმეტი წუთის შემდეგ შემოაქვთ ვისკი. მართალი გითხრა, მაინცდამაინც არ მომეწონა. მე სოდიან არაყს ვსვამდი. აი, ასე აჭერ ხელს სიფონის საცობს და იქიდან ჭავლი გადმოდის ჭიქაში... ოფ, რა სჯობია!

— მინისა რა ჰქენით?

— მინა რა შუაშია?

— აი, მინა რომ ჩალეწე?

— ჰო, რა უნდა გვექნა, არაფერიც არ გვიქნია. ისე კი, მე რომ მიყურებდა, გაოცებას ვერ მალავდა. „როგორ არ გაიჭერით, მეუბნება, მიკვირსო“. მოტოციკლეტის ფული რომ მქონდა, იმას მივეცი და პირდაპირ [illegible]სთან მომგვარეს...

ბიბლიოთეკა

აი, თითქოსდა რა ამბავი შეემთხვა სანკა ქურავლიოვს. მთელი ამ ამბიდან უეჭველი სიმართლე ის იყო, რომ სანკა მართლაც გაემგზავრა ქალაქს, სოფელში სამი დღე არ ყოფილა; სწორედ ისეთი მოტოციკლეტი ჩამოიყვანა, როგორიც უნდოდა და ზუსტად იმ ფასისა, რამდენი ფულიც წაიღო: ზედმეტი ფული არ წაუღია. რაც მართალია, მართალია, ყველაფერი ასე იყო. სხვა დანარჩენი სანკას თანასოფლელებს ვერასგზით ვერ დაეჯერებინათ. სანკა ღელავდა, ბრაზობდა... ისეთ მურდალ წვრილმანებს ჰყვებოდა, რასაც სხვის ჯიბრზე ვერა კაცი ვერ მოიგონებს. მაგრამ ეგონათ, ყველაფერ ამას სანკამ სადღაც მოჰკრაო ყური.

— ერთი, თქვენი! — გაცოფდა სანკა, — სად ვიყავი, თქვენი აზრით, მთელი ეს სამი დღე? სად ვიყავი, მაინც არ მეტყვით?

— იქნება გამოსაფხიზლებელში იყავი, რა ვიცით.

— გამოსაფხიზლებელში როგორ მოვხვდებოდი: ჯიბეში ხომ ზედმეტი მანეთიც არ მიჭყაოდა!

— ღორს ტალახის პოვნა არ გაუჭირდება.

— წადი და სცადე, თუ შაყრიანს მაინც ვინმე მოგაშავებს ისე. სამი დღე რითი უნდა მეცხოვრა, როგორ ფიქრობთ?

ამის ახსნა უკვე არავის შეეძლო. მაგრამ ვერც იმ რესტორნის ფაშფაშა დირექტორისა და მისი სამოთახიანი ბინის არსებობა დაეჯერებინათ. ეს უკვე ეშმაკმა იცის, რა იყო! არიან კი ასეთი სულელები ამქვეყნად?

— ჯანდაგებო! — თათხავდა ხალხს სანკა. — ნეხვის ჭიებო. თქვენ რა გესმით, ჰო, რა გესმით თანამედროვე ცხოვრებისა?

ერთხელ ამ ამბავს უსმენდა ეგორკა [illegible]ურლოვი, ერთი უკმური და უშიშარი ჯეელი, მეურნეობის მძღოლი. მოისმინა ბოლომდე და ღვარძლიანად ჩაიცინა. ყველა მას მიუბრუნდა, რადგან მის აზრს რატომღაც პატივს სცემდნენ. უნდა ითქვას, რომ ის მართლაც ჭკვიანი ბიჭი იყო.

— ეგორკა, აბა შენ რას გვეტყვი?

— ვერსიაა, — მოჭრა ეგორკამ.

— რა ვერსია? — ვერ გაუგო სანკამ.

— რა თავს ისულელებ ერთი! — ჯიქურ ატაკა ეგორკამ, — ამ ხალხს ნეტა რისთვის აცუცურაკებ?

სანკას მკვდრისფერი დაედო, ეგონათ, ისინი ერთმანეთს დასცხებენო. მაგრამ სანკამ შეურაცხყოფა გადაყლაპა და თვითონაც ჯიქურ ჰკითხა:

— მანქანა გამართული გყავს?

— რატომ მეკითხები?

— მე გეკითხები: მანქანა მზად გყავს-მეთქი? — სანკა მუქარის თვალით მიაჩერდა ეგორკას.

ეგორკამ დაიცადა, სანკა ხომ არ მეძგერებაო; სანკა რომ აღარ ეძგერა, ეგორკამ უპასუხა:

— მზადა მყავს.

— წავიდეთ, — ბრძანების კილოთი უთხრა სანკამ. — მომბეზრდა მთელი

ეს კომედია. უყვები ამათ შინაურულად, როგორც კაი ხალხს, ეს ყურუმსაღები კი, ხი-ხი-ხი და ხა-ხა-ხა! წავიდეთ, ძმაო, იმ ქალთან, წავიდეთ და გაჩვენებთ, როგორც ცხოვრობენ ადამიანები მეოცე საუკუნეში. გაფრთხილებთ: ჩემი ნებართვის გარეშე არავინ არ დაიწყოს იქ დიდი ჭიქებით ღვინის სმა. შესაძლოა იქ საზოგადოებაც შეიყაროს, შესაძლოა მისი დაქალებიც მოვიდნენ. კიდევ ვის უნდა წამოსვლა, ფრაერებო? — სანკას წარმოდგენის გამართვა მოუნდა, მას ზოგჯერ „თამაში“ უყვარდა, მაგრამ თამაში იქით იყოს და... იგი მოითხოვდა, წავიდეთ და შევამოწმოთ, მართალს ვამბობ თუ ვტყუიო. ამას სერიოზულად ამბობდა.

ეგორკას ბევრი არ უფიქრია, ისე თქვა:

— აბა, წავიდეთ.

— კიდევ ვის უნდა წამოსვლა? — ერთხელაც იკითხა სანკამ.

წამოსვლის სურვილი სხვას არავის გამოუთქვამს. საკმაოდ ჩახლართული, ბნელი ამბავი იყო და თანაც ორი ასეთი ბიჭი მიდიოდა... თანაც რა იცი, რას გადაეყრები... სანკა და ეგორკა ქალაქს გაემგზავრნენ.

გზაში ერთხელაც წალაპარაკდნენ. სანკამ ისევ დაარიგა ეგორკა, ხელების ფათური ქალაქში არავისთვის დაეწყო და დიდი ჭიქებით ღვინო არ ეყლურწნა.

— მე ხომ თქვენ ხელისგულივით გიცნობთ...

— წადი, შენი... — გაბრაზდა ეგორკა. — თითქოს დიდი ვინმე მყავდეს, დამიწყო ამანაც „თქვენ, თქვენო“. ვისზე ამბობ ამას, ვინ არის ის „თქვენ“, ჰა? თვითონ ვინა ხარ, რო?

— მე შენ გასწავლი, რა გეზი უნდა აიღო ახალ საზოგადოებაში, გაიგე?

— გირჩევნია შენს თავს ასწავლო, ამდენი არ იბაქიბუქო და იცრუპენტელო. თორემ რა გამოდის, შეგვიწუხე გული. ახლა თუკი იქ მივალთ და არავითარი სამოთახიანი ბინა არ დაგვხვდა, — ეგორკამ საჭეზე დააკაკუნა თითები, — ფეხით მოგიწევს უკან ძუგძუგი.

— ეგრე იყოს, მაგრამ თუ ყველაფერი, რაც მე ვთქვი, მართალი გამოდგა, მაშინ შენ... ხალხის დასწრებით კლუბში განაცხადებ: „ამხანაგებო, ჩვენ სულ ტყუილუბრალოდ არ ვუჯერებდით სანკა ჟურავლიოვს — მართალს ამბობდა თურმე ეს კაცი“. შევთანხმდით?

— შევთანხმდით, — ჩაიბურდღუნა უკმურმა ეგორკამ.

— ამათი დედა ვატირე, — გაბრაზდა სანკა, — თვითონ ხომ ადამის დროინდელი ხალხივით ცხოვრობენ, არც სხვა უნდათ გვერდზე აცხოვრონ.

ქალაქში ალიონზე შევიდნენ. „მარჯვნივ“, „მარცხნივ“, „პირდაპირ“, იძლეოდა ბრძანებებს სანკა. იგი მშვილდ-ისარივით მოიმართა, ცოტა არ იყოს, ღელავდა კიდეც. ეგორკა გვერდიდან ჩუმად უთვალთვალებდა, მორჩილად უხვევდა „მარჯვნივ“ და „მარცხნივ“. იგი ხედავდა, რომ სანკა თავის დაძვრენას ცდილობდა, მაგრამ არაფერს ამბობდა. თვითონ ეგორკასაც ერთი-ორჯერ გული შეუკუმშა უსიამოვნო წინათგრძნობამ.

— რესტორანი „კოლოსი“ ვიცანი, — ჩუმად თქვა სანკამ, — აქ, მგონი, ისევ მარცხნივ უნდა შევუხვიოთ. ჰო, სწორია, მარცხნივ შეუხვიე.

— მისამართი არ იცი, შე კაცო!

— მისამართების დამახსოვრება წესად არა მაქვს, თვალით უკეთ ვიმახსოვრებ.

კიდევ იბორიალეს ასანთის მაღალ კოლოფებს შორის, ერთ სახლს მიადგნენ და შეჩერდნენ.

— აი, ის სადარბაზოა, — ჩუმად თქვა სანკამ, — ცისფერი, საჩიხიანი სახურავით....

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთხანს კაბინაში ისხდნენ.

— რა ვქნათ ახლა? — ჰკითხა ეგორკამ.

— ახლა... ის ალბათ სამსახურშია, — ჭოჭმანით თქვა სანკამ, — რომელი საათია ახლა?

— ოცი უკლია ცხრას.

— ახლა გახურებულ მუშაობაში იქნება...

— ო, დაიწყო უკვე. ვატყობ, ვერ მიდის საქმე კარგად.

— აბა, წამო! — ბრძანა სანკამ, — წამო, ლაწირაკო, სახლში თუ არაა, რესტორანში ვერ შევივლით, თუ რა! წამო-მეთქი!

მეოთხე სართულზე ფეხით ავიდნენ.

— ესეც ასე! — სანკა ღელავდა. — იცოდე, მე მიყურე: რასაც მე გავაკეთებ, შენც ის გააკეთე, ოღონდ ცოტა მეტი მოკრძალება გმართებს, ვითომ ჩემი ღარიბი ნათესავი ხარ... ფუი ეშმაკს, ვღელავ, შე ყურუმსაღო. ნეტა რას ვღელავ? მომყევი! — და მან ზარის თეთრ ჭიპს თითი დააჭირა.

კარს უკან ჯერ სიჩუმე იყო, მერე ქუსლების კაკაკუკი მოისმა.

— იცი, რა პარკეტია!... — მოასწრო წაჩურჩულება სანკამ.

დიდხანს ჩხაკუნობდა კლიტე, თუმცა იქნებ მარტო ერთი კლიტე არ იყო?!

სანკამ ნერვიულად ჩაუკრა თვალი ეგორკას.

ბოლოს კარი გამოიღო... სანკამ დიდი პირი დააბჩინა და ღიმილით უნდოდა კარისათვის ხელი ეკრა, რომ ის უფრო მეტი ხალისით გამოღებულიყო, მაგრამ ჯაჭვით აღმოჩნდა ჩაკეტილი.

— ვინ არის? — შეშფოთებით და უკმაყოფილოდ იკითხეს კარს უკან, ქალმა იკითხა.

— ირა... მე ვარ! — თქვა სანკამ არაბუნებრივი ხმით და უფრო მეტი ღიმილი დაიფინა სახეზე. შეიძლება ითქვას, რომ მის სახეზე ახლა ცხვირისა და ღიმილის მეტი არაფერი იყო, დანარჩენი ნაოჭებს დაეფარა.

— ღმერთო ჩემო! — ღვარძლიანი დაცინვით შეიცხადა ქალის ხმამ კარს იქით (ეგორკა სანკას ზურგს უკან იდგა და ქალის სახეს ვერ ხედავდა), და კარი ბრახუნით მიიკეტა.

სანკა გაოგნდა... დაბნეულად შეხედა ეგორკას.

— ჩემო ღმერთო!.. — დაიბოღმა იგი. — რა დაემართა, გადაირია?

— იქნებ ვერ გიცნო? — ეგორკას ეს დაცინვით სულაც არ უკითხავს.

სანკამ ერთხელაც დააჭირა თითი თეთრ ჭიპს. კარს უკან სიჩუმე სუფევდა. სანკა ღილს აჭერდა და აჭერდა. ბოლოს მოისმა ფეხის ხმა — მამაკაცის მძიმე ნაბიჯები იყო. კარი ისევ გამოიღო, მაგრამ ჯაჭვი არ აუხსნიათ. გამოღებულ კარში კაცის ვარდისფერი სახე გამოჩნდა. კაცმა თვალით ურჭინა სანკას, მაგრამ მისმა თვალმა უეშური ეგორკა დალანდა და სწრაფად მოიძია, კიდევ ვინმე ხომ არ ახლავთო? კაცი შეეცადა რაც შეიძლება ავად და შიშისმომგვრელად ეკითხა:

— რა ამბავია?

— ირინას დაუძახე, — უთხრა სანკამ.

კაცი წამით დაფიქრდა, როგორ მოქცეულიყო... ბინის სიღრმიდან მას რაღაც უთხრეს. კაცმა კარი მიიჯახუნა. სანკამ მაშინვე დააჭირა თითი ზარს და აღარ გაუშვია. კარი ისევ გამოიღო.

— რაო, გამოვიდე და ძვალ-რბილი გაგიერთიანო? — უკვე მართლა გაბრაზდა კარს უკან ის კაცი.

სანკამ ღიობში ფეხი ჩაუდგა, რომ იმ კაცს კარი ვერ მიეკეტა.

— გამოდი ერთი წუთით, — უთხრა სანკამ, — გამოდი, გთხოვ, რაღაც უნდა გითხრა.

კაცმა ოდნავ დაიხია და მთელი ტანით დაეძგერა კარს... სანკამ იღმუვლა. ეგორკაც კარს აქედან ზუსტად იმ კაცივით გამოქანდა და კარს მიასკდა მხრით. სანკამ ფეხი ილრძო და ახლა ისიც ბეჭით მიეხეთქა კარს.

— სემიონ! — იღრიალა იმ კაცმა.

ვიდრე ფოსტლებიანი სემიონი ამხანაგის მოსაშველებლად მოირბენდა, სოფლელმა ბულებმა კარს დედა უტირეს... ჯაჭვი გაწყდა.

— ხელები ზევით! — დასჭექა დერეფანში შევარდნილმა სანკამ.

ვარდისფერი სახის კაცმა უკან დაიხია... ფოსტლებიანმა მამაკაცმაც ნაბიჯი შეანელა. მაგრამ ამ დროს წინ დიდმკერდიანი ქვიჯა დედაკაცი გამოვარდა ქარბორიასავით.

— გა-ეთ-რი-ეთ აქე-დან! — ეს ძონძროხა დედაკაცი საკვირველად ტანმსუბუქი იყო და საოცრად გამკივანად წიოდა. — გაეთრიეთ-მეთქი აქედან, არამზადებო! დაურეკეთ მილიციას, დაურეკეთ! მე თვითონ დავრეკავ! — ქალი მსუბუქად გაპაკუნდა დასარეკად.

— წავედით, სანკა, — უთხრა ეგორკამ.

ამ ამბის შემყურე სანკამ არ იცოდა, რა ექნა.

— წავედით, — გაუმეორა ეგორკამ.

— არა, არ წავედით, — გამძვინვარებით თქვა ვარდისფერსახიანმაც და სანკასკენ წაიწია. — არა, არ წავედით... ასე იოლად გინდათ წახვიდეთ, არა? სემიონ, შენ იქიდან მოუარე... ალყა დავარტყათ ამ ხულიგნებს!

ფოსტლებიანმა კაცმა ალყის დასარტყმელად გადადგა ნაბიჯი. მაგრამ ამ დროს კარიდან ეგორი შემობრუნდა...

„ალყიდან" ჩვენი არწივები კი გამოვიდნენ, მაგრამ თხუთმეტ-თხუთმეტი დღე აიკიდეს. ეგორკას დამატებით წელიწად-ნახევრით მართვის უფლებაც ჩამოართვეს — ქალაქში თვითნებურად წასვლის ნება არ გქონდაო. საკვირველი ის იყო, რომ სოფლელებმა მხოლოდ ამ ამბების შემდეგ ირწმუნეს, სანკა თურმე სრულ სიმართლეს ამბობდაო, და ხშირად თხოვდნენ ხოლმე, მოგვიყევი, სამი დღე და ღამე ქალაქში როგორ იგიჟეო.

უსმენდნენ და იცინოდნენ.

მხოლოდ ეგორკა არ იცინოდა, უმანქანოდ იმდენ მაყუთს ვეღარ შოულობდა.

— ეგორ, როგორი ქალი იყო, ჰა? მართლა ძალიან ლამაზი?

— აბა, რა გითხრათ, წესიერად ვერც შევხედე: ოთახში ბუფეტივით რაღაცა კი დაგორავდა...

— ბინა? მართლა გადასარევი ბინა იყო?

— კი გადასარევი იყო. ოთახის შეთვალიერება მოვასწარი. გადასარევი ბინაა.

სანკა სოფელში კარგა ხანს დადიოდა ყინჩად.

# მიკროსკოპი

ამას გაბედვა უნდოდა. მან გაბედა.

ერთხელ მოვიდა შინ, ვერ იცნობდი, ისე იყო გაყვითლებული. ცოლისთვის არ შეუხედავს, ზურგშექცეეით მდგომმა უთხრა:

— იცი... ფული დავკარგე. — ესა თქვა და ყვითელი ცხვირი (მოღრეცილი და კეხიანი) გაუწითლდა, — ას ოცი მანეთი დავკარგე.

ცოლს ყბა მოექცა, სახეზე მუდარა დაეწერა: იქნება ხუმრობს ეს კაცი? არა, ეს ცხვირმოღრეცილი არ ხუმრობს ხოლმე, არ ეხერხება. ქალმა ანგარიშმიუცემლად ჰკითხა:

— სად დაკარგე?

კაცმა უნებლიეთ ჩაიფრუტუნა:

— ეგ რომ ვიცოდე, ხომ წავიღოდი და...

— მაშ, ეგრეა საქმე! — ავარდა ქალი, — მორჩა, კარგა ხანს ვეღარ იფრუტუნებ — და ტაფის მოსატანად გაიქცა, — ეს ცხრა თვე კარგად მეყოლე ახლა!

კაცმა ლოგინიდან ბალიში აიტაცა — იერიში უნდა მოეგერიებინა (ძველები სულ ტყუილად იწონებდნენ თავს თავიანთი ბრჭყვიალა ფარებით. ბალიშს რა შეედრება!). ქარბორია დატრიალდა ოთახში...

— ბალიშს თხვრი, ქალო, ბალიშს! შენი გასარეცხი იქნება, ხომ იცი!

— გავრეცხავ, გავრეცხავ, შე ცხვირმოღრეცილო. მაგრამ ორ ნეკნს კი მაინც ჩაგიმტვრევ...

— თანახმა ვარ, ქალო, თანახმა!

— ოჰ, შენი ქოქი არ იყოს, ცხვირმოღრეცილო შენა!

— თანახმა ვარ, არ გესმის, დედაკაცო! ხვალიდან რო ბიულეტენზე მომიწევს ჯდომა, სად მიდიხარ მერე! მე რა, შენ იკითხე თორე...

— მოგიწევს და იჯექი!

— შენთვის იქნება უარესი!..

— იყოს!

— ვაიმე!

— ახია შენზე!

— კარგი, ჰო, გეყოფა...

— არა, მაცალე, გული უნდა ვიჯერო, გული, შე ცხვირმოღრეცილო ტუტუცო! შე ხეკაკუნავ, შენა ...— ქალმა იმარჯვა და ქმარს ისე მაგრად ბრეგვა თავში ტაფა, ცოტა თვითონაც კი შეშინდა...

კაცმა ბალიში დააგდო, თავში ხელი იტაცა, დაიგმინა. ქალი მცდელი თვალით მიაჩერდა: თავს იკატუნებს თუ მართლა სტკივა? დაასკვნა — მართლა სტკივაო. ტაფა იატაკზე დადო, სკამზე ჩამოჯდა და აზლუქუნდა, თან მოთქვამდა:

— ღმერთო, რად მერგო ასეთი ბე-ე-დი?.. რა სიმწრით ვაგროვე მე ის ფული, რა სიმწრით ვა-ა-გრო-ვე! რამდენჯერ თეთრი პური დამიკლია, ღმერთო, რა-ა-მდენ-ჯერ!.. რამდენჯერ შვილებისთვის ტკბილეული არ მიყიდია!.. სულ ვინახავდი, რაც კი მქონდა, შე ტუტუცო! ვაიმე, დედა! კაპიკს კაპიკზე ვდებდი და გულით ვხარობდი: ჩემს შვილებს ზამთარში თბილად და ლამაზად ჩავაცმევ-მეთქი.. სკოლაში დაგლეჯილი ტანსაცმლით აღარ ივლიან-მეთქი, აღარ შეცივდებათ-მეთქი!..

— დაგლეჯილნი როდის დაგვიდიან, ქალო, ბავშვები? — ვერ მოითმინა ქმარმა.

— გაჩუმდი, ტუტუცო! ხმა ჩაიგდე მანდ. ბავშვებს ასცანცლე ის ფული და ძმაბიჭებში ჩახეთქე განა? როგორ არ გაგისკდა ეგ მუცელი... დაგ[illegible]გა-ეგუდე იმ არაყს, მოვისვენებდით მაინცა... სულს მოვითქვამდით!

— ამისთანა დალოცვისთვის მადლობის მეტი რა მეთქმის, — გესლიანად ჩაურთო ქმარმა.

— უ, შე ტუტუცო, შენა!.. სად იყავი მაინც, იქნებ გაიხსენო?... იქნებ სამსახურში დაგრჩა სადმე? იქნებ დაზგის ქვეშ დადევი და დაგავიწყდა?

— სამსახურში, კი!.. სამსახურიდან შემნახველოში წაველი. სამსახურშიო...

— იქნება ვინმესთან შეიარე, ტუტუცო?

— არავისთანაც არ შემივლია.

— იქნებ დუქანში ლოთებთან ლუდი დალიე? კარგად გაიხსენე. იქნებ ჯიბიდან ამოგივარდა... გაიქეცი, რა იცი, იქნებ მოგცენ კიდევაც.

— არ შემივლია, ადამიანო, დუქანში!

— აბა სად უნდა დაგეკარგა ფული, ტუტუცო, სადა?!

— მე რა ვიცი?

— როგორ ველოდი!.. ახლა ბავშვებს ხელს მოვკიდებდი და წავიყვანდი, ქურქებს მოვაზომავდი, უკვე შეგულებულიც მქონდა... ახლა კი მორჩა, დაიტაცებენ. ვუი და ვაი შენს თავს, ტუტუცო, ჭირი და დოზანა!...

— კარგი, ჰო! რა გააჭირე საქმე! არ დაიჩემა, ტუტუცოო!

— ტუტუცი ხარ, აბა ვინ ოხერი ხარ!

— რაც მოხდა, მოხდა, ახლა რას ვიზამთ?

— რას იზამ და ორ ცვლაში იმუშავებ, ტუტუცო! შენ დღე გაყაროთ... კიდევ მოგვთხოვე არაყს აბანოდან გამოსულზე და მოგართმევთ! ქვის წყალს ჩაგახეთქებ და ეგაა!...

— რა იხრად მინდა არაყი, უარყოდ არ მოვკვდები, ნუ გეშინია.

— სამუშაოზე ფეხით გატარებთ, დაიცა! ავტობუსს გამოეთხოვე, ფეხით იძუნძულე.

— ორი ცვლა ვიმუშავო და ფეხით ვიძუნძულო? კაია, ჩემმა ღმერთმა.

— კი, კი, ფეხით, იქითობისას და აქეთობისას, შე ტუტუცო! იძუნძულებ კიდეც რომ არ დაგაგვიანდეს. მხამად და ძმრად ამოგადენთ მაგ ფულს. ბევრჯერ გაგახსენდება მწარედ ის ფული, ბევრჯერ!

— ორი ცვლა ვერა, მაგრამ ცვლა-ნახევარს კი ვიმუშავებ თვეში, — დინჯად თქვა კაცმა და ნატკენი ადგილი ხელით დაიზილა. — ოსტატს უკვე მოველაპარაკე... — ის კი ვერ იაზრა, რომ თავი გაყიდა. როცა ქალმა გაკვირვებით შეხედა, გამოასწორა: — რომ ვნახე, ფული დავკარგე, სამსახურში მივბრუნდი და ოსტატს მოველაპარაკე.

— აბა, შემნახველოს წიგნაკი მიჩვენე, — მოსთხოვა ქალმა. გამოართვა, ნახა, ამოიხვნეშა და ერთხელ კიდევ სიმწრით გამოსცრა კბილებში:

— ტუტუცო შენა.

ანდრეი ერინი დურგლად მუშაობდა ხორბლის დამამზადებელ კანტორის პატარა სახელოსნოში, რომელიც სოფლიდან ათიოდე ვერსზე იყო. ანდრეი მთელი კვირა ვერ იყო თავის ჭკუაზე, მოიშალა კაცი. ცოლი გაუთავებლად ეჩ-

ხუზებოდა, წამდაუწუმ „ტუტუცის" ეძახდა. თვითონაც ბრაზობდა, მაგრამ გულში, ხმამაღლა ვერაფერს უბედავდა ცოლს.

დღეები კი გადიოდა... ცოლი ნელ-ნელა მშვიდდებოდა. ანდრეი ხელსაყრელ დროს ელოდა. ბოლოს გადაწყვიტა, რომ უკვე შეიძლებოდა გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა.

და, აი, გვიან საღამოს (იგი მართლა ცვლა-ნახევარს მუშაობდა) მოვიდა შინ. ხელში ყუთი ეჭირა, იმ ყუთში კი რაღაც მძიმე იდო. კაცს სახე გაღაბადროდა.

მას არცთუ იშვიათად შინაც მოუტანია სამუშაო, ხან რა და ხან რა. ზოგჯერ ქაღალდში შეხვეული ყუთებიც. ამიტომ არ გაპკვირვებიათ, ახლაც რომ რაღაც მოიტანა. მაგრამ ანდრეი გაბადრული იდგა ზღურბლზე, იდგა და ელოდა, როდის მიაქცევდნენ ყურადღებას... ჰოდა, მიაქციეს კიდევაც.

— ეი, შენ, რას იბადრები მანდ... ისე ბრწყინავ, როგორც... მიშველი უკანალი მთვარის შუქზე!

— აი... დამკვრელური შრომისთვის მაჩუქეს... — ანდრეი მაგიდასთან მივიდა, ნელა, ძალიან ნელა გახსნა ყუთი და მაგიდაზე... მიკროსკოპი ჩამოდგა, — ჰო, მიკროსკოპი მაჩუქეს.

— ეგ რაში გჭირდება?

ანდრეი ახლა კი დაფაცურდა, მაგრამ ეს დამნაშავე კაცის დაფაცურება არ იყო, როგორც სხვა დროს ჩვეოდა ხოლმე.

— რაში მჭირდება და მთვარის შესასწავლად! — გადაიხარხარა ანდრეიმ, მეხუთეკლასელ ბიჭსაც გაეცინა: მთვარე და მიკროსკოპით!

— რა გაცინებთ? — აიმრიზა ცოლი.

ანდრეი და მისი ვაჟი სიცილით ჩაბჟირდნენ.

ცოლმა ანდრეის მკაცრად გადახედა. ანდრეიმ სიცილი შეწყვიტა.

— იცი თუ არა, რომ შენ ირგვლივ უამრავი მიკრობი ირევა? აი, შენ ტოლჩით წყალი ამოიღე... არა? — ანდრეიმ ტოლჩით წყალი ამოიღო, — შენა გგონია, წყალსა სვამ?

— მომწყდი თავიდან!

— არა, გეკითხები და მიპასუხე.

— წყალსა ვსვამ.

ანდრეიმ შვილს გადახედა და უნებლიეთ ისევ გადაიხარხარა.

— წყალსა ვსვამო! სულელი არა ხარ ახლა შენა?..

— ტუტუცო! წადი ტაფის მოსატანად!

ანდრეი მაშინვე დადინჯდა.

— მიკრობებს ნთქავ, სულიკო, მიკრობებს წყალთან ერთად. დიდი არაფერი, სულ ორიოდე მილიონი მიკრობი ყლურწე — და მორჩა. ერთ საუზმედ გეყოფა! — მამა-შვილი ისევ გადაფიჩინდა. ზოია (ცოლი) საკუჭნაოსკენ წავიდა ტაფის მოსატანად.

— მოდი, ნახე, ნახე! — დაუყვირა ანდრეიმ. ტოლჩიანად მივიდა მაგიდასთან, ჯერ ხელსაწყო მოაწყო, მერე პატარა სარკეზე წყალი დააწვეთა, მერე მიკროსკოპში ჩაიხედა და ასე ალბათ ორი წუთი მაინც სუნთქვაშეკრული იყურებოდა. ბიჭი ზურგს უკან ედგა — იმასაც სულის სიმწარით უნდოდა მიკროსკოპში ჩახედვა.

— მამა!..

— აი, ეს ძაღლი-მამაძაღლები!.. — დაიჩურჩულა ანდრეი ერინმა, დაი-

ჩურჩულა რაღაცნაირი ქრუანტელის მოგვრელი სიხარულით: — დასეირნობენ...

— ჰამი, ჰა, მამი!

მამამ ფეხი შეატოკა.

— დაქრიან აღმა-დაღმა ეს თხრები!

— მამიკო!

— აჩვენე ბავშვს, რა მოგივიდა! — უბრძანა ქალმა, თან აშკარად ეტყობოდა, თვითონაც დაინტერესებულიყო.

ანდრეი ძლივს მოწყდა მიკროსკოპს და შვილი მიუშვა. შურით ხარბად მისჩერებოდა ბიჭს ზურგში. ბოლოს ვერ მოითმინა და ჰკითხა:

— რა ხდება?

ბიჭი დუმდა.

— რა ხდება-მეთქი? ხმა ამოიღე!

— აი, ისინიც! — იღრიალა ბიჭმა, — რა თეთრებია...

მამამ შვილი მიკროსკოპს მოაცილა და ადგილი ცოლს დაუთმო.

— მიდი, ჩაიხედე და ნახავ, რა წყალსაც სვამ!..

ქალი დიდხანს იხედებოდა მიკროსკოპში.... ხან ერთი თვალით, ხან — მეორეთი...

— ვერაფერსაც ვერ ვხედავ..

ანდრეიმ პირდაპირ აიწყვიტა, საშინლად გათამამდა.

— თვალში ვერ იხედები, ქალო! ჯიბეში კაპიკი რომ გეგდოს, მაშინვე ნახავს, მიკრობებს კი ვერ ხედავს! ლამის თვალში კი შეუძვრნენ! არ ხედავ, რა ქათქათი გაუდით, ქალო...

რაკი თვითონ ვერ დაინახა ის მოქათქათე მიკრობები, შვილმა კი დაინახა, ქალი აღარ გაბრაზებულა.

— ხო, აგერ არიან.... — თქვა მან. შესაძლოა მოიტყუა კიდეც. ტყუილსაც კარგად იკადრებდა.

ანდრეიმ ქალს წაუჯიკავა, გვერდზე მიაყენა და თვითონ ლინზას დააკვდა. ისევ აჩურჩულდა.

— თქვენი დედის სული! რა ამბავში არიან, ხალხნო!

— ბნდულ რომ ირევიან, ისინია? — ეკითხებოდა ანდრეის ზურგს უკან დედა შვილს. — აი, სუპში ზიპი რომ დაცურავს, ისეთი?

— ხმა, კრინტი! — იღრიალა მიკროსკოპს მოცილებულმა ანდრეიმ. — ზიპიო..... ზიპიცა ხარ და... მთელი შაშხიც!

უცნაური ამბავი ხდებოდა, ანდრეი უკვე ოჯახის უფროსივით ყვიროდა.

უფროს შვილს — მეხუთეკლასელს გაეცინა. დედამ ქიმუნჯი ჰკრა, შემდეგ მიკროსკოპთან უმცროსი შვილები მიიყვანა.

— აბა, მიკრობების ექიმო, მიუშვი ბავშვები და ჩაახედე. არ ჩაწვა შიგ!..

მამამ მიკროსკოპთან ადგილი დაუთმო შვილებს და აღელვებით მოჰყვა ოთახში ბოლთას. რაღაცაზე ფიქრობდა.

ვახშმობისასაც ანდრეი ფიქრებში იყო ჩაძირული, თან ჭამდა, თან მიკროსკოპისკენ იყურებოდა და თავს აქეთ-იქით აქნევდა. კოვზით სუპი ამოიღო და შვილს თვალთან მიუტანა:

— რამდენი იქნება აქ?.. მიახლოებით...

შვილმა შუბლი შეიჭმუხნა:

— ასე, მილიონ-ნახევარი იქნება...

ანდრეი ერინი გულისყურით დააცქერდა კოვზს.

— არანაკლები. ჩვენ კიდევა, ყლუპ! — მან სუპი მოსრუპა და გულზე ხელი დაიბაგუნა, — სადღაა შენი მილიონ-ხახუნარი? ფაფუ! ახლა იმათ ჩვენი ორგანიზმი მიხარშ-მოხარშავს. იმან იცის თავისი საქმე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— იქნებ შენ ითხოვე, რომ ეს ერუქებინათ? — ცოლმა [illegible] უკმაყოფილოდ გააქნია თავი მიკროსკოპისკენ. — ნეტა მტვერსასრუტი მოეცათ, მტვერს მაინც მოგვაშორებდა?!

არა, როცა ქალს აჩენდა ღმერთი, რაღაცა აურია. შთაგონებას აჰყვა მამაღმერთი, გაიტაცა რაღაცამ. თუმცა რა, ყველა შემოქმედი ასე არაა! კაცმა რომ თქვას, რა მოხდა — მოაზროვნეს კი არ ქმნიდა, ქალს ქმნიდა.

ღამე ორჯერ ადგა ანდრეი, ორჯერვე შუქი აანთო, კარგა ხანს იხედებოდა მიკროსკოპში, თან ჩურჩულებდა:

— პაი, ეს ძაღლი-მამაძაღლები... რა ამბავში არიან! არ ეძინებათ მაინც?!

— ნუ შეიშლები ახლა! — უთხრა ცოლმა, — ბევრი კი არ გინდა, ცოტაც და აფრენ...

— მალე დავიწყებ აღმოჩენებს, — უთხრა ანდრეიმ, როცა ცოლს მიუწვა, — შენა, მეცნიერთან თუ წოლილხარ როდისმე?

— **ეგლა მაკლია!**

— დაწვები! — ანდრეიმ ალერსით მოუტყაპუნა ცოლს ფაფუკ მხარზე ხელი, — კი, სულიკო, კი მოგიწევს მეცნიერთან წოლა...

ეს ერთი კვირა ანდრეიმ თითქოს სიზმარში გაატარა. სამუშაოდან მოვიდოდა თუ არა, საფუძვლიანად დაიბანდა, ჩქარ-ჩქარა ივახშმებდა... თან მიკროსკოპს თვალს არ აშორებდა.

— საქმე ისაა, — ამბობდა იგი, — რომ ადამიანს ას ორმოცდაათი წლის სიცოცხლე უწერია. საკითხავია, რატომ ცოცხლობს იგი ორმოცდაათ, დიდიდიდი სამოცდაათ წელიწადს, რატომ ჭიმავს ასე ადრე ფეხებს? მიკრობების ბრალია, ჩემო ძმაო, მიკრობების! ეგ ძაღლი-მამაძაღლები უმოკლებენ ადამიანს დღეს. შეუძვრებიან ორგანიზმში და, როგორც კი სხეული ცოტათი მოფამფალდება, **შავ დღეს აყრიან.**

ანდრეი და მისი უფროსი ვაჟი საათობით უსხდნენ მიკროსკოპს, ხან ჭის წყალს იკვლევდნენ, ხანაც სათლისას. თუ წვიმდა, ნაწვიმარ წყალსაც სწავლობდნენ. მამამ შვილი **გუბის წყალზე ჩაგზავნა,** მისი სინჯიც უნდა ენახათ... იქაც მილიონობით რიალებდნენ ის ქათქათა ძაღლი-მამაძაღლები!

— ომ, თქვენი დედა და მამა, რა დღეში არიან, კაცო!.. როგორ გინდა ამათ ებრძოლო?! — გაიძახოდა სასოწარკვეთილი ანდრეი, — მიდის კაცი გზაში, გუბეში ჩაჰყოფს ფეხს და მორჩა, დაითრია მიკრობები. შინ შევიდა, ოთახი დათხვარა, ბალღმა ფეხშველა გაირბინა ოთახში, ბავშვს კი როგორი ორგანიზმი აქვს, რა გინდა ქნა?!

— ამიტომ ფეხი ყოველთვის უნდა გავიწმინდოთ! — უთხრა შვილმა, — შენ კი არ იწმინდავ ხოლმე.

— ეგ რას შველის საქმეს, თავიდათავია, პირდაპირ გუბეში მოვსპოთ, თორემ რა გამოვა! კარგი, მე გავიწმინდავ ფეხს, ახლა ვიცი, რომ უნდა გავიწმინდო, მაგრამ აი, სენკა მაროვს რას უშვრები... იმას რამეს გააგებინებ! როგორც აქამდე დატყაპუნობდა, აწიც ისევე იტყაპუნებს.

ოფლის წვეთიც გამოიკვლიეს, რისთვისაც ანდრეის ბიჭმა ქანცის გაცლამ-

დე ირბინა ქუჩაში, შემდეგ მამამ კოვზით მოწმინდა შუბლზე ოფლი, კარგა მოზრდილი წვეთი გამოუკიდათ და მიკროსკოპს მიუსხდნენ.

— არის! — ანდრეიმ გულშეჭირვებით დაირტყა მუხლზე ხელი. — როგორ გინდა ას ორმოცდაათ წლამდე იცოცხლო?!. კანშიც ყოფილან ეს ძაღლი-მამაძაღლები!

— მოდი, სისხლიც გავსინჯოთ! — შეთავაზა შვილმა მამას.

მამამ თითში ნემსი იჩხვლიტა, ხასხასა წითელი სისხლი გამოიდინა და მინაზე დააწვეთა... ლინზაში ჩაიხედა და დაიგმინა.

— ცუდადაა საქმე, შვილო... სისხლშიც შეუღწევიათ! — ანდრეი ერინი წელში გაიმართა, გაოგნებულმა მოათვალიერა იქაურობა, — გასაგებია. ხომ იციან იმ პარაზიტებმა, ჩემზე უკეთ იციან, მაგრამ ხმას არ იღებენ.

— ვისზე ამბობ? — ვერ გაიგო შვილმა.

— ვისზე და მეცნიერებზე ვამბობ. იმათ ჩემისთანა მიკროსკოპი კი არა აქვთ, ათასჯერ უკეთესი, ყველაფერს კარგად ხედავენ, მაგრამ პირში წყალს იგუბებენ. არ უნდათ ხალხს გუნება წაუხდინონ. არადა, რას მალავ, ვის უმალავ? იქნებ ყველას ერთად რამე გვეღონა, რა იცი, მოგვეფიქრებინა, როგორ შეიძლება ამ ძაღლი-მამაძაღლების მოსპობა. არა, პირი შეუკრავთ და გაჩუმებულან. ვითომ მღელვარება დაიწყებაო, ჰგონიათ.

ანდრეი ერინი ტაბურეტზე ჩამოჯდა, გააბოლა.

— ამან, ამან როგორ უნდა დაღუპოს ხალხი. სულ არაფრის გამო როგორ უნდა მოკვდეს კაცი! — დანა რომ დაგერტყა, სისხლი არ გამოუვიდოდა ანდრეის.

ბიჭი მიკროსკოპში იყურებოდა.

— ერთმანეთს დასდევენ... უფრო პატარები ცოტა სხვანაირებია... მომრგვალონი...

— ეგენი ყველა — მომრგვალონიც და მოგრძონიც, ერთი მოდგმაა. დედას ნუ ეტყვი ჯერ, ისინი ჩემს სისხლშიც რომ ვნახეთ.

— გინდა ჩემთანაც ვნახოთ?

ანდრეიმ შვილს შეხედა... მამის თვალში შიშიც და ცნობისწადილიც ერთდროულად ჩაბუდებულიყო. მრავალი წლის მანძილზე ნაჯაფი, ფისით გაქლენთილი დიდი ხელები მუხლებზე ეწყო და უცახცახებდა.

— არ გინდა. იქნებ პატარებს მაინც... ეჰ! — ანდრეი წამოდგა, ჯავრის საყრელად წიხლი ჰკრა ტაბურეტს, — ტილების, ბაღლინჯოების, ყოველგვარი მატლების მოსპობა ისწავლეთ, ამ ძაღლ-მამაძაღლებს კი ვერაფერი დააკელით... სულ უმცირეს ქინქლაზე პატარები არიან და მაინც... სულ ეგა ხართ, სულ ესაა თქვენი მეცნიერული ხარისხები?!

— ტილი თვალითაც ჩანს, ამათ კი... რას ეძახი?

მამა დიდხანს დუმდა.

— სკიპიდრით რომ მოვსპოთ? არ გამოვა. იქნებ ისევ არაყმა უშველოს საქმეს. თუმცა მე კი ვსვამ, მაგრამ ხომ ნახე, რა დღეშია ჩემი სისხლი!..

— არაყი განა სისხლში მიდის?

— აბა სად მიდის? კაცი რომ სულელდება, აბა რატომ სულელდება?

ერთ დღეს ანდრეიმ სამსახურიდან გრძელი, წვრილი მავთული მოიტანა... დაიბანა, შვილს თვალი ჩაუკრა და წინკარში გაიყვანა.

— მოდი, ვცადოთ... მავთულს თავი წავუღლესე, იქნებ როგორმე ორიოდე ცალს მაინც მოვდოთ.

მავთულის წვერი ბეწვივით წვრილი იყო. ანდრეიმ დიდხანს იწვალა ამ წვერით წულის წვეთში. ქლოშინებდა... ოფლმა დაასხა.

— გარბი-გამორბიან მამაძაღლები... არა, მავთულის წვერი მსხვილია, ვერ მოიკიდებს. უფრო წვრილია საჭირო, მეტი დაწვრილება კი არ შეიძლება. კარგი, ახლა ვიფახშმოთ და მერე დენით ვცადოთ... ბატარეა მოვიტანე: ორი მავთული გამოვიყვანოთ და მივუერთოთ. ვნახოთ ერთი, რა მოხდება....

ვახშმობისას მოხდა ის, რაც გათვალისწინებული არ ყოფილა: სერგეი კულიკოვი ესტუმრათ, იგი ანდრეისთან მუშაობდა ხორბლის დამზადების კანტორაში. შაბათი დღე იყო და სერგეი შექეიფიანებული გახლდათ, ალბათ ამიტომაც შემოუარა ტყუილუბრალოდ ანდრეის.

ბოლო ხანებში ანდრეის სმისთვის არა ცხელოდა და გაოცებით შეატყო თავს, რომ მთვრალი კაცი ეჯავრებოდა. ძალიან ცუდად იქცევიან ეს მთვრალები და უმსგავსო რამეებს როშავენ.

— დაჯექი, — უხალისოდ მიიპატიჟა ანდრეიმ.

— არა, ნუ შეწუხდები... აგერ კუთხეში მივიკუჭნები!

„ნეტა რა თავპატიჟი გაიდო უდედმამო ობოლივით?“

— როგორც გინდა.

— მიკრობები მანახე, რა!

ანდრეი შეკრთა.

— რა მიკრობებიო? წადი, წადი, დაიძინე, სერიოჟა... რა მიკრობები უნდა ნახო, საიდან?

— ნეტაი რას მალავ ერთი! შენც რომელი იარაღი გაქვს სახლში, რომ მალავ! მეცნიერებაა, ჩემო ძმაო, სხვა ხომ არაფერი... ჩემმა ბიჭმა ყურები გამომიჭედა: ძია ანდრეის ყველა მიკრობის მოსპობა უნდაო. ანდრეი!..— სერგეიმ გულზე მუშტი დაიბრაგუნა და რისხვით მიაჩერდა „მეცნიერს“, — ოქროს ძეგლს დაგიდგამთ! მთელ მსოფლიოში გაგითქვამთ სახელს! მეც შენს გვერდით ვმუშაობდი, ხომ ასეა, ჰა, ანდრიუხა!

ზოია ერინა მთვრალებს ვერ იტანდა, მაგრამ მასაც ესიამოვნა, სოფელში რომ ქმარი მეცნიერად მოუნათლეს. ჰოდა, ღვარძლით კი არა, უბრალოდ, ბუზღუნი რომ უყვარდა, იმიტომ თქვა:

— სხვა რამით ვერ დაასაჩუქრეს? რაღა მიკროსკოპი მისცეს. შეიშლება ეს კაცი — ღამეები არ სძინავს. მტვერსასრუტით მაინც დაესაჩუქრებინათ... თორემ ვერ გვიყიდია, არადა, მტვერი გვჭამს...

— ვინ დაესაჩუქრებინათ, რითი დაესაჩუქრებინათ? — გაიკვირვა სერგეიმ.

ანდრეი ერინს ძარღვებში სისხლი გაეყინა.

— აი, პრემია რომ მისცეს... და ეს მიკროსკოპი აჩუქეს...

ანდრეის უნდოდა როგორმე თვალით ენიშნებინა სერგეისთვის, რომ... აბა! სერგეი გამოთაყვანებული მისჩერებოდა ზოიას.

— რა პრემიაო, რისი პრემიაო?

— პრემიები ხომ მოგცეს?

— როდის?

ზოიამ ჯერ ქმარს შეხედა, მერე სერგეის...

— პრემიები არ მოუციათ თქვენთვის?

— ელოდე, მაგათ პრემია მოგცენ!.. უკანაც გამოგეკიდებიან, წრიპო. მაშ პრემია...

— ანდრეის კი მიკროსკოპი მისცეს... დამკვრელური მუშაობისათვის...

— ერინის ცოლს ხმა გაბზაროდა, ყველაფერს მიხვედრილიყო.

— ეგენი რა პრემიას მოგცემენ! — იჭაჭებოდა კუთხეში მიმჯდარი მთვრალი სერგეი, — გასულ თვეში ას ოცდაათი პროცენტით ავქაჩე გეგმა, მაგრამ ვინ რა მომცა. აი, ანდრეი აქ არ არის? ტყუილს როგორ ვიტყვი...

ერთ წუთში ქვეყანა ჩამოიქცა და ქვევით, უფსკრულში დაინთქა.

ანდრეი წამოდგა... სერგეის საყელოში ჩაავლო ხელი, გარეთ გაიყვანა, ერთი-ორი კისერში უთაქა და მერე ჰკითხა:

— შენა, მანეთიანი თუ გაქვს? ხელფასზე მოგცემ.

— მაქვს... რატომ დამირტყი?

— წავით დუქანში... გაღმოგიგდია ეგ ენა!.. რა ჯანდაბად დაბოდიალობ მთვრალი ეზო-ეზო! ეჰ, ერთი შენა ხარ და!..

ის ღამე ანდრეი ერინმა სერგეისთან გაათია. გონის დაკარგვამდე გაილეშნენ. რაც თვითონ ჰქონდათ ფული, სულ დახარჯეს, სხვებსაც ესესხენ და დაამატეს.

მხოლოდ მეორე დღეს, სადილობის დროს მივიდა ანდრეი შინ. ცოლი არ დახვდა.

— სად არის? — ჰკითხა ბიჭს.

— ქალაქში წავიდა... აი, ის წაიღო... საკომისიოში...

ანდრეი მაგიდას მიუჯდა, ხელებს დაეყრდნო, დიდხანს იჯდა ასე.

— რაო, ბევრი მლანძღა?

— არა, ისე, ცოტა. ბევრი დახარჯე?

— თორმეტი მანეთი. ეჰ, პეტკა, შვილო... — ანდრეი ერინს თავი არ აუწევია, ისე დაიწმასნა, კბილები გააღრჭიალა, — განა ეს არის მთავარი? პატარა ხარ ჯერ, პატარა და ვერ გამიგებ, ვერა...

— ვიცი, გაყიდის იმას.

— გაყიდის, ეგრეა; ქურქები გინდათ. რას იზამ, საჭიროა. ვერაფერსაც ვერ იზამ... საჭიროა, აბა არაა საჭირო?

## ჩასჭრა!

მოხუც ალითია ქურავლიოვას ვაჟი ჩამოუვიდა ცოლ-შვილითურთ დასასვენებლად.

არც ისე დიდი იყო მათი სოფელი და როცა კონსტანტინე ქურავლიოვი ტაქსით მოადგა თავის სახლს, მთელმა სოფელმა უკვე იცოდა: ალითიას შუათანა შვილი, მეცნიერი კოსტია ჩამოუვიდა ცოლ-შვილითურთო.

საღამოსთვის წვრილმანებიც გაიგეს: თვითონ კოსტია კანდიდატია, ცოლიც კანდიდატი ჰყავს, მათი ქალიშვილი მოსწავლეა, ალითიას ელექტროსამოვარი, ჭრელი ხალათი და ხის კოვზები ჩამოუტანესო.

საღამოს გლებ კაპუსტინის კართანაზე შეიყარნენ მამაკაცები. მისპინძელს ელოდნენ.

გლებ კაპუსტინი უნდა გაგაცნოთ. ეს იმისთვისაა საჭირო, რომ მიხვდეთ, რატომ მაინცდამაინც მის პარმაღზე შეიყარნენ მამაკაცები და რას უნდოდათ.

გლებ კაპუსტინი ორმოციოდე წლის სქელტუჩება, თეთრფეროვანი, ლაქლაქა, ნაკითხი და ქირქილა კაცი იყო. როგორღაც ისე მოხდა, რომ ამ პატარა სოფლიდან ბევრი ცნობილი კაცი გამოვიდა: ერთი პოლკოვნიკი, ორი მფრინავი, ექიმი, კორესპონდენტი... და აი, ახლა ჟურავლიოვიც კანდიდატი გაუხდათ. როცა ესა თუ ის ცნობილი ადამიანი თავის სოფელში ჩამოდიოდა, ისე ხდებოდა ხოლმე, რომ მის ქოხში თავს იყრიდნენ თანასოფლელები, ქვეყნის ჭრელ ამბებს ისმენდნენ მისგან, ან თუკი იგი დაინტერესდებოდა, თავიანთ ამბებს უყვებოდნენ. ჰოდა, სწორედ ამ დროს გლებ კაპუსტინი მოვიდოდა და სტუმარს ჩასჭრიდა. ბევრს ეს არც მაინცდამაინც სიამოვნებდა, მაგრამ ზოგიერთები კი ელოდნენ, როდის მოვიდოდა გლები და ჩასჭრიდა ცნობილ კაცს. ელოდნენ ცოტაა! ჯერ გლებს გამოუვლიდნენ, სახლიდან გამოიყვანდნენ და მერე ყველანი ერთად ეწვეოდნენ სტუმარს. შარშან გლებმა პოლკოვნიკი ჩასჭრა. სიტყვა ჩამოვარდა 1812 წლის ომზე... გაირკვა, რომ პოლკოვნიკს არ სცოდნია, ვინ გასცა მოსკოვის გადაწვის ბრძანება. უფრო ზუსტად, მან თქვა, რომელიღაც გრაფმა ბრძანაო, მაგრამ გვარი შეეშალა. გლები სწავივით დააცხრა პოლკოვნიკს და... ჩასჭრა. როდესაც მასწავლებელთან გაიქცნენ გრაფის გვარის გასაგებად, გლები აღელვებული იჯდა გადამწყვეტი წუთის მოლოდინში და მხოლოდ ამას იმეორებდა: „ნუ ღელავთ, ამხანაგო პოლკოვნიკო, ჩვენ ფილიში არა ვართ, ხომ მართალია!“

გლები გამარჯვებული გამოვიდა. პოლკოვნიკს გუნება წაუხდა, თავში ხელს იცემდა და გონს ვერ მოსულიყო.

შემდეგ დიდხანს იხსენებდნენ სოფელში, როგორ უმეორებდა გლები პოლკოვნიკს: „ნუ ღელავთ, ამხანაგო პოლკოვნიკო, ჩვენ ფილიში არა ვართ“. მოხუცებს აინტერესებდათ — რატომ ამბობდა გლები: „ჩვენ ფილიში არა ვართო.“

გლები იცინოდა და ნიშნის მოგებით ჭუტავდა თვალებს. ამ სოფლის ცნობილი ადამიანების დედებს გლები არ უყვარდათ. ეშინოდათ მისი. აი, ახლა კი კანდიდატი ჟურავლიოვი ჩამოვიდა...

გლები სამსახურიდან მოვიდა (სახერხში მუშაობდა), დაიბანა, ტანსაცმელი გამოიცვალა... არ უვახშმია. გამოვიდა პარმაღზე, სადაც მეზობლები ელოდნენ.

გააბოლეს... თქვეს აქეთური-იქითური, ჟურავლიოვზე განგებ არ ამოუღიათ ხმა. შემდეგ გლებმა ორჯერ გაიხედა აღათიას ჟურავლიოვას ქოხისკენ. იკითხა:

— აღათიას სტუმრები ხომ არ ჩამოსვლია?

— კი... კანდიდატები!

— კანდიდატები? — გაკვირვებით გააჭიანურა გლებმა. — ო-ჰო!.. ეხუმრები. მაგათი მორევა ძნელია.

გლეხებმა გაიცინეს: აქაოდა, ვისთვის ძნელია და ვისთვის კი იოლია. თან გლებს თვალს არ აცილებდნენ.

— აბა, წავიდეთ, ვეწვიოთ კანდიდატებს, — თქვა გლებმა.

იგი სხვებზე ცოტათი წინ მიდიოდა, ხელები ჯიბეში ეწყო, აღათიას ქოხს მოწკურულ თვალს არ აცილებდა. შორიდან ისე ჩანდა, თითქოს გლები გლეხებს მიჰყავდათ. ასე მიჰყავთ ხოლმე მაგარი დამრტყმელი ბიჭი, როცა გაიგებენ, მტრის ქუჩაზე ვიღაც ყოჩი გამოჩნდაო.

— რა დარგში არიან კანდიდატები? — ნაბიჯის შეუნელებლად იკითხა გლებმა.

— რა დარგში? ეშმაკმა იცის... კანდიდატები არიანო, თქვენ, სხვა არაფერი ვიცით. ორივენიო...

— არიან ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატები, არიან ზოგადსაგანმანათლებლო მეცნიერებათა კანდიდატებიც, ესენი ძირითადად ბაქიბუქა ხალხია.

— კოსტია მათემატიკაში იყო მაგარი, — გაიხსენა ერთმა, ვინც მასთან ერთად სწავლობდა სკოლაში, — ხუთები ჰქონდა.

გლები წარმოშობით მეზობელი სოფლიდან იყო და აქაურებს ნაკლებად იცნობდა.

— ვნახოთ, ვნახოთ, — გაურკვევლად წაილაპარაკა მან, — კანდიდატი ახლა იმდენია, ქვა რომ ისროლო, არ ასცდება.

— ტაქსით ჩამოვიდა...

— ეს მარკის ასაწევად გააკეთა! — გაიცინა გლებმა. — იწერება ლივერპული და იკითხება მანჩესტერი. ცოტა რამ ჩვენც გვისწავლია, ეგრე კი არაა!

კონსტანტინე ჟურავლიოვი სიხარულით შეეგება სტუმრებს, სუფრის თადარიგს შეუდგა... ვიდრე ალათია სუფრას გაშლიდა, გლეხები დარცხვენით იცდიდნენ, კანდიდატს საუბარი გაუბეს, გაიხსენეს ბავშვობა...

— ეჰ, ბავშვობა, ბავშვობა! — ნაღვლიანად წამოიძახა კანდიდატმა, — აბა, ჩამოსხედით, მეგობრებო, — გულით მიიპატიჟა მან სტუმრები.

დასხდნენ. გლები ჯერ ხმას არ იღებდა, მაგრამ იგრძნობოდა, ნახტომისათვის ემზადებოდა. ბავშვობაზე რაც თქვა, იმაში დაეთანხმა კანდიდატს, გუნებაში კი წონიდა მეტოქის ძალას — ეზომებოდა: ვაჯობებ თუ მაჯობებსო.

სუფრასთან საუბარი უფრო მეგობრულად წარიმართა. გლები თითქოს დაავიწყდათ კიდეც... აი, მაშინ კი გამოიჩინა მან ბრჭყალები.

— რა დარგში ავლენთ თქვენს თავს? — ჰკითხა მან კანდიდატს.

— სადა ვმუშაობ, ამას მეკითხებით?

— დიახ.

— ფილფაკზე.

— ფილოსოფიის ფაკულტეტზე?

— მთლად ასე ვერ ვიტყვით...

— უცილებელი, საჭირო რამაა, — გლებსაც ეს უნდოდა, რომ ფილოსოფიასთან ჰქონოდა საქმე. — პირველადობაზე რა აზრისა ხართ?

— რა პირველადობაზე მეკითხებით? — ვერ გაიგო კანდიდატმა და დაკვირვებით მიაჩერდა გლებს.

— სულისა და მატერიის პირველადობაზე გეკითხებით, — ესროლა ხელთათმანი გლებმა.

კანდიდატმა ის ხელთათმანი აიტაცა.

— როგორც ყოველთვის, — ღიმილით თქვა მან. — მატერია პირველადია...

— სული?

— სული მეორადია. რაო, ასე არაა?

— ეს შედის მინიმუმში? უეჭველად, მაგრამ ჩვენ აქ შორსა ვართ საზოგადოებრივი ცენტრებიდან. კი გვინდა ვიმასლაათოთ ამ საკითხებზე, მაგრამ

იხტუნე, რამდენიც გინდა — ვის გინდა ელაპარაკო? როგორ საზღვრავს ახლა ფილოსოფია უწონადობის ცნებას?

— როგორც ყოველთვის საზღვრავდა. ახლა, რატომ ბრძანეთ?

— მაგრამ ეს მოვლენა ხომ დიდი ხანი არაა, რაც აღმოაჩინეს, ამიტომ გკითხეთ ასე. ნატურფილოსოფია, დავუშვათ, ამნაირად საზღვრავს, სტრატეგიული ფილოსოფია კი — სულ სხვანაირად...

— მაგრამ სტრატეგიული ფილოსოფია რომ არ არსებობს! — გაეცინა კანდიდატს.

— დავუშვათ, რომ ასეა, მაგრამ არსებობს ბუნების დიალექტიკა, — გლებს გასუსულნი უსმენდნენ, — ბუნებას კი ფილოსოფია განსაზღვრავს. ბუნების ერთ-ერთ ელემენტად ამ ცოტა ხნის წინათ უწონადობა აღიარეს. ამიტომ გეკითხებით: ფილოსოფოსთა შორის დაბნეულობა ხომ არ შეინიშნება?

კანდიდატმა გადაიხარხარა. მაგრამ სხვას არავის გაეცინია... კანდიდატი შეიშმუშნა, ცოლს გასძახა:

— ვალია, მოდი, ჩვენ აქ... რაღაც უცნაური საუბარი გვაქვს!..

ვალია სუფრას მოადგა. კონსტანტინე ჟურავლიოვმა თავი უხერხულად იგრძნო, რადგან გლეხები მიჩერებოდნენ და ელოდნენ, რა პასუხს გასცემდა გლებს.

— მოდით, დავადგინოთ, — დინჯად თქვა კანდიდატმა, — რაზე ვსაუბრობთ, რაა ჩვენი საუბრის თემა?

— კეთილი. მეორე კითხვა — როგორია პირადად თქვენი დამოკიდებულება შამანიზმზე ჩრდილოეთის ცალკეულ რაიონებში?

კანდიდატებმა გაიცინეს. გლები მოთმინებით ელოდა, სიცილით როდის მოიჯერებდნენ კანდიდატები გულს.

— ცხადია, შეგვიძლია ისეთი სახე მივიღოთ, თითქოს ასეთი პრობლემა არცა დგას. მეც სიამოვნებით გავიცინებდი თქვენთან ერთად... — გლებმა ირონიულად გაიღიმა. — მაგრამ პრობლემა ამის წყალობით არ გადაიჭრება, ხომ მართალია?

— თქვენ ყველაფერ ამას მართლა ამბობთ? — გაიკვირვა ვალიამ.

— თქვენის ნებართვით, — გლები წამოდგა და დარბაისლურად, მდაბლად დახარა თავი, — საკითხი, რასაკვირველია, გლობალური არაა, მაგრამ ჩვენი თვალსაზრისით საინტერესო იქნებოდა იმის გაგება...

— მაინც რომელ საკითხზეა საუბარი?! — მოუთმენლად წამოიძახა კანდიდატმა.

— შამანიზმთან შენი დამოკიდებულება აინტერესებს, — უნებლიეთ გაეცინა ვალიას, მაგრამ თავი შეიკავა და გლებს მოუბოდიშა.

— არა უშავს, — მიუგო გლებმა, — მე მესმის, რომ შეიძლება ეს პრობლემა თქვენი სპეციალობიდან შორს იდგეს.

— არ არსებობს, ბატონო, ასეთი პრობლემა! — თქვა და გაათავა კანდიდატმა.

ახლა გლებმა გაიცინა და საუბარი შეაჯამა:

— თუ ასე გჯერათ, მაშინ კამათი, ცხადია, არ ღირს. თვალი თუ დავხუჭეთ, ირგვლივ დაბნელდება და ვერაფერს დავინახავთ. ასეა. — გლებმა ხელით რაღაც გაუგებარი მონიშნა, — ეჟვანი ჟღრიალებს, ჟღრიალებს. ხომ ასე? მაგრამ თუ მოვისურვეთ... — გლებმა გაიმეორა: — თუ მო-ვი-სუ-რვეთ, თითქოს იყო და

არა იყო რა. იმიტომ, რომ თუკი... კარგი, პო! კიდევ ერთი კითხვა: როგორია თქვენი დამოკიდებულება იმ აზრისადმი, რომ მთვარე გონების ნაყოფია? მეცნიერებმა ხომ გამოთქვეს აზრი, რომ მთვარე მდებარეობს ხელოვნურ ორბიტაზე. მათი აზრით შესაძლებელია, რომ იქ გონიერი არსებები ცხოვრობდნენ...

კანდიდატი დაძაბულად მისჩერებოდა გლეხს, უნდოდა გაეგო, რასთან ჰქონდა საქმე.

— სადღაა ბუნებრივ ტრაექტორიათა თქვენეული გაანგარიშებანი? და საერთოდ, მთელი კოსმიური მეცნიერება რას შეიძლება მივუსადაგოთ?

გლეხები დიდი გულისყურით უსმენდნენ გლეხს.

— თუ დავუშვებთ იმ აზრს, რომ კაცობრიობა უფრო ხშირ-ხშირად აკითხავს ჩვენს, ასე ვთქვათ, კოსმიურ მეზობელს, შეიძლება ისიც დავუშვათ, რომ ერთ მშვენიერ დღეს გონიერი არსებები ვერ მოითმენენ და ჩვენს შესახვედრად გამოვლენ. მზად ვართ კი ჩვენ ურთიერთგაგებისთვის?

— ამას ვის ეკითხებით?

— თქვენ გეკითხებით, მოაზროვნეებს...

— თქვენა, თქვენ თუ ხართ მზად?

— ჩვენ მოაზროვნეები არა ვართ, ჩვენ სხვა ხელფასი გვაქვს. თუ თქვენთვის ეს საინტერესოა, შემიძლია ჩვენი, პროვინციელების, აზრი გაგაცნოთ. გაგაცნოთ, თუ რა მიმართულებითაა წარმართული ჩვენი აზრი... დავუშვათ, რომ მთვარის ზედაპირზე ამოძრავდა მოაზროვნე არსება... თქვენი აზრით, რა უნდა ვქნათ ასეთ შემთხვევაში? ძალლებივით ხომ არ დავიწყოთ ყეფა? თუ მამალივით ვიყივლოთ?

გლეხებმა გაიცინეს, ამოძრავდნენ და გულისყური ისევ გლეხს მიაპყრეს.

— მაგრამ ჩვენ მით უფრო გვჭირდება, რომ ერთმანეთს გავუგოთ, ხომ ასეა? როგორ გავუგოთ? — გლეხი ერთხანს დუმდა. — აი, მე რას გთავაზობთ: ქვიშაზე დავხაზავ ჩვენი მზის სისტემის გეგმას და გავაგებინებ, რომ მე დედამიწაზე ვცხოვრობ. შესაძლოა, მე სკაფანდრი მეცვას, მაგრამ თავი მეც მაბია და მეც გონიერი არსება ვარ. ამის დასამტკიცებლად შემიძლია სქემაზე ვაჩვენო მას, თუ საიდანაა: ჯერ მთვარეს ვაჩვენებ, მერე მასზე მივუთითებ და ყველაფერს მიხვდება. ხომ ლოგიკურია? ამგვარად ჩვენ გავარკვევთ, რომ მეზობლები ვართ. მაგრამ ეგ არის და ეგ, მეტი არაფერი! შემდეგ იმის ახსნაა საჭირო, თუ რა კანონების საფუძველზე განვვითარდი მე, რა გზა გამოვიარე, ვიდრე გავხდებოდი ისეთი, როგორიცა ვარ ამ მოცემულ ეტაპზე...

— გასაგებია, გასაგებია... — კანდიდატმა მრავალმნიშვნელოვნად გადახედა ცოლს.

არა, არ უნდა გადაეხედა, იმიტომ, რომ ჩაავლეს; ჩაავლეს და გლეხმა ცაში შეინავარდა... ამ სოფლის სახელოვან ხალხთან საუბარში ყოველთვის დგებოდა ასეთი წუთი, როცა გლეხს ალმაფრენა ეუფლებოდა. იგი ალბათ ყოველთვის ელოდა ასეთ წუთს. და ამ წუთს სიხარულით ხვდებოდა.

— ერთად გინდათ დამცინოთ, ხომ? — ჰკითხა გლეხმა, ჰკითხა გარეგნულად მშვიდად, მაგრამ შიგნით ყველაფერი უდუღდა. — კარგი საქმეა... ოღონდ იქნებ ჯერ გაზეთების კითხვა მაინც გვესწავლა? რას იტყვით თქვენა? ამბობენ, ეს არც კანდიდატებს აწყენსო...

— მომისმინეთ...

— დიახ. ჩვენ უკვე მოგისმინეთ! როგორც იტყვიან, გვქონდა სიამოვნება.

ამიტომ ნება გვიბოძეთ მოგახსენოთ, ამხანაგო კანდიდატო, რომ კანდიდატობა კოსტუმი არაა, რომელსაც ერთხელ და სამუდამოდ იყიდი და ჩაიცვამ. კოსტუმსაც ჭირდება ზოგჯერ გაწმენდა. კანდიდატობა კი, როგორც უკვე შევთანხმდით, კოსტუმი არაა, ამიტომ მით უფრო საჭიროა... მისი მოფრთხილება,— გლები ხმადაბლა, დამრიგებლური კილოთი და სულმოუთქმელად ლაპარაკობდა — ენად გაიკრიფა. კანდიდატი საცოდავი შესახედი იყო: იგი აშკარად დაიბნა, ხან ცოლს შეხედავდა, ხან გლებს, ხანაც გლეხებს... გლეხები ცდილობდნენ მისთვის თვალი აერიდებინათ. — ცხადია, ჩვენი, აქაურების გაკვირვება ძნელი საქმე არაა: სახლს ტაქსით მოადგები, იქიდან ხუთ ჩემოდანს გადმოიღებ და მორჩა!

მაგრამ თქვენ გავიწყდებათ, რომ ინფორმაციის ნაკადი ახლა ყველგან თანაბარწილად ვრცელდება. მე იმის თქმა მინდა, რომ აქ შეიძლება პირიქით გაგაოცოთ ხალხმა. ასეც ხდება. აქ, მინდა გითხრათ, რომ კანდიდატებიც უნახავთ, პროფესორებიც და პოლკოვნიკებიც, მათ სიამოვნებით იგონებენ ხოლმე, რადგან ისინი, როგორც წესი, ძალზე უბრალო ხალხია. ასე რომ აი, რა მინდა გირჩიოთ, ამხანაგო კანდიდატო: ხშირ-ხშირად დაეშვით ხოლმე მიწაზე. ღმერთმანი, ამ თხოვნას თავისი გონივრული საწყისი აქვს და არც ისე სარისკო საქმე გახლავთ: თუ დაეცემი, არც ისე ძალიან გეტკინება.

— შეურეკაო, რომ იტყვიან, სწორედ ესაა...— თქვა კანდიდატმა.— შენ რა, დაბმული იყავი და აიწყვიტე? რაშია საქმე, თუ კაცი ხარ...

— არ ვიცი, არ ვიცი,— სიტყვა ჩამოართვა გლებმა,— არ ვიცი, რა ჰქვია ამას — მე ბანაკში არ ვმჯდარვარ. თავი გინდათ ჩვენ კაცად მოგვაჩვენოთ? ესენი,— გლებმა გლეხებს მოავლო თვალი,— ვერ გაიგებენ,— არა მჯდარან. აი თქვენმა ცოლმა კი გაოცებული თვალებით შემოგხედათ... აქ კიდევ თქვენი გოგონა გაიგონებს ყველაფერს. გაიგონებს და აიწყვეტს იმ შენს მოსკოვში. ასე რომ, ეგ ჟარგონი — დაბმული იყავი და აიწყვიტეო, შეიძლება ცუდად დამთავრდეს, ამხანაგო კანდიდატო. მერწმუნეთ, ყველა ხერხი არ გამოდგება. როცა საკანდიდატო მინიმუმს აბარებდით, პროფესორებს ასე ვერ ეტყოდით, ხომ კი? — გლები წამოდგა.— „საბანს თქვენკენ არ ექაჩებოდით“... სუფთად მუშაობდით... ეგრეა. იმიტომ, რომ პროფესორების პატივისცემა საჭიროა — თქვენი ბედი მათზე ჰკიდია. ჩვენზე რა ჰკიდია, შეგვიძლიათ ჩვენ კოჭი არ გვიგოროთ. ხომ ასეა? ცდებით, ცდებით... ჩვენც ცოტა... რაღაც გვიყრია თავში, მაშ! გაზეთებსაც ვკითხულობთ და ისეც ხდება, რომ წიგნებშიც ვიხედებით... ტელევიზორსაც კი ვუყურებთ ხოლმე, შენ რა გგონია... და, წარმოიდგინეთ, მაინცდამაინც არ გვაგიჟებს ის თქვენი მხიარულთა და საზრიანთა კლუბი, როგორ ეძახით? — კა-ვე-ენი! არც „ცამეტი სკამის“ სამიკიტნოზე ვირევით. გვკითხავთ, რატომო. იმიტომ, რომ ეს ხომ თვითშემოქმედებაა. მაგრამ ხუთი ჩაპლინის ოდენა სიამაყე კი აქვთ. მეტი მოკრძალებაა საჭირო.

— ტიპიური დემაგოგი-შარისთავია! — აღშფოთებით უთხრა კანდიდატმა ცოლს,— მთელი ეს სიტყვების ზედახორა, მთელი ეს ხრიკები და ფანდები.

— თქვენ ცდებით, მთელ ჩემს სიცოცხლეში არც ერთი ანონიმური წერილი არ დამიწერია და არც ცილი დამიწამებია ვინმესთვის,— გლებმა გლეხებს გადახედა: იმათ იცოდნენ, რომ გლები მართალს ამბობდა.— მისამართი

შეგემშალათ, ამხანაგო კანდიდატო. გინდათ აგიხსნათ, ჩემი საიდუმლოება რაშიცაა?

— ამიხსენით...

— მიყვარს კაცისთვის ცხვირზე წკიპურტის წაკვრა. ცხვირის აბზეკა არ ვარგა! მეტი მოკრძალება, მეტი თავმდაბლობა გმართებთ, ძვირფასო ამხანაგებო!

— მაინც რაში შეგვატყვეთ ქედმაღლობა, — ამდენი ვერ მოითმინა ვალიამ, — რაში გამოიხატა ეს, ერთი ვიცოდე...

— აი, როცა მარტონი დარჩებით, მაშინ დაუფიქრდით კარგად, დაუფიქრდით და მიხვდებით. შეგიძლია, ვთქვათ, ასჯერ წამოიძახო „თაფლი", მაგრამ ამით პირი არ ჩაგიტკბარუნდება. ამის გასაგებად საკანდიდატო მინიმუმის დაცვა არაა საჭირო... ხომ ასეა? შეიძლება სტატიებში ასჯერ და ათასჯერ ახსენო „ხალხი", მაგრამ ამით ცოდნა არ შეგემატება და იმ ხალხთან უფრო ახლოს ვერ მიხვალ. ასე რომ, როცა იმ ხალხში გადიხართ, ცოტა სხვაგვარად განეწყვეთ, სხვაგვარად მოიმართეთ... იყავით უფრო შეძხადებული, ასე ვთქვათ, თორემ შეიძლება სულელები გამოჩნდეთ. აბა, ნახვამდის... გისურვებთ შვებულება ტკბილად გაგეტარებინოთ... ხალხში. — გლებმა გამარჯვებული კაცის სიცილით გაიცინა და ქოხიდან გავიდა. იგი ყოველთვის ასე გადიოდა.

მას არ გაუგონია, რას ლაპარაკობდნენ ერთმანეთში ალითის ქოხიდან გამოსული გლეხები:

— რა წამოიკიდა!.. ჰოი, რა ჩაცვება იცის იმ ეირისთავმა. ყველა, ყველა, და იმ მთვარის ამბავი მაინც საიდან იცის?

— ჩასჭრა.

— ჩასჭრა, მაშ... ნეტა საიდან იცის ამდენი!

გლეხები გაოგნებით აკანტურებდნენ თავს.

— მაგარია ეგ მამაძაღლი. ბეჭზე დააწვინა ის თქვენი კონსტანტინე ივანიჩი... სულ თავის დუდუკზე ათამაშა! იმან კიდევ, ვალიამ, ხმაც ვერ ამოიღო. ვერაფერს იტყვი, ჩემო ძმაო, ვერაფერს! კოსტიას კი შეეძლო, რასაკვირველია, შედავება, მაგრამ... ერთს იტყოდა და ხუთს მიიღებდა ხურდად...

გლეხების საუბარში ერთგვარი თანაგრძნობაც კი ისმოდა კოსტიასადმი. გლებმა ისინი ახლაც უწინდებურად გააოცა. გაოცება ცოტაა, აღტაცებას ვერ მალავდნენ. თუმცა უყვარდათო, ვერ ვიტყვი. არა, არ უყვარდათ. გლები სასტიკი, დაუნდობელი იყო, სისასტიკე კი ჯერ არსად არავის არასდროს ჰყვარებია.

ხვალ გლებ კაპუსტინი სამუშაოზე მივა და ისე, სხვათა შორის, იჭედნური ღიმილით ჰკითხავს ხალხს:

— როგორ გრძნობს თავს ნეტა ის კანდიდატი?

— ჩაგიჭრია და ეგაა, — ეტყვიან გლებს.

— ეგ არაფერი, — სულგრძელად იტყვის გლები, — წაადგება. მოცლილობის ჟამს დაფიქრდება ცოტა, თორემ ნამეტანი აუვარდა იმ ხალხს თავში.

□

# კენძაბურო ოე

## მოხუცებულთა პატივისცემის კვირეული

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოთხრობა

თარგმნა იზოლდა ლეჟავამ

●

დიდი ოთახი, სადაც მომვლელმა ქალმა ფულის საშოვნელად მოსული სტუდენტები შეიყვანა, ფარდულივით ბნელი იყო, გარე სამყაროსაგან მძიმე ფარდები ყოფდა და შიგ შუქი და ხმაური ვერ აღწევდა. ავეჯი ისე დაეწყოთ, გასაყიდად გამზადებული ძველი ნივთების საწყობი გეგონებოდათ.

სტუდენტებმა შუადღის მზით გაჩახჩახებული გაზონი რომ გაიარეს და ოთახში შევიდნენ, თავდაპირველად ვერაფერი დაინახეს: ხან რას წამოედებოდნენ, ხან რას. ძლივს მიაღწიეს შეთავაზებულ სკამებამდე და შვებით ამოისუნთქეს... ჯერ ცოტა დაფრთხნენ და გაქცევა დააპირეს: მოეჩვენათ, თითქოს ტყეში მოხვდნენ, სადაც ხეების ნაცვლად ძველი გამოუსადეგარი ავეჯი იდგა. მომვლელი ქალი ღამის ნადირივით სწრაფად და შეუცდომლად იგნებდა გზას ამ ბნელ ოთახში, მათ წინ შეჩერდა და ტორშერის ფოჩი ჩამოსწია. მკრთალ, ყვითელ შუქზე სამი დაძაბული-პირისახე გამოჩნდა. სტუდენტები დაბალი საწოლის წინ ჩამწკრივებულ სკამებზე ისხდნენ. საწოლზე ღია მწვანე ხავერდის მიჩიგდანი ჩამოეფარებინათ. მოულოდნელად საწოლის კუთხიდან ბერიკაცმა წამოსწია თავი და სინდიოფალასავით ყურადღებითა და გაფაციცებით დააცქერდა სტუდენტებს. ჩვეულებრივი მოხუცი იყო, მხოლოდ გამოხედვა ჰქონდა ქორული, გამჭრიახი.

— ესენი სტუდენტები არიან, ერთი კვირა ივლიან ჩვენთან და მოგიყვებიან, რა ხდება ქვეყნად. მაგრამ არ უნდა გადაიღალოთ, პირობა მომეცით, დღეში მხოლოდ ნახევარ საათს ისაუბრებთ, — შეფუვალ კილოზე უთხრა მომვლელმა ქალმა მოხუცს.

— დიდი მადლობელი ვარ, რომ მოხვედით. კარგა ხანია ამ ოთხ კედელში ამომქოლეს. სიკვდილამდე დიდი დრო აღარ დამრჩენია და სანამ კარს

მომიკავშირებდეს, მინდა გავიგო, რა ხდება ქვეყანაზე. ათი წელია გაზეთი არ წამიკითხავს და რადიოსთვის არ მომისმენია. ნეტავ ახლა როგორი გაზეთები გამოდის და რას გადმოსცემს რადიო? — მოხუცი ხროტინით ლაპარაკობდა, თან წამდაუწუმ ახველებდა.

— ტელევიზორსაც არ ვრთავთ, — დაუმატა მომვლელმა ქალმა.

— უფრო მეტიც, რაც აქ ჩამკეტეს, თქვენ გარე სამყაროდან მოსული პირველი სტუმრები ხართ, ამიტომ ვიმედოვნებ გულისხმიერად მომექცევით. წინასწარ ვტკბები იმ სიამოვნებით, თქვენი მოყოლილი ამბები რომ მომანიჭებს.

— ეს ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტია, ეს — ბიოლოგიის, ეს პედაგოგიური განყოფილებისა. დღეს, უმჯობესია, ერთმანეთის გაცნობით დავკმაყოფილდეთ, ძალზე აღელვებული ხართ, — უთხრა მომვლელმა ქალმა. ისიც არ იყო ახალგაზრდა, ორმოცდაათს იქნებოდა გადაცილებული. ლოყები ნაიარევივით ღრმა ნაოჭებით დაღაროდა და ბრაზიან, თითქმის მრისხანე იერს აძლევდა.

— კეთილი, თანახმა ვარ. ჩემი არ იყოს, ამ ქალმაც არაფერი იცის, რა ხდება ქვეყანად. რაც არ უნდა ჰკითხო, გარკვევით ვერაფერს გეტყვის, — მოხუცმა ჩაიცინა. მისი სიცილი სტვენასავით გაისმა, თითქოს ჰაერი შეისუნთქაო.

— წამობრძანდით, — გააცილა სტუდენტები მომვლელმა ქალმა და გამორთველის ფოჩს მისწვდა. სიბნელიდან მოხუცის ხრინწიანი ხმა მოისმა:

— ერთი წუთით მოითმინეთ. ვიდრე წახვიდოდეთ, მხოლოდ ის მითხარით, ყველაფერი რიგზე თუა ამქვეყნად? შემიძლია მშვიდად მოვკვდე?

— ყველაფერი კარგად არის, შესანიშნავად, — უმალვე უპასუხა ფილოლოგმა და შეეცადა მღელვარება დაეფარა.

სტუდენტები ოთახიდან გავიდნენ და მარტო დატოვეს ყველასგან დავიწყებული მოხუცი. ზაფხულის ჩახჩახა, თვალისმომჭრელ მზის გულზე მიდიოდნენ, ლოყებზე ცეცხლი ეკიდათ, თვალები კაშკაშა შუქისაგან მონღოლებივით დავიწროვებოდათ. სამივემ შვებით ამოისუნთქა. არც ერთს არ უნდოდა ეზოს სიღრმეში ფლიგელისაკენ მიეხედა. ისინი გაზონს მიჰყვებოდნენ და ნაბიჯს ისე უჩქარებდნენ, თითქოს იმ მარტოობის ციხიდან, სადაც ოთხმოცდაათი წლის მოხუცი იყო გამომწყვდეული, სიკვდილის სული დასდევნებიათო.

მომვლელ ქალს მზისთაყვანისმცემელივით დაეშვირა ხელები — ან იქნებ მზის სხივებს იჩრდილავდა ამგვარად - და სტუდენტებს გვერდით მიჰყვებოდა. მაგრამ როცა მათ კარგა მანძილით გაუსწრეს, მარდად დაედევნა:

— ხომ გითხარით, მოხუცს უთხარით, სამყარო ახლა ბედნიერებითაა აღსავსე და ნეტარებაში ცურავს-თქო. როცა ერთმა თქვა, ყველაფერი კარგად, შესანიშნავად არისო, დანარჩენ ორს კვერი უნდა დაგეკრათ და ასე უფრო დამაჯერებელი იქნებოდა.

ბიოლოგმა და გოგონამ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნიეს. მართალი იყო ეს ქალი, სიტყვა ვერ მიაშველეს ფილოლოგს. ისინი ხომ სწორედ იმიტომ დაიქირავეს, რომ მომაკვდავი მოხუცისთვის რეალური სამყაროს ბრწყინვალე,

საოცნებო სურათი დაეხატათ. სტუდენტები ჭიშკართან გამოეშვიდობნენ მომვლელ ქალს. ასე დამთავრდა მათი პირველი შრომითი დღე.

ეზოდან რომ გავიდნენ, მეტროს სადგურისაკენ გასწიეს. სახეზე ოფლი ჩამოსდიოდათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩემს ცხოვრებაში არ მქონია ასე იოლი სამუშაო, — ნაღვლიანად ჩაილაპარაკა ბიოლოგმა.

— ოთხმოცდაათი წელი... მეგონა, უფრო დაჩაჩანაკებული და გამოთაყვანებული იქნებოდა. ის კი მშვენივრად აზროვნებს, არა?

— ოჰ, არა, ძალიან დაჩაჩანაკებულია. მომვლელმა ქალმა თქვა, ზაფხულის ბოლომდე ვერ გაატანსო, — უპასუხა გოგონამ.

— იცი რა. მოხუცმა რომ გვკითხა, ქვეყნად ყველაფერი კარგად არის თუ არა, და შენ უპასუხე, ყველაფერი კარგად, შესანიშნავად არისო, წინააღმდეგობის სურვილი დამეუფლა, — თქვა ბიოლოგმა, — ამიტომაც გავჩუმდი და კვერი არ დაგიკარი.

— შენ რას უპასუხებდი ჩემს ადგილზე, მომვლელ ქალსაც რომ არ გავეფრთხილებინეთ? — უსაყვედურა ფილოლოგმა. — გულქვა უნდა იყო, სიკვდილის პირას მისულ მოხუცს უამბო ის, რაც ამქვეყნად ხდება! თუ კვდება, გულმშვიდად მაინც მოკვდეს.

— ქვეყნად არ მოიძებნება ადამიანი, ამ კითხვაზე უპასუხოს. მხოლოდ ღმერთს შეუძლია გარკვევით თქვას, რა მდგომარეობაა დღევანდელ სამყაროში. ჩვეულებრივი მოკვდავი ამას ვერ შესძლებს.

— მართალი ხარ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, მომვლელ ქალს ავყვეთ და ყოველგვარი სისულელე ვირატრატოთ. მართალია, მომაკვდავ ბერიკაცს წარმოდგენა არა აქვს, რა ხდებოდა ამ ათი წლის განმავლობაში მისი ოთახის კედლების მიღმა, მაგრამ მაინც არ შემიძლია თავხედურად ვიცრუო. ამიტომ გადავწყვიტე, მოხუცს უტოპიური მომავლის სურათი დავუხატო, ისეთი, როგორიც წარმომიდგენია იგი ოცი წლის შემდეგ, და ისე ვუამბო, თითქოს დღევანდელ სამყაროზეა ლაპარაკი. ამისათვის კი სულ პატარა რამ არის საჭირო: აწმყო დროში ჩავსვა ზმნა და მეტი არაფერი. ბოლოს და ბოლოს თუ იმასაც წარმოიდგენ, რომ მოხსენებას აკეთებ ოცი წლით ადრე, მაშინ ეს სიცრუე სულაც აღარ იქნება სიცრუე, ხომ მართალია? — თქვა ფილოლოგმა.

— ესე იგი, შენ გგონია, ოთხმოციანი წლების სამყაროში ყველაფერი შესანიშნავად იქნება, არა? მეც მინდა ასე იყოს, — სკეპტიკურად შენიშნა ბიოლოგმა. იგი უკმაყოფილო იყო, ფილოლოგი მათ მეთაურობას იჩემებდა.

— ერთი სიტყვით, ყოველნაირად უნდა ეცადოთ მხარი ავუბათ, თორემ მოხუცს სულ თავგზა აერევა. აუცილებელია გვახსოვდეს, ჩვენ მას ხვალინდელ დღის უტოპიაზე ვუყვებით, მოხუცი კი ამას აღიქვამს, როგორც დღევანდელ სინამდვილეს.

— კარგი, ვეცდები აგყვე, მაგრამ უნდა გაგაფრთხილო, ასეთ მეტისმეტ მზრუნველობას ზოგჯერ უსიამოვნების მეტი არაფერი მოაქვს.

— ასეა თუ ისე, თქვენი ამოცანაა, დამეხმაროთ. მთელი ღამე ნათელი მომავლის ლამაზ სურათებს დავხატავ, თუმცა ბუნებით პესიმისტი ვარ. ეს მოხუცი, ცოტა არ იყოს, მომწონს კიდევაც.

— მეც ვფიქრობ, მაგრამ თუ შეიძლება ძალზე წარმტაც უტოპიას ნუ მოიფიქრებ. ჩემი მხრივ, ერთი კვირის წყნარი მუშაობის გასამრჯელოდ დაპირებულ ფულს თუ მივიღებ, დიდად მადლობელი დავრჩებით, — გულწრფელად აღიარა პრაქტიკულმა სტუდენტმა გოგონამ.

ეროვნული

გასამრჯელო კი მეტისმეტად დიდი იყო: თითოეულს ათას-ათას იენს შეჰპირდნენ, თუ დაჩაჩანაკებულ მოხუცს მცირე ხნით, დღეში ნახევარ საათს, ემუსაიფებოდნენ. ამიტომ, როცა უნივერსიტეტში განცხადება გამოაკრეს, იმდენი მსურველი აღმოჩნდა, რომ კენჭისყრა მოაწყვეს და მხოლოდ ამ სამს გაუღიმა ბედმა. აი, რატომ იყვნენ შესანიშნავ გუნებაზე და ყველაფერზე სიამოვნებით ეთანხმებოდნენ ერთმანეთს. ვიდრე დაშორდებოდნენ, მეტროს ბაქანზე ტურისტული მგზავრობის მარშრუტი შეადგინეს ზაფხულის არდადეგებისთვის. ისინი ოც-ოცი წლისანი იყვნენ და მათი აზროვნებიდან ერთიანად ამოფრენილიყო სიკვდილის სული, რომელიც თავს დასტრიალებდა ბნელ ოთახში გამომწყვდეულ ოთხმოცდაათი წლის ბერიკაცს.

* *

ორშაბათს მოხუცი დაღლილი ჩანდა, თხელ საბანში ჩაკარგული გაუნძრევლად იწვა გულაღმა. მომვლელმა ქალმა რამდენჯერმე გააფრთხილა სტუდენტები, მოხუცი არ აღელვოთო, და ოთახიდან გავიდა. მოხუცმა სცადა უცხო ადამიანებთან თავი ყოჩაღად დაეჭირა და იკითხა:

— მითხარით ერთი, ბედნიერები თუ არიან ის ბავშვები, ახლა რომ იბადებიან?

— ბედნიერები არიან. თუმცა ზოგჯერ მახინჯები იბადებიან, — უპასუხა სტუდენტმა გოგონამ დაუდევრად.

ბიოლოგმა და ფილოლოგმაც კი ავი თვალით გადახედეს გოგონას, ისიც მიხვდა თავის წინდაუხედაობას და ყურებამდე გაწითლდა.

— დედები რაიმე წამალს ხომ არ სვამენ? — მოხუცი მიუხვდა ქალიშვილს.

— დიახ, ძილის წამალს, — გოგონას ერჩია მიწა გასკდომოდა.

— რად არ უხარიათ ქალებს დაფეხმძიმება? რატომ სვამენ ძილის წამალს? იქნებ ეშინიათ...

ფილოლოგმა სიტყვა სწრაფად შეაწყვეტინა მოხუცს:

— მახინჯი ბავშვებიც ბედნიერად გრძნობენ თავს. საგანგებოდ მათთვის არსებობს შესანიშნავად მოწყობილი კლინიკები. ამას წინათ გაზეთში გამოაქვეყნეს ერთი ხეიბარი ჭაბუკის ფოტოსურათი, იგი სამუშაოზეც მოწყობილა და დაოჯახებულა კიდეც. — კლინიკა მახინჯთათვის მან აშკარად უკანასკნელ წუთს ჩართო თავის უტოპიაში.

— კიბოთი ისევ ბევრი კვდება? — იკითხა მოხუცმა.

— არა, კიბო ახლა თითქმის დაამარცხეს, ტუბერკულიოზისა არ იყოს. — ალტყინებით უპასუხა ფილოლოგმა. — ამის წყალობით უკანასკნელ ათ წელიწადში იაპონელთა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა შესამჩნევად გაიზარდა.

— ესე იგი, გინძა და სხვა ქუჩები მოხუცებითაა სავსე, ხეიბარ მეუღლესაც ცოლისთვის ჩაუკიდია ხელი და ქუჩაში დააბიჯებს; თუმცა, თუ ხეიბრია, ხელს როგორღა ჩაჰკიდებს... მაგრამ მაინც სეირნობს ბედნიერი, არა? შეიძლება ახლა ასეთი რამ ნახო? — მიამიტად იკითხა მოხუცმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტუდენტები შეცბუნებული და ენაჩავარდნილი შეჰყურებდნენ ავადმყოფს. საოცარი ის კი არ იყო, რას წარმოთქვამდა ეს თხელი და უფერული ბაგეები, საოცარი ის იყო, რომ კიდევ შერჩენოდა ამ მიხრწნილ ადამიანს იმის ძალა, ახალგაზრდებისათვის დაეცინა.

— საავტომობილო კატასტროფის საქმე როგორღაა? — ისევ იკითხა მოხუცმა მოზეიმე-მშვიდ ხმაზე.

— თანდათან მცირდება, — მტკიცედ უპასუხა ფილოლოგმა.

— ეტყობა, მანქანების რაოდენობა მაინცდამაინც არ გაზრდილა.

— პირიქით, ძალიან გაიზარდა. თითქმის ყველა მოქალაქე საკუთარი მანქანით დადის. მათ „ავტომობილისტებს" ეძახიან. ავტომობილების რიცხვმა თითო სულ მოსახლეზე უკვე იმ დონეს მიაღწია, ათი წლის წინ რომ იყო ამერიკაში.

— საოცარია, მაშინ რატომ არ იმატა ავტოკატასტროფამ? ეს ავტომობილისტები ხომ საოცარი ხალხია, ლოკოკინებივით მანამ არ გამოძვრებიან თავიანთი მანქანებიდან, ვიდრე ნაფოტებად არ აქცევენ.

— ჩინებული გზები გაიყვანეს. ახლა მთელი იაპონია შესანიშნავი საავტომობილო გზატკეცილებითაა დასერილი, განსაკუთრებით ტოკიო, — გაცხარებით არწმუნებდა მოხუცს საზეავარდისფრებული ფილოლოგი.

— აჰ, აი თურმე რა ყოფილა! ახლა კი გასაგებია, რატომ იკლო საავტომობილო კატასტროფამ! ესე იგი, თქვენ ამბობთ, კიბოთი სიკვდილიანობა შემცირდაო, საავტომობილო კატასტროფით სიკვდილიც შემცირდაო, აბა რა კლავს ხალხს ყველაზე მეტად? თუ იაპონიაში მოსახლეობა არ მატულობს, ეს ალბათ იმის ბრალია, რომ ადამიანები მაინც კვდებიან.

— საერთოდ კი...

— ჰოდა, რა ავადმყოფობით კვდებიან? იქნებ კიბო სხვა საზარელმა ავადმყოფობამ შესცვალა? — არ ეშვებოდა მოხუცი.

სტუდენტები ერთხანს ხმას არ იღებდნენ, არ იცოდნენ, რა ეპასუხათ, ფიქრობდნენ, ოცი წლის შემდეგაც, იაპონელები ისევ ისე მოკვდებოდნენ, როგორც ახლა, მაგრამ ნეტავ მაშინ რაღა იქნება მათი სიკვდილის მიზეზი?

— აჰა, მივხვდი, მივხვდი, — მოხუცმა თითქოს ერთბაშად მიაგნო სწორ პასუხს, ძლივძლივობით მიაბრუნა სტუდენტებისაკენ პატარა თავი და ქორივით თვალები დააკვესა: — ყველაზე გახშირებული ალბათ თვითმკვლელობაა. ყველა თვითმკვლელობით ამთავრებს სიცოცხლეს, ხომ ასეა?

* *

ოთხშაბათს სულ მთლად ძალაგამოლეულმა მოხუცმა უპირველეს ყოვლისა იკითხა, დაქორწინდა თუ არა მისი უმაღლესობა ტახტის მემკვიდრე პრინცი. შეცბუნებულმა სტუდენტებმა ერთმანეთს გადახედეს, ვაითუ ეს

მოხუცი თავგამოდებული მონარქისტიაო. როცა ახლანდელი პრინცი დაქორწინდა, განა ერთი და ორი მოხუცი აღაშფოთა მისმა არჩევანმა! ბევრნი სულ დაიბნენ, ბოლოს ქალიშვილმა გაბედა ხმის ამოღება:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დიახ. დაქორწინდა. უკვე ბავშვიც ჰყავთ.

— ცოლიც პრინცესაა? — იკითხა მოხუცმა.

ფილოლოგი და ბიოლოგი ხაფანგში გაბმულ ქალიშვილს ისე შეჰყურებდნენ, თითქოს ანიშნებდნენ, ჩვენ ხელი დაგვიბანიაო. ამან გოგონა ცოტა არ იყოს შეაკრთო, მაგრამ შემდეგ, თითქოს გადაწყვიტა, მოხუცს თავზარს დავცემო, გულახდილად თქვა:

— არა, მან სრულიად ჩვეულებრივი ქალიშვილი ითხოვა, საიმპერატორო გვართან არაფერი აქვს საერთო.

სტუდენტები დაძაბული შესცქეროდნენ მოხუცს, მაგრამ მას წარბიც არ შეუხრია.

— ძალიან კარგი! წინათაც ხდებოდა ასე. გახსოვთ, „მანიოსუში" არის ასეთი სიმღერა:

შენი სახელი მითხარი, რომ შენი სახლი გავიგო,
ბავშვო, ბალახს რომ აგროვებ ხასხასა გორის კორტოხზე,
ხელში კალათი გიჭირავს და მშვენიერი ნიჩაბი [1].

სტუდენტებმა შვებით ამოისუნთქეს, ყველაფერმა კარგად ჩაიარაო, მაგრამ მოხუცმა კვლავ შეუტია:

— იაპონელები ისევ საიმპერატორო სახლს უკმევენ გუნდრუკს?

— ეტყობა, ისევ, — უპასუხა გოგონამ.

— ერთი სიტყვით, ხელისუფლება ისევ კონსერვატული პარტიის ხელშია, არა?

ვიდრე უპასუხებდა, ქალიშვილმა ფილოლოგს გადახედა. მომავალი სამყაროს წარმომადგენელმა უგუნებოდ დაუქნია თავი, ნაცვლად იმისა, რომ ეთქვა: „დიახ, სავსებით მართალია, ოცი წლის შემდეგაც ხელისუფლება კონსერვატული პარტიის ხელში იქნება". ქალიშვილმა უპასუხა:

— დიახ, ასეა.

— რადგან კარგი გზები გაიყვანეს, გადასახადსაც გაზრდიდნენ. ათეული წლები და შეიძლება მეტი ხანიც ხელისუფლების სათავეში კონსერვატული პარტია იდგა, გაზრდიდნენ თუ არა ისინი გადასახადს, მაშინვე იწყებოდა ხალხის მღელვარება. ახლა როგორ არის, ხალხი ღელავს?

— არა, არ ღელავს, — ჩაერია ფილოლოგი.

— ესე იგი, იაპონიაში ხელისუფლების უკმაყოფილო არავინ არის?

— ბევრი უკმაყოფილო რომ იყოს, კონსერვატული პარტია არჩევნებზე დამარცხდებოდა.

— ნამდვილად ასე ფიქრობთ? — ჰკითხა მოხუცმა და ფილოლოგი გაწითლდა.

საბედნიეროდ, მოხუცი აღარ აპირებდა ამ თემაზე საუბრის გაგრძელებას.

---

[1] სიმღერა იმპერატორმა იურიაკუსმა მიუძღვნა უბრალო გლეხის გოგოს.

— კეთილი, ესე იგი, თქვენ ამტკიცებთ, ახლა კარგი კონიუნქტურაა. ნუთუ ამ ათი წლის განმავლობაში არსად, არც კორეაში და არც ტაივანზე არ ყოფილა ომი, რაზეც იაპონელები ხელს მოითბობდნენ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა, ომი არ ყოფილა, ეტყობა, არც არასოდეს იქნება, — უპასუხა ფილოლოგმა. — ალბათ იკითხავთ, რატომ აღარ იქნება ომიო. ომი რომ დაიწყოს, იგი უსათუოდ ატომური იქნება. აი, რატომ არის ახლა ომი უაზრობა. — ფილოლოგს თვალები უბრწყინავდა, საკუთარმა განმარტებამ აღაფრთოვანა.

— აი, თურმე რა ყოფილა! ესე იგი, იმის იმედი არ უნდა მქონდეს, რომ სხვებთან ერთად მოვკვდები ატომურ ომში. ეტყობა, განწირული ვარ, სიბერით ამომძვრეს აქ სული, — ცოტა არ იყოს სინანულით თქვა მოხუცმა.

— ატომური ომი, რომელიც შეიწირავდა დედამიწის მთელ მოსახლეობას, აღარ იქნება. ეს უდავო ფაქტია. შემუშავებულია კნოპების სისტემა, რომელიც ამოქმედებს ატომურ იარაღს. ასე რომ დაზღვეული ვართ ყოველგვარი შემთხვევითობისაგან, რაც ომს გამოიწვევდა, — თქვა ფილოლოგმა.

— ნუთუ დიდი სახელმწიფოები მშვიდობიანად შეთანხმდნენ ყველა საკითხზე?

— რასაკვირველია, არა, მაგრამ იმ სახელმწიფოებს შორის, რომლებსაც ატომური იარაღი აქვთ, შიში აწონასწორებს ყველაფერს.

— მაშასადამე, ერთიც გარინდებულია და მეორეც, ხომ?! კეთილი, ვთქვათ, ატომური სახელმწიფოები ჩაეფლნენ შიშის წონასწორობის ჭაობში, განა არ წარმოებს ლოკალური ომები, თუ შეიძლება ასე ვუწოდოთ — შემცვლელი ომები?

— დიახ, ასეთი ომები წამოიწყეს ვიეტნამსა და ლაოსში, მაგრამ ეს მოხდა შორეულ წარსულში. — ფილოლოგი საკუთარი უტოპიის სამყაროში იყო ჩაფლული და ახლა უფრო ღრმად ჩაყვინთა. იგი ცდილობდა მოხუცის სულისთვის სიმშვიდე და უშფოთველობა მოეფინა და ამისათვის საუკეთესო სურვილებით იყო აღსავსე...

— იქაც დამყარდა შიშის წონასწორობა? ეტყობა, ვიეტნამმაც შესძლო ატომური იარაღის დამზადება. ერთი სიტყვით, მსოფლიო საოცარი სისწრაფით მიდის წინ. მაგრამ ხომ არ დაწყებულა ამ ომების ნაცვლად შემცვლელი ომები ტომებს შორის? მართალია, ამ ომების დამანგრეველი ძალა საკმაოდ უმნიშვნელო იქნება, მაგრამ...

— არა, არ დაწყებულა, — ფილოლოგი ცდილობდა თავი დაეღწია გაჭირვებული მდგომარეობიდან. — ტომებს შორის მშვიდობაა...

— იქაც შიშის წონასწორობაა? ნუთუ ლაოსში ტომის ბელადებსაც აქვთ პატარ-პატარა ატომური ბომბები? მაშინ შემცვლელი ომების დროს ალბათ, ცალკეული ადამიანები ებრძვიან ერთმანეთს. ადამიანები შიშის წონასწორობის ქიდლებში სიცარიელესა და სიმარტოვეს არ გრძნობენ? — იკითხა შეძრწუნებულმა მოხუცმა.

— ასეა თუ ისე, ომი მთელ დედამიწაზე მოსპეს, — განაცხადა ფილოლოგმა დიდის ამბით, თუმცა ხმა უკანკალებდა.

— ერთი სიტყვით, დედამიწაზე სამოთხე ყოფილა. მაგრამ თუ ახლა მხო-

ლოდ ცალკეული პიროვნებები ომობენ, მაშინ ახლობლისადმი სიყვარული და კაცთმოყვარეობა აღარ უნდა არსებობდეს.

— დროთა განმავლობაში ეს თვისება ისევ გაჩნდება.

— როგორ გაჩნდება, თუ არ დაანგრევ შიშის წინასწორობის [illegible] ციხე-სიმაგრეს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— როდესმე უსათუოდ დაინგრევა.

— როდესმე? როდის?

ფილოლოგმა ნირწამხდარმა დახარა თავი. მის ტვინში ჩამოყალიბებული უტოპია ომის საწამლავით გაიჟღინთა და აყროლდა.

— როდესმე უსათუოდ დაინგრევა, — პატარა ნადირივით გასხლტა უზარმაზარ ოთახში მოხუცის ხრინწიანი, მაგრამ დამცინავი ხმა, — ეს მაშინ მოხდება, როცა მარსელები დედამიწაზე ჩამოვლენ, ადამიანები ერთმანეთში მორიგდებიან, დამეგობრდებიან, ტომები დაუახლოვდებიან და მთელი ქვეყანა მიხვდება, რა უაზროა შუღლი. როცა მოსკოვისა და ვაშინგტონის წარმომადგენელთაგან ერთ-ერთს დედამიწის დაცვის არმიის მთავარსარდლობა დაევალება, არავინ მთელ ქვეყანაზე ამის წინააღმდეგი არ იქნება. მაგრამ ეს შესაძლებელი გახდება მხოლოდ მაშინ, თუ დაიწყება ომი მარსელებთან. გამორიცხული არ არის, ჩვენი პლანეტა რამდენიმე საათის განმავლობაში ნაცარტუტად იქცეს, — მოხუცმა ჩაიკუჭკუჭა, სიცილით იგუდებოდა ავადმყოფი ბავშვივით. სტუდენტებმა თავი ჩაქინდრეს, სახე დაეძაბათ. ყველაზე მეტად ფილოლოგი ნერვიულობდა, ფერმკრთალი ლაწვები უცახცახებდა. ამაოდ ცდილობდა თავისივე მოგონილ მომავლის უღიმღამო სურათზე აღარ ელაპარაკა და მოხუცის ყურადღება სხვა რამეზე გადაეტანა. ვინ იცის, იქნებ ეს უღიმღამო სურათი მომავლისა მის მიერ მიწაში ჩაყრილი თესლისაგან მოულოდნელად ამოცენებული შხამიანი ყვავილია? განა თვითონ არ გამოიჩინა გაუგონარი სიმკაცრე და მომაკვდავი მოხუცის თვალწინ ჯოჯოხეთის სარეკლამო გორგოლაჭი არ დააბრუნა?

ფილოლოგის შიში ნელ-ნელა ბიოლოგსა და ქალიშვილსაც გადაედო. მხოლოდ ღია მწვანე მოსივდანჩამოფარებული საწოლის ბინდში მწოლიარე გამოფიტული ბერიკაცი გამოიყურებოდა მკვირცხლად, ცნობისმოყვარეობით იყო აღსავსე და შესანიშნავ გუნებაზე გახლდათ, რაც მის უსაზღვრო მიამიტობაში გამოიხატებოდა.

თუმცა მოხუცის ნახშირივით შავი, ქორისებრი თვალები კმაყოფილებას გამოხატავდა, სტუდენტებს მოეჩვენათ, რომ მის სიღრმეში სასოწარკვეთილების ნაპერწკალმა გაიელვა...

ხუთშაბათსა და პარასკევს, ფილოლოგის თაოსნობით, კვლავ სცადეს გამოესწორებინათ მდგომარეობა, ბრწყინვალე მომავლის სურათი დაეხატათ, მაგრამ რაც უფრო სინდისიერად ასრულებდნენ თავიანთ სამუშაოს, მით უფრო ღრმად იხსნებოდა მოხუცის თვალწინ სასოწარკვეთილების უფსკრული — ამან ახალგაზრდებს ფეხქვეშ ნიადაგი გამოაცალა და დააბნია. ბიოლოგი და ქალიშვილი შეშფოთდნენ, რა სასოწარკვეთილებაში ჩავაგდეთ მოხუციო, და ფილოლოგთან ერთად ყოველნაირად ცდილობდნენ გამოესწორებინათ მდგომარეობა. ძალიანაც უნდოდათ თავიანთ წარმოდგენაში შექმნილი ბუნდოვანი უტოპიები მოხუცისათვის რეალურ ცხოვრებად დაეხატათ, მაგრამ შეკითხვებზე პასუხის გაცემისას მათი სიტყვები ძალას ჰკარგავდა — ერთი სიტყვით,

შედეგი საწინააღმდეგო გამოდიოდა. საწოლს მიჯაჭვულ მოხუცთან ყოველდღე ნახევარსაათიანი საუბარი სტუდენტებს ძალას ცლიდა და თითქმის მთელი დღე დაძაბულნი იყვნენ.

და აი, მათი უკანასკნელი საუბარი შედგა პარასკევს. მოხუცის კითხვაზე, რა იდეურ პოზიციაზე დგას თანამედროვე ახალგაზრდობა, ბიოლოგმა უპასუხა:

— ახალგაზრდობა ისეთივე დარჩა, როგორიც იყო ათი წლის წინათ — არიან მემარცხენეებიც და კონსერვატორებიც. მხოლოდ სისხლისმღვრელი შეტაკებები აღარ ხდება. ერთი სიტყვით, გადავლახეთ იდეური უთანხმოებანი და გულწრფელ მეგობრობას ჩავუყარეთ საფუძველი.

ბიოლოგმა იჩქარა პასუხი გაეცა: ხედავდა, ფილოლოგი დღითი დღე სიტყვაძუნწი ხდებოდა და მისი იმედი აღარ ჰქონდა. მან თავისი პირვანდელი სკეპტიციზმი უკუაგდო და მთელი ძალ-ღონით ცდილობდა სულიერი სიმშვიდის მოპოვებაში დახმარებოდა მოხუცს, რომელიც უკანასკნელ დღეებს ითვლიდა.

— ესე იგი, მსოფლიოს ყველა ქვეყანა შიშის წონასწორობის ბეტონის ლაბირინთშია მოქცეული, იაპონელი ახალგაზრდები, მემარცხენეებიც კი, იძულებული არიან კონსერვატორთა ძალაუფლების ქვეშ იცხოვრონ. ასე არ არის? იქნებ გულწრფელი მეგობრობა აქ არაფერ შუაშია და ახალგაზრდებს უთანხმოების დროსაც აღარ შესწევთ ბრძოლის უნარი? სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იქნებ გადაგვარდნენ?

— გარეგნულად ისინი მართლაც გამოიყურებიან დეგრადირებულად, თითქოს კომპრომისს არჩევენ, მაგრამ ეს მხოლოდ მოჩვენებითია, — სასწრაფოდ შეეცადა ბიოლოგი მოხუცის დარწმუნებას.

— აი, თურმე რა ყოფილა! მაგრამ თქვენ თვითონ არ დაადასტურეთ, ცალკეულ ადამიანებს შორის ჯერ კიდევ არსებობს ომებიო? ადრე თუ გვიან მიმალული სიძულვილი იფეთქებს და სტუდენტებსა და ახალგაზრდა პოლიციელებს შორის სისხლისმღვრელი შეტაკება მოხდება. თქვენ ასეთი წინათგრძნობა არა გაქვთ?

— რასაკვირველია, არა. მომავალი უფრო იმედიანი გვესახება, — საერთოდ ბიოლოგი ცდილობდა, რაც შეიძლება ხმამაღლა ელაპარაკა, რომ მოსაუბრისათვის თვალში ნაცარი შეეყარა, მაგრამ ამჯერად ეს სიტყვები ყოყმანით წარმოთქვა და თავისივე პასუხი უსუსური მოეჩვენა.

— კეთილი. ხვალ უკანასკნელად მოხვალთ ჩემთან და ოცდამეერთე საუკუნეზე ვისაუბრებთ. მე მალე მოვკვდები, თქვენ კი მოესწრებით ოცდამეერთე საუკუნეს. ალბათ არაერთხელ გიფიქრიათ, როგორი იქნება მომავალი საუკუნე. ხვალ მიამბობთ, როგორი წარმოგიდგენიათ ყველაზე წარმტაცი მომავალი. სიამოვნებით მოგისმენთ, უდიდესი სიამოვნებით, — მოხუცმა თვალები დახუჭა.

როცა სტუდენტები ფლიგელიდან გავიდნენ, ფილოლოგმა ამხანაგებს თხოვა, დამიცადეთო, და მთავარი სახლისაკენ გაემართა. იქ ერთხანს ხმადაბლა ელაპარაკებოდა მომვლელ ქალს. ბიოლოგი და ქალიშვილი ცხვირჩამოშვებულნი ელოდნენ, ხმას არ იღებდნენ: რაც თავი ახსოვთ, არც სკოლაში და არც უნივერსიტეტში ასე ძნელი საშინაო დავალება არ ჰქონიათ. ბოლოს ფილო-

ლოფემა მოირბინა, ლოყები აწითლებოდა და თვალები აქეთ-იქით გაურბოდა. ჭიშკრიდან გავიდნენ თუ არა, მოულოდნელად თქვა:

— ხვალ მე აღარ მოვალ! უკვე გადამიხადეს ხუთი დღის გასამრჯელო.

ბიოლოგმა და ქალიშვილმა ღვარძლიანად და დაბნეულად შეხედეს მას.

— ეს ხომ უსინდისობაა! განა თვითონ არ მოიფიქრე, სიამოვნებით მი-გვეჩქმალა? ახლა კი გინდა გაიქცე და ყველაზე უსიამოვნო ხვალინდელი სამუშაო ჩვენ შემოგვატოვო? — გაფითრებული ბიოლოგი აღშფოთებისაგან კანკალებდა.

ფილოლოგიც კანკალებდა, მაგრამ სირცხვილისაგან. ბიოლოგი ძლივს იკავებდა თავს, სილა არ გაეწნა მისთვის.

— ძალიან მეშინია. მეშინია, ველარ მოვითმენ და მომაკვდავ მოხუცს საფიქრალს გავუჩენ. ესეც არ იყოს, ბუნებით პესიმისტი ვარ და ჩვენი მომავალი სულაც არ მესახება ნათელი. აბა, რას წარმოვიდგენდი, რომ ყველაფერი ასე შეტრიალდებოდა! — წუწუნებდა ფილოლოგი და შეშინებული პირფერულად შეჰყურებდა ამხანაგებს.

— იქნებ გამოვუტყდეთ, რასაც დღევანდლამდე ვეუბნებოდით, სიცრუეა-თქო. ავდგეთ და ყველაფერი შეულამაზებლად ვუამბოთ, რაც ნამდვილად ხდება ამქვეყნად! — შესთავაზა სტუდენტმა ქალიშვილმა.

— შეუძლებელია, მოხუცს ელდა მოკლავს. განა მოხუცი იმ კაცს ჰგავს, ჩვენი მონაჩმახი მოისმინოს და მიხვდეს, რა უბედურება ტრიალებს ქვეყანაზე? ნუთუ შენ გგონია, გული არ გაუსკდება, როცა გაიგებს, როგორ გაამართლა სასამართლომ საკუთარი მახინჯი შვილის მკვლელი დედა, რომ საავადმყოფო კიბოიანებითაა გავსებული, რომ ლაოსში მიმდინარეობს ბინძური ომი? — თქვა შეშინებულმა ფილოლოგმა.

— მაგრამ თუ იმას არ უარვყოფთ, რაც ვუამბეთ, მაშინ მოხუცი იფიქრებს, განძის ქუჩებში უსასრულოდ მოედინება ხეიბართა ბრბო, ადამიანებს სძულთ ერთმანეთი და ებრძვიან ერთმანეთს — აი, ამგვარად წარმოუდგება მას დღევანდელი სინამდვილე და სასოწარკვეთილს ნამდვილად მოკლავს ელდა, — უთხრა ქალიშვილმა.

გადათხრილი ქუჩიდან წამოხვეტილი მტერის ღრუბლები შეუბრალებლად შემოეხვია სტუდენტებს. იქვე, მორახრახე ბულდოზერზე შემომჯდარი მუშა სულელური ღიმილით შეჰყურებდა მათ ნაღვლიან სახეებს.

— რა ვუყოთ ახლა ამ მომაკვდავ მოხუცს? — იკითხა ფილოლოგმა. გამხდარ, მტვრიან ლოყებზე ცრემლი სდიოდა და ჭუჭყიან კვალს ტოვებდა, — ნუ გამიბრაზდებით, ხვალ ვერ წამოვალ. უბრალოდ, მეშინია. თუ გინდათ, ჩემი წილი ფული წაიღეთ და ისადილეთ.

— რად გვინდა შენი ფული! — ისტერიულად დაიყვირა ქალიშვილმა და მისი ხელი მოიშორა.

ბიოლოგმა შეხედა ფილოლოგის ვედრებით სავსე თვალებს და თავი გაიქნია, მერე თავისთვის ნაღვლიანად ჩაილაპარაკა:

— საძაგელი ბერიკაცი! ოთხმოცდაათი წლისაა და ისევ აინტერესებს, რა ხდება ქვეყნად! მომკვდარიყო წყნარად თავის ბნელ ოთახში! არ უნდოდა ბედნიერ მოხუცად დაესრულებინა სიცოცხლე? რაც გინდა თქვი და საძაგელი მოხუცია.

* *

ეროვნული

შაბათს მომვლელი ქალი მოხუცის ჩაბნელებულ ოთახში ჩვეულებრივზე ერთი საათით გვიან შევიდა, რადგან ჯერ კიდევ ელოდა სტუდენტებს. დაღლილი და ნაღვლიანი ჩანდა. სადღა იყო ის სიმკვირცხლე, სტუდენტებს რომ შემოუძღვებოდა ხოლმე.

— სტუდენტები არ მოვიდნენ. ფულის უნივერსიტეტში გაგზავნა მოგვიწევს, — უთხრა მან მოხუცს.

მოხუცმა გამხდარი მხრები აიჩეჩა.

— რატომ არ მოვიდნენ? ისევ იმ მიზეზით? — ჩაილაპარაკა გულმოსულმა.

— ბევრს მოითხოვთ სტუდენტებისაგან, გავიწყდებათ მათი ასაკი! — მომვლელმა ქალმა გულმოსულად შეხედა მოხუცს.

მოხუცმა არ უპასუხა, მაიმუნივით სხარტად წამოხტა საწოლიდან და ღიამწვანე მინიგდანი გადასწია. გამოჩნდა თანამედროვე ავეჯით მოწყობილი ოთახი, რომელიც შუადღის მზის სხივებით გაკაშკაშებულ ბაღში გადიოდა. ოთახში იდგა ტელევიზორი, სტერეო კომბაინი, ახალი გაზეთებითა და ყოველკვირეული ჟურნალებით დახვავებული მაგიდა. როგორც ჩანს, მოხუცი ცდილობდა სახლი ყოველგვარი სიახლით აევსო. მან ტელევიზორი ჩართო და, ვიდრე გამოსახულება გამოჩნდებოდა, ის ორიოდე წუთიც რომ არ დაეკარგა, მოხუცთათვის განკუთვნილი ახალი ვარჯიში დაიწყო. მაიმუნივით სწრაფად და ენერგიულად ვარჯიშობდა. კისრის ვარჯიშისას მომვლელ ქალს გასძახა:

— პირდაპირ მაოცებს ჩვენი ახალგაზრდების ღარიბი ფანტაზია. იქნებ უფრო პატარები მოგვეწვია. საერთოდ მაინტერესებს, როგორია თანამედროვე მეოცნებე ახალგაზრდობა, რომელზეც ახლა ამდენს ლაპარაკობენ.

□

# ჟაკ პრევერი

## ლექსები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრანგულიდან თარგმნა სალომე ბაბუნიამ

* *

სუფრა გაშალეთ ბალახზე
იჩქარეთ
დღეს თუ ხვალ
ბალახი გაიშლის სუფრას თქვენს გულებზე.

### ფრანგული კომპოზიცია

გამხდარი იყო სულ ახალგაზრდა ნაპოლეონი
არტილერიის იყო ოფიცერი
მერე აკურთხეს იმპერატორად
ღიპი დაედო და ქვეყანა დაიპყრო ბევრი
იმ დღეს რომ მოკვდა მას ისევ ჰქონდა
ღიპი
თვითონ კი დაპატარავდა.

* *

და ღმერთმა
ადამ და ევას რომ წაასწრო
უთხრა
გააგრძელეთ გააგრძელეთ გეთაყვა
ჩემი გულისთვის არაფერი დაიკლოთ
ჰქენით ისე თითქოს ქვეყნად არც ვიყო.

* *

დრო
მძიმე ცხოვრებას არგუნებს ხვედრად
მას ვისაც მოკვლა სურს მისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პირველი დღე

თეთრი ზეწრები კარადაში აწყვია
წითელი ზეწრები — ლოგინში
დედის სხეულში ბავშვია
დედა განსაცდელშია
მამა მოსაცდელშია
მოსაცდელი სახლშია
ეს სახლი ქალაქშია
ქალაქი წყვდიადშია
კივილს მოჰყვება სიკვდილი
და ბავშვი ქვეყნად მოვლენილი.

## ...და აი

ზღვა მიატოვა ერთმა მეზღვაურმა
მისმა გემმა მიატოვა ნავსადგური
ხოლო მეფემ მიატოვა დედოფალი
ძუნწმა მიატოვა ოქრო
...და აი
ერთმა ქვრივმა მიატოვა გლოვა
მიატოვა ბრბომ თავშესაფარი
შენმა ღიმილმა მიატოვა ჩემი ტუჩები
...და აი
მიმატოვებ
მიმატოვებ
დავბრუნდები
შევუღლდებით
შევუღლდებით
დანა იუღლებს ჭრილობას
ხოლო ცისარტყელა წვიმას
ღიმილი იუღლებს ცრემლებს
ალერსი იუღლებს მუქარას
...და აი
ცეცხლიც იუღლებს ყინულს
სიკვდილიც იუღლებს სიცოცხლეს
როგორც სიცოცხლე იუღლებს სიყვარულს
ჩვენც შევუღლდებით
ჩვენც შევუღლდებით
ჩვენც შევუღლდებით.

□

# შარლ ვან ლერბერგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## წვიმა ჩემი და

წვიმა ჩემი და,
ზაფხულის ლამაზი და თბილი წვიმა,
ნაზად იპარება, მშვიდად მიილევა
სველი პაერის მიღმა.

თეთრი მარგალიტის მძივი
ლურჯ ცაში გახსნილა.
იგალობე, შაშვო,
იცეკვე, კაჭკაჭო!
იმ ტოტებს შორის, მას რომ მოუხრია,
ითრთოლე, ყვავილო, იმღერე, ბუდევ,
რაც ციდან მოდის, კურთხეულია.

ჩემს ტუჩს უახლოვებს
თავის ნამიან მარწყვივით ბაგეს,
იცინის, მეხვება
ყველგან ერთბაშად
ათასობით პატარა თითით.

ყვავილების ჭრელად ფარდაგზე,
განთიადიდან საღამომდე,
და დაისიდან განთიადამდის.

ისევ და ისევ წვიმს,
რამდენიც შეუძლია იწვიმოს, წვიმს.

და მერე მოვა მზე და გაამშრალებს
თავის ოქროს თმით
წვიმის სველ ფეხებს.

□

# გი დე მოპასანი

## მარტოობა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოთხრობა

ფრანგულიდან თარგმნა ბიბი ჯალდულარიძე

•

მარტო მამაკაცებმა ვისადილეთ, ბევრი ვიმხიარულეთ. ნასადილევს ერთმა ჩემმა მეგობარმა ელისეის მინდვრებში გასეირნება შემომთავაზა.

ნელი ნაბიჯით გავუყევით გზას. ხეივანს მივყვებოდით, ხეები ოდნავ შეფოთლილიყო, ირგვლივ სრული სიჩუმე სუფევდა. მხოლოდ შორიდან, პარიზის მხრიდან, გაბმული, გაურკვეველი, ყრუ ხმაური ისმოდა. გრილი სიო სახეზე გველამუნებოდა. ვარსკვლავთა ურიცხვი ლეგიონი ოქროს მტვერივით შეპფენოდა ცის თაღს.

ჩემი მეგობარი ალაპარაკდა:

— არ ვიცი რატომ, მაგრამ აქ უფრო ლაღად ვსუნთქავ, ვიდრე სხვაგან. ზოგჯერ გონება ისე გამინათდება, მგონია, აჰა, ჩავწვდი-მეთქი საგანთა ღვთაებრივ იდუმალებას, მაგრამ სარკმელი ისევ იხურება და ყველაფერი ბნელში ინთქმება.

დროდადრო ხეებს შორის შეყვარებულ ქალ-ვაჟთა ლანდები გამოკრთებოდა. მერხზე ჩამომსხდარი ორი არსება, ჩვენ რომ წინ ჩავუარეთ, ერთ შავ ლაქად მოჩანდა. ჩემმა მეგობარმა წაიჩურჩულა:

— საბრალონი! კი არ მეზიზღებიან, უზომოდ მებრალებიან. ადამიანის ცხოვრების ყველა საიდუმლოებიდან მხოლოდ ერთი რამ ამოვიცან ბოლომდე: ჩვენი უსაზღვრო ტანჯვა ჩვენივე მუდმივი მარტოობიდან მომდინარეობს. ყოველი ჩვენი ცდა, ყოველი საქმიანობა მხოლოდ იქითკენაა მიმართული, რომ მარტოობას გავექცეთ. აი, ეს შეყვარებულნიც, მერხებზე რომ ჩამომსხდარან ღია ცის ქვეშ, ჩვენსავით ცდილობენ ერთი წუთით მაინც გაექცნენ მარტოობას, გაექცნენ ისე, როგორც ყოველი ცოცხალი არსება გაურბის, მაგრამ ბოლოს მაინც მარტონი რჩებიან და მუდამაც მარტონი იქნებიან ჩვენსავით.

— მხოლოდ ესაა, ერთნი უფრო ძლიერ გრძნობენ ამას, მეორენი ნაკლებად.

— ამ რამდენიმე ხნის წინათ შევიგრძენი, ნათელვყავ ჩემი მარტოობა და ახლა ვიცი, რომ არაფერს, გესმის, არაფერს არ შეუძლია მისი განქარვება. ეს ასეა და მაინც ვუძლებ ამ ტანჯვას.

— როგორც არ უნდა ვეცადოთ, რაც არ უნდა მოვიმოქმედოთ, როგორიც არ უნდა იყოს ჩვენი გულის წადილი, ჩვენი ძახილი, რა გზნებითაც არ უნდა ჩავიკრათ სხვა ადამიანი გულში, მაინც მარტონი ვართ.

— ამ საღამოს იმიტომ გთხოვე, გავისეირნოთ-მეთქი, რომ შინ დაბრუნება არ მინდა, ჩემს ბინაში გამეფებული მარტოობა საშინლად მტანჯავს. თუმცა არც ამ ხეტიალს აქვს აზრი. მე გელაპარაკები, შენ მისმენ და ჩვენ მაინც მარტონი ვართ, გესმის?

— „ნეტარ არიან გონებით ღატაკნი“,—წერია სახარებაში. ამათ ჰგონიათ, ბედნიერნი არიან, არ განიცდიან მარტოობას, არ დახეტიალობენ ქვეყანაზე ჩემსავით უცხოდ, უმიზნოდ, დიახ, ჩემსავით ეულად, ვისი ერთადერთი სიხარული იმის ეგოისტური შეგნებაა, რომ ჩავწვდი, დავინახე, აღმოვაჩინე და ახლა უსაზღვროდ ვიტანჯები მარადიული მარტოობის შეგრძნებით.

— შენ ალბათ გიჟი გგონივარ, მაგრამ მისმინე, მას შემდეგ, რაც მარტოობა ვიგრძენი, ასე მგონია, სულ უფრო ღრმად ვიძირები წყვდიადით მოცულ ქვესკნელში, რომლის ვერც დასაწყისს ვხედავ და ვერც დასასრულს, შეიძლება მას არც გააჩნია დასასრული. მე მარტო დავეხეტები ამ უკიდეგანო ქვესკნელში და ჩემს ახლომახლო ვერავის ვხედავ. ჩვენი საცხოვრისი სწორედ ქვესკნელის მაგვარია. ზოგჯერ მესმის გაურკვეველი ხმაური, ყვირილი, ძახილი, ხელის ფათურით მივიწევ იქითკენ, მაგრამ ნამდვილად არასოდეს არ ვიცი, საიდან ისმის გაურკვეველი ხმები. ჯერაც არავინ შემხვედრია ამ ყოვლისმომცველ წყვდიადში, ჯერაც არ დამინახავს ჩემკენ გამოწვდილი ხელი.

— მარტოობის გრძნობა სხვებსაც სტანჯავდა დროდადრო, აკი აღმოხდა მიუსეს: „ვინ მოდის, ვინ მიხმობს? არავინ! საათმა დარეკა, მე კი კვლავ მარტო ვარ, ო, მარტოობავ, ო, უბადრუკობავ“. მაგრამ მისთვის ეს წარმავალი ეჭვი იყო და არა საბოლოო რწმენა, როგორც ჩემთვისაა. მიუსე პოეტი იყო და ცხოვრებას ილუზიებითა და ზმანებებით აფერადებდა. ამიტომაც ნამდვილი მარტოობა არასოდეს უგრძვნია. მე კი სულ მარტო ვარ. თავისი ნათელგონიერების გამო ყველაზე უბედური კაცი ამქვეყნად, გუსტავ ფლობერი, მეგობარ ქალს სწერდა: „ყველანი უდაბნოში ვართ, ერთმანეთის არავის არ ესმის“. და მართლაც ასეა. რასაც არ უნდა ვფიქრობდეთ, რასაც არ უნდა ვამბობდეთ, სულ ერთია, ამქვეყნად მაინც არავის არ ესმის ჩვენი. განა დედამიწამ იცის, რა ხდება აი, იმ ვარსკვლავებზე, ნაპერწკლებივით რომ შეფრქვევიან ცას და ისე შორს არიან ჩვენგან, რომ მხოლოდ ზოგიერთის შუქს ვხედავთ. სხვა ვარსკვლავთა ურიცხვი ჯარი კი უსასრულობაშია დანთქმული. მაგრამ ისიც შეიძლება, ვარსკვლავები ისე ახლოს იყვნენ ერთმანეთთან, რომ, როგორც ერთი სხეულის მოლეკულები, ერთ მთლიანობას ქმნიდნენ. სინამდვილეში არც ადამიანებმა იციან უკეთ, რა ხდება სხვა ადამიანის გულსა და სულში. ჩვენ უფრო შორს ვართ ერთმანეთისაგან, ვიდრე ციური სხეულები და უფრო განმარტოებულნიც, რადგან ადამიანის აზრის სიღრმე ჩაუწვდომელია.

— რა შეიძლება იყოს იმაზე საშინელი, როცა ადამიანები მუდამდღე

ერთმანეთის გვერდით არიან და მაინც ვერ გრძნობენ ამ სიახლოვეს, თითქოს გვიყვარს ერთმანეთი, თითქოს მიჯაჭვულნიც ვართ ერთიერთს, მაგრამ ერთმანეთის შინაგან სამყაროს ვერ ჩავწვდომივართ. სურვილი [illegible] შევერწყათ, შევესისხლხორცოთ ვინმეს, სულ სხვა ადამიანს [illegible], გვტანჯავს, მაგრამ ამაოა ყოველი ჩვენი ცდა, თავდავიწყება, უმიზნოა აღსარება, უძლურია ხვევნა-კოცნა, ალერსი. ერთმანეთისადმი მისწრაფება, ერთმანეთში გათქვეფის სურვილი მხოლოდ გვაჯახებს ერთმანეთს.

— მარტოობის გრძნობა განსაკუთრებით მაშინ მაწვალებს, როცა რომელიმე მეგობარს გულს გადავუშლი. სწორედ მაშინ ვგრძნობ ყველაზე მეტად, რომ ზღუდე გადაულახავია. აი, ეს კაცი, მაგალითად, ვხედავ ჩემკენ მოპყრობილ მის ნათელ თვალებს, მის სულს კი ვერ ვწვდები. იგი მე მისმენს, მაგრამ რას ფიქრობს ჩემზე? დიახ, რას ფიქრობს. ნუთუ არ გესმის ჩემი ტანჯვა? იქნებ ვძულვარ, იქნებ დამცინის, სწონის ჩემს სიტყვას, მქირდავს, მადანაშაულებს, სულელი ან უბადრუკი ვგონივარ. როგორ მივხვდე, რას ფიქრობს, როგორ გავიგო, მასაც ისევე ვუყვარვარ თუ არა, როგორც მე მიყვარს, როგორ ამოვიცნო, რა ტრიალებს მის ერთ ციცქნა, მრგვალ თავში? რა იდუმალებით არის მოცული უცნობის ფიქრი, ფიქრი თავისუფალი და ფარული. მას ხომ ვერ დაიჭერ, ვერ წარმართავ, ვერ დაიმორჩილებ, ვერ დაამარცხებ.

— თვით მე..., რას არ ვაკეთებ, როგორ არ ვცდილობ ბოლომდე დავიხარჯო, გავხსნა ჩემი სულის ყველა კარი, მაგრამ უშედეგოდ. სადღაც სულის უძირო სიღრმეში ყოველთვის რჩება იდუმალი კუნჭული ჩემი „მე“-სათვის, რასაც ვერავინ ჩასწვდება, რისი დანახვაც არავის ძალუძს, რადგან ამქვეყნად მე არავინ მგავს და არავის არავისი არ ესმის.

— შენ მაინც თუ გესმის ამ წუთში ჩემი? არა, არ გესმის! შენ ალბათ გიჟი გგონივარ, მაკვირდები, მიფრთხი, ფიქრობ, „რა დაემართაო ამ საღამოს“. მაგრამ თუკი ოდესმე ჩასწვდები და გაიგებ ჩემს ამ გულისშემძვრელ ტანჯვას, მაშინ მოდი და მხოლოდ ეს მითხარი: „მესმის შენი“. იქნებ ერთი წამით მაინც ვიგრძნო თავი ბედნიერ კაცად.

— ქალები კიდევ უფრო მძაფრად მაგრძნობინებენ მარტოობას. ღმერთო, როგორ მაწამებენ ისინი. ქალები მამაკაცებზე უფრო იოლად ახერხებენ იმედები გაგვიღვიძონ, გაფიქრებინონ, თითქოს მარტო არა ხარ. როცა გიყვარს, ცას სწვდები, საკუთარ კანში ვეღარ ეტევი, ზეადამიანურ ნეტარებას განიცდი და იცი, რატომ? იცი, საიდან მოდის ბედნიერების ეს უსაზღვრო შეგრძნება? მხოლოდ იქიდან, რომ გგონია, გაუცხოებას, მარტოობას ბოლო მოეღო, გეშველა. რა გულუბრყვილო თავის მოტყუებაა.

— სიყვარულის მარადიული მოთხოვნილება, ჩვენს გულს რომ ღრღნის, კიდევ უფრო მეტად აწვალებს ქალებს. ქალი ყველაზე დიდი საცთურია, ჩვენი გონების მიერ გამოგონილი.

— შენ კარგად იცი, როგორია თმაგრძელ, მომხიბვლელ არსებებთან გატარებული საათები. ქალის გამოხედვა აზრს გვაკარგვინებს, გიჟური აღტაცება გონებას გვიბნელებს, მთლიანად გვიპყრობს უსაზღვრო ოცნება, გვგონია, რომ კიდევ ცოტაც და ერთ არსებად გადავიქცევით, მაგრამ ამ „ცოტას“ საშველი აღარ ადგება. ხოლო მთელი კვირაობით ლოდინისა, ამაო იმედებისა და უსაფუძვლო, მაცდუნებელი სიხარულის შემდეგ კიდევ უფრო მარტო ვგრძნობთ თავს. ყოველი ხვევნა-კოცნის შემდეგ მარტოობის გრძნობა უჩვე-

ულოდ მძაფრდება. რა გულისმომკვლელი, რა საშინელია მთელი ეს ამბავი. პოეტი სიულ პრუდომი ამბობს: „ალერსი მხოლოდ გიჟური ლტოლვაა, საბრალო შეყვარებულების უნაყოფო ცდა, სხეულთა შეუღლებით მიაღწიონ სულთა შეუძლებელ შეუღლებას“.

— შემდეგ კი მშვიდობით, გათავდა... ძლივსღა სცნობ იმ ქალს, ერთი წამით რომ ყველაფერი იყო შენთვის და ვის უიდუმალეს ფიქრებს, რა თქმა უნდა, უხამსს, ვერა და ვერ ჩასწვდი.

— იმ წუთშიც კი, როცა გგონია, აჰა, სრულიად დაემთხვაო ჩვენი სურვილები და მისწრაფებები ერთმანეთს, ჩავწვდიო ქალის სულის სიღრმეს, მაშინაც კი ერთი სიტყვა, სულ ერთი სიტყვა გამოააშკარავებს შეცდომას და როგორც ბნელ ღამეს ანათებს ელვა, ისე ნათდება ქალსა და კაცს შორის გათხრილი უფსკრული.

— და მაინც ყველაფერზე უკეთესი ამქვეყნად საყვარელ ქალთან დუმილში გატარებული საღამოებია. ბედნიერებას მარტო ისიც კი გვაგრძნობინებს, რომ მის გვერდით ვართ. მეტს ნუ მოვითხოვთ, რადგან ორი ადამიანის მთლიანად შერწყმა შეუძლებელია.

— ჩემი ამბავი თუ გინდა გაიგო, მე უკვე ყველასათვის დავხურე ჩემი გულის კარი. არავის ვეუბნები, რა მწამს, რას ვფიქრობ, რა მიყვარს. წინასწარ ვიცი, მარტოობა მაქვს მისჯილი. გულგრილად ვუცქერ საგნებს და მათზე აზრს არ გამოვთქვამ. რას მიქვია შეხედულება, კამათი, სიამოვნება, რწმენა. ამქვეყნად აღარაფერი მაინტერესებს. ჩემი უხილავი ფიქრები ამოუცნობი რჩება. ყოველდღიურ კითხვებზე პასუხის გასაცემად მზად მაქვს გაცვეთილი ფრაზა, ხოლო როცა პასუხის გაცემა არ მინდა — მზამზარეული ღიმილი.

— გესმის ჩემი!

გრძელი ხეივანი გავიარეთ, ტრიუმფალურ თაღამდე მივედით, შემდეგ უკანვე გამოვბრუნდით და თანხმობის მოედნისაკენ დავეშვით. ჩემი მეგობარი დინჯად მიამბობდა ყოველივე ამას და სხვა მრავალსაც, ამჟამად რომ ვერ გამიხსენებია.

უეცრად ჩემი თანამგზავრი შეჩერდა და გრანიტის მაღალი ობელისკისაკენ[1] გაიშვირა ხელი. ვარსკვლავების შუქზე ბუნდოვნად მოჩანდა სამშობლოს მოშორებული ეგვიპტური ობელისკი, რომლის კედლებზეც უცნაური ნიშნებით ამოეტვიფრათ მისივე ქვეყნის ისტორია.

დღემდე ვერ მივმხვდარვარ, რად ლაპარაკობდა ასე ჩემი მეგობარი, იქნებ მთვრალი იყო, ან იქნებ წამით სიგიჟემ მოუარა, ან მეტისმეტად დაბრძენდა?!

□

---

1 ეს ობელისკი ნაპოლეონმა ეგვიპტიდან ჩამოიტანა და თანხმობის მოედანზე აღმართა (მთარგმნ. შენიშვნა).

# ალფონს დოდე

## ლეგენდა ოქროსტვინიან კაცზე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოთხრობა

ფრანგულიდან თარგმნა გივი მაღულარიამ

●

Ქალბატონო, თქვენი ბარათი რომ წავიკითხე, სინდისის ქენჯნა
ვიგრძენი. თავს ვუსაყვედურე, მოთხრობები მეტისმეტად
ნაღვლიანი გამომდის-მეთქი, და გადავწყვიტე, მხოლოდ მხიარულზე მხიარული
ამბები გამომეგზავნა თქვენთვის.

კაცმა რომ თქვას, რატომ უნდა ვიყო დანაღვლიანებული. ვცხოვრობ
მზიან ზეგანზე, დაფდაფებისა და მუსკატის ღვინის მხარეში და ათასი კი-
ლომეტრით ვარ დაშორებული პარიზის ღრუბლებს. ჩემ გარშემო მხოლოდ
მზე და მუსიკაა. შუადღისას ჭრიჭინები მართობენ, ნაშუადღევს კი მწყემსე-
ბის სალამური და მზეზე გარუჯული ლამაზმანების სიცილი ვენახში.

ცხადია, უჩეიროდ შემორჩევია ადგილი დარდისა და მწუხარებისათვის.
აქედან ვარდისფერ პოემებს და მომხიბვლელი ზღაპრებით სავსე კალათებს
უნდა გიგზავნიდეთ ქალებს. ეს უფრო უპრიანი იქნებოდა.

თუმცა არა, არც ისე შორსა ვარ პარიზიდან. დღე არ გავა, რომ ამ ქა-
ლაქმა სული არ წამიბილწოს, მწუხარებით არ ამავსოს.

ამ სტრიქონებს რომ ვწერდი, საბრალო შარლ ბარბარას შემზარავი სიკვ-
დილის ამბავი შევიტყვე. ჩემი წისქვილი გლოვამ მოიცვა. მშვიდობით, ჩი-
ტებო და ჭრიჭინებო, სიხარული გულს აღარ ეკარება. ქალბატონო, სწორედ
ამიტომ შეპირებული მხიარული ამბის ნაცვლად კვლავ ნაღვლიან ლეგენდას
გიგზავნით.

ცხოვრობდა ერთ დროს ქვეყანაზე ოქროსტვინიანი კაცი. დიახ, ქალბატო-
ნო, ტვინი დაბადებიდანვე ბაჯაღლო ოქროსი დაჰყვა. ახალშობილს ისე დიდი
და მძიმე თავი ჰქონდა, რომ ექიმები სიკვდილს უწინასწარმეტყველებდნენ,
მაგრამ ბავშვი არ მოკვდა. ზეთისხილის ნერგივით იზრდებოდა მზის ქვეშ. მხო-
ლოდ ხანდახან სიარულის დროს დიდი თავი გადასძლევდა, საცოდავად ედებო-
და ყველაფერს და ეცემოდა. ერთხელ კიბეზე დაგორდა და თავი მარმარილოს
საფეხურს დაჰკრა. თავმა ოქროს ზოდივით დაიწკრიალა. ბავშვი ყველას მკვდა-

რი ეგონა, მაგრამ როცა წამოაყენეს, მხოლოდ მსუბუქი ჭრილობა და ნუშუშ თმაში ორი თუ სამი ოქროს შედედებული წვეთი უპოვეს. ასე გაიგეს მისმა დედ-მამამ, რომ ბავშვს ოქროს ტვინი ჰქონდა.

ეს ამბავი მშობლებმა საიდუმლოდ შეინახეს. ბავშვმაც არაფერი იცოდა. მხოლოდ ხანდახან თუ ჰკითხავდა დედ-მამას, ეზოში სხვა ბავშვებთან სათამაშოდ რად არ მიშვებთო.

— მოგიტაცებენ, ჩემო საუნჯევ, — ეუბნებოდა დედა.

ბავშვსაც ძალიან ეშინოდა, არ მომიტაცონო. შინ გამოკეტილი მარტო თამაშობდა, უხალისოდ, უხმოდ დაბორიალობდა ოთახიდან ოთახში.

თვრამეტი წლის რომ შეიქმნა, მშობლებმა გაუმხილეს, რა მძიმე და საშინელი წყალობაც ხვდა წილად ცხოვრებაში. მერე ისიც დაუმატეს, აქამდე მოგიყვანეთ, გასვით, გაჭამეთ, გაგზარდეთ და ახლა გასამრჯელოდ მცირეოდენი ოქრო გვიწილადეო. ყმაწვილმა იმწამსვე, უყოყმანოდ ამოიღო თავიდან კაკლისოდენა ოქრო და ამაყად ჩაუგორა დედას კალთაში. მაგრამ როგორ და რა ტანჯვით მოახერხა ეს, ამაზე ლეგენდა არას ამბობს.

თავისი სიმდიდრით ფრთაშესხმულმა, დაუოკებელი სურვილებით გახელებულმა, საკუთარი ძლიერების შეგრძნებით დამთვრალმა ყმაწვილმა მშობლიური კერა მიატოვა და გზას გაუდგა.

უამრავ ოქროს ხარჯავდა, მეფურად ცხოვრობდა, ხოლო ტვინი რომ დღითი დღე აკლდებოდა, იმაზე არ ფიქრობდა. ტვინი კი ილეოდა, ყმაწვილის თვალებს შუქი აკლდებოდა, ყბები ჩაუცვივდა. ერთხელ თავაწყვეტილი ლრეობის შემდეგ მარტო რომ დარჩა, ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს ტვინში ნაპრალი გაუჩნდა და გადაწყვიტა ასეთ ცხოვრებაზე ხელი აეღო. განმარტოვდა, შრომით ირჩენდა თავს. აფორიაქებული და დაეჭვებული ხელმომჭირნე გახდა. ყოველგვარ ცდუნებას გაურბოდა, ცდილობდა დაევიწყებინა, ხელი არ ეხლო თავისი საბედისწერო განძისათვის.

ამქვეყნიურ სიამეთაგან განდგომილს მხოლოდ ერთი მეგობარიღა შერჩა, რომელმაც კარგად იცოდა მისი სიმდიდრის საიდუმლოება. ერთ ღამეს ჭაბუკი მწვავე, საშინელმა თავის ტკივილმა გამოაღვიძა, გაოგნებული ფეხზე წამოიჭრა და მთვარის შუქზე დაინახა, მეგობარი გარბოდა და მოსასხამის ქვეშ რაღაცას მალავდა...

მოსტაცეს კიდევ ერთი ნაწილი ტვინისა...

გავიდა ხანი, ოქროსტვინიან კაცს სიყვარული ეწვია და მის განდეგილობასაც ბოლო მოეღო. სულითა და გულით შეუყვარდა პატარა, ქერა ქალი. მართალია, ქალიც თანაუგრძნობდა, მაგრამ სამკაულები, ქათქათა ბაფთები და ფეხსაცმლის მოწითალო, ფუნჯიანი ზონრები მაინც ყველაფერს ერჩია.

ამ მშვენიერი ქმნილების, ნახევრად ჩიტის, ნახევრად დედოფალის ხელში ოქრო სასიამოვნოდ დნებოდა. პირველ ქალს ათასგვარი სურვილი ებადებოდა, ქმარი კი უარს ვერაფერზე ეუბნებოდა. ის კი არა, ზედმეტად არ შევაწუხოო, და თავისი საშინელი სიმდიდრის ამბავიც კი ვერ გაუმხილა.

— ძალიან მდიდრები ვართ? — ეკითხებოდა ქალი.

— ო, მეტისმეტად.

საბრალო კაცი სიყვარულით უღიმოდა პაწია ცისფერ ჩიტუნას, რომელიც

გულგრილად მიირთმევდა მის ტვინს. ზოგჯერ შიში შეიპყრობდა, არ შეიძლება ასე ცხოვრება, ხელმომჭირნე უნდა გავხდეო, მაგრამ მასთან პატარა ქალი მიცქრიალდებოდა და ეტყოდა:

— ჩემო მდიდარო ქმარო, მიყიდე რამე ძვირფასი.

და ისიც ყიდულობდა.

ორი წელი იცხოვრეს ასე. ერთ დილას ქალი სრულიად უმიზეზოდ, ჩიტივით მოკვდა. განძი კი თვალსა და ხელს შუა ქრებოდა, რადგან ქმარმა გადაწყვიტა დარჩენილი ოქროთი მდიდრულად დაესაფლავებინა საყვარელი ცოლი. არაფერი არ მოსწონდა — არც ზარების რეკვა, არც შავი არშიით გაწყობილი ეტლები, არც ხავერდში ჩაქსოვილი ვერცხლის ცრემლები.

ანკი რაღად უნდოდა ოქრო. უამრავი ფული დახარჯა, ეკლესიას შეეწია, მეყვავილეები დაამდიდრა.

სასაფლაოდან გამობრუნებულს სასწაულებრივი ტვინიდან თითქმის აღარაფერი შერჩა. შეიძლება სადღაც, ტვინის რომელიღაც კუნჭულში ჯერ კიდევ ჰქონდა შერჩენილი ერთი-ორი ოქროს ნამცეცი.

გზაარეული, მხრებჩამოყრილი ქუჩაში დაეხეტებოდა მთვრალივით ბარბაცებდა. საღამო ჟამს ერთი განათებული ვიტრინის წინ შეჩერდა. ვიტრინაში ათასნაირი ჩასაცმელი და სამკაული გამოეფინათ. დიდხანს იდგა ერთ ადგილას და უხმოდ შეჰყურებდა გედის გერმით გაწყობილ ლურჯი სატინის ქოშებს. „ვიყიდი, უთუოდ გაუხარდება“, — გაიფიქრა მან და ქოშების საყიდლად მაღაზიაში შევიდა. საბრალოს აღარ ახსოვდა, ქალი რომ მკვდარი იყო.

მაღაზიის უკანა ოთახში გასულ გამყიდველს საშინელი ყვირილი მოესმა, სწრაფად მოირბინა და დახლზე დამხობილი კაცი რომ დაინახა, შეშინებულმა უკან დაიხია. უცნობი მამაკაცი გამშრალი, გატანჯული თვალებით უცქეროდა. ცალ ხელში ქოშები ეჭირა, მეორე, მთლად სისხლში მოსვრილი ხელი კი წინ გაეწვდინა. ფრჩხილებზე ოქროს ნამცეცები მიჰკროდა.

აი, ასეთია, ქალბატონო, ლეგენდა ოქროსტვინიან კაცზე.

შესაძლოა ეს ამბავი ფანტასტიკურ ზღაპარს ჰგავს, მაგრამ მაინც თავიდან ბოლომდე მართალია.

არიან ქვეყანაზე უბედური ადამიანები, საკუთარი ტვინის ხარჯზე რომ ცხოვრობენ. ერთი შეხედვით უმნიშვნელო, მაგრამ საარსებოდ აუცილებელ ნივთებში ბაჯაღლო ოქროს იხდიან. მათთვის ეს ყოველდღიური ტანჯვაა და ბოლოს, როცა ტანჯვით დაიღლებიან...

□

# ალბერ კამიუ

## ირონია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**მოთხრობა**

ფრანგულიდან თარგმნა **გიორგი ეკიზაშვილმა**

•

ამ ორიოდე წლის წინ ერთ მოხუც ქალს ვიცნობდი. რაღაც სენს უჩიოდა და ერთთავად იმას წუწუნებდა, თუ მომითავებს, ეს ავადმყოფობა მომითავებს ხელსო. მარჯვენა მხარე წართმეული ჰქონდა. ერთ დროს ენაჭარტალა და მოუსვენარი, ახლა დუმილს და უძრაობას შეჩვეოდა. საკუთარი თავის ანაბარა დარჩენილი, უწიგნური და გრძნობებისაგან დაცლილი ღვთის იმედითღა არსებობდა. ქალმა იწამა ღმერთი. ამის დასტური გახლდათ კრიალოსანი, რომელსაც ხელიდან არ იშორებდა, თუთიისაგან გამოქანდაკებული ქრისტე და თითბრის წმინდა იოსები ყრმასთან ერთად. ქალი ვარაუდობდა, იქნებ ავადმყოფობა მომაკვდინებელი არც იყოსო, მაგრამ სხვების ყურადღება რომ მიეპყრო, საწინააღმდეგოს ამტკიცებდა. საბოლოოდ რა მოხდებოდა, ეს უკვე ღვთის ნება-სურვილი იყო, ნება-სურვილი სწორედ იმ ღვთისა, რომელიც ასე უცაბედად შეაყვარა გაჭირვებამ.

იმ დღეს ერთი ახალგაზრდა კაცი დაინტერესდა მისი ბედით. ყმაწვილკაცს სწამდა, რომ ამქვეყნად არსებობდა ჭეშმარიტება, ისიც კარგად უწყოდა, ქალი სიკვდილის პირას იდგა, მაგრამ ერთხელაც არ უფიქრია ამ წინააღმდეგობის გადაწყვეტა. იგი მთელი გულით თანაუგრძნობდა მოხუც ქალს. ამას დედაბერიც ხედავდა, ეს თანადგომა მის დაღლილ სულს მალამოსავით ედებოდა და ყმაწვილკაცს გატაცებით უყვებოდა თავის გაჭირვებას. „ჩემი წუთები დათვლილია, ახლა ახალგაზრდებს უნდა დავუთმო ადგილი", — ეუბნებოდა. მოწყენილი ხარო? აბა, ამას რა კითხვა უნდა! ხმის გამცემიც კი არავინა ჰყავს. ძაღლივით ერთთავად კუთხეშია მიგდებული. როდის მოეღება ყოველივეს ბოლო! ესეც უთხრა: სხვის კისერზე ყოფნას ისევ სიკვდილი მირჩევნიაო. ხმაში თანდათან ბრაზი შეეპარა და ბაზრის ვაჭრუკანა ქალს დაემსგავსა. ახალგაზრდა კაცი ყოველივეს კარგად ხვდებოდა, მაგრამ მაინც მისთვის რომ გეკითხათ, სიკვდილს ისევ სხვის კისერზე ყოფნას ამჯობინებდა. ამ აზრისა იმიტომ გახლდათ, რომ თვითონ არასოდეს გამოეცადა. რის

ხიშნავდა სხვის კისერზე ყოფნა. მერე ქალს კრიალოსანი დაუნახა და ჰკითხა: „ყოვლად მოწყალე ღმერთი ხომ გრჩებათ ნუგეშად?“ რა თქმა უნდა, რჩება, მაგრამ ამასაც რომ არ ანებებენ? საკმარისი იყო წუთით მაინც მიეცა თავი ლოცვისთვის ან თვალები ერთი წერტილისთვის მიეშტერებინა, რომ მისი ქალიშვილიც წამსვე იქ გაჩნდებოდა: — „ხედავთ, კიდევ ლოცულობს“, უმეორედა. „შენ რა?“ „არაფერი, მაგრამ მაღიზიანებს“. მოხუცი გაყუჩდებოდა და საყვედურით სავსე თვალებს მიაპყრობდა ქალიშვილს.

ახალგაზრდა კაცი ყურადღებით უსმენდა ქალს და აქამდე უცნობი ტკივილით ევსებოდა გული. მოხუცი კი განაგრძობდა: „თვითონ რომ მოხუცდება, აი, მაშინ მიხვდება ყველაფერს. მასაც დასჭირდება ღმერთი“. ადვილი მისახვედრი იყო, ყოველივე მიწიერისგან დაცლილ ქალს ღმერთის სიყვარული შერჩენოდა. ისიც აშკარა იყო, მთელი არსებით შეეპყრო ამ უკანასკნელ გატაცებას. გაჭირვებამ სათნოება შთაუნერგა და ახლა მხოლოდ ამ ერთადერთ სიმდიდრეს მიიჩნევდა ადამიანური სიყვარულის ღირსად. იგი ერთხელ და სამუდამოდ ჩაიძირა ღვთის წინაშე მარტოდმიტოვებული ადამიანის უსასოობაში. მაგრამ საკმარისია, ერთი წამით მაინც გაიღვიძოს სიცოცხლის ძარღვმა და... ღვთის სიყვარული ადამიანის სურვილებს წინ ველარ აღუდგება.

სტუმრები მაგიდას მიუსხდნენ. ახალგაზრდა კაციც მიიწვიეს. მოხუცი ქალი არ ჭამდა, ძილის წინ ჭამა კუჭს ვნებსო. დედაბერი სწორედ იმ კაცის ზურგს უკან მიკუნტულიყო თავის კუთხეში, ვინც ცოტა ხნის წინ ასეთი გულისყურით უსმენდა. ახალგაზრდა კაცი მოხუცის დაჟინებულ მზერას გრძნობდა და ლუკმა ყელში ეჩხირებოდა. სადილი თავისი რიგით მიდიოდა. ისედაც საამო საღამო კიდევ უფრო სასიამოვნოდ რომ ექციათ, კინოში წასვლა გადაწყვიტეს. რაღაც სასაცილო ფილმი გადიოდა. ახალგაზრდა კაცი დაუფიქრებლად დაეთანხმა, არც გახსენებია კუთხეში მიყუჟული არსება.

სტუმრები წამოიშალნენ და კინოში წასვლამდე ხელის დასაბანად გავიდნენ. მოხუცის კინოში წაყვანა, რაღა თქმა უნდა, არავის უფიქრია. მაშინაც კი, როდესაც ავადმყოფობას არ უჩიოდა, უწიგნურობის გამო ქალი ვერც ერთ ფილმს ვერ იგებდა. ხშირად უთქვამს, კინო არ მიყვარსო, სინამდვილეში კი არაფერი ესმოდა ფილმებისა და იმიტომ არ უყვარდა. ქალი კუთხეში იჯდა და უგულისყუროდ მარცვლავდა კრიალოსანს. ამ კრიალოსანში აქსოვდა იმედსა და ნდობას. ამ სამ ნივთს თვალის ჩინივით უფრთხილდებოდა. ეს სამი ნივთი მისთვის მატერიალური სამყაროს ის უკიდურესი ზღვარი იყო, რის მიღმაც ღვთის სამყარო იწყებოდა. კრიალოსნის, ქრისტესა და წმინდა იოსების უკან ვეებერთელა და ღრმა სიბნელე იშლებოდა და უკიდეგანო სიცარიელეს ქალი თავისი იმედით ავსებდა.

სტუმრები წასასვლელად რომ გაემზადნენ, მოხუც ქალს მიეახლნენ გამოსამშვიდობებლად, სათითაოდ ეხვეოდნენ და მშვიდობის ღამეს უსურვებდნენ. ქალი მიხვდა, ყველანი ტოვებდნენ და კრიალოსანი ჩაბღუჯა. ამით შესაძლოა სასოწარკვეთაც გამოხატა და რწმენაც. ახალგაზრდა კაცის ჯერიც მოვიდა. მან გულითადად ჩამოართვა ხელი მოხუცს და წასვლა დააპირა. მოხუცი ხედავდა, ის, ვინც სულ ახლახან გულისხმიერებით უსმენდა, მიდიოდა. არადა, სულაც არ სურდა ქალს მარტო დარჩენილიყო. იგი სიმარტოვის საშინელებას, გრძელ უძილო ღამეებს და ღმერთთან პირისპირ დარ-

ჩენს უფრთხოდა. ამ კაცის იმედიღა ჰქონდა, ხელზე ეჭიდებოდა, აღარ ეშვებოდა და მადლობის სიტყვებს ჩიფჩიფებდა, თითქოსდა თავისი სიჯიუტის გამართლებას ცდილობსო. ახალგაზრდა შეცბა. სხვებიც აჩქარდნენ. ფილმი ცხრა საათზე იწყებოდა და ნაადრევად მისვლა სჯობდა, რომ მერე სალაროსთან აღარ ეყურყუტათ.

ახალგაზრდა კაცი გრძნობდა, პირველად იხილა ესოდენ შემაძრწუნებელი უსამართლობა: ავადმყოფ მოხუც ქალს მარტოდმარტო ტოვებენ და კინოში გარბიან. სურდა იქაურობას გარიდებოდა, ყოველივე ამოეგდო თავიდან და ხელის დახსნას ცდილობდა. რაღაც წამით ამ ქალისადმი სასტიკი ზიზღიც მოეძალა და სილის გაწნაც დაუპირა. როგორც იქნა, ხელი გაითავისუფლა და კარისკენ წავიდა. სავარძელში ნახევრად წამომდგარი ავადმყოფი კი შეშინებული მისჩერებოდა ერთადერთ იმედს, რომელიც თვალსა და ხელს შუა უჩინარდებოდა. ახლა აღარავინ იყო მისი მხსნელი. საკუთარი სიკვდილის შემზარავ განცდას თავმინებებულმა არც კი იცოდა, რა აშინებდა. მისთვის ცხადი შეიქნა — მარტოდ დარჩენა აღარ შეეძლო, ღმერთიც ვერაფრით დაეხმარა: ადამიანებს დაშორა და სიმარტოვე მიუსაჯა. მოხუცს არ სურდა, მარტო დარჩენილიყო და ტიროდა.

სტუმრები ქუჩაში გავიდნენ. ახალგაზრდა კაცს სინდისი ქენჯნიდა.

განათებულ ფანჯარას, მდუმარებაში ჩაძირული სახლის ვეება თვალს ახედა..., თვალი დაიხუჭა. მოხუცის ქალიშვილი ახალგაზრდა კაცს მიუბრუნდა: „როცა მარტოა, სინათლეს აქრობს. სიბნელეში... ყოფნა უყვარს“.

მოხუცი კაცი ყოყლოჩინობდა, წარბებს შმუხნიდა და დამრიგებლურად აქნევდა თითს: „აი, მე კი მამაჩემი ხუთ ფრანკს მაძლევდა კვირაში — გინდა თუ არა მომავალ შაბათამდე იმყოფინე და როგორც მოგეპრიანოს, ისე გაერთეო. ჰოდა, წარმოიდგინეთ, რამდენიმე სუს დაზოგვას მაინც ვახერხებდი. ჯერ ერთი, საცოლის მოსანახულებლად ოთხ კილომეტრს ტრიალ მინდორში ფეხით გავდიოდი. დიახ, მერწმუნეთ, თანამედროვე ახალგაზრდობამ გართობის ყადრი არ იცის“. ისინი მრგვალ მაგიდას უსხდნენ, სამი ახალგაზრდა და ერთიც მოხუცი კაცი. მოხუცი თავის უბადრუკ წარსულს იხსენებდა, სისულელეებს ალამაზებდა, იმედის გაცრუებას გამარჯვებად ასაღებდა. წამითაც არ ჩუმდებოდა. სურდა სათქმელი ეთქვა, სანამ კიდევ უსმენდნენ და მხოლოდ იმას ყვებოდა, რაც მისი აზრით ახალგაზრდა მსმენელებს გულზე მოხვდებოდათ. ეს ერთი სენი ჰქონდა — უყვარდა, როცა უსმენდნენ. ვითომ ვერც ამჩნევდა, დაცინვით რომ შეჰყურებდნენ და უხეშად ექილიკებოდნენ. ახალგაზრდებისთვის ის ერთი იმ ბერიკაცთაგანი იყო, ვინც წარსულ წლებს ადიდებს და საკუთარი თავიც გამოცდილებით დაბრძენებულ წინაპრად მიაჩნია. ახალგაზრდებმა არ უწყიან, რომ გამოცდილება მარცხია და ამქვეყნად მისხალისოდენაც რომ შეიცნო, ჯერ ყოველივე უნდა დაკარგო. მოხუცი ცხოვრებამ გატანჯა, მაგრამ ამაზე კრინტსაც არ ძრავდა. განა უმჯობესი არ არის ბედნიერ კაცად მოაჩვენო ყველას თავი? ვაი-ვუის კი არა, კარგი ამბების მოსმენა აღარ სურს არავის. აბა რაში გჭირია მოხუცი კაცის უბედობაზე ლაპარაკი, როცა ცხოვრება ასე ძალუმად გიხმობს? ბერიკაცი ლაპარაკობდა, ლაპარაკობდა დაუსრულებლად და საკუთარი ხმით მთვრალი წარსულ მოგონებებში იკარგებოდა. მაგრამ ყველაფერს აქვს ბოლო, მისი სიამოვნება

ხომ უნდა დასრულებულიყო, მსმენელებსაც დაღლა დაეტყოთ. იგი მოხუცი
იყო და ვერ შეძლო ახალგაზრდები გაერთო. ამათ ბილიარდი და ბანქო
ურჩევნიათ ყოველდღიურ სულელურ ჭაპანწყვეტას.

მალე იგი მარტო დარჩა, რა არ იღონა, რა ტკბილი და მართალი არ
მოიგონა, მაგრამ ახალგაზრდები მაინც უბოდიშოდ წავიდნენ და მოხუცს
კვლავ მარტოსულობა დაეუფლა. ყველაზე საშინელი სიბერეში ის არის,
ყურის დამგდებიც რომ აღარავინა გყავს. მოხუცს სიმარტოვე და დუმილი
მიუსაჯეს. თითქოსდა მიახვედრეს, სადაცაა სულს განუტევებო. სიკვდილის
კარს მიმდგარი მოხუცი არავის არაფერში ადგია, პირიქით, ყველას ხელს
უშლის და თავს აბეზრებს. ჯანდაბამდისაც გზა ჰქონია! გაჩუმდეს მაინცა.
მაშინ კიდევ აიტანს კაცი. მოხუცი კი იტანჯება, რადგანაც დადუმდება თუ
არა, წამსვე საკუთარ სიბერეზე ფიქრი აეტორღიალება. იგი წამოდგა და ღიმილით გამოემშვიდობა ყველას. ირგვლივ მხოლოდ გულგრილ სახეებს ხედავდა. აქა-იქ მხიარულადაც იღიმებოდნენ, მაგრამ ამ სიხარულში მას წილი
არ ედო. ვიღაც სიცილით იგუდებოდა: „არა, ქალიშვილია-მეთქი, ამას ვერ
ვიტყვი, მაგრამ მოგეხსენებათ, ბებერი ხარის რქებიც“... მეორე უფრო
დინჯი გახლდათ ლაპარაკში: „თავზე არ გადავვლის, მაგრამ საჭმელს არ ვიკლებთ. შენც ხედავ; ჩემი შვილიშვილი მამამისზე მეტს ჭამს. მამამისი ერთ
ნაჭერ პურზე გადადის, ამას კი ერთი ფუთიც არ ყოფნის. თანაც აქეთ
ძეხვიო, იქით ყველიო. ჭამას რომ მორჩება, ერთს ამოიხვნეშებს და მერე
ისევ თავიდან იწყებს“. მოხუცი გავიდა. ნაჯაფი სახედრის მძიმე და გამოზომილი ნაბიჯით მიუყვებოდა ხალხით სავსე ქუჩებს, თავს შეუძლოდ
გრძნობდა და შინ მისვლა ახლა გულზე არ ეხატებოდა. თუმცა კი უყვარდა
თავის მაგიდასთან და ნავთის ლამპასთან ჯდომა. თეფშსაც ჩვეულ ადგილზე
პოულობდა და ხელებსაც ჩვეულ ადგილას დააწყობდა. უშზრახად ვახშმობა
უყვარდა. თავისი ბებრუხანა წინ ეჯდა. დიდხანს ღეჭავდა ლუკმას, გაყინული, სხივდაცლილი თვალები უაზროდ იყურებოდნენ... ამ საღამოს მოგვიანებით დაბრუნდება შინ. გაციებული ვახშამი მაგიდაზე დახვდება, ბებრუხანა კი შუა ძილში იქნება, რადგან კარგა ხანია შეეჩვია ქმრის გვიან მოსვლას. „გამოჩურჩუტდა“, — იტყოდა ქალი და ამით ყველაფერი ნათქვამი
იყო. ახლა კაცი ჯიუტად მიუყვებოდა ქუჩას, მარტოსული და ბებერი. სიცოცხლის მიწურულს სიბერე ყელში ამოგდის კაცს. ყველაზე საშინელი კი
მაინც ის არის, რომ ჭირის მოზიარე არავინ გეგულება. და ჰა, იგი მიაბიჯებს, ქუჩის კუთხეში უხვევს, წაიფორხილებს და სადაცაა დაეცემა. მე ყველაფერს ვხედავ. სასაცილოა, მაგრამ არ ვიცი, რით ვუშველო. და მაინც
უყვარს მოხუცს ქუჩა. ქუჩა ურჩევნია შინ ყოფნას და იმ წუთებს, ციებაშეყრილი ოთახში რომ გამოიკეტება. რამდენჯერ მომხდარა, კარი უხმაუროდ
იღება, მაგრამ რამდენიმე წუთს არავინ არ ჩანს, მერე ვიღაც შემოდის,
თეთრებში მოსილი, მოხუცის პირისპირ ჩამოჯდება და გრძელი წუთებიც
სიჩუმეს ითვლიან. მოსული არ იძვრის რამდენიმე წუთის წინ სანახევროდ
შეხსნილი კარივით. დროდადრო თმაზე გადაისვამს ხელს და ჩუმად ამოიოხრებს. კაეშნით დამძიმებული თვალებით დიდხანს უყურებს მოხუცს, მერე
სიტყვის უთქმელად გადის. ურდული გაჩხაკუნდება და გაოგნებული მოხუცი
მარტო რჩება, გულზე მაჯლაჯუნასავით აწვება მწარე და მტკივნეული შიში.
ამიტომაც ურჩევნია ქუჩაში ყოფნა, ერთი-ორი კაცი მაინც გამოჩნდება

ხოლმე აქა-იქ. თითქოს ციებამაც გაუარა. ნაბიჯს აუჩქარა. ხვალ ყოველივე შეიცვლება, დიახ, ხვალ. უცებ მიხვდა, ხვალიც იგივე განმეორდებოდა, ზეგაც და იმის შემდეგაც. ამ აზრმა სულის ძირამდე შესძრა ბერიკაცი. ასეთი აზრები მოხუცი კაცისთვის ძნელი ასატანია, სულს ამოხდის, თავს მოაკვლევინებს, ყმაწვილი კაცი კი მხოლოდ ლამაზ სიტყვებს დაიხჯერდება.

მოდი და გაიგე, ვინ იყო ეს მოხუცი, გიჟი თუ მთვრალი... მისი სიკვდილი სიცოცხლის ღირსეული დასასრული იქნება, ლამაზი და ამაღელვებელი. იგი ლამაზად მოკვდება, ლამაზად-მეთქი რომ ვამბობ, ტანჯვით სიკვდილს ვგულისხმობ. ეს სიკვდილი მას სიმშვიდეს მოუტანს. სხვა რა გზა აქვს. იგი უკვე ბებერია და ამას აღარაფერი ეშველება. ადამიანები წინასწარ ფიქრობენ მომავალ სიბერეზე. უკურნებელი სენივით შეყრილ სიბერეს ისინი უსაქმურობად ხახავენ და სწორედ ესაა, მათ რომ ფარ-ხმალს აყრევინებს. სადღაც ქარხანაში ოსტატად მუშაობ, რათა მერე, სიბერეში პატარა აგარაკს შეაფარო თავი. მაგრამ ხანში შესული წამსვე შეიგრძნობს, რომ ყოველივე ამაოებაა და სიცრუე... ადამიანს სხვა ადამიანი ჭირდება მხარში ამოსადგომად. ამ მოხუცსაც ვიღაც ჭირდება, ის, ვინც მოუსმენს, იქნებ მაშინ მაინც იწამოს, რომ ნამდვილად ცოცხლობს. ახლა ქუჩები ჩაბნელებულია და გამვლელებიც კანტიკუნტად თუ ჩაივლიან. საღამოს უცნაურ სიმშვიდეში ხმები უფრო მკაფიოდ ისმის. ქალაქის გარშემო შემოჯარულ ბორცვებს მიღმა კიდევ შერჩენილა დღის სინათლე. ღმერთმა უწყის საიდან წამოსული კვამლი ზანტად ამოისვეტება მთის ქიმიდან და ნაძვივით აიწვერება. მოხუცმა თვალები დახუჭა. გაოგნებული, განძარცული და უკვე მკვდარი იგი მარტო რჩება ამ ცხოვრების პირისპირ, რომელიც წარიტაცებს ქალაქის ყრუ ხმაურს და ზეცის გულუბრყვილო ღიმილს.

აუცილებელია აღვწერო მედლის მეორე მხარე? ადვილად წარმოიდგენთ: ჭუჭყიან და ბნელ ოთახში ბებრუხანა ვახშამს აწყობს, გაშლილ სუფრას მიუჯდება, საათს ახედავს. ცოტასაც დაახანებს და მერე მადიანად შეუდგება ჭამას. „გამოჩურჩუტდა", — ფიქრობს ქალი. ამით ყველაფერია ნათქვამი.

ისინი ხუთნი იყვნენ — ბებია, მისი ნაბოლარა ვაჟი და უფროსი ქალიშვილი ორი ბავშვით. ვაჟიშვილი თითქმის მუნჯი იყო; ქალიშვილი ხეიბარი გახლდათ და ტვინიც ვერ ჰქონდა სულ მთლად დალაგებული. ბავშვებიდან ერთი უკვე დამზღვევ კომპანიაში მუშაობდა, მეორე კი სკოლაში დადიოდა. სამოცდაათი წლის ბებია ჯერ კიდევ ოჯახის გამგებელ-მბრძანებელი იყო. საწოლის თავზე მისი სურათი ეკიდა, ხუთი წლის წინათ გადაღებული. მკერდაზიდულს, ყელთან მედალიონით შეკრულ უნაოჭო შავ კაბაში გამოწყობილსა და თვალებში სიცივეჩამდგარს, დედოფლის იერი ჰქონდა, ეს იერი ახლა უკვე წლებს წარეტაცა და მის დაბრუნებას ამაოდ ცდილობდა ხალხში.

ამ ღია ფერის თვალების ბრალი იყო, მის შვილიშვილს ბავშვობის ერთი მოგონება სირცხვილით ლოყებს რომ აულეწავდა ხოლმე. სტუმრიანობისას ბებია მკაცრად მიაჩერდებოდა და ეკითხებოდა: „ვინ უფრო გიყვარს, დედა თუ ბებია?" დედის იქ ყოფნა საქმეს კიდევ უფრო ართულებდა. ბავშვი სულ

ერთსა და იმავეს პასუხობდა: „ბებია“, თუმცაღა გულში უსაზღვროდ უყვარდა მუდამ უზრად მყოფი დედა. სტუმრებს აოცებდა ბავშვის პასუხი. დედა კი უხსნიდა: „ბებიამ გაზარდა და აბა არ ეყვარება?“

ალბათ ამიტომაც სიყვარული ბებიისათვის ისეთი რაღაცა იყო, რისი მიღწევაც მოთხოვნით და ძალდატანებით შეიძლებოდა. მზრუნველი დიასახლისის უპირველეს თვისებად სიმკაცრე და შეუწყნარებლობა მიაჩნდა. ქმრისთვის არასოდეს უღალატნია და აკი ცხრა შვილიც აჩუქა. მისი სიკვდილის შემდეგაც შვილებისათვის თავი არ დაუზოგავს. ფერმა მიატოვა და ოჯახიანად კარგა ხანია აქ, ამ ძველ და ღარიბ უბანში დამკვიდრდა.

თქმა არ უნდა, ქალს თავისი ღირსებებიც ჰქონდა, მაგრამ შვილიშვილებს, — ისინი იმ ასაკისანი იყვნენ, როცა ბავშვებს საკუთარი გამოცდილებიდან უკიდურესი დასკვნები გამოაქვთ, — იგი ტაკიმასხარად მიაჩნდათ. მათ კარგად ახსოვდათ ერთი ბევრისმეტყველი ამბავი, რომელიც ბიძამ გაანდო. ერთხელ, როცა ბებიასთან სტუმრად მიდიოდა, ბიძამ ქუჩიდან შეამჩნია, რომ ქალი ფანჯარასთან უსაქმოდ ატუზულიყო. ოთახში შესულს კი იგი მტვრის გადასაწმენდი ჩვრით ხელში დაუხვდა, ბოდიშიც მოუხადა, საქმეს ვერ მივაგდებ, დრო ისედაც ხელში მადნებაო. ყოველივე სწორედ ასე იყო. ოჯახის წევრებთან ყოველი კამათი ბებიას გულისწასვლით თავდებოდა. რაც მართალი მართალია, კარგად გამოსდიოდა. გარდა ამისა ღვიძლი ტკიოდა და ხშირად გულიც ერეოდა. ნუ გგონიათ, ვინმეს დარიდებოდა. პირიქით, ხმაურით ჩაარწყევდა სამზარეულოს სანაგვეში და ოთახში თვალებდასისხლიანებული და ფერწასული შემობრუნდებოდა. როცა თხოვდნენ, მიწექიო, საქმეებს მომიზეზებდა. ამით კიდევ ერთხელ შეახსენებდა ახლობლებს, მთელი ოჯახი ჩემს კისერზე გადადისო. „აქ ხომ ყველაფერი ჩემი მოსავლელია“, — ეტყოდა; ან კიდევ: „რას გაახერხებთ უჩემოდ“.

ბავშვები დიდი ხანია შეეჩვივნენ მის გულზიდვას, „შეტევებს“, როგორც თვითონ ამბობდა, და მის წუწუნსაც ყურადღებას აღარ აქცევდნენ. ერთ დღეს ბებია ლოგინად ჩაწვა და ექიმის მოყვანა ითხოვა. საამებლად თხოვნა შეუსრულეს. პირველ დღეს ექიმმა სერიოზული ვერაფერი აღმოაჩინა, მეორე დღეს ღვიძლის კიბოს დიაგნოზი დაუსვა, მესამე დღეს კი სიყვითლის მძიმე ფორმა აქვსო, განაცხადა. უმცროსი შვილიშვილი არ იჯერებდა. ბებია თვალთმაქცობსო — ფიქრობდა, ჩვეულებრივი ოინებია, მაგრამ ამჯერად უფრო დახვეწილიო. თავსაც ამიტომ არ იწუხებდა. ბებიასაგან ერთი ალერსიანი სიტყვაც არ ახსოვდა და პირველ ხანებში მისი ავადმყოფობა არც ისე აღარდებდა. ნათელჭვრეტა და სიყვარულის უარყოფა სიმამაცესთანაა წილნაყარი, მაგრამ როდესაც ავადმყოფობას ეთამაშები, მოსალოდნელია ერთ დღეს მართლაც, რაიმე სენი შეგეყაროს. ამდენმა თავის მოკატუნებამ ბებიაც სიკვდილის პირას მიიყვანა. აღსასრულის დღეს ბებია გაზებმა შეაწუხა და შვილიშვილს მშვიდად უთხრა: „ხედავ, დასაკლავი გოჭივით არ ავხმაურდი?“

შვილიშვილი ვერ გარკვეულიყო, დაეჯერებინა თუ არა ბებიის სიკვდილი, ისე კი ფიქრობდა, ასე საშინლად ჯერ არ უთვალთმაქციათ, არც მწუხარებას რაიმე განიცდიდა. მხოლოდ დასაფლავების დღეს ატირდა, ისიც იმიტომ, რომ მის ირგვლივ ყველა იცრემლებოდა. გულში შიში შეეპარა, საკმაოდ გულწრფელი არ ვარ და სიკვდილის წინაშე ვცრუობო.

ზამთრის მშვიდი, მზის სხივებით აელვარებული დღე იდგა. იყო ლურჯი ცა და ჭახჭახა, ყვითლად ალაპლაპებული სუსხი. სასაფლაო ქალაქს ზედ გადმოჰყურებდა და კარგად ჩანდა, როგორ ირეკლებოდა მზის გამჭვირვალე ათინათი ყურეს დაორთქლილ ზედაპირზე. ყურე სველ ტუჩს ჰგავდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყოველივე, რაც გიამბეთ, ალბათ შეუთავსებელი გეჩვენებათ ერთმანეთთან. მართალი ბრძანებაა. იქით, ერთ მხარეს არის ქალი, ვისაც მარტო ტოვებენ და კინოში მიდიან; არის კაცი, ვისაც არავინ უგდებს ყურს; არის სიკვდილი, რომელიც არავის არაფერს მიუტევებს და აქეთ, მეორე მხარეს კი არის განათებული მთელი სამყარო. იქნებ შეგვეთავსებინა ეს ყოველივე ერთმანეთთან? გიამბეთ სამ, ერთმანეთის მსგავს და მაინც ერთმანეთისგან განსხვავებულ ადამიანურ ბედზე — სიკვდილი ყველას ხვედრია, მაგრამ ყოველი ჩვენგანი საკუთარი სიკვდილით კვდება. თუმცა, ყველაფერს რომ თავი ვანებოთ, მზე მაინც გვითბობს ძვლებს.

□

# ანრი მიშო

## მოთხრობები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრანგულიდან თარგმნა როენა ჯენიამ

●

მიშოს პორტრეტი არ მინახავს, მაგრამ რატომღაც მგონია, ნაღვლიანი თვალები უნდა ჰქონდეს. „ამქვეყნად ძალიან ცოტა ღიმილია“, — ამბობს მიშო და თვალები თითქოს ტკივილით, შიშით, მრისხანებით, სასოებით, სიკეთით, სინაზით, ღიმილით და ცრემლით ევსება.

არც მისი ნახატების გამოფენა მინახავს. ჟურნალისტები ამბობენ, ეს ნახატები საოცრად უცნაური, ნატიფი და... ბუნდოვანიაო. მაგრამ ვფიქრობ, მისი სურათებიც ალბათ იმ ურთიერთსაწინააღმდეგო და ერთმანეთში აღრეულ განცდებსა და ფიქრებს გამოხატავს, რითაც აღსავსეა თვით მწერლის არსება; ისეთივეა მისი წიგნებიც.

ფაშიზმი დიდი ლახვარი გამოდგა დასავლეთ ევროპის ლიტერატურისა და ხელოვნებისთვის. მეორე მსოფლიო ომმა წარუშლელი დაღი დაამჩნია მიშოს შემოქმედებასაც. ეს აშკარად იგრძნობა მიშოს ომისდროინდელ ნაწერებში. მიშო წინააღმდეგობის პოეზიის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელია, მაგრამ ომის დროს ნაკლებად იცნობდნენ.

ანრი მიშოს ომმა მძიმე განცდები, მტკივნეული მოგონებები, ღრმა ჭრილობები და გულგატეხილობა დაუტოვა. მის ადგილზე სხვა ალბათ გაექცეოდა ქვეყანას, საკუთარ თავში ჩაიკეტებოდა და კაცთმოძულე გახდებოდა, მაგრამ მეტისმეტად მგრძნობიარე ანრი მიშო კაცთმოძულეობისაგან შორს იყო. ყველა მის ნაწარმოებში უსაზღვრო კაცთმოყვარეობა და სიკეთე გამოსჭვივის. კეთილი და სათნოა მისი პლუმი, ამ ადამიანს მდიდარი სულიერი სამყარო აქვს, მაგრამ ცხოვრებისა არაფერი გაეგება.

თავისი ნაწარმოებების თაობაზე მიშო ამბობს: ისინი მე კი არა, ხალხმა შექმნაო. ამ ნაწარმოებებში თავმოყრილია ადამიანთა გრძნობები, არაფერია ვიწრო სუბიექტური, „მე“ მხოლოდ ერთი უმცირესი ნაწილია მთელისა. მწერალი წერს იმას, რასაც ფიქრობენ და განიცდიან მილიონები.

მიშოზე ახლახან ალაპარაკდა საზღვარგარეთის პრესა. იგი ერთ-ერთ საინტერესო მწერლად მიაჩნიათ, იქნებ იმიტომ, რომ თანამედროვე ევროპელი ხშირად თავის სათქმელს მიშოსა და მიშოსმაგვარ მწერალთა ბუნდოვან წიგნებში ეძიებს. ან იქნებ იმიტომაც, რომ მიშო იმ დროს მოღვაწეობდა, როცა ევროპას ყველაზე საშიში მტერი — ფაშიზმი გაუჩნდა, მიშო კი ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლთა მოწინავე რიგებში იდგა.

**მთარგმნელისაგან**

### პლუმი ჭერზე

Საოცრად დაბნეული იყო პლუმი, ისე დაბნეული, იატაკის ნაცვლად ჭერზე კაიარა.

რომ შეამჩნია, უკვე გვიან იყო.

თავში მოწოლილმა სისხლმა მარწუხივით მოუჭირა, ლამის დამბლა დასცა. აღარ იცოდა, რა ექნა, დაიღუპა კაცი. თავზარდაცემული დაჰყურებდა

იატაკს, რბილ სავარძელს, უფსკრულივით ხახადაღებულ ოთახს, შეიძლება ერჩივნა წყლით სავსე კასრში მჯდარიყო, თუნდაც მგლების ბუნაგში, თუნდაც სკივრში ან სპილენძის ქვაბში, ოღონდ ამ მოცარიელებულ ჭერს არ შერჩენოდა, საიდანაც თავის დაღწევა სიკვდილს ნიშნავდა.

ბედი არ გინდა?! თუმცა როდის იყო ბედი სწყალობდა! ნეტა რითი სჯობია ის ხალხი, არხეინად რომ დააბიჯებენ მიწაზე?

იქნებ სულაც შეძვრეს ამ ჭერში და, ბოლოს და ბოლოს, დაამთავროს ეს ძაღლური წუთისოფელი... მაგრამ ჭერი ქვასავითაა, ვერ გაარღვევ, უკან გადმოგისვრის.

უბედურება რომ გეწევა, არჩევანის დრო აღარაა. რაც ხელთა გაქვს, იმას უნდა დასჯერდე. თავზარდაცემულმა ჭერზე ბრაგუნი ატეხა. ბრენ კლუბიდან მის საძებრად გამოგზავნილებმა მაშინვე დაინახეს ჭერს გაკრული პლუმი.

კიბე აღმართეს და დიდი წვალების შემდეგ უხმოდ ჩამოიყვანეს.

ყველა იმშუშნებოდა, ყველა ბოდიშს უხდიდა. არავინ იცოდა, ვისთვის დაედოთ ბრალი. უქებდნენ ღირსეულ საქციელს, ძლიერ ნებისყოფას, თქვენს ადგილას სხვა სულით დაეცემოდაო, ვერ გაძლებდა, ჩამოვარდებოდა და ხელფეხსაც დაიმტვრევდაო. რა მაღალჭერიანი სახლები აუშენებიათ ომის შემდეგ აქაო! დაბნეული პლუმი კი უხმოდ იწმენდდა დათითხნილ ხელებს.

## პლუმი რესტორანში

პლუმი რესტორანში საუზმობდა. მასთან სასტუმროს პატრონი მივიდა, მკაცრად შეხედა და ხმადაბლა ჩაულაპარაკა: „რასაც თქვენ მიირთმევთ, მენიუში არ გვიწერია“.

პლუმმა მაშინვე ბოდიში მოიხადა:

— იცით, ძალიან მეჩქარებოდა და მენიუ არ მომითხოვია. შემთხვევით ვკითხე, კატლეტი თუ გაქვთ-მეთქი. ვიფიქრე, იქნებ ან აქ, ან მეზობელ რესტორანში ჰქონდეთ-მეთქი. რომ არ მოეტანათ, სხვა რამეს მოვითხოვდი. ოფიციანტს არც გაჰკვირვებია, წავიდა და მაშინვე მომიტანა. ისე კი, რამდენსაც მეტყვით, იმდენს გადავიხდი. ძალიან გემრიელია. არ იფიქროთ, უარი ვთქვა. რომ მცოდნოდა, ასეთი ამბავი მოჰყვებოდა, არც შევაწუხებდი. განა მართლა მშია. ახლავე მოგართმევთ ფულს.

სასტუმროს პატრონი არ განძრეულა. პლუმი შეიშმუშნა, მერე თავი ასწია და დაინახა... მის წინ ფირმის მფლობელი ასვეტილიყო.

პლუმმა იმასაც მოუბოდიშა:

— მეგონა, კატლეტი გქონდათ, მენიუსთვის არც დამიხედავს. უნდა მოგახსენოთ, რომ კარგად ვერ ვხედავ. სათვალეც არა მაქვს თან, მერე კიდევ კითხვისას ძალიან მტკივა თვალები. მოვითხოვე ის, რაც ენაზე მომადგა. იმიტომ კი არა, რომ მიყვარს, არა, უბრალოდ რაღაც ხომ უნდა მეთქვა. ის აქვე ტრიალებდა, არსად წასულა. ყურადღება არ მიმიქცევია, რა მომიტანა. ბოლოს და ბოლოს თქვენ გადაგიხდით ფულს, რაკი აქა ბრძანდებით.

ფირმის მფლობელი ქუშად უმზერდა. ფული რომ გაუწოდა, პლუმმა უფრო მხნედ იგრძნო თავი. მაგრამ უეცრად... პოლიციელის ქურთუკს მოჰკრა თვალი. მის წინ ახლა პოლიციელი იდგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პლუმმა კვლავ ბოდიში მოიხადა.

— ჰოდა, დასასვენებლად შემოვედი აქ. უცბად შემომესმა: „რას მიირთმევთ? იქნებ... აჰ, ერთი ჭიქა ლუდი? კიდევ რა?“ ბრაზიანად შემოღრინა ოფიციანტმა და მეც, რაღაც რომ მეთქვა, წამსვე ვუთხარი: კატლეტი-მეთქი! ჩაფიქრებაც ვერ მოვასწარი, რომ ხელდახელ აი, ეს კატლეტი მომიტანა. ჰოდა, თუ დამავალებთ და ამ საქმეს როგორმე მიაფუჩეჩებთ, ვალში არ დაგრჩებით, — მან ჯიბიდან ასფრანკიანი ამოიღო.

პოლიციელი რომ გაშორდა და პლუმმაც ის იყო გაიფიქრა, მეშველაო, მის წინ ახლა პოლიციის კომისარი გაჩნდა.

პლუმმა ისევ მოიბოდიშა: ამხანაგს უნდა შევხვედროდი, მთელი დღე ამაოდ ველოდი. რაკი ვიცოდი, ამხანაგი ამ გზით დადიოდა სამსახურში, შემოვედი აქ და ფანჯარასთან დავჯექი. თან გავიფიქრე, რაღაცას შევუკვეთავ, ვინ იცის, ცდა კარგა ხანს დამჭირდეს-მეთქი. რომ არავის ეფიქრა, ფული ენანებაო, კატლეტი მოვითხოვე, აბა, ისე ხომ არ ვიჯდებოდი. არც მშიოდა, მაგრამ რაკი საჭმელი წინ მედგა, ჩემდა უნებურად შევექეცი. ისე კი რესტორანში არ დავდივარ, შინ ვსაუზმობ ხოლმე. ადვილად ვიცი აღელვება და ამიტომაც დავიბენი, დაუფიქრებლად მოვიქეცი, სხვა არაფერი მიფიქრია.

მაგრამ კომისარმა ტელეფონით უკვე აცნობა ეს ამბავი უშიშროების მინისტრს. „მიდით და თქვენ თვითონ აუხსენით მინისტრს ყველაფერი, — მიაწოდა ყურმილი პლუმს, — იქნებ როგორმე დაიხსნათ თავი“. პოლიციელმა კი უხეშად ჰკრა ხელი: „არც ახლა გამოტყდებით, ჰა?“ ყველა გარეთ გაიკრიფა, როცა მეხანძრეები შემოვიდნენ რესტორანში. ფირმის მფლობელი პლუმს მიუბრუნდა, დაუღრიალა: „ხედავთ, რა ჩირქი მოსცხეთ ჩემს ფირმას? დამღუპეთ და ეგ არის!“ და დაცარიელებული დარბაზისკენ მიახედა.

მერე ყველანი ერთად დაესიენ პლუმს: „გაფრთხილებთ, სასტიკად დაისჯებით, თუ ყველაფერს გულახდილად არ აღიარებთ. თქვენისთანები გვინახავს, ვერ გაგვაცურებთ! ამგვარი ხრიკებით იწყებენ და მერე საშინელ საქმეებს სჩადიან ხოლმე“.

## მშვიდი კაცი

პლუმმა როგორც კი გაიღვიძა, ხელი იმ მხარეს მოაფათურა, სადაც კედელი ეგულებოდა. გაუკვირდა, ადგილზე რომ არ დახვდა. „უთუოდ ჭიანჭველებმა შეჭამეს“, — გაიფიქრა და ისევ დაიძინა.

ცოტა ხნის შემდეგ ცოლმა შეანჯღრია, ადექი, შე უქნარავ, რა ძილქუში დაგაწვა, სახლი მოგვპარესო. მაღლიდან მართლაც კრიალა ცა დაჰყურებდათ. „ეჰ, მართალი ყოფილა“, — გაიფიქრა პლუმმა და ისევ ძილს მისცა თავი.

გავიდა ცოტა ხანი და რაღაც ხმაური ჩაესმა: მათკენ მთელი სისწრაფით მოქროდა მატარებელი. „ისე მოქრის, მაინც ვერსად გავექცევი“, — გაიფიქრა პლუმმა და კვლავ ჩაიძინა.

მერე სიცივემ გამოაღვიძა. გასისხლიანებული იწვა, მის გვერდით კი ცო-

ლის დაფლეთილი სხეული ეგდო. „სისხლს მუდამ ათასგვარი უბედურება მოსდევს ხოლმე. ამ მატარებელს გვერდი რომ აევლო, ბედნიერი კაცი ვიქნებოდი... ახლა რაღას ვუშველი... რაც მოხდა, მოხდა" — და... ისევ ჩაიძინა.

— ერთი რომ ამიხსენით, — უთხრა პლუმს მოსამართლემ, — რატომ არ უშველეთ ცოლს? მისი გვამი თქვენ გვერდით იპოვეს, სულმთლად დაფლეთილი. შეგეძლოთ ცოლი გადაგერჩინათ, მაგრამ თავი არ შეიწუხეთ. რატომ? აქ ნამდვილად რაღაც იმალება.

— მატარებელი ისე მოქროდა, სად გავქცეოდით, — უპასუხა პლუმმა და ისევ დაიძინა.

— თქვენს სასიკვდილო განაჩენს ხვალ დილით აღასრულებენ. ბრალდებულო, გსურთ თავი იმართლოთ?

— რა ბრძანეთ? მაპატიეთ, ვერ გავიგონე, — მიუგო პლუმმა და კვლავ ძილს მისცა თავი.

## პლუმი მოგზაურობს

პლუმი ვერ იტყვის, მოგზაურობის დროს დიდი ყურადღებით და თავაზით მექცევიანო. ვინ უბოდიშოდ გადააბიჯებს, ვინ არხეინად შეაწმენდს ხოლმე ხელებს პიჯაკზე. ბოლოს და ბოლოს პლუმი ყველაფერს შეეგუა. მოგზაურობის დროს ცდილობს არავინ შეაწუხოს, თავმდაბლად, თავაზიანად მოიქცეს.

რომელიმე ჭირვეულმა ოფიციანტმა თეფშით კარგა მოზრდილი ფესვი რომ მოუტანოს და უთხრას: „ჭამეთ, რაღას ელოდებით?" „კი, ბატონო. ახლავე გეახლებით", — ეტყვის ის, ტყუილუბრალოდ ხომ არ ასტეხს აურზაურს.

ღამე რომ არ გაათევინონ, რომ უთხრან: „როგორ, ასე შორი მანძილიდან დასაძინებლად ჩამობრძანდით? ახლავე წაიღეთ თქვენი ბარგი-ბარხანა და მოუსვით აქედან, ყველაზე კარგი წამალი სიარულია". „კი, ბატონო... რასაკვირველია, ვიხუმრე. ხუმრობა არ იცით?" — და პლუმიც იქაურობას გაეცლება.

მატარებლიდან რომ ჩამოსვან: „თქვენა გგონიათ, მთელი სამი საათი მატარებელი იმიტომ თბება, რვა ვაგონი იმიტომ არის გადაბმული, რომ თქვენი ხნის ჯან-ღონით სავსე კაცი ათრიოს, რომელიც აქ უფრო გამოდგება? რატომ მიემგზავრებით? განა იმიტომ გათხარეს გვირაბები, დინამიტით ააფეთქეს კლდეები, ათასობით კილომეტრზე ლიანდაგი დააგეს, განა იმიტომ გაკეთდა ეს ყველაფერი, რომ..." „კი, ბატონო, ყველაფერი გასაგებია. თვალის გადასავლებად ამოვედი, ახლავე ჩავალ. დიდად გმადლობთ". და თავისი ბარგით გზას გაუდგება.

რომში კოლიზეის ნახვა თუ მოინდომა:

„აჰ! არა, არა, რასა ბრძანებთ, მოუვლელია, ხელს ვერაფერს ახლებთ, ვერ დაეყრდნობით, ვერც დაჯდებით, ირგვლივ მხოლოდ ნანგრევებია. ეს ჩვენთვის კარგი მაგალითია, მომავალში უფრო გონივრულად მოვიქცევით, თუმცა, მგონი, უკვე გვიანიც არის, არა?" „კი, ბატონო, მე მხოლოდ საფოსტო ბარათი მინდოდა, ან ფოტო, იქნებ... თუ ოდესმე..." და პლუმი დაუთვალიერებლად დატოვებს ქალაქს.

გემის კაპიტანმა რომ შეამჩნიოს და თქვას:

„ამას აქ რა უნდა? გემზე, მგონი, დისციპლინა მოიკოჭლებს. ახლავე ტრიუმში ჩააბრძანეთ. აბა, ჩქარა!“ თვითონ კი გაეცალოს იქაურობას სტვენა-სტვენით და პლუმმა მთელი გზა ჯანჯღარში გაატაროს. იგი ხმასაც არ გაიღებს, არ დაიჩივლებს. ამ დროს იმ საწყალ ხალხზე იფიქრებს, რომელსაც მოგზაურობის საშუალება არა აქვთ, მაშინ როცა თვითონ დაუსრულებლად მოგზაურობს და მოგზაურობს.

## პლუმს თითი ასტკივდა

პლუმს თითი ასტკივდა.

— ექიმთან წადი, — ურჩია ცოლმა. — მალამოს გამოგიწერს და მოგირჩება.

პლუმმა ექიმს მიაშურა.

— უნდა მოგაჭრათ, — არც აცია, არც აცხელა ექიმმა, — გაგიყუჩებთ და ექვს წუთში მოგკვეთთ. აბა, რად გინდათ მდიდარ კაცს ამდენი თითი. ძალიან გამახარებთ, თუ ამ პატარა ოპერაციის მე მომანდობთ. ახლავე გაჩვენებთ ხელოვნური თითის რამდენიმე ნიმუშს. ზოგი მართლაც სრულყოფილია. ცოტა ძვირია, მაგრამ ფული რა ბედენაა, ყველაფერს კარგად გავაკეთებთ.

პლუმი ნაღვლიანად დაჰყურებდა თავის თითს, ბოლოს წაილუღლუღა:

— ექიმო, ეს ხომ საჩვენებელი თითია. უამისოდ დედაჩემს წერილს როგორღა მივწერ. შეეშინდება წერილი რომ დავუგვიანო. რამდენიმე დღეში გამოვივლი. ხომ იცით, ქალები ძალიან მგრძნობიარენი არიან, ყველაფრისა ეშინიათ.

— ამაზე ნუ შეწუხდებით. — უთხრა ექიმმა, — აი, სუფთა ქაღალდი. ორიოდე სიტყვით მისწერეთ, როგორ ხართ, თავს როგორ გრძნობთ, სხვა არაფერი. დედას გაეხარდება. მე კი ამასობაში საავადმყოფოში დავრეკავ, საოპერაციოდ ყველაფერი მოამზადონ. ახლავე დავბრუნდები.

მართლაც მალე დაბრუნდა.

— ყველაფერი რიგზეა, გველოდებიან.

— მომისმინეთ, ექიმო, — დაიწყო პლუმმა, — ხომ ხედავთ, ხელი მიკანკალებს, ახლა არ შემიძლია... მერე იყოს...

— კი, მართალი ბრძანდებით, — თქვა ქირურგმა, — სჯობს არ მისწეროთ. ქალები საოცრად სათუთები არიან, განსაკუთრებით დედები, ყოველთვის ჰგონიათ, რომ რაღაცას უმალავენ, მეტადრე თუ ვაჟიშვილს შეეხო საქმე. სულ პატარა რაღაცაზე ერთ ალიაქოთს ატეხენ. მათ თვალში ყოველთვის პატარები ვართ. აი, თქვენი ჯოხი და ქუდი. მანქანა გველოდება.

ისინი საოპერაციოში შევიდნენ.

— ექიმო, მომისმინეთ, მე მართლაც...

— ოჰ, — შეაწყვეტინა ექიმმა, — ნუ ღელავთ, მეტისმეტად კეთილსინდისიერი ყოფილხართ. კარგით, მე დაგაწერინებთ წერილს. ოპერაციის დროს მოვიფიქრებ რამეს. — და პლუმი დააძინა...

— მე რატომ არ მკითხე რჩევა, — უთხრა ცოლმა პლუმს. — იქნებ გგონია, დაკარგული თითი ხელახლა გაგეზრდება. არ მიყვარს სახიჩარი კაცები.

ხეიბარს ჩემი იმედი ნუ გექნება, ტყუილად გგონია, უდრტვინველად ჩამოვიდგები მხარში. ადრე უნდა გეფიქრა...

— მომისმინე, — უთხრა პლუტმა, — მომავალი ნუ შეგაწუხებს, ცხრა თითი კიდევ დამრჩა, თან იქნებ შენც შეგეცვალოს ხასიათი.

## კედლიდან გამოსული თავი

ჩვეულებად მაქვს საღამოობით, ვინემ ძალიან მოვიქანცები, შუქი ჩავაქრო.

რამდენიმე წუთის შემდეგ, როცა ჯერაც იმედი მაქვს, ვინმეს ვუხმობ ან ვიღაცა მოვა-მეთქი ჩემთან, კედლიდან რის ვაივაგლახით გამოძვრება ხოლმე ტკივილით გატანჯული უზარმაზარი თავი და ჰაერში დაეკიდება (მე მას უფრო ვგრძნობ, ვიდრე ვხედავ).

ეს თავი კარგა ხანია, როგორც წესი, წყვდიადიდან გამოდის ხოლმე.

მე მგონი, ეს ჩემი მტანჯველი სიმარტოვეა, რომელსაც ქვეშეცნეულად ვცდილობ გავექცე, თუმცა არ ვიცი, როგორ გავექცე, და თვითონაც ვერ გამიგია, რად მეუფლება მის დანახვაზე გაოცების გარდა უდიდესი სიამოვნებაც.

თავი კი არსებობს, თავისი ცხოვრებით ცხოვრობს. გამოჩენისთანავე საოცარი სისწრაფითა და სიჯიუტით აწყდება ჭერსა და ფანჯრებს.

საბრალო თავი!

მაგრამ სიმარტოვეს რომ დაუსხლტე, სული აფორიაქებული არ უნდა გქონდეს, სულიერი მოთხოვნილებანი სანახაობით არ უნდა შემოფარგლო.

ზოგჯერ ჩემი უწონადო, გამხმარი სხეული, რომელსაც შევიგრძნობ და რომელიც ძალიან განსხვავდება ჩემი ნამდვილი, უფრო მოძრავი, მოქნილი, სრულყოფილი სხეულისაგან, ასევე გაუთავებლივ და ჯიუტად ეხეთქება კარსა და კედლებს.

ყველაზე მეტად მომწონს, სარკიან კარადას რომ მივასკდები ხოლმე.. როცა დიდი ბრაგუნ-ბრახუნის შემდეგ ბოლოს და ბოლოს მის სიღრმეს ვაღწევ, ზეადამიანური კმაყოფილება მეუფლება.

მტაცებელ ცხოველებზე და ფრინველებზე მეტად შმაგი და სწრაფი ვხდები, ჩემი აღტყინება ენით არ აიწერება.

ზოგჯერ კი დავფიქრდები და გაოცება მიპყრობს: ამდენი ბრაგუნის შემდეგ სარკეს ერთი ბზარიც არ დარჩენია, ხეს ჭრიალი არ გაუღია!

## მუხა

ერთ მაღალ მუხას გადავეყარე. ძალიან იტანჯებოდა, ოთხი ფოთოლიღა შერჩენოდა: ორი მთლიანად გაყვითლებული, ორიც სიყვითლემეპარული. ირგვლივ არავინ მტრობდა, არც არავინ ეჯიბრებოდა პირველობაში. ეგ იყო, ერთ პარაზიტს მოეკალათებინა მის გულში.

მივედი, გულიდან გამეტებით ამოვგლიჯე სისხლისმწოველი და შორს მოვისროლე, მკვდარი ფოთლებიც მოვაცილე!

ამბობენ, მუხა გამძლეაო, მაგრამ არა, იგი ვეღარასოდეს დაიბრუნებს წინანდელ ძალასა და სიმტკიცეს. თუმცა თვითონ კი ამისა არაფერი ეცოდინება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## როცა მოტოციკლეტები ჩნდებიან დასალიერზე

საოცრად მიყვარს მოტოციკლეტი, ისე სწრაფად ჩაგიქროლებს, თვალს ძლივსღა მოჰკრავ. აღფრთოვანებული შევცქერი, როგორ გამიელვებს ხოლმე თვალწინ და ცისკიდურში ჩაინთქმება. სინანულისმაგვარ გრძნობას მიტოვებს, ოცნებებში გადამიგდებს ხოლმე.

ასეთი სილამაზე ხესთან ფეხაწეულ ძაღლებსაც ოცნებას მოჰგვრის, ჩვენ კი ყველაფერს გვავიწყებს, ფანჯარას მივადგებით და ჩვენ წინაშე გაშლილ უსაზღვრო ცისკიდურს გავცქერით.

## ჯალათი

ასეთი სუსტი მკლავების პატრონი ჯალათად ვერასოდეს ვივარგებ, თავს ვერავის მოვკვეთ ხეირიანად. ჩემი დარტყმული ნაჯახი სიკვდილმისჯილის კისრის ძვლებს კი არა, ხორცსაც ვერას დააკლებს.

ერთხელაც ერთი კაცი უნდა დაესაჯათ. ამ კაცს თეთრი, ნაზი კისერი ჰქონდა. ანაზდად მე გავახსენდი თურმე ყველას, ისიც ხომ ჯალათიაო. სიკვდილმისჯილი კარზე მომაყენეს და მიბრძანეს, მოკალიო.

მისმა წვრილმა, გრძელმა კისერმა, ყველივით რომ უნდა გადაჭრილიყო, ლამის მაცთუნა, მაგრამ თავი მაინც შევიკავე, ზრდილობიანი უარი განვაცხადე და მადლობაც მოვახსენე ასეთი პატივისათვის.

სულ მალე კი ვინანე, მაგრამ გვიანი იყო: რიგითმა ჯალათმა მოჰკვეთა თავი, მოჰკვეთა როგორც ყველას, არც შეუმჩნევია, სხვებისგან რით განსხვავდებოდა.

გული ძალიან დამწყდა და თავს ვუსაყვედურე, ასე ნაუცბათევად, ანგარიშმიუცემლად რატომ ვთქვი-მეთქი უარი.

## ჩემი პატარა ცხენი

ერთი კვიცი გამოვზარდე, ჩემს ოთახში დაკუნტრუშობდა, მართობდა ფრიად. თავდაპირველად ვშიშობდი, ნეტავ როგორი დადგება, როცა გაიზრდება-მეთქი; მაგრამ გამიმართლა ამაგმა, ახლა ჩემი კვიცი ორმოცდაცამეტი სანტიმეტრია, თუმცა ისე ჭამს და ინელებს საჭმელს, როგორც კაი დიდი ცხენი. ოღონდ ელიენმა კი გააჭირა საქმე. კვიცისგან მოსვრილ იატაკს რომ დაინახავს, გუნებაზე ვეღარ არის, ძარღვები ეშლება.

რამდენჯერ არ ავუხსენი, ამ პატარა კვიცმა აბა იმდენი რა უნდა მოათხროს-მეთქი, მაგრამ ვერ გავაგებინე... მით უარესი მისთვის — არც ღირს მასზე ლაპარაკი.

მე სულ სხვა მაწუხებს — ერთ დღეს ჩემს კვიცს უცნაური ცვლილება შევამჩნიე. ერთ საათში თავი გაუსივდა, ფერდები გაებერა, ზურგი მოეხრიკა და დაუმრგვალდა, მერე ბალანი აებურძგლა და ფანჯრიდან შემოჭრილმა ქარმა აუშალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეჰ, ხომ არ შევცდი, ასე რომ გადავყევი ამ კვიცს? განა პატარა ცხენი ასე შლის ფაფარს ქარის დაბერვაზე? — ვეკითხებოდი ჩემს თავს.

ამდენი ღამის თევა და ზრუნვა წყალში რატომ ჩამყროდა! არადა, რა ძალიან ვუფრთხილდებოდი ჩემს კვიცს. თვალის ჩინივით ვუვლიდი, თაგვებს არ ვაკარებდი, ახალგაზრდულ ვნებათა ღელვისაგან ვიფარავდი. ზოგჯერ თვითონვე გრძნობს, პატარა რომ არის და საოცრად განიცდის, იბნევა, ახურების ხანს კუნტრუშში და გაუთავებელ, სასოწარკვეთილ ჭიხვინს მოჰყვება ხოლმე.

მეზობელი მდედრები — ძაღლები, ქათმები, კვიცები, თაგვები დგანან და შესცქერიან, მაგრამ არც ერთს არ სურს თავი გასწიროს... რატომ მაინცდამაინც მე თანავუგრძნოო, ფიქრობს თვითეული და დღემდე ყველანი გაურბიან.

ჩემი პატარა ცხენი ხან ნაღვლიანად მიმზერს, ხანაც მრისხანედ, მაგრამ განა ჩემი ბრალია? განა მე რა შემიძლია?

## ჩემი სიცოცხლე შეწყდა

მივცურავდით მე და შუაგული ოკეანისა. ანაზდად ქარი ამოვარდა და ოკეანემაც მაშინვე თავისი უსაზღვრო მედიდურობის, თვისი უსასრულო სიმარტოვის ნიღაბი ჩამოიცილა.

ძლიერად დაქროლა ქარმა და ჩემი სიცოცხლეც სამუდამოდ შეწყდა, გათავდა.

ნაშუადღევის ციებ-ცხელების ჟამს მოხდა ეს ამბავი. მეტად უცნაური შმაგი დღე იყო, ძვირფასი არსება სამუდამოდ რომ მიგატოვებს, აი, ისეთი.

ეს უსასრულო, იდუმალი წუთი იყო, როს ადამიანის ხმასა და ფიზიკურ არსს ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე ახშობს დამშეულ მიკრობთა გმინვა.

დრო თითქოს დაიძრა, მისი ყოველი წუთი და წამი თანდათანობითა და უსასრულოდ აირია ერთმანეთში, მეც გავეხვიე ჟამთა ქაოსში, რომელმაც ნელი-ნელ ჩამითრია და გამაქანა სიღრმისაკენ, უსასრულობისაკენ.

□

# სადეყ ჰედაიათი

## ბრმა ბუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოთხრობა

სპარსულიდან თარგმნა **თენგიზ ჩუხელავამ**

●

თანამედროვე ირანის საზოგადოებრივ ცხოვრებასა და ლიტერატურაში სადეყ ჰედაიათს (1903—1951) განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. იგი ყველაზე პოპულარული სპარსელი მწერალია, როგორც ირანში, ისე მის ფარგლებს გარეთაც. ს. ჰედაიათის ნაწარმოებების მიხედვით იწერება სიმფონიები, იდგმება სპექტაკლები, იღებენ ფილმებს.

ფართო, მრავალმხრივი ინტერესების მქონე ს. ჰედაიათი ირანის კულტურის ისტორიაში შევიდა როგორც გამოჩენილი სწავლული-ფილოლოგი, სპარსული მხატვრული პროზის ფუძემდებელი და აღიარებული ოსტატი. არის ნაწარმოებები, რომელთა მოყოლა ძნელია, ზოგჯერ შეუძლებელიც.

ს. ჰედაიათის მოთხრობა „ბრმა ბუ“ მკითხველს ნაწარმოების გმირის, მხატვრის, შინაგანი სულიერი დინამიკის ჯადოსნური აღწერით ხიბლავს.

**მთარგმნელისაგან**

არის ტკივილი, რომელსაც ვერაფერს მოუხერხებ, კეთრივით შეგიჯდება, დაგიმარტოხელებს და მერე ნელა ჭამს და ცვეთს ნაიარევ სულს. გულისნადებს ვერც ვერავის გაუზიარებ, რადგან უმრავლესობას ეს ტანჯვა-წვალება შემთხვევით, დაუჯერებელ ამბად მიაჩნია და თუ ვინმე გაბედავს, იტყვის ან დაწერს ამის შესახებ, ადამიანები დამკვიდრებული აზრისა და გამომუშავებული შეხედულების თანახმად ეჭვის თვალით აღიქვამენ ასეთ მკრეხელობას.

არადა, კაცობრიობა უძლურია, ჯერ ვერაფერი მოუნახავს, ეს ტკივილი გააყუჩოს. რჩება მხოლოდ ღვინო და ნარკოტიკებით გამოწვეული ძილი. ეს თავდავიწყება დროებითია და როცა ნარკოტიკები კარგავენ ზემოქმედებას, წუთიერ შვებას კვლავ ენაცვლება გაორკეცებული ტკივილი და ტანჯვა-წვალება. შეუძლებთ კი ოდესმე ჩაწვდეთ იმ საოცარ და აუხსნელ გრძნობათა საიდუმლოს, სულიერი მდგომარეობის გაორებას, რომელიც ადამიანს ეუფლება ძილ-ღვიძილის თუ სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე.

ერთი ამბავი მინდა გიამბოთ. ამ საზარელმა შემთხვევამ ისე შემაძრწუნა, რომ მისი გახსენება დღესაც მიწამლავს სიცოცხლეს. საწამლავი რა სათქმელია, მაგრამ ისე კი ამ შემთხვევამ მძიმე დაღი დაასვა მთელ ჩემს ცხოვრებას. შევეცდები, მეხსიერებაში აღვადგინო ამ ამბის ყველა წვრილმანიც კი და ქაღალდზე გადავიტანო. იქნებ ამ გზით საქმე დამში მოვიყვანო, რაში მენაღვლება, ვინ რას იტყვის, მთავარია, თვითონ ვიყო გულდა-

---

იბეჭდება შემოკლებით.

ჯერებული. მხოლოდ იმის მეშინია სიკვდილმა არ დამასწროს, სანამ ჩემი თავის შეცნობას შევძლებ. ცხოვრებაგამოვლილი კაცის გამოცდილებამ დამანახა ის თვალჩაუწვდენელი უფსკრული, რაიც ჩემსა და სხვა ადამიანებს შორის ყოფილა.

დავრწმუნდი, რომ განუმება სჯობს, სანამ შესაძლებელია, უნდა ითმინო, სხვას არ გაანდო შენი ფიქრები. ახლა თუ აზრი შევიცვალე, ეს ჩემი აჩრდილის დამსახურებაა, რომელსაც თავი უნდა გავაცნო. ეს ის ჩრდილია, კედელზე რომ გართხმულა და მადიანად ნთქავს ჩემს ნაწერს. ცდა ბედის მონახევრეა — იქნებ ერთმანეთს გავუგოთ კიდეც. მას შემდეგ, რაც ადამიანებთან ყოველგვარი კავშირი გავწყვიტე, მსურს უკეთ შევიცნო ჩემი თავი.

სისულელეა! თუნდაც ეგრე იყოს, მაგრამ ის უფრო მაწუხებს, რომ ადამიანები, რომლებიც მე მგავანან სურვილებითა და მისწრაფებებით, ნუთუ მხოლოდ იმიტომ არიან გაჩენილნი, რომ მომატყუონ? ნუთუ ეს აჩრდილები ქვეყანას იმიტომ მოევლინნენ, რომ პირში ჩალა გამომავლონ ან აბუჩად ამიგდონ?

ნუთუ ყველაფერი, რასაც ვხედავ, ვგრძნობ, გამსჯელ-განკითხვის საგნად გამიხდია, მხოლოდ ფანტაზიის ნაყოფია და მას სინამდვილესთან საერთო არაფერი აქვს?

ანთია ნათურა, კედელზე ჩრდილი გართხმულა და ეს ნაწერიც მისთვის არის განკუთვნილი, რადგან ერთმანეთი უნდა გავიცნოთ. ამ ბილწ, ტალღუმალურ და გაჭირვებულ ქვეყანაში ერთხელ გამიკრთა მზის შუქი. ასე მეგონა, მაგრამ მივტყუედი, მზის სხივი კი არა, ცას მოწყვეტილი ვარსკვლავის მკრთალი ციალი იყო. იგი ქალის, ანგელოზის სახით მომევლინა და მის ათინათზე მაშინვე დავინახე ჩემი ცხოვრების ავ-კარგი და მყისვე, ეს ხომ ასეც უნდა მომხდარიყო, სიბნელეში გაუჩინარდა. თვალსა და ხელს შუა გამომეცალა, მოლანდებასავით გაქრა, ვერ დავისაკუთრე.

სამი თვე, არა, ორი თვე და ოთხი დღეა, რაც უგზო-უკვლოდ გაქრა, მაგრამ რა დამავიწყებს მის ჯადოსნურ, ნაპერწკლიან თვალებს, მან ხომ წარუშლელი კვალი დატოვა ჩემს ცხოვრებაში.

მისი სახელის ხსენებაც მიჭირს. რა საერთო აქვს ამ მდაბალ, ბილწ სამყაროსთან მის წერწეტა, სიფრიფანა, ღრუბლით საქსოვ ტანს, გაოცებულ, ბოციმციმე თვალებს, რომელთა ალმა დამწვა და დამდაგა. არ ეგების ამ ღვთაებრივი სახელის მიწიერთან მოხსენიებაც კი. მის გამო ყველას ჩამოვცილდი, არც ბედნიერებში ვეწერე და არც ბრიყვებში. მხსნელად ღვინო და ოპიუმი მომევლინა. გამოვიკეტე ჩემი ოთახის ოთხ კედელს შუა, დრო რომ მომეკლა, მთელ დღეებს კალამდანების მოხატვას ვანდომებდი, ან ღვინოს ვსვამდი, თრიაქს ვეწეოდი.

ბედად ჩემი სახლი ქალაქგარეთ, მშვიდ და უხმაურო უბანში მდებარეობდა, ამქვეყნიურ ამაოებას, ვნებათა ღელვას მოცილებული ყოფილი. უკაცრიელ ადგილას გაშენებული ჩემი სახლის ირგვლივ სანგრევებია და მხოლოდ თიხრილის გადაღმა ჩანან ალიზის ქოხმახები. მერე იწყება ქალაქი. ადრე ჩემი გართობა და სიხარული კალამდანების მოხატვა იყო. ოთხ კედელს შუა გამოკეტილს სხვა თავშესაქცევი არაფერი მქონდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ის თვალები ვნახე, ყველაფერი ერთ წერტილზე გაიყინა — ყოველგვარმა მოძრაობამ, მოქმედებამ დაკარგა აზრი და მნიშვნელობა, გაუფასურდა. გასაოცარი ის არის, რომ თვითონ ვერ ამიხსნია, ასე რად ჰგვანდნენ ერთმანეთს ჩემი ხილვები, ჩემი ხილვების თემატიკის ერთნაირობა? თავიდანვე ვხედავდი საროს, რომლის ქვეშაც აბაში გახვეული კუზიანი მოხუცი ფეხმორთხმით იჯდა, თავზე ჩალმა შემოეხვია, გაკვირვების ნიშნად მარცხენა ხელის საჩვენებელი თითი ჰქონდა მიდებული ტუჩებზე. ტანმაღალი, შავსანი ქალიშვილი პატარა ნაკადულზე გადახრილიყო და ამ კუზიან მოხუცს, ინდოელ იოგს რომ ჰგავდა, ცისფერ ლოტოსს აწვდიდა. სიზმარეთიდან მოდიოდა ეს სცენა. თუ ადრე სადმე მქონდა ნაცად-ნახული, ვერაფერს ვიტყვი. თუმცა ერთი კია, ჩემი კალამი ნებსით თუ უნებლიეთ ამ სიუჟეტს დასტრიალებდა. ჩემდა გასაოცრად, კალამდანებს მუშტარი არ აკლდა, ჩემს კალამდანებს ინდოეთში ბიძაჩემი ყიდდა და ფულს მიგზავნიდა. მეხსიერება მღალატობს, გადაჭრით ვერაფერს ვიტყვი, ეს სცენა ჩემთვის ახლობელიც არის და შორეულიც. ახლა კი, როცა აღვადგინე, ჩემს მეხსიერებაში ერთი ეპიზოდი გაცოცხლდა და გადავწყვიტე, მოგონებები დამეწერა. თუმცა ეს ამბავი ბევრად უფრო გვიან მოხდა და ამ თემასთან საერთო არაფერი აქვს. ამ შემთხვევამ ხატვაზე ხელი ამაღებინა. მას შემდეგ ორი თვე გავიდა, არა, ორი თვე და ოთხი დღე. ნოუ რუზის დღესასწაულის მეცამეტე დილა გათენ-

და. ყველა, დიდი თუ პატარა, ქუჩაში გამოფენილიყო და ქალაქგარეთ, ბუნების წიაღისაკენ მიისწრაფოდა. ფანჯარა მოვხურე, რომ მშვიდად მეხატა. საქმით გართულმა ვერ შევამჩნიე, მზე უკვე გადაწვერილიყო. უცებ კარი გაიღო და ბიძაჩემი შემოვიდა. ადრე იგი არ მენახა — ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა გაემგზავრა შორეულ ნაოსნობაში, ამბობენ, გემზე კაპიტნად იყო და ვაჭრობდა კიდეცო. ვიფიქრე, ალბათ [illegible]ებულად მოვიდა-მეთქი. ერთი სიტყვით, ბიძაჩემი გაცრეცილი, ინდური დოლბანდით [illegible]ბული კუზიანი მოხუცი გამოდგა. მხრებზე ფარაფარად ნაქსოვი გახუნებული ყვითელი აბა მოეგდო, სახე ისე შეეფუთა, მეჩხერი წვერიღა უჩანდა. ნახსნილი საკინძიდან ბალნიანი მკერდი მოუჩანდა. ტუჩგაპობილ მოხუცს ჩაწითლებული, წირპლიანი თვალები ჰქონდა. ჩვენ შორის რაღაც შორეული, სასაცილო მსგავსება იყო, თითქოს ჩემი გამოსახულება მრუდ სარკეში დამენახოსო. მამაჩემიც ასეთი გარეგნობის კაცად წარმომედგინა. ბიძაჩემმა კუთხეში მოირთხა ფეხი. გამასპინძლება დავაპირე, ხატვას ხელი წამოვავლე და ბნელ საკუჭნაოში გავედი. ბიძაჩემისათვის საკბილოს ვეძებდი, თუმცა კარგად მახსოვდა, სახლში აღარც სიგარეტი იყო და აღარც დასალევი. უცებ თითქოს რაღაცამ მიბიძგაო, ზედა თაროს ავხედე და თვალი მოვკარი მათარას, მემკვიდრეობით რომ მქონდა მიღებული და აღარც მახსოვდა. ამბობენ, მე რომ ქვეყანაზე გავჩენილვარ, ამ მოვლენის აღსანიშნავად შიგ ძველი ღვინო ჩაუსხამთ. მათარის ჩამოსაღებად სკამზე შევდექი და ჰაერის გასანიავებლად კედელზე გამოჭრილი სარკმლიდან გადავიხედე. სახლის იქით აშოლტილი კვიპაროსის უკან მდგარი კუზიანი მოხუცი დავინახე. ვიღაც ქალიშვილი, არა, ციით მოვლენილი ანგელოზი, ცისფერ ლოტოსს აწვდიდა მოხუცს, რომელიც საჩვენებელი თითის ფრჩხილს იკვნეტდა. ქალიშვილი ჩემ პირდაპირ იდგა. ეტყობოდა, ირგვლივ ვერავის ამჩნევდა. მისი გონება სხვაგან ქროდა. ამ ჯადოსნურმა, შემაძრწუნებელმა მზერამ, შიშნაჭამმა, შავბედიანმა, შეუბრალებელმა თვალებმა წაიტაცეს ჩემი ნათელი. ჩემი ცხოვრების სხივი ამ მოელვარე თვალ-მარგალიტების სიღრმეში შთაინთქა. ნებაწართმეული და მონუსხული ვიყავი. შავი თმა უწესრიგოდ ჩამოშლოდა მწყაზარ სახეზე. კულულები საფეთქლებზე მიჰკროდა. ნაზი აგებულება, სათუთი, ნარნარი მიხვრა-მოხვრა მისი ჰაეროვნების და ეფემერულობის დასტური იყო. ასეთი ლაღი, ძალდაუტანებელი მოძრაობა კერპთაყვანისმცემელთა ტაძარში მოცეკვავე ინდოელ ქალს თუ ხელეწიფება. ნაღვლიანი და მწუხარე იერისას ღიმილში სევდა-კაეშანი გამოკრთოდა, გლახ-მოკვდავისა არა ეცხორა. მისი მომაჯადოებელი სილამაზე მხიბლავდა, როგორც ზმანება, ოპიუმით გაბრუებულ კაცს რომ გაუჩნდება ხოლმე.

ტანზე წვრილნაკეცი შავი კაბა ეცვა. მომეჩვენა, იმ რუზე უნდოდა გადახტომა, მოხუცს რომ აშორებდა, მაგრამ ვერ შეძლო. ამ დროს მოხუცმა ხმამაღლა გაიცინა, მაგრამ სახეზე ძარღვიც არ შეტოკებია. ეს იყო შემზარავი, გულის გამგმირავი, დამთრგუნველი ხარხარი.

ღვინით სავსე მათარას ხელი ჩავავლე და აღელვებული სკამიდან იატაკზე ჩამოვხტი. რატომღაც კანკალი ამივარდა. შიშისაგან ვკახკახებდი და თან მიხაროდა, თითქოს სასიამოვნო და საშინელი სიზმრიდან გამოვფხიზლდიო. მათარა იატაკზე დავდგი და თავზე ხელები შემოვიწყვე. რამდენი წუთი, რამდენი საათი გავიდა? არ მახსოვს. როცა გონს მოვედი, ღვინით სავსე მათარას ხელი დავავლე და ოთახში შევედი. ბიძაჩემი წასულიყო, კარს მიცვალებულივით დარჩენოდა პირი ღია, მაგრამ მოხუცის გესლიანი სიცილი კვლავ ყურს მჭრიდა.

ბინდდებოდა. სანათი ხრჩოლავდა, ისევ ვგრძნობდი, ტანში შემზარავი, მაგრამ საამო ჟრუანტელი მივლიდა. ამ დღიდან შეიცვალა ჩემი ცხოვრება. ამ ციით მოვლენილი ანგელოზის, მომხიბლავი, თვალწარმტაცი ქალიშვილის ერთი შემოხედვა საკმარისი იყო, რომ წარუშლელი შთაბეჭდილება დაეტოვებინა ჩემზე, მოენადირებინა ჩემი გული, თავგზა აებნია. მეჩვენებოდა, მისი სახელი ადრევ ვიცოდი. მისი ჯადო თვალები, იერსახე, სურნელება, მოძრაობა ჩემთვის უცხო არ იყო. თითქოს ერთი ფესვიდან, ერთი ძირიდან ვიყავით ამოზრდილები და ამიტომაც მომხდარიყო ჩვენი შერწყმა, შეერთება. ამქვეყნად მის გვერდით უნდა ვყოფილიყავი, მაგრამ სიახლოვე აუცილებელი არ იყო, ჩვენი სხეულთა უხილავი ალიც კმაროდა. საოცარი აქ არაფერია, რომ ერთი ნახვით ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, თითქოს დიდი ხნის ნაცნობები ვიყავით და ჩვენ შორის იდუმალი კავშირიც გაება. განა ასე არ მოსდის ყველა მიჯნურს? ამ ბედისლ ქვეყანაში სხვისი სახელის გაგონებაც არ მინდოდა, მხოლოდ მისი სიყვარული მწყუროდა. განა ვინმეს შე-

ქალი ჩემზე რამე ზეგავლენა მოეხდინა? მოხუცის შემზარავი, გესლიანი ხარხარი? აკი სწორედ იმ შემაძრწუნებელმა, ბილწმა ხარხარმა დაგვაშორა.

მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს, ფიქრები მომეძალა, რამდენჯერმე წამოდგომა და სარკმლიდან გადახედვა დავაპირე, მაგრამ მოხუცის ხარხარით ვიყავი დათრგუნული. მეორე დღესაც იგივე აზრი ამეკვიატა. შეუძლებელი კი მის ნახვაზე უარის თქმა? კიდევ ერთი დღე მოიწურა, ბოლოს გავბედე. შიშითა და ძრწოლით ღვინიან მათარას ხელი დავავლე და თაროზე შესადგმელად წავიღე. მაგრამ როცა საკუჭნაოში [illegible] ოთხკუთხა სარკმელი აღარ დამხვდა. სარკმლის ნაკვალევიც კი არსად [illegible] მივე-დექი, კედელს მუშტები დავუშინე. მერე ლამპის შუქზე გულმოდგინედ შევათვალიერე, მაგრამ ტყვიადქცეულ კედელს ვერც ვერაფერი დავაკელი და ერთი პატარა ჭუჭრუტანაც ვერ აღმოვაჩინე. თავის შეკავება აღარ შემეძლო. მთელი ქვეყანა შევძარი, ძებნა, თვალთვალი, მოკითხვა, ლოდინი არ დამიკლია, მაგრამ ამაოდ,— ვეღარსად ვნახე, თითქოს ცამ ჩაყლაპაო, ჩემი სახლის გარშემო ყველაფერი გადავაბრუნე. ერთი და ორი დღე კი არა, ორი თვე და ოთხი დღე ვეძებე. როგორც მკვლელი მიიწევს ხოლმე ბოროტმოქმედების ადგილისაკენ, მეც თითქოს რაღაცა ძალა მიბიძგებდა. მზის ჩასვლიდან ჩემი სახლის გარშემო თავმოჭრილ ქათამივით ვტრიალებდი. ქვა, ქვიშა-ღორღი გადავქექე. მაგრამ არც კვიპაროსი, არც რუ და არც ის ადამიანები ჩანდნენ, რომლებიც აქ ადრე დავინახე. არა ერთი და ორი ღამე გავატარე მიწაზე მუხლმოყრილმა, ვევედრებოდი ხეებს, ქვებს, მთვარეს, სწორედ იმ მთვარეს, რომელსაც შეიძლება ისიც შესცქეროდა. ვემუდარებოდი, შველას ვთხოვდი ყველა სულიერს, მაგრამ მისი ნიშან-კვალიც კი გამქრალიყო. ბოლოს მივხვდი, ტყუილ-უბრალოდ გავისარჯე. რა საერთო ჰქონდა მას მიწიერ ამბებთან? მაგალითად, თავს ის განსაკუთრებული, უცხო წყაროს წყლით იბანდა, რომელიც სათავეს ჯადოსნური გამოქვაბულიდან იღებდა. განა მისი ტანისამოსი ჩვეულებრივი ბამბის ან შალის ქსოვილისაა ან ადამიანის ხელით ნაკერი? დარწმუნებული ვარ, ის ლოტოსი უბრალო ყვავილი არ იყო. სახეზე რომ წყალი შეესხურებინა, პირის კანი დაუჭკნებოდა. ნაზი, გრძელი თითებით ჩვეულებრივ ლოტოსს რომ შეხებოდა, მაშინ ეს თითები ვარდის ფურცლებივით ჩამოსცვივოდა. მივხვდი, ეს ქალიშვილი, არა, ეს ანგელოზი ჩემი შთაგონების, აღმაფრენის წყარო იყო. დამიმონა, ქედი მოვიხარე მის წინაშე. დარწმუნებული ვარ, უცხო კაცის ერთი შეხედვა საკმარისი იყო, რომ იგი ნაზი ყვავილივით ჩამომჭკნარიყო.

ამ ღვთაების დაკარგვის შემდეგ, მას მერე, რაც ჩვენს შორის ყრუ, ბნელი, ჩატყვიებული, ნესტიანი კედელი აღიმართა, მივხვდი, რომ ცხოვრებას დაეკარგა ეშხი და ლაზათი. ის დიდი სიამოვნება, რომელიც განვიცადე, უპასუხოდ დარჩა, რადგანაც მან ვერ დამინახა. მე კი როგორ მჭირდებოდა მისი თვალები! ერთი მისი გამოხედვაც კი საკმარისი იყო, რომ ყველა ფილოსოფიური სიძნელე გადამეჭრა, ერთი მისი გამოხედვა და ყველა საიდუმლოებას ფარდა აეხდებოდა!

ეს დღე იყო და ეს დღე- კიდევ უფრო მივეძალე ღვინოს და თრიაქს. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ გზით მეხსიერება კი არ დამიჩლუნგდა, აზროვნების უნარი კი არ დამეკარგა. პირიქით, ყოველდღე, ყოველ წამს მისი სახე, მისი ტანი თვალწინ უფრო მკაფიოდ მედგა.

განა შემეძლო მისი დავიწყება? ძილში თუ ცხადში, შინ თუ გარეთ მისი სახე მუდამ თვალწინ მედგა. ეს ზმანება კუნაპეტ ღამესავით შემოსწოლოდა ჩემს ტვინსა და გონებას. თავგზააბნეულს ხან საკუჭნაოში გამავალ, ღრიჭოდ დატოვებულ, მოგუდულ კარში გამომეცხადებოდა და ხანაც ქუჩისპირა ფანჯრის ჩარჩოში. დავთრები სულ მთლად ამერია. სიმშვიდე დავკარგე. უცნაური ჩვეულება დამჩემდა — ყოველ საღამოს სასეირნოდ წასვლა. რატომღაც დარწმუნებული ვიყავი, იმ რუს, კვიპაროსს და ლოტოსს ვიპოვიდი; ოპიუმივით შევეჩვიე ამ სეირნობას, თითქოს რაღაც ძალა მეწეოდა. გზაში მხოლოდ მასზე ვფიქრობდი, მახსენდებოდა ის ადგილი, სადაც პირველად ვნახე ნოვრუზის მეცამეტე დღეს. იმ ადგილისათვის რომ მიმეგნო, იმ კვიპაროსის ძირშიც რომ ჩამოვმჯდარიყავი, სულს მოვითქვამდი, დავმშვიდდებოდი. აფსუს! გახურებული ქვიშის, ნაგვის, ცხენებისა და ძაღლების გახრწნილი ლეშების გარდა, იქ სხვა არაფერი იყო. ნეტავი ნამდვილად კი შევხვდი მას? არა, მხოლოდ საკუჭნაოს ბედნავს სარკმლიდან ქურდულად შევავლე თვალი. მშიერი ძაღლივით ვიყავი, ნაგავში რომ იქექება, მენაგვის გამოჩენისთანავე შეშინებული რომ გარბის, იმალება და მოგვიანებით კვლავ მოძუნძულდება. იქნებ ნაგავსაყარში რამე დაითრიოს და პირი ჩაიტკბარუნოს. ერთ ბეწვზე ვიყავით ეს ძაღლი და

მე. სარკმელი ცხვირწინ დამიკეტეს. ასე მეგონა, ქალიშვილი ცოცხალი ვარდების თაიგულივით ნაგვის გროვაზე გადააგდეს. იმ უკანასკნელ საღამოს ჩვეულებისამებრ სასეირნოდ რომ გამოვედი, ცა მოქურუშებულიყო, წვიმდა, ჯანღი ჩამოწოლილიყო და ყველაფერი დაეფარა. შვება ვიგრძენი, თავისუფლად ამოვისუნთქე, თითქოს წვიმამ ჩამორეცხა მწარე, ნაღვლიანი ფიქრები. იმ საღამოს მოხდა ის, რაც არ უნდა მომხდარიყო. მარტოდმარტო უაზროდ დავაბიჯებდი. რამდენი საათი ვიხეტიალე ასე, არ მახსოვს. [illegible] ღრუბლებსა თუ კვამლის მიღმა გარკვევით დავინახე მისი შემზარავი, უსიცოცხლო სახე, ისეთი, ყალამდანზე რომ იყო დახატული.

როცა შინ დავბრუნდი, შუაღამე კარგა გადასული იყო, ისეთი ჯანღი ჩამოწვა, თვალთან თითს ვერ მიიტანდა კაცი. რაღაც განსაკუთრებული ალღოთი მივხვდი, რომ სახლის წინ ვიღაც უნდა ყოფილიყო. მართლაც, შესასვლელთან საკუზე შავებში გამოწყობილი ქალი იჯდა.

საკეტის ჭუჭრუტანის დასანახად ასანთს გავკარი. ჩემდა უნებურად მზერა შავოსნისაკენ გამექცა, თუმცა თვითონ ჩემკენ არ იცქირებოდა. პირხმელ ფერმიხდილ სახეზე შავი, ჯიდა თვალები დავინახე. წინათაც რომ არ მყოლოდა, მაინც ვიცნობდი. არა, არ შევმცდარვარ, ეს შავოსანი ნამდვილად ის იყო. თავი სიზმარში მეგონა. საგონებელში ჩავვარდი, ადგილზევე გავხევდი, ველარ გამეგო, ჩემს თავს რა ამბავი იყო. ასანთის ღერი ბოლომდე ჩაიფერფლა და თითები დამწვა. ამ დროს უცებ გონს მოვედი, გასაღები გადავატრიალე და კარი გაიღო. გვერდზე გავდექი, თითქოს გზა იცოდაო, საკუდან წამოდგა, ბნელი დერეფანი გაიარა და ოთახის კარი შეაღო. მეც შევყევი. აღელვებულმა სწრაფად სანათს მოვუკიდე და დავინახე, რომ იგი ჩემი საწოლისაკენ გაემართა და ჩაწვა. სინათლე ისე ეცემოდა, მისი სახე არ ჩანდა. არ ვიცი, ის თუ მხედავდა ან ჩემი ხმა თუ ესმოდა, როგორც ჩანს, არც გაძალიანებას აპირებდა და არც რამის შიში ჰქონდა, თუმცა არც თავისი ნება-სურვილით მოსულსა ჰგავდა.

იქნებ შეუძლოდ შეიქნა ან გზა აებნა?

ძნელია იმის აღწერა, რაც მაშინ განვიცადე. ეს იყო სიამოვნების მომგვრელი ტკივილი, საამო ვარამი, ადამიანის გულს სალბუნივით რომ დაედება ხოლმე. არა, არ შევმცდარვარ, ნამდვილად ის ქალიშვილი იყო. მოულოდნელად, უსიტყვოდ შემოვიდა ჩემს ოთახში. ჩვენი პირველი შეხვედრა სწორედ ასე მქონდა წარმოდგენილი. ვერ გავიგე, რა ძილქუში დამაწვა. რა მომივიდა?

მხოლოდ ღრმა ძილს მიცემული ადამიანი თუ ნახავს ასეთ გრძელ და უკიდეგანო სიზმარს. ეს მდუმარება მარადისობის ტოლფასი იყო, რადგან მარადისობა უტყვია. ჩემთვის იგი უპირველეს ყოვლისა ქალი იყო, ვინაც საკვირველი და წარმტაცი. მის დანახვაზე ვკანკალებდი და მუხლები მეკვეცებოდა. ამ დროს ცნობიერებაში გაცოცხლდა ჩემი ბედუკუღმართი ცხოვრების მძიმე, ნაღვლიანი სურათები. ასე მეგონა, ამ ცრემლით ჩამობანილ მარგალიტებით, ჯიდა თვალებით შესცქეროდი ჩემს ცხოვრებას. ჩავეშვი, ჩავეძირე ამ შავ, კუნაპეტ ღამესავით უძირო თვალებში. მათ ვეძიებდი და როცა ვიპოვე, კიდეც ჩავიკარგე საშიშელ, ჯადოსნურ წყვდიადში. ძალა მელეოდა, ფეხქვეშ მიწა ზანზარებდა, სუნთქვაშეკრული გულისფანცქალით შევცქეროდი, კვამლივით ან ბურუსივით არ გამქრალიყო. ჩვენ შორის მისი დუმილი ზღუდესავით, ბროლის კედელივით აღიმართა. დროის შეგრძნება დამეკარგა, აღარც მახსოვს, წუთი გავიდა თუ საუკუნე. სული ვერ მოვითქვი, კინაღამ გავიგუდე. მის ნატანჯ თვალებში სხივი თანდათან ჩაქრა, თითქოს რაღაც ზებუნებრივს, თვით სიკვდილს მისწვდნენო. თვალები ნელ-ნელა დაეხუჭა.

ბევრი ტანჯვა-წვალების შემდეგ სამშვიდობოს გამოსულ წყალწაღებულივით ვკანკალებდი. შუბლზე ოფლი ღვარად ჩამომდიოდა და სახელოთი ვიწმენდდი. მას ჩვეულებრივი წყნარი და უსიცოცხლო გამომეტყველება ჰქონდა, მაგრამ უფრო გამხდარი და ჯანგაცლილი ჩანდა. იწვა და მარცხენა ხელის საჩვენებელ თითს კბილებით ჩაფრენოდა. მთვარის ნათელი დასდგომოდა. ტანზე მჭიდროდ შემოტმასნილ თხელ შავ კაბაში ბროლად გამოკვეთილი მკერდი, მკლავები და წვივები უჩანდა. დავიხარე. მინდოდა უკეთ დამენახა, მაგრამ თვალები დახუჭული ჰქონდა. ჩავცქეროდი, ვაკვირდებოდი მის სახეს და ვხედავდი, რომ იგი ჩემგან სადღაც შორს იყო. არ ვიცოდი, რა აწუხებდა, გულში რა ედო, ვიგრძენი, ჩვენ შორის არავითარი კავშირი არ არსებობდა. მინდოდა რამე მეთქვა, მაგრამ შემეშინდა, ზეციურ, საამო ჰანგებს შეჩვეულ ყურთასმენისათვის ჩემი ხმა უსიამოვნო

და შეურაცხმყოფელი არ გამხდარიყო. გავიფიქრე, ხომ არ შია, ან ხომ არ წყურია-მეთქი. საკუჭნაოში გავედი, თუმცა იქ არაფერი მეგულებოდა. უცებ გამახსენდა თაროზე შემოდგმული ძველი მამაპაპისეული ღვინო. სკამი მივიდგი, ღვინით ჩამოვიღე და ფეხაკრეფით საწოლს მივუახლოვდი. ილაჯგაწყვეტილი, ქანცმილეული ბავშვივით ეძინა. გრძელი ხავერდოვანი წამწამები დაეხარა. ბოთლს თავი მოვხადე და კრიჭაშეკრულს კბილებს შუა ფრთხილად ღვინო ჩავასხი. ცხოვრებაში პირველად ვგრძნობდი ასეთ საოცარ სიმშვიდეს. დახუჭულ წამწამებს რომ ვუყურებდი, ასე მეგონა, ჩემი ტანჯვა და წვალება სადღაც გაქრა და მაჯლაჯუნასავით აღარ მაწვა გულზე ცხოვრება.

სკამი მივიდგი მის სასთუმალთან და სახეში ჩავაშტერდი. საოცრად მეტყველი, ბავშვური სახე ჰქონდა. განა შეიძლებოდა ასეთი სახემშვიდი ქალი, ქალიშვილი, ტანჯული ანგელოზი (სახელიც კი არ ვიცოდი) თვალთმაქცი, ორპირი ყოფილიყო?

ახლა შევძელი მისი ტანის სითბო მეგრძნო, მისი შავი, მძიმე ნაწნავების ცვრიანი სურნელით დავმტკბარიყავი. აკანკალებულმა ხელი ავწიე, რატომღაც ხელი არ მემორჩილებოდა, თავზე გადავუსვი, საფეთქელზე ჩამოშლილ დალალს მივესიყვარულე. თმა ნამიანი და გრილი ჰქონდა, ცივი, სულ ცივი, თითქოს რამდენიმე დღის წინ სამუდამოდ მიიძინაო. არა, არ შევმცდარვარ, იგი უკვე ამ ქვეყანას აღარ იყო, მკერდზე ხელი დავადე- გულისცემა აღარ ისმოდა. ცხვირთან სარკე მივუტანე, არ დაორთქლავს.

იქნებ მის გათოშილ ტანში ნაღვრილი სიკვდილის სიცივე მე გავენაწილე და სანაცვლოდ ჩემი სითბო შთამებერა? მხოლოდ ასე თუ შევძლებ მის ყალიბში ჩემი სულის გადავუყვანო. ტანისამოსი შემოვიგლიჯე და გვერდზე მივუწექი. ჩვენი სხეულები სიყვარულის მცენარე მანდრაგორას დედალ-მამალი ფესვებივით ერთმანეთს შეეწყვილდა. მის სხეულს კიტრის ნაფცქვენის გემო ჰქონდა. ზამთარივით გაყინული სხეული. ვიგრძენი, ძარღვებში სისხლი მეყინებოდა და სიცივე გულის სიღრმემდე აღწევდა.

ჩემი ცდა ამაო გამოდგა. წამოვდექი, ჩავიცვი. არა, ეს გრძნობათა მცდარობა, ჰალუცინაცია არ ყოფილა. აქ, ჩემს ოთახში შემოვიდა, ჩემი სარეცელი გაიზიარა, მომენდო.

სანამ ამქვეყნად იყო, მისი ცხოველმყოფელი სიცოცხლით სავსე თვალები ჩემს სატანჯველად იყვნენ გაჩენილნი. ახლა კი ვნებადაცლილი, უსიცოცხლო, თვალებდახრილი შემოვიდა და ჩამბარდა.

ეს ის ქალია, ვინც სიცოცხლე გამიმწარა. ჩანს, ჩემი ბედი ეს ყოფილა, ასეთი განწირული, მოძულებული სიცოცხლე მხვდა წილად. ახლა ამ ოთახში ჩამაბარა თავისი სხეულიც და აჩრდილიც. მისი სუსტი, დევნილი სული, რომელსაც ამ ქვეყნის მკვიდრებთან არაფერი ჰქონდა საერთო, განერიდა დაჭმუჭნულ შავ კაბას, მოსცილდა მოძალადე, სისხლისმწოველ, მტანჯველ გარსს და გადაფრინდა მოხეტიალე აჩრდილების სამყაროში. ჩემი აჩრდილიც თან გაიყოლა. მისი უსიცოცხლო, უძრავი სხეული აქ დარჩა. ნაზი, ნატიფი ნაკვთები და ძვლები გაიხრწნებოდნენ, მიწაში მათ ჭიაყელები ელოდნენ. ამ მწირ, გახრეკილ, საფლავივით გამოცვეთილ და გამოქარიელებულ ოთახში ბნელი, დაუსრულებლად გრძელი ღამე უნდა გამეტარებინა მის უსიცოცხლო სხეულთან. მეჩვენებოდა, რომ რაც თვალი ავახილე და პირში სული მედგა, ეს უძრავი, ცივი სხეული ბნელით მოსილ ოთახში მუდამ ჩემ გვერდით იყო.

ტვინი გამეყინა. უცნაური, სრულიად ახალი სიცოცხლე ჩამესახა. ჩემს ცხოვრებასა და გარე სამყაროს, მის მოციმციმე აჩრდილებს შორის ხიდი გაიდო. ღრმა, განუყოფელი კავშირი დამყარდა ჩემსა და ბუნებას შორის. უხილავი ძაფებით დაიქსელა მანძილი ჩემსა და ყოფიერებას შუა. ამ ქსელში მაღალი ძაბვის დენი გაეშვათ. ფიქრით, აზრით ჩემთვის არ არსებობდა აუხდენელი ოცნება. ...ვრად გამიიოლდა უძველესი ფილოსოფიური ტრაქტატების გაშიფვრა, უძველესი ხელნაწერების ნიმუშების საიდუმლოებათა ამოცნობა. ამიტომაც დედამიწისა და ციურ სხეულების ბრუნვის თანაზიარი, მცენარეებისა და ბალახების ზრდის, ცხოველების მოძრაობის მონაწილე ვიყავი. წარსული და მომავალი, შორეული თუ ახლობელი გაერთიანდა და ჩემს სულიერ ცხოვრებაში ყველამ დაიდო ბინა.

ასეთ დროს ადამიანი თავისი ყველაზე იდუმალი გრძნობებისა და მისწრაფებების სადავეს მიუშვებს ხოლმე. ხმის მოყვარული ნუნუას მიეძალება. მწერალი იხნავს. მოქანდაკე საჭრეთლით ქვას იმორჩილებს — თითოეული ცდილობს გამოხატოს გულისნადები. თავისი [illegible]. სწორედ ამგვარი სულიერი ალმაფრენის ჟამს ქმნიან [illegible]

შედევრებს. მე კი, საწყალ კაცს, რომელსაც ყალამდანების მოხატვით გაჰქონდა თავი, რა უნდა შემექმნა? ჩემი ფიქრი ხომ სულ ერთ სიუჟეტს დასტრიალებდა? ერთადერთ სურვილს დაეპყრო ჩემი არსება — ეს სამუდამოდ დახუჭული თვალები ქაღალდზე გადამეტანა და სახსოვრად შემენახა. რაღაც გრძნობამ მაიძულა საქმეს შევდგომოდი — ეს გადაწყვეტილება სისრულეში მომეყვანა, ყოველივე უნებლიეთ მოხდა — მე ხომ [illegible] ტყვე ვიყავი. ეს რომ გავიაზრე, ამაზე ფიქრმაც კი სიამოვნება მომანიჭა.

ბოლოს აწრიალებული ლამპა ჩავაქრე და სასთუმალთან ორი სანთელი ავანთე. ნახევრად ჩამობნელებული ოთახი იდუმალებისა და არარეალობის ბინდბუნდში ჩაიძირა. მოციმციმე სანთლის შუქზე ქალის სახე უფრო დამშვიდებული მეჩვენა. სახატავად გავემზადე, რაც კი აუცილებელი იყო, მოვიმარჯვე და ტახტთან ჩამოვჯექი. ეს ხომ ახლა მისი საწოლი იყო. მინდოდა ქაღალდზე გადამეტანა ხრწნადაწყებული სხეულის უსიცოცხლო ფორმები. მინდოდა სურათისათვის სული ჩამედგა, ადრე ხომ ყალამდანების გარდა არაფერი მომიხატავს, ახლა ფუნჯით უნდა გადმომეცა ჩემი ფიქრები, სურვილები, მისწრაფებები, ჩემი სანუკვარი ოცნება, ყოველივე ეს ეთერული, იდუმალი და მიუწვდომელი, რითაც მისმა იერ-სახემ მომწამლა. ერთხელაც უნდა დავტკბე მისი სახის მზერით. დავხუჭო თვალი და ქაღალდზე გადავიტანო, რაც მეხსიერებას შემორჩა, ეს კი ალბათ ბალზამით მოეცხება ჩემს დევნილ სულს. ბოლოს და ბოლოს ასე შევეხიზნები უმოძრაო ხატებისა და ფორმების სამყაროს.

ეს სიუჟეტი კარგად შეესატყვისებოდა ჩემს სტილს, საერთოდ მიცვალებულთა მხატვარი ვიყავი, მაგრამ მისი თვალები, დახუჭული თვალები... თვალწინ ისედაც ცოცხლად მედგა. მაშ, რაღა საჭიროა მათი ხელახლა ხილვა?

აღარც მახსოვს, გათენებამდე მისი სახე რამდენჯერ დავხატე. არც ერთი არ მომეწონა, ყველა დავხიე. დრო შეუმჩნევლად გასულიყო. დაღლილობა არც მიგრძვნია.

ალიონმა მოაწია, ოთახში ფანჯრებიდან მკრთალი შუქი ჩამოიღვარა. ვხატავდი და მეჩვენებოდა, რომ ახლა უკეთ გამომდიოდა. მაგრამ მისი თვალები?! ისე შემომჩერებოდნენ, თითქოს ჩემი ცხოვრება პირთამდე ცოდვა-ბრალით ყოფილიყო სავსე. ვერ იქნა და ვერ დავხატე თვალები. ყველა ცდა უშედეგო იყო, ამაოდ დავცქეროდი სახეზე, ვერაფრით გავიხსენე თვალები. უცებ შევამჩნიე, ლოყები შეეფაკლა, თანდათან ფერი მოსდიოდა. საყასბოში გამოდებული ხორცივით შეუწითლდა სახე. გამოცოცხლდა, ფართოდ გახელილ თვალებში სიცოცხლის სხივი აუთინათინდა. საყვედურის მზერა მომაპყრო და კვლავ დახუჭა თვალები. პირველად [illegible], შემომხედა. ეს ერთი წამიც საკმარისი აღმოჩნდა, რომ ამ თვალების საიდუმლოს ჩავწვდომოდი და ქაღალდზე გადამეტანა. ამჯერად ნახატი აღარ დამიხევია. წამოვდექი, ფეხაკრეფით მივუახლოვდი... მომეჩვენა, რომ მკვდრეთით აღსდგა, კვლავ ცოცხალია, ჩემმა სიყვარულმა სული ჩაუდგა. მიახლოებისას ხრწნადაწყებული სხეულის სუნი მეცა, ტანზე ჭია-ღუა დახვეოდა. სანთლის შუქზე ორი მოყვითალო ბუზანკალიც გავარჩიე. არა, ის ნამდვილად მკვდარი იყო. არ ვიცი, მომეჩვენა თუ ნამდვილად ასე იყო, მაგრამ თვალი კი გაახილა! ნუთუ მართალია? არ მინდა ასეთი შეკითხვა მომცენ. როგორიც მისი სახე გახლდათ. თვალები მე მეკუთვნოდა უკვე, რადგან მათი სული, არსი ქაღალდზე უკვე გადატანილი მქონდა. ტანთან კი არაფერი მესაქმებოდა. ახლა, როცა კი მოვისურვებდი, შემეძლო მისი თვალები მენახა. ნახატი თუნუქის ყუთში ფრთხილად ჩავდე და საკუჭნაოში დავმალე.

ღამე ფეხაკრეფით მიიპარებოდა. ეტყობა, ძალიან დაღლილიყო. შორიდან რაღაც ხმები ისმოდა. ან ფრინველმა წამოიყვირა ძილში და ან წამოზრდილი მცენარეები [illegible] აცნობდნენ, წამოვიზარდეთ, ღონემიხდილი, ფერმკრთალი ვარსკვლავები ღრუბლებს იქით გადაიკარგნენ. სახეზე დილის ნიავის სუნთქვა მომწვდა. სადღაც შორს მამალმა იყივლა.

მიცვალებულს რა მოვუხერხო? ჯერ ვიფიქრე, ჩემს ოთახში დამეკრძალა. შემდეგ გადავწყვიტე გარეთ გამეტანა და ჩამეგდო ჭაში, რომლის გარშემო ცისფერი ლოტოსები ჰყვაოდა. ყველაფერი კარგად უნდა ამეწონ-დამეწონა, რადგან არავის არ უნდა დაენახა. ეს კი არც ისე იოლი საქმე გახლდათ, მით უმეტეს, რომ ყველაფერი მე, მხოლოდ მე უნდა გამეკეთებინა. საკუთარ თავზე არ ვდარდობდი, ეშმაკმა წაიღოს ჩემი თავი და ტანი. მაგრამ მისი ცხედარი კი არავინ არ უნდა ენახა, ჩემთან მოვიდა, თავისი ცივი სხეული, თავისი აჩრდილი ჩამაბარა, რათა სხვას არ ენახა, უცხო თვალს არ შეებღალა.

ბოლოს გადავწყვიტე, მისი ტანი ასო-ასო ამეჭრა, ძველ ჩემოდანში ჩამეწყო, სახლი-დან გამეტანა და სადმე შორს, სადაც ვერავის თვალი ვერ მასწვდებოდა, წამეღო და დამეკრძალა.

საწერნადან ძვლისტარიანი დანა გამოვიტანე. ფრთხილად გავჭერი შავი ძაძა, რომელიც შიშველ ტანზე ობობას ქსელივით შემოტმასნოდა. ახლა უფრო მაღალი ჩანდა, თითქოს ტანი აიყარაო. ჯერ თავი მოვჭერი, კისრიდან სქლად შედედებულმა სისხლმა დაიწყო დენა. შემდეგ ხელ-ფეხიც მოვაჭერი, მერე ყველაფერი ჩემოდანში ჩავალაგე. ზედ შავი კაბა წავაფარე, ჩემოდანი დავკეტე და გასაღები ჯიბეში შევინახე. საქმე რომ მოვათავე, შვებით ამოვისუნთქე. ჩემოდანი ავწიე. მძიმეა, ისედაც ილაჯგაწყვეტილს ამ ჩემოდნის წაღება გამიჭირდება-მეთქი, გავიფიქრე.

ცა მოიქუფრა. წამოწვიმა. ოთახიდან გავედი, გარეთ სულიერი არ ჭაჭანებდა. თვალ-ჩაციებით ვიცქირებოდი და ბოლოს მოშორებით, ჯანღიან-ბურუსიანი ფარდის მიღმა, კვიპაროსის ხის ძირას წელში მოკუზული მოხუცი დავლანდე. მისკენ ნელა გავემართე. ჯერ სიტყვაც არ მქონდა ნათქვამი, რომ მოხუცმა ისე გადაიხარხარა, თმა ყალყზე დამიდგა.

— მებარგული ხომ არ გინდა? მიცვალებულის გასასვენებელი ეტლიც მზად მაქვს. მიცვალებულებს შაჰ აბდოლ აზიმში ყოველდღე გადავზიდავ. კუბოებს ვუმზადებ. მხოლოდ ზომა მითხარი, თუნდაც ახლავე გაგიმზადებ!

ისე ხმამაღლა იცინოდა, რომ მხრები უთამაშებდა. ხელი სახლისაკენ გავიშვირე.

— ვიცი თქვენი სახლი, ახლავე...

მოხუცი წამოდგა. მე შინ შევბრუნდი, ძლივს მოვიტანე ჩემოდანი კარამდე. სახლთან უკვე იდგა მიცვალებულის გასასვენებელი ძველი დანჯღრეული ბალდახინი, რომელშიც ორი გაძვალტყავებული ცხენი ება. კოფოზე წელმოკაკული მოხუცი იჯდა, ხელში შოლტი ეჭირა. ჩემკენ არც იყურებოდა. ეტლში ჩემოდანი ძლივძლივობით ავიტანე. მერე მეც ავბობღდი და იქ, სადაც კუბოს დგამენ ხოლმე, გავიშოტე. ჩემოდანი მკერდზე დავიდე, ხელები მაგრად შემოვხვიე, გულში ჩავიხუტე, თავი შემაღლებულ ადგილზე მედო, რომ არაფერი გამომპარვოდა.

შოლტმა გაიტკლაშუნა და ეტლიც დაიძრა. ცხენები მძიმედ სუნთქავდნენ, ნესტოებიდან ამოვარდნილი ორთქლი ნესტიან ჰაერს კვამლის ბოლქვებივით ერთვოდებოდა. ცხენები აუჩქარებლად და ფრთხილად ადგამდნენ ჩლიქივით ხმელ, გაძვალტყავებულ ფეხებს, რომ ქურდობისათვის წოვკვეთილ და აღუღებულ კუბოში ნაზრდელ ხელებს მაგაგონებდნენ. ცხენთა მოსართავზე ჩამოკიდებულ ეჟვანთა ყრუ ჟღარუნი ისმოდა.

გასაოცარი სიმშვიდე დამეუფლა. ყველაფერს გამოვეთიშე. მხოლოდ მკერდზე ვგრძნობდი ჩემოდნის სიმძიმეს.

მისი გვამი, მისი სხეული... თითქოს ეს სიმძიმე მუდამ გულზე მაწვა. ჯანღით ჩა-მოშავებული დღე იყო. ეტლმა სწრაფად მოატოვა ნთელი, ველები, მდინარეები. თვალწინ ჩაიქროლა უცხო ბუნების სურათებმა, რომლის მსგავსი არც სიზმარში მენახა და არც ცხადში. ციცაბო მთები, გზები... აქეთ-იქით ჩარიგებული საკვირველი ტანდაბალი, დაწყევლილი ხეების მიღმა ნაცრისფერი სამკუთხა სახლები ჩანდა. ზოგ შენობას კუბის ან პრიზმის ფორმა ჰქონდა. მათი ჩამავალი უშუშო ფანჯრები სიცხიანი ავადმყოფის ალგზნებულ თვალებს მაგონებდა. ეს სახლები ისე პირქუში, ისე ცივი მეჩვენა, რომ სხეული გამეყინა. აქ ძეხორციელი ვერ იცხოვრებდა. ალბათ რომელიღაც უცხო არსებათათვის აეშენებინათ.

ეტლმა უჩვეულო გზით მიგვიყვანა. არა, ამას გზა არც ეთქმოდა. ალაგ-ალაგ ჯირკვ-ზე, ალაგ კიდევ მოღრეცილ-მოღრეცილი ხეები ეხვიდებოდა. დაბლა და მაღლა ფრენ-მოღრეცილ-ჩაკეცილებიანი, გაურკვეველი გეომეტრიული ფორმის სახლები ჩანდა. სახლების კარებსა და კედლებზე ცისფერი ლოტოსები ეხატა. ეს პეიზაჟი ჩემს წარმოსახვას ხშირმა და-წვრილმა წვიმამ დაუშვა. ცოტა ხნის შემდეგ ეტლი უკაცრიელ მთის ძირში შეჩერდა. სა-დაც არც წყალი იყო და არც რამე ხარობდა. მკერდიდან ჩემოდანი გადმოვიღე და წა-მოვდექი.

მთის უკან ლარტყაფერ მოჩუქურთმდა. ირგვლივ სიჩუმე სუფევდა. ეს ადგილი მეცნაურა, თუმცა აქამდე არასოდეს მენახა. ბილიკზე მშვენიერი უსუნო ლოტოსები ხარობდა. ჩანდა, ძეხორციელს აქაც ფეხი არ დაედგა. ეტლიდან ჩემოდანი გადმოვიღე და მიწაზე დავდგი. მოხუცი მეეტლე მომიბრუნდა:

— შენ აბდოლ აზიზი იქნები. ამაზე უკეთეს ადგილს ვერ იპოვი. ჩიტიც კი ვერ შემოფრინდება. ასე არ არის?

გასამრჯელოსათვის ხელები ჯიბეში ჩავიყავი. ორი ყირანი და ერთი აბასი აღმომაჩნდა. მეეტლეს სიცილი აუვარდა:

— არა უშავს, მერე იყოს. ვიცი, სადაც ცხოვრობ. ჩემთან კიდევ რა საქმე გაქვს? საფლავის გათხრაც შემიძლია. არ მომერიდო. მდინარესთან ჩავიდეთ [illegible] ხის ძირას ჩემოდნის ზომაზე საფლავს გავთხრი.

ჩემდა გასაოცრად მოხუცი ეტლიდან მკვირცხლად ჩამოხტა, მე ჩემოდანი ავიღე და ორივემ დამშრალი მდინარის ნაპირას მდგარ კვიპაროსს მივაშურეთ.

— აი, აქ აჯობებს, — მითხრა მოხუცმა.

პასუხს არც დაელოდა, ისე დაიწყო ორმოს თხრა წერაქვითა და ნიჩბით, რომლებიც თან წამოეღო. ჩემოდანი მიწაზე დავდგი, გაოცებული შევცქეროდი. წელში მოხრილი მოხუცი გამოცდილ მესაფლავესავით ირჯებოდა. უცებ მოჭიქულ ლარნაკს წააწყდა, აიღო და ჭუჭყიან ცხვირსახოცში გაახვია:

— ესეც ორმო! ზუსტად ჩემოდნის ზომაზე გავთხარე.

ჯიბეში ხელი ჩავიყავი, რომ ფული მიმეცა. ორი ყირანისა და ერთი აბასის მეტი ვერაფერი ვიპოვე. მოხუცმა სიცილი დამაყარა:

— არა უშავს, ვიცი, სადაც ცხოვრობ. შრომის საფასურად ლარნაკი ვიპოვე, უძველეს ქალაქ რეის მკვიდრთა ყვავილების ლარნაკია.

წელში არც გასწორებულა, ახარხარდა. მხრები უკანკალებდა. ჭუჭყიან ცხვირსახოცში გახვეული დოქი იღლიაში ამოიდო და ეტლს მიუახლოვდა, კოფოზე მკვირცხლად ახტა. შოლტმა გაიტკაცუნა და ცხენები მძიმედ დაიძრნენ. მოსართავებზე ჩამოკიდებული ეჟვნების ჟღარუნმა ნესტიანი ჰაერი გააპო. თანდათან ყველაფერი სქელი ნისლის ფარდის იქით გადაიკარგა.

როგორც კი მარტო დავრჩი, თავისუფლად ამოვისუნთქე, თითქოს დიდი ლოდი მომშორდა გულიდან, საოცარი შვება ვიგრძენი. მივიხედ-მოვიხედე. ბორცვებსა და მოცისფრო მთების შუაგულში პატარა ლარტაფში მოუყვებოდა. აქვე დამშრალი მდინარის შესართავი იყო. მთებზე მსხვილი აგურით აგებულ შენობათა ნანგრევები ჩანდა. მყუდრო, უკაცრიელი ადგილი იყო, გახარებული ვიყავი, ვფიქრობდი: როცა ეს თვალმეცვცხლია საუკუნო ძილიდან გამოფხიზლდებოდა, ამაზე უკეთეს ადგილს ვერც ინატრებდა, რადგან ცოცხლებსაც დაშორებული იქნებოდა და გარდაცვლილებსაც. იგი ხომ სიცოცხლეშივე განმარტოვდა, ყველას დაშორდა.

ჩემოდანი ფრთხილად ავწიე და ზუსტად მის ზომაზე გათხრილ ორმოში ჩავუშვი, კიდევ ერთხელ მინდოდა თვალი დამეკრა, ჩემოდანში ჩამეხედა. მივიხედ-მოვიხედე. სულიერი არ ჭაჭანებდა. ჯიბიდან გასაღები ამოვიღე, ჩემოდანი გავაღე. როცა შავი კაბის ნაწიბური გადავწიე, მოფუთფუთე მატლებიდან და შედედებული სისხლიდან ორი შავი, უზარმაზარი სხივგამქრალი თვალი შემომაცქეროდა. ამ თვალებში ჩაიმარხა ჩემი სიცოცხლე. სწრაფად დავხურე ჩემოდანი, დავაყარე მიწა, მერე ფეხით დავტკეპნე. ცისფერი ლოტოსები დავრგე. საფლავის კვალი რომ წამეშალა, ქვები დავაყარე. სხვა კი არა, მეც ვეღარ მივაგნებდი, იქაურობა ისე მივასწორ-მოვასწორე.

ეს საქმეც რომ მოვათავე, ტანისამოსზე დავიხედე: დამსვროდა, ზოგან სისხლი შემხმობოდა. თავს ორი ბუზანკალი დამტრიალებდა, ტანზე მატლები დამხვეოდა. საყელოზე სისხლიანი ლაქები ნერწყვით დავასველე, ბევრი ვხეხე, მაგრამ ლაქა უფრო გაიფინა და ჩამუქდა. ვიგრძენი, მწებარე სისხლისაგან ტანში სიცივემ დამიარა.

მზე ჩასასვლელად გაემზადა. უნებლიეთ გავუყევი ბალდახინის ნაკვალევს. როცა სინათლემ იკლო, კვალი დამეკარგა. უმიზნოდ, უგზო-უკვლოდ მივაბიჯებდი ბნელ ღამეში. რა მნიშვნელობა ჰქონდა, სად მიმიყვანდა ეს ბილიკი? სამუდამოდ დაიხუჭა, ჩაქრა ჩემი გზის მანათობელი ორი თვალი და ამიტომ ახლა სულერთი იყო, სად და როგორ ვიპოვიდი თავშესაფარს.

გარშემო ისეთი სიჩუმე იყო, თითქოს ჩემ გარდა ყველას სამარის ძილით ეძინა. უსულო საგნების ანაბარა დავრჩი, დამფრთხალად ისინი მომეფერნენ. მე და ბუნებამ ერთმანეთს გავუგეთ. ხიდი გაიდო ჩემსა და უკუნეთს შორის, უკუნეთსაც თავისი ენა აქვს, რომლის გაგება ყველას არ ძალუძს. სიამოვნების ჟრუანტელმა დამიარა. გული ამერია. მუხლებმა მომტყუნეს. საოცარი დაღლილობა ვიგრძენი. გზის პირა სასაფლაოსაკენ წა-

ვედი. ვიღაცის საფლავის ქვაზე ჩამოვჯექი, თავზე ხელები შემოვიწყვე და გაოგნებული ჩემს ბედ-იღბალზე დავფიქრდი.

უცებ უსიამო ხარხარმა გამომაფხიზლა. მოვიხედე. ჩემ გვერდით [illegible] გახვეული კაცი იჯდა. ისე იყო შებურული, არც თავი უჩანდა და არც სახე. [illegible] გამოკრული რაღაც ნივთი ამოეჩარა იღლიაში. მომიბრუნდა და მითხრა:

— ქალაქს მიდიხარ და გზა აგებნა? ალბათ ფიქრობ, ვინ არის ეს კაცი, ღამე სასაფლაოზე რომ დაეხეტებაო. ნუ გეშინია, სწორედ მიცვალებულთან მაქვს საქმე. მესაფლავე ვარ, საფლავებს ვთხრი, იქნებ ხელობას მიწუნებ, ჰა? აქაურობა ზეპირად ვიცი. დღეს ერთი საფლავი გავთხარე და ამ ლარნაკს წავაწყდი, უძველეს ქალაქ რეის მკვიდრთა ყვავილების ლარნაკია. გაჩუქებ. ჩემგან სახსოვრად გქონდეს.

ჯიბეში ხელი ჩავიყავი, ორი ყურაში და ერთი აბასი ამოვიღე. მოხუცს სასაცილოდ არ ეყო. „არა, არა, — მითხრა, — არა ღირს. მე ხომ გიცნობ, სადაც ცხოვრობ, ისიც ვიცი. ბალდახინი აქვე მიყენია, სახლამდე მიგიყვან, სულ ორი ნაბიჯია“.

ლარნაკი მუხლებზე დამიდო და წამოდგა. სიცილისაგან მხრები უთამაშებდა. ლარნაკი ავიღე და მოხუცს გავყევი. მოსახვევში დანჯღრეული ბალდახინი იდგა, რომელშიც ორი ჯაგლაგი შავრა იყო შებმული. მოხუცი მკვირცხლად შესკუპდა კოფოზე. მეც ავედი ეტლში, სადაც კუბოებს დგამენ ხოლმე. იქ დავწექი, თავი შემაღლებულ ადგილზე დავდე, რომ გზისთვის თვალი მედევნებინა. ლარნაკი გულში ჩავიხუტე.

შოლტმა გაიტკაცუნა და ცხენები მძიმედ გაუდგნენ გზას. რბილად და უხმაუროდ მიაბიჯებდნენ ნესტიან ღამეში. მოსახვევებზე ჩამოკიდებული ფანრების ჟღარუნი განსაკუთრებულად ისმოდა. ღრუბლებიდან ვარსკვლავები შედედებულ სისხლში დაძირულ თვალებს მაციმციმებდა. ტანში სასიამოვნო ჟრუანტელმა დამიარა. ლარნაკი ახლა ცხედარივით მძიმე მეჩვენა. მიჯრილ ხეთა მოღრეცილი ტოტები ერთმანეთს გადაჭდობოდნენ. ხელჩაკიდებულნი ისე ცახცახებდნენ, თითქოს ეშინოდათ, ამ უკუნ ღამეში ფეხი არ დაგვისხლტეს და მიწაზე არ დავენარცხოთო. წაკვეთილ გეომეტრიულ ფიგურებს ჩამოგავდნენ გზის პირას ჩამწკრივებული, ჩაშავებულ კარ-ფანჯრებიანი სახლები, რომელთა კედლებიც ციცინათელებივით ციმციმებდნენ. მძორის მძიმე სუნი თან მდევდა. სხეული ამ საშინელი სუნით მქონდა გაჟღენთილი, თითქოს მთელი სიცოცხლე შავ კუბოში ვწოლილიყავ და ჭუჭიანი მოხუცი, ვისი სახეც ვერ გავარჩიე, ნისლსა და აჩრდილების სამყაროში მხლებოდეს.

ბალდახინი გაჩერდა. ლარნაკი ავიღე და გადმოვხტი. ჩემი სახლის წინ ვიდექი. ტყვიასაკრავივით შევვარდი ოთახში, ლარნაკი მაგიდაზე დავდგი. საკუჭნაოდან ოუნუქის ყუთი — ყულაბა გამოვიტანე. მეეტლესათვის ფული უნდა მიმეცა. კარისაკენ შემოვბრუნდი. მაგრამ სადღა იყო ან მოხუცი და ან მისი ეტლი. დაძმარული ოთახში დავბრუნდი. ლამპა ავანთე. ცხვირსახოცი გავშალე და სახელოთი ლარნაკს მტვერი მოვაცილე. ლარნაკი იისფერი, ძველებური ჭიქურით იყო დაფარული. ჭიქურა უკვე დამსკდარიყო და შუშქარივით ოქროსფრად ბზინავდა. ლარნაკის ერთ გვერდზე რომბი იყო გამოსახული, რომელშიც ცისფერი ლოტოსების არშია გასდევდა, შუაგულში კი...

რომბის შუაგულში მისი გამოსახულება იყო... თითქოს მიუტევებელი დანაშაული ჩამედინოს, ისე საყვედურით შემომცქეროდა ლარნაკიდან თვალცეცხლია, შავთვალწარბა ქალი. ეს ჯადოსნური, ზებუნებრივი შუქით განხივოსნებული თვალები ანდამატივით მიზიდავდნენ და თან შიშის ზარს მცემდნენ. მაღალი ყვრიმალები, ფართო შუბლი, წვრილი, მოშვილდული წარბები, ოდნავ გახსნილი ბაგეები, სახეზე უწესრიგოდ ჩამოშლილი თმა, საფეთქლებზე მიკრული დალალები...

ოუნუქის ყუთი გავხსენი და გუშინ დახატული სურათი ამოვიღე. შევადარე ლარნაკზე გამოსახულ ქალის პორტრეტს. ნამდვილად ერთი და იგივე კაცის ნახატი იყო და მათი ავტორი ერთი ბედშავი ხელოვანი, ყალამდანების საცოდავი მომხატველი გახლდათ. ალბათ სულთა გარდასახვა მოხდა და ხატვისას ჩემი ხელი მორჩილად ასრულებდა ნება-სურვილს იმ ხელოვანისას, ვინც ასე შესანიშნავად მოჭიქა ლარნაკი. ნახატები საოცრად ჰგავდნენ ერთმანეთს. განსხვავება ის იყო, რომ მე მასალად ქაღალდი გამოვიყენე, მან კი ძველებური ლარნაკი მოჭიქა. ნახატს იდუმალების საოცარი ბეჭედი ესვა. თითქოს მხატვარმა უჩვეულო სული შთაბერაო. ამ თვალგიშვიშა ქალის გამოხედვაში რაღაცნაირი სიძულვილი იყო ჩამალული. არა, დაუჯერებელი ამბავია! ისიც ის [illegible], დაძაბული გამოხედვა, დიდი, ბრიალა თვალები მშვიდ, მწუხარე სახეზე! ძნელი წარმოსადგენია, რა დღეში ჩავვარდი, რას ვგრძნობდი ან რას განვიცდიდი! უნდა სადმე გადავიკარგო, გავიქ-

ცე, მაგრამ საკუთარ თავს სად გავექცევი. კვლავ თვალწინ გამიცოცხლა ჩემმა ურიცხვმა ცთუნებამ: რად არ მაკმარა ღმერთმა სატანჯველად ერთი ქალის თვალები? ორი ქალის ერთნაირი თვალები, იმ ქალის თვალები, ვინც მე საკუთარი ხელებით მიწას მივაბარე კვიპაროსის ძირში, შემომცქეროდნენ და საშველს არ მაძლევენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა, თავი ისე ბედშავად და დაწყევლილად აღარ მიმაჩნდა.

თავს დამნაშავედ ვგრძნობდი, მაგრამ ამავე დროს რაღაც აუხსნელი სიხარული შემომაწვა, როცა მივხვდი, რომ ოდესღაც წარსულში მეც მყოლია დარდის თანამოზიარე. განა ის უძველესი ხელოვანი, რომელმაც ასი, შეიძლება ათასი წლის წინათ ეს ლარნაკი მოხატა, ჩემი დარდის მოზიარე არ იყო?

აქამდე ჩემზე უბედური არავინ მეგონა, მაგრამ ახლა გავიგე, რომ ამ მთებზე, ამ მსხვილი აგურით ნაშენებ დანგრეულ სახლებში ოდესღაც ცხოვრობდნენ ადამიანები. მივხვდი, მათ შორის ცხოვრობდა ჩემსავით ბედშავი მხატვარი, დაწყევლილი ხელოვანი, ყალამდანების მომხატველი. ახლა მჯეროდა, რომ მასაც იმ თვალმახარა ქალის ცეცხლი სწვავდა. სწორედ ამან დამიამა გული, ეს იყო ჩემი ერთადერთი ნუგეში.

ბოლოს ჩემი ნახატი ლარნაკის გვერდით დავდე, მანგალი შევამზადე და გვერდზე მოვიდგი. ნახშირი გაღვივდა. თრიაქი რამდენჯერმე მოვქაჩე და ბურანში გახვეული ნახატებს მივაშტერდი. თრიაქს შეეძლო აღგზნებული გონება დაემშვიდებინა, აზრი მომეკრიბა და უფრო ყურადღებით, გულისყურიანი გავმხდარიყავი. მჯეროდა, რომ მხოლოდ ამ გზით შევძლებდი იმ შორეული, ნაკვერცხლად ქცეული მოგონებების თავიდან აცილებას, და კიდევ მოვქაჩე. ერთი სიტყვით, რაც თრიაქი მქონდა, სულ მოვწიე. დადგა სანატრელი ჟამი: გონება დამეწმინდა, აზრები გამიიკვეთა, დაიხვეწა. ჯადოსნური, მონუმენტური სახე მიიღო. ბურანში ჩავიძირე.

ნეტარებით გაბრუებულმა მთელ სხეულში ენით აუწერელი სიამოვნების მოზღვავება ვიგრძენი. ტანის სიმძიმე ბორკილად აღარ აწვა ჩემს არსებას, რომელიც მცენარეულთა გრძნობამიხდილ და გულცივ სამყაროს მიელტვოდა; იქ თვალწარმტაც, საამო და ჯადოსნურ ფორმებს შორის მყუდროება და სიმშვიდე მეფობდა. შემდეგ მოგონებათა ქსელი ჩაწყდა და ამ თვალწარმტაც ფერებსა და ფორმებში შთაინთქა. მოლივლივე მოალერსე ტალღებში ჩავეშვი. საკუთარი გულისცემა მესმოდა, სისხლძარღვების ძგერას ვგრძნობდი. რაღაც ხდებოდა არსებითი, მნიშვნელოვანი და ამასთანავე სასიამოვნო, რომელიც ნეტარებით მავსებდა.

სულითა და გულით მინდოდა ყველაფერი დამევიწყებინა. თუკი ოდნავ მაინც შესაძლებელი იყო ჩემი ეს თავდავიწყება უსასრულოდ გაგრძელებულიყო, ძილში გავპარულიყავი, გავმქრალიყავი, შევნივთებოდი ფერებს, მელოდიებს, კაშკაშა სხივებს, შემდეგ კი ერთ დიდ ფორმად, ერთ ტალღად ავზვირთებულიყავ, გავმქრალიყავ, გადავკარგულიყავ. ეს იყო ჩემი სურვილი, სანუკვარი ოცნება. ღონემიხდილს თანდათან ყველაფრისადმი ინტერესი დამეკარგა, გულგრილობამ დამრია ხელი. სხეულზე ტალღებად მეფინებოდა დაღლილობის საამო გამონაჟონი. ვიგრძენი, ჩემი ცხოვრება წაღმა დატრიალდა. აი, თვალწინ ჩამიარა გარდასული ბავშვობის სურათებმა. ყოველივეს არამარტო ვხედავდი ხელშესახებად, არამედ ვგრძნობდი კიდეც. თანდათან სიმაღლეც დამაკლდა და ასაკიც. აზრი დამებნა, გაბუნდოვანდა, სადღაც ჩაიკარგა. მომეჩვენა, ღრმა და ბნელი ჭის თავზე გამოშვერილ კაუზე ვეკიდე. შემდეგ მოვწყდი, უკიდეგანო უფსკრულში, დაუსრულებელ უკუნეთში მივექანებოდი, არაფერს არ დავეჯახებოდი. ერთიმეორის მიყოლებით თვალწინ გამიელვა გადაცრეცილმა სურათებმა. წამით გონება დავკარგე და, როცა მოვსულიერდი, ერთ პატარა ოთახში აღმოვჩნდი. მართალია, უცნაურ მდგომარეობაში, მაგრამ, კაცმა რომ თქვას, ჩემთვის სრულიად ბუნებრივი იყო.

* *

როცა გამოვფხიზლდი, ადრინდელთან შედარებით ეს გარე სამყარო უფრო ნაცნობი და ახლობელი მეჩვენა, თითქოს ჩემი რეალური ცხოვრების ანარეკლი ყოფილიყოს. მართალია, სულ სხვა სამყარო იყო, მაგრამ მასთან იმდენი რამ მაკავშირებდა, რომ მეჩვენებოდა, მშობლიურ გარემოს დავუბრუნდი-მეთქი. მეგონა, კვლავ მოვევლინე ქვეყანას. მართალია, უძველეს, მაგრამ მეტად ახლობელსა და სასურველ ჩვეულ გარემოს.

დღე მიწურულიყო. სახლში მდუმარე შემოიპარა. თახჩაში ჭრაქი ბჟუტავდა. ისევ კუთხეში ლოგინი იყო გაშლილი, ვერ ვიძინებდი, ვგრძნობდი, სიცხე მქონდა. ტანისამოსიცა და ხელებიც სისხლით დამთხვრილიყო. სიცხესა და გულის რევას აღელვებაც დაერთო, რომელმაც სისხლის ლაქების მოსპობაზე ფიქრსაც კი სძლია. ამეკვიატა აზრი, სადაცაა პოლიციელი მოვა და დამაპატიმრებს-მეთქი. ამაზე ადრეც ბევრი მიფიქრია. [illegible], დაპატიმრების წინ თაროზე შემოდგმული საწამლავი დამელია, ეს კი, [illegible] ყოფილიყო, დამეწერა. ის ავი სული, რომელიც ჩემს არსებაში იყო და მაწვალებდა, გარეთ უნდა გამომეშვა, დაგუბებული ბოღმა-ვარამი ქაღალდზე გადამეტანა. ცოტაოდენი ყოყმანის შემდეგ ჭრაქი მივიწიე და ასე დავიწყე...

* *

[illegible] ჩნდა, რომ [illegible] სჯობს ამეტყველ მოსაუბრეს, ამიტომაც გაჩუმება ვარჩიე: ვფიქრობდი, რა კარგი იქნებოდა, ადამიანი ერთისან ყანჩასავით ზღვას [illegible] რომ ცხოვრობდეს-მეთქი, ახლა კი თავზეყვით ძალა აღარ არის. მოხდა ის, რაც არ უნდა მომხდარიყო. ვინ იცის, იქნებ ახლა ან ერთი საათის შემდეგ მოვიდნენ მოურავის [illegible] პოლიციელები და წამიყვანონ. ვცდი მაქვს, თავის გადარჩენაზე ვიფიქრო, არც გადაურევა ივარგებს, დავუშვათ, სისხლის ლაქების აცოყასაც მოვახერხე, მაგრამ შეკვრეულ ერთ ფიალა ღვინის დალევ იმ ბოთლიდან, მემკვიდრეობით რომ მივიღე და ახლა თაროზე დგას.

ახლა მინდა მთელი ჩემი ცხოვრება [illegible]ში მოვაქციო, ყურძნის მტევანივით გამოვწურო და წვენი, არა, ეს ღვინოა, არა, როგორც სულთმობრძავს წყალს ასხმენ ხოლმე, წვეთ-წვეთობით ჩავასხა გამშრალ ხახაში ჩემს აჩრდილს. სანამ წამიყვანდნენ, მინდა ავწერო ის ტკივილები, კეთრივით რომ ავჯავრებიან სიმსივნესავით რომ შემომხვდნენ, და ჩემი არსების მეყობრად დაღავებს. განა ანდერძის დაწერას ვფიქრობ? არა, ქონება მე არა მაქვს. სასამართლომ რომ წაიღოს და იწმინდა — ეშმაკმა რომ დაისაკუთროს. ამ ქვეყნად ჩემთვის არაფერს ფასი არა აქვს, რაც კი გამაჩნდა, ყველაფერი დავკარგე. მაგრამ ეს ჩემი ნება-სურვილით მოხდა. როცა ამქვეყნად აღარ ვიქნები, ვინმეს ჩემი ნაწერის გაცნობის სურვილი თუ გაუჩნდა, ხომ კარგი, თუ არა და ეშმაკსაც წაუღია, თუმცა ასი წელი ელოდის წამკითხველს.

მწერ, რადგან სხვანაირად არ შემიძლია. თავს ვალდებულად ვთვლი, ჩემი გულისნადები, ჩემი ფიქრები გავაცნო წარმოსახვით შექმნილ არსებას, ჩემს ჩრდილს, ჭრაქის შუქზე ეს უცნაურად წელში მოხრილი კედლიდან გადმომხრილა და ყურადღებით ჩასცქერის საწერს, თითქოს წაკითხვას ლამობსო, ეჭვი არ მეპარება, რომ აჩრდილი ყველაფერში ჩემზე უკეთ არის გარკვეული. მე მხოლოდ ჩემს აჩრდილთან შემიძლია საუბარი. ენა მან ამიდგმევინა, ღაპარაკისა და წერის სალურღელი ამიშალა. არა მგონია, ჩემი აჩრდილის გარდა სხვა ვინმემ შესძლოს ალღო აუღოს, ჩასწვდეს ჩემს ჭირ-ვარამს. მინდა წვეთ-წვეთობით ჩავასხა მის გამშრალ ყელში ჩემი ცხოვრების მწარე ღვინო და ვუთხრა: „აი, ეს არის ჩემი ცხოვრება!".

თუკი ვინმე ავადმყოფობისაგან დაძაბუნებული, მოტეხილი ახალგაზრდა კაცი ვიყავი, დღეს უკვე კუზიანი, ტუჩკაპიწიანი, თმადათოვლილი მოხუცი ვარ, თვალებში სიცოცხლის ნიშან-წყალიც არ ჩანს. ფანჯრიდან ქუჩაში გადახედვისაც მეშინია, ვილაც სარკეში ვიყურები — ყველგან ჩემს ორეულს ვხედავ. წელში მოხრილმა აჩრდილმა სწორად რომ გაიგოს ჩემი ცხოვრების ასავალ-დასავალი, ზოგი რამ უნდა ვუამბო იმაზე, რაც დაკავშირებულია ჩემს ბავშვობასთან, სქესობრივი მოწიფულობის ჟამთან, სიყვარულთან, ქორწინებასთან, ყოფნა-არყოფნასთან, ეს სხვადასხვა ამბებია და არც ერთი არ მეუფერება სინამდვილეს. აღარ შემიძლია, დავიღალე, თავი მაქვს გაბეზრებული ამ ზღაპრების მოყოლით, გაუთავებელი ყბედობით.

ვეცდები ყურძნის ეს მტევანი ბოლომდე გამოვწურო, ადვილი შესაძლებელია, მასში ჭეშმარიტების ნატამალიც არ იყოს. არ ვიცი, სად ვარ, სად იმყოფება ჩემს თავს ზევით გადაწოლილი ცარგვალი ან ჩემ ფეხთით გაშენილი მიწა — ნიშაბურში, ბალახში თუ ბენარესში, ყოველ შემთხვევაში დარწმუნებით ვერაფერს ვიტყვი. უამრავი ურთიერთსაწინააღმდე-

გო ამბისა თუ მოვლენის მომსწრე კი ვარ, ბევრი რამ გამიგონია. დიდძალ საგნებისთვის დამიკრავს თვალი, თუმცა მხოლოდ ზედაპირულად. ამ საგნების არსი მყარი და ნაზი შრეების ქვეშ არის ჩამარხული, აღარაფერი მჯერა. მაეჭვებს კიდეც მათი. ამ საგანთა არსის ეფემერულობა, ეჭვიც კი მეპარება, იქნებ სულაც არარეალური, მოჩვენებითი არსებები არიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქნებ უცნაურ, განსაკუთრებულ პიროვნებათა რიცხვს ვეკუთვნი? არ ვიცი, თუმცა, როცა სარკეში ჩავიხედე, თავი ვეღარ ვიცანი. არა, ის ძველი „მე" მოკვდა, გაქრა. მაგრამ ჩვენ შორის არც ზღუდეა და არც უფსკრული. ჩემი ამბავი უნდა გიამბოთ, მაგრამ არ ვიცი, საიდან დავიწყო. მთელი ჩემი ცხოვრება ზღაპარს ჰგავს. ყურძნის მტევანი უნდა გავჭყლიტო, გამოვწურო წვენი და ჩემს ბებრუხუნა აჩრდილს ყელში ჩავასხა.

საიდან დავიწყო? ეს ფიქრი ამ წუთას დაიბადა, მას წარსულთან საერთო არაფერი აქვს. წამი, საათი, თარიღი არ გამოდგება — დროის განზომილებით მათი განსაზღვრა შეუძლებელია. გუშინდელი ამბავი ჩემთვის უფრო ძველია და ნაკლებად შთამბეჭდავი, ვიდრე ის, რაც ათასი წლის წინათ მოხდა.

შესაძლებელია, მას შემდეგ, რაც ცოცხლებთან ყოველგვარი კავშირი გავწყვიტე თვალწინ ნათლად დამიდგა ჩემი წარსული.

წარსული, მომავალი, საათი, დღე, თვე, წელიწადი არავითარი ფასი არა აქვს ჩემს თვალში. ბავშვობა, სიბერე — ცარიელი, ლიტონი სიტყვებია. მათ ფასი აქვთ მხოლოდ ჩვეულებრივი მოკვდავებისათვის, კაცუნებისათვის. ძლივს ვიპოვე ეს სიტყვა „კაცუნა", ნაძირალა, გულნამცეცა ადამიანი, ვისთვისაც მთელი ცხოვრება განსაზღვრულ მონაკვეთებადაა დაყოფილი, ისე როგორც წელიწადის დროები ზომიერი ჰავის ქვეყნებშია დანაწილებული. ჩემი ცხოვრება წელიწადის მხოლოდ ერთ დროს, ერთ პერიოდს შეიცავდა. თითქოს ჩემმა სიცოცხლემ ბნელით მოსილ ცივ ქვეყანაში გაიარა, მაგრამ შინაგანი ალი კი მწვავდა და სანთელივით მადნობდა.

ოთახის ოთხ კედელს შუა ვარ გამომწყვდეული. ციხის გალავანში ჩაჭედილი ფიქრები. ჩემი ცხოვრება სანთელივით ნელა იღვენთება. არა, უკაცრავად, ჩემი ცხოვრება შეშის ღერებსა და ნახშირს შუა ჩაჭედილ ამ ნედლ კუნძს ჰგავს, რომელიც კი არ იწვის, სხვისი ალით განათებული იფუქება და ულმერთოდ ხრჩოლავს.

ჩემი ოთახი, სხვა ოთახების მსგავსად, ათასი უძველესი ნასახლარის ნანგრევებზე გამოუწვავი აგურითაა ნაშენები. თეთრად შეფეთქილ კედლებზე, თითქოს საძვალეთ, წარწერებს ვხედავ. ისეთმა წვრილმანებმა, როგორიც ოთახის კუთხეში გაბმული ობობას ქსელი გახლავთ, შეუძლია საათობით მიიპყროს ჩემი ყურადღება. რაც ლოგინად ჩავვარდი, ჩემი ამბავი ცოტა ვინმეს აინტერესებს. კედელში ჩარჭობილმა გრძელმა ლურსმანმა ჩემი და ჩემი ცოლის აკვანი გამახსენა. მას შემდეგ ამ აკვანს ალბათ ბევრი ბავშვი ახსოვს.

ჩემს ოთახს ჰქონდა ორი ბნელი საკუჭნაო და ორი სარკმელი, რომლებიც ნაძირალების სამყაროს გადაჰყურებდა. ერთი სარკმელი ეზოს გადასცქეროდა, მეორე — ქუჩას. ის მაკავშირებდა ქალაქ რეისთან, რომელსაც „სამყაროს პატარძალს" უწოდებენ. ქალაქში მრავალი მიხვეულ-მოხვეული ქუჩა, დაბალი სახლები, სკოლა და ქარვასლაა. რეი მსოფლიოს უდიდეს ქალაქად მიაჩნიათ, იგი სუნთქავს, ცოცხლობს ჩემი ოთახის კედლებს მიღმა. საკმარისია თვალი მოვხუჭო, მაშინვე თვალწინ დამიდგება ქალაქის მიმქრალი, ნაფერულილი ჩრდილები. ყოველივე ის, რამაც წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა — დიდი ქალაქის სასახლეები, მეჩეთები, ბაღები.

ამ ორი ფანჯრის საშუალებით გაიდო ხიდი ჩემსა და გარე სამყაროს, ნაძირალების სამყაროს შორის. კედელზე სარკე ჰკიდია, რომელშიც ჩემს გამოსახულებას ვხედავ. ჩემს საოცრად შეზღუდულ სამყაროში ამ სარკეს უფრო დიდი, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, ვიდრე ნაძირალებს, ვისთანაც არაფერი მაქვს საერთო.

ქალაქის ხედი ჩემთვის შემოფარგლულია უბადრუკი საყასბოთი, სადაც დღე-ღამეში ორი ცხვარი თუ გაიყიდება. სარკმლიდან რომ გადავიხედავ, ყასაბს დავინახავ ხოლმე. ყოველდღე, დილაადრიანად დუქანს მოადგება ორი გაძვალტყავებული შავი იაბო, რომლებიც ისე ახველებენ, რომ დუჟი გადმოსდით. ამ საცოდავ ჯაგლაგებს ჩხირივით წინა ფეხები აქვთ. ზურგებს აქეთ-იქით გატყავებული, გამოშიგნული ცხვრები ჰკიდიათ. ყასაბი ინით შეღებილ წვერზე ჩამოისვამს გაქონილ ხელებს, ჯერ მუშტრის თვალით შეათვალი-

ერებს მოტანილ საქონელს, შემდეგ ორ ცხვარს ამოარჩევს, დუმებს ხელით მოუსინჯავს და საყასბოში კაუჭებზე ჩამოკიდებს. მისავათებული ცხენები ხვნეშით წყალს ლასლასე-ბიან.

ცოტა მოშორებით, თავს ქვაზე ზის უცნაური მოხუცი, წინ გაუშლია თავისი ავლა-დიდება: ნამგალი, ორი ნალი, ფერადი მძივები, სათაგური, დაჟანგული მაკრატელი, კბილებ-დამტვრეული სავარცხელი, დანა, ჭუჭყიან ხელსახოცში გახვეული მოჭიქული სურა. საათობით, კვირაობით, თვეობით გავყურებდი მოხუცს, რომელსაც შუშხთვერულ ხალათზე ჭუჭყიანი ყელსახვევი შემოეხვია. საკინძეჩახსნილს თეთრი ბანჯგვლიანი მკერდი უჩანდა. ქუთუთოები რაღაც საზიზღარ ავადმყოფობას შეეჭამა, სახელოზე კი თილისმა ჰქონდა გამოკერებული. პარასკეობით მოხუცი ყურანს კითხულობდა და ჭიახაჭამი ყვითელი კბილები უჩანდა. მგონი, ამით ირჩენდა თავს, მას მუშტარი არ ჰყავდა, თვალი არ დამიკრავს, ვინმეს რაიმე ეყიდოს მისგან. ასე მგონია, საზარელ სულისშემხუთავ სიცხეების დროს ეს მოხუცი გამომეცხადებოდა ხოლმე. ამ ღია ყვითელი ფერის ჩალმით შებურვილ, გადასოტრილ თავში ნეტავ რა უხამსი ფიქრები უტრიალებდა? ასე მეგონა, მოხუცის წინ გაშლილ ჭილობზე დაწყობილ ხარახურას რაღაც განსაკუთრებული კავშირი ჰქონდა მის ცხოვრებასთან. რამდენჯერმე დავაპირე მისვლა, გამოლაპარაკება, რამის ყიდვა, მაგრამ ვერ იქნა და ვერ გადავწყვიტე.

ძიძამ მითხრა: ეს კაცი ახალგაზრდობაში მკითხავი იყო. ახლა ერთადერთი სურათი შემორჩა და წვრილმან ვაჭრობით ირჩენს თავს.

ეს იყო ერთადერთი ხიდი ჩემსა და გარე სამყაროს შორის. ხოლო რაც შეეხება შიდა სამყაროს: ეს იყო ჩემი ძიძა და ის კახპა, ჩემი ცოლი. მე და ჩემი ცოლი არამარტო ახლო ნათესავები ვიყავით, არამედ ძიძაც ერთი გვყავდა. მისი რძითა ვართ ორივე გაზრდილნი. სიდედრმა დედობა გამიწია. მშობლები არ მახსოვს. გამზარდა ამ ტანმაღალმა, თმაშევერცხლილმა ქალმა, რომელიც მშობელ დედასავით მიყვარდა. ამიტომაც შევირთე ცოლად მისი ქალიშვილი.

ჩემს მშობლებზე ბევრი რამ გამიგონია, მაგრამ ასე მგონია, მხოლოდ ერთი ამბავია ნამდვილი. ძიძამ მიამბო. მამაჩემი და ბიძაჩემი ტყუპები ყოფილან. სახით, ტანით, მოქცევით, ხმითაც ისე ჰგვანდნენ ერთმანეთს, რომ გარჩევა შეუძლებელი იყო. ამასთანავე სულიერად ძალზე ეთვისებოდნენ ერთმანეთს და, რაც მთავარია, გასაოცრად მგრძნობიარენი იყვნენ ერთმანეთის მიმართ. საკმარისი იყო ერთი შეუძლოდ გამხდარიყო, რომ მეორეც ცუდად ხდებოდა. ამბობდნენ, ისე ჰგვანან ერთმანეთს, როგორც შუაზე გაჭრილი ვაშლიო. ბოლოს და ბოლოს სოვდაგრობას მიჰყვეს ხელი. ოცი წელი რომ მოიყარეს, ინდოეთს გაემგზავრნენ და იქ ვაჭრობდნენ ფერადი ბამბისა თუ შალის ქსოვილებით, ჭრელი შალებით, ხალათებით, ნემსებით, კერამიკული ნაწარმით, ყალამდანებით. მამაჩემი ბენარესში დარჩა, ბიძაჩემი ინდოეთის სხვა ქალაქებში გაგზავნა სავაჭროდ. რამდენიმე ხნის შემდეგ მამაჩემს შეუყვარდა ინდოელი ქალწული ბუგამ დასი. იგი რიტუალურ ცეკვებს ასრულებდა ტაძარში, უზარმაზარი კერპის, ლინგამის გამოსახულების წინაშე. ხორბლისფერ სახეს წვრილი მოშვილდული წარბები და ნუშისებრი თვალები უმშვენებდა. ახლაც თვალწინ მიდგას ბუგამ დასი. იგი ცეკვის ენით გამოსცემდა თავის ფიქრებს, გულისნადებს. ადვილი გასაგებია, რა შთაბეჭდილებას მოახდენდა მამაჩემზე! ამ სანახაობით სახმილწოდებულს, ვნებას კიდევ უფრო უორკეცებდა ოფლის, თმისა და მუშკის სუნში არეული სანდლის ზეთის კეთილსურნელება. მამაჩემს ისე შეუყვარდა ბუგამ დასი, რომ მოცეკვავე ქალის სარწმუნოებაზე მოექცა, იწამა ლინგამი. როგორც კი მოცეკვავე ფეხმძიმედ შეიქნა, ტაძრიდან გააძევეს.

ახლად შობილი ვიყავი, როცა ბიძაჩემი ბენარესში დაბრუნდა. რადგანაც მას და მამაჩემს ერთნაირი გემოვნება და მიდრეკილება ჰქონდათ, ამიტომაც თავდავიწყებით შეუყვარდა დედაჩემი. ბოლოს და ბოლოს შეაცდინა. იგი მამაჩემს საოცრად ჰგავდა და ამიტომაც ადვილად მოატყუა. როცა ყველაფერი გამოაშკარავდა, დედაჩემმა განაცხადა, ორივეს მივატოვებთო. შესთავაზა მოეწყოთ გამოცდა გველით, ვისაც ცოცხალი გადარჩებოდა, მოცეკვავეც მას დარჩებოდა.

პირობა ასეთი იყო: ჭასავით ბნელ ოთახში მამაჩემი და ბიძაჩემი რჩებოდნენ გველთან. როცა გველი ერთ-ერთ მათგანს დაგესლავდა, გველნაკბენი, რასაკვირველია, აყვირდებოდა და მის ყვირილზე ოთახში შევარდებოდა გველის შემლოცველი. გადაარჩენდა მეორეს და ბუგამ დასიც მას დარჩებოდა.

სამამ ბნელ ოთახში შევიდოდნენ, მამაჩემმა სთხოვა მეუღლეს შეესრულებინა რიტუალური ცეკვა. ისიც დათანხმდა. ჭრაქის შუქზე გველის შემლოცველმა ფლეიტა დაუკრა და ბუგამ დასმაც ცეკვა დაიწყო. მრავლისმეტყველი იყო ის ცეკვა. სწორედ რომ გველივით იკლაკნებოდა, იხრჩოდა, იგრიხებოდა. შემდეგ მამაჩემი და ბიძაჩემი [illegible] ერთად ოთახში ჩაკეტეს. გაისმა საშინელი ყვირილი, მერე კვნესა და სიცილი [illegible] დნენ. როცა კარი გააღეს, ოთახიდან ბიძაჩემი გამოვიდა. ეს იყო გატეხილი, თმაგათეთრებული ბერიკაცი, სახე სულ დაჭკნობოდა, უსაზღვრო შიშისა და ძრწოლვარებისაგან ერთ წუთში დაბერებულიყო. ბოგოის თანახმად ბუგამ დასი ბიძაჩემს დარჩა. ყველაზე საშინელი ის იყო, რომ ვერ გაარკვევდი, მაინც ვინ გადარჩა, მამაჩემი თუ ბიძაჩემი. ბიძაჩემს გონება დაუბნელდა, დაივიწყა თავისი განვლილი ცხოვრება და, თქვენ წარმოიდგინეთ, მეც ვეღარ მიცნო. ამიტომ დაასკვნეს, ეს კაცი ბიძაჩემი იყო და არა მამაჩემი.

ამის შემდეგ მე ყველასთვის უცხო და ზედმეტი ბარგი გავხდი. ბოლოს და ბოლოს ბიძაჩემი თუ მამაჩემი სავაჭრო საქმეების გასარიგებლად ბუგამ დასისთან ერთად ქალაქ რეიში დაბრუნდა. [illegible] თავის დასთან, ე. ი. მამიდაჩემთან დამტოვა. ძიძამ მითხრა, რომ დედას ჩემთვის ინდური გველის შხამით გაზავებული ერთი ბოთლი წითელი ღვინო დაუტოვებია. ამაზე უკეთესი საჩუქარი განა შეეძლო ბუგამ დასის დაეტოვებინა თავის შვილისთვის? ალბათ მან ყურძნის მტევანივით გამოწურა თავისი ცხოვრება და დაღვინებული წვეთი მე მისაჩუქრა. სწორედ ის შხამი, რომლითაც ნამაჩემი დაიღუპა. ახლა მივხვდი, რა ძვირფასი საჩუქარი დაეტოვებინა.

ნეტავ ცოცხალი თუა დედაჩემი? ადვილი შესაძლებელია, ახლა, როცა ამ სტრიქონებს ვწერ, ინდოეთის რომელიღაც შორეულ ქალაქში ცნობისმოყვარე მაწვალ-მოტყუილი ქალებით, მამაკაცებით, დედიშობილა ბავშვებით გარშემორტყმული დედაჩემი მაშხალის შუქზე გველისამებივით იგრიხება, იკლაკნება... იქვე ჩაცუცქულა და თვალდაშტერებული შესცქერის მას წელში გატეხილი, თმადათეთრებული მოხუცი — მამაჩემი თუ ბიძაჩემი. მას აგონდება ის ჭასავით ბნელი ოთახი, იქ განცდილი საშინელება: გველის სისინი, მისი მუქი ნაცრისფერი ზურგი, ქაფჩასავით გაბერილი კისერი, წამოწეული, ხოთვალიანი თავი.

ჩვილი ყმა ძიძასთან დამტოვეს. იგი ძუძუს მაწოვებდა მეც და ჩემს მამიდაშვილსაც. ვიზრდებოდი იმ ტანმაღალი, თვალწარბცხლილი მანდილოსნის, მამიდაჩემის სახლში, მის კახპა ქალიშვილთან ერთად.

რაც თავი მახსოვს, მამიდა მშობლივით მიყვარდა და მეგონა, ის იყო დედაჩემი. ისე მიყვარდა, რომ მისი ქალიშვილი, ჩემი ძუძუმტე, ცოლად შევირთე. იგი საოცრად ჰგავდა დედას. სხვა რა გზა მქონდა? მხოლოდ ერთხელ დამნებდა. ამას რა დამავიწყებს? დედამისი სასიკვდილო სარეცელზე იწვა. ღამე იწურებოდა. სახლში ყველას ეძინა. საცვლების ამარა [illegible] მამიდასთან შევიპარე, გამოთხოვება მინდოდა. თავთით ქაფურის ორი სანთელი ენთო. ეშმაკეულისაგან დასაცავად მუცელზე ყურანი ედო. სახეზე გადაფარებული ქსოვილი გადავხსენი. გავოცდი — მაშინაც კვლავ მიმზიდველი იერი ჰქონდა, თითქოს ამ ქვეყნის დარდისა და უკუღმართობისაგან მოისვენაო. უნებლიეთ თავყანი ვეცი. მაშინ სიკვდილი საგნებით ბუნებრივ, ჩვეულებრივ ფაქტად აღვიქვი. სახეზე დამცინავი ღიმილი შეჰყინვოდა. გადავწყვიტე ხელზე მეკოცნა და მაშინვე ოთახიდან გავსულიყავ. უცებ უკან მოვიხედე. დავინახე ის კახპა, რომელიც შემდეგ ჩემი ცოლი გახდა. ოთახში, სადაც დედამისის ნეშტი ესვენა, ვნებაამღვრეული ჩომეხუტა, გაშმაგებით დამიწყო კოცნა. მიწა რომ გამსკდომოდა და თან ჩავეტანე, ის მერჩია. დაბნეული, არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი. მიცვალებული დამცინავად შემომცქეროდა. მომეჩვენა, თითქოს სახეზე შეყინულმა ღიმილმაც იცვალა ფერი. მის ქალიშვილს ანგარიშმიუცემლად ვეხვეოდი და ვკოცნიდი. უცებ ფარდა გადაიწია და მეზობელი ოთახიდან გამოვიდა მამიდაჩემის წელმოკაკული ქმარი, იმ კახპას მამა, ერთი ისე გადაიხარხარა, რომ შიშით ტანში ჟრუანტელმა დამიარა. სიცილისაგან მხრები უთრთოდა, ჩვენკენ არ იყურებოდა. მერჩივნა მიწა გამსკდომოდა და თან ჩავეტანე, რომ შემძლებოდა, სილას გავულაწუნებდი მიცვალებულს, მასხრად რომ გვიგდებდა. შევრცხვი, თავი მომეჭრა. იმ კახპამ თავზე ლაფი დამასხა. იქნებ წინდაწინ ჰქონდათ მოფიქრებული, რომ ცოლად შემოეტყუებინათ.

თუმცა ჩემი ძუძუმტე იყო, იძულებული ვიყავი ცოლად შემერთო, რომ არ გალანძღულიყვნენ, მათი ოჯახის ღირსება არ შელახულიყო.

ის ქალწული არ იყო. ეს ადრე არ ვიცოდი. მართალს ალბათ ყურადღებას [illegible] ვაქცევდი. მიმახვედრეს, ქორწინების ღამეს, როცა მარტო დავრჩით, ჩემს ხვეწნა-მუდარას ყური არ ათხოვა, ახლო არ გამიკარა, მეუბნებოდა: „არ შემიძლია, რიგი დამიდგა". შემდეგ ლამპა ჩააქრო, ოთახის მოპირდაპირე კუთხეში დაწვა. კანკალმა აიტანა [illegible] ლეშმას ჩაუგდეს უფსკრულში. არავინ არ დაიჯერებს, თუმცა დაუჯერებელი [illegible]-ზე კოცნის უფლებაც არ მომცა. მეორე ღამეც იმავე კუთხეში იატაკზე გაათენა, სადაც პირველ ღამეს მეძინა. ასე გაგრძელდა შემდეგი ღამეები. გაბედულობა არ მეყო. საკმაო ხანი გავიდა, მე კი ისევ იატაკზე მეძინა. ვინ დამიჯერებდა? ორი თვე, არა, ორი თვე და ოთხი დღე მის შორიახლო მეძინა იატაკზე, მიკარებას კი ვერ ვბედავდი.

იქნებ წინდაწინ ჰქონდა გამზადებული მტრედის სისხლში ამოსვრილი ცხვირსახოცი. ვინ იცის? იქნებ ეს ის ცხვირსახოცი იყო, თავისი პირველი სატრფიალო ღამის შემდეგ რომ შეინახა, რათა კიდევ უფრო დავემცირებინე. მასხრად ავეგდე. მაშინ ყველა მილოცავდა, თვალს ჩიკრავდა, ალბათ გულში ფიქრობდნენ: „წინა ღამეს ყმაწვილს უყოჩაღნია". არ ვიმჩნევდი; მასხრად მიგდებდნენ. ჩემს სიბრიყვეზე ეცინებოდათ. მაშინ გადავწყვიტე, რომ ოდესმე ყველაფერი ქაღალდზე დაწვრილებით გადამეტანა.

შემდეგ გავიგე, საყვარლები ბლომად ჰყოლოდა. იქნებ იმიტომ შევძულდი, რომ მოლამ რამდენიმე სიტყვა არაბულად წაილუღლუღა და მისი ბატონ-პატრონი გამხადა. შევძულდი და თავისუფლება ისურვა. ბოლოს და ბოლოს გადავწყვიტე ძალა მეხმარა და ერთ ღამეს თითქმის ავისრულე გულის წადილი, მაგრამ ბევრი ძიძგილაობის შემდეგ წამოდგა და გავიდა. იმ ღამეს ის ვიკმარე, რომ მისი სხეულით გამთბარ, მისი სურნელით გაჟღენთილ საწოლში მეძინა. მხოლოდ იმ ღამეს მეძინა მშვიდად. მეორე ღამეს იგი სხვა ოთახში გადაბარგდა.

საღამოობით შინ არ მხვდებოდა. არ ვიცოდი, როდის მოდიოდა, როდის მიდიოდა. საერთოდ მისი ასვლა-ჩასვლა არ მაინტერესებდა. მარტოხელობა წარგუნა ბედმა წილად. მისჯილი მქონდა მარტოობა, სიკვდილი. ყოველმხრივ ვცდილობდი დავახლოვებოდი მის საყვარლებს. ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ასე იყო. ხალხს რა პირით ვეჩვენო? ისეთი სირცხვილი მჭამდა, ყოველმხრივ დავიცავდი თავს იმის შიშით, ცოლს არ გამექცეს-მეთქი. მინდოდა შემესწავლა ჩემი ცოლის საყვარლების ზნე-ჩვეულებანი, ხასიათი, მოქცევის წესები. ერთი სიტყვით მინდოდა გამეგო, როგორ ახერხებდნენ ჩემი ცოლის გულის მონადირებას. მაგრამ უბადრუკ მაჭანკლად ვრჩებოდი და ყველა ბრიყვი პირში დამცინოდა. განა შემეძლო ამ ნაძირალებს დავმსგავსებოდი? ახლა ვიცი, რატომ უყვარდა ისინი. თავხედობის, უსირცხვილობის, სისულელის და სიმყრალის გამო. მერედა რით მიმიზიდა? გარეგნობით, სიძუნწით, მიუკარებლობით, სიყვარულით, რომელიც ჯერ კიდევ ბავშვობიდან მქონდა დედამისისადმი? ალბათ ყველაფერმა ერთად. არ ვიცი, ვერაფერს ვიტყვი. ერთი კია, რომ ამ კახპამ, ამ ჯადოქარმა ქალმა, სულში რაღაც შხამი ჩამასხა. დიახ, ჩემი სხეულის ყველა ნაწილაკს მისი სხეულის ნაწილაკები სწყუროდა. ოცნებად მქონდა გადაქცეული, უკვე სადმე უკაცრიელ კუნძულზე მარტონი აღმოვჩენილიყავით. მომხდარიყო მიწისძვრა, მოსულიყო წარღვნა ან ელვას დაეცა — მოესპო ეს ნაძირალები, ჩემი ოთახის კედლის მიღმა რომ სუნთქავდნენ, ფაციფუცობდნენ, გულს იამებდნენ. დავრჩენილიყავით ქვეყნის გულზე მხოლოდ ჩვენ ორნი, მე და ის.

ჩვენი ურთიერთობის საიდუმლო მოხუცი ძიძის გარდა არავინ იცოდა. ჩემი ნელ-კვდომის ერთ-ერთი მოწმე ძიძა იყო და კიდევაც მსაყვედურობდა. ხალხი იმ კახპას იცოდებდა და რამდენჯერმე გამაგონეს კიდეც: „საწყალი ქალი ამ გადარეული ქმრის ხელში როგორ ძლებსო". არც ტყუოდნენ. ჩემს დამცირებას ხომ საზღვარი არა ჰქონდა.

დღითიდღე ვილეოდი. წვერის პარსვის დროს სარკიდან საფასხოში ჩამოკიდებული სორკილით შეწითლებული ლაწვები შემომანათებდა. ტანზე ალმური ამდიოდა. ჩაშავებულ თვალებში სასოწარკვეთილება დაბუდებულიყო.

თვალებში არეკლილმა სიკვდილის სხივმა მიმახვედრა, რომ იმ ქვეყნისკენ ვიბრუნებ პირს.

ექიმს გამოუძახეს, ამ ნაძირალების ექიმს, რომელიც ჩვენს ოჯახში მიღებული კაცი იყო და უყვარდა ტრაბახი: „ესენი ჩემი გაზრდილებიაო".

თეთრჩალმოსანმა და გრძელწვერა ექიმმა შემოსვლისთანავე გაიხსენა, ბაბუაჩემს რა

წამალი შესცა მამაკაცობის აღსადგენად. ნე როგორ მასმევდა შაქრიან რძეს, და ღილღამაყოფინა და მარწვა, ვირის რძე და ქერის ნახარში დალიეო, დღეში ორჯერ კი ჩემს კი საფალარათო ზეთს. შემდეგ სასთუმალთან ჩამომიჯდა, თავზე გადმოსხმა, ნუ განისას წებოს და დარიჩინის თრთქლი შესუნთქეო.

წლეთმარეობა გამიუარესდა. მხოლოდ მოხუცი ძიძა მეჯდა სასთუმალთან, მუხლზე ცივ საფენებს მადებდა, ნახარშები მოტქიდა. მიამბობდა ჩემი და იმ კახპის ბავშვობის დროინდელ ამბებს. გაიხსენა, რომ ჩემს ცოლს ჯერ კიდევ აკვნიდანვე დაჰყვა ჩვეულ ხელზე ფრჩხილების კვნეტა, თან ისე მაგრად იკვნეტდა, მარცხენა ხელი მუდამ დასახიჩრებული ჰქონდაო. ძიძა ხანდახან ზღაპრებსაც მიამბობდა, მეჩვენებოდა, თითქოს ჩემი ცხოვრების ნარჩი შეტრიალდა და ისევ ბავშვობას დავუბრუნდი. ეს მოგონებები დაკავშირებული იყო იმ დროსთან, როცა მე, ჩვილი ბრმა, ჩემს ახლანდელ ცოლთან ერთად დიდ, ორი ბავშვისათვის განკუთვნილ აკვანში ვიწექი. კარგად მახსოვს, ძიძა სწორედ ამას შიყვებოდა. ეს ამბები თუ ადრე არ მჯეროდა, ახლა ვირწმუნე ნათი ხიბრიალე. ბუნებრივადაც მომაწონდა, რადგან ავადმყოფობამ ჩემში წარმოშვა რაღაც ახალი, მოჩვენებითი, აუხსნელი სამყარო, რომელიც აივსო ჩრდილებით, ფერებით, სურვილებით — ყოველივე ამას ბნელად თუ წარმოიდგენს ჯანმრთელი ადამიანი, და მეც აუხსნელი თრთოლვითა და სიამოვნებით ვგრძნობდი, როგორ ხელმწიფობდნენ ჩემზე ეს ზღაპრები, თითქოს კვლავ დამიბრუნდა ბავშვობა. ახლა, როცა ამ სტრიქონებს ვწერ, ყოველივეს ახლებურად განვიცდი....

ნეტავ შემქმნელს დავიძინო ბავშვივით მშვიდი და წყნარი ძილით, ყოველგვარი მღელვარების, შინაგანი წვისა და დაგვის გარეშე. ახლა დილით გაღვიძებულს ლოყები მუდამ საყასბოში გამოკიდებულ ხორცივით მაქვს ხოლმე დაწითლებული. მახურებს, საშინელი ხველა მახრჩობს, ერთი სიტყვით, იმ ჯაგლაგების დღეში ვარ, დილით საყასბოში დაკლული ცხვრები რომ აქვთ.

კარგად მახსოვს, უკვე კარგა ბნელოდა. გული რომ შემიღონდა. მაგრამ რამდენიმე წუთში ისევ გონს მოვედი. ზერე დაძინების წინ ჩემს თავს ველაპარაკებოდი, უკვე ვგრძნობ, ვირწმუნე კიდეც, რომ ბავშვად ვიქეცი და აკვანში ვიწექი. ვიღაცა თავს მადგა, თუმცა სახლში კარგა ხანია ყველას ეძინა. განთიადის წინ წყვდიადი იდგა. ავადმყოფებმა იციან, რომ სიცოცხლე სწორედ ამ დროს ტოვებს დედამიწას... საშინელი გულის ცემა ამივარდა, მაგრამ არ შევშინებია. ისეთი უკუნეთი ჩამოწვა, თვალში თითს ვერ მიიტანდი. გავიდა რამდენიმე წუთი. უცნაური ფიქრი ამეკვიატა. ჩავილაპარაკე: „ის ხომ არ არის, მეთქი!". იმწამსვე გავარვარებულ შუბლზე ცივი ხელის შეხება ვიგრძენი.

კანკალმა ამიტანა: „იქნებ სიკვდილის ანგელოზი გამომეცხადა?" მაგრამ მალევე ჩამეძინა. დილით, როცა თვალები გავახილე, ძიძამ მიამბო: „ჩემი ქალიშვილი (მას მხედველობაში ჰყავდა ჩემი ცოლი, ის კახპა) დაღამებისას მოვიდა, სასთუმალთან დაგიჯდა, შენი თავი მუხლებზე დაიდო, ბავშვივით გარწევდა, ნანას გიმღეროდაო".

იქნებ ჩემს ცოლს დედობრივი ინსტინქტი გაეღვიძა? ეჰ, ნეტავ მაშინ მოვმკვდარიყავი! ის ბავშვი, რომელიც მას ჩაესახა, მკვდარია, იქნებ დაიბადა კიდეც? არ ვიცი. ამ ოთახში, საკანივით ვიწრო და ბნელ ოთახში ყოველ წუთს ველოდი ჩემს ცოლს, მაგრამ არ მოდიოდა. ამიტომაც ჩავვარდი ამ დღეში. ადვილი სათქმელია, სამი წელი, არა ორი წელი და ოთხი თვე გავიდა. თუმცა რა მნიშვნელობა აქვს ჩემთვის დღეებს. თვეებს? საფლავში მყოფ ადამიანისათვის დროს დაკარგული აქვს ფასი. აქ დაიმარხნენ ჩემი ფიქრები. ეს ოთახი ჩემი ცხოვრების სამარე იყო. სხვათა სიცოცხლის ყოველგვარი გამოვლინება, კერძოდ, ნაძირალების ცხოვრებისა, რომლებიც ფიზიკურად და სულიერად ერთ თარგზე იყვნენ მოჭრილნი, მეუცხოებოდა, ყურსა მჭრიდა, უაზროდ მეჩვენებოდა. მას შემდეგ, რაც ლოგიკურად ჩავვარდი, საეჭვო და დაუჯერებელ სამყაროში გამომელვიძა და ამ ნაძირალების სამყაროსთან რა მესაქმებოდა. სამყარო ათასი იდუმალებით იყო სავსე და მისი ყოველი კუთხე-კუნჭული უნდა მომეჩხრიკა.

ღამღამობით, როცა ჩემი ყოფნა-არყოფნა სათუო იყო, სანამ ღრმა ძილში ჩავეშვებოდი, ზმანებებით ავივსებოდი ხოლმე და თვალის დახამხამებაში ვატარებდი სხვა ცხოვრებას, ჩემსას კი არა, სხვისას... სულ სხვა ჰაერით ვსუნთქავდი. თითქოს საკუთარ თავს მინდოდა გავქცეოდი, ბედისწერა შემეცვალა...

სიმყუდროვესა და სიჩუმეში ამ სხვა ცხოვრების სურათებს შევცქეროდი, ერთმანეთს ვადარებდი. მეჩვენებოდა, რომ სანამ ჩემს თავს არ ვიცნობდი, იმ სამყარომ ადრე რომ

წარმომედგინა, ძალა და მნიშვნელობა დაკარგა და მის ნაცვლად წყვდიადი ჩამოდგა. — ჩემთვის კი არავის უსწავლებია ჭვრეტა ღამისა და მისი ტრფიალი.

არ ვიცი, ამ დროს მკლავები თუ მემორჩილებოდა. ვინ იცის, თავის ნებასვე რომ მიმეშვა, იქნებ რაღაც აუხსნელი მიზეზის გამო ამოქმედებულიყვნენ და მეც დამკარგვოდა კოორდინირების უნარი. სხეულს მუდმივად ვდარაჯობდი, თვალი მეჭირა, რამე მოულოდნელი არ მოემოქმედებინა. ეს გრძნობა კარგა ხნის წინათ გამიჩნდა, მას შემდეგ, რაც ცოცხლად გახრწნის პროცესი დაიწყო. არა მარტო სხეული, არამედ სულიც კი ეწინააღმდეგებოდა გულს; ისინი ერთმანეთს აცდნენ, უთანხმოება ჩამოვარდა სხეულის ცალკეულ ნაწილებს შორის. ზოგჯერ ისეთ რამეებზე ვფიქრობდი, რომ მათ არსებობაში ეჭვიც კი მეპარებოდა, ხანდახან სიბრალულის გრძნობა შემიპყრობდა, გონება კი ამ დროს მსაყვედურობდა. როცა ვინმეს ვესაუბრებოდი ან რამეს ვსაქმიანობდი, ვიწყებდი გაუთავებელ კამათს, ამ დროს ჩემი ფიქრი სადღაც შორს დაქროდა. სულ სხვა რამეზე ვფიქრობდი და გულში თავს ვსაყვედურობდი — დავემსგავსე დაშლის პროცესში მყოფ უფორმო მასას. თითქოს მუდამ ასეთი ვიყავი და სამუდამოდ დავრჩებოდი: ასე შეუთანხმებელი, შეურწყმელი ელემენტების საოცარი შენაერთი.

განსაკუთრებით აუტანელი იყო შეგრძნება იმისა, რომ ჩემს ირგვლივ მყოფი ადამიანებისაგან ასე შორს ვიყავი. თუმცა ერთი გარეგნული მსგავსება კი გვაკავშირებდა. არა, ცხოვრებისეულ მოთხოვნებს არ ვგულისხმობ. ჩემს სხეულს ეს თითქმის აღარ აწუხებდა. ეს აუტანელი მსგავსება ის იყო, რომ ამ ნაძირალებს ჩემსავით მოსწონდათ ჩემი კახპა ცოლი. მას კი ისინი უფრო იზიდავდნენ... დარწმუნებული ვარ, ჩვენ ორში ერთ-ერთს რაღაცა აკლდა.

მე მას კახპა ვუწოდე, რადგან ეს სიტყვა ზედგამოჭრილია მისთვის. არ მინდოდა მეთქვა: „ჩემი ცოლი", რადგან სინამდვილეში ჩვენ ცოლ-ქმარი არ ვიყავით და არც თავის მოტყუებას ვაპირებ. მუდამ კახპას ვეძახდი და ეს სიტყვა განსაკუთრებით მომწონდა. მას მე არც ვუყვარდი და არც მოვწონდი. განა შეეძლო კი ვინმე მოსწონებოდა გარყვნილ დედაკაცს, ვისაც ერთი მამაკაცი თავისი ავხორცობის დასაკმაყოფილებლად უნდოდა, მეორე — საარშიყოდ, მესამე კი — საწამებლად. არა მგონია, ამ სამითაც დაკმაყოფილებულიყო. არჩევანი ჩემზე მხოლოდ იმიტომ შეაჩერა, რომ ჩემს სატანჯველად იყო დაბადებული და მართლაც, ამაზე უკეთეს არჩევანს ვერც ინატრებდა.

როცა მოვმჯობინდი, გადავწყვიტე, წავსულიყავი, სადმე გადავკარგულიყავი კეთროვანი ძაღლივით ან იმ ფრინველივით, აღსასრულის მოახლოებისას რომ იმალება.

დილით ადრე ავდექი, ტანისამოსი ჩავიცვი, თაროდან ორი ნამცხვარი ავიღე და შეუმჩნევლად გავედი სახლიდან. თავზე დატეხილ უბედურებას გავექეცი. ქუჩაში უმიზნოდ, უგზო-უკვლოდ მივრბოდი, რომ აღარ დამენახა მათი ამალღარი სახეები. მათი ცხოვრების ერთადერთი მიზანი ფული და ავხორცობა იყო. გაჭრილი ვაშლივით ჰგავდნენ ერთმანეთს. ერთი მათგანის ნახვა საკმარისი იყო, დანარჩენების ამბავი გვცოდნოდა. ყველა ერთ თარგზე იყო მოჭრილი.

უცებ თავი მხნედ ვიგრძენი. ახლა უკეთ, ხალისიანად მივაბიჯებდი. ვიგრძენი, ცხოვრების ბორკილებისაგან გავთავისუფლდი, მხრები გავშალე. ბავშვობიდანვე დამჩვევა ეს ჩვეულება.

მზე ამოიწვერა. უკაცრიელ ქუჩებში მივაბიჯებდი. გზაში მხვდებოდა კუბის, პრიზმის და კონუსის ფორმის ჩაშავებული კარფანჯრებიანი ნაცრისფერი სახლები, ასე იფიქრებდი, ამ დარაბაჩამოხურულ, გამოკეტილ სახლებში ძე ხორციელი არ გაჭაჭანებულა და არც შეეძლო ვინმეს ეცხოვრა. მზემ ოქროს სამართებელივით ჩამოფხიკა კედლების ჩრდილები.

შეუმჩნევლად გავცდი ქალაქის გალავანს. მცხუნვარე მზე ისედაც გათელილ ტანს მიწვავს. უდაბნოს ბუჩქები თაკარა მზისაგან ზარდაწნასავით გადაყვითლებულან. მზემ ცის კაბადონიდან ცეცხლოვანი მზერა სტყორცნა და აათინათინა მდუმარე, უსიცოცხლო ბუნება... მიწას, ბალახს რაღაც განსაკუთრებული სუნი ასდიოდა. ისე მძაფრი იყო ეს სურნელი, რომ თვალწინ დამიდგა ჩემი ცხოვრების ერთი მონაკვეთი, ბავშვობის პერიოდი. სიამოვნებისაგან თავბრუ დამესხა, თითქოს ამ დაკარგულ ქვეყანას ხელახლა მოვევლინე. ამ გრძნობამ დამათრო, ძველ, ტკბილ ღვინოსავით დამიარა ძარღვებში და ტანში გამი-

ჯდა. უდაბნოში ყველაფერი ნაცნობი გახდა: ქალი, ქვა, ხე, იადლუშის ბუჩქი. ბავშვის მშობლიურ სუნს ვგრძნობდი და ჩემი ცხოვრების შორეული დღეები მახსენდებოდა. მაგრამ ყველაფერი, რამაც წარსულის სურათები გააცოცხლა, რაღაც ჯადოსნური ძალით ჩამომცილდა, ამ მოგონებებმა კი თავი ერთად მოიყარეს და შორეული, დამოუკიდებელი სიცოცხლით ცხოვრობდნენ. დავრჩი შორეული და უბადრუკი მაყურებლის როლში, ვგრძნობდი, ჩემსა და მოგონებებს შორის თვალუწვდენელი უფსკრული [illegible] სულში სიცარიელე ჩამიდგა.

როცა მდინარე სურანს მივუახლოვდი, ჩემ წინ აღიმართა შიშველი, უნაყოფო მთა. ამ მკაცრმა და ძუნწმა რელიეფმა მოხუცი ძიძა მომაგონა. მთის კალთაზე [illegible] და ცისფერი ლოტოსებით დამშვენებულ ერთ პატარა ლარტაფს შევადექი. მთაზე დიდი ბძიმე ქვებით ნაშენი ციხე-კოშკი იდგა.

დავიღალე და მდინარის პირას ბებერი კვიპაროსის ჩრდილქვეშ ჩამოვჯექი. წყნარი, მყუდრო ადგილი იყო. თითქოს აქ ადამიანს ფეხი არ დაედგა. უცებ დავინახე, რომ კვიპაროსებს გოგონა გამოსცდა და კოშკისაკენ წავიდა. მსუბუქი, აბრეშუმისნაირი შავი კაბა ეცვა. მარცხენა ხელის ფრჩხილს იკვნეტდა. მსუბუქად, გოგმანით ჩაუარა კვიპაროსებს და თვალს მიეფარა. მომეჩვენა, თითქოს ვიცნობდი. სადღაც მყავდა ნანახი, მაგრამ ამ შორ მანძილზე მზის ელვარე შუქზე ვერც გავარკვიე, როგორი გარეგნობა ჰქონდა. დამბლადაცემულივით გავშეშდი. მე ხომ ჩემი თვალით დავინახე, როგორ ჩამიარა და გაუჩინარდა. სიზმარში ვნახე თუ ცხადში? რეალური არსება იყო თუ მოჩვენება? დავძაბე გონება. მაგრამ ყველა ცდა ამაო იყო. ტანში ჟრუანტელმა დამიარა, შიშმა ამიტანა. მომეჩვენა, თითქოს ახლა გაცოცხლდა იმ კოშკის ყველა აჩრდილი და ერთ-ერთი მათგანი, ეს გოგონა, უძველესი ქალაქ რეის მკვიდრი იყო.

ჩემ წინ გადაშლილი ხედი მეცნაური. გამახსენდა, რომ ბავშვობისას, ახალი წლის მეცამეტე დღეს აქ ვიყავი ჩემს სიდედრთან და იმ კახპასთან ერთად. სწორედ ამ კვიპაროსებთან ვირბინეთ და ვითამაშეთ. შემდეგ ბავშვების ჯგუფი შემოგვიერთდა. ახლა კარგად აღარ მახსოვს, მგონი, დამალობანას ვთამაშობდით მდინარის პირას. იმ კახპას უკან მივდევდი. უცებ ფეხი დაუსხლტა და წყალში ჩავარდა. ამოიყვანეს. კვიპაროსების უკან სველი ტანისამოსი გამოუცვალეს. მეც იქვე ვიყავი. წინ ჩადრი ჩამოაფარეს, მაგრამ მე ქურდულად გავხედე. მის ტანს მოვკარი თვალი. იგი იღიმებოდა და მარცხენა ხელის ფრჩხილს იკვნეტდა. ტანზე თეთრი საბურველი შემოახვიეს, ხოლო მისი შავი აბრეშუმის კაბა გასაშრობად მზეზე გაფინეს.

შემდეგ ბებერი კვიპაროსის ხის ძირას ქვიშაზე წამოვწექი. ნაწყვეტ-ნაწყვეტად, ცალკეულ სიტყვებს რომ წამოისვრის ხოლმე ძილში ადამიანი, ისე აღწევდა ჩემამდე წყლის ხმაური. უნებლიეთ რბილ, გრილ სილაში ჩავყავი ხელი. [illegible] სილა, რომელიც იმ ქალიშვილის სხეულივით მკვრივი იყო, წყალში რომ ჩავარდა და ახლა ტანისამოსს უცვლიდნენ.

არ ვიცი, რამდენი დრო გავიდა, როცა წამოვდექი, გზაზე წავლასლასდი. ჩამიჩუმი არ ისმოდა. მივაბიჯებდი და ჩემ გარშემო ვერაფერს ვამჩნევდი. რაღაც ძალა მიბიძგებდა, წინ წავსულიყავი. არა, კი არ მივდიოდი, იმ შავკაბიან გოგონასავით მივცურავდი, მივსრიალებდი... როცა გონს მოვედი, დავინახე, რომ ქალაქში ჩემი სიმამრის სახლის წინ ვიდექი. ქვის სკამზე მისი უმცროსი შვილი, ჩემი ცოლისძმა იჯდა, რომელიც გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა თავის დას: ალმაცერა თურქმენული თვალები, [illegible] გამხდარი პირისახე და დიდი ცხვირი ჰქონდა. იჯდა და მარცხენა ხელის საჩვენებელ თითს წოვდა. უნებურად მივუახლოვდი, ჯიბიდან ნამცხვარი ამოვიღე და მივაწოდე, ვუთხარი: „შაჰჯანმა გამოგიგზავნა" ჩემს ცოლს მხოლოდ ის უძახდა შაჰჯანს. [illegible] ჩავარდა. გაკვირვებული შესცქეროდა ნამცხვარს. მეც სახლის წინ ქვის სკამზე ჩამოვჯექი. მუხლებზე დავისვი და გულში ჩავიხუტე. ტანი ცხელი ჰქონდა და ბარძაყები ჩემი ცოლის ბარძაყებს მიუგავდა. ტუჩებით მამას ჰგავდა, რაც მამამისის მეზიზღებოდა, მისი პირიდით მიზიდავდა. მის თხელ გახსნილ ბაგეებს თითქოს ჯერ კიდევ არ დაშორებოდა მწველი და ხანგრძლივი კოცნის ძალა. მის ბაგეებს, რომელიც ჩემი ცოლის ტუჩებს ჰგავდნენ, დავეწაფე. მათ კიტრის ნაფცქვენის მომწარო გემო დაჰკრავდა, ალბათ იმ კახპასაც ასე გემრიელი ტუჩები ჰქონდა. ამ დროს დავინახე წელში მოკაკული მამამისი, სახლიდან ისე გამოვიდა და გვერდით ისე ჩაგვიარა, ჩვენკენ არც მოუხედავს. ღრიალ-ღრიალ

იცინოდა და ისე საზარლად იცინოდა, თმა ყალყზე დამიდგა. სირცხვილისაგან დავიწვი. ნეტავ მიწა გამისკდომოდა და თან ჩავეტანე. დაისმა მთაწია. წამოვდექი, თითქოს ჩემს თავს მინდოდა გავქცეოდი. ანგარიშმიუცემლად სახლისაკენ გზას გავუდექი. ვერავისა და ვერაფერს ვხედავდი, ასე მეგონა, უცხო ქალაქში მივაბიჯებდი. გარშემო იდგა საკვირველი გეომეტრიული აგებულების, ჩამავებული კარ-ფანჯრებიანი სახლები, ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, ამ სახლებში ძე სულიერი ვერ გაძლებდა. თეთრი კედლები [illegible] ელვარებდნენ. გასაოცარი ის იყო, რომ მთვარის შუქზე ჩემი თავწაკვეთილი დიდი ჩრდილი მეცემოდა. გაგონილი მქონდა, თუ კედელზე დაცემულ ჩრდილს თავი არ ჰქონდა, ნასინ მისი პატრონი წლის ბოლომდე ვერ გაატანდა.

აღელვებული სახლში შევვარდი. მაშინვე ცხვირიდან სისხლი წამსკდა. კარგა ხანს აღარ შემიჩერდა. მერე გრძნობა დავკარგე. საწოლზე დავეცი, ძიძა თავს დამტრიალებდა.

ძილის წინ სარკეში ჩავიხედე. ისე ვიყავი გამოცვლილი, თავი ველარც ვიცანი. სარკიდან შემომცქეროდა გაფითრებული სახე ჩაჩუტებული, დაჩაჩანაკებული კაცისა, რომელსაც სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ეტყობოდა. ლოგინზე წამოვწექი, საბანი წავიხურე, კედლისკენ ვიბრუნე პირი, თვალები დავხუჭე და ფიქრებს გავყევი. ფიქრები ჩემი სვე-ბედის ნაღვლიან, ბნელ, საშინელ, წარმტაც გზებზე მიმაქროლებდნენ. მაშინ კი, როცა სიკვდილ-სიცოცხლეს შორის ზღვარი იშლება, როცა ამოტივტივდებიან მიმქრალი სახეები, დიდი ხნის წინათ დამსხვრეული იმედები, როცა კვლავ ცოცხლდებიან დავიწყებული სურვილები და შურისგებას ითხოვენ, — აი, ამ დროს მოვწყდი გარე სამყაროს, მთად ვიყავი გაქრალიყავი, მარადისობიდან ამოვარდნილიყავი, ფეროლად ვქცეულიყავი. რამდენჯერმე ჩავილუღლუღე: „სიკვდილო, სიკვდილო, სად არის?" ამან თითქოს დამამშვიდა, ქუთუთოები დამიმძიმდა. და როცა თვალები დავხუჭე, მაშინვე მოედანზე აღმოვჩნდი. სახრჩობელა გაემართათ და ძელზე ეკიდა ის მოხუცი მეწვრილმანე, ჩემს ფანჯრებს წინ რომ იჯდა ხოლმე. სახრჩობელას ქვეშ რამდენიმე მთვრალი ჩაფარი ღვინოს შეექცეოდა. ჩემს სიდედრს სახეზე ისეთი გამომეტყველება ესახა, როგორიც ჩემს ცოლს სჩვეოდა შიშის დროს (ტუჩები უფითრდება და თვალები ლამის შუბლიდან ამოუცვივდეს). სახეალეწილმა ხელი ჩამავლო, წითლებში გამოწყობილ ჯალათთან მიმიყვანა, ჩემზე მიუთითა და უთხრა: „ესეც ჩამოახრჩეთ!" შიშისაგან გამოვფხიზლდი. ქურასავით გავარვარებული ვიყავი. ვიწვოდი, ოფლში ვცურავდი. სახეზე ალმური ამდიოდა. ამ შემაძრწუნებელი, სულის შემხუთველი სიზმრიდან თავი რომ დამეხსნა, წამოვდექი, წყალი დავლიე. გასაგრილებლად ცოტა თავზე და სახეზეც შევისხი. ისევ დავწექი, მაგრამ თვალს ძილი აღარ ეკარებოდა.

ბინდბუნდში უკამოუჩინოებლად თაროზე შემოდგმულ წყლის სურას მივჩერებოდი. ასე მეგონა, სანამ სურა თაროზე იდგა, ჩემს თვალს ძილი არ მიეკარებოდა. შემდეგ უაზრო შიშმა შემიპყრო: სურა არ გადმოვარდეს-მეთქი. წამოვდექი, მინდოდა სურა სხვაგან გადამედგა, რატომღაც სურას ხელი წავკარი. თაროდან გადმოვარდა და დაიმსხვრა. დავწექი, თვალები მაგრად დავხუჭე. მომეჩვენა, თითქოს ძიძა შემოვიდა, დგას და შემომცქერის. საბნის ქვეშ მუშტები მოვკუმე, მაგრამ განსაკუთრებული არაფერი არ მომხდარა. გულშეღონებულს ჩამესმა ქუჩის ხმაური, შემოსასვლელი კარის ჭრიალი. ძიძას ფეხის ხმა რომ ჩამესმა, გათენდა კიდეც. ალბათ პურისა და ყველის მოსატანად წავიდა.

შემდეგ ქუჩაში კარდაკარ მოვაჭრის ძახილი გაისმა: „ღვრძლის წამალი — მაიე თუთაქის უნდა?", ჩვეულებრივი, მოსაწყენი დღე იწყებოდა. სინათლემ იმატა. წყლის შადრევანიდან არეკლილი მზის სხივი ფანჯრებში შემოიპარა და ჭერზე აათამაშდა.

წუხანდელი სიზმარი ისეთი შორეული და მივიწყებული მეჩვენა, თითქოს მრავალი წლის წინათ, ბავშვობაში მენახოს. ძიძამ საუზმე შემომიტანა. პირისახე ისე გამჭლეოდა, ჩამოგრძელებოდა, გეგონება, რამე ტვირთი ჰქონდა და დაბლა ეწეოდა. მრუდე სარკე რომ არეკლავს, ისეთი სასაცილო იერი ჰქონდა.

ძიძამ იცოდა, თამბაქოს სუნი მეწყინდა, მაგრამ მაინც ყალიონს ეწეოდა ოთახში. სანამ არ გააბოლებდა, გუნებაზე ვერ იყო. მიამბობდა თავის სახლზე, რძალზე, ვაჟზე და მეც მისი ვნებების თანამოზიარე ვხდებოდი. სისულელეა, მაგრამ ზოგჯერ უნებლიეთ მისი ოჯახის წევრთა ცხოვრებაზე ვფიქრობდი. არ ვიცი, რატომ, მაგრამ სხვისი სიხარულით ვერ ვხარობდი. გული მეკუმშებოდა. ვიცოდი, ჩემი საქმე წასული იყო და ახლა

ნელა, ტანჯვა-წვალებით უნდა მიმეყვანა სიცოცხლე ბოლომდე. რატომ უნდა მეფიქრა ვილაც ბრიყვებზე, კაცუნებზე, რომლებსაც არც ჯანი აკლდათ, არც მადა და არც ძილი. ყველაფერს სტაცებდნენ ცხოვრებას, არაფერი აღელვებდათ, არც სიკვდილის შიში შეჰყრობდათ.

ძიძა უწინდებურად ბავშვივით მეპყრობოდა. ჩემს მოკრძალებას არად აგდებდა. ჩემი ცოლის კვლავ ერიდებოდა. როცა ოთახში შემოდიოდა, სახეულით ... მეს გადავაფარებდი, თმას და წვერს ჩამოვივარცხნიდი, ჩამოფხატულ ჩაჩს გავისწორებდი. ძიძას არ ვეკითხებოდი, როგორ მოხდა, რომ ქალი, რომელსაც ჩემთან არაფერი ესაქმებოდა, ასე ძლიერ შემოიჭრა ჩემს ცხოვრებაში? გამახსენდა, სწორედ ამ ოთახში, ზამთრობით ქურსის ვდგამდით. მე, ძიძას და იმ კახპას ქურსის გარშემო გვეძინა. როგორც კი თვალს ავახელდი, მაშინვე დავაჩერდებოდი საოცრად მოხატულ ფარდას: ინდოელი იოგივით ჩალმით თავშებურვილი, წელში მოკაკული მოხუცი კვიპაროსის ხის ძირას იჯდა, ხელში რაღაც აღმოსავლური საკრავი ეჭირა. მის წინ იდგა ბორკილგაყრილი ლამაზი ქალიშვილი, რომელიც საოცრად ჰგავდა ბუგამ დასის. ვფიქრობდი, იქნებ ეს მოხუციც ჩაუგდეს ჭაში შავ გველს? ამიტომაც მოიხარა წელში, გაუთეთრდა თმა და წვერი?

ეს ინდური ფარდა ალბათ მამამ ან ბიძამ გამოგზავნა შორეული ქვეყნიდან. რაც უფრო ვუცქერებდი ამ ფარდას, მით უფრო მიპყრობდა შიში და ძრწოლა. შეშინებული ძიძას გავაღვიძებდი ხოლმე და ისიც გულში ჩამიკრავდა. დილით კი მეჩვენებოდა, რომ ძიძა ფარდაზე გამოსახულ მოხუცს ჰგავდა. თუმცა მას სახეზე უფრო ღრმა ნაოჭები ჰქონდა.

ბავშვობის ხანას უფრო იმიტომ ვიხსენებდი, რომ ახლანდელ ყოფაზე არ მეფიქრა, ჩემს თავს გავქცეოდი. ისევ ძველებურად მეგრძნო თავი, ჯანმრთელად. თავს ბავშვად წარმოვიდგენდი და მაშინ ხომ გამოჩნდებოდა ვინმე, რომელიც სასიკვდილოდ განწირულ ბავშვს შეიცოდებდა. ჩემი ცხოვრების უმძიმეს წუთებში, როცა ძიძის მშვიდ ფერმკრთალ სახეს, ფართო შუბლს, ღრმად ჩაწვდარ, უძრავ თვალებს ვუყურებდი, ბავშვობისდროინდელი მოგონებები მომეძალებოდა.

ძიძა გარეგნულად შეიცვალა, მაგრამ აზრები, შეხედულებები უწინდებური დარჩა, თუმცა სიკვდილის შიში კი გაუმძაფრდა იმ ბუზივით, ადრეულ შემოდგომაზე ოთახს რომ შეაფარებს ხოლმე თავს.

ჩემს ცხოვრებაში ყოველდღე, ყოველწამს ხდებოდა გარდატეხა. ამ ცვლილებებს სხვებისთვის ალბათ წლები დასჭირდებოდა.

შუადღისას ძიძამ სადილი შემომიტანა. წვნიანი ჯამი ხელიდან გავაგდებინე და ავღრიალდი. ვინც სახლში იყო, ყველა კარს მოაწყდა, ის კახპაც, მაგრამ სწრაფადვე გაქრა. მის გამობერილ მუცელს მოვკარი თვალი... ეტყობა, ჯერ არ მოულოგინებია. ექიმს გამოუძახეს. მიხაროდა, ამ ბრიყვებს საქმე გავუჩინე-მეთქი.

გრძელწვერა ექიმმა ბრძანა, ჩემთვის თრიაქი მოეტანათ. ამაზე უკეთესს რას ვინატრებდი... იგი ჩემი ტანჯული ცხოვრებისათვის უებარი წამალი იყო. როცა თრიაქს ვეწეოდი, მეპარებოდა დიადი, კეთილშობილური აზრები. შორს, ძალიან შორს მიმაქროლებდნენ და მეც დავნავარდობდი სულ სხვა, ამ ქვეყნის მიღმა ჯადოსნურ სამყაროში.

ყოველგვარი მიწიერის ბორკილებისაგან თავდახსნილი, ოცნებასა და ფიქრს უშფოთველობისა და სიჩუმის საუფლოსაკენ მივყავდი. თითქოს ოქროს ლამურამ ფრთებზე შემისვა და მეც თავისუფლად დავნავარდობდი უკაცრიელ, გაცისკროვნებულ სამყაროში. სადაც არც ზღუდე იყო და არც მოსახვევი. სიკვდილით ტკბობა ვერ შეედრება იმ საამო ნეტარებას, რომელსაც თრიაქის მოწევის შემდეგ განვიცდიდი.

წევას რომ მოვრჩი, წამოვდექი და ფანჯრიდან ეზოში გადავიხედე. მზის გულზე ძიძა იჯდა და ბოსტნეულს არჩევდა. გავიგონე, თავის რძალს რომ უთხრა: „გული გაწყალდა. მამაზეციერმა რომ წაიყვანოს, ესეც მოისვენებს და ჩვენც". როგორც ჩანს, ექიმმა უთხრა, ვეღარ მომჯობინდებაო.

არ გამკვირვებია, რა ბრიყვები არიან! ერთი საათის შემდეგ ტირილისაგან თვალდასიებულმა და გაწითლებულმა ძიძამ ნახარში მომიტანა. თავს ძალას ატანდა, იცინოდა.

თვალთმაქცობდა, ჩემთან ყველა თამაშობდა, მაგრამ ერთობ უხეიროდ. ალბათ გგონიათ, ვერაფერს ვხვდებოდი. რატომ იყო ეს ქალი ჩემი ერთგული? რატომ უნდა გაეზიარებინა ჩემი დარდი და მწუხარება? ერთ მშვენიერ დღეს, დიდი ხნის წინათ, მას ხელში მისცეს და პირში ჩამტენა თავისი დამჭკნარი, შავი ძუძუ. ნეტავ კეთრს დაეღალა მაშინ მისი მკერდი. ახლა ამ ტიკივით ჩამოკიდებულ მკერდს რომ ვუყურებ, გული მერევა, როცა წარმოვიდგენ, რა მადიანად ვისრუტავდი სიცოცხლის წვენს და რისი სითბო როგორ მეღვრებოდა სხეულში. მაშინ თავისუფლად მეძეოდა და არც ახლა მერიდება.

ამიტომაც მხოლოდ ის მივლიდა. ძიძასაც მიაჩნდა, რომ ღვთის განგებით ასეთი ბედი ერგო წილად. სარგებლობდა ჩემი ავადმყოფობით და გაუთავებლივ მიამბობდა თავის ოჯახის ავ-კარგზე, კინკლაობაზე, გულს გადამიშლიდა ხოლმე, მეც დავრწმუნდი, რომ სულნამცეცა ადამიანი ყოფილა, ისე გულღრძოდ გესლავდა რძალს. დედა-შვილს შორის ჩაგვიდგა და სიყვარული წაგვართვაო. რძალი კი ნამდვილად ლამაზი ჰყავდა. ერთხელ ფანჯრიდან მოვკარი თვალი: თვალშავარა ქერათმიან ქალს პატარა, სწორი ცხვირი ამშვენებდა. ძიძას აზრით, ამგვარი საუბარი მხნეობას მმატებდა და მამშვიდებდა. მისი მდაბალი და სულელური აზრები მაღიზიანებდა. მოჰყვებოდა ჭორვა-კილვას. რამდენიმე დღის წინ მითხრა, ჩემს ქალიშვილს (ე. ი. იმ კახპას) ღმერთმა ხელი მოუმართოს, თავის მომავალ პირმშოს სააღდგომო პერანგი შეუკერაო. შემდეგ გადაწყვიტა, ჩემთვისაც ეცა ნემსი... კარდაკარ დადიოდა, მეზობლებს ეაჯებოდა, ჩემთვის წამლებს ართმევდა, მოინახულა ჯადოქრები, მკითხავებიც, ყველას ჩემს ამბავს უამბობდა, რჩევას თხოვდა.

რამდენიმე დღის წინ მტვრიანი ლოცვანი შემომიტანა. აბა რა თავში ვიხლი ლოცვანს ან ამ წმინდანების წიგნებს, ჩანაწერებსა და ფიქრებს. ყველაფერი ხომ სიცრუეა, ამაოებათა ამაოება.

თუმცა ადრე, როცა ჯანი მერჩოდა, თავს დავძლიე და რამდენჯერმე მეჩეთში წავედი. შევეცადე იქ მყოფთა გულისთქმას ავყოლოდი, მაგრამ მეჩეთში ლაზათად მოჭიქულ მოოქროვილობისა და მოხატული კედლებისაკენ გამექცა თვალი. სასიამოვნო ბინდში ვიყავი, ვთვლემდი, უნებურად ვითიშებოდი. ლოცვის დროს თვალებს ვხუჭავდი, სახეზე ხელებაფარებული ჩემსავე შექმნილ ლანდში ანგარიშმიუცემლად, მძინარესავით ვიმეორებდი ლოცვანის სიტყვებს. უგულისყუროდ ვლოცულობდი, რადგან მეგობრებთან, ნაცნობებთან უფრო მსიამოვნებდა საუბარი, ვიდრე ყოვლისშემძლე, უმაღლეს ღვთაებასთან. ღმერთის ჩემი გონება ვერ სწვდებოდა.

როცა საწოლში სიცხისაგან გათანგული ოფლში ვცურავდი, ნაკლებად მაინტერესებდა, ღმერთი ნამდვილად არსებობდა, თუ ის ქვეყნის მბრძანებელთა ღვთაებრივი ძლიერების განსამტკიცებლად და ხალხის გასაძარცვავად იყო გამოგონებული. იქნებ იმან, რაც დედამიწაზე წარმოდგენით შექმნეს, ზეცაში ჰპოვა გამოძახილი? ეს ამბავი ნაკლებად მაწუხებდა, სულ იმის ფიქრში ვიყავი, დილამდე მივაღწია როგორმე. სიკვდილის წინაშე რელიგიაც უძლური იყო, რწმენაც. ეს იყო ჯანმრთელი, ბედნიერი ადამიანის ბავშვური თამაში. როგორ შეედრებოდა სიკვდილის საშინელ არსს ჩემს ჯოჯოხეთურ ტკივილებს. რელიგია იმქვეყნიურ შურისგებასა და აღდგომის დღეზე ქადაგებდა. ამით ვერ მოვიტყუებდი თავს, ლოცვებმა ვერ ჩაკლეს ჩემში სიკვდილის შიში. შიშის მარწუხებში ვიყავი მოქცეული. ვისაც ფიზიკური ტკივილები არ განუცდია, ის ვერც გაიგებს. სიცოცხლისაკენ ისე ძლიერ ვისწრაფოდი, რომ სიხარულის მცირედი გაელვებაც კი მრავალსაათიანი ტანჯვა-წამების შედეგი იყო.

ვხედავდი, რომ ტანჯვა-წამება და ტკივილი კვლავ არსებობდა, მაგრამ მათ შინაგანი აზრი, მშვენიერება დაკარგული ჰქონდათ. ნაძირალებისათვის უცხო ვიყავი, დაავიწყდათ, რომ ოდესღაც მეც ამ ქვეყნის შვილად ვითვლებოდი. საშინელება იყო, მაგრამ აღარც ცოცხლებში ვეწერე და აღარც მკვდრებში. ცოცხალი ლეში ვიყავი, რომელიც ვერც ამ ქვეყანას განერიდა და ვეღარც სიკვდილის სიმშვიდესა და დავიწყებას შეაფარა თავი.

მოსაღამოვდა. თრიაქის წევას მოვრჩი და ფანჯრიდან გადავიხედე. შავ სეს მოვკარი თვალი სასახლესთან, სადაც ეს იყო დარაბებს ხურავდნენ. მუქი ჩრდილები დასრიალებდნენ, ერთმანეთში ირეოდნენ. ასე მეგონა, ყველაფერი წარმავალი და დროებითი იყო. კუპრივით ცა ჰგავდა ჩამშავებულ, დაკონკილ ნაჭერს, რომლის ნახვრეტებიდან აუარებელი კაშკაშა ვარსკვლავი იმზირებოდა. ამ დროს აზანის ხმა გაისმა. აზანის დრო არ იყო. იქნებ რომელიმე დედაკაცს მძიმე მშობიარობა ჰქონდა ან, ვინ იცის, შეიძლება სულაც ის კახპა ბადებდა და აკვნებზე იყო შემდგარი? აზანის ხმას ძაღლის ყმუილიც ერთვოდა.

გავიფიქრე: თუკი ცაზე ყველას თავისი ვარსკვლავი აქვს, ჩემი ვარსკვლავი — მიმქრალი და პაწაწკინტელა — სადღაც შორს არის-მეთქი. — იქნებ სულაც უვარსკვლავოდ დამტოვა ბედმა?

ამ დროს ქუჩაში გაისმა მთვრალი ღამის გუშაგების ყვირილი, უხეშად ელანძღებოდნენ ერთმანეთს. შემდეგ ტაშფანდურა გაამართეს და სიმღერა დაიწყეს. შეშინებულმა უკან დავიწიე. ხმაური თანდათანობით მიწყდა და ბოლოს სულ [illegible] ჩემთან რა საქმე ჰქონდათ, არაფერი არ იცოდნენ... კვლავ სიჩუმემ [illegible] დაისადგურა. ჭრაქი არ ამინთია, სიბნელეში ჯდომა მსიამოვნებდა. წყვდიადს შევეჩვიე, სიბნელეში მიცოცხლდებოდა მიმქრალი, ჩაფერფლილი ამბები, მივიწყებული შიში, საშინელი, დაუჯერებელი ფიქრები.

იქ, ფარდასთან უძრავად იჯდა საშინელი არსება, ჩემს გულს არც სიხარული გაჰკარებია და არც მწუხარება. ჰოსკენ რომ მივბრუნდი, თვალჩაციებული შემომყურებდა. ნაცნობი სახე ჰქონდა, თითქოს ბავშვობისას მენახოს, ჯერ კიდევ, ფარვარდინის თვის ცამეტ რიცხვში, როცა გადმოცემის თანახმად უბედურების თავიდან აცილების მიზნით ყველა სახლიდან უნდა გავიდეს, მდინარე სურხანის პირას ბავშვებს „დამალობანას" ვეთამაშებოდი. ბავშვებში შევამჩნიე ის არსება. მაშინ იგი უწყინარი, პატარა და სასაცილო მეჩვენა. სახით ჰგავდა ყასაბს, რომელსაც ჩემი სახლის წინ დუქანი ჰქონდა, თითქოს ეს კაცი ჩემს ცხოვრებაში შემოიჭრა, ჩუმად აჩრდილივით სულ თან დამდევდა, თითქოს ჩემთან ერთად მოევლინა ქვეყანას და ჩემი შეზღუდული ცხოვრების თანამგზავრი გახდა.

როცა ჭრაქის ანთებას წამოვდექი, აჩრდილი გაუჩინარდა. სარკეში ჩავიხედე, გულდასმით შევათვალიერე სახე. სარკიდან დაუჯერებლად უცხო, საშინელი ადამიანი შემომცქეროდა. შეიძლება ითქვას: მე ვიქეცი გამოსახულებად, ხოლო გამოსახულება — ცოცხალ არსებად. ასე მეგონა, მე და ჩემი გამოსახულება ერთ ოთახში ვერ გავძლებთ-მეთქი, ვიცოდი, რომ გავქცეულიყავ, გამოსახულებაც უკან გამომეკიდებოდა. [illegible]ლად შემართულ კატებივით უძრავად ვისხდით ერთმანეთის პირისპირ. სახეზე ხელები ავიფარე, რომ თვალწინ მუდმივი ლანდი შემექმნა. შიში უმეტეს წილად ჩემში სიამოვნებისა და ნეტარების გრძნობას ბადებდა. თავბრუ მეხვეოდა, მუხლებში სისუსტეს ვგრძნობდი, გული მერეოდა, არ წავქცეულიყავ. საკვირველი იყო, როგორ ვიდექი ფეხზე? ასე მეგონა, ოდნავ რომ შევტოკებულიყავ, წონასწორობას დავკარგავდი. საოცრად ლამაზია თავბრუ — დედამიწა და მისი ბინადარნი ჩემგან სადღაც შორს აღმოჩნდნენ: ბინდბუნდში მიწისძვრის და შორიდან მოსული სურვილი მომეძალა. მინდოდა ხელახლა გავჩენილიყავი გაცისკროვნებულსა და მშვიდ სამყაროში.

როცა ლოგინში ჩავწექი, გადავწყვიტე რამდენჯერმე ჩავილუღლუღე: „[illegible], [illegible]", მაგრამ ჩემი ხმის გაგონებამ შემაკრთო. შეშინებულს ძველი [illegible]. შემოდგომის პირზე ოთახში შემოჩენილ ბუზს ვგავდი, უსიცოცხლო, გამომხმარ ბუზს, თავის მშრალის ხმაც რომ აკრთობს ხოლმე. ამ ბუზებს ჯერ კედლებს შეჰხვევა და როცა დარწმუნდებიან, რომ სული კვლავ უდგათ, შეშინებულნი დაბლა ცვივიან ხოლმე.

შუაღამე კარგა ხნის გადასული იყო, როცა ჩამეძინა. უცებ უცხო ქალაქის ქუჩაში აღმოვჩნდი. მივსეირნობდი, ვხედავდი საოცარ გეომეტრიული გამოსახულების სახლებს. მათ პრიზმის, კონუსის, კუბის ფორმა ჰქონდათ. ჩაბნელებულ კარ-ფანჯარას ცისფერი ლოტოსები შემოჰხვეოდა. ლაღად მივაბიჯებდი, თავისუფლად ვსუნთქავდი, მაგრამ ამ ქალაქის მცხოვრებნი უჩვეულოდ დახოცილიყვნენ. სიკვდილს მათთვის სადაც მოესწრო, იქვე გაეთავებინა. პირიდან ტანისამოსზე ორი წვეთი სისხლი ჩამოსდიოდათ. თუკი რომელიმე მათგანს ხელით შევეხებოდი, თავი ტანს მოსცილდებოდა და მიწაზე გაგორდებოდა.

ყასაბის წინ გავჩერდი, დავინახე მოხუცი, რომელიც ჩემი სახლის წინ [illegible] ჰგავდა. მას კისერზე რაღაც ქსოვილი შემოეხვია, ხელში დანა ეჭირა, ამოწითლებული თვალები უაზროდ მოეპყრო. დანის გამორთმევა ვცადე. თავი სხეულს მოსცილდა და მიწაზე გაგორდა, ელდანაცემმა მოვკურცხლე. ქუჩაში გავრბოდი. აქეთ-იქით, სადაც თვალი მიმიწვდა, ადგილზე გაშეშებულ ქალაქის მცხოვრებლებს ვხედავდი: გავრბოდი და თან უკან მოხედვის მეშინოდა. როცა სიმამრის სახლს მივუახლოვდი, დავინახე ჩემი ცოლისძმა, იმ კახპას უმცროსი ძმა, [illegible] წამომჯდარიყო. ჯიბეში ხელი ჩავიყავი, ორი ნამცხვარი ამოვიღე და როცა გავუწოდე, მასაც თავი მოსძვრა და მიწაზე გაგორდა. საშინლად დავიღრიალე და კიდეც გამომეღვიძა.

ალიონმა მოაწია. ყელში რაღაც მიჭერდა. ასე მეგონა, ჭერი თავზე უნდა ჩამომემხობოდა, გული ამოვარდნაზე მქონდა. თვალისჩინივით წამერიდა და შიშისგან სული მეხუთებოდა. რამდენიმე ხანი ასე ვიწექი. უაზროდ ჭერზე თვალებს შევცქეროდი, ვითვლიდი... თავბრუ ამერია, კვლავ დავიწყე სვლა. თვალები მაგრად მოვჭუტე. ამ დროს კარმა გაიჭრიალა. ოთახში დაუპატიჟებლად ძიძა მოსულიყო. ჩემი საუზმე მაღლა ოთახში [illegible] ავედი მეორე სართულზე და ფანჯარასთან ჩამოვჯექი. აქედან, მაღლიდან [illegible] მოვაჭრე ის მოხუცი, ერთთავად ჩემი სახლის წინ რომ იდგა ხოლმე, არ ჩანდა. მარცხენა მხრიდან ვხედავდი მძიმე მოუხეშავ ყასაბს. აქედან სასაცილო და საცოდავი შესახედავი ჩანდა. თითქოს სინამდვილეში ის ყასაბი კი არა, ყასბის როლში უნიჭოდ შემოსული ვიღაც სხვა იყო. ორი გაძვალტყავებული [illegible] მოიყვანეს, ცხენებს ყელგამოღადრული ცხვრები ეკიდა. ჯაგლაგებს ხველა აწუხებდათ. ყასაბმა გაქონილი ხელი წვერზე ჩამოისვა, მუშტრის თვალით შეათვალიერა ცხვრები, ორი აარჩია, ძლივს აათრია და საყასბოში ჩანგალზე ჩამოკიდა. ალბათ, როცა ყასაბი ღამით ცოლს ეალერსებოდა, სულ იმის ანგარიშში იყო, დაკლა და ხორცი გაეყიდა, რამდენს ავიღებო.

ძიძამ ოთახი გამიხვეტა. მეც დავბრუნდი და საშინელი რაღაც გადავწყვიტე. საკუჭნაოში გავედი, სკივრიდან ძვლისტარიანი დანა ამოვიღე, ხალათის კალთაში გავახვიე და ბალიშის ქვეშ დავმალე. ეს განზრახვა კარგა ხანია ჩავიდე გულს. არ ვიცოდი, რას გრძნობდა, როცა იგი ცხვარს აჭყავებდა. სწორედ, შემდეგ თავის ჩანთას ალბათ შესცქეროდა. სურვილი გამიჩნდა მისთვის მიმებაძა. ასეთი ნეტარება მეც გამეცადა... ჩემი ოთახის ფანჯრიდან ღრუბლებს შუა ჩანდა ლაჟვარდოვანი ცის ერთი მონაჭერი. ცას ეკიდნენ, მძიმე ღრუბლები შემოეჯარნენ და კუშტად დასცქეროდნენ ქალაქს.

საოცარი სიამოვნების მომგვრელი ამინდი იყო. ასეთ ამინდში ჩემი ფიქრი და გონება მხოლოდ სიკვდილი იყო, გაძვალტყავებული ხელით ყელში რომ მწვდა და გადაეწყვიტა, ის კაცად თან წამეყვანა, რათა ჩემი საიქიოს გამგზავრების შემდეგ არ ეთქვა: „ღმერთმა შეუნდოს, როგორც იქნა, მოისვენა".

ამ ფიქრებში ვიყავი, ჩემს ფანჯრებს მაღლა მორთულმა ეტლმა, რომ ჩაუარა. კუბოზე სანთელი ენთო. მერე შევახედიც მომესმა: „არ არის ღმერთი გარდა ალაჰისა". მედუქნეები და გამვლელები, ჩვეულებისამებრ, შვიდ ნაბიჯზე მიაცილებდნენ კუბოს. ყასაბიც გაჰყვა შვიდ ნაბიჯზე სამღვთოდ პროცესიას და შემდეგ საყასბოში დაბრუნდა. წარიდამზადით მოაქცია მოხუცი კი ადგილიდან არც დაძრულა. ყველას სერიოზული სახე ჰქონდა. იქნებ რამე იცოდნენ იმქვეყნიური ცხოვრებაზე და სიკვდილის არსზე? ძიძამ წამალი რომ შემომიტანა, სახე მოიღუშა, შუბლი შეიკრა. ხელზე ჩამოკიდებულ კრიალოსანს მარცვლავდა და ლოცვებს ბუტბუტებდა. შემდეგ ოთახიდან გავიდა და კარს უკან რამდენჯერმე გაიმეორა: „ალაჰ, ალაჰ!".

თითქოს შემქმნელი ცოცხლებისათვის ცოდვები შემენდო, დიდ სიამოვნებას მანიჭებდა, როცა ეს ნაძირალები ღრიჯებით, თუნდაც რამდენიმე წამით, ჩემს დღეში ჩავარდებოდნენ. განა ჩემი ოთახი კუბოს, ხოლო საწოლი ცივსა და ბნელ სამარეს არა ჰგავდა? ლოგინი მუდამ გაშლილი მქონდა. ტვინს მიბურღავდა ფიქრი, რომ გასახვევზე ვიწექი. ლამობამბით ოთახი თითქოს ვიწროვდებოდა და ჭერიც ჩამოძირავს ლამობდა, რომ გავეჭყლიტე. განა ასეთივე გრძნობა არ უჩნდება საფლავში გამოკეტილ ადამიანს? ვინ იცის, რა ელის ადამიანს სიკვდილის შემდეგ?

თუმცა სიკვდილის შემდეგ სისხლის მოძრაობა წყდება და რამდენიმე დღის შემდეგ ხრწნას იწყებს სხეული, მაგრამ თმა და ფრჩხილები კვლავ განაგრძობენ ზრდას. ნეტავ ფიქრები და გრძნობები გულის მუშაობის შეწყვეტისთანავე ქრებიან თუ ისევ განაგრძობენ ფარულ ცხოვრებას, სანამ ძარღვებში სისხლი შეჩერდება? თუ სიკვდილის მოახლოება შიშის ზარს სცემს ადამიანს? ნეტავ წუთისოფელს უკვე მოშორებულნი რაღაცას განიცდიან?

ზოგი მოხუცი აღსასრულს ღიმილით ეგებება, თითქოს სიზმარს სიზმარი შეუნაცვლა ან ჩირაღდანივით ჩაქრა. რას გრძნობს ჯან-ღონით სავსე ახალგაზრდა, უეცრად რომ მხეს ჩაესვენება და რამდენიმე ხანი უძლურდება, ებრძვის სიკვდილს?

ისე ხშირად ვფიქრობდი აღსასრულზე, ჩემი სხეულის ნაწილების დაშლაზე, რომ შიში გამიქრა. პირიქით, გულწრფელად მინდოდა გავმქრალიყავი, ბუნების ვალი მომეცა. ერთადერთი ჩემი საფიქრალი ის იყო, რომ სიკვდილის შემდეგ ჩემი სხეულის ნაწილაკები იმ

ნაძირალების სხეულში არ გადასულიყო, ეს ფიქრი მაწვალებდა. მინდოდა სიკვდილის შემდეგ ხელები, თითები დამგრძელებოდა, უფრო მგრძნობიარე გამხდომოდა, რათა ჩემი სხეულის უწვრილესი ნაწილაკები გულმოდგინედ, ერთად შემეკრა, იმ ნაძირალების ნაწილაკებთან არ ამერია.

ხანდახან მეჩვენებოდა, რომ რასაც ვხედავდი, ყველა მოკვდავ[illegible] ხელმისაწვდომში. მიქრებოდა სულიერი შფოთვა, შიში, ძრწოლა, სიცოცხლ[illegible] უკუვაგდებდი ხოლმე ადრე ნასწავლ შეხედულებებს და მეც განსაკუთრებული სიმშვიდე მეუფლებოდა. ნუგეშად ისღა მრჩებოდა, რომ სიკვდილის შემდეგ გავქრებოდი, არარად ვიქცეოდი. იმ ქვეყანაზე ფიქრი მოსვენებას არ მაძლევდა, მაშინებდა, მღლიდა. აქ, ამ ქვეყანას, სადაც ვცხოვრობდი, ვერ შევეჩვიე და საიქიო რაღად მინდოდა?

ვგრძნობდი, ამ ქვეყნისთვის არ ვიყავი გაჩენილი. იგი განკუთვნილი იყო სინდისგარეცხილ, ზნედაცემულ, უკმეხ, ლაგამაწყვეტილ ადამიანებისათვის, ჩალვადრებივით გაუთლელ ხეპრეებისათვის, გამომძალველებისათვის. როგორიც ალაგი, ისეთი ალაფით. ეს ქვეყანა სწორედ მათ თარგზე იყო გამოჭრილი.

ტყუილს ვერ ვიტყვი: თუკი ახალი ცხოვრების ბოლომდე მიყვანაა საჭირო, სასურველი იყო ჩემს მგრძნობელობას სიმწვავე მოჰკლებოდა, დაჩლუნგებულიყო, მშვიდად მესუნთქა, დაღლა არ მეგრძნო, ლინგამის ტაძრის სვეტების ჩრდილქვეშ განვმარტოებულიყავი, რათა არც მზის სხივს მოეღწია ჩემამდე და არც ცხოვრების ხმაურს.

* *

ცხოვრება ყალამდანის თავსახურზე მოხატული სურათივით არაბუნებრივი, შეუცნობადი, დაუჯერებელი მეჩვენებოდა. სწორედ იმ ყალამდანისა, საიდანაც ახლა ყალამი ამოვიღე ამ სტრიქონის დასაწერად. ეჭვი არ არის, რომ იგი ვიღაც შერეკილის, ეშმაკის მიერ შეპყრობილი მხატვრის მოხატულია. ამ სურათს რომ დავცქერი, ხშირად ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, რომ ადრეც მინახავს. შესაძლებელია ეს სურათი..., იქნებ სწორედ ამ სურათმა მაიძულა დამეწყო წერა. სურათზე გამოსახულია კვიპაროსი, რომლის ძირშიც ფეხი მოურთხამს წელში მოკაკულ მოხუცს, რომელიც იოგს ჰგავს. მოხუცს თავზე ჩალმა ახურავს. გაკვირვების ნიშნად მარცხენა ხელის საჩვენებელი თითი პირში აქვს ჩადებული. მის წინ მაღალი, შავებში გამოწყობილი ქალიშვილი ცეკვავს, უცნაურად მოძრაობს! ხელში ცისფერი ლოტოსი უჭირავს. ამ მოცეკვავე ქალსა (ვინ იცის, იქნებ ბუგამ დასი იყო ეს ქალი) და მოხუცს შორის წყარო მორაკრაკებს.

თრიაქი მოვქაჩე და ცისფერ ბოლს გავატანე ყველა ჩემი შავბნელი ფიქრი. თრიაქმა სხეულში შეუცნაურულის ზანტი სული გამოაღვიძა და მეც მცენარედ გადაქცეული დავნავარდობდი, დავქროდი მცენარეთა სამყაროში. მხრებზე აბამოსხმული მაყალის წინ ჩოვლეჯდი და უცებ რატომღაც გამახსენდა წვრილმანებით მოვაჭრე მოხუცი. ამის გაფიქრებაზე შიშმა ამიტანა. წამოვვარდი, აბა შორს ვიხრთლე, სარკეს ვეცი. სახეზე ალმური ამდიოდა, წვერ-ულვაში ამწვრწოდა, ისე კი მიმზიდველი შესახედავი ვჩანდი. თუმცა სარკიდან ავადმყოფობისაგან გაწამებული, ბავშვური თვალები იმზირებოდნენ. თითქოს ყოველგვარი ამქვეყნიური მიწიერი ტვირთი მხრებიდან ჩამომეხსნა. მომეწონა ჩემი სახე, სარკის წინ ჩემს თავს ველაპარაკებოდი: „ისე ღრმაა შენი ტკივილი, რომ თვალის ფსკერზე დაილექა... თუ ატირდები, თვალის სიღრმიდან ცრემლები გადმოიფრქვევა. თუმცა შეიძლება ერთი კურცხალიც არ ჩამოგვარდეს".

შემდეგ კვლავ ავიდგი ენა: „ბრიყვო, რას ელოდები? ნუთუ [illegible] სარქველი შენს გულისწყრომას. რისი იმედი გაქვს? საკუჭნაოში ბოთლში ღვინო აღარ არის? ერთი ყლუპი მისვი და წადი სადაც ჯერ არს! ბრიყვი ხარ... შეაყარე კედელს ცერცვი". აზროვნების ძაფი გამიწყდა. თუმცა ხმა კი მესმოდა, მაგრამ სიტყვების მნიშვნელობას ვერ ვიგებდი. თავში ამერია ჩემი და სხვისი ხმები. დავემსგავსე სიცხიან ავადმყოფს, რომელსაც თავისი თითები უზომოდ გაზრდილი ეჩვენება ხოლმე. ქუთუთოები დამიმძიმდა, ტუჩები დამისივდა. კარის ზღურბლთან ძიძა იდგა, გაოცებისაგან [illegible], მაგრამ ძიძას სახეზე ერთი ძარღვიც არ შეტოკებია. ჩამქრალი თვალებით შემომცქეროდა, რომლებშიც არც მოსხინება იდგა და არც გაოცება. ხმის ამოუღებლად დავდე მაყალს ხელი და ნელა ნაბიჯით

გავიდა. შუბლზე ოფლი მოვიწმინდე, კედელს მივეყუდე — ხელისგულზე თეთრი ლაქები
გამოჩნდა. თავით ზღუდარს მივეყრდენი და თითქოს შვება ვიგრძენი. შემდეგ სადღაც გა-
გონილი სიმღერა წავიღიღინე:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„წავიდეთ, ღვინო დავლიოთ,
დავლიოთ ტყის ღვინო,
ახლა თუ არა, მაშ, როდისღა უნდა დავლიოთ?".

შუადღის მოახლოებისას ცუდად ვხდებოდი. გული ამჩქროლდებოდა, რაღაც განსაკუთრე-
ბული მღელვარება მეუფლებოდა ხოლმე. ღელვა და მწუხარება მარწუხებივით მიჭერდნენ
გულზე, ამ დროს შიში მიპყრობდა. ყველასი მეშინოდა, ჩემი თავისაც. ალბათ ავადმყოფო-
ბის ბრალი იყო. აზრი მიწყდებოდა. ფანჯრიდან მეწყრილსანე მოხუცის ან ყასბის და-
ნახვა შიშის ზარსა მცემდა.

ძალზე საშინელი საიდუმლო გამჩნდა. მაღალი ღმერთი დაიფიცა, რომ არაერთგზის
უნახავს ეს ჩამოკეპილი მოხუცი ჩემი ცოლის ოთახში შესული. გაუგონია იმ კახპის სი-
ტყვები: „მალე მიიხსენით!". ამაზე ფიქრიც კი შეუძლებლად მიმაჩნია, რადგან გუშინწინ ან
შეიძლება გუშინწინის წინ ჩემს ყვირილზე, ოთახის ზღურბლზე ჩემმა ცოლმა შემოდგა ფეხი
და მე თვითონ დავინახე, რომ ლოყაზე აჩნდა იმ მოხუცის ჭაობაჭაში, ყვითელი კბილების
ნაჭდევი. მოხუცს თითქოს არაბული ლოცვების წიგნი არაფერი ახსოვდა. საერთოდ ჩემი
ცოლის მოყვანა და ამ კაცის ჩემი სახლის წინ გამოჩენა ერთმანეთს დაემთხვა. იქნებ ეს
კახპა მას ადრეც უყვარდა?

მახსოვს, იმ დღეს მოხუცთან მივედი. სურის ფასი ვკითხე, მან ჭიახაჭამ კბილებს მო-
კარი თვალი. ისე საზარლად გადაიხარხარა, თმა ყალყზე დამიდგა. მითხრა: „არ გაგისინ-
ჯავს, ისე ყიდულობ? ასეთ სურას ვერსად იშოვი, წაიღე, ყმაწვილო, არ ინანებ!". შემდეგ
უცნაურად გამიმეორა: „ასეთ სურას ვერსად ნახავ, კარგად დაუკვირდი!". ჯიბეს ხელი
გავიკარი — ორი რუბლი და ერთი აბაზი ამოვიღე და წინ დავუდე. მოხუცმა კვლავ ისე
გადაიხარხარა, ტანში ჟრუანტელმა დამიარა. სირცხვილისაგან მზად ვიყავი მიწა გამ-
სკდომოდა და შიგ ჩავვეტანე. სახეზე ხელები ავიფარე და მივრბოდი.

ეს ამბავი ძალზე მიამბო, მერე ყველას მოსდო, ვისზე გამცვალა? ამ ტურტლიან ყა-
წანწალაზე? ძალზე მიამბო, შენი ცოლის საწოლს მაბენარები შეესიენ და ახანიში ყავი-
დაო. ნეტავ ნისი ჩრდილი დამანახა ღიობში კედლებზე! ალბათ ჩრდილიც ავხორცი და
ოვითოავჯერებული იქნებოდა! ამჯერად ჩემი ცოლის არჩევანი მომეწონა. გემოვნება ჰქო-
ნია. ეს აბრანძული მოხუცი ხელწამოსაკრავი კაცი არ გახლდათ. არც უგვანო იყო და
არც მუსუსი, ასე რომ მოსწონდათ ვნებიან, მკუაზოკლე ქალებს. დარდისა და მწუხარებას
თავისი დაღი დაესვა ამ ბედუკუღმართ მოხუცზე, რომელიც შესაძლოა თავისდა უნებურად
ყველგან უბედურებასაც კი თესავდა. მე ღმერთკაცად მიმაჩნდა იგი, ხოლო მის წინ
გაშლილ ნივთებს ღვთაების შემოქმედების ნაყოფად ვთვლიდი.

მზე გადაიწვერა. ნაღარა საცოდავად აწრიპინდა. ამ საცოდავმა ხმამ ძემსგიდრეობით
მიღებული წყვდიადის შიში გამიღვიძა. სიცხისაგან მთელ სხეულზე ალმური ამდიოდა,
ვიხრჩობოდი. ლოგინზე წამოვწექი, თვალები დავხუჭე. სიცხით გათანგულს ყველა სა-
განი გადიდებული და არშიაშემოვლებული მეჩვენებოდა. ტანისამოსი სულს მიხუთავდა.
რატომღაც საწოლზე წამოვჯექი და ჩემთვის ჩავიბურტყუნე: „არა, ასე შეუძლებელია...
აუტანელია..." უცებ გავჩუმდი. შემდეგ ხმამაღლა გავიმეორე: „არა, ასე არ..." „მე სულე-
ლი ვარ!" წარმოთქმული სიტყვების აზრს ვერ ვწვდებოდი. შეიძლება მარტოობის ღასათ-
ავუნავად ჩემს აჩრდილს ველაპარაკებოდი. ამ დროს დაუჯერებელი ამბავი მოხდა:
კარი გაიღო და ის კახპა შემოვიდა. თურმე ხანდახან ისიც ფიქრობდა ჩემზე. ამაზეც მად-
ლობელი ვარ. იცოდა, ჯერ კიდევ ცოცხალი ვიყავი, ვიტანჯებოდი და ამ ტანჯვაში ამო-
მძვრებოდა სული. ღმერთმა ხელი მოუმართოს. მხოლოდ იმის გაგება მინდოდა, ნეტავ
თუ გრძნობდა, რომ მას შევალიე სიცოცხლე? ეს თუ ეცოდინებოდა, მშვიდად განვუტე-
ვებდი სულს, მაშინ ამქვეყნად ჩემზე ბედნიერი კაცი არ იქნებოდა. ამ კახპას ოთახში შე-
მოსვლა და ჩემი ცუდი ფიქრების გაუჩინარება ერთი იყო. არ ვიცი, ნათელს აზნევდა
მისი სხეული, მე კი მამშვიდებდა და ნუგეშს მცემდა. ამჯერად უკეთ გამოიყურებოდა.
მოსუქებულიყო. ქალაქ ტუსში გაწყობილი, წელში გამოყვანილი, ნაოჭასხმული ხალათი

ივა, წარბები გაშოექნა, სახეზე ხალი დაეხატა, თმა ბასმით შეეღება, სახეზე ფერ-უმარილი წაესვა. წარბ-წამწამის შესალები სურმაც არ დავიწყებოდა. ერთი სიტყვით, მორთულ-მოკაზმული და გამოკოპწიავებული გამომეცხადა. ნუთუ ეს ლამაზი ქალი ის აზიზანაზი, სუფთა ქალიშვილი იყო, რომელსაც დამალობანას ვეთამაშებოდი მდინარე სურენის ნაპირზე. ახლა შევცქეროდი და ვერაფერი გამეგო, თითქოს თვალწინ ფარდა ჩამოეშვათ, რატომღაც გამახსენდა საყასბოში ჩამოკიდებული დაკლული ცხვრები. ცოლი ახლა მე ძვლიან ხორცად მეჩვენებოდა. აღრინდელი მიმზიდველობა დაეკარგა, ღარბაისელ, შეთხუპნილ, ძროხა დედაკაცად იქცა, რომელიც თავის გულის ჭიას ახარებდა, სიამოვნებას არ იკლებდა. შიშმა ამიტანა, წივხვდი, რომ იგი ჭკუაში ჩავარდა, დაქალდა. მე კი ისევ ბავშვი ვიყავი, კაცმა რომ თქვას, მისი რატომღაც მერიდებოდა, სირცხვილისაგან სახეში ვეღარ ვუყურებდი. ამ ქალის სხეულით ჩემ გარდა ყველას შეეძლო დამტკბარიყო. მე კი არ მიკარებდა. ნუგეშად მხოლოდ ბავშვობის მოგონება მრჩებოდა. ის დრო, როცა ხაზი, სუფთა არსება იყო და ლოყაზე არ აჩნდა მაჭანწალა მოხუცის ნაკბენი. — არა, ახლა ეს უკვე სულ სხვა ქალი იყო!

აგდებულად მკითხა: „ისე როგორა ხარ?" ვუპასუხე: „თავისუფლება გაკლია თუ ვერ დანავარდობ შენს ჭკუაზე, ჩემი ამბავი რაში გაინტერესებს?".

კარი გაიჯახუნა, არც მოუხედავს, ისე გავიდა. როგორც ჩანს, გადავეჩვიე ცოცხალ ადამიანებთან, ამ ქვეყნის მცხოვრებლებთან საუბარს. ქალმა, ვინც ყოველგვარ გრძნობებისაგან დაცლილი მეგონა, იწყინა ჩემი ნათქვამი, რამდენჯერმე მოვინდომე წამოვმდგარიყავი, ფეხებში ჩავვარდნოდი, ტირილი შვებას მომიტანდა, დავეწყნარდებოდი.

არ ვიცი, რამდენი დრო გავიდა — წუთი, საათი თუ საუკუნე? სულ გადავირიე, თვითგვემა სიამოვნებას მანიჭებდა, ამგვარი ზეადამიანური სიამოვნების მიღება მხოლოდ მე მხვდა წილად და თუკი ქვეყნად ღმერთი არსებობს, ალბათ ისიც ვერ შეძლებს ამგვარი სიამოვნებით ტკბობას. სწორედ მაშინ ვიგრძენი ჩემი უპირატესობა ბრბოზე, ვიგრძენი, რომ ავმაღლდი ბუნებაზე, ღმერთებზე მაღლა...

მაგრამ იგი მაინც დაბრუნდა, როგორც მეგონა, ისეთი გულქვა არ ყოფილა. წამოვდექი, კალთა დავუკოცნე, ფეხებში ჩავუვარდი, ვეალერსებოდი. რამდენჯერმე თავისი ნამდვილი სახელით მივმართე. მისი ნამდვილი სახელი რაღაც განსაკუთრებულად ჟღერდა, მაგრამ გულში ვიმეორებდი: „კახპა, კახპა". მისი წვივები გულში ჩავიხუტე, ვკოცნიდი. მათ კიტრის ნაფცქვენის სასიამოვნო მომწარო და მწკლარტე გემო ჰქონდათ. ვტიროდი, ვიმღუღრებოდი, არ ვიცი, რამდენი ხანი გავიდა და როცა გონს მოვედი, ის უკვე წასულიყო. შემოვიდა ძიძა, შეჭამანდი და ქათმის ფლავი შემოიტანა. რომ დამინახა, შეშინებული აყვირდა, ლანგარზე დაწყობილი ვახშამი ხელიდან გაუვარდა და ოთახიდან გაიქცა. გამიხარდა, რომ ვინმეს შეშინება კიდევ შემეძლო. წამოვდექი, ფითილა ნაშით მოვაპწკირე და სარკესთან მივედი. სახეზე მკვრთალი წავისვი, თითებით თვალის ქვედა ქუთუთოები ჩამოვიწელე. პირი ისე გავიქაჩე, ლაშის გამყვა, ლოყები დავბერე. წვერი ზევით აეწია, გადავგრიხე. საშინლად ვიღიმებოდი. თურმე მანჭვა-გრეხის გასაოცარი უნარით ვყოფილვარ დაჯილდოებული. თითქოს ასე გამოვლინდა ჩემი იერსახე, ის საშინელი, სასაცილო და დაუჯერებელი ფორმები, რომლებიც ჩემს არსებაში იყო ჩამარხული.

უცებ გადავიხარხარე, საკუთარი ხმა მეუცხოვა. დავახველე და სარკეს მიეკრო ღვიძლის ნაფლეთის მსგავსი სისხლის ლეკერტი. თითი გავუსვი და სარკე გაითხუპნა. მოვიხედე. მოკაკვისავით ფერდაკარგული, თმაგაჩეჩილი ჩემი ძიძა ჩაშავებული, სხივჩამქრალი თვალებით შიშით შემომყურებდა. სახეზე ხელებაფარებული საკუჭნაოში ფარდის უკან დავიმალე.

ვფიქრობ, დავიძინებ-მეთქი, მაგრამ თავზე ცეცხლოვანი სალტე მიჭერდა. ჩირაღდანში ჩასხმული სანდლის ზეთის მძაფრი სუნი ტვინს მიბურღავდა. ჩემი ცოლის წვივების სუნი მომაგონდა. პირში მედგა კიტრის ნაფცქვენის სასიამოვნო, მომწარო გემო. ტანზე, მხრებზე, ბარძაყებზე, წვივებზე ხელს ვისვამდი და ჩემი ცოლისას ვადარებდი. ვიგრძენი ძალიან მომწყურებოდა მისი სხეული. ერთი მოძრაობა, ერთი გადაწყვეტილება საკმარისი იყო, რომ უკუმეგდო ეს აკვიატებული ოცნება, მაგრამ ცეცხლოვანი სალტე ისე მაგრად მიჭერდა თავზე, რომ საშინელი სახეებით აღსავსე საიდუმლო ზღვაში ჩავიძირე.

ჯერ კიდევ ბნელოდა. ღამის დარაჯების ყვირილმა გამომაღვიძა, ერთმანეთს აგინებდნენ და მღეროდნენ:

„წამო, დავლიოთ ღვინო,
დავლიოთ რეის ღვინო,
ახლა თუ არა, მაშ, როდისღა უნდა დავლიოთ?“

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითქოს უეცრად გონება გამინათდა, გამახსენდა საკუჭნაოში შენახული ერთი ბოთლი ღვინო, რომელშიც ინდური გველის შხამი ერია. ერთი ყლუპი და მძინარე, სულის შემხუთავ ცხოვრებასაც დაესმებოდა წერტილი, მაგრამ ის კახპა... ეს სიტყვა განსაკუთრებით მიზიდავდა, რადგან ამით იგი უფრო სიცოცხლით სავსე, ენებიანი მეჩვენებოდა!

ამაზე უკეთესს რას მოვიფიქრებდი: ერთ ფიალა მოწამლულ ღვინოს მას მივაწვდიდი, მეორე ფიალას მე გამოვცლიდი და თრთოლვით ტანჯვა-წამებით გამოვესალმებოდით სიცოცხლეს. რა არის სიყვარული? რაჯალებისათვის სიყვარული დროსტარება, გარყვნილება, თავაშვებულობაა. ამ კაცუნების სიყვარული უნდა ეძებოთ ქუჩურ სიმღერებში, ბინძურ, მყრალ გინებებში, უშვერ, უხეირო გამოთქმებში, რაზეც სიმთვრალეში თუ სიფხიზლეში გაჰკივიან.

ნუთუ სამუდამოდ დავკარგე? ამაზე ფიქრი მტანჯავდა. საშინელი აზრები წრიალებდა თავში: ცდუნების ახალ ხერხს მივაგენი: სხვის სიამოვნებას ვგრძნობდი და ეს იყო ჩემი უიმედო სიყვარულის სანუგეში, რადგანაც მაგონდებოდა ჩემი ფანჯრის წინ დუქანში ხელებდაკაპიწებული ყასაბი, რომელიც „სახელითა ალაჰისა“ ძახილით ხორცს სჭრიდა. ბოლოს და ბოლოს მეც მივიღე გადაწყვეტილება, მეტად საშინელი გადაწყვეტილება. ლოგინიდან წამოვდექი, სახელოები დავიკაპიწე, ბალიშის ქვეშ ამოდებული ძვლისტარიანი დანა ამოვიღე. მოყვითალო აბა მხრებზე მოვიგდე, კისერზე და სახეზე შალი მოვიხვიე. იმწამსვე ვიგრძენი ჩემში ყასაბისა და მაწანწალა მოხუცის სულების გარევა.

შემდეგ ფეხაკრეფით ჩემი ცოლის ოთახში შევიპარე. იქ ბნელოდა, უხმაუროდ გავაღე კარი, ეძინა, სიზმრებში თუ იყო — ხმამაღლა თქვა: „მოიხსენი შალი“. საწოლს მივუახლოვდი. მისი თბილი, თანაბარი სუნთქვა სახეში მცემდა. რა მაცოცხლებელ და სასიამოვნო სითბოს აფრქვევდა! ასე მეგონა, ამ სითბოს შესუნთქვა და გაცოცხლება ერთი იქნებოდა. ეჰ, დიდხანს მეგონა, რომ სხვებსაც ჩემსავით მწველი და ცხელი სუნთქვა ჰქონდათ... მივიხედ-მოვიხედე, რომელიმე კუთხეში ხომ არ ჰყავს-მეთქი ოთახში. არა, შემრცხვა ჩემი ადრინდელი ფუჭი ფიქრებისა, უსაბუთო ეჭვისა. ეს გრძნობა ერთ წუთზე მეტი არ გაგრძელებულა: კარს უკან ვიღაცამ ცხვირი დააცემინა, დამცინავად ჩაიქირქილა, თმა ყალყზე დამიდგა, ძარღვებში სისხლი გამეყინა. ცხვირის დაცემინებისა და სიცილის ხმა რომ არ გამეგონა და მოთმინება არ გამომეცალა, გადაწყვეტილებას სისრულეში მოვიყვანდი. ნაჭერ-ნაჭერ ავკუწავდი და ყასაბს მივცემდი გასაყიდად.

მიცემული აღთქმის თანახმად მისი ბარძაყის ნაჭერს ყურანის კითხვის ოსტატ მოხუცს მივცემდი, მეორე დღეს ვკითხავდი:

„იცი, ვისი ხორცი მიირთვი გუშინ?“

იმ მოხუცს რომ არ გაეცინა, იმავე ღამეს მოხდებოდა მოსახდენი. მე ხომ იმ კახპის თვალებს ვერ ვხედავდი. შეხედვის მერიდებოდა, მრცხვენოდა, რაზეც რამდენჯერმე მისაყვედურა კიდეც... ბოლოს მისი საწოლიდან რაღაც ნაჭერი დავითრიე. ფეხებში რომ გამებლანდა და შეშინებული გარეთ გამოვვარდი, დანა სახლის სახურავზე ავაგდე. ყველა ბოროტ განზრახვას ხომ ამ დანამ მისცა დასაბამი. თავიდან მოვიცილე ეს იარაღი, ყასაბის დანას რომ ჩამოჰგავდა.

ოთახში დავბრუნდი. მივხვდი. მისი პერანგი წამოვიღე. მისი ნაცვამი, ჭუჭყიანი პერანგი, ინდური, თხელი, აბრეშუმის პერანგი, რომელსაც კიდევ ჰქონდა შემორჩენილი მისი თმის სუნი, ტანის სითბო, ეს სურნელება შევისუნთქე. პერანგი ჩავიცვი და დავიძინე. ასე მშვიდად, ტკბილად არასოდეს მძინებია. სისხამ დილით ცოლის ყვირილმა გამომაღვიძა. დაკარგულ პერანგს მისტიროდა: ახალთახალი პერანგი იყოო, თუმცა პერანგს სახელო ჩამოგლეჯილი ჰქონდა, მაგრამ ცოცხალი თავით არავის დაანებებდა. ნუთუ უფლება არ მქონდა საკუთრად დამეტოვებინა ჩემი ცოლის ძველი პერანგი?

ძიძამ საუზმე შემომიტანა: ვირის რძე, თაფლი, ქერის პური და ძვლისტარიანი დანა, რომელიც მაწანწალა მოხუცისაგან ეყიდა, ძიძამ წარბები აზიდა და მითხრა: „მ[illegible]ს, გამოგადგებაო". შევათვალიერე, ვიცანი, ჩემი დანა იყო. შემდეგ განაწყენებულმა [illegible] შემომჩივლა, ქალიშვილი (ე. ი. კახპა) მისი პერანგის ქურდობას მაბრალებსო, მერე დაუმატა: „ცოდვის კისერზე აღება არ მინდა, მაგრამ გუშინ შენმა ცოლმა [illegible]... ვიცით, რომ ბავშვი... თვითონ თქვა, აბანოში დავორსულდიო. გუშინ [illegible]: მხარზე ერთ ადგილას ჩალურჯებული ჰქონდა, ასე მითხრა, უდროო დროს ჩავედი სარდაფში და მიჩქმიტესო". ძიძა გაჩუმდა და მერე მკითხა: „იცი, შენი ცოლი კარგა ხანია ფეხმძიმედაა?" გავიცინე და ვუთხარი: „ბავშვი ნამდვილად დაემსგავსება მოხუცს, ყურანის კითხვის ოსტატს". გაბრაზებული ძიძა ისე გავიდა ოთახიდან, თითქოს ჩემგან ასეთ პასუხს არ ელოდა. წამოვდექი, აკანკალებული ხელით ძვლისტარიანი დანა ავიღე და საკუჭნაოში სკივრში ჩავკეტე. არა, შეუძლებელია ბავშვი მე მგავდეს. იგი იმ მაწანწალა მოხუცს დაემსგავსება.

საღამოს ოთახის კარი გაიღო და ფრჩხილების კვნეტით იმ კახპის უმცროსი ძმა, ჩემი ცოლისძმა შემოვიდა. და-ძმა საოცრად ჰგავდა ერთმანეთს. ორივეს პატარა, ვიწრო პირი, ფუმფულა ტუჩები, აპრეხილი წამწამები, ალმაცერად მზირალი თვალები, მაღალი ყვრიმალები, აჩეჩილი ქერა თმა, ხორბლისფერი სახე ჰქონდა. ბიჭს უსულგულო, ყოველგვარი გრძნობებისაგან დაცლილი თურქმენული სახე ჰქონდა. ეს სახე კი მებრძოლი ადამიანისა, ვისთვისაც უცხოა კრძალვა, რიდი, იგი არაფერზე უკან არ დაიხევს, ოღონდ სიცოცხლე გაიხანგრძლივოს. თითქოს ბუნებას ყველაფერი წინდაწინ ჰქონდა გაანგარიშებული, მისი წინაპრები ბევრს მოგზაურობდნენ, თაკარა მზეში, წვიმაში, თქეშში შეუპოვრად ებრძოდნენ ბუნების ძალებს და არამარტო ოდნავ შეუცვლელი დაუტოვეს შთამომავლობას თავის ფორმები, არამედ უხვად დააჯილდოვეს ისინი სიმტკიცით, აღხორცებით, სიხარბით. ვიცოდი, მის პირს კიტრის ნაფცქვენივით საამო და მომწარო გემო ჰქონდა.

ოთახში შემოვიდა, გაკვირვებული თურქმენული თვალები შემომანათა და მითხრა: „შაჰჯანი ამბობს, ექიმს შენზე უთქვამს, მოკვდებაო. მოვისვენებთ. ადამიანი როგორ კვდება?". ვუპასუხე: წადი, უთხარი, დიდი ხანია ცოცხლებში არ ვერივარ-თქო. ბიჭი კვლავ ალაპარაკდა: „შაჰჯანმა თქვა, მუცელი რომ არ მომწყვეტოდა, სახლი ჩვენ დაგვრჩებოდაო".

უნებურად გამეცინა, ისე საშინლად გადავიხარხარე, რომ გამგონს თმა ყალყზე დაუდგებოდა. შეშინებული ბიჭი ოთახიდან გავარდა.

უცებ მომეჩვენა, რომ ჩემს თავს ველაპარაკები, საოცარია, მაგრამ საკუთარ თავთან მომინდა გაბაასება, მაგრამ ტუჩები ისე დამიშეშდა, ვეღარ ვამოძრავებდი. ტუჩების გაუნძრევლად, ისე რომ ჩემი ხმაც არ მესმოდა, საკუთარ თავს ველაპარაკებოდი.

ამ საფლავივით ოთახში, რომელიც ყოველ წამს ვიწროვდებოდა, ღამე შემოიძურწა თავისი საშინელი აჩრდილებით. მხრჩოლავი ჭრაქის წინ მხრებზე ქურქმოსხმული და კისერზე შალშემოხვეული კრუხივით ვიჯექი და კედელზე ჩემი ჩრდილი ეცემოდა.

ჩრდილი უფრო სქელი, მკვრივი და მკაფიო იყო, ვიდრე მისი ცოცხალი ორეული. ჩემ არსებობაში ეჭვი მეპარებოდა, ჩემი ჩრდილი ბევრად უფრო რეალური მეჩვენებოდა. თითქოს მოხუცი მაწანწალა, ყასაბი, ძიძა, ჩემი კახპა ცოლი ჩემი ჩრდილები იყვნენ და მათ შორის ვიყავ გამომწყვდეული. ახლა ბუს დავემსგავსე, მაგრამ კვნესა-გოდება ყელშივე ბრუნავდა. გამოსავალს ვერ პოულობდა, სისხლს ლეკერტებად ამოვანთხევდი ხოლმე. ვინ იცის, იქნებ ბუც ასევე ავადმყოფობს, ისიც ხომ ჩემსავით ფიქრობს. ჩემი ჩრდილი კედელზე ჰგავდა ბუს და ისიც ყურადღებით კითხულობდა ჩემს ნაწერს. რასაკვირველია, კარგად ესმის ყოველივე, რადგან მხოლოდ მას შეუძლია გამიგოს. ალმაცერად გავყურებდი ჩემს ჩრდილს და თან შიში მიპყრობდა.

ჩემს ცხოვრებასავით უხმაურო და ბნელი ღამე იყო. ღამე, რომლის საშინელი ბინადარნი ფარდის, კარის უკან თუ კედელთან მიყუჟულიყვნენ და იქიდან მიჩანჩქრობდნენ. ზოგჯერ ოთახი ისე ვიწროვდებოდა, რომ საკუთარი თავი კუბოში მეგონა ჩაწოლილი. საფეთქლები მიხურდა, განძრევის თავი არ მქონდა, მკერდზე რაღაც სიმძიმეს ვგრძნობდი, ნელა ღიღინებდა თავის სიმღერას სიკვდილი, ენაბლუსავით ღიღინებდა ნელა, ყოველი

სიტყვის გამეორება უწევდა, სანამ სტრიქონს ბოლომდე ჩაათავებდა, ისევ თავიდან იწყებდა. ეს სიმღერა ხერხის ღრჭიალივით ჩემი სხეულის ქსოვილში ატანდა.

თვალის მოხუჭვა ვერ მოვასწარი, რომ სახლის წინ მიმავალი ღამის დარაჯების უწმაწური გინება და სიმღერა გავიგონე:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„წამო, დავლიოთ ღვინო,
დავლიოთ რეის ღვინო,
ახლა თუ არა, მაშ, როდისღა უნდა დავლიოთ?".

ჩემთვის ჩავილაპარაკე: „ბოლოს და ბოლოს ჩავუვარდები პოლიციას ხელში". უეცრად არაჩვეულებრივი ძალის მოზღვავება ვიგრძენი. შუბლი გამიგრილდა. მხრებზე ყვითელი აბა მოვისხურე, თავზე შალი შემოვიხვიე, მოვიკუზე, საკუჭნაოდან ძვლისტარიანი დანა გამოვიტანე და ფეხაკრეფით იმ კახპის ოთახისაკენ გავეშურე. კარს მივუახლოვდი. ოთახში ბნელოდა. მივაყურადე. მისი ხმა გავიგონე: „მოხვედი? შარფი მოიხსენი ყელიდან!" ისე როგორც ბავშვობისას, ახლაც სასიამოვნო, წკრიალა ხმა ჰქონდა. თითქოს იავნანას მღერისო, ეს სიმღერა მე ადრე, ღრმა ძილში ჩამესმა — იქნებ ახლაც სიზმარში ვიყავი. დაბალი, ყრუ ხმა იყო, სწორედ ისეთი, პატარა გოგონას რომ ჰქონდა, რომელსაც დამალობანას ვეთამაშებოდი მდინარე სურანის ნაპირთან. ცოტა ხანს შევჩერდი და კვლავ გავიგონე: „შემოდი, შარფი მოიხსენი!".

ფრთხილად შევაბიჯე ბნელ ოთახში, აბა მოვიხადე, შარფი მოვიხსენი, გავშიშვლდი და რატომღაც ძვლისტარიანი დანით ხელში ლოგინში ჩავწექი. ლოგინის სითბომ თითქოს ახალი სიცოცხლე შთამბერა. გოგონას, იმ ფერმკრთალი, გამხდარი გოგონას მოსაგონრად, რომელსაც მიამიტი თურქმენული თვალები ჰქონდა, ქალის ნაზ, თითქოს ნამდვილ, გავარვარებულ სხეულს ჩავეხუტე, არა, კი არ ჩავეკარი, ტყის ნადირივით გაშმაგებული დავეძგერე. გულში ზიზღმა გამკრა. მეჩვენებოდა, ჩემს საყვარელს სიძულვილი ეროვდა... მისი გრძელი და მთვარის შუქივით თეთრი ტანი გველივით, სამსხვერპლოს რომ ჩაიგდებს ხოლმე, ისე გამიშალა და შემომეჭდო, მომეხვია. მისი მკერდის სურნელებამ დამათრო, თავგზა ამიბნია. ყელზე შემოჭდობილი მკლავიდან სხეულში სითბო მეღვრებოდა. ძალიან მინდოდა. სწორედ ამ დროს დამელია სული. სიძულვილმა და სიბრაზემ გამიარა. თავს ვიკავებდი, ვცდილობდი არ ავტირებულიყავი. ვერც კი შევამჩნიე, მანდრაგორას ფესვებივით ფეხებით ჩემს ფეხებს როგორ შემოეჭდო. ხელებით კისერზე ჩამომეკიდა. მე ამ ქორფა, გრილი სხეულის მაცოცხლებელ სიმხურვალეს ვგრძნობდი. ჩემი აღმოდებული სხეულის ყოველი ნაწილაკი ამ სითბოს ხარბად ეწაფებოდა. ვგრძნობდი, რომ შევიქმენი მისი დავლა და ალაფი. შიშნარევმა სიამოვნებამ დამრია ხელი. მის ბაგეთ კიტრის ნაფცქვენივით მწკლარტე გემო ჰქონდა. საამო სივიწროვეს ვგრძნობდი, ოფლი ღვარად ჩამომდიოდა, თითქოს გონებაც დავკარგე.

ჩემი სხეული, მისი ნაწილაკები ჩემზე ხელმწიფობდნენ. თავის გამარჯვებას ზეიმობდნენ და მეც მიუსაფარი, დაბეჩავებული, დასაღუპავად განწირული ამ უკიდეგანო ზღვაში აღმოვჩნდი, დავნებდი. ქედი მოვიხარე აბობოქრებული სტიქიონის წინაშე — მისი სურნელოვანი თმა სახეზე მომეყრება, ჩვენი სხეულებიდან სიამოვნების, ტკბობის კვნესა-გოდება მოისმოდა. უკვე ტუჩში კბილი ჩამასო. ვინ იცის, იქნებ უნებურად მოუვიდა, ეგონა, თითს აკვნეტდა ისევ. ან იქნებ მიხვდა, რომ ის ტუჩგაპობილი მოხუცი არ ვიყავი? თავის დახსნა დავაპირე, მაგრამ ამაოდ, ჩვენი სხეულები ერთმანეთს შედუღაბებოდა.

ვიფიქრე, ჭკუაზე ხომ არ შევცდა-მეთქი. ბლარძუნის დროს უნებლიეთ ხელი გავიქნიე და უცებ ვიგრძენი, რომ დანა, რომელიც კვლავ ჩაბღუჯული მქონდა, სხეულში შევრჭე. სახეზე თბილი სითხე გადმომეღვარა, დაიყვირა და ხელი გამიშვა. დანა გადავაგდე. ხელი სხეულზე ჩამოვუსვი, თანდათან ცივდებოდა. მერე მოკვდა. ხველა ამიტყდა. არა, ეს ხველა კი არა, მჭახე, გამყინავი სიცილი იყო, შეფოცებულმა აბა მოვისხი და ჩემი ოთახისაკენ გავეშურე. ჭრაქის შუქზე მუშტი გავიხსენი და თითებს შუა მისი თვალი დავინახე. მთელი ტანი სისხლში ამომსვროდა.

სარკეში ჩავიხედე და შეშინებულმა სახეზე ხელები ავიფარე. იმ ჩამოკონკილ-ჩამოფლეთილ ჭაღარა თეთრწვერა მოხუცს დავემსგავსებოდი, ბეღლის გვერდს რომ გადაურჩა ოდესღაც. იმ მოხუცივით ტუჩგაპობილი და უწამწამო ვიყავი. ჩემში ახალმა სულ-

ნა დაიდო ბინა. ფიქრი, გრძნობა შემეცვალა და თავი ვეღარ დავიხსნა იმ დევისაგან, ჩემში რომ გაიღვიძა. სახეზე ხელებაფარებულს უნებლიეთ გამეცინა. ამჯერად ისე გადავიხარხარე, რომ მთელი არსებით შევქანდი. ეს სიცილი ჩემი სხეულის მიუწვდომელ სიღრმეებიდან იღებდა დასაბამს და ახლა ყელში ბრუნავდა, ბობოქრობდა. იგი სიცარიელიდან ამოდიოდა. მე ხომ ის კონკიაქლარუნა მოხუცი გავხდი, თვალები მოვიხრისე. კვლავ ჩემს ოთახში ვიყავი. თენდებოდა, დილის ნისლს ფანჯრები დაებინდა. შორს მამალი ყიოდა. მაყალში ნახშირი ჩაიფერფლა, ჩაქრა. ვიგრძენი, ჩემი ფიქრებიც ნაკვერჩხალივით ჩაიფერფლა, ჩაქრა.

პირველი, რაც მოვიძიე — ქალაქ რეის მკვიდრთა სურა იყო, სასაფლაოზე მოხუცმა ნატეხლემ რომ მომცა. ვერსად მივაგენი. კარის ზღურბლთან იდგა ვიღაცა, ვისი მოხრილი ჩრდილიც კედელზე ეცემოდა. კისერსა და სახეზე შალი შემოეხვია და იღლიის ქვეშ ჭუჭყიან ხელსახოცში გახვეული რაღაც ნივთი ამოეჩარა. ისე მჭახედ და გამყინავად გადაიხარხარა, რომ ტანში ჟრუანტელმა დამიარა.

ადგილიდან დაძვრა დავაპირე თუ არა, მოხუცი მაშინვე გაბრუნდა და გავიდა. წამოვდექი, გამოკიდება დავაპირე, ხელსახოცში გახვეულ სურას წავართმევ-მეთქი. მაგრამ მოხუცი ძალიან მიაბიჯებდა და თანდათან მშორდებოდა. უკან დავბრუნდი. ფანჯარა გამოვაღე. ქუჩაში მიმავალ, წელში მოხრილ მოხუცს თვალი გავადევნე. სიცილისაგან მხრები უთამაშებდა. იღლიის ქვეშ ცხვირსახოცში გამოკრული ნივთი ამოეჩარა. მერე კოჭლობით მიმავალი მოხუცი ნისლში დაიკარგა. გამოვბრუნდი, სარკეში ჩავიხედე: ტანისამოსი შემომფლეთოდა, თავიდან ფეხებამდე სისხლში ვიყავი ამოთხუპნილი, ორი ოქროფერი ბუზანკალი თავზე დამბზუოდა, ტანზე თეთრი მატლები დამხვეოდა, მკერდზე გვამი მაწვებოდა მთელი სიმძიმით...

□

# იგორ სიქირიცქი — პოლონეთი —

თარგმნა გრიგოლ ჯულუხიძემ

## ცხენები

მიჰქრიან,
ურა ქარებს უსწრებენ,
ცვრიან ბალახებს ყელავენ მუცლით,
შიდგაფუნებენ მდინარეებში,
მთვარის ვარაყით ინთებენ ფაფარს.
მაგნიტურ სილის წრეში წვებიან.
და აკვესებენ ვარსკვლავებს ფლოქვით,
ცხენები —
ფრთები თავისუფლების,
ცხენები —
რემა მღვრიე ღრუბელთა.
კვიცები —
ზეცის თანავარსკვლავნი,
და ფაშატები — მოქცევა ნათლის.
კისერმოხრილნი,
კითხვის ნიშნები,
შეპყრობილები თოკის მარყუჟით...
რამდენი გაქრა მათი აჩრდილი,
მოწყენა დარჩა დედამიწაზე...
კაცის სახებად გარდასახულან.
და შერჩენიათ ღმერთებს მსახურად.
ნახატებივით ჩანან ცხენები
და გობელენის კედლებს ანთებენ...
ფერხორცდებიან
და აფხიზლებენ
ისევ ავგიის საჯინიბოებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთაწმინდის მთვარეს მიაქროლებენ
და ვალსს ცეკვავენ ცხენები ცირკში.
ხან ბრინჯაოში იკაზმებიან,
ხან აჟღერებენ მარხილს ცხენები.
ყირგიზულ ხვატში ტკეპნიან სტეპებს,
ბუხარულ ლუდის ქარხნებში თვლემენ.
რუსეთის ტრამალს მიუყვებიან
ჯაგლაგნი,
სწრაფნი,
ზარმაცნი,
ფიცხნი...
ხან დონ კიხოტის მორჩილნი,
ხანაც
ფერდებმიმხმარნი,
მაინც გულადნი.
ჯუჯები —
რომის ზღაპრის გმირები,
დაისრულები დეზებით ფერდში,
რკინის ლაგმებით ტუჩახეულნი,
გატანჯულები და ერთგულები,
გულად მხედრებზე მგლოვიარენი,
მაღაროს მწუხრით თვალდათხრილები,
ელსტერნის წყლებში მიდგაფუნობენ, —
ჯაფაში მიდის სიცოცხლე მთელი,
პატრონებს მაინც ნდობით უცქერენ
და მოთმინებით ლეჭავენ აღვირს.

□

# პავლო ტიჩინა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უკრაინულიდან თარგმნა ნია აბესაძემ

## პასტელით ჩანახატები

1

გარბის ბაჭია.
ხედავს განთიადს!..
შეჩერდება და კვლავ მიხტის სწრაფად.
თუ სადმე ველზე გვირილას ნახავს,
აღტაცებული უკოცნის თვალებს.
ცას საოცარი სურნელი ახლავს...
და დაულამბავთ ცეცხლოვან ძაფით
ღამის შავბნელი ლაბადა მამლებს.
ამობრწყინდება მნათობი მალე.
გარბის ბაჭია,
იშლება კვალი.

2

გადანახული ღვინო თუ შესვა
ფოლადის დღემ...
— აყვავდი, ველო! გამაგრდი, ფესვო!
მოვდივარ — დღე!
სიცივე კმარა! გალაღდი, ფარავ!
სატრფოსთან მოვდივარ — დღე!
ჰავთავებს ვეტრფი — ნათელი, თეთრი
ახალი დღე!
...გადანახული ღვინო თუ შესვა
ფოლადის დღემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3

ფლეიტის ქღერა ათრთოლებდა ცის დასალიერს,
ალბათ მზის ჩასვლას წუხდა...
დღე მიდიოდა და ავსებდა სივრცეს ცარიელს
თითისწვერებზე მოსული მწუხრი, ანთებდა ვარსკვლავს.
ბალახებზე აფენდა ნისლებს,
დუმილს აჩვევდა სივრცეს ცარიელს...
მაგრამ ჯიუტად მზის ჩასვლისას ცის დასალიერს
ფლეიტის ქღერა არხევდა ისევ.

4

დამფარეთ, საბნად გადამაფარეთ რამე:
მე ვარ ბებერი, ღონემიხდილი ღამე.
ჩემი შავი გზა
არის სიზმრებით სავსე,
ხის შრიალი და
პიტნის სურნელი მავსებს.
დამფარეთ, საბნად გადამაფარეთ რამე!
მე ვარ ბებერი, ღონემიხდილი ღამე.

1917.

# ადამ მიცკევიჩი

## ლექსები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თარგმნა თედო ბაქიშვილმა

### მარილასადმი

არ ძალმიძს შენთან განშორება, გამოვტყდე უნდა,
ზღვაზე, ხმელეთზე აჩრდილივით თანა მდევ მუდამ.
შენს კვალს ვერ ფარავს თოვლის ქარით ანამქერება,
შენი სიცილი მოწკრიალებს მთებში ჩქერებად.
შემაჟრიალებს... სიყვარულო, ისევ დაგეძებ.
შენი სახელი შემეყინა, ცოდვილს, ბაგეზე.

ჩემო უწყალოვ! ფიქრით დავფრენ ცის ლაჟვარდშიაც.
შენთან ვარ ყველგან, სულმა ხატად ამოგარჩია.
ყინვიან გზებზე მოყიალე დაუსრულებლივ
ცხელ შუბლს ვიგრილებ მოკამკამე ნაკადულებით.

ხან მღვრიე ცაში თვალი ეძებს პოლარულ ვარსკვლავს,
ვიხსენებ ლიტვას, შენს სამყოფელს, რომ დარდი ჩავკლა.
შენ უზრუნველი ახლა ალბათ ერთობი, ლხინობ,
ნადიმში ბრწყინავ, სად თასებით იცლება ღვინო.
ალბათ სხვას უგებ მაცდურ მახეს, ვიღაცას ლახვრავ
და ტრფობას ჩემსას გულში ალბათ დასცინი ახლა.

თქვი, ბედნიერო, ვისა ხიბლავს შენი ღიმილი,
ჩრდილად ვინ დაგდევს სასოებით და სიმძიმილით?
თუ არის მშვიდი ძილი შენი, ან დილა ტკბილი?
ან თუ გრძნობ ზოგჯერ მცირეოდენ სინანულს, ტკივილს?
მე განდევნილი უნუგეშოდ მივდევ ქვეყანას,
რა იქნებოდა — ორთავ ერთად გადაგვეტანა
ზიარი ხვედრი. მაშინ ალბათ შენს სიახლოვეს
ლალი სიმღერით დავივლიდი მთათა მაღლობებს.
აგიტაცებდი, რომ ხევხუვებს ცივი შხეფებით
არ დაენამა შენი ნაზი, თეთრი ფეხები.

რომ შეჭირვება არ გენახა გზებზე მცირედიც —
მხურვალე მზეში ხელებს ჩრდილად მოგიჩრდილებდი.
სადმე, მეცხვარის მყუდრო ქოხში დავივანებდით,
გაბრუებულნი ერთად ყოფნით და ერთმანეთით.
მოგითბუნებდი კერიასთან ცეცხლის ენებით
და ყოველ დილას ჩემს მკლავებში გაგითენებდი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დამშვიდობება

მშვიდობით, ჩემო ულმობელო! გულგრილი მზერა
ღიმილით გქონდა დაშაქრული მუდამ მაცდურად,
შენმა თვალებმა — უბედობამ თუ ბედისწერამ —
ტკბილი მალამოც, სასიკვდილო შხამიც მასხურა.

მსწრაფლად ქრებიან საათები თრობის და ელდის,
ტრფიალით შენით არასოდეს მივრძვნია დაღლა.
შენზე სიმღერებს, ჯადოქმნილი, მე ისე ვმღეროდი,
რომ მათი ექო ველ-მინდვრებზე ხმიანებს ახლაც.

სიმღერის გარდა ყოველივე სიზმარი იყო,
ვინ მოეფეროს ამ გულს, ახლა ნაღველი კვებავს,
ვიღა ვუმღერო, ვის მიუძღვნას ამ ჩანგმა ქება?

ჩანგის სიმები გაიყინა. მწუხარე სტრიქონს
თუკი ოდესმე კვლავ ეღირსა ახმიანება —
ეს ხმა იქნება — შენზე მოთქმა, შენზე ზმანება...

## ფიქრები გამგზავრებისას

გულში სევდა და სიწანული ცრემლებად გალხვა, —
ეს სახლი ჩემთა ჩაკლილ დღეთა მოწამე გახლავთ.
დავბორიალობ, თითქოს რაღაც განძეულს ვეძებ,
წრიალებს მზერა, ეფერება ოთახის კედლებს.

აქ რამდენი წამი მახსოვს წყენის თუ ლხენის,
აქ ჩამთვლემი მარტოობის მწუხარე დღენი.
ამ ფანჯარასთან, ნიავი რომ ამოდ შემოდის,
რამდენჯერ ვმდგარვარ... ვის ვუცდიდი ან ვის ველოდი?

კვლავ გამიცოცხლდა აქ ოდესმე ნაფიქრ-ნაგრძნობი,
დავდივარ, ეს ხმაც ნაბიჯების არის ნაცნობი.
დამძიმდა გული, თითქოს მკერდქვეშ ცივი ლოდია,
საათის წიკწიკს ვუსმენ, როგორც ყრუ მელოდიას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მესმის, ხმიანებს სადღაც ახლოს ჭრიჭინობელა,
სატრფოს თუ უხმობს, მოთქვამს ისე საწყალობელად.
თენდება უკვე. ფანჯარასთან ეტლი ჩერდება,
სხვა არვინ მოჩანს, ჩემი წასვლა ვის ახსენდება!
აქ, უწინარი ჩემი ყოფნით არვინ ხარობდა, —
არვინ დამლოცავს: — ბედნიერი გქონდეს მგზავრობა!

წასვლა იქედან, ჩანს, არ არის დიდი ვარამი,
სად მეგობარი, სად მოყვარე არ გვყავს არავინ.
სჯობია კიდეც, რომ არ ვტოვებ ვინმე მახლობელს,
რომ წასვლას ჩემსას, განშორებას ჩემსას ნაღვლობდეს.

ვით აყვავებულ ველ-მინდვრებზე, უცხო ზმანებად
ლურჯი ყვავილი ზოგჯერ ქარით მიექანება —
სულს თუ მოითქვამს წამიერად — მადლი განგებას!
ქვლავ ქარს გაჰყვება, კვლავ შორეთში გადიკარგება...
ამ ყვავილივით მარტოსული, ობლად შთენილი,
ბედისწერისგან ამ მხარეში ქარმოფრენილი.
გამორიყული, ყველასათვის უცხო, უჩვეო,
ვხეტიალობდი ამ ქალაქის ვიწრო ქუჩებით.
თუმც ბევრი შემხვდა ლამაზმანიც... მათ უცხონდათ,
ისინი ჩემთან მოილტვოდნენ, როგორც უცხოსთან.
პეპლების ჭერა უყვართ ასე მინდვრად პატარებს,
დაიჭერენ და — ფრთებშეწყვეტილს ქარს გაატანენ...
მაშ მაღლა, მაღლა, შეგვრჩენია ეს ფრთები ვიდრე,
მაღლა, ბიბინა ველებისკენ შევუყვეთ მინდვრებს!

მახსოვს, ოდესღაც, როს დავცილდი მშობლიურ მხარეს,
როს ახლობლებმა განშორების ცრემლები ღვარეს,
როს ჩემმა ეტლმა ჩაუარა ბუჩქნარს, ახოებს,
ისინი დიდხანს ხელს მიქნევდნენ და მიძახოდნენ.

მე ვქვითინებდი, სიყმაწვილე ცრემლითაც ტკბება.
აწ დრომოჭმული, ვერც ცრემლებში ვიპოვი შვებას.
ყრმას არც სიკვდილის ეშინია, სულ ეჩვენება,
რომ მახლობელთა გულს შერჩება მისი ხსენება.
დღეს ვიცი, სიკვდილს ჩვენი ყოფნა მიაქვს უგემოდ —
წლებით დაღლილი გული ახლა რამ აწუგეშოს?!

უცხო ქალაქო, მივალ, მიმაქვს მწარე ნაღველი,
მივდივარ მარტო, ყველასაგან დაუნახველი,
არავინ მოსდევს ჩემს ეტლს თვალებგადანამული,
მიჰყვება შარას ზანზალაკთა ნელი ჟღარუნი.



* *

# ჰელენა ბობინსკა

## ქაბუნაურთა შთამომავლის შურისძიება

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რომანი პოლონურიდან თარგმნეს
სტანისლავ რაპიჩმა და ვიქტორ კახნიაშვილმა

### თავდასხმა

ღრმა ფიქრებში ჩაძირული და ოცნების ბურუსში გახვეული ნიკო თავგზააბნეული დადიოდა. თავი მოურკვეველი მიზნებითა და დაულაგებელი გეგმებით ჰქონდა გატენილი. ნამდვილად კი არავითარი გეგმა არ შეუმუშავებია. გრძნობდა, „რაღაც" უნდა წამოეწყო, მაგრამ სახელდობრ „რა" — არ იცოდა.

თუ ადრე, ამ შერჩვენებული ადათ-წესების გამო, ნიკო უმწეოდ და უძლურად გრძნობდა თავს, ახლა, ახალგაზრდული სითამამით გალაღებულს, ძალა ერჩოდა. საჭირო იყო ნაღდი საქმისთვის მოეკიდა ხელი. მთავარია მონდომება, მაგრამ საიდან დაიწყოს? ერთ დღეს, ძველი ქაღალდების ქექვისას, გრიშას დაჭმუჭნილ ბარათს წააწყდა. ფრთხილად გაშალა და როცა გადაიკითხა, ძალიან გაიხარა. წერილის სტრიქონებს შორის აღარ ელანდებოდა გრიშას „გამობერილი ტუჩები". ძირითადად ეთანხმებოდა კიდეც მის აზრებს. რაღა თქმა უნდა, „ასეთ გადმონაშთებთან აუცილებელია გაჩაღდეს ორგანიზებული ბრძოლა", მაგრამ საქმეც ისაა, არ იცის, საიდან და როგორ დაიწყოს? რაც შეეხებოდა კომკავშირული უჯრედისა და პიონერული რაზმების ჩამოყალიბებას, გრიშა ძალიან გულუბრყვილო რაღაცეებს იწერებოდა. ნიკო მასზე ბევრად გამოცდილი იყო ამ საქმეში. უკვე საკმაოდ კარგად შეისწავლა ხევსურთა ზნე-ჩვეულებები და იცოდა, როგორ გამოენახა მათთან საერთო ენა. მთავარია, სიფრთხილით მოუდგეს ამ ამბავს და უჯრედით საქმე არ გაიხლართოს. ქალებს რაღა მოუხერხოს? ისინიც უნდა აიყოლიოს. მაშინ, გულაცრუებულმა, ბრძოლა მალე შეწყვიტა. ახლაც არ იქნება ადვილი მათ წინააღმდეგ გალაშქრება!

მოსაღამოვდა. ნიკო გრიშას წერილს კვლავ ხელში ატრიალებდა და „ეშმაკურ" გეგმებზე ფიქრობდა. ხოლო „ეშმაკობა" იმაში გამოიხატებოდა, რომ ჯერჯერობით უხათაბალოდ რამდენიმე ახალგაზრდა დაეკავშირებინა ერთმანეთთან (დასაწყისისთვის კვირიკე და მისი კატაშაურიც იკმარებდნენ).

მგელას დასაფლავების შემდეგ ნიკო იშვიათად ხვდებოდა გონდრას. ამ დროის განმავლობაში ძვირი სანახავი გაუხდა და ხანდახან თუ გამოელაპარაკებოდნენ ერთმანეთს. მიუხედავად ამისა, ნიკო გრძნობდა, გონდრა გონიერი და მამაცი ქალი იყო.

მეოცნებე ჭაბუკი ახლა ამ აზრს ჩაებღაუჭა, — გონდრა უთუოდ გამოადგებოდა და დაეხმარებოდა. მართალია, ამ ზამთარს გათხოვდა, მაგრამ... „იქნებ ასე უკეთესიც იყოს, — თავი დაიიმედა ნიკომ, — გათხოვილი ქალი ცრურწმენისაგან უფრო დაჩაგრული და ხელფეხშეკრულია, ვიდრე ქალიშვილი".

გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, გონდრა ახლავე ენახა, აღარ გადაედო, ამოქმედებულიყო, რაღაც „დაეწყო".

---

დასასრული. დასაწყისი იხ. „საუნჯე" № 3.

წიკლაურებთან სტუმრობა ეუხერხულებოდა, წინასწარ იცოდა: დასვამდნენ, არაყს დაალევინებდნენ და გონდრასთან ცალკე დალაპარაკების საშუალებას არ მისცემდნენ. აუცილებლად სადმე გარეთ უნდა შეხვედროდა. მეორე დღეს დიდხანს ტრიალებდა წიკლაურების სახლის მახლობლად. უცებ თვალი მოჰკრა ბილიკზე მომავალ მხარზე ტაგანგადაკიდებულ გონდრას.

ნიკომ ჩაასწრო წყაროზე. თავი ისე მოაჩვენა, ვითომ შემთხვევით შეხვდა გონდრას. წყალს დაეწაფა და იმდენ ხანს სვამდა, ეგრე გეგონებოდათ, რამდენიმე დღის მწყურვალიაო. სინამდვილეში იმაზე ფიქრობდა, საიდან და როგორ დაეწყო ეს უამური საუბარი. გონდრამ ფიქრი შეუმსუბუქა და პირველმა გაუბა ლაპარაკი. გეტყობა, წყალი ჯერ კიდევ გირჩევნია არაყს, — გაჰკენწლა ქალმა, — თუმცა ახლა ნამდვილი ხევსური ხარო. სანამ ხის ღარიდან მორაკრაკე წყაროს ცივი წყალი ტაგანს გაავსებდა, გონდრა ცალი თვალით მას უყურებდა, წინანდებურად გაბედულად და ცოტა მკვახედ ელაპარაკებოდა, მაგრამ ის გულღიაობა და უზრუნველობა აღარ ეტყობოდა სახეზე. მის მიხვრა-მოხვრაში აღარ იგრძნობოდა ძველებური ნაპერწკალი, შავ წარბებს შორის ნაოჭი გაჩენოდა, რაღაც გამოუთქმელი სევდა აღბეჭდოდა სახეზე. გონდრამ შენიშნა ნიკოს გამჭოლავი მზერა და სახეალეწილმა ტაგანს ხელი დაავლო. ნიკოც აირია, საკუთარ თავზე გაბრაზდა, ამ ხელსაყრელ შემთხვევას ხელიდან რაე როგორ ვუშვებ, ორიოდე სიტყვის თქმაც ვერ მომიხერხებიაო.

გონდრამ ტაგანი მიუდგა ღარს. ნიკომ აღარ დაახანა:

— შენთან მოლაპარაკება მწადია, გონდრა... ქვირიკესაგან შენი ქების მეტი არა გამიგია რა.

გონდრას ლოყები კვლავ წითლად შეეფაკლა და თვალებში გაკვირვება გამოეხატა.

— მისმინე, გონდრა, — ჩქარობდა ნიკო, რადგან ტაგანი უკვე ივსებოდა. — შენ... ნუთუ არასოდეს დაფიქრებულხარ, რა აუტანელ [illegible]ლეში არიან ჩვენში ქალები? უნდა შეიცვალოს მათი ცხოვრება!

— რანაირად უნდა შეიცვალოს მერე? — წაიჩურჩულა გონდრამ.

— რანაირად? — აენთო ნიკო. — ეს, ეს ხომ თვით თქვენზე, ქალებზეა დამოკიდებული. უდრტვინველად ემორჩილებით ამ მკაცრ ადათ-წესებს! არსად დედამიწის ზურგზე ისეთი ბარბაროსობა არ ხდება, როგორიც სამრელოში, და თქვენ ამას ეგუებით, არ იბრძვით, ხმას არ იღებთ!

— ამაზე არასოდეს არაფერი მითხრა, ნიკო, — შეაწყვეტინა თვალებში შიშჩამდგარმა ქალმა, — აღარასოდეს ჩამომიგდო ლაპარაკი, გესმის, ნიკო?

ამხედრებულ ნიკოს ვინღა შეაჩერებდა, თითქოს ქადაგად იქცაო, განაგრძობდა:

— პირს ვერავინ ამიკრავს, დიახაც რომ ვილაპარაკებ! — გონდრას ხელი მაჯაში სტაცა, როცა იგი ტაგანის ასაღებად დაიხარა. — დაფიქრდი, გონდრა. დღეს-ხვალ ბავშვი გეყოლება. ზამთარში რომ მოგიწიოს მშობიარობა და ორმოცი დღე სამრელოში იყო გამოკეტილი, ხომ გაიყინე ბავშვიანად?! შენი აზრით, ეს არაფერია? დუმილი ვარჩიოთ?

გონდრა ხან ფითრდებოდა, ხან წითლდებოდა.

— ყური მიგდე, ნიკო, ამ რამდენიმე ხნის წინათ ჩვენში ერთი მილიციელი მსახურობდა. ისიც ასე ფიქრობდა, ქალებს დავეხმარებიო, ადგა და ჩვენი სამრელო დაანგრია. ძაღლივით მოჰკლეს ის უბედური. გასაგებია, ნიკო? ერთი ადამიანი ვერაფერს გახდება, ვერაფერს! გესმის? — იგი დაიხარა, ტაგანები მხრებზე მოიგდო, წელში გასწორდა და წასვლისას თითქმის ვედრებით უთხრა:

— სანამ დროა, აქედან წადი, ნიკო! მაინც ვერაფერს გახდები და ტყუილუბრალოდ თავს დაიღუპავ!

სანამ ნიკო რამეს მოიფიქრებდა, გონდრა მოხდენილად და ნარნარად მიირხეოდა ვიწრო ბილიკზე; მალე თვალს მიეფარა.

ამ პირველივე მარცხის შემდეგ ნიკოს ფარ-ხმალი მაინც არ დაუყრია. ცხადია, გონდრამ სრული სიმართლე თქვა, აქ ერთი ადამიანი ვერაფერს გააწყობსო. ის არც აპირებდა მარტოხელას ებრძოლა. თვით გონდრას აღელვება იმას მოასწავებდა, რომ ნიკოს ნათქვამი სიტყვები შიგ გულში მოხვდა. შესაძლოა ამაზე თვითონაც ბევრჯერ უფიქრია. და განა მარტო მას? იქნებ სხვასაც.

ნიკომ გადაწყვიტა სხვა ხერხი ეხმარა. ქალები მთლად სანდონი არ არიან. მათგან დაწყება არ ივარგებს. ისინი მაინც ვერაფერს გახდებიან. მხოლოდ ვაჟკაცებს შესწევთ უნარი

ებრძოლონ ძველ ცრურწმენებსა და წარსულის მავნე გადმონაშთებს. საქართველოს ახალგაზრდობის დარაზმვა, მათთან დაახლოება, უფრო ახლოს ყოფნა!

კვირიკე, მახა კატაშაური და თომა არაბული გაკვირვებული და ამავე დროს გახარებული იყვნენ, რომ ნიკო, ვინც დიდი ხანია გზაზე იდგა და მათთან ხუმრობით ლაპარაკობდა, უცებ გახალისდა და გადასხვაფერდა. შეკრებები ხან მასთან იკრიბებოდნენ, ხან ხან ქალთან. მხიარულობდნენ, ხანდახან მთელ ღამე არაყს გამოსცლიდნენ, ხინკალს შეექცეოდნენ, ჩონგურს უკრავდნენ და გოგონებს ეხუმრებოდნენ. თუ არ ქეიფობდნენ, მაშინ ფარიკაობდნენ და მიზანში ისროდნენ.

მარჯვედ სროლასა და კენწაობაში ნიკოს მხოლოდ კვირიკე თუ დაუდგებოდა ტოლს, მაგილსტუმრობასა და ცხენოსნობაში კი აშკარად ჩამორჩებოდა. კვირიკეს ეს ამბავი ცოტათი კიდევაც სწყინდა, მაგრამ რაც დრო გადიოდა, ნიკოს მიმართ უფრო მეტ რიდს იჩენდა.

კვირიკეს ძალიან უყვარდა ნიკოს მონათხრობის მოსმენა ტფილისზე, ორთქლმავალზე, რკინიგზაზე, გაზეთებსა და რადიოზე.

როცა ნიკო ხევსურული ზნე-ჩვეულებების კრიტიკას დაიწყებდა, კვირიკეს სახე მოეღრუბლებოდა და საუბრის გაგრძელება აღარ სურდა. ასე გაიარა ერთმა თვემ. ნიკომ ბოლომდე სვა არაყი, ჰკონდა რომ ეჯავრებოდა. მეზობლები გულწრფელი სტუმართმოყვარეობით უმასპინძლდებოდნენ, მაგრამ მალე მოსწყინდა ასეთი ცხოვრება. მისმა ლაპარაკმა ვერ გასჭრა, ხალხი ვერ გამოიღო. მძიმე დრო დაუდგა ნიკოს, ადვილს ვერ პოულობდა. უქეიფოდ გაჰქრა საკუთარი ძალ-ღონით ტკბობის სურვილი, ვაჟკაცობა და იმით თავის მოწონება, „ძველი „იდეა" ცარიელ. ერთ დილას, როცა გაიღვიძა, თვალი ჰკიდა ჟანგმოკიდებულ იარაღს და აშკარად იგრძნო უგუნურობა. უცებ ისეთი სევდა შემოაწვა გულზე, ისე მოენატრა ტფილისი, „ახალი" ცხოვრება, რომ მზად იყო იმ დღესვე, იმ წუთში გაფრენილიყო. შეიძლება კიდევაც წასულიყო, მთლად ახალი დაწყებული იყო სასწავლო წელი. ჯერ ხომ მხოლოდ ოქტომბერი იდგა. თავმოყვარეობა დარჩენას კარნახობდა, რომ ხელმოცარული არ დაბრუნებულიყო. მაშინ გრიშას თვალს თვალში გაუყრიდა და ამაყად ეტყოდა: „ესა და ეს გავაკეთე, და გავაკეთე უფრო მეტი, ვიდრე შენ ჩემს ადგილას გააკეთებდი". აბა, ამდენი შრომა წყალში ჩაეყარა?

ახლოვდებოდა ხატობა.

მოხარშული ქერის სამო სუნი მთელ სოფელს მოსდებოდა. ხევისბერი ქარშაგი მოხუცების დახმარებით ამ ზარ-ზეიმისათვის ლუდს ხარშავდა. ყურისწამღებად ბღაოდნენ ახლომახლო სოფლებიდან შესაწირად მორეკილი ცხვრები, ხვიხვინებდნენ სტუმართა ცხენები, ქალები მინდვრიდან ერთმანეთს გასძახოდნენ და საზეიმო ტანისამოსით იმოსებოდნენ.

ნიკომ კვირიკეს და მახასთან ერთად ჩაუარა ხატს, სადაც უჩვეულო გამოცოცხლება სუფევდა: გადაწყვიტა ესარგებლა შემთხვევით და ამხანაგებს სიტყვა ჩამოუგდო ამ დღესასწაულების უაზრობაზე. ცხვრებს ტყუილუბრალოდ ხოცავთო, გულისტკივილით ამბობდა ის.

— დათვრებიან და მერე ერთმანეთს დაერევიან. ამას კი მოჰყვება მოსისხლეთა ორასწლიანი შურისძიება. მერედა, ვინ სარგებლობს ამ ადათ-წესებით? მხოლოდ ხევისბერი, რადგანაც მას რჩება შესაწირავის ნახევარი.

კვირიკე უცებ შედგა, ნიკოს თვალები შეანათა და ბრაზმორეულმა კბილებში გამოსცრა:

— ნიკო ქიზიყურო, ვიცი ჩვენი ზნე-ჩვეულებები არ მოგწონს, ოთხივ კუთხით გზა ხსნილი აქვს! პატივს ვცემ შენს შთამომავლობასა და მამა-პაპათა ხსოვნას, მაგრამ იმის უფლებას კი არ მოგცემ აუგად მოიხსენიო ის, რაც ჩვენთვის წმიდათაწმიდაა.

კვირიკემ გზიდან გადაუხვია და პატარა მახაც თან გაიყოლა, რომელიც მათ საუბარს პირდაღებული უსმენდა.

შინ მობრუნებული ნიკო ადგილს ვეღარ პოულობდა. საკუთარ თავზე ისე ბრაზობდა. მასა და კვირიკეს შორის შავმა კატამ გაირბინა და მომავალში არც იყო მოსალოდნელი, რომელიმე მათგანს შესარიგებლად პირველი ნაბიჯი გადაედგა. ეს დოყლაპია მახა და თომაც ზურგს უკან დასდევენ კვირიკეს. არა, მაინც რა ქნა, უგერგილო მოქმედებით თვითონვე ჩაშალა მუშაობა. რა მოხდება შემდეგ? ამის გაფიქრებაზე საშინელი მარტოობა იგრძნო. მისი არავის ესმის. რატომღაც თვალწინ დაუდგა ქალის სახე. კაცმა რომ თქვას, იგი ყოველთვის ახსოვდა, ერთი წუთითაც არ დავიწყებია გიგაურთა ნაშიერის ღიმილი და ტკივილებისაგან დამანჭული სახე, ვაჟკაცური ხელის ჩამორთმევა და ძმურად გულში ჩაკვრა.. ყოველივე ეს ღრმად აღბეჭდოდა მეხსიერებაში.

ნიკო ფიქრობდა აკელასთან მერე წასულიყო, როცა აქაურ ახალგაზრდობას თავყოლიებდა და ნადიმს სათანადოდ მოამზადებდა. მათი დამეგობრება უკანასკნელ ლურსმანს ჩასცემდა ქვეყანაზე საზარელ გადმონაშთს — მოსისხლეთა შურისძიებას. თუ ერთმანეთს გადაკიდებული ორი გვარის წარმომადგენელი სოფელში ხელიხელგადაკიდებულნი შემოვლენ — ვინღა შესძლებს მერე იმათ გადამტერებას? რომელი ადათის ძალა აღუდგება წინ მათ ძმადნაფიცობას? ნიკო დარწმუნებული იყო, ადრე თუ გვიან ჩანაფიქრს შეასრულებდა, აკელას გამოუტყდებოდა და თავის ნამდვილ სახელს ეტყოდა... ბოლოს და ბოლოს ხომ აღუთქვა, დაუბრუნდებით.

ახლა აღარ ღირდა უქმად დროის დაკარგვა, აღარც აკელასთან წასვლის გადადება. თოვლმა თეთრად გადაპენტა ველები; დადგა ცივი, გრძელი ღამეები და მოკლე დღეები; სადაცაა ჩრდილოეთისკენ მიმავალი გზაც ჩაიკეტება. მაშინ ნიკო აკელას ხილვას გაზაფხულამდე ვეღარ ეღირსება.

## ხევსური

ერთ წყნარ დილას, განთიადისას, ნიკო შეუმჩნევლად გაქრა სოფლიდან. თან წაიღო თოფი, ნაბადი და ცოტაოდენი საგზალი. საძოვრებს გასცდა, როცა მის ყურს მისწვდა ხატის ზარების რეკვა, დასაკლავი პირუტყვის ბღავილი და ზმუილი და მოქეიფეთა ღრიანცელი. ხატობის პირველი დღე გათენებულიყო. ნიკო ისე გულდაგულ მიაბიჯებდა, უკანაც არ იყურებოდა. თითქოს ფრთები გამოესხაო, სიხარულით ავსილი კი არ მიდიოდა, მიფრინავდა.

ეჩვენებოდა, ამ მაღალი მთის იქით რჩებოდა ბნელი ადათებით მოცული სამეფო და იწყებოდა აუმღვრეველი და ურყევი მეგობრობის საუფლო.

მხიარულად გადახედა უღელტეხილიდან აკელასაკენ მიმავალ უკვე ნაცნობ ბილიკებს. არც უფიქრია, ჩხუბამდე მიაღწევდა თუ არა. ის აკელასთან მიდიოდა, მორჩა და გათავდა. მერე რა, რომ მტრებთან მიდის? თუნდაც გაიგონ მისი ვინაობა, აკელა მაინც გამოესარჩლება და დაიცავს მას. იქნებ ჯობდეს, აქ სადმე დაელოდოს აკელას? არა, ნებისყოფა ულალატებს, მოთმინება არ ეყოფა. მტრისთვის შეეძლო სიამოვნებით ეღალატა, ძმისკენ კი გული მიუწევს.

ქვემოთ, ხეობის გაღმა, თეთრად მოჩანდა სახლები. ნიკო ვიწრო ბილიკით დაეშვა. უცებ ქალიშვილის ძახილი შემოესმა.

ახალგაზრდის მჟღერი ხმა ისმოდა მწვერვალიდან:

— მთია! მთიაუ!

ნიკომ მაღლა აიხედა. მთის ქიმზე აკელა იდგა.

კარგა ხანი ორივე გაოცებული ზომავდა ერთმანეთს; ერთობ უცაბედი და მოულოდნელი იყო ეს შეხვედრა. ნიკომ მაღლა ამავალი ბილიკი შეამჩნია, თვალის დახამხამებაში კორტოხზე მოექცა. ძმადნაფიცები ერთმანეთს გადაეხვივნენ.

შემდეგ იქვე ჩამოსხდნენ [illegible]. თვალებგაბრწყინებულნი გულდაგულ უღიმოდნენ ერთმანეთს. ნიკომ ქუდის მოხდა სთხოვა ძმადნაფიცს; ერთი სული ჰქონდა, ხანამ ნაჭრილობევს ნახავდა. აკელამ გაიღიმა და ფაფახი უმალ მოიხადა. ქერა თმა შუბლზე ჩამოეშალა და წარბებს დაეფარა. ნიკომ ცოტა გაუბედავად შუბლიდან თმა გადაუწია: მარცხენა საფეთქელთან ჯერ კიდევ წითლად აჩნდა შეუხორცებელი ფართო ჭრილობა.

— ვერაიანად გამომასპანძილდა ის მურდლუნა, — აკელამ თვალი ჩაუკრა ნიკოს.

ნიკომ ცხადად წარმოიდგინა დახუჭული და სისხლში ამოსვრილი მისი თვალები და რაღაც უცნაური ტკივილისაგან ყბები აუცახცახდა. უნდოდა მაშინვე გამოტყდომოდა: რა ბედნიერებაა, რომ იმ უაზრო და ბრმა შურისგებისაგან გავთავისუფლდით და მოვახერხეთ ერთმანეთთან დაძმობილება! მაგრამ ჯერ სიმართლის თქმა იყო საჭირო.

ამასობაში აკელა გულუბრყვილოდ ჰყვებოდა მთისა და ბარის ამბებს. სიხარულისაგან თვალები უბრწყინავდა და გულდაგულ იღიმებოდა.

იმ დათვის ტყავი ახლა აკელას ხატზეა გადაფარებული. ყველანი გაოცებული ათვალიერებენ თურმე ტყავს. კაცი იშვიათად თუ შეეყრება ასეთ ლამაზ და ვეებერთელა დათვსო, იგონებენ წამდაუწუმ.

— წავიდეთ ჩვენსა და შენ თვითონ ნახავ საკუთარი თვალით. მერე უნდა გიძღვნა სამახსოვრო საჩუქარი... თუნდაც ეს ხანჯალი, მოგწონს?

თანხმობისათვის არც დაუცდია, ისე იძრო ლამლაპა ხანჯალი ქარქაშიდან.

— ეს ძველებური ნაკეთობაა, კარგი ხახელავეია, ახლა ამნაირს ველარსად ნახავ, აიღე ჩემგან სამახსოვროდ, მათია, მე კი შენი მომეცი.

სანამ ნიკო პასუხს გასცემდა, აკელამ თავისი ქარქაში მას გაუკეთა, [illegible] ბოლო მისი თვითონ ჩამოკიდა.

ბიბლიოთეკა

— ზარალობ, აკელა. აბა, ჩემი ხანჯალი შენსას როგორ შეედრება...

— მარტო ეს ხანჯალი კი არა, რაც კი რამ საუკეთესო მაბადია, ყველაფერი შენ გეკუთვნის, მათია ოჩიაური, — უთხრა აკელამ დინჯად, გულწრფელად და მხარზე ხელი გადახვია. — წამო, ჩვენსა წავიდეთ.

— მოიცა, აკელა.

ნიკო ღელავდა, ამაოდ ცდილობდა მშვიდად ელაპარაკა. გულში ისარივით ჩაესო აკელას მიერ მოფერებით ნათქვამი სიტყვები: „მათია ოჩიაური".

ჭირია ეს კეთილშობილობა! რა შავ ქვად უნდა შერჩენოდა ნიღბიანი მეგობრობა! დროა სიმართლე უთხრას. მაგრამ რაღაცა ძალა აკავებდა, აფერხებდა. გულს ბაგაბუგი გაჰქონდა. თუ არ დაწყნარდა, არ დამშვიდდა, ვერ შეძლებს ვერაფრის თქმას. დროის მოგების მიზნით სულ სხვა რამეზე გადაიტანა ლაპარაკი:

— აქედან მთელი სოფელი ჩანს, აბა შენი სახლი დამანახე, აკელა. ისე ვზივართ ამ მთის ქიმზე, თითქოს კოშკში ვისხდეთ და იქიდან ვიმზირებოდეთ...

— ეს ჯვარ-გუშის კლდეა, — უთხრა აკელამ და ცხენივით რამდენჯერმე დაარტყა ფეხი გრანიტს. — ეს რომ არა, აქამდე ჩხუბს სახსენებელიც აღარ იქნებოდა ამ ქვეყანაზე.

ნიკომ გაკვირვებით შეხედა.

— ეს კლდე ზღავს მიმართულებას უცვლის; ეს რომ არ გვწველოდეს, მოვარდნილი ღვართქაფი დიდი ხანია დაფარავდა ჩვენს სოფელს. ჩვენი სახლი აქედან იმიტომ არა ჩანს, რომ ხეები ეფარება... წავიდეთ, მათია, უკვე დროა, — კვლავ ფეხზე წამოდგა აკელა, — საცაა მზეც ჩავა...

— ყური მიგდე, აკელა...

ნიკომ ისეთ ხმაზე წარმოთქვა ეს სიტყვები, აკელა მაშინვე შედგა..

— გისმენ, მათია...

— მე მათია არა ვარ...

— მაშ ვინა ხარ? — გაოცებულმა აკელამ ნაბიჯი უკან გადადგა.

— მაშინ არ მინდოდა... ვერ მოვახერხე სიმართლე მეთქვა. მე ნიკო ქაბუნაური ვარ!

ნიკომ ჯიქური შეხედა აკელას თვალებში. მაგრამ რა ხედავს? ნუთუ ეს აკელაა, მისი ძმადნაფიცი, რომელიც რამდენიმე წუთის წინ სიყვარულით ეხვეოდა?

წელში მოხრილი აკელა, თითქოს გადასახტომად ემზადებაო, ზიზღით შესცქეროდა ნიკოს. ქვედა ტუჩი ჩამოვარდნოდა და კბილები ნადირივით დაეკრიჭა. მარჯვენა ხელი ხანჯლის ტარისთვის წაევლო:

— საძულველია ის კაცი, ნიღბაფარებული რომ გიძმობილდება.

— მისმინე, აკელა, — ძალაუნებურად წამოიწყო ნიკომ, — მე შენთან ნიღაბაფარებული არ მოვსულვარ, სწორედ შენს მოსაკლავად მოვედი, მაგრამ როგორ გამემჟღავნებინა ნამდვილი ვინაობა, როცა უიარაღო და დაჭრილი საბრალოდ იყავი მიწაზე განრთხმული?

— ოჰ, ჩემო თავო! მაინც მეყოფოდა ძალა, ამ ხელებით დამეხრჩე! — დაიღრიალა გაცოფებულმა აკელამ.

ნიკოს წამიერად მოეჩვენა, რომ კლდე, რომელიც ზვავს აკავებდა, ახლა ფეხქვეშ ეცლებოდა. რა დაემართა აკელას? ნუთუ ტყუილად გახდა მისი ძმადნაფიცი? ამ აზრს მთელი არსებით ჩაებღაუჭა.

— ნუ გავიწყდება, აკელა, რომ ძმადნაფიცები ვართ... ამით უარვყავით ის მოსისხლეობა, რაც აქამდე ჩვენ შორის იყო... დაფიქრდი, აკელა, — უმწეოდ გაიშვირა მისკენ ხელები, — პირველად შენ არ მიწოდე ძმა?

— ვერაგობითა და მოტყუებით მოახერხე ჩემთან დაძმობილება! მეზიზღები და მძულხარ ჩემი მოდგმის დაუძინებელო მტერო! შენი ხანჯალი ხელს მიმურდლავს! — აკელამ უცბად ქარქაშიდან ხანჯალი იძრო და კლდეს მიანარცხა. ხანჯალმა დაიწკრიალა და უფსკრულში ჩავარდა. როცა გონს მოვიდა, აკელა მაშინღა მიხვდა, რომ უიარაღოდ დარჩა. დაიბნა, სახე აერია. წამიერად ნიკოს შეამტერდა. ნიკომ იგრძნო ეს შემოხედვა.

იქნებ მშვიდობიანად მორიგდნენ? ნიკომ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა მისკენ.

— აკულა, მათქმევინე ორიოდე სიტყვა...

— ჩვენ ვერასოდეს მოვრიგდებით! გიგაურები და ქაბუნაურები მხოლოდ იარაღის ენით უნდა ლაპარაკობდნენ ერთმანეთში! — ღვარძლიანად გადაიხარხარა აკულამ. — იარაღიც არა მაქვს, მომწყდი თავიდან, სანამ მრთელი ხარ. ასევ შევეყრებით სადმე ერთმანეთს, ნიკო ქაბუნაურო, და ეს იქნება ალბათ ჩვენი უკანასკნელი შეხვედრა!

მიბრუნდა და ბილიკს ჩაუყვა.

ნიკო გაშეშებული იდგა ერთ ადგილზე.

აკულამ ერთხელ კიდევ მოიხედა, თავით ფეხამდე ზიზღით შეათვალიერა ნიკო:

— ზურგში რატომ არ მესვრი, ქაბუნაურთა შთამომავალო? სხვანაირად შეგიძლია განა სროლა?! — ესა თქვა და აუჩქარებლად განაგრძო გზა.

## მარტოხელა

მხუთავი კვამლი იდგა სახლში; იგი ჯერ ჭერს ეცემოდა, მერე ჭუჭრუტანებს პოულობდა და გარეთ გავარდებოდა; გაფიცხებულ შეშას ტკაცატკუცი გაჰქონდა, წითლად იკლაკნებოდა ცეცხლის ალი; ამეკაუ თითისტარს ატრიალებდა, ნართს ართავდა და ხალვლიან სიმღერას ღიღინებდა; ბოსელში ძროხები წრიალებდნენ. ჰაერში გახუხული შაფართხელების, არაყისა და კედლებზე მიმხმარი წივას მძაფრი სუნი ტრიალებდა. ოთხკუთხა სარკმლის მიღმა კვლავ ბარდნიდა.

დღუურსებული ნიკო კიბეს აუყვა, ჭერხოში ავიდა და ტახტზე წამოწვა. საიდანღაც მზექალაც გაჩნდა. სადაც არ უნდა წასულიყო ნიკო, მზექალას მაინც არაფერი გამოეპარებოდა. ეტყობოდა, რაღაც იყნოსა და გვერდიდან არ სცილდებოდა.

საწოლთან ჩაცუცქულმა წაიჩურჩულა:

— ნიკო!

ბიჭმა გულგრილად გადახედა.

— ნიკო, წასვლა გადაწყვიტე?

ნიკო დუმდა.

— ნიკო, მე ყველაფერი ვიცი. — ქვემოთკენ გაიშვირა თითი, — იმათმა არაფერი იციან, თორემ მე რამე გამომეპარება? ვიცი, წასვლას აპირებ, მაგრამ ახლა, ასეთ ზამთარში?

ნიკო ხედავდა. მზექალას შავი თვალები ცრემლით ევსებოდა და ტუჩები პატარა ბავშვივით უცახცახებდა.

— მოგეჩვენა, მზექალა. სულაც არ მიფიქრია სადმე წავიდე.

— ნუ ცრუობ, ნიკო! სულერთია, ვეღარ მომატყუებ! ვიცი, აქ ყოფნა გეძნელება. რა გავაწყო, რით დაგეხმარო? რიო, კვირიკემ გაწყენინა? მეზიზღება კვირიკე. — მუშტები მაღლა შემართა, ღრიჭოდ დარჩენილ კარისაკენ გაიხედა და იდუმალად თვალებაკიაფებულმა ხვაშიადი გაანდო ნიკოს:

— იცი? გონდრას ბიჭი ეყოლა... — შეყოვნდა, ყური მიუგდო; ქვემოდან ეძახდნენ, ტახტისაკენ გადაიხარა და შეემუდარა: — არ წახვიდე რა, ნიკო, აქ დარჩი, უგუნებობა მალე გაგივლის. აი, ხახავ!

უხმოდ გაქრა.

„ამ ცეროდენამ საიდან მოუვიდა თავში, რომ წასვლა მსურს?“ — ფიქრობდა ნიკო. არც ისეთი უგუნური და თავზე ხელაღებული იყო, თოვლით დაფარულ მთებსა და ჩახერგილ, მიუვალ ბილიკებზე გაეკვლია გზა. როგორმე გაზაფხულამდე უნდა მოიცადოს. დიდი და გრძელღამეებიანი ზამთარი იდგა უკვე. ეძნელებოდა ბნელსა და აყროლებულ სახლში იმ ადამიანებთან ყოფნა, რომლებსაც მისი არა გაეგებოდათ რა. სრულმა უიმედობამ მოიცვა, როგორც ბერუსმა ჭაება, როცა თვალი ვერაფერს არჩევს, ფეხები კი უძლურნი არიან თუნდაც ერთი ნაბიჯის გადასადგმელად. რა ქნას, როგორ მოიქცეს? შეებრძოლოს? ვის? ბერუსს? მაშ, სხვა რაა ეს დაწყევლილი ადათი, თუ არა ბერუსი, რომელიც ხალხს თვალებს უბნელებს და სმენას უხშობს? რა გზას დაადგეს, რა ხერხი იხმაროს, როცა მისი არაფერი გაეგებათ და არც უნდათ გაუგონ?

ნიკო სიცივისაგან ისე გაითოშა, რომ დაბლა ჩასვლა იკადრა. იქ თბილოდა, დილიდან საღამომდე ენთო ცეცხლი. რბილბეწვიანი ხბორები და ბატკნები ფეხებში ედებოდნენ; აბლ-

ლურჯალებული ცისცრისაგან ლოყებაწითლებული მზექალა მარჯვედ ტრიალებდა ამ ვიწრო ოთახში და ყელსაბამზე ჩამოკიდებულ ვერცხლის ფულებს განუწყვეტლივ აჩხრიალებდა. ამყაუ თითისტარს ატრიალებდა და მის გამოხედვაში იგრძნობოდა, [illegible] რომ ეცლებოდა თავს ნიკოს. კვამლმა და დახუთულმა ჰაერმა, უფრო მეტად კი სულშემხუთავმა მოწყენილობამ ბიჭი აიძულა ამ სიცივეში გარეთ გავარდნილიყო [illegible] სარ-[illegible] ქქვია. ასეთ ამინდშიაც კი ნიკო კარგა შორს გასცდებოდა ხოლმე [illegible] დაფარული სახლები თითქოს მთის ფერდობებს შეზრდოდა. უთვალავი შუქი მგლის თვალებივით ციმციმებდა.

ერთ საღამოს ნიკო ისე გვიან ბრუნდებოდა შინ, რომ „მგლის თვალებიც" კი ჩამქრალიყო. თოვლში ჩაკარგულ სახლებში აქა-იქ თუ ბჟუტავდა სინათლე. ღამით ყინვამ იმატა. ბიჭმა ნაბიჯს აუჩქარა. გზის გაგნება უჭირდა. არ იცოდა, საით მიდიოდა. უცებ ქვის კედელს მიეჯახა. ეს რაღა ჯანდაბაა? ნუთუ სარდაფია? ის იყო გვერდი უნდა აევლო, შიგნიდან ყრუ კვნესა თუ ძახილი შემოესმა. შეჩერდა და ყური მიუგდო.

კვნესა განმეორდა.

უცებ მიხვდა: სამრეკლოს წააწყდომოდა. ალბათ ვიღაცამ იმშობიარა.

„ნუთუ გონდრაა? — გაახსენდა მეგობრის ტიტინი, რომელსაც მაშინ გონებაამღვრეულმა ნიკომ ყურადღება არ მიაქცია. — გონდრა [illegible]! ნამდვილად ის წავიდა ამ ქვის [illegible]! ნუთუ ცოცხალია?"

სუნთქვაშეკრულმა მიაყურადა.

კვნესა აღარ განმეორებულა. ირგვლივ სიჩუმე გამეფებულიყო. მთებიდან სუსხი მოდიოდა, უკუნ ღამეში ტურები ჩხაოდნენ.

— გონდრა! გონდრა! — ხმადაბლა დაუძახა ნიკომ. პასუხი არავის გაუცია.

ნიკომ ერთხელ კიდევ შემოუარა სამრეკლოს. როგორც იქნა, მიაგნო კარს. დაუფიქრებლად ჰკრა ხელი და შეაღო.

შმორის სუნი ეცა და სიცივემ აიტანა. კუთხეში, საწოლის მსგავს რაღაცაზე, ძლივს გაარჩია ქალი.

ნიკო დაიხარა. ქალმა ძლივს წამოსწია თავი.

— გონდრა, ნიკო ვარ, ნიკო...

— ნიკო, გემუდარები, დამტოვე, — ამოიკვნესა ქალმა, — ოღონდ ბავშვი გადაარჩინე, არ გამეყინოს...

გმინვა მიწყდა. გონდრა უძრავად იწვა. [illegible]კვდა? სოფელში გაიქცეს? ხალხი გააღვიძოს? — ღელავდა ბიჭი. მაგრამ მალე გონს მოეგო. მერე როგორ იქნება, სამრეკლოში [illegible]?

გონდრას აქედან მაინც არავინ წაიყვანს, სანამ ორმოცი დღე არ შესრულდება. მანამდე კი მხოლოდ მისი გაყინული გვამი შეუძლიათ გაიტანონ. თუ ცოცხალს წაიყვანენ, სახლს გააუწმინდურებენ. ნიკო ღრმად იყო დარწმუნებული: მთელ სოფელში არ მოიძებნებოდა სახლი, სადაც გონდრას მიღება მოხერხდებოდა, არ არსებობდა ადამიანი, ვინც მას შეიფარებდა. მშობელი დედაც კი არ შეუშვებდა სახლში, შინიდან გამოაგდებდა ქმარი, ზურგს შეაქცევდა ძმებიც. მხოლოდ მან შეძლო ქალის გადარჩენა. აღარ უყოყმანია. ნაბადი გაიძრო და ცოცხალმკვდარი გონდრა ზედ დააწვინა. ბავშვი, ქალს გულში რომ ჰყავდა ჩაკრული, მასთან ერთად გახვია ნაბადში, მერე ხელი დაავლო ორთავეს და სამრეკლოდან გამოვიდა. სოფელში სინათლის ჭიატიც აღარსად ჩანდა. მაღლაც შეღმართზე ოდნავ ციმციმებდა ერთადერთი შუქი.

ნიკომ გონდრა თავის ტახტზე დააწვინა და სწრაფად ჩაკეტა სახლის კარი. გონდრას სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ეტყობოდა. რა ქნას ახლა? რით უშველოს?

ნიკო ქალს გაყინულ ხელებს უზელდა. რაც კი სახლში მოიძებნებოდა, ყველაფერი ზედ დააფარა. გათოშილი ქალი უძრავად იწვა. სასოწარკვეთილ ნიკოს გაახსენდა არყით სავსე ტიკი. კბილს რომ არ ეშლოდა, ფრთხილად [illegible] ფეხს. ტიკს მიაგნო; იქვე ბეკეკამ საცოდავად დაიკიკინა. ნიკომ წამალი უთავაზა და ფრთხილად დაასხა კბილზე. გონდრას ხელფეხი მაგრად დაუზილა. ცოტა ხნის შემდეგ მომაკვდავმა ამოიკვნესა. მერე შეინძრა კიდეც. ნიკომ შენიშნა, რომ გონდრამ თვალი გაახილა... სწრაფად წაჩურჩულა:

— იყუჩე, გონდრა... ჩემთან ხარ, ჩემს სახლში.

კარგა ხანმა განვლო, სანამ გონდრა მიხვდებოდა, სად იმყოფებოდა. პირველად ბავშვი მოიკითხა. ჩვილი ცოცხალი იყო.

გულში მაგრად ჩაიხუტა.

ცოტაოდენმა არაყმა გონდრას ცნობიერება დაუბრუნა. ცნობიერებასთან ერთად ამოტივტივდა შიშიც.

— ნიკო! ნიკო! ეს რა ჰქენი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისევ კანკალმა აიტანა, ოღონდ ამჯამად შიშის კანკალმა.

ლოგინზე წამოჯდა.

— ახლავე სამრეკლოში უნდა დავბრუნდე! ახლავე, სანამ გაიღვიძებენ, ახლავე, სანამ ბნელა...

— არ გაგიშვებ, გონდრა, გაიყინები... იწექი დილამდე მშვიდად; სულერთია, აქ არავინ შემოვა.

— არც გესმის, რას ამბობ! — შეუოთავდა გონს მოსული ქალი. — სოფლიდან მოკვეთა არ აგცდება.

— უყურე, გონდრა! არავისი არ მეშინია. მომკვეთონ, გამაძევონ... ბარისახოში წავალ. გზაზე ისე არ შემცივდება, როგორც შენ სამრეკლოში.

— არ მინდა! გამიშვი, ნიკო!

ასე დაეობდნენ შუაღამემდე. ბოლოს დაღლილ-დაქანცულმა გონდრამ, როცა ველარაფერი გააწყო, ხმა გაკმინდა და საბანში გაეხვია. ნიკოს ეგონა, გონდრა ტირისო, ამიტომ გაუბედავად ეფერებოდა, მხარზე ხელს უსვამდა.

— ჩუმად, გონდრა. არაფერიც არ მოხდება. იწვები აქ და გათბები. მთავარია, ბავშვმა არ იტიროს.

გონდრა დუმდა.

— გეყურება, გონდრა?

ცოტა ხნის შემდეგ ქალმა თავი ასწია და თქვა:

— კარგი, ნიკო... ვიწვები, სანამ ბავშვი გათბება. ალიონამდე ჯერ შორსაა. ნათიერაყვავზე დავბრუნდები სამრეკლოში. სულ ოცი დღეღა დამრჩა.

— ოცი დღეღა! — გაიმეორა გულდამძიმებულმა ნიკომ. — ოც დღეში შენც გაიყინები და შენი ბავშვიც.

— მორჩენილია გავიყინო, ვიდრე შენ თავი მოგჭრა, — წაილუღლუღა გონდრამ. მიყუჩდა, ცოტა წასთვლიმა, მაგრამ უცებ თავი წამოსწია. — თუ ღრმად ჩამეძინოს, განთიადისას აუცილებლად გამაღვიძე... გამაღვიძებ?

— გაგაღვიძებ, გონდრა, აუცილებლად გაგაღვიძებ.

ყინულით შეჭირხლულ ოთხკუთხა სარკმლის მინაში ოდნავ ინათა, როცა ნიკო იატაკზე დაგებულ ცხვრის ტყავიდან ზეწამოიჭრა. მისი ფიქრი მაშინვე გონდრას მისწვდა. ხომ შეჰპირდა, გაგაღვიძებო. პოდა, უკვე ირიჟრაჟა, ფეხის წვერებზე მიუახლოვდა საწოლს. გონდრას გულიანად ეძინა.

გამხდარ ლაწვებზე ხშირი და გრძელი წამწამების ჩრდილი დაჰფენოდა. შინაგანად აღელვებულ-აფორიაქებული ნიკო დიდხანს დაჰყურებდა მძინარე ქალს. იმისათვის უნდა გაეღვიძებინა, რომ ისევ ცივ აკლდამაში დაბრუნებულიყო? შეიძლება იქიდან ცოცხალი ველარც გამოვიდეს?

არ გააღვიძებს, მორჩა და გათავდა! მოხდეს რაც მოსახდენია. ხევსურებიც ხომ ადამიანები არიან, იქნებ არც ერთი არ მოჰკლან?

ერთი წუთით წარმოიდგინა, როგორ შეეშინდება ქალს, როცა თვალს გაახელს, იქნებ ჯობია გააღვიძოს?

ნიკომ ფრთხილად დაადო მხარზე ხელი და წასჩურჩულა:

— გონდრა, თენდება უკვე.

ქალმა თვალები გაახილა და უაზროდ შეაშტერდა ნიკოს.

— ბავშვი, ბავშვი იხსენი, ჯანდაბას ჩემი თავი.

— გონდრა, გაიღვიძე! ჩემთანა ხარ! — ჩურჩულებდა თავდახრილი ნიკო.

— მოგკლავენ! აუცილებლად მოგკლავენ! — ამოიკვნესა ქალმა.

ნიკომ პირზე ხელი დააფარა. ქალს სახე გაფითრებოდა, ახლა კი ღრმა სასოწარკვეთილებაში ჩავარდა. რა ქნას? ეტყობა, დიდი სიცხე აქვს... უგონოდაა. ნიკო იმაზე აღარ ფიქ-

რობდა, გავაღვიძო თუ არაო. ან რა აზრი აქვს გაღვიძებას? სამრეკლოში დასაბრუნებლად ძალა აღარ ეყოფა. ძალაც რომ ჰქონდეს, მაინც არ გაუშვებს. მაგრამ საკითხავია, როგორ გადაარჩინოს? ვის მიადგეს კარზე? ისეთი ექიმი მაინც იყოს ახლომახლო, ან ფერშალი, ან თუნდაც ერთი სანდო ადამიანი, ვისაც საშველად მოუხმობდა! გონებაში წარმოიდგინა ყველა მოხუცი თუ ახალგაზრდა, ქალი თუ კაცი და შევედრა მათ გონდრას გადარჩენისთვის. [illegible] ხედავდა მათ შეუბრალებელ სახეებს, რისხვასა და აღშფოთებას რომ გამოხატავდნენ, ხელებს, გონდრას ჭირიანივით რომ იცილებდნენ, მთრთოლვარე ტუჩებს, გონდრას წყევლას რომ უთვლიდნენ.

— რა ექნა? რა მეშველება?

საქალუბოში ყველამ გაიღვიძა. აფუსფუსდნენ დედაკაცები. მზექალა ციბრუტივით ტრიალებდა და სპილენძის თუნგებს აჩხარუნებდა. კიკინებდნენ ბატკნები; ისმოდა ამქაუს ბუზღუნი. ბოსელში ძროხები ბღაოდნენ.

ნიკოს ნიკაპი ხელისგულებზე ჩამოეყრდნო და სარკმლიდან იცქირებოდა. მზის ვარდისფერი სხივები მიწაზე ყინულის ყვავილებს ქარგავდა. ერთხელ კიდევ დააკვირდა მძინარეს. გონდრას ძილქუში დასწოლოდა თითქოს. სიცხისაგან სახე აელვარებოდა.

მის თავს არავის დაანებებს, მორჩა და გათავდა! დაე, რაც მოსახდენია, მოხდეს! თავი დაიიმედა და დაიმშვიდა.

ახლა იმაზე ფიქრობდა, როგორ გაეცურებინა ამქაუ და მზექალა. იქნებ კიდევაც განდობოდა მზექალას?

არა, ჯერ პატარაა; შეიძლება გასცეს, — თავიდან ამოიგდო ეს ფიქრი. ჯობია თვითონ ჩავიდეს დაბლა, სანამ დაუძახებენ.

— მთავარია, ბავშვმა არ იტიროს! — ღრმად ამოიოხრა ნიკომ. ბიჭი წყნარად ფშვინავდა გონდრას გვერდით. საგულდაგულოდ დახურა კარი და ქვემოთ ჩავიდა.

— ეს კვამლი თვალებს დასთხრის კაცს. — დაიჩივლა ამქაუსთან, — ამ ბოლში ამოხრჩობას გარეთ გაყინვა ჯობია.

ნიკო დღეს განსაკუთრებით მხიარული და ენაწყლიანი ჩანდა. ულიმოდა ამქაუს, რომელსაც სიხარულისაგან თვალები გაბრწყინებოდა; მუჯლუგუნი წაჰკრა მზექალას და არწმუნებდა, ისეთ შადაზე ვარ, შენი გამოცხვარი შოთებიც არ მეყოფაო. ხან ცხელ კეციდან იტაცებდა ჯერაც გამოუმცხვარ პურებს, სასაცილოდ ასავსავებდა დამწვარ თითებს, ხან კი ისეთი მწუხარება გამოეხატებოდა სახეზე, თითქოს სატირლად ემზადებაო. მისი შემხედვარე მზექალა სიცილისაგან იგუდებოდა.

„ბავშვმა რომ იტიროს, მაინც ვერ გაიგონებენ, — გაუელვა თავში. — კარგია, რომ ბატკნები და ხბოები ერთთავად ბღავიან.“ ნიკომ ქალების შეუმჩნევლად რამდენიმე შოთი ჩოხის ჯიბეში ჩაიდო. ახლა იმაზე ფიქრობდა, ცოტაოდენი რძე როგორ მიეტანა გონდრასთვის.

გაფიქრებაც ვერ მოასწრო, მზექალამ რძით სავსე ტაგანი შემოდგა სკამზე.

მხიარული ღიღინით გოგონა ისევ ეზოში გავარდა. ამქაუ მატყლის მოსატანად წავიდა. ნიკომ დრო იხელთა, ერთ ფიალას ხელი სტაცა, რძით გაავსო და მაღლა ავიდა. კარი ჩაკეტა, ლოგინზე ჩამოჯდა და გონდრას გამშრალ ტუჩებში რძე ჩააწვეთა. უცებ ეზოში ყური მოჰკრა უჩვეულო ჩოჩქოლსა და კაცების ყაყანს. გაარჩია ჩალხიას გაბრაზებული ხმა. ეგონა, კვირიკესია და ტუჩას ხმასაც გაიგონებდა, მაგრამ ამ დროს მისი სახელი ახსენეს.

— ნიკო სად არის?

„ალბათ გამომჟღავნდა, გონდრა რომ სამრეკლოში აღარაა“, — გაიფიქრა ჭაბუკმა. ოდნავადაც არ აღელვებულა. ბოლოს და ბოლოს რაც უნდათ ის უყონ, ცოცხალი თავით არავის დაუთმობს გონდრას. ფიალა ძირს დადო, კარი სწრაფად გამოაღო, მიხურა და გაბედულად ჩავიდა დაბლა.

აღელვებული მამაკაცები მაშინვე გარს შემოერტყნენ. იქ იყვნენ ჩალხია, ტუჩა, კვირიკე, მიხა, თომა და ილიკო. სახლთან სხვებიც ირეოდნენ.

ნიკო დარწმუნებული იყო, სუყველაფერი გონდრას გამო ხდებაო, და არხეინად შეჰყურებდა მათ თვალებში, თუმცა გრძნობდა, სიბრაზისაგან თანდათან როგორ ფითრდებოდა.

მოსულები ერთმანეთს არ აცლიდნენ, ისე გაჰყვიროდნენ:

— თვითონ მას ჰკითხეთ, სიმართლეა თუ არა!

— მაშინ უარყოს მოწმეების თანდასწრებით!

— სირცხვილი ჩამორეცხოს თავის გვარს!

— თქვი რამე, ნიკო, უარყავი ცილისწამება!

— დაე, თვითონ ილაპარაკოს!

— იმ მინდის მომკიბველმა სისხლით ზღოს ცილისწამებისათვის!

— თვითონ ილაპარაკოს! — იღრიალა კვირიკემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა გაჩუმდა.

წრეს ჩალხია გამოეყო. მტკიცედ თქვა:

— ნიკო ქაბუნაურო, მოვალე ხარ თავი იმართლო ჩვენ წინაშე. მართალია, რასაც აქელა გიგაური შენზე ამბობს?

„მადლობა ღმერთს, კონდრასი არაფერი იცის“. — შვებით ამოისუნთქა ჭაბუკმა.

ჩალხიას თვალი თვალში გაუყარა.

— რა მოხდა, ჩალხია?

— აქელა გიგაური... წყეულიმც იყოს მისი სახელი და დაქცეული გვენახოს მისი გვარი!

— დაქცეული გვენახოს! — ერთხმად გაიმეორა ყველამ.

— ...აქელა ამბობს, თითქოს მთაში შეჩეხებოდე და ლაჩრობით საკუთარი გვარი დაგემალოს.

— ტყუილია, ჩემი გვარი შიშის გამო არ დამიმალავს! — აენთო ნიკო.

— ხომ შეხვდი აქელას? — მკაცრად ჰკითხა მოხუცმა.

— შევხვდი.

— და ნამდვილი სახელი დაუმალე?

— სხვაგვარად მოქცევა არ შემეძლო, — ამაყად უპასუხა ნიკომ, — მისმინე, ჩალხია...

ხალხში ალიაქოთი ატყდა. ყველა ერთხმად ღრიალებდა. აჟღარუნდნენ ხანჯლები და ხმლები.

— დაე, თვითონ ილაპარაკოს, — გაისმა ამ ორომტრიალში ტუჩას დინჯი ხმა.

გაყუჩდნენ.

ნიკო ვაჟკაცურად დაუხვდა დამცინავ და შურისმაძიებელ მომხდურთ და აქელასთან შეხვედრის ამბავი მოუთხრო მოსულთ.

— აბა უნდა მომეკლა უიარაღო ადამიანი, სისხლად რომ ილეწებოდა? ნუთუ ასე იქცევა ნამდვილი ხევსური?

ლაპარაკის დროს ტუჩას შეჰყურებდა, მის ბრძნულ სახესა და ჭკვიან თვალებში ეძებდა თანაგრძნობას.

— რად დაუმალე შენი სახელი? — მკაცრად ჰკითხა მოხუცმა.

ნიკო შეკრთა. რა სიტყვებით უნდა გამოეხატა იმ წამის მომხიბვლავი ძალა, როცა აქელას გამოხედვამ და მადლობის ნიშნად გამოწვდილმა მარჯვენამ მტრობა მეგობრობად აქცია?

— პასუხი გაეცი, ნიკო! — არ ეშვებოდა ტუჩა.

ჭაბუკმა ძლივს მოწყვიტა იატაკს მიშტერებული თვალი.

— ტუჩა კატამაურო, ვაღიარებ შეცდომას, ასე არ უნდა მოვქცეულიყავი, მაგრამ არ მეყო გამბედაობა დაჭრილისათვის პირში მიმეხალა ჩემი ნამდვილი სახელი, როცა ის გადარჩენისათვის მადლობას მიხდიდა.

ხალხი კვლავ აყაყანდა.

ტუჩას ერთმა მრისხანე გამოხედვამ ყველა ადგილზე გააქვავა.

— მართლა დაძმობილდით შენ და აქელა?

— მართლა, — ხმამაღლა დაუდასტურა ნიკომ.

გარშემოხვეულთა გაშმაგება ქარიშხლის ამოვარდნას ჰგავდა. აბობოქრდნენ განრისხებული ხევსურები, ნიკოს თავთან ელვარდა ხმლები.

— თავისი გვარის მოსისხლე მტერს დაუძმობილდა!

— ჩირქი მოსცხო ქაბუნაურთა გვარს!

— გადაჯიშებული!

— ლაჩარი, უწმინდური!

— ასეთი ლაჩარი ჩვენს მხარეს არც ახსოვს!

— გვარის შემარცხვენელი!

რისხვით აღვსილი თვალები და შეძრწუნებული სახეები გარს ერტყმოდნენ ბიჭს. გაიელვა ქარქაშიდან ამოღებულმა ხანჯლებმა. გაცოფებული ბრბოს შუაგულში თავგანწირვით

შევარდა შუქია. თმაგაწეწილმა და გაფითრებულმა თავიდან მახდილი მოიხადა და მამაკაცთა შორის ჩადგა.

— ჩააგეთ ხანჯლები! სისხლს ნუ ღვრით! — დაიყვირა გულგამგმირავი ხმით.

სიჩუმე ჩამოვარდა. ხანჯლები ქარქაშებში ჩააგეს. წრე დაიშალა. შემდეგ მდუმარება ბიჭების გაბმულმა ტირილმა დაარღვია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„გონდრა!“ — შიშის კანკალმა აიტანა ნიკო.

ყველას თვალი ზემოთ გაექცა.

„ეს რაღაა? რას მივაშტერდით?“ — უჩუმრად ერთმანეთს ეკითხებოდნენ გაოცებული თვალები.

ჩაძვირებული ბავშვი აღარ ჩერდებოდა.

მხექალი თვალის დახამხამებაში ავარდა ზევით და მაშინვე ფერდაკარგული დაბრუნდა. ყრუდ, ენის ბორძიკით ძლივს წარმოთქვა:

— იქ... გონდრა ყოფილა!

ერთი კი შეხედა ნიკოს და ხმამაღალი ქვითინით გავარდა გარეთ.

დარჩენილებმა ჩურჩული გააბეს: „უწმინდური ქალით სახლი წაუბილწავს!“ ყველამ კარისკენ იხუვლა. იქაურობა ერთბაშად დაცარიელდა.

მხოლოდ ნიკო იდგა ჩუმად, თავჩაღუნული და სახეგაფითრებული. სასოწარკვეთილი ამაოდ თავს გამეტებით ურტყამდა ხელს.

## მოკვეთილი

ქარბორბალა თოვლის ზვინებს აგროვებდა და მგზავრს სახეში და თვალებში აყრიდა. კაცი ჩერდებოდა, ქარს ზურგს აქცევდა და თვალებს ხუჭავდა, რომ არ დაენახა მის ფეხქვეშ უფსკრულში ჩაყრილი თოვლი. თავიდანვე უძნელდებოდა სიარული. ფეხები მუხლამდე ეფლობოდა თოვლში. ღამე მწყემსების თავშესაფარში გაატარა. ძილგამკრთალს თვალწინ ედგა უხუცესთა შეკრებილობა და მის წინაშე წარმსდგარი საკუთარი თავი. თითქოს ახლაც ყურში ჩაესმოდა ტურის ბოხლიერი ხმა:

„საკუთარი ჯილაგის თავლაფდასხმისათვის, თავისი გვარის მოსისხლე მტერთან სამარცხვინო დამობილებისათვის, მშობლიური სახლის გაუწმინდურებისათვის, — თემის თავკაცები ადგენენ, — თავისი გვარის ულირსი შვილი ნიკო ქაბუხაური მოიკვეთოს თემიდან და არასოდეს დაუბრუნდეს მას. სამარადისოდ დავიწყებას მიეცეს მისი სახელი და ულირსი საქციელი!“

გონდრას გახსენებაზე ცოცხლივით იწვოდა. ნეტავ რა ბედი ელის? ნუთუ გაიმეტებენ და კვლავ სამრეკლოში დააბრუნებენ ამ ყინვაში? ნუთუ სახლიდან აიყრებიან და გონდრას მიატოვებენ? ვისთვის შეეწირა, ვის შეეკითხებოდა? ირგვლივ ძეხორციელი არ ჭაჭანებდა. მხოლოდ ტურები გაჰკიოდნენ სიბნელეში.

ნიკომ, მართალია, ურდულით ჩარაზა ქოხის კარი, მაგრამ ის ღამე მაინც ძილ-ღვიძილში გაატარა. განთიადისას გზა განაგრძო.

თავს იმით ინუგეშებდა, ტფილისში „თავისიანებთან“ მივიდოდა. მერე რა, რომ ბევრი მთა და უღელტეხილი აქვს გადასავლელი. ერთ-ორ კვირას ივლის და ოდესმე ხომ ჩააღწევს! ყველაფერს მოუყვება გრიშას, სოსოს, არჩილს... ისინი უთუოდ გაუგებენ, დაეხმარებიან, აუცილებლად დაეხმარებიან.

რის ვაი-ვაგლახით, ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევდა წინ. ხანდახან იმედიანად ახედავდა ცას, მაგრამ მოქუფრული ზეცა კარგს არაფერს ჰპირდებოდა. ჭაბუკი მხოლოდ გუმანით ხვდებოდა, რომ საღამოვდებოდა. რა ეშველება, ამ თოვლში ბინდმა რომ მოუსწროს და ხიფათს ვერ მიაღწიოს? ამის გაფიქრებაზე ძალას მოიკრებდა და კვლავ წინ მიიწევდა. ცდილობდა დაღამებამდე როგორმე უღელტეხილამდის მიეღწია.

მალე დარწმუნდა, ასე შორს ვერ წავიდოდა. მთაში უცებ ისეთი ბინდი ჩამოწვა, კაცი თვალთან თითს ვერ მიიტანდა. ნიკო კლდის ქიმს ამოეფარა, წუთით მუხლი შეასვენა და დანაყრება გადაწყვიტა, რომ ცოტა მოღონიერებულიყო. ახლომახლო თავშესაფარი არ ჩანდა. მოაგონდა ილიკოს ნაამბობი, ზამთარში ნადირობისას რამდენჯერ შემოღამებია და თოვლიან ორმოში გაუთენებია. ხანჯალი იძრო და თოვლის თხრას შეუდგა. მალე დასცხა. ნაბადი თოვლზე მიაგდო, ტყაპუჭი გაიხადა და თხრა განაგრძო. ამოთხრილ ორმოში საგულდაგულოდ ჩაფინა ნაბადი, ტყაპუჭში მაგრად გაეხვია და ასე დაწვა დასაძინებლად.

მეორე დღეს ცა მოკრიალდა. მზე ჯერ არ ამოსულიყო, მაგრამ ცისკიდურსა და მთებზე დადებულ თოვლს ვარდისფერი დაჰკრავდა. გუშინდელ ქარბუქსა და გრიგალს ფერდობი და-ქცეათ და ხეობაში დასასვენებლად ჩაწოლილიყვნენ. ამომავალ მზის სხივებზე ალმასივით ბრწყინავდა თოვლი. თუმცა ციცაბო ბილიკი მაღლა ადიოდა, ნიკო მაინც შინიდან გამოპარებ-და იმედმოცემული და ხალისიანი. მზექალას ნამდვილად მომზადებული საგზალი [illegible]. ჯერ კიდევ დიდი გზა ედო წინ, მაგრამ ბიჭი იმედოვნებდა, მთელი სახნელე ჟამში გადავლა-ხეთ, გადაწყვიტა, ჩრდილოეთის გვერდი აუქლო და საღამოთქვის ბარისახომდე მიეღწია. უღელტეხილზე ერთი წამითაც არ შეყოვნებულა. ჯერ კარგად მისინჯავდა ადგილს და მერე ფრთხილად ეშვებოდა დაბლა, რომ თოვლით ამოვსებულ ორმოში არ ჩავარდნილიყო. ძალზე მიაგნო ნაცნობ ბილიკს. ცდილობდა, თეთრად გადაპენტილი სოფლისათვის არ შეეხედა, არ ეფიქრა აქელაზე, თუმცა თითოეული გადადგმული ნაბიჯი მტკივნეულ მოგონებებს აღუძრავდა. ამ ბილიკზე მიდიოდა მაშინაც, როცა აქელამ ძირიან ჩამოიძახა. სწორედ აქვე ახლოს, ჯვარ-გუბაში ისხდნენ და საუბრობდნენ აქელა და ნიკო. მაშინ აქელამ უთხრა, სწორედ ეს კლდეა, ზვავს რომ აკავებსო... ანაზდად შეჩერდა და ირგვლივ მიმოიხედა. ნუთუ გზა აერია? არა, ეს იგივე ბილიკია... კარგად ხედავდა ქვემოთ, მთის ფერდობზე შეფენილ სოფელს... მაგრამ კლდე აღარსად ჩანდა.

## ზვავი

ნიკო საკუთარ თვალებს არ უჯერებდა. ციცაბო კლდის ნაცვლად მის წინ გადმოზნექილ-გადმოხრილი თოვლიანი მთის ფერდობი იყო. სად გაქრა უზარმაზარი კლდე, სადაც მაშინ ისი-ნი ისხდნენ?

როცა კარგად დააკვირდა, შეამჩნია, მთა მორღვეულიყო და ზემოდან თოვლი მოქანა-ობდა.

ზვავი! ნიკოს გაახსენდა, როგორ გაექცნენ ერთხელ ის და კვირიკე მთიდან დაძრულ ზვავს. თავს ძალა დაატანა და ნაბიჯს აუჩქარა, უნდოდა, რაც შეიძლება სწრაფად გასცლო-და ამ ადგილს. ერთხელ კიდევ მიიხედა უკან... თოვლის ცვენა თანდათანობით მატულობდა. გაქცევა მოიწადინა, მაგრამ ძალა აღარ ჰყო, თანაც ამ სანახაობას თვალი ვეღარ მოაცილა.

ყოველ წუთს მოსალოდნელია თოვლი მოწყდეს, ამოდენა ზვავი მთელ ჩხუბასაც დაფა-რავს. ჩხუბელები ბაიბურშიაც არ არიან; სოფლის თავზე აფარდნილი ბოლი ნელ-ნელა მიიმარ-თება ცისკენ. ბავშვები, ქალები და კაცები, აქედან წერტილებივით რომ ჩანან, უდარდელად მიდი-მოდიან სოფლის გზაზე. დაუყვიროს? შორს არიან, მაინც ვერ გაიგონებენ. არადა, თოვლის ცვენა სულ უფრო მატულობს და მატულობს. ნიკოს მოეჩვენა, რომ უცებ რაღაცამ ძალა შემატა, თითქოს შთაგონება კიდეც ჩხუბაში გაქცეულიყო. ბილიკს აღარ ეძებდა, ისე გაექანა, კი არ მირბოდა, მიგორავდა, ორმოებში ვარდებოდა, ნამქერში ეფლობოდა, მაგრამ მაინც დგებოდა და კვლავ ეცემოდა, ხანდახან თოვლში ჩაკარგულ მაყვლის ხმელ ბუჩქებს ედებოდა. ბოლოს ბილიკამდის მიაღწია, რომელსაც ნატერფალები ეტყობოდა, — ჩანდა, ცო-ტა ხნის წინ ვიღაცას მთისკენ გზა გაეკვალა. ნიკო სოფლისაკენ გაქანდა. უცებ ძახილი შე-მოესმა. წიფლნარიდან, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ვიღაც უყვიროდა:

— შეჩერდი! სად გარბიხარ, შე ლაჩარო, შენა!

წუთით შეჩერდა, ხმამაღლა გასძახა, „ზვავიო“ და კვლავ გაიქცა.

— შეჩერდი, ჭაბუნაურო! თავი დაიცავ, თუ შეგიძლია, შე მშიშარავ! — ისევ განმეორდა მაღლიდან.

მაშინ კი შედგა გაოცებული, ნეტავ ვინ უნდა იყოსო. მერე ხეებს შორის მდგარ მა-ღალ, მხარბეჭიან ჭაბუკს მკიდა თვალი. მაშინვე იცნო:

— აქელა, ზვავი მოდის! ჯვარ-გუბას კლდე ირღვევა და დაბლა მოიწევს!

ამ დროს იგრიალა თოფმა. ნიკოს მხარი აეწვა, თვალთ დაუბნელდა.

მწვავე ტკივილმა გონზე მოიყვანა. თავი ასწია და რას ხედავს: მის ირგვლივ თოვლი გადაწითლებულა. აჰა! აქელამ გაიმეტა და ესროლა! მაშინვე მოაგონდა ზვავი. მთავარია, როგორმე სოფლამდის მიაღწიოს. თუ აქ ჩარჩა, თვითონაც დაიღუპება და მთელი სოფელიც ხალხიან-საქონლიანად ამოწყდება.

წამოდგომა სცადა, მაგრამ მუხლები მოეკვეთა და თოვლში ჩაიჩოქა. თვალთ უბნელდებოდა და სხეული უძლურდებოდა. ვეღარ მიაღწევს! არც ისე შორსაა, მაგრამ ძალა არ ეყოფა.

უკანასკნელი ძალა მოიკრიბა, წამოიწია და ხოხვით განაგრძო გზა. უკან [illegible] კვალი რჩებოდა... უკვე ძალა გამოელია; ერთი ხანობა ხელებით ებღაუჭებოდა [illegible] მიჩოჩდებოდა, მაგრამ ბოლოს, ღონემიხდილი და მიმტკნარებული, თოვლის გუნდასავით დაგორდა ქვემოთ.

გამარჯვებული და შურისძიებით აკელა თოფდამშვებული იდგა მთაზე. ბოლოს და ბოლოს მოახერხა სისხლით ჩამოერეცხა თავისი გვარის დაუძინებელ მტერთან დამცირებების სირცხვილი! აღარ აეწვება მტრის ნიერ ღალატითა და ცბიერებით ნაკოცნი შუბლი. ვეღარავინ შეაწამებს და გაამტყუნებს, სამხედროს ვამო დაუძლობელი ნიკო ქაბუნაურისო. გულგანგმირული გდია ქაბუნაურთა უკანასკნელი ნაშიერი, აღარასოდეს გამოელდება მოქიშპის ჯალაგი.

გამეჩხერებულ ხევებთან შეჩერდა და მუხლი შეასვენა. იქიდან, როგორც ხელისგულზე, ისე ჩანდა მთელი სოფელი. გააკვირვა ხალხის აფორიაქებამ. დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი, ყველა გარბი-გამორბოდა. მიერეკებოდნენ საქონელს და დასაპალნებულ ცხენებს. სულით ხორცამდე შეძრა ამ უცნაურმა სურათმა. თითქოს სოფელი მთლად აყრილა და სადღაც მიდისო. სოფლის გზაზე ერთადერთ თანასოფლელ ხევსურს შეეჩეხა, რომელიც ცხენზე იჯდა და გალახარებულ ცხვრებს მიერეკებოდა.

— ივანე, გამაგებინე, რა მოხდა?

— დიდმა თოვლმა და ქარიშხალმა ჯვარ-გუბის კლდე მოარღვია! ზვავია, თავს უშველე!

— საიდან იცით? ჭკუიდან შეიშალეთ?

— იქ, იქ, — დაცარიელებული სოფლისაკენ გაიშვირა ხელი, — ერთმა დაჭრილმა ხევსურმა გაგვაფრთხილა... იქ წევს... თავს უშველე, აკელა!

— სად წევს? რას როშავ! — იფეთქა გაცეცხლებულმა აკელამ.

— გზაზე გდია, იქნებ მოკვდა კიდევაც!

ხევსურმა ცხენს მათრახი გადაუჭირა და ადგილიდან მოსწყვიტა. ცხვრები ბლავილით დაიძრნენ. მღელვარე აკელა ერთხანს მათ კვალს გასცქეროდა. შემდეგ ჩქარი ნაბიჯით სოფლისაკენ გასწია.

## გამარჯვება

თეთრი მრგვალი გუნდა საბანზე მიგორავს და თანდათან დიდდება, დიდდება და მძიმდება. მკერდზე აწვება და სულს უხუთავს, გუდავს, ახრჩობს. არა, თოვლის გუნდა კი არა, ყავისფერი ზორბა დათვი წამოჯდომია და ტორებით ბუბნის...

ჭაბუკი თვალებს ახელს. მაგრამ, ეტყობა, თავი ისევ სიზმარში ჰგონია: ძალიან ეცნობა ამ ქალის სახე, დიდრონი ცისფერი თვალები მისკენ რომ მიუპყრია... ღიმილი და ჩურჩულება:

— ნიკო, ხომ უკეთ ხარ?

ნიკო აკვირდება ამ საოცარ მოლანდებას. ალბათ მალე გაიღვიძებს და სიზმარი გაქრება. მაგრამ სიზმარი არ ქრება. ნაზი ხელები ეხება მის ტანს და შუბლზე ტუჩების სითბოს გრძნობს.

— მარინკა! — ჩურჩულებს ნიკო და ისევ ჭაში ეშვება.

— მარინკა, სად ვარ?

— ბარისახოში! — მარინკა პირზე თითს იდებს. — სსსუ! შენთვის ბევრი ლაპარაკი არ შეიძლება...

— მე ბევრს არა, ცოტას... ოღონდ... აქ საიდან გავჩნდი, მარინკა?

— ჩხუბადან მოგიყვანეს.

— ჩხუბადან? — ეკითხება ნიკო.

ჭაბუკის დაბინდულ გონებაში ჩხუბას გაგონება ზარივით რეკავს.

— არაფერი მახსოვს, — მძიმედ ხვნეშის ნიკო. — შენ საიდანღა გაჩნდი აქ?

— ახლა მაგის დრო არ არის, ვერაფერს გეტყვი, იწექი წყნარად. — მარინკა საბანს ახურავს ისევე, როგორც პატარაობისას აფარებდა ხოლმე. ნიკოს უხარია, რომ პატარაა და მარინკა გვერდით ჰყავს. წევს წყნარად და ყურს უგდებს ფოთლების შრიალს.

— ჩხუბა? ეს ჩხუბა რაღაა?

თბილი და ნათელი დღეები ერთმანეთს მისდევდა, როგორც ერთ დროს ბავშვობაში. ნიკო ჭირვეულობდა, მაგრამ დღითი დღე ძალ-ღონე ემატებოდა, ჯანზე მოდიოდა. უკვე შეეძლო ლოგინზე წამოჯდომა, მაგრამ ეს ერთფეროვნებაც მალე მოსწყინდა. მარინკას შეკითხვებით გული შეუწუხა:

— შენ ხომ თქვი, მოგიყვანესო; საიდან მომიყვანეს?

— ჩხუბადან.

— ჩხუბადან?!

წარბები შეიკრა და რაღაცას იხსენებდა.

— ვინ მომიყვანა, ვერ მეტყვი, მარინკა?

— ვიღაც კაცებმა: საკაცით მოგიტანეს... ზვავს გაქცეოდნენ. — შეშფოთებული მარინკა ჭაბუკს სახეზე აკვირდებოდა და საკუთარ თავზე ბრაზი მოსდიოდა (ნაადრევად უყვება ყველაფერს, ნაადრევად).

— ზვავს?

რაღაც ბუნდოვანი მოგონება მძიმე ლოდივით აწვა გულზე.

— შენ დაჭრილი მიხოხებულხარ ჩხუბაში, რათა იქაურობა ზვავისაგან გეხსნა, ყველა გაიქცა.

— მერე მე?

— შენ სოფლიდან აკვლამ ჩამოგიყვანა.

— აკვლამ?

ამ სახელის გაგონებაზე ანაზდად გაუნათდა დაბინდული გონება. აკვლა! სწორედ მან ესროლა, მძიმედ დაჭრა, მარინკა კი ამბობს...

მარინკამ შენიშნა, როგორ გადაეტკეცა ნიკოს სახე, ინანა სულწასულობა და მოუთმენლობა: ის კი არ იცოდა, რომ ამ ამბით გახარებული ჭაბუკი დილას თუ საღამოს კარგ გუნება-განწყობილებაზე იქნებოდა.

ახლა კვლავ შეეძლებოდა აკვლაზე ფიქრი, როგორც მაშინ, დაძმობილებისას. გაიხსენებდა მის სახეს, კეთილ ღიმილს, შუბლზე ჩამოყრილ ჩალისფერ კულულებს. მან ხომ იხსნა ნიკო გაჭირვების ჟამს და ხელით გამოიყვანა...

ჭაბუკს ყველაფერი ნელ-ნელა აგონდებოდა და მოსვენებას აღარ აძლევდა. უნდოდა ყველაფერი სცოდნოდა: რამდენ ხანს ავადმყოფობდა? როდის ჩამოვიდა მარინკა?

ისე გააბეზრა კითხვებით, ბოლოს მარინკამ მოკლედ მოუთხრო ყველაფერი: ორი თვის წინათ ექსპედიციას ჩამოვყევი ახიელში და იქ გავიგე შენი ბარისახოში წასვლის ამბავიო.

— ახიელში იყავი? — გააწყვეტინა ნიკომ.

— დიახ, ვიყავი.

— რა ბედი ეწია გონდრას?

— მოიცა, ყველაფერს დაწვრილებით მოგიყვები. შენ წარმოიდგინე, ჩალხიამ მაშინვე მიცნო, თუმცა ათ წელზე მეტი გავიდა, რაც ერთმანეთი არ გვენახავს.

— მეც მომიგონა? — დასცდა ჭაბუკს.

— რა თქმა უნდა. პირველად შენი ამბავი მკითხა. საბრალო მოხუცი! შევატყვე, ეძნელებოდა იმის მოყოლა, რაც გონდრას თავს გადახდენია. ჯერ სიტყვა ბანზე ამიგდო, შენზე

მითხრა, ტყვეობაში გაქეზებული, მერე კი, როცა არ დავუჯერე, ყველაფერი მიამბო. ისე კი, ეტყობოდა, ძალიან უჭირდა ამ ამბის თქმა. აკულასგან გაიგეთ შენი ბანაკში ყოფნა. ჩალხაამ იცოდა, აკულამ რომ დაგჭრა და როცა ამას ყვებოდა, სახეზე ფერი აღარ ედო.

— გონდრა ცოცხალია? — ვეღარ მოითმინა ჭაბუკმა.

— ცოცხალია, თუმცა დიდხანს უავადმყოფია. ბავშვიც ჯანმრთელადაა — ... ხელი არავის უხლია სამრეკლოში გადასაყვანად, ყველა სახლიდან გაკრეფილა და იქ დაუტოვებიათ. როცა ჩვენი ექსპედიცია ახიელაში ჩავიდა, სახლი ისევ გამოცარიელებული იყო — უმისამართოდ თვლიდნენ. მაშინ ერთი დიდებული აზრი მომივიდა თავში...

მარინკა შეჩერდა და ჭაბუკს ჯიქურ შეხედა თვალებში.

— მაინცდამაინც რაიმე აზრი, ალბათ ძალიან რომ გესიამოვნება...

— რა აზრი?

— დამავიწყდა მეთქვა, რომ ახიელაში დიდი ზარ-ზეიმით შეგვხვდნენ. აქ გასაკვირი არაფერია. სოფელში ჩავიტანეთ წამლები, წიგნები, რადიო და, რაც მთავარია, სეპარატორი. წარმოიდგინე, სეპარატორმა ქალები კინაღამ გადარია. საღამომდე თითქმის ყველამ დაათვალიერა, გასინჯა და ძალიან მოიწონა. ალბათ ამიტომ იყო, რომ ბევრი რამ ადვილად მოვაგვარეთ.

მარინკა ისევ შეჩერდა, ვასცებ აჭიანურებდა, სახამ ახალ და სასიამოვნო ამბავს შეატყობინებდა.

— განზრახ რად აჭიანურებ, რაც სათქმელი გაქვს, ბარემ... — ღელავდა ჭაბუკი.

— ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, ქაბუნაურების სახლში მოვაწყვეთ რაღაც „ქალთა სახლის“ მსგავსი; იმ საზარელი და საშინელი სამრეკლოს ნაცვლად — კლუბი და სამშობიარო. ვფიქრობ, ეს ამბავი ძალიან გაგახარებდა.

— ისინი ალბათ ყველაფერად წყევლა-კრულვას მითვლიან, არა? — ყასიდად ჰკითხა ბიჭმა.

— ეტყობა, ჩალხია ძალიან ნანობს, რომ ასე ილად დაეთანხმა შენს მოკვლას. მე მგონი, კვირიკეც იმავე დღეშია. ბოლოს და ბოლოს, ყველა მიხვდა, რომ შენ გონდრა სიკვდილს გადაარჩინე და როცა უეცარმა გულისწყრომამ გაიარათ... მაგრამ დღევანდელისათვის საკმარისია, ხედავ? კარგა ხანია ექიმი კარებიდან გაფრთხილების ნიშნად თითს მიქნევს, — გაიცინა მარინკამ.

*

დილაადრიან შემოსასვლელში ატეხილმა აურზაურმა და ხმამაღალმა ლაპარაკმა ნიკო გამოაღვიძა. ექიმის სიტყვები გაიგონა:

— ერთს რომ ნებას დართავ, მთელი სოფელი შევარდება ოთახში; დღე არ გავა, ვინმე არ მოვიდეს მის სანახავად... ავადმყოფს სულს ძლივს ითქვამს!

— შეიძლება მხოლოდ ამას მისცეთ ნება? — გაუბედავად სთხოვდა მარინკა. — დარწმუნებული ვარ, ნიკოს ძალიან გაეხარდება.

— გაეხარდება, გაეხარდება! — ბუზღუნებდა ექიმი. — ისიც ეყოფა, რომ გადარჩა, გასახარელი დრო კიდევ წინა აქვს!

სამზარეულოში ერთი ახალგაზრდაც ჩაერია. ნიკოს სიტყვები არ ესმოდა, მაგრამ ამ ხმის გაგონებაზე სისხლი თავში აუვარდა.

ლოგინზე წამოჯდა და დაიძახა:

— მარინკა!

კარი გაიღო და მარინკამ ოთახში შეიხედა.

— არ გძინავს, ნიკო?

— მარინკა, ვინ არის, ვინ მკითხულობს?

მარინკამ უმალ შეამჩნია ბიჭს აღელვება.

— თუ არ დამშვიდდები, არ გეტყვი.

— უკვე დავწყნარდი. მარინკა, ვინ არის, აღარ იტყვი?

— აკულა გიგაური.

— აკულა?



ეროვნული

ისე წამოსწია თავი ბალიშიდან, თითქოს წინკარში გავარდნას აპირებსო.

— შემოუშვით ახლავე! შემოუშვით!

— თუ ყველაფერს ასე ახლოს მიიტან გულთან, აღარავის შემოგიშვებთ. შემომფიცე, რომ არ ღელდები.

— გეფიცები, დაწყნარებული შეგხვდები, ძალიან მშვიდად... — როგორც [illegible] გაიღო და ოთახში შემოვიდა... აკულა. კართან გაუბედავად შეჩერდა. სადღა იყო მისი ამაყი გამოხედვა. რამდენიმე ხანს ნიკო და აკულა ერთმანეთს თვალებში შესცქეროდნენ. ნიკომ შეამჩნია, აკულას მღელვარებისაგან როგორ შეეცვალა სახე, პირზე უმწეო ღიმილი დაეფინა. ავადმყოფისკენ ნაბიჯი ვერ გადადგა.

— აკულა, შენა ხარ?

აკულა ადგილს მოსწყდა, თავისი ძლიერი მარჯვენა ნიკოს გაუწოდა და უბრალოდ უთხრა:

— ნიკო ქაბუნაურო, მოვედი გითხრა, რომ ტყუილად გიწოდე მშიშარა...

— მოდი, ამაზე ნუღარასოდეს! ვილაპარაკებთ, აკულა.

— შენთან იმიტომ მოვედი, ნიკო, რომ, რაც შენ ჩაიდინე...

კარი გაიღო და სიბრაზისაგან სახეაჭარხლებული ექიმი შემოვიდა.

— ხომ გითხარით, — ეცა მარინკას, — საკმარისია ერთმა მოინდომოს შესვლა, მთელი სოფელი აქ გაჩნდება-მეთქი. კართან ყარაული დავაყენო, თუ რა ვქნა. ეშმაკმა იცის თქვენი თავი. აქ შემოსვლა ყველასთვის აკრძალულია! — სწრაფად შებრუნდა კარისკენ.

მაგრამ უკვე გვიან იყო. ოთახში ჩალხიამ შემოაღწია. მას კვირიკე მოჰყვა. ჩალხიამ იქაურობას თვალი მოავლო თუ არა, მაშინვე იცნო აკულა:

— მეგობრებთან მოვდიოდი და რას ვიფიქრებდი, თუ აქაც მტერს შევეყრებოდი. აქ საჩხუბარი ადგილი არ არის, სხვაგან შევხვდებით ერთმანეთს, — ესა თქვა და გასასვლელისკენ იბრუნა პირი.

— შევხვდებით, — მაგრად დაუხვდა აკულა.

ნიკომ ვერ მოითმინა და ლოგინზე წამოიწია.

— ჩალხია! შეჩერდი, მომისმინე!

დაბღვერილი ჩალხია შედგა.

ნიკოს აკულას მარჯვენისთვის ჩაევლო ხელი, მღელვარებისაგან ხმა უთრთოდა:

— ჩალხია, აკულას მტერი არ ეთქმის, ის რომ არ ყოფილიყო... მან ხომ სოფლიდან საკუთარი ხელებით გამომიყვანა... ჩემი გულისთვის საფრთხეში ჩაიგდო სიცოცხლე...

— სიმართლე თქვი, ნიკო, შენი სიცოცხლე რომ არად ჩააგდე და ჩხუბელები გადაარჩინე! გოგიაურებმაც უნდა აღიარონ შენი ვაჟკაცობა და სიმამაცე; მთელმა ჩხუბამ იცის შენი სახელი.... — გააწყვეტინა აკულამ.

— ხედავ, ჩალხია! — ძლივს წარმოთქვა ნიკომ, — ჩვენ მოსისხლეები აღარა ვართ, დამთავრდა ჩვენს გვარებს შორის მტრობა.

ძალა გამოცლილი და ბალიშზე მიესვენა, მაგრამ აკულასთვის ხელი არ გაუშვია.

— ახლავე ყველა გავიდეს აქედან, — წასჩურჩულა მარინკას აღელვებულმა ექიმმა, — სხვაგვარად ავადმყოფის ჯანმრთელობაზე პასუხს არ ვაგებ!

ამის თქმა კი ადვილი იყო, მაგრამ შესრულებას აღარ იკითხავთ? ოთახი გაივსო თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული ახალმოსული სტუმრებით.

ნიკოსთან მოვიდნენ ჩხუბას წარმოგზავნილები, რომ მისთვის მადლობა ეთქვათ და მალე გამოჯანმრთელება ესურვებინათ. როცა ჩალხია და კვირიკე იცნეს, სახეები შეეცვალათ.

მაშინ ხალხს გამოეყო გოგიაურთა გვარის უხუცესი, დარბაისელი მათია, ვინც მხრებით თითქმის ას წელიწადს დაატარებდა. ჭაღარა წარბებს ქვემოდან გამომზირალი თვალებით ჩალხიას შეხედა და თქვა:

— ჩალხია კატამაურო და შენც, კვირიკევ, რასაც ახლა გეტყვით, გთხოვთ კარგად აწონდაწონოთ და სანამ რიგიანად არ მოიფიქრებთ, ნურაფერს მიპასუხებთ. ნიკო ქაბუნაურმა სიცოცხლე გასწირა და ყველანი ამოწყვეტისაგან გვიხსნა. ნუთუ შეიძლება ამის შემდეგ ჩვენ კვლავ მისი გვარის მოსისხლე მტრებად დავრჩეთ? განა აღარ დადგა დრო, მოვიწვიოთ ხალხი, სამართლიანად გადავწყვიტოთ ეს საქმე და ბოლო მოვუღოთ ას ორმოცდაათწლიან მტრობას?

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ეპილოგი

ძერჟინსკის ქუჩაზე, ექვს ნომერში, პატარა ოთახში, სადაც მარინკა ცხოვრობდა, ხმაური იყო.

ორბელი ბოლთას სცემდა, აღტაცებისაგან მრავალსიტყვაობდა, ხან ნიკოს გაშოტილ ფეხებს ედებოდა, ხან კი სკამებს აწყდებოდა.

— ახლა ვეღარ იცნობ ახიელას, — ყვებოდა ორბელი. — შორიდანვე კარგად მოჩანს წითელი კრამიტით დახურული ახალი შენობები. აიგო ლენინის სახელობის კულტურის სახლი, აშენდა შვიდწლიანი სკოლა. მზექალა მეექვსე კლასში გადავიდა, — მიუბრუნდა ნიკოს, — გონდრა კი ქალთა განყოფილებას ხელმძღვანელობს და კარგადაც უძღვება საქმეს. სამრეკლო შორეულ წარსულს ჩაბარდა. შარშან დაამთავრეს საავადმყოფოსა და სამშობიარო სახლის მშენებლობა.

— სამი წლის წინათ ყველაფერი მხოლოდ დაგეგმილი იყო, — უპასუხა ჩაფიქრებულმა ნიკომ.

— ასე, ჩემო ნიკო, იჩქარე, თუ გინდა ძველი ოცნება აასრულო და გზა გაიყვანო ახიელამდე. ახლახან დაიწყეს ბარისახოს გზის მშენებლობა.

— ხვალვე წავალ! — წამოხტა ნიკო. — რაც უნდა მოხდეს, მე მაინც უნდა მიმიღონ ამ გზის მშენებლობაზე. სწავლას იმიტომ კი არ გვაჩქარებდნენ, ყველგან დაგვეგვიანა.

— ნუ გეშინია, მოასწრებ, — ამშვიდებდა მარინკა, — სამუშაო ყველას ეყოფა, ნეტავ ხალხი იყოს საკმარისი!

ამ დროს კაკუნი გაისმა. კარი გაიღო და ოთახში ტლანქი, მხარბეჭიანი, გამავებული და ტილოს ქურთუკში გამოწყობილი გრიშა შემოვიდა. მაღალყელიანი ჩექმები ეცვა. ამ რამდენიმე წლის განმავლობაში, სანამ ნიკო მამასთან იყო მოსკოვში, სრულებით არ შეცვლილიყო.

გრიშამ შეხედა ნიკოს და თავისებური ბოხი ხმით თქვა:

— აბა, ნიკო, სწრაფად გადაწყვიტე. ახლახან მიმიღეს ბარისახოს გზის მშენებლობაზე. გინდა, ერთად ვიმუშაოთ?

— მინდა, აბა არ მინდა! — აენთო ნიკო. — მხოლოდ....

— რა მხოლოდ?

— აკულასთვისაც ხომ არ მოიძებნება რამე? ოქროს ხელი აქვს, ნიჭიერი ბიჭია.

— კარგი, აკულაც მოიყვანე. ყველა ბილიკი ზეპირად იცის. ეგეთი ვაჟკაცები მართლა გამოგვადგება!

□

# სტანისლავ ვიგოდსკი

## კონცერტი დაკვეთით

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**მოთხრობა**

თარგმნა ბიძინა ნიშნიანიძემ

•

გესმით, იმათთვის უკრავენ, მშვენიერია, არა? როგორ გამოაცხადეს? — ძვირფას პაპას ვულოცავთ; შვილები, შვილიშვილები და შვილთაშვილები ასი წლის სიცოცხლეს უსურვებენო. კარგია, ჰა? წარმოიდგინეთ ერთი ებრაელი, ცოცხალი ჰყოლება ახლა შვილები, შვილიშვილები და შვილთაშვილები.

ო, პაპა, როგორც კი ამ ამბავს მოვიგონებ, მაშინვე წნევა ას ოთხმოციდან ას ოთხმოცდაათამდე ამიწევს ხოლმე. თანაც შაქრის ავადმყოფობაც მჭირს. ორი წლის წინ ფეხზე რკინა დამეცა-ქცედა, ჭრილობა არა და არ ხორცდება. ქსენძმა პენიცილინის ნემსები გამომიწერა, მალ-მალე მიშრება, მაგრამ არ დამადგა საშველი. რომელმა ქსენძმა? მერე გეტყვით, თავის დროზე. რაზე ვლაპარაკობდი? ჰო, ჭრილობაზე. ვხედავ, არ აპირებს ჭრილობა შეხორცებას. ბოლოს სისხლის ანალიზი ამიღეს და დიაბეტი არ აღმომაჩნდა? რა უცნაური სენი არ შეეყრება ადამიანს. შაქრის ავადმყოფობა ძილშიაც არ დამესიზმრებოდა.

საერთოდ მშვიდი კაცი ვარ, ადვილად არ ავღელდები, მაგრამ თუ გავბრაზდი, სისხლი მაშინვე ამივარდება თავში. ორი წლის წინ სისხლის ჩაქცევისაგან კინაღამ წავედი იმ სოფელს, ექიმებმა მიშველეს.

ეს ამბავი დიდი ხნის წინათ მოხდა, ოცდაცხრამეტში. ქალაქში ებრაელებიდან მარტო ორმოცდაათიღა დავრჩით. არ დაგვხვრიტეს იმიტომ, რომ ჯანიანები ვიყავით და [illegible] სამუშაოს შესრულება შეგვეძლო. პირველ ხანებში გერმანელები მარტო ტყვიით როდი კლავდნენ ხალხს. ნერვიული ავადმყოფები, სოფიენკაში რომ იწვნენ, შიმშილით ამოხოცეს. ამ გვამებს ჩვენ ვეზიდებოდით. იმ ბავშვებს კი, სანატორიუმ ბიესში რომ იმყოფებოდნენ, [illegible] დაუჭრეს თავი, ალბათ, როგორ?.. კარგი, არ გეტყვით... ბავშვებს [illegible] დნენ და... ჰო, კარგი, კარგი, არ გეტყვით.

გერმანელებმა განსაკუთრებული მხეცობა სექტემბრის ბოლოს მოიმოქმედეს. ბერტონის კედელთან ას სამოცდაათი კაცი დააყენეს და ახლო მანძილიდან ფეთქადი ტყვიით თავები დაუხვრიტეს. მერე ჩვენ, ორმოცდაათნი, გვაიძულეს მოკლულები დაგვემარხა და კედელი გაგვეწმინდა. დიახ, გაგვეწმინდა და მერე როგორ? გვაიძულეს დასისხლიანებული კედელი გვეგლოკა. უკან მდგარ ჯარისკაცებს რეზინის ჯოხები მოემარჯვებინათ ხელში და გადმოფურთხების ნებას არ გვაძლევდნენ. გესმით... უნდა გვეგლოკა კედელს შერჩენილი თავის ქალის ძვლები, ტვინი... და ვულოკავდით. კიდევ კარგი, ძვლები წვრილი იყო. თუ ვინმე გადმოფურთხებას შეეცდებოდა, რეზინის ჯოხი არ აცდებოდა. მეც ვიგემე მისი სიმწარე.

რისთვის გიყვებით, აბა, მითხარით, რისთვის? ერთია, როცა საკუთარი თვალით ხედავ, მეორეა, როცა მონათხრობი გესმის. მეორეს როდი ესმის პირველის, ახლა, თუ გნებავთ, სხვანაირად წარმოუდგენია.

ერთხელ ამერიკელმა კორესპონდენტმა მთხოვა, შენი წარსული მომიყევიო. მეტი და მეც მოვუყევი, მაგრამ გაიგო? არა მგონია. ახლა როგორ გამიგებდა. მაშინ, როცა მე მამაჩემის თავის ქალას ძვლებსა და სისხლს ვყლაპავდი, ის იმ დროს ხიც-თირსის ქუჩებში დასეირნობდა და თავის მომავალ სტატიაზე ფიქრობდა, როგორ შეეთავსებინა ფაქტები და სიმართლე ერთმანეთთან. არ მინდა იმ ამერიკელზე ცუდი ვთქვა. ალბათ წესიერი კაცია. როცა მაითი მალკი ამერიკაში გაიქცა, იმ კორესპონდენტს სთხოვეს, მის გამოსვლას დაესწრო. კორესპონდენტმა უარი სთქვა, რატომ? იმიტომ, რომ არ უყვარს ის ადამიანი, ვინც სამშობლოში შავი საქმეები ჩაიდინა, მერე საზღვარგარეთ გადაიხვეწა და ახლა ბინძური ენით ჩირქსა სცხებს საკუთარ სამშობლოს — პოლონეთს. რაო, მაითი მალკის თუ იცნობთ? მომითმინეთ, თავის დროზე ამასაც გაიგებთ. თორემ აქ წერია, ვინც მოითმენს, ის მოიგებსო. პოდა, მოითმინეთ.

იმამდე რძის ნაწარმით ვვაჭრობდი. გეცინებათ? ალბათ შოლომ ალეიხემის ტევიე მერძევე გაგახსენდათ, არა?... მაგრამ ჩვენ შორის დიდი განსხვავებაა. ჯერ ერთი, მე ტევიე კი არა, ჰერშ პინხუსი ვარ, შინაურობაში ჰენეკს მეძახიან. მეორეც, ტევიე უიღბლო, უბედური მერძევე იყო, მე კი ფერმა მქონდა. პანსიონატებს, სასტუმროებს და აგარაკებს რძით, კარაქით და ნაღებით ვამარაგებდი. არ გჯერათ? შეგიძლიათ ჰკითხოთ აქაურებს. ჩემი ყველი ისეთი გემრიელი იყო, პირში დნებოდა. მე აგროტექნიკოსი გახლავართ, ატესტატიც მაქვს, გინდათ გაჩვენოთ? არა? კარგი, არ გაჩვენებთ.

ბოდიშით, მგონი, კარგ მუსიკას ყურადღებით ყური ხომ არ მოგიშალეთ, ვისი დაკვრითაა? მეც მინდა, სხვისთვის დავუკრათო. ვისთვის? ამას ჯერ არ გეტყვით.

ომის დროს შოენბეკის ღუმელში ვიმალებოდი. ეს ღუმელი ახლაც „ცოცხალია", ლუბლივოის ქუჩა № 17-ში მესამოცე ბინაში დგას. გაკვირთ, ასე ვიწრო ღუმელში, რომლის სიმაღლე ცამეტი, ხოლო სიგანე სამ-ნახევარი პოლონური შოენბეკის ტოლია, ასეთი სქელი კაცი როგორ ვეტეოდი? იმ ღუმელს შიგნეულობა გამოვაცალე და ისე ჩავძვერი, ზემო ნაწილს საფენებით ვიხურავდი. ასე რომ, ჩემზე მშვენიერი მოთხრობის დაწერა შეიძლება ასეთი სათაურით — „კაცი, რომელიც ღუმელში ცხოვრობდა". სახლიდან ორმოცდაათ მეტრზე პოლიციის საგუშაგო იყო. ქვევით პირველ სართულზე ორი გერმანელი „ფოლკსდოიჩე" ცხოვრობდა. ღუმელიდან ღამღამობით ამოვძვრებოდი ხოლმე, ანდა მაშინ, როცა დიასახლისი სამუშაოზე წავიდოდა, და ოთახში ფეხშიშველი დავდიოდი, „ფოლკსდოიჩელებს" ჩემი ფეხის ხმა რომ არ გაეგონათ.

მაშინ ახალგაზრდა ვიყავი, ახლა სამოცდაშვიდისა ვარ. სიმართლე რომ ვთქვათ, ოთხმოცდაათისა ვარ. ამდენი ტანჯვისა და წვალების მერე ერთი წელი ათად როგორ არ უნდა მაინგარიშოთ! ეს, ცხოვრება კი არა, ჯოჯოხეთი იყო.

იმ ორმოცდაათიდან ჩემი ცოლ-შვილის ლოცვა-კურთხევის წყალობით მარტო მე გადავრჩი. საუკუნო ხსოვნა იყოს მათი! ჩემი ჯალაბობა გერმანელებმა შეიპყრეს, სადგურში წაასხეს და სხვებთან ერთად ეტაპით გაგზავნეს. ქალიშვილმა გაქცევით უშველა თავს. საით წავიდა? არ ვიცი. ცოცხალი რომ იყოს, ნუთუ ერთ ნაგლეჯ ქაღალდს არ გაიმეტებდა და არ შემატყობინებდა, ცოცხალი ვარო? ბიჭმა კი დედას უთხრა, მუდამ შენთან ვიქნები, მარტო არ დაგაგდებო, — და ასეც მოიქცა. თორმეტი წლისა ჩემსავით ტანადი და ღონიერი იყო. რომ დასცლოდა, უსათუოდ ისეთი გოლიათი დადგებოდა, როგორიც ზისა ბრატბრატი იყო. როგორ, ზისას არ იცნობთ? ის ხომ ათლეტების მეფეთა მეფე იყო. ხუთდუიმიან ლურსმანს მუხის ფიცარში მუშტით აჭედებდა და ჯაჭვს ხელით წყვეტდა. არადა, სულ ტყუილუბრალოდ კი დაიღუპა. ჟანგიანი ლურსმანით ხელი გაეკაწრა და...

ისინი აწამეს, მე კი ცოცხალი ვარ. ცოლის წერილმა მომათრევინა სული აქამდე. ის წერილი ესთერმა ვაგონში დაწერა და ფანჯრიდან გადმომიგდო. ათასი გერმანელის თვალი შემომცქეროდა და წერილის აღებას, აბა როგორ გავბედავდი. ნაცნობმა რკინიგზელმა როგორღაც მოახერხა და გადმომცა. პატარა წერილი იყო, ზეპირად ვიცი, სიკვდილამდე არ დამავიწყდება. ამნაირ სიტყვებს ადამიანი ადვილად როდი დაივიწყებს. „ო, ჩემო ძვირფასო, — მწერდა, — შენ იყავი ჩემი დედა, მამა, ქმარი და შეყვარებული. განშორების ჟამს გთხოვ, არ დანებდე მტერს, საფლავშიაც შენზე ვილოცებ, რკინის ნებისყოფა გქონებოდეს მუდამ".

რა ფასი აქვს ახლა ჩემს სიცოცხლეს! კაცს, ვისაც საკუთარი თვალით უნახავს, როგორ

უტეხავდნენ ბავშვებს თავს, მშობელი მამის ტვინი შეუჭამია და ცოლ-შვილი ტრებლინკში ჰყავს თუ მაიდანეკში, არ იცის, ნეტავ რიღა უნდა თავი ცოცხალი. ამაზე უარესი რა უნდა დამმართოდა და დამკარგოდა. ვეძებდი მხოლოდ შესაფერის დროს და [illegible] მოვიდა.

ათას ცხრაას ორმოცდაორი წლის დეკემბერში გერმანელებმა გადაწყვიტეს ებრაელები ამოეხოცათ. არას გვერჩოდნენ მხოლოდ ჩვენ, ორმოცდაათ კაცს. ჩვენ რომ არა, ვინ გაუწმენდდა „მათ კეთილშობილებს" გვამებისაგან აქოთებულ ჰაერს.

ორსართულიანი სახლის მეორე სართულზე მოგვათავსეს. სახლს გალავანი ერტყა ირგვლივ, იქ, სადაც გალავანი არ იყო, ეკლიანი მავთულხლართების ტყე აღემართათ. ამ მეტრზე ბავშვთა სანატორიუმი იდგა, სადაც გერმანელებმა ბავშვები ამოხოცეს. ახლა იქ ვარშავის სანატორიუმია, მაშინ კი გერმანელ ხელისუფალთა ადმინისტრაცია იყო მოკალათებული.

და აი, დილით ვიღაცამ დაგვიკაკუნა. მივხვდით, გერმანელი უნდა ყოფილიყო. კარის გასაღებად ჩამოვედი, გავაღე. მართლაც ერთი გერმანელი და შავი „ლურჯი" შემოვიდა.

— ებრაელები თუ არიან აქ? — მეკითხება გერმანელი და თვალს არ მაშორებს.

— არიან, — ვეუბნები.

გუნებაში წამდაუწუმ ვიმეორებ ცოლის წერილში ნათქვამ სიტყვებს. ღმერთო, აცხონე მისი სული! ქალაქში ჩვენს მეტი ებრაელი აღარავინ იყო და ალბათ ხვდებით, რა შავი ზრახვები ედებოდათ გულში. ჰო, მართლა, დამავიწყდა, კიდევ ორი ებრაელი, პატარა ფაიბიში და მწითური ორჩეული გადარჩენილიყვნენ ცოცხალი. მათ ამბავსაც ცოტა მოგვიანებით მოგიყვებით... გასაქცევად მზადაც ვარ, მაგრამ ახ[illegible]ება ნამდვილად სიკვდილი იქნებოდა. ჟანდარმი, რომელსაც ავტომატი ჩემკენ მოეშვირა, ძალიან ახლოს იდგა. გულით რომ მდომოდა, იმასაც ვერ მოვასწრებდი, სკამისათვის დამევლო ხელი და მეთხლიშა. დავფიქრდი. საშიში დრო მოვიდა, მაგრამ როგორ, რანაირად?

ეჰ, ვინ იცის, რამდენხაირი სიკვდილი მანახეს. ჯეელი ვიყავი, გული ქვასავით მაგარი მქონდა. ას სამოცდაათი ებრაელის დახვრეტის ამბავი ხომ გიამბეთ? ამას მერე იმასაც მოვესწარი, საკუთარი თვალით მენახა, როგორ აწამა გერმანელმა ექიმმა რეპრიხტმა ოთხასი ებრაელი.

— ზამთრის მოედანზე ხალხს მოუყარეს თავი. ექიმი სათითაოდ ყველასთან ჩერდებოდა, აკვირდებოდა, ზოგს სამუშაოზე გზავნიდა, ზოგს — მატარებელში. სუსტსა და შეძლებულს ისე სცემდა, ისე აწამებდა, სიკვდილის პირამდე მიჰყავდა. იმ დროს „ლურჯიც" იქვე გულმშვიდად იდგა და თავისთვის ჩაიძახოდა, ო, რა მაგრად ურტყამს, აგე უნდათ მაგათ, მაგ ებრაელს კერძებსო. მე სამუშაოდ გამოსადეგი ვიყავი, მაგრამ მაინც ისე მცემა, გონება დავკარგე. როცა მოვსულიერდი, ტკივილისაგან დამძიმებული ხელ-ფეხის გახსნების თავი არ მქონდა. იღბალი უნდა ყველაფერს, ნემსები გამიკეთეს, მომასულიერეს, სიკვდილს ხელიდან გამომგლიჯეს. ჰო, რაზე ვლაპარაკობდი? სიკვდილზე. ექსპერიმენტისათვის როდისმე თუ გაყურებიათ? მას მერე, რაც პოლონეთი რუსებმა გაანთავისუფლეს, ვინ იცის, ექსპერიმენტს რამდენჯერ დავსწრებივარ. საგანგებოდ მეძახოდნენ, ამიტომ რომ ვიცოდი, სად და რანაირად ხოცავდნენ გერმანელები ხალხს. ეჰ, მენახიმეს ქალიშვილს ოსტანკინას კი თავის დღეში ვერ ნახავენ. ის არც დაუხვრეტიათ და არც ტრებლინკში გაუგზავნიათ. იგი აქ დაიღუპა, ჯაგნარში, აგერ, პირდაპირ რომ მოჩანს.

ოსტანკინა მაშინ შეიპყრეს, როცა გერმანელები ქალაქში შემთხვევით დარჩენილ ებრაელებს ერეკებოდნენ.

დიახ, მენახიმეს ქალიშვილი იმალებოდა, მაგრამ ვეღარ მოითმინა და ერთ დღეს სამალავიდან გამოვიდა. თვალი როგორც კი მოჰკრეს, დაუძახეს. ისინი ოთხნი იყვნენ. მათ ყვირილზე ოსტანკინა ჯერ შეკრთა, შეჩერდა, მერე კი გაუბედავი ნაბიჯებით მივიდა მათთან. მე იმ დროს შორიახლოს ბარით ხელში ვიდექი და თავს ისე ვაჩვენებდი, თითქოს ვმუშაობდი.

ოსტანკინა ჩვენს ქალაქში ყველაზე ლამაზი გოგო იყო. ჩემი ხნის კაცისათვის შეიძლება უხერხულიცაა მის სილამაზეზე ლაპარაკი, მაგრამ ამას მარტო მე ხომ არ ვამბობ! ვარშავაში იქნებ მოიძებნოს მენახიმეს ქალიშვილისთანა ლამაზი, მაგრამ ჩვენს უბანში არც იყო და არც ახლა არის. ჩვენს მასაზრდოებელ მიწაზე თორაში ასე წერია: „ხულევ ვედვაშ", ესე იგი, თაფლისა და რძესავით ტკბილი და საამო. ჰოდა, მენახიმეს ქალიშვილი რძესა და თაფლივით იყო. მაღალსა და წელწვრილ ქალიშვილს სახეზე მოთეთრო-მოვარდისფერო გადაჰკრავდა. თმა ოქროსფერი, თვალები კი უღრუბლო, ხასხასა ცასავით ლურჯი ჰქონდა, თა-

ნაც ალერსიანი. კი არ დადიოდა, დანანაობდა. ყველა მას უყურებდა. ხანდახან ასეც ყოფილა: მიდის ტყეში და მისი დალალები ფიჭვებში ციცინათელასავით ანათებს.

ჰო, სამალავიდან გამოვიდა, გერმანელებმა დაინახეს, დაუძახეს. ოსტანკინა ჯერ შეკრთა, შეჩერდა, მერე კი გაუბედავი ნაბიჯებით მივიდა მათთან.

**— ნუ დამხვრეტთ, პან!** — სთხოვა ებრაულად. გერმანელი მიუხვდა. გერმანულადაც ხომ ასე ამბობენ — „ნიხტ შიხსენ“.

— ნიჰტ შიხსენ, — გერმანელმაც გაიმეორა და ტყეში შევიდნენ. ამ ამბავს გულისამრევი ზიზღით შევყურებდი. ვიცოდი, რაც მოხდებოდა. რათ, რა თქვით? არა, ცდებით, არ გაუუპატიურებიათ. მიდის წინ კრავი და უკან მგლები მისდევენ. მათ შორის ყველაზე უფროსმა ჯიბიდან დანა ამოიღო და ქოლოს ტოტი მოჭრა. ხომ გაგიგონიათ, ქოლოს არაყი? თევზთან ქოლოს არაყს აბა რა სჯობია, რაღაც არაჩვეულებრივია. ჰოდა, იმ გერმანელმა ქოლოს ტოტი კარგა ხანს ეჭირა ხელში, მერე თითქოს არ მოეწონაო, გადააგდო და უფრო დიდი ტოტი მოჭრა, გულმოდგინედ შემოაცალა კანი. მერე გოგონასთან მივიდა, თოფი მოუღერა.

— არ მესროლოთ! — შევედრა შეშინებული ოსტანკინა.

— არ გესვრი! — გამოეპასუხა გერმანელი და ხიშტი დაატაკა. როგორ გგონიათ, გულში დაუმიზნა? არა, მხარი და მკლავი დაუსისხლიანა. ტკივილისაგან გამწარებული ქალიშვილი უმალ ჩაიკეცა. მწვალებელს უნდოდა ლამაზი ებრაელის ტანჯვით გამძღარიყო... ბოლოს მიწაზე უგონოდ დაცემულ გოგოს უფროსმა გერმანელმა ქვედა კაბა აუწია, წელს ქვემოთ გაატიტვლა და ის ქოლოს ტოტი... ოჰ, აღარ მინდა იმ ამბის გახსენება.

მაშ, ასე, ვდგავარ ქვევით და ჟანდარმი მეკითხება, სად არიან დანარჩენი ებრაელებიო. მინდა გავიქცე, მაგრამ შეუძლებელია, ავტომატი ზედ გულზე მაქვს მობჯენილი. გავარტყა? მერედა ამას რა მოყვება? გაგვერეკებ იქ, საიდანაც ჯერ არავინ დაბრუნებულა, ანდა აქვე გვიგებენ წესს. მოსვენებას არ მაძლევს ცოლის ვედრება და ლოცვა.

ეზოს სიღრმეში, იმ სახლში, სადაც გერმანელთა უფროსობა იყო მოკალათებული, ერთ ჟანდარმსაც ჰქონდა ბინა დადებული. ჟანდარმი, მგონი, სლოვაკი იყო. გეგონებოდა, ისიც ებრაელიაო, რითაც შეეძლო გვეხმარებოდა, გვარად თუ არ ვცდები, კლიუჩი იყო. ასეა, კეთილი კაცი ყველა ერისა და სარწმუნოების შვილია. შეკითხვა რომ გაიმეორა, ვუპასუხე: ახლავე განახებთ, — ეზოში გავიყვანე და იმ სახლისაკენ გავემართე, სადაც კლიუჩი მეგულებოდა. ამით მინდოდა კლიუჩისათვის შემეტყობინებინა, გერმანელები ებრაელების საწამებლად მოვიდნენ მეთქი, ვინ იცის, ეს კაცური კაცი იქნებ კიდევ დაგვხმარებოდა რამეში. მივდივარ და ის ძაღლთაპირი ფეხდაფეხ მომდევს. საშინელია ერთი ზედმეტი მოძრაობა და ტყვიას დამახლის. სწორედ მას მერე ამიწია წნევამ. შევდივართ სახლში, ავდივართ კიბეზე. კლიუჩის ოთახის კარს ხელი ვკარი, არ გაიღო. ოთახიდან კლიუჩი გვეკითხება:

— ვინა ხარ?

— პოლიცია! — ჟანდარმი დაწინაურდა, ოთახში შევიდა. ამ დროს რაც ძალა და ღონე მქონდა, კარი გამოვუჯახუნე, ჩავრაზე და გავკურცხლე. გულმა იქით კი არ გამიწია, სადაც ჩვენი თავშესაფარი იყო, არც იქით, სადაც „ლურჯები“ ეზოს ჭიშკართან იდგნენ, არა, სულ სხვა მიმართულებით გავვარდი, თითქოს იქით მშველელი ანგელოზი ხელგამოწვდილი ჩემს ლოდინში ყოფილიყოს. ბოლოს ეკლიან მავთულხლართებში გავები, რის ვაი-ვაგლახით იქიდან თავი დავიძვრინე. რამდენიმე წუთის მერე ვიგრძენი, თავპირიდან წურწურით ჩამომდიოდა სისხლი. ხელებიც დასისხლიანებული მქონდა. უცებ მოვიფიქრე და ხელები დაბამბული სათბურის კალთებში დავმალე. ამის მერე ერთი წვეთი სისხლიც კი არ დაცემულა თოვლზე. ჰაერი არ მყოფნის, მაგრამ მაინც მივრბივარ. ჩამოვიტოვე პირველი, მეორე და აჰა, მესამე სახლს მივადექი, სადაც ბევრი ნაცნობი მეგულებოდა. მინდა შევიდე, მაგრამ ვერ ვბედავ, ყველა თავის ტყავს უფრთხილდებოდა. რომ არ მიმიღონ? მოულოდნელად ვიღაცის ხმა შემომესმა:

— ჰენეკ, სად მიდიხარ?

თვალი მოვკარი ჩემს ძველ მეგობარს, სული ძლივს მოვითქვი.

— შემოდი! — მეუბნება ფრანციშეკი.

— არ შეიძლება.

— შემოდი, რომ გეუბნებიან!

— მეშინია.

— შემოდი!

— რა ფასი აქვს ჩემს სიცოცხლეს. თრითინას, ძაღლს, კატას აქვს ცხოვრების უფლება, მე კი... — ოხვრით წარმოვთქვი.

— ამას ენახავთ.

ფრანციშეკმა ორი დღე შემიფარა, მეტხანს არ შეიძლებოდა, სახლი ერთსართულიანი იყო და თანაც გზისპირას იდგა. დამბანეს, ჭრილობები შემიხვიეს. ამასობაში ალიონმა იმძლავრა. ქუჩები ავტომანქანების ფარებმა გაანათა, დაიწყო დარბევა. მესამე დღეს ფრანციშეკი მეუბნება.

— შენს დამჭერს ჯილდოს პირდებიან.

— რამდენს?

— ათას ზლოტს.

— ცოტაა.

— და ათ ლიტრ არაყს.

— ეს კი ბევრია.

— ჩემი სახლი სამალავად არ გამოდგება, უკეთესი უნდა მოვნახოთ.

— ვერ გავუძლებ...

— აბა, დანებდები?

— არა.

— ისინი უკვე გზას გაუყენეს.

— ვინ ისინი?

— შენი ამხანაგები.

— საით წაიყვანეს?

— არც ისე შორს.

— ტყეში?

— სულ ცოტა და მეც მათთან ვიქნებოდი.

ფრანციშეკმა ლიუბლინის გზატკეცილის ახლოს, დუბოვოის ქუჩის ჩვიდმეტ ნომერში მომიძებნა თავშესაფარი. ზემო სართულზე ვცხოვრობდი, რომელსაც დერეფნიანი სამზარეულო ჰქონდა. დერეფნის კარი ისე იკეტებოდა ჯაჭვზე, ცოტას თუ გამოაღებდი, დაინახავდი მოსულს. მერე მიხვდებით, ამ ჯაჭვს რა მნიშვნელობა ჰქონდა ჩემთვის. სახლის პატრონი ახალგაზრდა, მარტოხელა ქალი იყო და ქალაქის მმართველობაში მუშაობდა.

— იმ სახლში ნურაფრისა შეგეშინდება, ეჭვს არავინ მიიტანს, რადგან იქ ორი „ფოლკსდოიჩი“ ცხოვრობს, — მითხრა ფრანციშეკმა.

როგორც გითხარით, ღუმელი გამოვაცარიელეთ, დღისით ვერაფერს ვერ ვაკეთებდი, რადგან გულდაგულ ნაგები ღუმელის დაშლა უხმაუროდ შეუძლებელი იყო, სახლის პატრონის მოსვლამდე უსაქმოდ ვიყავი, წასაკითხი წიგნიც კი არ მქონდა, დრო რომ მომეკლა. საღამოს რომ მოვიდოდა, ჩემი თხოვნით განგებ აახმაურებდა ქვაბებს, სათლებს, თეფშებს. მეც ამ ხმაურში თავისუფლად და ჩქარა ვმუშაობდი.

ოჰო, გესმით, რა კარგად უკრავენ? საამოა! გეტყობათ, მუსიკა გიყვართ! მართლაც, არის ისეთი მელოდიები, სულსა და გულს საამოდ რომ ხვდება, წუთიერად მაინც გავიწყებს ტანჯვით აღსავსე წარსულს. მართალს არ ვამბობ? ამ ნაწყვეტს შევუკვეთავდი მისთვის. ვისთვის? ჯერ საიდუმლოა. ქალებისათვის? აბა, რასა ბრძანებთ, ჩემი ხნის კაცზე ეგ როგორ გაიფიქრეთ?

ახლა არ იკითხავთ, რად მიმანებეს თავი და აღარ დამიწყეს ძებნა? იმიტომ რომ, გერმანელებმა დამხვრიტეს. გიკვირთ, არა, მკვდარი კაცი რომ გელაპარაკებით? როგორც კი ჩემი სიკვდილი გაიგეს, თავს რაღად შეიწუხებდნენ ჩემი ძებნით. სახლის პატრონს დავავალე:

— პანი, თქვენს თანამშრომლებში, ნაცნობ-მეგობრებში ხმა დაყარეთ, ვითომ ვიღაც უცნობმა გლეხმა გითხრათ, თხრილში მოკლული ჰენეკი ვნახეო, ესე იგი, მე.

ასეც მოიქცა. მალე მთელ ქალაქში ხმა დაირხა, ჰენეკიც მოუკლავთო. ამის მერე აღარავის გავხსენებივარ. მე და ჩემმა ღმერთმა, კარგად კი მოვიფიქრე!

ჩვენს საერთო მტერს არ ვუსურვებ იმნაირ ცხოვრებას, მე რომ იმ სახლში ვცხოვრობდი. უბრალო ფეხის ხმაზეც ან პატარა ხმაურზეც კი ღუმელში ვიმალებოდი და საათობით ვიჯექი შიგ, სანამ სრული სიწყნარე არ დაისადგურებდა. ამ ხნის განმავლობაში ყურთასმენა ისე გამიმახვილდა, როგორც ბრმას შეხების გრძნობა. ფეხის ხმაზე შემეძლო ამომეცნო, ვინ მოდიოდა, მოტორის გუგუნზე ვხვდებოდი, რანაირი ავტომანქანა მისრიალებდა ქვევით გზაზე ან რომელი ტანკი კვეთდა გზატკეცილს. საათობით ვიდექი კართან, შიშისაგან ოფლი წურწუ-

რით ჩამომდიოდა, მაგრამ მაინც ვიდექი და ყურს ვუგდებდი. ცოტა ხნის მერე შევნიშნე, როგორ გაშავდა კარის ჩარჩოს ის ნაწილი, რაზედაც თავი მქონდა მიდებული მთელი სმენადქცეულს. ის შავი ლაქა ახლაც ამჩნევია.

ახლა ამას შიმშილიც დაუმატეთ და ნათლად წარმოიდგინეთ, რა „ფუფუნებაში" ვცხოვრობდი. როგორც მოგეხსენებათ, მაშინ სურსათს ბარათებით იძლეოდნენ. სახლის პატრონი თავისი ულუფიდან მცირედს მინაწილებდა. თანდათან ღონე მელეოდა, სული მეხუთებოდა, ყველაფერი ისე მტკიოდა, ღუმელიდან გამოსული, წელში ვეღარ ვიმართებოდი, ღამღამობით იატაკზე გაუხდელს მეძინა, მარტო ფეხსაცმელებს ვიხდიდი და ახლოს ვიწყობდი, უსიამო სტუმრის მოსვლისას უცბად რომ დამევლო ხელი და კვლავ ღუმელში დავმალულიყავი.

გაზაფხული ახლოვდებოდა. აღდგომა კარზე იყო მომდგარი და პირველი უბედურება მაშინ დამატყდა თავს. ქალს, ვისთანაც ვიმალებოდი, წამოცდა, ებრაელს ვმალავო. ვისგან გაიგე? მისგანვე.

აღდგომის წინა დღეს აღსარებისათვის ეკლესიაში წასულა და იქ ქსენძისათვის მოუხსენებია, ცოდვილი ვარო.

— ცოდვილი? — შეეკითხა თურმე ქსენძი.

— დიახ, სახლში ებრაელს ვმალავ.

— ეგ ცოდვად არ ჩაგეთვლება. აღსარების დროს არც არის აუცილებელი ამის გამხელა.

— რატომ?

— იმიტომ რომ, ეგ ცოდვად არ ითვლება. ნუღარ გაიმეორებ ამას აღსარებისას. ერთიც ვნახოთ და შემთხვევით ფაშისტმა მოჰკრას ყური...

შინ მოსულმა ქალმა ყველაფერი მიამბო.

— რა გვარის ქსენძი იყო?

— ჩინსკი.

— ჩვენს მოსვლამდე მაგ გვარის ქსენძი არ ყოფილა.

— თქვენ გეტოში იყავით, როცა ძველი ქსენძი მოკვდა და ჩინსკიმ დაიკავა მისი ადგილი.

ღმერთო, ამ ქალმა სიკეთისათვის სიკეთე მიავე. იქნებ გგონიათ, მარტო მე გამომიწოდა დახმარების ხელი? არა, ყველა ებრაელი მის მზესა და სახელს ფიცულობდა. ახლა ხომ ხვდებით, რომელმა ქსენძმა გამოიწერა პენიცილინის ნემსები და მიიყვა მალამო?

სახლის პატრონისაგან ისიც გავიგე: ჩემ გარდა ქალაქში კიდევ ორი ებრაელი, თორმეტი წლის ფეიბიში და ერთიც გოგონა იყო დარჩენილი. ფეიბიში იმ ბავშვთა სანატორიუმში ცხოვრობდა, სადაც გერმანელებმა ბავშვებს [illegible] დაუტეხეს. მან გაქცევით უშველა თავს. საცოდავს სანაგვეებში და სამალავებში ეძინა თურმე. კეთილი ადამიანები ლუკმაპურს მიუგდებდნენ ხოლმე. მალე ვიღაცამ შენიშნა და... არა, პანე, გამოიცანით, ამ საქმეში იმ გამცემმა რამდენი მიიღო? შვიდი ზლოტი. ამ ამბით გაგულისებულმა ჩინსკიმ გარეწარს ამბიონიდან ასეთი სიტყვით მიმართა:

— დაიხსომე, არამზადავ, ღმერთი არ გაპატიებს. ცხოვრობ ჩვენ შორის, მოდიხარ აქ ქრისტეს სახელის სალოცავად, ვინც ჩვენი გულისთვის ტანჯეს და აწამეს და აქედან გასული ადამიანებს მტერს ხელში უგდებ?

თქვენ ამბობთ, გაიზედიათ? მართლაც რომ ასეა! თორაშიც კი ვერ ამოიკითხავთ ამის მსგავსს. ნუ დაგავიწყდებათ, რომ იმ დროს ეკლესიაში მარტო პოლონელები როდი იყვნენ. იქ ბრძანდებოდნენ გერმანელთა კუდები, ჯაშუშები, „ფოლქდოიჩები", „ლურჯები". მისი საქციელი გმირობაზე მეტი იყო. არ მიცნობდა და თურმე ფულსა და საჭმელს ის მიგზავნიდა... მოითმინეთ, პანე, მუსიკას მაინც ყური დაუგდეთ. ისევ რაღაც კარგს გადმოსცემენ. სსუ... სსუ... ნაცნობი მელოდია უნდა იყოს.

აღსარების მერე ჩემი მხსნელი ქალი დამშვიდდა. შიში გაუქრა, ხომ მოგეხსენებათ ქალების ამბავი. გავიდა ხანი და ისევ შევამჩნიე, თავის ჭკუაზე არ იყო, ვეკითხები:

— რა მოხდა?

— მეშინია.

— რისი, მე ხომ მკვდარი ვარ?

— ვაითუ, შემთხვევით...

— ქსენძსთან ხომ არ წამოგცდათ რამე?

— ღმერთმა დამიფაროს.

— მაშ, რა გაღელვებთ?

— მათ ერთი გოგო დახვრიტეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სად?
— ვარშავაში.
— კი მაგრამ, ჩვენ ხომ ვარშავაში არა ვართ.
— გოგო აქაური იყო.
— ვინ იყო, ვისი იყო?
— რომზენისა.
— ვარშავაში როგორ მოხვდა ის ქალიშვილი?
— ქსენძმა გაგზავნა.
— ჩემმა ქსენძმა?
— არა, სტოგროვსკიმ.
— იეზუიტებისამ?
— ჰო!
— ის კეთილი ადამიანია, კაცს არ დაღუპავდა.
— სტოგროვსკიმ ის გოგო ვარშავაში იმიტომ გააგზავნა, უნდოდა გადაერჩინა.
— მერედა, რა არის აქ ცუდი?
— ის კი ვარშავაში გარეთ გამოსულა და... დაიჭირეს და დახვრიტეს.
— ნუ ღელავთ, მე ხომ არც ქუჩაში ვარ და არც ვარშავაში.
— მაინც საშიშია.
— რადგან ასეა, მაშინ ფრანციშეკს უთხარით, გამომიაროს.

ჩემს მეგობარ ფრანციშეკს თქვენ უკვე იცნობთ. როგორც კი ვთხოვე, მოვიდა. ფრანციშეკს ვეუბნები:

— ამ ქალს ეშინია.
— მეც შემეშინდებოდა.
— რატომ, ხომ არავინ იცის, მე რომ აქ ვარ.
— ჰო, მართალია, მაგრამ...
— დაიჯერე, საშიში არაფერია-თქო.
— შიშის დასათრგუნავად წამალი არ არსებობს.
— არსებობს.
— რა?
— იარაღი.
— გადაირიე?!
— ფრანც, იარაღი გაქვს?
— მაქვს.
— მაშ, მოიტანე.
— ჩემი არ არის, ორგანიზაციამ მომცა.
— შენ მარტო დაანახე სახლის პატრონს.
— გინდა შეაშინო?
— ეჰ, მე შენ იარაღს არ განდობდი.
— რატომ?
— იმიტომ რომ სულელი ხარ.
— ბოლოს და ბოლოს ამიხსენი, რა გინდა?
— მოიტან პისტოლეტს, მაგიდაზე დადებ და მის გასაგონად მეტყვი: ამ პისტოლეტით ერთი პოლონელი მოვახვრიტე. ყველა, ვინც ებრაელს მალავს, პასუხს აგებს საკუთარი სიცოცხლით-თქო.
— კი მაგრამ, უფრო არ შეეშინდება?
— პირიქით, დახვრეტის შიშით ხმასაც არ გაიღებს.

ფრანციშეკი ისე მოიქცა, როგორც დავარიგე და ქალი მართლა დამშვიდდა, ოღონდ წეღან მოგახსენეთ, შიმშილი ჩვენი ხშირი სტუმარი იყო-მეთქი. სურსათის საყიდლად ფული უნდა გვეშოვა. ამიტომ სახლის პატრონს ვუთხარი:

— ვარშავაში ხომ არ გაემგზავრებით? საჭმელი არ გვაქვს. ალბათ ქსენძსაც გამოელია, აღარ გვიგზავნის. თუ წახვალთ ვარშავაში, რამდენიმე მისამართს მოგცემთ.
— ებრაელებისას?
— როგორ გეკადრებათ, მაშინ სასაფლაოზე მოგიწევდათ წასვლა!

— მაშ, ვისთან მაგზავნით?
— ვარშავაში ქრისტიან პოლონელებს ვიცნობ. ეტყვით, ჰენეკმა გამომგზავნა-თქო.
— დაგვაბეზღებენ.
— არ იკადრებენ.
— არ წავალ, ხომ იცით, სად ვმუშაობ?
— ვიცი.
— უფროსებს რა ვუთხრა, ვარშავაში მაგზავნიან-მეთქი?
— ექიმისაგან აიღეთ ცნობა, ვითომ ავად ხართ.
— არ მომცემენ.
— ვინმე ნაცნობ ექიმს გამოართვით...
— მე ჯანმრთელი ვარ.
— ისეთი ავადმყოფობა მოიგონეთ, გაშუქება რომ დაგჭირდეთ.

როგორც იქნა, გავტეხე, დამიჯერა, წავიდა და მისმა წასვლამ ბედნიერებაც მოგვიტანა და უბედურებაც.

სახლის პატრონი მივიდა საავადმყოფოში და იმ ექიმს, რომელიც გერმანელებს ემსახურებოდა, თხოვა, გამაშუქეთო. შევიდა მისაღებ ოთახში და ხედავს, გერმანელების მეტი აქ არავინ არის. სხვათა შორის იქ კიდევ ერთი ტიპი ბრძანდებოდა, რომელიც გერმანულად და პოლონურად ლაპარაკობდა. მაშინ, როცა ქალმა ექიმს სთხოვა, რენტგენოლოგთან გამაგზავნეთო, მათ ლაპარაკში ჩაერია. ყველაფერში ეტყობოდა, გერმანელებთან თავს შინაურულად გრძნობდა. ჩაერია საუბარში და აღარ გაათავა. რა ედო გულში, ვინ იცის. იქნებ მოეწონა... დიახ, არშიყობა დაუწყო. ვინ იცის, როდემდე ილაქლაქებდა ის კაცი, რომ ქალი რენტგენის კაბინეტში არ გამოეძახათ. შედის ოთახში და ეუბნებიან:

— გაიხადეთ!

მან სწრაფად გაიხადა კაბა და ეკრანთან დადგა.

— ახლუდიც შეიხსენით!
— მცივა!
— აუცილებელია!

ქალმა ახლუდი შეიხსნა, მაგრამ აღელვებულს იატაკზე დაუვარდა. ერთი წუთის მერე, როცა ჩაცმას შეუდგა, ახლუდის ასაღებად დაიხარა, თითები რაღაც ცივ ლითონს წააწყდა.

ვარშავაში წასვლამ აღარ მოუწია. იქიდან პირდაპირ შინ მოირბინა და ნაპოვნი ნივთი მაჩვენა. ოქროს სამაჯური იყო.

— ვის მოპარეთ?!

ქალი ცრემლად დაიღვარა. — პან ჰენეკ, ეგ როგორ გაიფიქრეთ ჩემზე?

და მან ყველაფერი მიამბო.— პან ჰენეკ, — მეუბნება, — ახლა კი ნამდვილად სულს მოვით-
ქვამთ.

ღიან, იმ დღის მერე აღარ გვეშიმშილია. ქალმა ის სამაჯური გაყიდა, სინდისს ერთხელაც არ შევუწუხებივართ, მაგრამ მალე შიმშილზე უარესი უბედურება დაგვატყდა თავს.

ჯაშუშ ბენძიკს ვინ არ იცნობს, ვინ იცის, რამდენი პოლონელი გაუცია და რამდენის სიკვდილში მიუძღვის ბრალი. მასზე ღირს ლაპარაკი.

ის ჩვენს ქალაქში 1943 წლის ივლისში მოვიდა კონსტანტინიდან. იქ თურმე თავს დასხმიან ვიღაცეები, ვითომ სინათლის გადასახადზე იყვნენ მოსულნი, ესროლეს, მაგრამ ძალთაპირს გულში კი არა, ფილტვებში მოახვედრეს. „ფოლკდოიჩელს", რა თქმა უნდა, დახმარება აღმოუჩინეს, სასწრაფოდ იზოლიოვიდან გაგზავნეს საავადმყოფოში. გამოჯანმრთელეს, მაგრამ იზოლიოვიდან ფეხს არ იცვლიდა. ეშინოდა, კიდევ არ ამოეღო ვინმეს მიზანში... ჰოდა, მოეწონა ამ კაცს ექიმის მისაღებ ოთახში გაცნობილი ქალი, ჩემი სახლის პატრონი. მერედა, მე თქვენ გეტყვით, არ იყო მოსაწონი თუ?

ღამით „პოლიციური საათის" დროს, როცა წესიერი ადამიანი გარეთ ცხვირს ვერ გაყოფს, ჩვენს კარზე დააკაკუნეს. იმ დროს, როგორც ყოველთვის, სამზარეულოში ფეხშიშველა ვიყავი. ღუმელში რომ დავმალულიყავი, დერეფანი უნდა გამევლო, ამას კი ვერ მოვასწრებდი, კარზე მომდგარი კაცი დამინახავდა.

— ვინ არის? — ეკითხება სახლის პატრონი.

შიშით გამბურძგლა. როგორი საქმეა, ვიღაც შემოსვლას თხოულობს. მე კი ვერ ვიმალები.

— კარი გააღეთ, მე ვარ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვინ თქვენ?

— პენძიკი ვარ, თუ შეიძლება გამიღეთ კარი.

— რა გნებავთ?

ვდგავარ სამზარეულოში და ყველაფერი მესმის, ქალს ვანიშნე, ჩემთან მოდით-მეთქი. სამზარეულოში რომ შემოვიდა, ჩავჩურჩულე:

— გაიხადეთ კაბა, პერანგისამარა დარჩით.

— რატომ?

— ჩქარა, ნუ აყოვნებთ!

— რისთვის? ეს კაბის გახდა დამეზღვა, თუ რა არის? — დაიჩივლა.

— გთხოვთ, გამოაღოთ კარი ისე, რომ ჯაჭვი არ ჩამოხსნათ და დაენახოთ გახდილი.

— მერე?

— უთხარით, რომ ტანს იბანთ და დასაძინებლად ემზადებით, დროსტარების გუნებაზე სულაც არა ხართ! ხვალისათვის დაიბარეთ.

— ხვალ რაღა იქნება?

— ეგ არ ვიცი. ახლა კი ნუ აყოვნებთ.

გაიხადა კაბა, გავიდა დერეფანში, კარი ოდნავ გამოაღო, ეუბნება:

— ბოდიში, პან პენძიკ, ეს-ეს არის ტანი დავიბანე და...

— დიდი სიამოვნებით დაგიცდით, — დაითათლა სტუმარი.

ვდგავარ სამზარეულოში, ფეხს ვერ ვიცვლი, ჩემს მხსნელ ღუმელთან ვერ მივდივარ. ქალი კი ღრიჭოდან ეუბნება:

— თვითონ ხედავთ, არ გატყუებთ, უკვე გახდილი ვარ, აი ნახეთ, იქნებ ხვალ მოხვიდეთ.

— პანი, ნება მომეცით, ხელზე მაინც გემთხვიოთ, — და გავიგონე, ჩემი დიასახლისის ფუნჩულა ხელი პენძიკის ბინძურმა ტუჩებმა როგორ დალოშნა.

— ო, პან, შემცივდა! — უთხრა და ცხვირწინ მიუხურა კარი.

ამის მერე სასწაული მოხდა. მეორე დღეს პან პენძიკი ორგანიზაციის ხალხმა ძაღლივით ჩააგორა. ამ ამბავმა, რა თქმა უნდა, გამახარა, ისევ ბედმა გამიღიმა. ჩანს, ვისაც სიცოცხლე უწერია, იცოცხლებს, ვისაც — დაღუპვა, დაიღუპება.

ამით ჩემი წამება არ დამთავრებულა. ერთ დღეს დღისით-მზისით სახლის პატრონი მაცხადებს:

— სამ საათში მთელ კვარტალში გერმანელებს ჩაასახლებენ, უნდა წახვიდეთ აქედან.

— სად?

— მე რას მეკითხებით?

— მაშ, ვის ვკითხო, გარეთ ხომ არ გავალ და პირველ შემხვედრსვე არ შევეკითხები?

— პან ჰენეკ, თქვენი თავშესაფარი თქვენვე უნდა მოძებნოთ!

— კარგი, მოვძებნი, — რა უნდა მეპასუხა. უნდა მეპოვა ახალი თავშესაფარი, მაგრამ როგორ, საიდან?

ჩემი ძველი ტანსაცმელი, ღუმელის წმენდის დროს რომ ვხმარობდი, ამოვიღე, გადავიცვი, წელზე თოკი შემოვირტყი, ცალ ხელში სათლი და ფუნჯი დავიჭირე, მხარზე კიბე გავიდე და ქუჩაში გავედი. რამ გამაბედინა? — გეტყვით. მთელი ამ ტანჯვის განმავლობაში წვერი ერთხელაც არ გამეპარსა, ამიტომ ჩემი წვერი წვერს კი არა, გაცვეთილ ცოცხს ჰგავდა. განა ოდესმე ვიფიქრებდი, რომ წვერგაუპარსაობა გაჭირვების დროს გამომადგებოდა? გამხდარს, მაღალსა და წვერიანს, სალებავით ტანსაცმელდაწინწკლულსა და მხარზე კიბეგადებულს განა ვინმე მიცნობდა? თვითონ რომ შევხვედროდი საკუთარ თავს, უსათუოდ შევეკითხებოდი: — ეს თქვენა ხართ, პან ჰენეკ, როგორ ბრძანდებით, ნუთუ კიდევ ცოცხალი ხართ, დადიხართ და ლაპარაკობთ?

ჩვენს ქალაქში ინჟინერი ვაშკევიჩი ცხოვრობს, თქვენ მას არ იცნობთ, ომის დაწყებამდე ერთი თვის თავზე, როცა ჩემი ფირმა მოვკეტე, იძულებული ვიყავი ამ ინჟინერთან მემუშავა. ყველაფერს ვუკეთებდი, პოდა, ჩემს თავს ვეუბნები: — მიდი, ვაშკევიჩს შეეხიზნე, მივიდოდი.

მივდივარ და თანაც აქეთ-იქით ვიყურები. მიხარია, ყურადღებას რომ არავინ მაქცევს. მიდის მღებავი, მიდის შიშით გულაძგერებული. მივედი. ინჟინრის მეუღლე გამომეგება და მეუბნება:

— ქმარი შინ არ არის, მალე მოვა, დაცდა მოგიწევთ. — ვერ მიცნო, ჩაილაპარაკა: — ვერ გავიგე, რაში დასჭირდა მღებავი, შესაღები არაფერი გვაქვს. — დიდი ხნის მერე, რო-

გორც იქნა, გამოჩნდა, ეტყობოდა, დაღლილი იყო, თანაც გულმოსული. დაჟინებით და-მაცქერდა.

— შენა ხარ, ჰენეკ?

— მე ვარ!

— რაზე მოსულხარ?

— თავშესაფარს ვეძებ.

— მაინცდამაინც ჩემთან რატომ მოდი?

— იმიტომ, რომ გენდობით.

— გმადლობთ ნდობისათვის.

— თქვენს იქით გზა არა მაქვს, თუ არადა, პოლიციაში უნდა გამოვცხადდე, — წამუს-ზე მინდა შევიგდო.

— ვინდა სინდისი მაწუხებდეს?

— პან ინჟინერო, თორაში ასე...

— რაში მჭირდება, ჰენეკ, შენი თორა. ნეტავი როგორ გწამს იმ ღმერთისა, ვის თვალ-წინაც ასეთი ამბები ხდება და ის კი ყურსაც არ იბერტყავს. ჰენეკ, — ცოტა ხნის მერე რბი-ლად მეუბნება, — აქ რისთვის მოხვედი? დაეხსენ იმ შენს თორას, თორაზე მე საკუთარი შე-ხედულება მაქვს.

— იქნებ მითხრა, მაინც რა შეხედულება გაქვს?

იგი კითხვაზე არ მპასუხობს და პირდაპირ საქმეზე მეუბნება:

— ღამის გასათევი ადგილი შენ თვითონ მონახე, სახლიდან რაც შეიძლება შორს. დღი-სით ჩვენსა ამოდი, მშიერს არ დაგტოვებ. მუდამ ზემო სართულში იყავი, შემთხვევით შე-მოსულებმა რომ არ შეგამჩნიონ. გაფრთხილდი, იცოდე, როგორც კი ხიფათს შენიშნავ, თავს უნდა უშველო.

— გმადლობთ, პან ინჟინერო!

ის ღამე ორმოში გავათიე. ოცი თვის შინ ჯდომის შემდეგ ჰაერი თაფლივით ტკბილი მეჩვენებოდა. ზაფხული იყო, თბილოდა. მხოლოდ გათენებისას აგრილდა. ნისლი ჩამოწვა, ჩიტუნებმა გაიღვიძეს. მათი ჭიკჭიკი გულს მიკლავდა. ყველა სულდგმულს აქვს უფლება იცხოვროს თავისუფლად, მე კი არა! — ვფიქრობ ტყეში კუნძზე ჩამომჯდარი. იმ ღამით სა-ჰაერო განგაში ატყდა, შუშხუნებმა გაანათა ზეცა. ვიდექი და შიშნაკრთალი შევცქეროდი ამ ლამაზ სანახაობას. წამით დამავიწყდა მტრები და ისიც, ებრაელი რომ გახლავარ.

იმ დილით ვაშკევიჩს ვეწვიე, ვისაუზმეთ, მუსაიფი გავაბით. რაზე უნდა ელაპარაკა გერ-მანელების მიერ დადევნებულ ებრაელს? საერთო ნაცნობებზე. ვინც არ მოვიკითხე, ყველაზე ასე მიპასუხა: — მოკლესო, დაწვესო, ბანაკშიაო, ტყეშიაო.

თორმეტის თხუთმეტ წუთამდე საუბრით ვიყავით გართული, რომ უეცებ ჟანდარმებს მოვ-კარი თვალი. თან ძაღლები წამოეყვანათ. ნეტავ რატომ მოდიან, ან ვისთან? გადმოიარეს რკი-ნიგზის გადასასვლელი და პირდაპირ ჩვენკენ გამოემართნენ. ახლა კი დავიღუპე. მთლად სახეგადაფითრებულ ინჟინერსა და მის ცოლს რომ გადავხედე, შემეშინდა. ნეტავ საიდან გა-იგეს, ამათთან მხოლოდ ერთი ღამე რომ გავათენე? გაქცევა გვიანი იყო, რადგან სახლს გა-სასვლელი პირდაპირ იქითა ჰქონდა, საიდანაც ისინი გვიახლოვდებოდნენ.

— აქეთ! — მითხრა ინჟინერმა და ფანჯარა გამოაღო.

გესმით, უნდა გადავმხტარიყავი მეორე სართულიდან. მაშინვე არ გადავხტი, შევიცადე, ახლავე მიდიან-მეთქი, მაგრამ თქვენ ნუ მომკვდებით, მოდიან და მოდიან დაგეშილი ძაღ-ლებით. როცა სახლს მოუახლოვდნენ, გავიფიქრე, უნდა ისე გადავხტე, მაშინ ხელებით დავეცე, ფეხებს მოვუფრთხილდე. ფეხის მოტეხვას ხელის მოტეხვა ვამჯობინე, რადგან დამ-ფრთხალი კურდღელი ფეხების იმედით ცხოვრობს. შუადღისას სად უნდა წავსულიყავი. მი-ვადექი ოცდაცამეტ ნომერ სახლს, რომელსაც კედლები აქა-იქ შემონგრეულ-შემორღვეული და ტყვიებით ჰქონდა დაცხრილული. შევედი, იქვე კუთხეში დავწექი, ზემოდან აგურები და-ვიყარე და თავი მოვიმკვდარუნე.

თქვენ მეკითხებით, გერმანელებმა რად არ მესროლეს? ანდა საიდან იცოდნენ, მე რომ ვაშკევიჩის სახლში ვიმალებოდი? თურმე ჩემზე მათ არაფერი იცოდნენ. ისინი იმიტომ მო-დიოდნენ, რომ სახლიდან ავეჯი გაეზიდათ და არც კი უფიქრიათ გაქცეულის დასაჭერად ძაღლები გაეშვათ. ალბათ ვერც შეამჩნიეს, რომ გავიქეცი. ეს ამბავი მოხდა 1944 წლის მა-ისში.

ვწევარ დანგრეულ სახლში აგურების ქვეშ და ვფიქრობ, როგორ მოვიქცე. საით წავი-

დე? ჩემი ქუჩაში ხეტიალი არ შეიძლება. კარზე მივადგე ვაწვე, არც ეს შეიძლება. უნდა მოიძებნო ისეთი ადგილი, სადაც საგულდაგულოდ შეაფარებდე თავს. როგორ გგონიათ, სად წავედი? ისევ ღუბლოვის ქუჩის ჩვიდმეტი ნომრისაკენ გამიწია გულმა. ისევ ჩემს ღუმელს მივადექი. ასე რომ, პანე, მილიონობით ებრაელმა ღუმელში დალია სული, მე კი ღუმელმა გადამარჩინა.

ეროვნული

კარგი მელოდიაა, გულს საამოდ ეფინება. იცით, რას მაგონებს? ჩვენში [illegible]რეს“, რომელსაც ჩვენში შაბათობით და დღესასწაულებზე მღერიან სინაგოგაში. თქვენ ამბობთ, ოპერიდანააო? შეიძლება, დიდებული კია და...

ღუბლოვის ქუჩის ჩვიდმეტ ნომერ სახლთან ვდგავარ და მაღლა ვიცქირები. ვხედავ, სამზარეულოს ფანჯარაში ლამპის შუქზე როგორ გაიელვებს ხოლმე სახლის პატრონის ჩრდილი. იმ ოთახში, სადაც ჩემი ღუმელი დგას, სიბნელეა. ესე იგი, იქ არავინ არის, — გავიფიქრე და ფრთხილად ავირბინე მეორე სართულზე. დავაკაკუნე, მესმის სახლის პატრონის ხმა:

— ვინ არის?

— ჰენეკი!

კარი უხმაუროდ გაიღო. მაშინვე გავიძრე ფეხსაცმელები და ჩემს ოთახში შევედი. ერთი სული მაქვს, გავიგო, ხელუხლებელია თუ არა ჩემი ღუმელი. იგი თავის ადგილზე დამხვდა.

— კარგია, რომ მოხვედით! ჩვენს კვარტალს აღარ მოაკითხავენ. არ ვიცოდი, სად იყავით, თორემ მოგძებნიდით.

— გმადლობთ, პანე, ხომ არ იცით, რატომ გადაიფიქრეს?

— საბჭოთა ჯარები ხელმს უახლოვდებიან.

— ხელმი შორსაა!

— არც ისე შორსაა.

— ნეტავ როდის მოვლენ.

— დაუჯერეთ რუსებს. ცოტაც მოითმინეთ, — დაჟინებით მირჩევს.

— გმადლობთ, ნამდვილად ხელმური რჩევაა.

— რატომ?

— ებრაელთა გადმოცემას თუ დავუჯერებთ, ხელმელები თავიანთი სისულელეებით განთქმულნი არიან.

— რა გინდათ მაგითი თქვათ?

— თქვენ რა, ხელმელი ბრძანდებით?

— არა, ოტვოცკელი.

— მაშ, ხელმელივით რატომ იქცევით?

— პირველად თქვენ დაიწყეთ...

— ნეტავი როდის წავალთ აქედან?

— სად?

— თუნდაც ხელმში.

— თქვენ ახლახან ხელმელები სულელებად მონათლეთ.

— ჰო, მაგრამ, მე მაინც თანახმა ვარ, იქ წავიდე.

ვგრძნობდით, ჩვენი განთავისუფლების წუთები თანდათან ახლოვდებოდა. როდისმე ყური დაგიგდიათ, როგორ უახლოვდება თქვენს სახლს კუნაპეტზე კუნაპეტ ღამეში მატარებელი? კუნაპეტზე კუნაპეტი ღამე რაღა არის? მართლაც, როგორ აგიხსნათ. როცა ძალზე ბნელი ღამე კიდევ უფრო ჩაბნელდება. რა არის აქ გაუგებარი? არაყს ხომ სვამთ? ასეც ვფიქრობდი. წარმოიდგინეთ, შესვით ერთი ჭიქა არაყი, მეორე მიაყოლეთ, აი, მაშინ იქნება კუნაპეტი ღამე. მაგრამ ამის მერე თუ შესვამთ სპირტს, კუნაპეტზე კუნაპეტი გახდება. კარგია, ცოტა მაინც რომ გაიგეთ. ადამიანები ასე ცოტათი მაინც რომ უგებდნენ ერთმანეთს, მაშინ რაღა გვიჭირდა, მერწმუნეთ, ომი და სისხლისღვრა აღარ მოხდებოდა. ჰოდა, ასეთ ღამეში, როცა მატარებელი მოდის, პირველად ბორბლების დაგადუგი არ გესმით, მარტო ოთახის სარკმლის მინები წკარუნებენ. მატარებელი ამ დროს ძალზე შორსაა. ცოტა ხნის მერე გრძნობთ, როგორ ახლოვდება იგი. მერე ისმის ბორბლების რიტმული დაგადუგი. როცა ორთქლმავლის ფარების შუქი თქვენს ოთახში შემოიჭრება, ახლა მინები კი არა, დანები, კოვზები, ჩანგლები, ჭიქები, თეფშები, ალუმინისა და ემალის ქვაბები აწკარუნდებიან და ახმაურდებიან. როცა მატარებელი სახლს ჩაუქროლებს, მთელი სახლი აზანზარდება, შემდეგ

ხმაური თანდათან მინელდება, სადღაც შორს გადაიკარგება და კვლავ სამარისებური სიჩუმე ჩამოწვება.

დიახ, ასე იყო ჩვენი განთავისუფლების დროსაც. დილიდან საღამომდე ლოგინში ვიწექი. ვითვლიდი დღეებს, საათებს, გულისფანცქალით ველოდი საბჭოთა ჯარების მოახლოებას. ღამ-ღამობით გარკვევით ისმოდა ქვემეხების გუგუნი, თოფების ქუხილი, ავტომატების ჭრიალი. გერმანელების ტანკები უკან იხევდნენ. ერთხელ, ღამით, უცხო გუგუნი შემომესმა. ვიხედები და რას ვხედავ, რუსების ტანკები წინ მოიწევენ. გამიხარდა. ის შავი ლაქა, რომელიც კარის ხარიხზე იყო დამჩნეული, უფრო მეტად გაშავდა, რადგან სახეზე ოფლი წურწურით ჩამომდიოდა. სიხარულისაგან გაოგნებული ვიყავი.

ალბათ წარმოგიდგენიათ, რა ამბავში ვიქნებოდით ცოცხლად დარჩენილები. თავში ერთი აზრი მიტრიალებდა, — ახლა სიკვდილი დასანანია-მეთქი. ჩემო თავო, ამქვეყნად იმამდე რომ არ გაჩენილიყავი, მაშინ არც ეს ჰერშ პინხუსი იქნებოდი, ვისაც ალოკილი და ნაყლაპი გაქვს ებრაელების ტვინი და თავის ქალის ძვლები, იქნებოდი სულ სხვა კაცი და ეს ქვეყანა შენთვის სამოთხედ გადაიქცეოდა. დიახ, ნამდვილად არ იყო სანატრელი სიკვდილი.

1944 წლის ოცდაცხრა ივლისს, როცა საბჭოთა და პოლონეთის ჯარები ჩვენს ქალაქში შემოვიდნენ, ქუჩაში გავედი, ნაცნობები გარს მეხვეოდნენ, მესალმებოდნენ, მკოცნიდნენ. ჰერშ, ცოცხალი ხარ? — მეკითხებოდნენ. მეც ვპასუხობდი: — ცოცხალი ვარ, ძმებო, გადავრჩი! ამასთან ერთად შევამჩნიე, ზოგიერთები როგორ მერიდებოდნენ. ზურგს მაქცევდნენ, გამირბოდნენ. რად გამირბოდნენ, რად მერიდებოდნენ? მიზეზი ერთი იყო. ეგონათ, მე მათი შავი საქმეების ამბავი ვიცოდი. იქნებ კიდეც მომკლან-მეთქი, გავიფიქრე და განთავისუფლების დღეს ქალაქიდან გავიქეცი. გავედი ლუბლინის გზატკეცილზე, სამხედრო მანქანა გავაჩერე და ლუბლინში ჩავედი... ნუთუ იმისათვის ველოდი განთავისუფლებას, რომ მშობლიური ქალაქი დამეტოვებინა, უკანმოუხედავად გავქცეულიყავი? არა, ჰერშ პინხუს, შენს იუზეფოვში დაბრუნდი და შეუდექი მშვიდობიან შრომას, ცხოვრება თავიდან დაიწყე, ვთქვი ჩემთვის და დავბრუნდი. ჩამოვედი და ჩემს ქსენძს, ჩემს გადამრჩენელს დავეწყე ძებნა.

— ქსენძი აქ აღარ არის, ციხეში ზის.

— რატომ?

— ფაშისტია და იმიტომ.

— ვინ არის ფაშისტი?! ცილისწამებაა! მე, ებრაელს, დამეხმარა, გადამარჩინა...

— თუ არ გჯერა, მიდი სახელმწიფო უშიშროების განყოფილებაში და იქ გეტყვიან.

— ვინ არის უფროსი?

— მაიორი მალიკი.

— მაგ მაიორს არავის ვიცნობ.

— არ იცნობ იმიტომ, რომ ის აქაური არ არის, მიდი, მოელაპარაკე.

— რატომაც არა, წავალ... კი მაგრამ, რას იცნობ?

— შესვლით კი შეხვალ, გამოსვლით — ვერა. ასეთი კაცია მალიკი, დამნაშავესა და უდანაშაულოს არ არჩევს. ყველას აპატიმრებს ყოველი შემთხვევისათვის.

— შენ ასე გგონია?

— არა, თვით მაიორი ლაპარაკობს ასე.

— მე მაინც მივალ მასთან, — და წავედი. ახლა თქვენთვის ხომ გასაგებია, ვიცნობდი თუ არა მალიკს. ის შერყვნებული ამ რამდენიმე წლის წინ გაიქცა, ო, რა იომა, რა სისხლი დაღვარა. ვინ იცის, რამდენი უდანაშაულო ადამიანი ამოალპო ციხეში და რამდენი აწამა საკუთარი ხელით.

მივედი, თავი საქმიანი კაცივით ვიჭირე.

— დაბრძანდით, რით შემიძლია გემსახუროთ?

— ქსენძ ჩინსკის საქმეზე გეახელით.

— კი მაგრამ, თქვენ კათოლიკე არ უნდა იყოთ.

— როდესაც ამნაირ ცხვირს ხედავთ... — საჩვენებელი თითი ცხვირზე მოვისვი, — ძნელი როდია, მისი პატრონის სარწმუნოებისა და ვინაობის დადგენა.

— მაშ, პოლონელ მღვდელზე რატომ ზრუნავთ ასე?

— მე კი არა, ის ზრუნავდა ჩემზე.

— ვერ გავიგე, — მგელივით შემომხედა.

— ვერც გაიგებთ. ოკუპაციის დროს მან სიკვდილისაგან მიხსნა, რითაც შეეძლო მეხმარებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თქვენ, მოქალაქევ, რამდენი მიიღეთ?

— არ მესმის, რა ფულს მიმელით?

— არ გესმით?! წაძა აბრაამის ბატკანი ბრძანდებით! ასეთი ჩვენებისათვის რამდენი მოგ-ცეს და ვინ მოგცათ?

— არავის არაფერი მოუცია. მე სიმართლეს გეუბნებით.

— შევამოწმებ. რა გვარი ხართ?

ვუთხარი. მალიკი გავიდა და ერთი საათის შემდეგ დაბრუნდა.

— ქსენძი ჩინსკი ამბობს, ასეთს არავის ვიცნობო.

— ჭეშმარიტებას დალადებს ბაგენი მისნი. მას ჩემი გვარი არ აინტერესებდა.

— იცოდეთ, საკუთარი თავით აგებთ პასუხს თქვენს მოქმედებაზე.

— დედაბუდიანად ამოწყვეტილ კაცს არავითარი პასუხისმგებლობისა არ მეშინია.

— თავს გმირად ნუ ასაღებთ, დაფიქრდით, რას აკეთებთ?

— კაცი რომ მართალ ჩვენებას იძლევა, არა მგონია, საზიზღრობა იყოს.

— მაგითი რა გინდათ თქვათ?

— სრულებითაც არ მინდა, ჩემმა ჩვენებამ მას რამე ავნოს.

— ვის?

— ვინც ახლა ჩემზე ფიქრობს.

— მოქალაქევ, საკუთარ თავზე ილაპარაკეთ, ის გირჩევნიათ.

— ბატონო მაიორო, ქსენძს როდის გაათავისუფლებთ?

— მოქალაქევ, ნუ გავიწყდებათ, აქ კითხვებს მე ვიძლევი! — ძალლივით აღრინდა ის მართლაც სულძაღლი.

ჩვიდმეტ იანვარს ვარშავა გაათავისუფლეს და მაიორი მალიკი ჩვენი ქალაქიდან კინ-წისკვრით გააგდეს. ააგ რომ, ქსენძი მის რისხვას გადაურჩა.

ერთხელ, როცა ჩემი ლუმელის შეკეთებით ვიყავი გართული, ვიღაც უცნობმა წერილი მომიტანა. პან ბურგომისტრი მწერდა, დღეს ოთხ საათზე ჩინსკი იქნება ჩემთან და თქვენი ნახვა სურსო.

წუთიც არ დამიხანებია, ხელ-პირი დავიბანე, გადავიცვი და წავედი. მივდივარ და ვფიქრობ ჩემს დაღუპულ ცოლ-შვილზე, ლუმელზე, სახლის პატრონზე, ფრანციშეკზე.

შემიყვანეს ოთახში და ვხედავ, ბურგომისტრი და ქსენძი მარტოხი არიან. როგორც კი დამინახეს, წამოდგნენ. ხედავთ, სასიკვდილოდ გამეტებულ, ფეხქვეშ გათელილ კაცს პატივი მცეს, წამომიდგნენ. ეს კიდევ არაფერი. ქსენძი მოულოდნელად ატირდა, მეც ავტირდი. ვხე-დავ, მოიხლოება სწადია, მაგრამ ხაბიჯს ვერ დგამს. ბოლოს, როგორც იქნა, დაიძრა, მომი-ახლოვდა და მითხრა: — პან პეროშ პინხეს, ნება მომეცით გადაგკოცნოთ. ციხეში მკითხეს, პეროშ პინხესს თუ იცნობთო, ვუპასუხე, არა-მეთქი. მაიორს ძალიან გაუკვირდა: როგორ, თქვენ ხომ იგი სიკვდილისაგან იხსენითო... იმიტომ კი არ გეხმარებოდით, სამაგიერო გადაგვეხადათ. ჩემი სინდისი მკარნახობდა. მიხარია, ცოცხალს რომ გხედავთ.

— თორაში ასეა ნათქვამი: კეთილი საქმისათვის სავალდებულო როდია, იმან გადაგიხა-დოს სიკეთე, ვისაც გაუკეთე. ამქვეყნად ყოველთვის მოიძებნება ის ხორციელი, რომელიც სიკეთეს სიკეთითვე უპასუხებს. მე რომ ცოცხალი არ დავრჩენილიყავი, მაშინ ყველაფრისა-თვის, რაც ჩემთვის გაგიკეთებიათ, ვიღაც სხვა გადაგიხდიდათ სამაგიეროს.

— დიდი გამბედაობა გამოიჩინეთ, მაიორ მალიკთან რომ მიბრძანდით.

— მე მასთან მხოლოდ იმ მიზნით მივედი, რომ დამერწმუნებინა, თქვენ ფაშისტი არ იყავით. მინდოდა მეხსნა ის, ვინც მე მიხსნა. ადამიანის გადასარჩენად ყალბ ფიცსაც აპატი-ებენ კაცს. მე კი მასთან ტყუილის კი არა, სიმართლის სათქმელად მივედი.

— ბოდიში, — ჩაერია საუბარში ბურგომისტრი. — მაგრამ თუ ავაზაკია?

— მე ვლაპარაკობ ადამიანზე და არა ავაზაკზე. ავაზაკისა და მკვლელის გადარჩენა არა-თუ ყალბი, პატიოსანი ფიცითაც კი დიდი ცოდვაა.

ოჰ, რა ჩინებული მუსიკაა, გესმით?.. ახლა სად არის ქსენძი? — ჩვენ ხშირად ვხვდე-ბით ერთმანეთს. რა კაცია, რომ იცოდეთ. ჩვენი რაბინი მის ფრჩხილადაც არ ღირს. უცხო, უცნობი კაცის გადარჩენისათვის, მერწმუნეთ, თავს არ აიტკივებს.

ქსენძის დაბადების დღე ახლოვდება, ხომ ვერ მირჩევთ, რანაირი მუსიკა შევუკვეთო იმ დღისათვის? აბა, აბა, გისმენთ: ბახი, შუბერტი, შოპენი თუ პაგანინი? უხერხული ხომ არ იქნება, მთელ პოლონეთს მოედოს ეს ამბავი, ქსენძ ჩინსკისათვის მუსიკას მოითხოვს პეროშ პინხეს გროცმანი? როგორ ფიქრობთ, ხომ კარგი იქნება?

□

# ბერტოლდ ბრეხტი

## აცუნცრუკებული დედაბერი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოთხრობა

გერმანულიდან თარგმნა ცისანა ბეგლარიშვილმა

•

ბებიაჩემი სამოცდათორმეტი წლისა იყო, როცა დაქვრივდა. ბაბუას ერთ პატარა ბადენში ლითოგრაფიული სახელოსნო ჰქონდა, სადაც გარდაცვალებამდე მუშაობდა ორ-სამ ხელოსანთან ერთად. ბებია მარტოდმარტო უვლიდა ოჯახს, მოახლე არ ჰყავდა. პატრონობდა დაძველებულ, გადაბრეცილ სახლს, საჭმელს უმზადებდა ქმარ-შვილსა და მუშებს. იგი გამხდარი, ტანმორჩილი ქალი იყო, მკვირცხლი, საუბარი კი დინჯი იცოდა. შვიდი შვილიდან ხუთი შერჩა და თუმცა მცირე შემოსავალი ჰქონდა, ყველა გზაზე დააყენა. ისედაც პატარა ქალი მეტისმეტმა ჯაფამ სულ დააჩიავა.

ორი ქალიშვილი ამერიკაში გადასახლდა, ორმა ვაჟმაც მიატოვა აქაურობა. მხოლოდ უმცროსი ვაჟი დარჩა მშობლიურ ქალაქში და ისიც იმიტომ, რომ ავადმყოფი იყო. მან წიგნის ბეჭდვას მიჰყო ხელი და მალე ისე დაწვრილშვილდა, სულ რომ არ შეეფერებოდა მის მცირე შემოსავალს.

ასე იყო თუ ისე, ქმრის გარდაცვალების შემდეგ ბებია მარტოდმარტო დარჩა სახლში. შვილები ერთმანეთს წერილებს სწერდნენ, თათბირობდნენ, როგორ მოვიქცეთო. ერთი ვაჟი დედას თავისთან იწვევდა, მბეჭდავი შვილი კი მამისეულ სახლში გადაბარგებაზე ოცნებობდა. ბებიამ ყველა წინადადება უარყო და შვილებს სთხოვა, ყოველთვიურად ცოტაოდენი ფული გამომიგზავნეთო. მერე მოძველებული ლითოგრაფიული სახელოსნო ჩალის ფასად გაყიდა და ბაბუის ვალები გაისტუმრა. შვილები ცდილობდნენ დაერწმუნებინათ დედა, მარტოდმარტო ცხოვრება გაგიჭირდებაო, მაგრამ მოხუცმა პასუხის ღირსიც არ გახადა შვილები და ისინიც ბედს დამორჩილდნენ, ყოველთვიურად ცოტა ფულს უგზავნიდნენ და თავს იმითღა იმშვიდებდნენ, ბოლოს და ბოლოს, უმცროსი ძმა ხომ იქვე ცხოვრობსო. მბეჭდავმაც თავი ვალ-

დებულად ჩათვალა და-ძმებისათვის დედის ამბები შეეტყობინებინა ხან-დახან.

წერილებიდან და მამის ნაამბობიდან — მან ხომ ბებია სიცოცხლეშივე ენა-ხულა და შემდეგ დაკრძალვაზეც იყო — დაწვრილებით შეიტყო, რაც მოხდა უკანასკნელ ორ წელიწადში.

როგორც ჩანს, უმცროსი ვაჟი თავიდანვე უკმაყოფილო იყო, ბებიამ საკმაოდ დიდ და ამ დროისათვის უკვე დაცარიელებულ მამისეულ სახლში რომ არ შეუშვა. მას კი ოთხი ბავშვი სამ პაწია ოთახში ჰყავდა გამომწყვდეული. ბებია მაინცდამაინც თავს არ იწუხებდა შვილთან მისვლა-მოსვლით. კვირაობით, ნაშუადღევს ყავაზე მოიპატიჟებდა ხოლმე შვილიშვილებს, ეს იყო და ეს. თვითონ სამ-ოთხ თვეში ერთხელ თუ შეივლიდა მათთან და ხილის შემოსვლის დროს რძალს მურაბების ხარშვაში წაეხმარებოდა. რძალმა ბებიას სიტყვებიდან დაასკვნა, რომ მოხუცს ამ სივიწროვეში სული ეხუთებოდა. ვაჟიშვილმაც არ დააყოვნა და ეს ამბავი და-ძმებს აცნობა, თანაც წერილის ბოლოს დიდი ძახილის ნიშანი დასვა.

მამაჩემის ერთ-ერთ შეკითხვაზე, ახლა მოხუცი რას აკეთებსო — ძმამ მოკლედ მოსწერა: კინოში დადისო.

უნდა მოგახსენოთ, რომ კინოში სიარული იმ დროისათვის მეტისმეტი სითამამე გახლდათ, განსაკუთრებით კი მისი შვილების თვალში. მაშინდელი კინოთეატრები სრულიად განსხვავდებოდა ახლანდელისაგან. ფილმებს ჩახუთულ, ოდესღაც კეგელბანის სათამაშო დარბაზებში უჩვენებდნენ. შესასვლელთან გაკრული მყვირალა პლაკატები მკვლელობისა და ეჭვიანობის ნიადაგზე დატრიალებული ტრაგედიების სანახავად იწვევდნენ გამვლელთ. ასეთ ადგილებში მხოლოდ ბიჭბუჭები და შეყვარებულები თუ დადიოდნენ (ალბათ სიბნელე იზიდავდათ) და მარტოხელა, ხანში შესული მანდილოსანი, ცხადია, ყველას თვალში მოხვდებოდა. კინოში სიარული თუმცა ძვირი არ ჯდებოდა, მაგრამ ეს გართობა მაინც ფულის ფლანგვად მიაჩნდათ, ხოლო უყაირათო ადამიანს ყველა ალმაცერად უყურებს.

ბებიამ მარტო ვაჟიშვილი კი არა, ყველა ნაცნობ-მეგობარიც დაივიწყა. ვერასოდეს ნახავდით ფინჯან ყავაზე შეკრებილ დარბაისელ მანდილოსანთა წრეში. სამაგიეროდ ხშირი სტუმარი გახლდათ ერთი ხარაზის სახელოსნოსი, რომელიც ღარიბულ და საკმაოდ სახელგატეხილ უბანში მდებარეობდა. ამ სახელოსნოში, განსაკუთრებით საღამოხანს, თავს იყრიდა არცთუ მაინცდამაინც კეთილშობილი საზოგადოება: უმუშევარი მიმტანი ქალები, ხელოსნები. ხარაზი შუა ხნის კაცი იყო, ბევრი ეხეტიალა ამ ქვეყანაზე, მაგრამ ყველგან ხელი მოცარვოდა. როგორც ამბობდნენ, ლოთობდა კიდეც. ერთი სიტყვით, ბებიაჩემისათვის ნამდვილად შეუფერებელი მეგობრები ბრძანდებოდნენ.

მბეჭდავი იწერებოდა, დედას სიტყვაც კი გადაუკრავს თავის ახალ ნაცნობზე, მაგრამ ცივად შემაწყვეტინა, ამ კაცს ბევრი რამ უნახავს თავის ცხოვრებაშიო. ბებიასთან არც ისე ადვილი იყო იმაზე ლაპარაკი, რაც თვითონ არ სურდა.

ბაბუას გარდაცვალებიდან ნახევარი წელიც არ გასულიყო, რომ მბეჭდავმა მამას მოსწერა, დედაჩვენი ყოველ მეორე დღეს რესტორანში სადილობსო. აბა, როგორი ასატანი იყო ეს ამბავი! ბებია, რომელიც მთელი სიცოცხლე ათობით ადამიანისთვის ამზადებდა საჭმელს და თვითონ მხოლოდ

მონარჩენით კმაყოფილდებოდა, ახლა რესტორანში დადიოდა. ნეტავ რამ ააცუნცრუკაო, უკვირდა ყველას.

ცოტა ხნის შემდეგ მამაჩემი მივლინებით მშობლიურ მხარეში გააგზავნეს და გზად დედის სანახავად შეიარა. მამაჩემმა უცნაურობა ვერაფერი შენიშნა ბებიას, არც ზედმეტად მხიარული იყო და არც ზედმეტად სიტყვაძვირი. უკითხავს თურმე, ბავშვები როგორ არიან, ალუბალი თუ აქვთო. ერთი სიტყვით, ბებია ისეთივე იყო, როგორც ყოველთვის. ოთახი, რასაკვირველია, გაკრიალებული ჰქონდა და თვითონაც მხნედ გამოიყურებოდა. ერთადერთი, რაც მის ახალ ცხოვრებაზე მიუთითებდა, ის იყო, რომ მამას ბაბუას საფლავზე არ გაჰყვა. გულგრილად მიასწავლა მარცხნიდან მესამეა, მეთერთმეტე რიგში, მარტოც მიაგნებ, მე სხვა საქმე მაქვსო. მბეჭდავი ირწმუნებოდა, ნამდვილად თავის ხარაზთან მიიჩქაროდაო. თანაც უჩიოდა დედას: პატარა სოროში ვარ შეხიზნული, ნახევარდღიანი სამუშაო მაქვს, მცირე შემოსავალი, ამ ასთმამაც ბოლო მომიღო, ჩვენი სახლი კი ცარიელიაო.

მამა სასტუმროში დაბინავდა, ელოდა, დედა ცალყბად მაინც შემომთავაზებს, ღამე ჩვენს სახლში გაათიეო, მაგრამ ნურას უკაცრავად, კრინტიც არ დაუძრავს. უწინ კი, როცა სახლში ნემსის ჩასაგდები თავისუფალი ადგილი არ იყო, ბებიას გული მოსდიოდა, თუ მამა სასტუმროში ღამის გასათევად ფულს „გადაყრიდა". ეტყობა, ბებიამ საბოლოოდ გაუსწორა ანგარიში ძველ ცხოვრებას და სიბერეში ახლებურად ცხოვრება მოინდომა.

მამას, ცოტა არ იყოს, ხუმრობა უყვარდა და გამოაცხადა, დედა მშვენიერ ფორმაშიაო, ძმას კი ურჩია, მოხუცს მოეშვი, როგორც უნდა ისე მოიქცესო.

მაგრამ რა უნდოდა თვითონ ბებიას?

მალე კიდევ ერთი ახალი ამბავი შეგვატყობინეს, ბებიამ ჩვეულებრივ სამუშაო დღეს „ბრეგი" დაუკვეთა და ქალაქგარეთ გაისეირნაო. „ბრეგი" მაღალ თვლებზე შეყენებული განიერი ეტლია, რომელშიც მთელი ოჯახი ეტევა ხოლმე. ბაბუა იშვიათად ქირაობდა ხოლმე ამ ეტლს და შვილიშვილებს გვასეირნებდა. ბებია ყოველთვის შინ რჩებოდა, როგორც უნდა შევხვეწნოდით, ხელებს გაასავსავებდა და უარს გვეტყოდა. „ბრეგით" გასეირნებას კ-ში გამგზავრება მოჰყვა. კ. შედარებით დიდი ქალაქია, მატარებლით ორი საათის სავალზეა. იქ დოღი იმართებოდა ხოლმე და ბებიაჩემიც დოღზე გამგზავრებულიყო. მბეჭდავმა ვაჟიშვილმა განგაში ატეხა, ექიმი უნდა მოვიწვიოთო. წერილს რომ კითხულობდა, მამა გაოცებისაგან თავს იქნევდა, მაგრამ ექიმის მოყვანა ძმას მაინც დაუშალა.

ქალაქ კ-ში ბებია მარტო არ გამგზავრებულა. თან იმ რესტორნის მზარეული გოგონა წაიყვანა, სადაც სადილობდა ხოლმე. მბეჭდავი იმ გოგოზე გვწერდა, ცოტა ჭკუასუსტი არსებააო. ამის შემდეგ ეს „ბენტერა" საკმაოდ მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ბებიის ცხოვრებაში. ბებია, ეტყობა, ძალიან შეეთვისა ამ გოგოს, დაჰყავდა კინოში, ხარაზთან, რომელიც თურმე სოციალ-დემოკრატი ყოფილა. მალე ხმა დაირხა, ხარაზის სახელოსნოში ქალები საათობით თამაშობენ ბანქოს და არც ღვინოს იკლებენო.

გამწარებული მბეჭდავი გვატყობინებდა: „ამას წინათ დედამ „ბენტერას" ვარდებით შემკული ქუდი უყიდა, ჩვენს ანას კი კონფირმაციისთვის ჩასაცმელი არაფერი აქვსო". მისი წერილები სულ უფრო ისტერიული ხდებოდა და

შიგ მარტო „ჩვენი ძვირფასი დედის უგვანო, არადარბაისლურ საქციელზე“ იყო ლაპარაკი.

დანარჩენი მამაჩემისაგან გავიგე. სასტუმროს პატრონმაც კი თვალი ჩაუკრა თურმე მამას და ჩასჩურჩულა: როგორც ამბობენ, ქალბატონი ბ-მ თავს ზედმეტი ფუფუნების ნებას აძლევსო. სინამდვილეში კი ბებიაჩემი არც მაშინ ცხოვრობდა დალხინებული. როცა რესტორანში არ სადილობდა, შინ მხოლოდ ერბო-კვერცხს სჯერდებოდა, ფინჯან ყავას დალევდა და ზედ რამდენიმე ორცხობილასაც დააყოლებდა. სამაგიეროდ ყოველთვის ყიდულობდა იაფფასიან წითელ ღვინოს და სადილობისას პატარა ჭიქით გადაჰკრავდა ხოლმე. მარტო სამზარეულო და საწოლი კი არა, მთელი ბინა საგულდაგულოდ ჰქონდა დალაგებული. თურმე ბებიას შვილების დაუკითხავად სახლი დაუგირავებია. ის ფული სად წაიღო, არავინ იცოდა, იქნებ ხარაზსაც მისცა, რადგან ბებიას სიკვდილის შემდეგ იგი სხვა ქალაქში გადავიდა და, როგორც ამბობენ, კარგა დიდი სახელოსნოც გახსნა.

კარგად თუ დავაკვირდებით, ბებიამ ორი ცხოვრება განვლო. პირველი — როგორც ქალიშვილმა, მეუღლემ და დედამ, მეორე კი — როგორც ქალბატონმა ბ-მ, მარტოხელა ადამიანმა, რომელსაც მცირე, მაგრამ მისთვის სამყოფი შემოსავალი ჰქონდა და არავითარი მოვალეობა არ ამძიმებდა. პირველი ცხოვრება ექვს ათეულ წელიწადს გრძელდებოდა, მეორე კი მხოლოდ ორი წელს.

მოგვიანებით მამაჩემს უამბობდნენ, სიცოცხლის ბოლო თვეებში ბებიას რაღაც უცნაურობები დასჩემდაო, დილის სამ საათზე უკაცრიელ ქუჩებში სასეირნოდ გამოვიდოდა და უხაროდა, ქალაქი მარტო ჩემიაო. ერთხელ კი, როდესაც მღვდელი ესტუმრა, მარტოხელა მოხუცს ნუგეშს ვცემ, ღვთისკენ მოვაბრუნებო, ბებიას მისთვის კინოში წასვლა შეუთავაზებია.

ბებია სულაც არ გრძნობდა თავს ეულად. ხარაზთან ალბათ ძალიან მხიარული საზოგადოება იყრიდა თავს: ბებიას ყოველთვის ედგა ბოთლით წითელი ღვინო, ნელ-ნელა წრუპავდა და უსმენდა, როგორ ოხუნჯობდნენ და სასაცილო ამბებს ჰყვებოდნენ ქალაქის წარჩინებულ გვამებზე. წითელი ღვინო თავისთვის ჰქონდა, სხვებს კი უფრო მაგარი სასმელებით უმასპინძლდებოდა.

იგი მოულოდნელად გარდაიცვალა შემოდგომის ერთ საღამოს, თავის საწოლ ოთახში, მაგრამ ლოგინში კი არა, სავარძელში. „ბენტერო“ კინოში ჰყავდა დაპატიჟებული და ისიც სიკვდილის ჟამს მასთან იყო.

ბებია სამოცდათოთხმეტი წლისა გარდაიცვალა. მე ვნახე მისი ფოტოსურათი, კუბოში გადაღებული შვილებისთვის გასაგზავნად.

სურათზე მოჩანს ერთი ციცქნა, ნაოჭებით დაღარული სახე, თხელი ტუჩები და დიდი პირი. თუმცა წვრილი სახის ნაკვთები აქვს, ეტყობა, თვითონ არ უნდა ყოფილიყო წვრილმანი ადამიანი. მან მონობის ხანგრძლივი უღელიც იწვნია და ხანმოკლე თავისუფლებაც.

□

# მაგდა საბო

# გაქცევა სიზმარში

მოთხრობა. თარგმნა ლია თევზაძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დასაწყისი

საავადმყოფოდან დაბრუნებულმა კაცმა ჭიშკართან პირველად ტოტნეს ჰკიდა თვალი, რომელიც ქვემო სართულზე ცხოვრობდა. იგი ისე დაწრიალებდა ბუჩქებთან, თავი იმგვარად ეჭირა, ვითომდა ბაღის მოვლა-პატრონობის გარდა სხვა დარდი არა ჰქონდა რა, მაგრამ პროფესორმა უმალ იგრძნო, მეზობელი მის გამოჩენას კარგა ხანია მოუთმენლად ელოდა. მერე ისე მიაჩერდა, ისე უჩუმრად მიუახლოვდა და მხარზე ხელი მოუთათუნა, დიდი მიხვედრა არ სჭირდებოდა, ტოტნეს მოესწრო ქირურგიულ განყოფილებაში დარეკვა და უკვე იცოდა, ვალიმ ოპერაცია რომ ვერ გადაიტანა. მოხუცმა ქალმა სცადა ნუგეში ეცა, ხმადაბლა რაღაც ჩაულაპარაკა, თვალებზე ცრემლი მოადგა. უსიტყვოდ ჩამოართვეს ერთმანეთს ხელი და პროფესორმა შვებით ამოისუნთქა: მომისამძიმრა და ალბათ დამეხსნება. ავალ ახლა მაღლა, დავჯდები ჩემს ოთახში და ყველაფერს მშვიდად ავწონ-დავწონი, მაგრამ იმედი გაუცრუვდა. მარტო დარჩენა ვინ დააცალა! მოხუცი ტოტნე ფეხდაფეხ მიჰყვა. რაწამს დაკეტილ კარს მიადგნენ, პროფესორს გასაღები ჩამოართვა, კარი გააღო და ოთახში შეუძღვა, ჯიქურ გაემართა სამზარეულოსაკენ და პროფესორს მოესმა, მოხუცმა ქალმა როგორ აუტეხა ჭურჭელს რახარუხი, მერე გაზი აანთო და ჩაიდანი შემოდგა ქურაზე. სანამ წყალი არ ათუხთუხდა, სამზარეულოდან არ გამოსულა. შემდეგ ლანგარი შემოიტანა და ერთ ადგილზე დადგა, ეტყობა, ფეხსაც არ მოიცვლიდა, ვიდრე ბატონი პროფესორი ჩაის არ მიირთმევდა. კაცს კი ყელში არაფერი გადასდიოდა. შემოვიდნენ თუ არა ოთახში, ფრიცმა ოდნავ წამოსწია თავი, მაგრამ არ წამომდგარა. იატაკზე უღლაჯოდ გაშოტილი ძაღლი დაძენძილ ხალიჩას ჰგავდა, ახლაც ისევე იწვა, როგორც დილას დატოვა. რაც მისი პატრონი საავადმყოფოში წაიყვანეს, მონუსხულივით იწვა ერთ ადგილას. საგონებელში ჩავარდნილი პროფესორი ფრიცს თვალს არ აშორებდა: თუ ბიჭი ხარ, მიდი და ძაღლს რამე შეაგნებინე. არადა, დღეს, რაღაც არ უნდა დაუჯდეს, უნდა

მიაჩვეტროს, უბედურება რომ დაატყდათ თავს, მაგრამ რა ქნას, თუკი ფრიცს მისი არაფერი ესმის. მარტო ვალის შეეძლო მასთან საუბარი, მარტო ვალი თუ გააგებინებდა, ცოცხალი აღარ ვარ, სამუდამოდ გამოვესალმეთ წუთისოფელს. ვალის ხომ ისიც უთქვამს მისთვის, კბილი მტკივა და სასტომატოლოგიურში ნუ მექაჩებიო; ისიც შეუძლია — მთელი ფული შემომეხარჯება, ამ [illegible] გუნებაზე ვერა ვარო. სასოწარკვეთილი თვალებით შესცქეროდა ხოლმე ძაღლი პატრონს. პროფესორმა გულში გაივლო: ნეტავ ეს მოხუცი ტოტნე მაინც დროზე მომწყდებოდეს თავიდან, აქაურობას ცოტა ხელს მივკრავ-მოვკრავ, პირველად ფრიცის იმ გულისამრევ ჯამს გადავუძახებ სანაგვე ყუთში, ვალის წამდაუწუმ ოთახში რომ რჩებოდა, ფრიცის ჩალიჩასაც ზედ მივაყოლებ, მერე თასმას, ვიტამინებით გატენილ შუშებსა და ალიკაპსაც მოვაშორებ აქედანო...

თუმცა ჭერჭერობით თავი ვერაფერს მოაბა. მართალია, დედაბრის წასვლის საშველი დაადგა, მაგრამ მთელი სახლი ფეხზე დააყენა თურმე, კაცი არ დაუტოვებია, არ ეთქვა, პროფესორი დაქვრივდაო, და ახლა წარამარა რეკავდა ზარი — მეზობლები მოსასამძიმრებლად მოდიოდნენ. პროფესორი დგებოდა, ჯდებოდა, სტუმრებს ესალმებოდა, ყველას სათითაოდ მადლობას უხდიდა თანაგრძნობისათვის, წამდაუწუმ აღებდა და ხურავდა კარს. იმ ყოფაში გაატარა დღის მთელი მეორე ნახევარი. ისე განსაჯეთ, იმ დღეს ლიფთარიც კი ეწვია, ვიღაცა ახლდა საბინაო კომიტეტიდან. ლიფთარს ხმა არ ამოუღია: გულამოსკვნილი ქვითინებდა მხოლოდ. როგორც ჩანს, მეზობლები ისე შეაძრწუნა ვალის სიკვდილმა, ვერავინ ამჩნევდა — ეს გაუთავებელი მისვლა-მოსვლა პროფესორს რომ აწუხებდა.

მოსაღამოვდა. როგორც იქნა, ისა და ფრიცი მარტონი დარჩნენ. პროფესორმა მანქანა გარაჟში კი არ შეიყვანა, იქვე: ჭიშკართან დააყენა. ცოლის სიკვდილის შემდეგ საავადმყოფოდან წამოღებულ ჩემოდანში ძაღლის მთელ ავლა-დიდებას მოუყარა თავი. ფრიცი ყურებჩამოყრილი იდგა, სანამ ალიკაპს ამოხსნიდნენ. რაც ვალი საავადმყოფოში დააწვინეს, ძაღლს თითქმის აღარ მოუთხოვია გარეთ გასვლა, სეირნობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო და პროფესორმა იფიქრა, ქუჩაში ახლა უფრო ადვილად გავიტყუებო. მაგრამ მოულოდნელად ძაღლი გაუძალიანდა, ბოლოს სახლიდან რის ვაი-ვაგლახით გაათრია. გეში თუ აილოო, — გაიფიქრა პროფესორმა და უმალვე ვალი დაუდგა თვალწინ, გაახსენდა, როგორ უმტკიცებდა ცოლი, ფრიცი ბევრ რამეს წინასწარ გრძნობს და ბევრი რამ ადამიანებზე უკეთ ესმისო. ალღომ აშკარადაც არ უღალატა. ფრიც, აბა, გეყოფა, წავიდეთ, შე მამაძაღლო, შენა!

სადარბაზოში დამლაგებელი ქალი კარის სახელურებს აპრიალებდა. პროფესორს გულთბილად მიესალმა. თუ გნებავთ, ძაღლს მე გავასეირნებო, — შესთავაზა. ალბათ ძნელია დღეს თქვენთვის სახლიდან გასვლა და ქუჩა-ქუჩა სიარულიო. პროფესორმა მადლობა გადაუხადა — ხვალიდან დიდად მოხარული ვიქნები, თუ ვინმე დამეხმარება, დღეს კი შინ აბა რა გამაჩერებს, ცოტა გული თუ არ გადავაყოლე, ძალიან მიჭირსო, თქვა და სიხარულით ცას ეწია, ამის თქმა რომ მოახერხა. უბედურების ჟამს სწორედ ასეთ სიტყვებს ამბობენ ქვრივები. სანამ ერთი რიგიანად არ დაუცაცხანა, ფრიცი მანქანაში ვერ ჩასვა. წინათ ძაღლს დიდი ხვეწნა-მუდარა არ სჭირდებოდა, თავადვე გარბოდა მანქანისაკენ, უმალვე შიგ ისკუპებდა და ვალის გვერდით მოიკალათებდა ხოლ-

მე. ახლა კი უცნაურად მოიბუზა და აწკმუტუნდა. იწკმუტუნე, იწკმუტუნე, ძაღლი ხარ და უნდა მოითმინო!

ჟინჟღლვა დაიწყო. ბუდაპეშტიდან სამოცი კილომეტრი რომ გაიარა, იქვე რედეჩთან, ტყის პირას მანქანა გააჩერა. ძაღლის ზარგლ-ბურხვას ბეჭქებში გადაუძახა და ფრიცს ალიკაპი შეხსნა, მაგრამ იგი მანქანიდან ჩამოსვლას არ აპირებდა, ოთხივე თათით ჩაფრენოდა სავარძელს. პროფესორმა ფრიცი ძალისძალად გამოათრია, სიჩქარე ჩართო და მანქანა უკანვე გააქროლა. თითქოს ცამ პირი გახსნაო, კოკისპირული წვიმა წამოვიდა. პროფესორი ისე შეიპარა ოთახში, მეზობლებისათვის თვალი არ მოუკრავს, მერე ვალის ექიმს დაურეკა, ყურადღებისათვის მადლობა გადაუხადა, შემდეგ ზოგიერთი ნაცნობ-მეგობარიც გაიხსენა, ვინც ისე თუ ისე ახლობლად მიაჩნდა: ჰო, ამ დილით გარდაიცვალა. არა, სულ არ უწვალია. კარგია, რომ ნარკოზიდან ვერ გამოფხიზლდა. რაც მართალი მართალია, თუ ეს ეწერა, რაღა თქმა უნდა, ასეთი სიკვდილი სჯობდა. რას ბრძანებთ, განა ეგ საკითხავია?! ლამის გაგიჟდეს, არა, გმადლობთ, რა საჭიროა. აქედანვე უნდა მიესვიოს მარტოობას. ამბობენ, საწყალ კაცს ქვა აღმართში მიეწევაო. ფრიციც რომ დაეკარგა! ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, ვერაფერი გაიგო. სასეირნოდ გაიყვანა. უცებ ძაღლი ხელიდან დაუსხლტა, ერთი კი დაიყმუვლა და უკან არ მოუხედავს, ისე მოკურცხლა, თვალსა და ხელს შუა გაქრა. ეჰ, ფრიცს რა უჭირს. არაფერი გაეგება. ჰო, ისე, რასაკვირველია, ნამდვილი ოჯახის წევრივით იყო. ხვალვე მივიკითხ-მოვიკითხავ. „მადიარ ნემზეტშიც“ გამოვაცხადებ. რაო, სამტყავებლოში დავრეკო? მართალს ბრძანებთ, რას ვიზამ, კაცი იმედით ცხოვრობს.

პროფესორს შიმშილზე მეტად წყურვილი ჰკლავდა, მაცივრიდან ლუდი გამოიღო და პირზე მიიყუდა. რაკიღა სამზარეულოში შედგა ფეხი, გადაწყვიტა აქაურობაც მიელაგ-მოელაგებინა. ვალი ნივთების გიჟი იყო, წლიდან წლამდე თაროებსა და კუთხეებში ათასნაირ ხარახურას ინახავდა, გადასაყრელად ვერაფერს იმეტებდა. კაცმა თეთრეულის კალათში ჩაუძახა, რაც კი თვალში არ მოუვიდა, თან თითქოს ესმოდა, თვალცრემლიანი ვალი როგორ შესთხოვდა: შეჩერდი, გემუდარები, აბა რას სჩადიხარ. დაფიქრდი ერთი, რამდენი წელია ერთგულად გვემსახურებოდა ეს ნივთები. არ გახსოვს, აი, ამ ქვაბში აკეთებდი საჭმელს ჩემი საყვარელი პიროშკა... ამ როდინში ნაყავდა მამაჩემი წამალს. ეს ძველებური, ფაიფურის როდინია, წინათ აფთიაქებში ხმარობდნენ...

ასე იტრიალა შუაღამემდე. არჩევდა და ნაგავს ატანდა ყველაფერს, რაც არა სჭირდებოდა. მერე ჩიტების საკენკიც გადაყარა. მორჩა თუ არა საქმეს, იბანავა და საწოლს მიაშურა. ლოგინში არც ავად უგრძვნია თავი, არც კარგად. მიჩვეული იყო მარტო წოლას. აი უკვე რამდენი წელია ვალის ცალკე, თავის ოთახში ეძინა. კაცს ეს ღამეც ჩვეულებრივი ეჩვენა, ოღონდ უფრო ჩუმი და მშვიდი. ძილს აღარ უკრთობდა დერეფანში აწრიალებული ფრიცი. პროფესორს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ამიერიდან კარზე ზარის რეკვით თავს აღარ შეაწუხებდნენ, რადგან ცოცხალი აღარ იყო ვალი, ვის გაღვიძებას შუაღამისასაც კი არავინ ერიდებოდა.

# ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ

შენ მაგივრად მე რომ ვიწვე ამ საზარელ კუბოში, ამ გვირგვინებს შორის, ვიცი, მწარე ცრემლს არ მომაკლებდი, დარდისაგან გაძვალტყავებული სიკვდილს შესთხოვდი: შეიბრალე და შეიწყალეო. გულშიაც კი არ გაივლებდი, კარგი ქმარი რომ არ ვიყავი, როგორც მე ვფიქრობ შენზე ამ წუთში. ასეა, ასე, კარგი ცოლი ვიყავით, ვერ დაიკვეხნი, თუმცა რას ვამბობ, ვერც მე გავწიე ღირსეული უღელი ქმრისა. გამოგიტყდები, ვალი, შენც სხვებივით თავს მაბეზრებდი, ვინაც საქმეში ხელს მიშლიდა. რამეთუ ჩემი იმედები ქარს გაატანე, მე კი უზომოდ გენდობოდი, სალ კლდედ მიმაჩნდი, — სასტიკი გავხდი, უფრო მეტად გულჩათხრობილი.

რად მომატყუე?!

ცოლად იმიტომ მოგიყვანე, რაღაცით დედაჩემს ჰგავდი. დედაჩემი კი — ყოველთვის: ასე ვფიქრობდი — ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, ცივი ნიავიც კი არ მოუკარებია ჩემთვის. ცდილობდა არავის დაერღვია ჩემი სიმშვიდე. ხომ გაგაფრთხილე ქორწინებამდე — შინ ხმაურს ვერ ავიტან, ვერც რადიოს აყალრიალებს, როცა ვმუშაობ-მეთქი. მუშაობისას კი, მოგეხსენება, დღე იქნება თუ ღამე, ბუზის გაფრენა უნდა ისმოდეს. მაშინ არ იყო, ისიცა გთხოვე: ჩემ უკითხავად აქ ფეხს ნურავინ შემოდგამს-მეთქი, მე უნდა მკითხონ, სტუმრის მიღებას როდის ვინებებ. ცილს ვერ დაგწამებ: შენს ნათესავებს, რაც მართალი მართალია, თავს არ მახვევდი. ის ჩერჩეტი და რეგვენი ყმაწვილი ქალი, გათხოვებამდე ამხანაგი რომ იყო შენი, ცოდვას ვერ ვიტყვი, ჩვენს ოჯახში არც დამილანდავს. გამოგიტყდები, ჩემი გულისთვის შენ ყველაფერს ზურგი აქციე, თუკი რამ ისევ გაკავშირებდა ძველ სამყაროსთან. და მაინც როგორ გამაწბილე: აი აქ, ამ ჩვენს სახლში დატრიალდა ცოდო და მადლი, როცა ნელინელ საკუთარი სამყარო შექმენი. ვინღა არ მოდიოდა შენთან რჩევის საკითხად თუ სათხოვნელად: გეგონებოდა, მოვალე იყავი ყველასთვის პასუხი გაგეცა და გენუგეშებინა. უარის თქმა შენ არ იცოდი, სხვისი უბედურება მუდამ შენად მიგაჩნდა, თავს არავის აარიდებდი. ჰო, იმედები გამიცრუე.

ნუღარ დამიწყებ იმის მტკიცებას, დამნაშავე არა ვარო. სულ ყველაფერი შენი ბრალია. თუ ადამიანს უპატრონო კატა ან ძაღლი საშველს არ გაძლევს, უნდა იქავე მიატოვო, გაექცე სადმე. თუკი გაჭირდა, ტრამვაისაც, ავტობუსსაც უნდა შეახტე. მითხარით ერთი, ვინ მოათრევს სახლში ცხოველებს, ვინ აძლევს იმათ თავშესაფრად საკუთარ ბინას, იმის გამო, რომ იგი უპატრონოა, ანდა სნეული, ან გათიშული. კარგად იცოდი, როგორ მძაგდა უწესრიგობა, ჭუჭყი და მტვერი, გულს ვერ ვუდებდი სამუშაოს, თუ არა ვგრძნობდი ირგვლივ სიმშვიდეს. ჩვენს ბინაში კი რა ხანია გაძლება ჭირდა, რადგან ოთახში ძაღლი ყეფდა, ფანჯარასთან კი მტრედები ქოთქოთებდნენ. შაშვი და წიწკანები საკენკს კენკავდნენ. რაც მთავარია, წამდაუწუმ ვიღაც რეკავდა, არც დღე იცოდნენ და არც ღამე: კარის გაღებას ვინ დაგასწრებდა, ყველას რაღაცით ხელს უმართავდი, რჩევას აძლევდი. ისე გულთბილად ხვდებოდი ხალხს, თავად არ ვიცი, როდის დაგშორდი. შენ მეზობლების სასურველი სტუმარი იყავ და შენი სახლიც ღია იყო ყველასათვის, ვალი. განა ვერ

ვგრძნობდი, შენი ეგეთი გულმოწყალება ჩემს მეცნიერულ სამუშაოს ძირს რომ უთხრიდა. შემოათრევდი მეზობელ ვეინს, ტელევიზორს რომ აყვირებს მუდამ. დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, წიგნი რა არის, იმან არ იცის, სურათებიან საკვირაო დამატებებს თუ გადაჰკრავს თვალს. არც ლიტერატურას აკლდა შენი ზრუნვა-მფარველობა, უკან დასდევდი ამ ენაბლუს, არადა — მგონი, ძაღლიც კი იმაზე გონიერია. თუმცა „სტუმრები“ შენს ოთახში იკრიბებოდნენ, მე მაინც მათი შენთან ყოფნა სულს მიმძიმებდა. როგორც კი სახლში უცხო კაცი ფეხს შემოდგამდა, ორივენი თავგზას ვკარგავდით. რამდენჯერ ვცადე, მკაცრად მეთქვა, კარს ნუ გააღებ, მაგრამ შენ მაინც შურდულივით გავარდებოდი ზარის ხმაზე, თავს იმართლებდი: რა იცი, ეგებ უბედურება შეემთხვათ რამე, ვინძლო ვჭირდები...

ყველაზე მეტად მე მჭირდებოდი! შენ კი გლახაკთა, უმწეოთა ქომაგი იყავ. ნუთუ ვერ ხედავ, რარიგ უჭირთო — რამდენჯერ გითქვამს, როცა ბრალს გდებდი, როცა გავსებდი საყვედურებით. მერე თვალებში ჩამხედავდი, ზოგჯერ კი მწარედ ქვითინებდი. ჩემ წინ იდექი, მაგ წინსაფარს ვერ ელეოდი, მუდამ ფუსფუსებდი, ხან ვიტამინებს ფქვავდი ძაღლისათვის, ხან ჩიტებს უყრიდი საკენკს, ხანაც მოხუც ტოტნეს უსხამდი წვნიანს. არ მახსოვს, მუდამ სადღაც მოჩქარეს, ეგ ბულიონი დერეფანში არ დაგექცეოდა. შენ მოგიგდებდნენ, თუ სადმე ვინმე უპატრონო კატას ნახავდა, ან კიდევ სნეულ, მიგდებულ ძუკნას წააწყდებოდა. ვინც უცხო ენა არ იცოდა, შენ უთარგმნიდი. აქ მოდიოდნენ დასარეკად, თუ ტელეფონი გაფუჭდებოდა. უჭირდა ვინმეს — ფულის დარდებს შენ უქარვებდი. რამდენჯერ ფული უთხოვიათ. გაწბილებული არვინ წასულა. ისიც ხდებოდა, ერთ მეზობელს ნოტარიუსთან ცნობისათვის შენ გაჰყოლიხარ, სხვისი ფულისთვის სასამართლოში სიარულიც არ დაგკლებია.

ო, ღმერთო ჩემო, როცა ჩაგრულებს ქომაგობდი, რა კერპი იყავ! როგორ ცდილობდი, შენს მხარეზე გადავეყვანე; თან მიმტკიცებდი — ჰო, მე ვარო მაინც მართალი. რას არა მჩრიდი, გზააბნეული ქალი გინდა თუ კიდევ სხვა რამე. მევედრებოდი, შეხედეო, დააკვირდიო, რა თვინიერი თვალები აქვსო, რა ჭკვიანი, მოსიყვარულეო. როცა ერთად ვბრუნდებოდით შინ სალამოხანს, სალამს ლიფტიორიც ვერ დაგასწრებდა. შემაჩერებდი, მთხოვდი, მეთქვა მისთვის რამე, სულ ერთი იყო, რაც იქნებოდა, ოღონდაც მეთქვა — „როცა ასეთი მეცნიერი თავს გაუყადრებს, პატივად ჩასთვლის, ეს დღე იმ საწყალს არასოდეს დაავიწყდება“...

ოჰ, კი გესმოდა და იცოდი ჩემი ფასი, როგორ ვერ მიხვდი ჩემს სისუსტეს, ჩემს უმწეობას? განა ბევრს გთხოვდი: სიჩუმე და სიწყნარე მსურდა. უშფოთველი სიჩუმე მხოლოდ. შენ არ გაიღე მოწყალება, ჰოდა, ახლა ჯერი ჩემზეა, ახლა შური უნდა ვიძიო. შურისძიება ის იქნება, რომ დაგივიწყებ, ჰო, დაგივიწყებ, თითქოს არასდროს არც ყოფილხარ ჩემი ცოლი, თითქოს ამქვეყნად არც გიცხოვრია. შენ განა მარტო სხვებისთვის მოკვდი, უპირველესად ჩემთვის ხარ მკვდარი!

## შემდეგ

ვალი უღიმის და ეუბნება — წყლის ნაყვაო ეგ ყველაფერი, მტკნარი სიცრუე.

პროფესორსაც გაეღიმა, რადგან მისი ნათქვამი არ დაიჯერა.

## დაბოლოება

ყველაფერი მტრედებისა და წიწკანების ბრალი იყო.

რაფა, სადაც ვალი ჩიტებს საკენკს უყრიდა, რა ხანია სუფთა იყო და ცარიელი. დამლაგებელს ახკესიც ჩამოეღო, ყოველ ზამთარ ქონის ნაჭერს რომ წამოაგებდა ხოლმე ზედ ვალი, მაგრამ მტრედები რაფას მაინც არ სცილდებოდნენ. მოდგებოდნენ ფანჯარასთან და უტიფრად იჭვრიტებოდნენ ოთახში. არც მოლაღურებმა უღალატეს ჩვეულებას, ერთს კი შეიფრთხიალებდნენ ხოლმე რაფაზე და პაწაწკინტელა მძივისებრ თვალებს უცნაურად წკურავდნენ.

ჩიტები რაღაცას ელოდებოდნენ.

რაწამს კაცი ფანჯარას გამოაღებდა და ცხვირსახოცის ფრიალს მოაყვებოდა, იქნებ როგორმე დავაფრთხო და თავიდან მოვიშოროო, ფრთოსნები ახლა შადრის შეესეოდნენ და იქიდან უთვალთვალებდნენ. პროფესორი გუმანით გრძნობდა, ჩიტებს არ ეშინოდათ მისი, აინუნშიც არ აგდებდნენ, რასაც შვრებოდა, ხოლო მიხურავდა თუ არა ფანჯარას, კვლავ ნაცნობ რაფას მოაწყდებოდნენ. ჭიკჭიკს მორთავდნენ, ზოგჯერ თითქოს ესაუბრებოდნენ კიდეც. პროფესორს მანამდე არ შეუნიშნავს, თურმე როგორ ღუღუნებენ მტრედები, რა უჩვეულო სიპრანჭით სტვენენ მოლაღურები. დღეში ხუთჯერ, ექვსჯერ მაინც უხდებოდა ჩიტების გასარეკად მაგიდიდან წამოდგომა და, როცა დააპირებდა მუშაობის გაგრძელებას, დამფრთხალ აზრებს თავს ვეღარ უყრიდა.

მოვიდა ზამთარი. მოზვავდა თოვლი. აბუზული ჩიტები ხის ტოტებზე გარინდულიყვნენ. თავჩაქინდრულებს ფრთები ჩამოყროდათ. მათი საცოდაობით კაცს გული მოეკვლებოდა. პროფესორს კი უფრო მათი სიბრიყვე აღიზიანებდა. დილა-საღამოს ფანჯარასთან აყუდებულ ხეს რომ შესევიან, სადმე სახურავს მაინც შეაფარონ თავიო. ალბათ კუჭი უხმებათ და იმიტომ არ შორდებიან აქაურობას — იფიქრა ერთხელ. არც აცივა, არც აცხელა, ადგა და საკენკი იყიდა. იფიქრა, რომ ჩიტები საკენკს დაეძგერებოდნენ და ცოტა ხანს მაინც მოითქმევინებდნენ სულს, აგრერიგად აღარ შეჰკუნტდებოდნენ ტოტებსა და რაფაზე, აღარ მიაპყრობდნენ უტყვ, უცნაურ მზერას. რაფაზე თოვლი გადაწმინდა და პირდაპირ პარკიდან სცადა საკენკის დაყრა, მაგრამ ვერ მოახერხა. ადგა და სამზარეულოდან ღვინის ფიალა გამოიტანა, მარცვლები იმით ამოიღო და რაფაზე დაყარა, ასე უფრო ეადვილა. ზიზღით დახედა ჭუჭყიან ფიალას. მტრედები რაფას მიაჩერდნენ, ჩიტები აღლურტულდნენ და საკენკს ეცნენ, ფეხებით მარცვლები სულ აქეთ-იქით მიმოფანტეს, ხანდახან ჩინისკარტებასაც არ ერიდებოდნენ. წამში ყველაფერი ისე პირწმინდად მოა-

სუფთავეს, ნამცეციც არ დაუტოვებიათ, მერე, თითქოს ვიღაცამ უბრძანათო, შეფრთხიალდნენ და იქაურობას გაეცალნენ. მეორე დილამდე პროფესორს მათთვის თვალი აღარ მოუკრავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერე იყო და ფრიცი დაბრუნდა.

ძაღლის გამოჩენაზე მთელი სახლი აქოთქოთდა. ფრიცი სადარბაზოში უმალვე როდი შევარდნილა, ჯერ აივანქვეშ შეჩერდა და მხიარული ყეფა მორთო. ვინც კი ფანჯარაში დეიდა ტოტნეს ვაციშვილის მანქანიდან ჩამომხტარ ფრიცს მოჰკრა თვალი, ყველა გარეთ გამოეფინა და ერთი ზარზეიმით გამოუძღვა პროფესორის ბინისაკენ. მოხუცი ტოტნე ქალაქგარეთ, ვაციშვილთან ყოფილიყო სტუმრად. ის იყო თურმე უკან ბრუნდებოდნენ და რიჟეჩს ჩაუარეს, რომ ერთ-ერთი სახლის ეზოში ქალმა ფრიცი დაინახა — ძაღლი ჯაჭვით დაებათ, მაგრამ მისი ცნობა, აბა, როგორ გაუჭირდებოდა, რა დაავიწყებდა შავ-თეთრი ლაქებით მოხატულ მის სასაცილო ბეწვს. ახალმა პატრონმა ხმის ამოუღებლივ დაუბრუნა იგი დეიდა ტოტნეს, ძაღლმაც უმალვე იცნო მოხუცი და გახარებულმა სახე და ხელები აულოკა. ფრიცი ოთახში შეიყვანეს თუ არა, აღტაცებული, თავის სიცოცხლეში პირველად მიახტა პროფესორს მკერდზე და თავის ენაზე რაღაც სასიხარულო წაუწკმუტუნა. რაღა თქმა უნდა, პროფესორი ვერაფერს მიხვდა, მაგრამ ნირი წაუხდა, რადგანაც იგრძნო — ფრიცს უხაროდა, ისე უსაზღვროდ უხაროდა მისი დანახვა, როგორც ოდესღაც ვილის დანახვა გაუხარდებოდა, კიდევ იმიტომ შეცბა, რომ იმასაც მიხვდა — ძაღლს უკვე დავიწყებოდა, როგორ მოექცნენ იმ საღამოს, როგორ დატოვეს ტყეში ღვთის ანაბარა და ახლა, ბედნიერი, ლამის ცას სწვდებოდა, შინ დაბრუნება და კვლავ პატრონის ხილვა რომ ეღირსა. ღრიჭოდ დარჩენილ კარში ფრიცს მეზობლები შემოჰყვნენ. წინ აღელვებული, აქოშინებული დეიდა ტოტნე მოუძღოდათ. დაუპატიჟებელი სტუმრები არაფერს ერიდებოდნენ, — ზოგი სად დაჯდა, ზოგი კიდევ სად, ზოგმაც წიგნების თვალიერება დაიწყო. ვიღაც ქალმა, ვისი სახელიც კი არ იცოდა, მაშინვე სამზარეულოსაკენ აიღო გეზი — ეგების მაცივარში ძაღლისთვის რამე გემრიელი ვიპოვოო. ერთ წამში მთელი ბინა გადაქექ-გადმოქექეს და როცა საჭმელს კი არადა, რძე რომ რძეა, იმასაც ვერ მიაგნეს, სანოვაგის მოსატანად თავთავიანთ ბინებში გაცვივდნენ. სამი გულჩვილი მეზობელი ფრიცს დიდი ამბით უმარჯვებდა საჭმელს. ძაღლი სწორედ იმ ხალიჩაზე მიირთმევდა, რომელიც აი უკვე რამდენიმე კვირა იყო არავის გაეხვავა.

ლიფთარი რომ გამოეცხადა, მაშინ კი მართლა დაჰყარა პროფესორმა ფარხმალი და თავი დამარცხებულად აღიარა.

ბინის დამლაგებელი ქალი თავის საქმეს მორჩებოდა თუ არა, შუადღისას, ნასადილევს, შინ ბრუნდებოდა, დღის დანარჩენი ნაწილი და მთელი საღამო პროფესორი სულ მარტო იჯდა. იმწამსვე ზარს გამოთიშავდა, კარს არავის უღებდა, თუმცა იცოდა, თუ კართან ვინმე იყო მომდგარი, ფრიცი მაშინვე ალრინდებოდა, წამოხტებოდა, და იქითკენ გავარდებოდა, პატრონს გამოხედავდა, თითქოს ბრძანებას ელისო. ძაღლი რა ხანია მიეჩვია პროფესორს, თვალებში შეჰფოფინებდა და სადაც ის დაჯდებოდა, თვითონაც იქ მოიკალათებდა ხოლმე. ვიდრე ვილი ცოცხალი იყო, პროფესორი ფოსტას თვითონვე ღებულობდა, ახლა ეს საქმე მეკარეს გადააბარა. იგი აწერდა ხელს მის მაგივრად დამტარებლის წიგნაკში, შემდეგ კი კორესპონდენციებს საფოსტო ყუთ-

ში ყრიდა. პროფესორს დღენიადაგ ავიწყდებოდა, გაესინჯა — ედო თუ არა შიგ რამე. რამდენჯერ გაუცდენია ფრიად მნიშვნელოვანი თათბირი იმის გამო, რომ დაგვიანებით ამოუღია ყუთიდან მოსაწვევი ბარათი. კაცმა გულში მტკიცედ გადაწყვიტა: ამიერიდან ზარის ხმაზე კარს უთუოდ გავაღებ: ღმერთმა უწყის, ეგების დეპეშაა, ან სიმპოზიუმზე მიწვევენო.

პოდა, არც შემცდარა — ფოსტალიონი სამჯერ ზედიზედ ეწვია. მეოთხეჯერ კი, როცა პროფესორი კართან მიიპარა და პაწაწკინტელა სარკმელი გამოაღო, ზღურბლთან ატუზული ლიფთარი დაინახა. ორივენი უხმოდ მიაჩერდნენ ერთმანეთს. ლიფთარს თვალები, ცხვირი და ულვაში მოუჩანდა. ისე ახლოს იდგნენ ერთმანეთთან, პროფესორს სტუმრის სუნთქვაც კი ესმოდა.

— რა გნებავთ? — ცივად შეეკითხა კაცი.

ლიფთარი ხმას არ იღებდა. თვალს არ აცილებდა და ტუჩებს აცმაცუნებდა — იტანჯებოდა, იგრიხებოდა, ცდილობდა რაღაც ეთქვა და ქოშინისაგან ულვაში უთრთოდა. პროფესორმა სარკმელი მიაჯახუნა, გადაწყვიტა გულისყური მოეკრიბა და კვლავ სტატიას მიბრუნებოდა, მაგრამ ამაოდ. ისევ აწკარუნდა ზარი, ისევ გავიდა გარეთ, კართან ისევ ლიფთარს შეეფეთა, — მოთმინებადაქცეული სარკმელში ისე იყურებოდა, თითქოს რაღაცას ელოდებაო. პროფესორმა სხვა რომ ვერაფერი მოახერხა, პალტო მოიხურა და სახლიდან გავარდა. ლიფთარმაც უკან დადევნება სცადა, მაგრამ აბა, რას დაეწეოდა. გვიან დაბრუნდა, სანამ არ მიათვალ-მოათვალიერა, კართან ვინმე ხომ არ წდარაჯობსო, შინ ვერ შევიდა. ირგვლივ კაცის ჭაჭანება არ იყო. საკუთარ ბინაში კაცი ქურდულად მიიპარებოდა.

იმ კვირაში ორ-სამჯერ მაინც სცადა ლიფთარმა მასთან შესვლა, შემდეგ კი მოულოდნელად მის ნაცვლად საბინაო კომიტეტის რწმუნებული ეწვია. პროფესორმა იგი ოთახში შეიპატიჟა. სტუმარმა მოწიწებით გადახედა საწერ მაგიდას და ზედ მიყრილ-მოყრილ ქაღალდების გროვას. შეცბუნებულმა სათხოვარს თავი ძლივს მოაბა. ვალის დანატრებული სახელის გაგონებაზე ძაღლმა ყურები ცქვიტა, თავი წამოსწია და რწმუნებულს მიაჩერდა.

— ლიფთარის გულისათვის გაწუხებთ, ბატონო პროფესორო, — უთხრა რწმუნებულმა. — ვალი ძალიან ახლოს იყო ამ საცოდავთან. მეგობრობდნენ კიდეც, და ახლა ლიფთარი საოცრად განიცდის უმისობას. ამიტომ გიტალახიანებთ კარს ასე ხშირ-ხშირად.

პროფესორი დუმდა. ჩუმად აბოლებდა და თვალს არ აშორებდა რწმუნებულს. გრძნობდა, საოცარი რამ ემართებოდა. ფრიცი, რაღა თქმა უნდა, იქვე იჯდა ფერხთით და თავი მის კალთაში ედო. პროფესორმა უნებლიეთ ხელი ყურებთან მოუთათუნა და სახტად დარჩა: ვალიმაც ხომ ასე იცოდა!

— გეთაყვა, ხანდახან მაინც შემოუშვით, — ევედრებოდა რწმუნებული. — განა არ იცის, რომ საწყალი ვალინკა ცოცხალი აღარაა, მაგის დარდს კინაღამ თან გადაჰყვა, მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ ამ ოთახის დანახვაზე მშვიდდება: ძალიან უყვარს აქ სიარული. არ იფიქროთ, რამეს დაგიშავებთ, კეთილი კაცია. ომმა დააჩიავა და გააუბედურა ასე. ვალინკას ყველაფერი ესმოდა და ამ ბეჩავის ცოდვით გული ეწვოდა. ესეც პატარა ბავშვივით უჯერებდა ხოლმე.

პროფესორი უხმოდ შეჰყურებდა სტუმარს და გრძნობდა, სიგარეტი ხელში სულ უფრო და უფრო მძიმდებოდა და საცაა გაუვარდებოდა კიდეც.

— ლიფთარმა იცის, რომ თქვენ, ბატონო პროფესორო, ვალიკას მეუღლე ბრძანდებით. წარმოიდგინეთ, ამდენი კი ესმის. და როცა კარს მიადგებათ, გემუდარებით, ხელს ნუ ჰკრავთ. შევიდეს ვალიკას ოთახში, არაფერს გავნებთ. უბრალოდ, რამდენიმე წუთს თუ წაგართმევთ, მიიხედ-მოიხედავს და უკანვე გაბრუნდება. კიდევ ერთი რამ უნდა გთხოვოთ... მადლობა [illegible], და რამდენიმე ტკბილ სიტყვასაც ნუ დააყვედრით. მერე მთელი თვე დამშვიდებული ივლის. ისე, ხშირად არც ვალიკასთან დაიარებოდა. სამ კვირაში ერთხელ თუ შემოუვლიდა.

პროფესორმა ძლივს გაისტუმრა რწმუნებული, რომელმაც, თქვენ წარმოიდგინეთ, ბოლოს რაღაც წიგნიც კი სთხოვა, მერე პროფესორი ფანჯარასთან დაჯდა. რაფაზე საკენკის დასაყრელ ღვინის ფიალას ჰკიდა თვალი. ახლა ეს ფიალა სულ ოთახში იდგა. ფრიცს ჩასძინებოდა, მაგრამ ულვაშს უცნაურად აცმაცუნებდა. თათები უთრთოდა. ალბათ სადღაც გარბოდა ძილში. „გაქცევა სიზმარში, — ჩაეცინა პროფესორს. — ნეტავ როგორ უნდა გაიქცე სიზმარში? როგორც ჩანს, ასეთი რამ შეუძლებელია“.

მერე ისე დამშვიდდა, სცადა თავის სამუშაოს მიბრუნებოდა. გულში კი მისდა უნებურად სულ იმას ანგარიშობდა, რამდენს აიღებდა ბინაში, თუ გაყიდვას გადაწყვეტდა; როგორ გადაბარგდებოდა აქედან, ვის დაიხმარებდა. ხუმრობა საქმეა, ცხრა ათასი წიგნის შეფუთვა და გადატანა?! აქეთ რომ გადმოდიოდნენ, ვალიკამ ყველაფერი თავისი ხელით ჩაალაგა.

პროფესორმა წიგნის თაროებს ჩამოუარა. ცხადლივ წარმოიდგინა, ჩაცუცქული სამი მუშა როგორ კრავს და აბინავებს წიგნებს, ის კი ცდილობს, რაც შეიძლება მარჯვედ მიაწოდოს, ლიფთარი განზე გამდგარა, ფეხებში არავის ედება, თავს აქნევს მხოლოდ და თვალებს აქეთ-იქით აცეცებს. ფრიცი უცხოს დანახვაზე იქაურობას ყეფით იკლებს, ხალიჩაზე გართხმული გამალებით იქექება, რაფაზე ჩამომსხდარ მტრედებს კი ერთი ღუღუნი და ყრიამული უდგათ. მოგვიანებით კი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ აქედან გადასვლა სისულელე იყო და სხვა არაფერი, ერთი კია, მართლაცდა ძალზე გაუჭირდა იმ აზრთან შეგუება, რომ თვითონ კარგა ხანია მკვდარია, ვალი კი — ცოცხალი.

□

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლია თაყვარელია

# „რომანტიკული ირონია“ ე. თ. ა. ჰოფმანის შემოქმედებაში კრაისლერის მხატვრული სახის მიხედვით

გამოჩენილი გერმანელი მწერალი ერნსტ თეოდორ ამადეუს ჰოფმანი გერმანული რომანტიზმის ისტორიაში შევიდა არა მხოლოდ როგორც პროზაიკოსი — ფანტასტიკური მოთხრობების, ზღაპრებისა და რომანების ავტორი, არამედ აგრეთვე როგორც კომპოზიტორი, მუსიკის-თეორეტიკოსი, მხატვარი-კარიკატურისტი, თეატრალური მოღვაწე. მან შექმნა ოპერები — „უნდინე“ (1816), „სიყვარული და ეჭვიანობა“ (1807), „უკვდავების წამალი“ (1808), „უცხოელი მხიარული ქალები“ (1811), კომიკური ოპერა „მხიარული მუსიკოსები“, ბალეტი „არლეკინი“ (1809), მრავალი სიმფონიური და ვოკალური ნაწარმოები, დაწერა მუსიკა კალდერონის, შილერის, კლაისტისა და სხვა დრამატურგთა თეატრალური დადგმებისათვის.

ჰოფმანის სტატიებმა, რეცენზიებმა და წერილებმა საფუძველი ჩაუყარა რომანტიკულ მუსიკალურ კრიტიკას გერმანიასა და დასავლეთ ევროპაში. ამ სტატიებში ჰოფმანი აანალიზებს ბახის, გლუკის, მოცარტის, ჰაიდნის, ბეთჰოვენის შემოქმედებას. თავისი ესთეტიკური შეხედულებები ჰოფმანმა ჩამოაყალიბა ნოველა-ზღაპრებისა და სტატია-ნარკვევთა ოთხ საკმაოდ ვრცელ კრებულში: „ფანტასტიკური მოთხრობები კალოს მანერაზე“ (1814—1815), „ღამის მოთხრობები“ (1816 1817), „სერაპიონელი ძმები“ (1819—1821) და „უკანასკნელი მოთხრობები“ (1825); აგრეთვე დიალოგური ფორმის ნაწარმოებში „თეატრის დირექტორის საოცარი წამებანი“ (1818), ზღაპრებში „პატარა ცახესი, ცინობერად სახელდებული“ (1819), „ოსტატი რწყილი“ (1822) და „პრინცესა ბრამბილა“ (1820); რომანებში „ეშმაკის ელექსირი“ (1815) და „კატა მურის ცხოვრებისეული შეხედულებები“ (1821), აგრეთვე მიმოწერებში, მოგონებებსა და დღიურებში.

ხელოვანი ჰოფმანის შემოქმედების ცენტრალური გმირია, ხოლო კრაისლერი ყველაზე სრულყოფილი, კრებით-სინთეზური სახეა ხელოვან გმირთა შორის. კრაისლერი განასახიერებს რომანტიკოსი ხელოვანის რთულსა და წინააღმდეგობრივ სამყაროს. ამ მხატვრულ სახეს ჰოფმანი თავისი შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე ქმნიდა — „კრაისლერიანადან“ (1814—1815) მოყოლებული სიცოცხლის ბოლო წლებში დაწერილ რომანამდე „კატა მურის ცხოვრებისეული შეხედულებები“ (1820—1821).

აღუსრულებელი და განუხორციელებელი იდეალისაკენ რომანტიკული ლტოლვა თეორიულ გამოხატულებას ჰოფმანის „რომანტიკული ირონიის“ კონცეფციაში პოულობს, რომელსაც, თავის მხრივ, სათავე ნაწილობრივ კანტ-შილერის ნააზრევში უდევს, მეტადრე კი ფიხტეს ტრაქტატში „ადამიანური ღირსების შესახებ“.

„რომანტიკული ირონიის“ არსი მკაფიოდ და ნათლად დგინდება ანტიკურ-რეალისტურ ირონიასთან მისი დაპირისპირების შედეგად. ანტიკური ირონიის პროგრამული ფორმულირება ძირითადად სოკრატე-პლატონისა და არისტოტელეს მსოფლხედვაშია მოცემული.

ანტიკურ-რეალისტურ ირონიაში დომინანტურ როლს თუმცა სუბიექტი და ცნობიერება იკავებენ, მაგრამ სუბიექტი აქ აბსოლუტად როდია ქცეული. ანტიკურ ირონიაში სუბიექტი და პიროვნება ერთნი არიან, ერთურთს ერწყმიან. ანტიკურ ირონიას არ ახასიათებს სინამდვილისაგან განდგომა, იგი ობიექტურია და ცხოვრებისეული.

„რომანტიკული ირონია“ კი ფიხტეს აბსოლუტურ სუბიექტივიზმშია დაფუძნებული, რაც

იმას ნიშნავს, რომ ობიექტურ ყოფიერებაში ყოველივეს „მე“ განსაზღვრავს. „რომანტიკული ირონიის“ ძირითადი მიზანი თამაშია. იგი არად დაგიდევთ იდეას, არც სინამდვილის ფაქტებს, არც რეზონერობას, არამედ მხოლოდ და მხოლოდ თამაშზე ზრუნავს. ეს თამაში უმეტესწილად ესთეტიკურია, რაც სუბიექტს ცხოვრებას, ისტორიას აშორებს; თამაში [illegible]-ტური — პოზური, ხშირად ვირტუოზულად არტისტულიც. ეს გამახვილებული სუბიექტივიზმია სწორედ „რომანტიკული ირონიის“ ე. წ. სუსტი მხარე. როგორც მართებულად აღნიშნავს ჰეგელი, ირონიის რომანტიკული გაგება სინამდვილისადმი უმეტეს ნეგატიურ განწყობას გულისხმობს.

კრაისლერის მხატვრულ სახეში აშკარად იგრძნობა ეს არსებითი განსხვავება ანტიკურ-რეალისტურ ირონიასა და რომანტიკულ ირონიას შორის. თავისი სუბიექტივიზმით, უჩვეულობისკენ სწრაფვითა და თავაწყვეტილი ფანტაზიების მოჭარბებით კრაისლერის ირონია რომანტიკულია. მაგრამ ირონიის კრაისლერისეულ „რომანტიზმს“ იმავდროულად ირონიის „რეალიზმიც“ ახლავს თან და სწორედ ეს „რეალიზმი“ ადასტურებს, რომ თვით „რომანტიკული ირონიის“, როგორც ლიტერატურულ-ესთეტიკური ცნების, შიგნით ორი ხაზი, ორი განშტოება შეიმჩნევა: ირონია „ადრეული“ გერმანელი რომანტიკოსებისა (ზოლგერი, შლეგელები, ნოვალისი) და ირონია შედარებით „გვიანდელი“ გერმანელი რომანტიკოსებისა (ჰოფმანი, შამისო). მეორე ტიპის ირონია დამახასიათებელია აგრეთვე ჟან პოლ რიხტერისთვისაც. ფრ. შლეგელისა და მის მიმდევართა ირონია, ჩვენის აზრით, უფრო „თანმიმდევრულად“ რომანტიკულია, მათ ირონიაში ნაკლებად შეიმჩნევა (არ ვიტყვით, თითქოს სულ არ იყოს) რეალისტური ელემენტები, ხოლო ჟან პოლ რიხტერის, ჰოფმანის, შამისოს ირონია ბევრად უფრო კეთილშობილია ანუ იხრება რეალისტურისაკენ. თუმცა, როგორც მივუთითეთ, ძირეულად და არსებითად მათი ირონიაც რომანტიკულ ხასიათს ატარებს.

ჰოფმანის ირონიას მხატვრულად განასახიერებენ „კრაისლერიანისა“ და „კატა მურის ცხოვრებისეულ შეხედულებათა“ პერსონაჟები — მაიმუნი მილო და კატა მური, რომლებიც ფილისტერ-ბიურგერთა ტიპიურ სახეებს წარმოადგენენ და თავისი არსით უპირისპირდებიან „ჭეშმარიტ ხელოვანს“ (wahrer Künstler) — კრაისლერს.

საიდუმლო მრჩევლის — როდერლაინის სახლში კრაისლერი ერთ ახალგაზრდას გაეცნო — დიდ ნიჭთან ერთად ამ ახალგაზრდას თავაზიანობა და კეთილშობილებაც ამშვენებს. კრაისლერს მან თავისი სატრფოსათვის წერილის გადაცემა სთხოვა. კრაისლერმა სათუთად გადაწერა ეს წერილი, ვითარცა უმაღლესი სიბრძნისა და სათნოების, აგრეთვე ხელოვნებისადმი ჭეშმარიტი სიყვარულის ნიმუში. უცნაური ის არის, რომ ეს სასიამოვნო ახალგაზრდა წარმოშობით მაიმუნია. მან ლაპარაკი, წერა-კითხვა და მუსიკა როდერლაინთა ოჯახში ისწავლა. ადამიანთა წრეში მის მაიმუნურ წარმოშობას საერთოდ ვერ ამჩნევდნენ, თუ არ ჩავთვლით ზოგიერთ წვრილმანს: სახელდობრ, ცეკვის დროს იგი უჩვეულოდ ხტის, მუდამ ატარებს ხელთათმანებს, რადგან უნებურად კოცნისას ქალბატონებს ხელებს უკაწრავს. ზემოთხსენებულ წერილს მაიმუნი მილო ჩრდილოეთ ამერიკაში მცხოვრებ თავის მეგობარ ქალს, პიპის უგზავნის. ამ წერილში მილო შიშითა და გულისტკივილით იგონებს თავისი მაიმუნობის პერიოდს, მაშინ იგი ადამიანთათვის გაუგებარ ბგერებს ლუღლუღებდა. დღეს კი დახვეწილ, ნატიფ საუბარს ისწავლა. იმ ბედკრულ დროში მილომ ალერსიც უხეში იცოდა, რასაც პიპა მორჩილად იტანდა. დღეს კი მილო თავისუფლად უტოლდება რომელიც გნებავთ საუკეთესო primo amoroso-ს. ადამიანურობის მაუწყებელი დიდსულოვანი ჩვევები მილოს პროვინციალობად მიაჩნია და ერიდება მათ გამჟღავნებას.

როგორ მიაღწია მილომ კულტურის ესოდენ „მაღალ დონეს“? ამას, მისი აზრით, დიდი შრომა არ სჭირდება, მთავარია, მიბაძვის ხელოვნებას დაეუფლო.

ერთმა პროფესორმა ლაპარაკი ასწავლა მილოს, ამის წყალობით იგი ნაკითხ, გონებამახვილ და განათლებულ ადამიანთა წრეში მოხვდა. მილომ ყურადღებით შეისწავლა ამ ადამიანთა მანერები და მიბაძვის ხელოვნება მოქნილად აითვისა. იგი გამოჩენილი პიროვნება გახდა, თუმცა ადვილად არ მიუღწევია ამისთვის: თავდაპირველად სიტყვებთან აზრის დაკავშირება უჭირდა. ჩუცას შესთხოვდა შეძღვრობას. სასოწარკვეთილ მილოს ესთეტიკის პროფესორმა ანუგეშა: „რამ შეგაშფოთა, მეგობარო მილო? მთავარია ისწავლო ლაპარაკი, ლაპარაკი და ლაპარაკი, სხვა დანარჩენი თავისთავად მოვა. ლაპარაკი მოქნილი, თავისუფალი, ხატოვანი. აი, სად მარხია ძაღლის თავი. შენ თვითონ გაოცდები, რანაირად მოგაკითხავს სიბრძნე თავისთავად, რანაირად გაზიარებს ღვთაებრივი ეხმარებლობა მეცნიერებისა და ხელოვნების იდუმალებას. ერთხანს ეგებ ისეც მოგეჩვენოს, რომ გზა ვერ გაიგნე და ლაბირინთებში

გაიხარეთ. ძალიან ხშირად იქნებ საკუთარ თავსაც პერაფერი გეგონოთ, მაგრამ იცოდეთ, სწორედ გაუგებრობაა მართალი შთაგონების მადლი, რასაც ლიმარიკე წარმოშობს. გახსოვდეს, რომ მსუბუქად საკითხავი ლიტერატურაც დიდ სარგებლობას მოგიტანს, გარკვეულ შემწყობას აღმოაჩენს რამდენიმე სასიამოვნო ფრაზის დამახსოვრებაც, რაც [illegible] საუბრისას ერთგვარ რეფრენად გამოგადგება. რაც მთავარია, ბევრი ილაპარაკე [illegible] ტენდენციებზე!“

მილო ხელოვნების სხვადასხვა სახეობას ეუფლება: მხატვრობას, ძერწვას. მალე ეს „სისულელეები“ მობეზრდება, ახლა მუსიკა გაიტაცებს, ეს იმიტომ, რომ ჰგონია, მუსიკას შრომა არ სჭირდება. ფორტეპიანო მისი საყვარელი ინსტრუმენტი ხდება. მილო ამბობს: „განა გენიოსს ძალუძს შვიდი ოქტავის უმნიშვნელო სივრცით შემოიფარგლოს? სხვადასხვა ინსტრუმენტის ჰარმონიულ თანაფარდობას თავისი კანონები აქვს, მაგრამ გენიოსისათვის ეს მოსაწყენია. იმისათვის, რომ საყოველთაო პატივისცემა მოიპოვო (უმაღლესი ცხოვრებისეული სიბრძნეც სწორედ ეს არის), საჭიროა, ხარ თუ არა, თავი მაინც კომპოზიტორად ჩათვალო, და ეს სავსებით საკმარისია“.

კრაისლერ-მილოს, ისევე როგორც კრაისლერ-მურის, დაპირისპირება ხელოვან-ბიურგერის ანტითეზად ზოგადდება. კატა მურიც იმ ცხოველურ საზოგადოებას განასახიერებს, რასაც ჰოფმანის ენაზე „ბიურგერული“ ჰქვია. მურსაც, მილოს მსგავსად, წერა-კითხვა ადამიანმა ასწავლა, სახელდობრ მაესტრო აბრაჰამმა. მაიმუნ მილოს მსგავსად ისიც განათლებული ბიურგერია: წერს ფილოსოფიურ ლექსებს, რომანებს, პიესებს, უყვარს მაღალფარდოვანი აზროვნება. პრაქტიკულ საქმიანობაში კი მფრთხალია და მშიშარა, როგორც ყველა გერმანელი ბიურგერი. დიახ, გერმანელი ბიურგერის გროტესკული სახეა კატა მური — ყალბი პათეტიკისა და განყენებული მსჯელობებისაკენ მიდრეკილი არსება. სწორედ ისეთი, მარქსი რომ იტყოდა: „გერმანელები იმდენად არიან გონმჭვრეტი რეალისტები, რამდენადაც მათი სურვილები და ყველაზე ამაღლებული აზრებიც კი მათივე ღუხჭირი ცხოვრების საზღვრებში რჩებიან“.

მური თავისი „ნიჭით“ ქედმაღლობს და იბრძვის, რომ ბრბომ აღიაროს. მისი ვნებები, ყურადღება თუ რეფლექსია მხოლოდ და მხოლოდ განდიდებისკენაა მიმართული. მურის მეორე ბუნება „სიცრუეა“ (die Lüge), მას ყალბი სენტიმენტალიზმი დაუფლებია. თავის გარშემო მყოფ ფილისტერებს მური სიყალბის ინტენსივობით კიდეც აჭარბებს. მურის აზრით, რეალურ სინამდვილეში გონი (Vernunft) და ზნეობა (Sittlichkeit) კი არ დომინირებენ, არამედ შიშველი აუცილებლობა და „სტომაქი“. „კუჭის სიხარული“ მურს პატრიოტულ გრძნობად დაუსახავს, სურს უხეში ეგოიზმი სათნოებად გაასაღოს. უზომო სიხარბე და ავმულობა იმასაც კი აკისრებინებს, რომ მშიერი დედის ლუკმა თავად შესანსლოს. ყოველივე ამის თაობაზე მური „საყოველთაო“ მაქსიმას ავითარებს: „დედაბუნების სამშობლოს განდიდება იმით სურს, რომ მას მაძღარი შვილს უძღვნის“.

მურის აზრით, ხელოვნება მიწიერ-ყოველდღიურის ნიშნით უნდა აღიბეჭდოს. მიწიერ-ყოველდღიურის მურისეული გაგება ბანალობამდე ეშვება. მურს ინდივიდუალობა არ გააჩნია, რამდენადაც ძალუძს დაკმაყოფილდეს რეალური სამყაროთი და საკუთარი თავით, განთავისუფლდეს შინაგანი მოწოდებისაგან. კრაისლერს კი, პირიქით, თავისი ინდივიდუალობა აქვს, რადგან მას, როგორც ჭეშმარიტ ადამიანსა და ხელოვანს, უკმარობა-უკმაყოფილების გრძნობა არასოდეს სტოვებს. კრაისლერ-მურის ანტითეზა „რომანტიკული ირონიის“ ჰოფმანისეული ნიღაბის მკაფიო მხატვრული ილუსტრაციაა. ჰოფმანისეული ირონიის ბუნებაზე ნათლად მიანიშნებს თუნდაც ის ფაქტი, რომ კატა მურის ცხოვრებისეულ შეხედულებათა წიგნი კრაისლერის ბიოგრაფიასთან ერთად გამოვიდა, როგორც მურის უხეირო დაუდევრობის შედეგი. ამით ჰოფმანი ერთმანეთს მკაცრად უპირისპირებს ჭეშმარიტსა და ყალბ ხელოვანს — კრაისლერსა და მურს. სიმპათიით განეწყობა პირველის მიმართ, ხოლო მეორეს ულმობლად, „ბასრი ირონიით“ (grimmige Ironie) დასცინის.

ზიგჰარტსვაილერის ეფემერული სასახლის აღწერისას ამავე რომანში ჰოფმანი „რომანტიკული ირონიის“ ხერხს მიმართავს. ეს სასახლე თითქოს მართლაც არსებულა. მაგრამ (რომანის მიხედვით) ნაპოლეონის დამპყრობით პოლიტიკას შეეწირება მსხვერპლად და ახლა მოჩვენებითად არსებობის უფლებაღა შეუნარჩუნებია. ზიგჰარტსვაილერის ახლანდელი მმართველი — თავადი ირენეუსი „პაწაწინა რეგენტია“. იგი ცდილობს ლუი XIV-ს დაემსგავსოს — თავი ხელოვნების მცოდნედ და მფარველად მიიჩნიოს. ზიგჰარტსვაილერს ახლა

ობერჰოფმინისტრები, ჰოფმარშლები და კამერჰერები კი არ მართავენ, არამედ საეჭვო წარმოშობის ქალი, ჭკვიანი მეშჩანი და თავადის ფავორიტ-მეძავე ბენცონი განაგებს.

ჰოფმანი უწყალოდ აკრიტიკებს როგორც თავადაზნაურობას, ისე ბურჟუაზიას. პირველს პრივილეგია აქვს, მეორეს — ოქრო. ბურჟუაზია პრივილეგიის ყიდვას ოქროს საშუალებით ლამობს, თავადაზნაურობას კი, პირიქით, პრივილეგიის ოქროდ გარდაქმნა სურს. მაგრამ მწვავე სოციალურ ვითარებაში რომანტიკოსი ხელოვანი (კრაისლერი) თავისი ხელოვნების სიწმინდესა და მიუსყიდველობას დიდი თავგამოდებით და თუმცა რომანტიკული მანერით, მაინც ერთგვარი ვაჟკაცური შემართებითაც იცავს.

კატა მური და მაიმუნი მილო ჭეშმარიტი პოეზიის შემგინებელი, ნამდვილ-ადამიანურის არსს მოკლებული ფილისტერები არიან. ხელოვნებას ისინი თავიანთი „მეშჩანური ყოფის" დანამატად აქცევენ, სიყვარულსა და მეგობრობას — ხელსაყრელ გარიგებად, განათლებას — სკოლისადმი მორჩილებად, მთელ ცხოვრებას — მკვდარ უდაბნოდ" (ი. მირიმსკი).

ყველაზე ნათელი და მკვეთრი აქცენტებით ჰოფმანის ირონია კრაისლერის მხატვრულ სახეში ირეკლება. ჰოფმან-კრაისლერის ირონია სინამდვილესთან ხელოვანის გროტესკულ-კარიკატურულ და ფანტასტიკურ დამოკიდებულებას უკავშირდება, რაც ჰოფმანის შემოქმედების ერთ ძირითად თავისებურებაში — სინამდვილის ასახვის ე. წ. „კალოსეულ მანერაში" — იჩენს თავს.

ჰოფმანის პოეტურ შემოქმედებაში გროტესკი „რომანტიკული ირონიის" ერთ-ერთი მძაფრი კომპონენტია. გროტესკში აშკარად ჩანს ჰოფმანის შემოქმედებისათვის საერთოდ და კერძოდ მისი ირონიისათვის ნიშნეული რომანტიკულ-რეალისტურ ელემენტთა დინამიური ურთიერთშერწყმა. გოდლევსკის მართებული თქმით, ჰოფმანის პოეზიის საიდუმლო ნამდვილსა და ყოველდღიურთან ზღაპრულისა და „შეუძლებლის" შერწყმა-შეხამებით გამოიხატება. ჰოფმანის, როგორც შემოქმედის, პოეტურ მიზანდასახულებას სინამდვილის ამ ორი მხარის შემზარავ-კომიკური და სატირული კუთხით ჩვენება წარმოადგენს.

თუ ჰოფმანი სინამდვილის „კალოსეული მანერით" ასახვის დროს სინამდვილის ირონიულ „იდეალიზაციას" ახდენს, სამაგიეროდ მხატვრული ასახვის მეორე „წესი", ე. ი. „სერაპიონული პრინციპი" სინამდვილის ირონიულ „განადგურებას" წარმოადგენს.

ასახვის როგორც „კალოსეული მანერისათვის", ასევე „სერაპიონული პრინციპისათვისაც" ძირითადად რეალურისა და ფანტასტიკურის დაპირისპირებაა ნიშანდობლივი. როგორც აღვნიშნეთ, „კალოსეული მანერა" სინამდვილესთან გროტესკულ-კარიკატურულ-ფანტასტიკურ დამოკიდებულებას ნიშნავს. მწერალი ცხოვრებისეულ-რეალისტურ მომენტებს გროტესკულ-კარიკატურული, თანაც ფანტასტიკური სახით გვიხატავს, რითაც იგი XVII საუკუნის ფრანგი მხატვრის — ჟაკ კალოს შემოქმედებას ენათესავება. ირონიის ადრეული ჰოფმანისეული გაგება მხატვრულადაა წარმოდგენილი „ფანტასტიკურ მოთხრობებში კალოს მანერაზე", რაც კრაისლერის შემოქმედების ადრინდელ პერიოდს აშუქებს („კრაისლერიანა"). ნარკვევში — „ჟაკ კალო" ჰოფმანი ასე განმარტავს ირონიას: „ირონია, რომელიც ადამიანურ და ცხოველურ საწყისებს ერთმანეთს უპირისპირებს და კაცის საცოდავ ფუსფუსს დასცინის, მხოლოდ ღრმა სულში თუ დაიბუდებს. ცხოველური და ადამიანური თვისებებით დატვირთულ კალოს გროტესკულ სახეებს დარბაისელი და ღრმად მწვდომი მაყურებლის წინაშე სამზეოზე გამოაქვს ხუმრობის ნიღაბქვეშ შეფარული ყველა იდუმალი მინიშნება".

სინამდვილის ირონიულ „იდეალიზაციას" ცხადყოფენ „ფანტასტიკურ მოთხრობებში" მეოცნებე სულის ადამიანთა მიერ წარმოსახული ფანტასტიკურ-პოეტური სამყაროები. ასეთ ადამიანებს უმთავრესად ხელოვანნი წარმოადგენენ: გლუკი, ანზელმუსი, დონა ანა, კრაისლერი, რომლებიც ყოველდღიურ-ჩვეულებრივ სინამდვილესთან დაპირისპირებას იმით გამოხატავენ, რომ პოეზია-ფანტასტიკის სამყაროში ეძებენ სულიერ სიმშვიდესა და საყრდენს პოულობენ და აქედან „მძაფრი ირონიით" უტევენ მათთვის მიუღებელ და მოსაწყენ პროზაულ სინამდვილეს. ისინი „გროტესკის რომანტიკას" (Romantik der Fratze) თუ ხუმრობის რომანტიკას (Romantik der Skurrilität) ქმნიან და მათ ფონზე ახდენენ სინამდვილის „იდეალიზაციას".

მხატვრული ასახვის ეგრეთწოდებული „სერაპიონული" პრინციპი პოეზიის უმთავრეს ელემენტად უსაზღვრო და ალოგიკურ ფანტაზიას მიიჩნევს. ამ წრეგადასული ფანტაზიის უმაღლესი წერტილი შეშლილობაა, რომელიც რეალობისა და ფანტასტიკის შორის საზღვარს ვერ ხედავს. „სერაპიონული პრინციპის" მხატვრული კონკრეტიზაციაა „სერაპიონის ძმების" (1815—1821) ცენტრალური გმირი — სერაპიონი, რომლის აკვიატებული იდეა — (fixe Idee)

თავი საუკუნეების წინ მცხოვრებ იმპერატორ დეციუსის დროინდელ მეუდაბნოედ წარმოიდგინოს და სხვები თავისი უჩვეულო ფანტაზიების რეალობაში დაარწმუნოს, სინამდვილის სწორედ ირონიული „განადგურების“ ეფექტს ახდენს.

კრაისლერის ირონიაც რეალურ სინამდვილესთან შეურიგებელ წინააღმდეგობაში იხატება, რასაც აბრაჰამ ლისკოვი მრჩეველ ქალს — ბენცონს ამგვარად განუმარტავს:

„კრაისლერი სხვა ჯურის კაცია. მას არაფერი გაეგება თქვენი გაწვრთნილი პათეტიკური ფრაზებისა. სავარძელი, თქვენ შორის ადგილის დასამკვიდრებლად რომ სთავაზობთ, მეტისმეტად ვიწროა და უმნიშვნელოა მისთვის, იგი არანაირად თქვენი მსგავსი არ არის და, ვიცი, სწორედ ეს გაბრაზებთ. მას არ უნდა სცნოს მარადიულობა შეთანხმებებისა, რომლებიც ერთმანეთს შორის დაგიდგენიათ ცხოვრების მოსაწყობად. კრაისლერის აზრით, თქვენ ისეთი ბრმა ხართ, რომ ნამდვილ ცხოვრებას ვერც ხედავთ, ხოლო ის ცივი მედიდურობა, რითაც სამეფოს მართვას ლამობთ, მას სწორედ რომ სასაცილოდ უჩანს. ამას თქვენ გაბრაზებას ეძახით. ყველაზე მაღლა იგი აყენებს ირონიას, ადამიანური ყოფის არსში ღრმად წვდომის შედეგად რომ შობილა. შესაძლოა, ამ ირონიას ბუნების უმშვენიერესი ნიჭიც უწოდო, რაკი ბუნებასვე მოუპოვებია იგი თავისი შინაგანი არსების უღრმესი წყაროთი. მაგრამ თქვენ ხომ წარჩინებული გვარის ჭკვიანი ადამიანები ხართ და ხელს არ გაძლევთ ამგვარი ხუმრობა თუ ირონია. კრაისლერში სიყვარულის მართალი სული ცოცხლობს. მაგრამ გაათბობს კი იგი საუკუნოდ გაყინულ გულს, რომელსაც თავის დღეში არ ღირსებია მცირეოდენი ნაპერწკალიც კი ამ სულში ცეცხლის ასაბრიალებლად? თქვენ ვერ იტანთ კრაისლერს, თვალში არ მოგდით მისი უპირატესობა, რისი დანახვაც არც ძალგიძთ; თქვენ იგი გაშინებთ, როგორც ადამიანი, რომლის აზრები იმაზე უფრო მაღალ საგნებს სწვდება, ვიდრე თქვენი შეზღუდული თვალთახედვისთვისაა მისაღები“.

კრაისლერის ირონია რომანტიკული ირონიაა, რამდენადაც ობიექტურ სინამდვილესთან ბრძოლის მხოლოდ დაუნდობელ საშუალებად ქცეულა, რეალური სინამდვილისადმი მარტო კრიტიკული, თანაც მძაფრად კრიტიკული განწყობა-დამოკიდებულებით კმაყოფილდება და არას დაგიდევთ ამ ირონიის საშუალებით არსებული ობიექტური ყოფის უკეთ ქმნას, როგორც ეს ანტიკური ირონიისათვის იყო სისხლხორცეული. კრაისლერის ირონიას უცნაურობა-უჩვეულობა, გადიზიანებული ტონი ჭარბობს, ამიტომ იგი არსებითად რომანტიკულია. კრაისლერი ამბობს: „განა მე ჭერაც საუკეთესო ასაკში მყოფი სავსებით მოსათმენი მამაკაცი არა ვარ, — სასიამოვნო გარეგნობის, საკმაოდ განათლებული და თავაზიანი? განა მე არ ძალმიძს ჩრდილისფერ ფრაკში, აბრეშუმის თეთრ სამოსში გამოვეწყო, რომელიმე პროფესორის შავთვალა ასულს ან კარის მრჩევლის გოგონას მივეახლო და ბევრი წინდაუხედავი გარეშე, გამოცდილი ამოროსის დარად, მაღალარისტოკრატული მანერით ვუთხრა: „ულამაზესო, ხომ არ ინებებ ცოლად გამომყვე“? პროფესორის ასული თვალებს დახრის და ჩუმად მეტყვის: „შეუთანხმდით მამას“. ან არადა, კარის მრჩევლის გოგონა მეოცნებე მზერას მომაპყრობს, მერე კი იმის მტკიცებას დაიწყებს, რომ მან უკვე დიდი ხანია შეამჩნია ეს სიყვარული, რაზეც მე ახლა ძლივს დავძარ ენა, მერე სხვათაშორის ჩაურთავს სიტყვას საქორწილო კაბის მორთულობაზე. ო, ღმერთო ჩემო, რამდენი საპატიო ბატონი ისურვებს, პატივცემულ პიროვნებას — ერცჰერცოგის ექსკაპელმაისტერს მიათხოვოს თავისი ასული... განა სიყვარულში ბედნიერება არა მქონია. ვერც წარმოიდგენთ, რომ მე სიყვარულშიც უსაზღვროდ ბედნიერი კაცი ვარ. ჩემი არაბრძნული თემაა: „თუ გინდივარ, წაგიყვან“, ხოლო ამ თემის შემდგომი ვარიაციები ქორწინებაში ხორციელდება. თქვენ წარმოიდგენაც გაგიკვირდებათ, რომ მე ცოლქმრობაზე სერიოზულად ვფიქრობდი, როცა ჯერ კიდევ შვიდი წლის ბავშვმა 33 წლის ქალი საცოლედ ავირჩიე და მანაც კოცნით შემომფიცა, რომ ჩემ გარდა ქმრად არავის ისურვებდა. ახლაც არ ვიცი, ეს საქმე რატომ ჩაიშალა. ჰოდა, ბავშვობიდანვე სიყვარულში ბედი მწყალობდა“.

კრაისლერის ამ მახვილგონივრ ხუმრობებსა და ირონიულ გამონათქვამებში მარტო რომანტიკული „სისუსტე“ როდი გამოსჭვივის. ამ ირონიაში აშკარად იგრძნობა ხელოვანის სწრაფვა-მიდრეკილება: არ მოსწყდეს სინამდვილის მიწას, რეალურ ცხოვრებას.

კრაისლერის ირონიას, ისევე როგორც საერთოდ „რომანტიკულ“ ირონიას, ძლიერი მხარეც აქვს, — ეს არის ყოფიერების სირთულისა და წინააღმდეგობრიობის მძლავრი შეგრძნება.

კრაისლერის ირონია რეალისტურ-პოზიტიური ასპექტით ძალიან ჰგავს გოეთეს ირონიას.

რომელიც თავისი არსით ანტიკური ირონიის განვითარებაა და, თომას მანის თქმისამებრ, „ეპიკურ ირონიად“ იწოდება.

ასეთი ირონია გამოხატავს არა ობიექტური სინამდვილისადმი მტრულად განწყობილ „რომანტიკულ სუბიექტივიზმს“, „სიცივესა და უსიყვარულობას, გესლსა და დაცინვას“ (Kälte Lieblosijkeit Spott und Hohn), არამედ ე. წ. „გულის ირონიად“ [illegible] თილისმობილებითა და სიცივით გამოირჩევა. ამგვარი ირონიის კონკრეტული [illegible] გოეთეს „ფაუსტის“ ჭეშმარიტად ეპიური გმირი — მეცნიერი ლინკეოსი, რომლის ირონია აშკარად უპირისპირდება მეფისტოფელის ცივ, გამყინავ, უგულოსა და ღვარძლიან ირონიას[1].

ჰოფმანის ირონია, რომელიც ხშირად გოეთეს ირონიას უკავშირდება, თვისობრივად ახალ სიმაღლეს თომას მანის შემოქმედებაში აღწევს. თომას მანმა ირონია მხოლოდ ესთეტიკურ კატეგორიად კი არ დასტოვა, როგორც ეს რომანტიკოსთა პოეტურ მსოფლშეგრძნებაში იყო საცნაური, არამედ, ანტიკური სამყაროს მოაზროვნე-მხატვართა კვალზე, მას ეთიკური შინაარსიც მისცა. სწორედ ეს ეთიკური საწყისი დომინანტობს თომას მანის ირონიაში.

თომას მანის აზრით, ირონია სულსა (პოეზიას) და ცხოვრებას შორის წინააღმდეგობას შეიცავს. ირონია უმაღლესი დონის ინტელექტუალიზმია (Intellektualismus im höchsten Grade), მისი მისიაა, ცხოვრებისეული განსაცდელიდან რაიმე უპირატესი შექმნას (Ironie heißt fast immer aus einer Not eine Überlegenheit machen).

თომას მანის აზრით, ირონიის სულსა და ცხოვრებას შორის რაიმე საშუალო პოზიცია უჭირავს, სწორედ ისევე, როგორც თომას მანის ტონიო კრეგერს რაიმე ირონიულად შუალედური მდგომარეობა შექმნია ბიურგერობასა და ხელოვნებას შორის.

ჰოფმანის კრაისლერში ირონია ცალმხრივ რომანტიკულად კი არ ვითარდება, არამედ მისი ირონიის ძირითადად რომანტიკულ ხასიათს ზოგჯერ რეალისტური ტენდენციაც გამსჭვალავს, რაც იმაში იხატება რომ „ბუნების ეს უმშვენიერესი ნიჭი“ (die schönste Gabe der Natur), როგორც ამ ირონიას ჰოფმანი უწოდებს, გარკვეულწილად მიწიერ ყოველდღიურ სინამდვილეში დამკვიდრებისათვისაც იღწვის.

---

[1] გოეთეს ლინკეოსის ირონიის ხასიათსა და თავისებურებას სპეციალურად განიხილავს ცნობილი ქართველი გერმანისტი ო. ჯინორია 1973 წელს „გოეთეს წელიწდეულში“ გამოქვეყნებულ სტატიაში „გოეთეს „ფაუსტის“ ფინალი“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლერი ჩანტლაძე

# დოსტოევსკი და რუსული ეგზისტენციალიზმი

დოსტოევსკისა და ფილოსოფიის, კერძოდ, რუსული რელიგიურ-ეგზისტენციალისტური ფილოსოფიის ურთიერთკავშირს ორი მხარე აქვს და მისი განხილვაც ორი კუთხიდანაა შესაძლებელი.

პირველი და უმთავრესია, რა გავლენა აქვს დოსტოევსკის შემოქმედებას, მის ფილოსოფიურ იდეებს თანამედროვე ეგზისტენციალისტებზე, რა აიღეს ამ უკანასკნელებმა დიდი მწერლისაგან და როგორ გამოიყენეს. მეორე: რას აძლევს დოსტოევსკის, მის შემოქმედებას ეგზისტენციალიზმთან შეხების წერტილები, იძლევა თუ არა მისი ზოგიერთი ფილოსოფიური იდეის ეგზისტენციალისტური ინტერპრეტაცია გასაღებს მათი გაგებისათვის.

აქვე უნდა ითქვას, რომ ეს ორი მხარე მჭიდრო კავშირშია და ერთმანეთოდ არ არსებობს, მაგრამ ჩვენი კვლევისათვის ამოსავალი მაინც პირველი მხარეა. ჩვენ, უწინარეს ყოვლისა, გვაინტერესებს ის როლი, რაც დოსტოევსკიმ შეასრულა რუსული რელიგიური ეგზისტენციალიზმის ფორმირებაში. ასეთი ყაიდის კვლევა დროულია, აქტუალური, ვინაიდან ეს მიმართულება საკმაოდ პოპულარულია დღევანდელ დასავლეთში და მნიშვნელოვანი გავლენითაც სარგებლობს.

როცა „რუსულ ეგზისტენციალიზმზე" ვლაპარაკობთ, ჩვენ მხედველობაში გვაქვს ნიკოლაი ბერდიაევისა და ლევ შესტოვის ფილოსოფიური მემკვიდრეობა. დღესდღეობით. სწორედ ისინი არიან ამ მიმართულების შემქმნელები და წარმომადგენლები.

როცა დოსტოევსკის მსოფლმხედველობაზე და განსაკუთრებით. მის ფილოსოფიურ კონცეფციაზე ვლაპარაკობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საქმე გვაქვს არა პროფესიონალ ფილოსოფოსთან, არამედ მწერალთან, მხატვრული სიტყვის ოსტატთან. სწორედ ამიტომ სიფრთხილე გვმართებს, როცა ვცდილობთ ამა თუ იმ გავლენიანი ფილოსოფიური მიმდინარეობის იარლიყი მივაწებოთ მის მსოფლმხედველობას. ერთი მკვლევარი, მაგალითად, დოსტოევსკის ფილოსოფიურ კონცეფციას განსაზღვრავს როგორც ობიექტურ იდეალიზმს, რომელიც შეიცავს სუბიექტური იდეალიზმის ელემენტებს და შიგადაშიგ მიემართება მისტიკისაკენ. ძნელია უფრო გაურკვეველი და ბუნდოვანი ფილოსოფიური პოზიციის დადგენა. თუკი მაინცდამაინც გვსურს დოსტოევსკის ფილოსოფიურ პლატფორმას ზუსტი განსაზღვრა მოვუძებნოთ, ყველაზე მართებული იქნება მისი დახასიათება, როგორც რელიგიურ-ფილოსოფიური ანთროპოლოგიზმისა. რასაკვირველია, ამ შემთხვევაში უნდა ველოდოთ გარკვეულ „გადახრებსა" და „შეუსაბამობას" აღიარებულ ფილოსოფიურ დოგმატებთან მიმართებაში, რაც გენიალური მწერლის შემოქმედების სირთულითა და მრავალწახნაგოვნებით აიხსნება. ბოლოს და ბოლოს, სახელწოდება და იარლიყი როდია გადამწყვეტი, მთავარია ფილოსოფიური იდეების სიღრმე და სიმძიმე.

თვით პრინციპულად ერთი ყაიდის ისეთი მოაზროვნეებიც, როგორიც არიან ბერდიაევი და შესტოვი, ხშირად განსხვავებულად აფასებენ დოსტოევსკის ფილოსოფიურ იდეებს.

აქვე უნდა ითქვას, რომ ბერდიაევიც და შესტოვიც ტენდენციურნი არიან დოსტოევსკისთან დამოკიდებულებაში და უპირველესად საკუთარ იდეებთან მწერლისეული იდეების შეხების წერტილების ინტერპრეტაციაში. ყოველთვის არ არის სანდო და დამაჯერებელი ის პარალელები, რომელსაც რუსი რელიგიური ფილოსოფოსები ავლებენ საკუთარსა და დოსტოევსკის მსოფლმხედველობას შორის.

ხშირად მწერლის შემოქმედების ზოგიერთი, ზოგჯერ უაღრესად პრინციპული მომენტის,

შეფასებისას ბერდიაევისა და შესტოვის პოზიცია რადიკალურად განსხვავდება. ამ სხვაობის მიუხედავად, მაინც გულდაჯერებით შეიძლება გამოცალკევდეს ის საკვანძო პუნქტები, რომელიც თანაბრად მოიძებნება როგორც რუსი ქრისტიანი ეგზისტენციალისტების, ისე დოსტოევსკის ფილოსოფიურ კონცეფციაში.

ასეთ საკვანძო პუნქტად, უწინარეს ყოვლისა, უნდა ჩაითვალოს ადამიანის, პიროვნების პრობლემა, — რომლის გარშემო ყველა დანარჩენი პრობლემაა კონცენტრირებული. დოსტოევსკისთან, ისევე როგორც ეგზისტენციალიზმში საერთოდ, და კერძოდ, ბერდიაევთან და შესტოვთან, უმნიშვნელოვანეს და განმსაზღვრელ პრობლემად ადამიანის თემა ფიგურირებს. ეს თემა, რომელიც ყოველთვის ეთიკური თვალითაა დანახული, მწერლის მიერ უჩვეულო სიღრმითა და სიმძაფრითაა დამუშავებული, რითაც მან წარუშლელი კვალი დატოვა მთელ მომდევნო რუსულ იდეალისტურ ფილოსოფიაში.

სხვა „საერთო“ პრობლემებიდან და თემებიდან უნდა აღინიშნოს ღმერთის, ანუ ღვთაებრივის პრობლემა, რომელიც ღმერთადამიანისა და ადამიანღმერთის მიმართებაში კონკრეტდება, თავისუფლებისა და უცოდველობის, შემოქმედების, მორალის, რწმენისა და ცოდნის, სოციალური კეთილმოწყობის, მესიანიზმის და სხვა პრობლემები. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, ისტორიის საზრისის საკითხს უკავშირდება.

რაღა თქმა უნდა, ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი ვრცელი გამოკვლევის თემებია (შეიძლება არა ერთისაც) და ერთ წერილში ყოველი მათგანის განხილვა შეუძლებელია. ჩვენი მიზანია მკითხველის ყურადღება გავამახვილოთ რამდენიმე, ჩვენი შეხედულებით, უმნიშვნელოვანეს მომენტზე.

უწინარეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ბერდიაევისა და შესტოვის მეთოდოლოგიური მიდგომა დოსტოევსკის ფილოსოფიისადმი, რაც მისი იდეების „ამოცნობაში“ (მათი საკუთარი ტერმინია) მდგომარეობს. ამ საკითხში რუსი ეგზისტენციალისტები ერთსულოვანნი არიან.

ბერდიაევი ამ შემთხვევაში თავისი ზოგადფილოსოფიური მეთოდის, ე. წ. „თანაზიარების“ (приобщение) ერთგულია. ნებისმიერ მოაზროვნეს შეიძლება გავუგოთ მხოლოდ მაშინ, ამბობს ბერდიაევი, თუ ჩვენ თვითონ შევალთ მის შინაგან სამყაროში, მისი იდეებისა და განცდების ქვეყანაში, დავდგებით მის პოზიციაზე, ერთი სიტყვით, თანაეზიარებით მას. თუკი განზე გავდგებით და უცხო თვალით შევხედავთ სხვის ნააზრევს, შევაფასებთ რაციონალურ-დისკურსიული აზროვნების პოზიციიდან, მივაღწევთ მხოლოდ ზედაპირულ კომუნიკაციას, ინფორმაციას და არა სიღრმისეულ ერთობას, „კომუნიონს“, რომელზეც ჯერ კიდევ დიონისე არეოპაგელი წერდა.

„დოსტოევსკის გაგებისათვის სულის განსაკუთრებული წყობაა საჭირო, დოსტოევსკის შესაცნობად შემეცნებში უნდა იყოს საგანთან, თვითონ დოსტოევსკისთან ნათესაობა, მისი სულის რაღაც ნაწილს უნდა ფლობდეს... სულის სრულყოფილ მოვლინებას ინტუიციურად უნდა შეერწყა, შეესისხლხორცო, უნდა ჭვრეტდე მას, როგორც ცოცხალ ორგანიზმს. ეს ერთადერთი მართებული მეთოდია... სულის დიდ გამოვლინებას მორწმუნე სულითვე უნდა მიუახლო და არა დაარღვიო მისი მთლიანობა ეჭვითა და სკეპსისით“ 1.

ბერდიაევი, როგორც თავად აცხადებს, ცდილობს გამოიყენოს საკუთარი მეთოდი — გახსნას სიღრმისეული ფენები მწერლისა, რომელსაც იგი თავის სულიერ მამად და მასწავლებლად მიიჩნევს და „ინტუიციურად წარმოაჩინოს მისი მსოფლჭვრეტა“. სწორედ რომ „ინტუიციურად!“ ბერდიაევი შემთხვევით როდი ხმარობს სიტყვა „მსოფლჭვრეტას“ და არა „მსოფლგაგებას“ ან „მსოფლმხედველობას“. ამას მისთვის (და შესტოვისთვის) პრინციპული მნიშვნელობა აქვს: „მსოფლმხედველობა“ გულისხმობს სრულიად ლოგიკურ, რაციონალურ ახსნას სამყაროსი და არა მასთან შერწყმას, საგანთა ჭვრეტას ირაციონალურ ხილვათა ნათელში.

ამგვარივე მეთოდის მიმდევრად შეიძლება ჩაითვალოს შესტოვიც. თავის დროზე მან გაილაშქრა მერეჟკოვსკის წინააღმდეგ, რომელიც „გამსჭვალული იყო თანამედროვე იდეებით, იყო მოწოდებით პოეტი, რომანისტი, კრიტიკოსი“ და რომელიც დოსტოევსკის ფილოსოფიის ანალიზისას ცდილობდა „გამოეყენებინა ის ხერხები, რაც მეცნიერებასა და ლიტერატურაშია მიღებული“2. ეს კი დაუშვებელია, ვინაიდან, შესტოვის აზრით, რელიგიური პრობლემების კვლევა მხოლოდ რელიგიურ, ინტუიციურ მეთოდებს მოითხოვს.

1 Н. Бердяев, «Миросозерцание Достоевского», Прага, 1923; стр. 10—11.
2 Л. Шестов. Апофеоз беспочвенности. С. П. Б. стр. 247.

ძნელი შესამჩნევი არ უნდა იყოს, რომ ამგვარი მეთოდის მიხმობა გარკვეულ უპირატესობას ქმნის და ერთგვარ უნდობლობას ბადებს რუსი ეგზისტენციალისტების მიერ დოსტოევსკის ნააზრევის ინტერპრეტაციისადმი. იქმნება მოჯადოებული ლოგიკური წრის მსგავსი სიტუაცია: ამა თუ იმ მოაზროვნის გაგებისათვის იმთავითვე უნდა გვწამდეს მისი აზრებისა და გვესმოდეს კიდეც, მათთვის კი, ვისაც ასეთი წინასწარი რწმენა არა აქვს, შრომა და კვლევა-ძიება წყალში ჩაყრილი იქნება.

საქმე ის არის, რომ ბერდიაევიცა და შესტოვიც დოსტოევსკის ირაციონალური, მისტიკური ტიპის მოაზროვნედ თვლიან და მიაჩნიათ, რომ მისი შეხედულებები არ ექვემდებარება ლოგიკურ, რაციონალურ-დისკურსიულ ანალიზს. ცხადია, ამგვარი პოზიცია მთლად უსაფუძვლო არ არის, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც ცალმხრივად უნდა ჩაითვალოს.

არაერთხელ აღუნიშნავთ, რომ დოსტოევსკის შემოქმედებითი სამყაროს სირთულე და მრავალპლანიანობა ხშირად იძლევა მწერლის ფილოსოფიური იდეების განსხვავებული, ზოგჯერ დიამეტრულად საპირისპირო ინტერპრეტაციის საბაბს. ამ შემთხვევაში მთავარ საფრთხეს წარმოადგენს დოსტოევსკის წინააღმდეგობრივი და ღრმა იდეური დიალექტიკის ცალმხრივი გაგების ტენდენცია.

მიუხედავად იმისა, რომ რუსი ეგზისტენციალისტები ხშირად მიუთითებენ მწერლის აზროვნების დიალექტიკურობაზე, თავად ყოველთვის როდი დგანან ამ დიალექტიკის სიმაღლეზე.

დოსტოევსკის ყველაზე დიდ დამსახურებად მათ მიაჩნიათ ახალი, „იატაკქვეშა" ადამიანის წარმოჩენა (შესტოვი), ის, რომ მწერალმა რადიკალურად შეცვალა ადამიანის პრობლემისადმი დამოკიდებულება. დოსტოევსკისათვის ადამიანი სამგანზომილებიანი კი არა, ოთხგანზომილებიანი არსებაა, მისთვის იშლება ახალი, მანამდე უცნობი განზომილება, ადამიანში აღმოცენდებიან „ახალი სამყაროები" (ბერდიაევი). სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ მართლაც, ანთროპოლოგიური პრობლემების დაყენების სიღრმითა და სიმახვილით დოსტოევსკის ბადალი არა ჰყავს მსოფლიო მწერლობაში.

ბერდიაევიცა და შესტოვიც თვლიან, რომ დოსტოევსკის შემოქმედება უნდა დაიყოს ორ, სრულიად განსხვავებულ მონაკვეთად: პირველი — გადასახლებამდე და მეორე — გადასახლების შემდეგ. მწერლის ჭეშმარიტი, მხატვრული და ფილოსოფიური სახე შეიძლება გამოჩნდეს მხოლოდ მისი შემოქმედების მეორე მონაკვეთის კვლევის შედეგად.

დოსტოევსკის შემოქმედების მნიშვნელოვანი ნაწილის ამგვარი უგულებელყოფის უმართებულობა არაერთხელ აღნიშნულა არა მარტო საბჭოთა კრიტიკაში[1].

დოსტოევსკის ფილოსოფიური კონცეფციის შეფასებაში პრინციპული ერთსულოვნების მიუხედავად, შესტოვსა და ბერდიაევს, არცთუ იშვიათად, სრულიად განსხვავებულად ესმით მწერლის შემოქმედების ესა თუ ის საკვანძო საკითხი.

მიუხედავად იმისა, რომ ორივენი დოსტოევსკის შემოქმედებით გზაზე გარდატეხის მომენტად, ახალი ეტაპის დასაწყისად მიიჩნევენ „იატაკქვეშეთის ჩანაწერებს", არ შეიძლება ითქვას, რომ ისინი ერთნაირ მნიშვნელობას ანიჭებენ ამ მომცრო, მაგრამ ფილოსოფიური თვალსაზრისით უაღრესად საყურადღებო ნაწარმოებს. შესტოვის აზრით, მწერლის ფილოსოფიური კრედოს გამომხატველ მთავარ ნაწარმოებად უნდა ჩაითვალოს სწორედ „ჩანაწერები", ბერდიაევი კი ასეთად თვლის რომანს „ძმები კარამაზოვები" და განსაკუთრებით კი მის ერთ პარაგრაფს, ივან კარამაზოვის თხზულებას: „ლეგენდა დიდ ინკვიზიტორზე".

დოსტოევსკის შემოქმედების ინტერპრეტაციის ამ ორ განსხვავებულ გზაზე მიუთითებს აგრეთვე ამერიკელი მკვლევარი ჯეიმს ვერნჰემი წიგნში „ორი რუსი მოაზროვნე".

როცა საქმე ეხება ისეთი მწერლის ფილოსოფიური შეხედულებების დახასიათებას, რომელსაც საგანგებო ფილოსოფიური ტრაქტატები და ესსეები არა აქვს (დოსტოევსკი სწორედ მათ რიცხვს ეკუთვნის), დგება უაღრესად მნიშვნელოვანი მეთოდოლოგიური საკითხი: რა ჩავთვალოთ წყაროდ, ან ბაზად, საფუძვლად ამ შეხედულებათა ჩამოყალიბების დროს. ასეთ წყაროდ შეიძლება მიჩნეულ იქნას ავტორისეული რემარკები, მსჯელობები ან ცალკეულ პერსონაჟთა გამონათქვამები. დოსტოევსკისთან თითქმის ვერ ნახავთ ავტორისეულ ფილოსოფიურ მსჯელობებს (როგორც ეს, მაგალითად, ტოლსტოისთან გვხვდება), მთელი

[1] იხ., მაგალითად: В. Зеньковский, История русской философии, т. I, Париж, 1948, стр. 410—421.

მისი ფილოსოფია „ჩადებულია“ მისი გმირების მეტყველებაში. ეს ასეა, მაგრამ მთელი სირთულეც სწორედ აქ იჩენს თავს: რომელი გმირი უნდა მივიჩნიოთ ავტორის „სათქმელის“ მოლაპარაკედ? თუმცა, არც ისე იოლია ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. ერთნი (მათ შორის შესტოვი) თვლიან, რომ დოსტოევსკი თავის აზრებს გამოთქვამს „იატაკქვეშელი კაცის“, ივან კარამაზოვის, რასკოლნიკოვის, ვერსილოვის, კირილოვის პირით, მეორენი (მათ შორის ბერდიაევი) ასეთებად მიიჩნევენ ალიოშა კარამაზოვს, ბერ ზოსიმას, ქრისტეს მდუმარე პიროვნებას „ლეგენდიდან“ და ა. შ.

აღსანიშნავია, რომ აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა თვითონ ინტერპრეტატორის პოზიციას ენიჭება. თითოეული „ამჩნევს“ იმას, რაც მას „ხელს აძლევს“, რაც ცოტად თუ ბევრად შეესაბამება საკუთარ იდეებს, შეხედულებებს, განწყობილებას.

ამ თვალსაზრისით უფრო მეტს ლ. შესტოვი სცოდავს. იგი დოსტოევსკის თავიდან ბოლომდე თანამოაზრედ მიიჩნევს და ყოველი ღონით ცდილობს ეს დაასაბუთოს კიდეც თავის წიგნებში: „დოსტოევსკი და ნიცშე“, „იობის სასწორზე“, „კირკეგორი და ეგზისტენციალური ფილოსოფია“, მრავალრიცხოვან სტატიებსა და წერილებში. იგი განსაკუთრებით უსვამს ხაზს დოსტოევსკის გმირების ნეგატიურ პათოსს, იმ გმირებისას, რომლებიც ადამიანის არსებობაში მხოლოდ უაზრობასა და ძალდატანებას ხედავენ. შესტოვი განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას დოსტოევსკის პერსონაჟების ირაციონალურ საწყისზე, რაც მას განმსაზღვრელ ფაქტორად მიაჩნია. „იატაკქვეშეთის ჩანაწერების“ გმირის, ე. წ. „იატაკქვეშელი ადამიანის“ პათოსი შესტოვის მიერ გამოცხადებულია დოსტოევსკის ფილოსოფიურ პათოსად. შესტოვის მსჯელობა კატეგორიულია და საწინააღმდეგო მოსაზრების შესაძლებლობასაც არ უშვებს. მას ისიც კი არ მიაჩნია შესაძლებლად, რომ მხატვრული ნაწარმოების გმირმა „თავისი სახელით“ ილაპარაკოს და არა მაინცდამაინც ავტორის რუპორი იყოს. შესტოვი განსაკუთრებით პრინციპულია ამ მხრივ, როცა მის მიერ არჩეულ პერსონაჟებზეა ლაპარაკი. „არავითარი რასკოლნიკოვი და არავითარი კარამაზოვი არასოდეს ყოფილან ამქვეყნად და დოსტოევსკისაც მათთან არაფერი ესაქმებოდა... დოსტოევსკი ყოველთვის მხოლოდ საკუთარ თავზე ყვებოდა“[1].

ალიოშა კარამაზოვზე რაღა ვთქვათ? ბერ ზოსიმაზე? დამცირებულთა და შეურაცხყოფილთა არმიაზე? მათ, რაღა თქმა უნდა, შეუძლიათ თავიანთი სახელით ლაპარაკი, მაგრამ არამც და არამც ივანს, არამც და არამც „იატაკქვეშელ“ ცინიკოსს! მაინც რატომ? იმიტომ, რომ მაშინ შესტოვისებურად აღარ გამოვა, მის პრინციპებს აღარ მიესადაგება. შესტოვის სუბიექტურობა ზოგჯერ უკიდურესობამდე მიდის. ამის კარგი მაგალითია მისი დამოკიდებულება „ძმები კარამაზოვების“ ერთ-ერთი მთავარი (თუ ყველაზე მთავარი არა) გმირის, ალიოშა კარამაზოვისადმი. ავტორის ჩანაფიქრით, ალიოშა რომანის მთავარი გმირია, ნაწარმოების მხატვრული და იდეური სიმძიმის მტვირთველი. რამდენადაც რომანის ჩაფიქრებული მეორე წიგნის დაწერა დოსტოევსკის აღარ დასცალდა, ფაქტიურად უმთავრესი პერსონაჟი დიმიტრი კარამაზოვი აღმოჩნდა. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ მთავარი იდეურ-ფილოსოფიური ტვირთი მაინც ივან კარამაზოვის და ალიოშას მხრებს აწევს. რამდენად ტენდენციური უნდა იყო, რომ ეს ვერ შეამჩნიო. შესტოვი სერიოზული ყურადღების ღირსადაც არ თვლის ალიოშას და ვერ იტანს მის „ბავშვურ ტიტინს“. ეს მაშინ, როცა რომანის გულდასმით წამკითხველი ვერაფრით ვერ აუვლის გვერდს იმ ფუნქციას, რომელსაც ნაწარმოებში ალიოშა ასრულებს. ალიოშა თითქოსდა სხვათა მოარული სინდისია. აბა, გავიხსენოთ განსხვავებული ყაიდის, თავიანთი პრინციპებითა და გრძნობის სიძლიერით საპირისპირო ადამიანების დამოკიდებულება (ძმები, მამა — ფიოდორ პავლოვიჩი, კატია, ბავშვები და ა. შ.) ალიოშასადმი. ყველანი მოწიწებით ეპყრობიან ალიოშას და, რაც მთავარია, დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ მის „მსჯავრს“ მტკივნეულ საარსებო საკითხებზე. ალიოშას რაღაცა საერთო აქვს ქრისტეს სახესთან, თუმცა მისთვის უცხო როდია ადამიანური სისუსტენი.

მაშ ასე, შესტოვისათვის დოსტოევსკი „იატაკქვეშელი კაცია“, რომელსაც ყოველთვის ერთი გიჟური და საზიზღარი აზრი ამოძრავებდა: „ქვეყანა ჩაქცეულიყოს, ოღონდაც მე ჩაი ვსვა“.

შესტოვისაგან განსხვავებით, ბერდიაევი ანგარიშს უწევს ალიოშას, ზოსიმას და დოსტოევსკის სხვა „დადებით“ გმირებს. თუმცა მას „ჩანაწერები“ საეტაპო ნაწარმოებად მიაჩნია,

[1] Л. Шестов. На весах Иова, Париж, 1929, стр. 63.

ცდილობს დაგვარწმუნოს, რომ იატაკქვეშელი გმირი სრულიადაც არ ქადაგებს ავტორის სახელით.

დავსვათ კანონიერი კითხვა: სინამდვილეში როგორ არის? ვისი სახელით ლაპარაკობს იატაკქვეშ შეყუჟული კაცი? ან უფრო ზუსტად: სინამდვილეში რომელი გმირი ლაპარაკობს დოსტოევსკის სახელით?

ჩვენი აზრით, „კანონიერი" კითხვა არანაკლებ „არაკანონიერია", როცა ლაპარაკია დოსტოევსკის შემოქმედებაზე. რომელი გმირი ლაპარაკობს? საქმეც ისაა, რომ სინამდვილეში არც ერთი გმირი არ ლაპარაკობს მხოლოდ თავისი სახელით, ან მხოლოდ ავტორის სახელით. ყოველი მათგანი ლაპარაკობს თავისი სახელითაც და ავტორის სახელითაც. პერსონაჟთა დიალოგები ყოველთვის ავტორის დიალოგებია საკუთარ თავთან, თითქოსდა ჩვეულებრივი ფიქრებია, როცა თავადვე იშველიებ არგუმენტებს pro და contra. ალბათ ამიტომაც შესძახებს შესტოვი: არავითარი კარამაზოვი და არავითარი რასკოლნიკოვი არ ყოფილა ამ ქვეყნადო! რა უცნაურადაც უნდა მოგვეჩვენოს, დოსტოევსკისეული აზრები „ამოიცნობა" არა მხოლოდ „ინტელექტუალური", პირველხარისხოვანი გმირების სიტყვებში, არამედ წვრილფეხა ლაქიებისა და ბრიყვების მსჯელობებსა და რეპლიკებშიც. თვით ისეთი გარყვნილი და შეზღუდული კაცი, როგორიცაა ფედორ პავლოვიჩი, ზოგჯერ საოცრად ჭკვიანურად მსჯელობს. ახლა გაიხსენეთ კირილოვი, გაკვირვებული რომ ეუბნება პიოტრ სტეპანოვიჩს: „თქვენ ცოტაოდენი ჭკუაც გქონიათ!" (რომანი „ეშმაკნი").

უნდა ითქვას, რომ რომელიმე გმირის ამორჩევა და მისთვის ავტორის „რუპორის" ფუნქციის მინიჭება იმთავითვე მარცხისთვისაა განწირული. დოსტოევსკის შემოქმედების ინტერპრეტაციისას არ უნდა დავივიწყოთ, რომ საქმე გვაქვს ღრმა დიალექტიკასთან, აზრის რთულ ანტინომიურობასთან, რომელიც არასოდეს არ წყდება სინთეზში. თეზისს უპირისპირდება ანტითეზისი და პრობლემა ღია რჩება. ინტერპრეტატორი, რომელიც მნიშვნელობას არ ანიჭებს ამ არსებით მომენტს, უეჭველად ცალმხრივი და, აქედან გამომდინარე, სუბიექტური იქნება.

ამ თვალსაზრისით, დამახასიათებელ მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს იმავე „იატაკქვეშელ კაცთან" შესტოვისა და ბერდიაევის დამოკიდებულება.

როგორც უკვე ითქვა, შესტოვისათვის „ჩანაწერები" დოსტოევსკის მთავარი ფილოსოფიური ნაწარმოებია, ყველა დანარჩენი „გამოდის" აქედან და „ჩანაწერების" აზრებისა და პრინციპების ერთგვარ „კომენტარებს" წარმოადგენს.

„შეუძლებლობა — ესე იგი, ქვის კედელი! — მსჯელობს იატაკქვეშ შემალული კაცი, — რომელი ქვის კედელი? რაღა თქმა უნდა, ბუნების კანონები, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დასკვნები, მათემატიკა. როგორც კი დაგიმტკიცებენ, რომ, მაგალითად, მაიმუნისაგან ხარ წარმოქმნილი, უნდა მოეშვა ჭყანვას, ისე, წყალი არ გაუვა... იმიტომ, რომ ორჯერ ორი ოთხია — მათემატიკა გახლავთ. თუ ბიჭი ხარ, შეეკამათე.

„რა ჯანდაბაში ხარ, შემოგიყვირებენ, მიუნტისთაობა არ იყოს: ხომ ხედავ, ორჯერ ორი ოთხია! ბუნება შენ არ გეკითხება, მას სულაც არ აწუხებს, შენ რა გსურს და მოგწონს თუ არ მოგწონს მისი კანონები!"

აი, ეს სწორედ ის კანონებია, ის უცილობლობა გახლავთ, რომლის წინააღმდეგ, კირკეგორის კვალდაკვალ, გამუდმებით ილაშქრებს შესტოვი.

იატაკქვეშელი ადამიანი ებრძვის „თავისთავად-სიცხადეთა ბატონობას" (власть самоочевидностей" — შესტოვის გამოთქმა). ჭეშმარიტება თავისთავად სიცხადეში როდია, არც ემპირიულ უცილობლობაშია, რომელიც ყოველი მხრიდან აწვება ადამიანს და თავისუფლებას უსპობს, არამედ რაღაც სხვაში. მაინც რაში? იმაში, რაც ჩვეულებრივი თვალისათვის დაფარულია და მხოლოდ მეორე „არაბუნებრივი", არამიწიერი მზერისთვის არის ნათელი. ეს არის ჭვრეტა გონებით, გონიერი ჭვრეტა („умозрение").

იატაკქვეშელი ადამიანის (ანუ თვით დოსტოევსკის) სახით შესტოვი ხედავს მოკავშირეს მეცნიერების, ლოგიკურის, რაციონალურის წინააღმდეგ ბრძოლაში. ადამიანის ჭეშმარიტი ეგზისტენცია, მისი ნამდვილი არსებობა, მისი გონითი ცხოვრება არ ექვემდებარება რაციონალურ, მეცნიერულ ანალიზს. ჭეშმარიტება ანალიზის შედეგად კი არ გვეძლევა, არამედ „შინაგანი მზერისთვის" ხდება ნათელი, ცხადი.

„ორჯერ ორი რომ ოთხია, უკვე სიცოცხლე კი აღარ არის, ბატონებო, არამედ სიკვდილის დასაწყისია!" — აცხადებს იატაკქვეშელი კაცი.

ადვილი შესამჩნევია, რომ ამ განცხადებას მნიშვნელოვანი ქვეტექსტი აქვს: დგება უკ-

ვლავების პრობლემა. თუ ორჯერ ორი ოთხია, ე. ი. თუ ყოველი საკითხი წყდება მეცნიერების, ლოგიკის საშუალებით, რომელნიც ბუნებრივ გარდუვალობას ასაბუთებენ და ადასტურებენ, მაშინ არც უბედურება არსებობს. არის მხოლოდ ხანმოკლე მიწიერი ცხოვრება და სიკვდილი. მაგრამ თუკი მე თანახმა არა ვარ? თუკი არ მსურს სიკვდილი, [illegible] უბედურებას, წარმავალ სიცოცხლეს? ამ კითხვაზეც მზამზარეული პასუხი არსებობს: ბუნების კანონებს არად მიიჩნევენ თქვენი სურვილები და მისწრაფებები. აუცილებლობა ბატონობს — მორჩა და გათავდა.

აი, ხედავთ, — წუხილობს შესტოვი, — როგორია ადამიანი მიგდებული ბედის ანაბარა, ბუნებისა და მორალის კანონების „შესაშრედელი“: მერედა, რა უნდა ქნას ადამიანმა: შეურიგდეს „წყეულ“ აუცილებლობას, დაემორჩილოს, არ იბუზღუნოს, არ აჯანყდეს? ნუთუ უკარავად, მონობისათვის და მორჩილებისათვის როდი შობილა ადამიანი! კი, მაგრამ, თუ შენს წინ ბუნების ურყევი კანონები აღმართულა, რომლის შეცვლა არავგზით არ ძალგიძს?

„არა თქმა უნდა, ასეთ კედელს შუბლით ვერ გავანგრევ, მაგრამ მაინც არ შევურიგდები მის არსებობას მხოლოდ იმიტომ, რომ კედელი ქვისაა და მე უძლური ვარ მის წინაშე“, — არ იხრის ქედს იატაკქვეშელი კაცი.

ასე იწყება „შმაგი ბრძოლა შეუძლებლისათვის“, რომლის პირველი მაგალითი გვხვდება კირკეგორის ფილოსოფიაში, თვითონვე რომ აბსურდის ფილოსოფიას უწოდებს. კირკეგორისათვის (და შესტოვისათვის) მთავარია პოსტულატი: „ჭეშმარიტია ის, რაც შეუძლებელია“. მაინც რა არის შეუძლებელი?

შეუძლებელია „კედლის“ ე. ი. ბუნებრივი აუცილებლობის გადალახვა, რომლის დამცველებად გვევლინებიან ლოგიკა და ადამიანის ნორმატიული ეთიკა. სამ ურჩხულს — აუცილებლობას, ლოგიკასა და მორალს, რკინის მარწუხებში მოუმწყვდევიათ საცოდავი არსება — ადამიანი.

— შენ ეგ არ ძალგიძს! — აფრთხილებს ლოგიკა.

— ეგ არ შეიძლება! უფლება არა გაქვს! — იმეორებს მორალი.

ამაოდ აწყდება ადამიანი ხან ერთ ურჩხულს, ხან მეორეს, ხანაც — მესამეს. ხსნა მხოლოდ ერთია: სამთავეს უნდა აენბო თავი და უკანმოუხედავად გაიქცე... სად? ბიბლიური იობისაკენ, უმეცარი კაცისაკენ, სისულელისაკენ უნდა გაქანდე.

იატაკქვეშა ადამიანი „მზადაა სამყაროს ყველა კანონის წინააღმდეგ, ანუ გონების, ღირსების, სიმშვიდის, კეთილდღეობის წინააღმდეგ ილაშქროს“... ნუთუ არ შეიძლება „ყველა ამ კეთილგონიერებას წიხლი ჰკრა, ერთბაშად, ერთიანად, მხოლოდ და მხოლოდ იმ მიზნით, რომ ყველა ამ ლოგარითმს ეშმაკისკენ ჰქონდეს გზა და ჩვენ ჩვენს სულელურ ქეიფზე ვიცხოვროთ!“.

შესტოვი, რასაკვირველია, უყოყმანოდ უჭერს მხარს და ის კი არა, შეუძლია გზასავალიც მიუთითოს იატაკქვეშელ კაცს: იობისაკენ, რომელმაც არაფერი იცის და არც უნდა იცოდეს, მაგრამ რომელსაც აქვს უზარმაზარი, ყოველგვარ ჭირთა უგულებელმყოფელი რწმენა. ხსნა გონებაში როდია, იგი რწმენაში სუფევს. ჭეშმარიტი თავისუფლება, ამტკიცებს შესტოვი, მიიღწევა მხოლოდ აუცილებლობის, ყოფითი სიბრძნისა და ადამიანის მორალის წინააღმდეგ ჯანყით.

კი, მაგრამ ეს ხომ სიშმაგეა, უაზრობაა?

მერმე რა, — გიპასუხებთ, კირკეგორის კვალზე, შესტოვი, — მით უკეთესი: ვაღიაროთ სიშმაგეს, სიგიჟეს, თუკი სიგიჟეშია თავისუფლება. „გაუმარჯოს იატაკქვეშეთს!“ — ყვირის იატაკქვეშელი კაცი, მაგრამ იქვე წამოისვრის საპირისპირო ლოზუნგს: „ძირს იატაკქვეშეთი!“. თეზისს იქვე უპირისპირდება ანტითეზისი. სინთეზი სადღაა? სად არის პასუხი?

თუ თქვენ ამ კითხვით იატაკქვეშელ კაცს მიადგებით, პასუხის ნაცვლად იგი უეჭველად დაიწყებს სიცილს, ხითხითს, დაგცინებთ, გაჩვენებთ სამი თითის კომბინაციას. კი, მაგრამ პასუხი, არგუმენტები? არგუმენტებიც სწორედ ეს გახლავთ: ხითხითი, დაცინვა, ბრაზი. შესტოვი ამაში ხედავს ბუნებრივი ადამიანური აზროვნების გამოწვევას, გამოწვევას „ყოველდღიური ცნობიერებისას“ („ВСЕМСТВО“-სა, როგორც თვით დოსტოევსკი ამბობს), das Man-ისას, როგორც შემდგომში იტყვის ჰაიდეგერი.

**„Non ridere, non lugere, neque detestari — sed intelligere“** („არც იცინო, არც იტირო, არც დაწყევლო — არამედ გაიაზრე“) — ამბობდა სპინოზა. სინამდვილეში კი სწორედ საპირისპიროდ უნდა მოიქცე, გვირჩევს შესტოვი. სწორედ უნდა იცინო, იხითხითო, ავდგლაბო, იტირო და იქვითინო, უნდა წყევლო და კრულო და არა — ახსნა, გაიგო და გაიაზრო.

ახსნა და რაციონალური გაგება სასტიკი აუცილებლობის, ადამიანის გონებისა და ნებისყოფის დათრგუნვის ინსტრუმენტებია. მხოლოდ ლოგიკის (მეცნიერების) და მორალის (ეთიკის) უკუგდებით დამარცხდება აუცილებლობა და, მაშასადამე, სიკვდილიც, — ასეთია შესტოვის დასკვნა (მანამდე ასეთივე დასკვნა გააკეთა კირკეგორის ფილოსოფიამ).

ძნელი არ უნდა იყოს შესტოვის დასკვნებში აზროვნების რაციონალური გზის უარყოფის შენიშვნა. რა თქმა უნდა, ამაში ცუდი არაფერია, მაგრამ საქმე ის არის, რომ რაციონალური დასაბუთების გზა გამოყენებულია ირაციონალურ ჭეშმარიტებათა დასაბუთებლად. ის, რაც ლოგიკური გზით მტკიცდება, ყოველთვის შესაძლებელს გულისხმობს, ვინაიდან შეუძლებლის დასაბუთება იმთავითვე გამორიცხულია. სამწუხაროდ, მსგავს შეუსაბამობებს მკითხველი ხშირად წააწყდება შესტოვთან და ბერდიაევთან.

იატაკქვეშელი კაცის და დოსტოევსკის თვალსაზრისთა შეხვედრის წერტილებზე შესტოვისაგან განსხვავებული შეხედულება აქვს ბერდიაევს. იგი ეთანხმება შესტოვს, რომ იატაკქვეშელი კაცი იცავს ადამიანის სიცოცხლის, ბედნიერების, უკვდავების, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის კანონიერ უფლებებს, იზიარებს მის თვალსაზრისს ჭეშმარიტების ირაციონალურობაზე და რაციონალური მეცნიერებისა და ნორმატიული ეთიკის უვარგისობის თაობაზე, მაგრამ მაინც მიაჩნია, რომ „იატაკქვეშელი კაცის მსოფლჭვრეტა არ წარმოადგენს დოსტოევსკის პოზიტიურ მსოფლჭვრეტას. თავის დიდებულ რელიგიურ მსოფლჭვრეტაში დოსტოევსკი ამხელს იატაკქვეშელი ადამიანის თვითნებობისა და ბუნტის დამღუპველობას. ეს თვითნებობა და ბუნტი ადამიანის თავისუფლების განადგურებამდე და პიროვნების გახრწნამდე მიგვიყვანს".[1]

იატაკქვეშელი ადამიანის „კედელი" ბერდიაევთან უფრო დახვეწილ ფილოსოფიურ საზრისს იძენს, ვიდრე ეს შესტოვისეულ „ბუნების კანონებს" აქვს. საგანთა და მოვლენათა სამყარო, რომლითაც გარშემორტყმულია ადამიანი, მისთვის ახლობელი, ათვისებულ-შეთვისებული სუბიექტური სამყარო კი არაა, არამედ სრულიად უცხო ობიექტთა გროვაა. ობიექტების სამყარო გაუცხოების, ზრუნვის სამყარო, ანუ, როგორც ბერდიაევი უწოდებს, ობიექტივაციის სამფლობელოა. ობიექტივაციის გადალახვა სწორედ იატაკქვეშელი კაცის წინაშე აღმართული „კედლის" გადალახვა იქნება, ეს კი თავიდან ბოლომდე ცნობიერების მიმართულებაზე, მის განწყობაზეა დამოკიდებული.

აი, როგორ განსაზღვრავს ობიექტივაციის ცნებას თვითონ ბერდიაევი: „ობიექტივაცია არის ადამიანის გამოტყორცნა გარეთ, ექსტერიორიზაცია, სივრცის, დროის, მიზეზობრიობის, რაციონალიზაციის პირობებისადმი მისი დამორჩილება"[2]. ობიექტივაციის სამყაროს უპირისპირდება სულის ეგზისტენციალური სიღრმე, ხილვათა ირაციონალური სამყარო. ამ სამყაროში, ეგზისტენციალურში, ხდება არა ფენომენების (ემპირიული მოვლენების), არამედ ნოუმენურ არსებათა დაუფლება, უარყოფება არა საერთოდ ეთიკა, როგორც ამას იატაკქვეშელი კაცი აკეთებს (მის კვალობაზე კი — შესტოვი), არამედ მხოლოდ საყოველთაოდ მიღებული, ე. წ. ნორმალური ეთიკა. უარყოფილი ნორმატიული ეთიკის სანაცვლოდ ბერდიაევი გვთავაზობს ახალ, შემოქმედებით ეთიკას, რომელშიც დამკვიდრებულია არა ძალის, არამედ თავისუფლების მორალი. ბერდიაევმა მართებულად იგრძნო, რომ აუცილებლობის, ბუნების კანონების და მორალის წინააღმდეგ უბრალო ბუნტს არ შეუძლია რაიმე პოზიტიური შედეგის მოცემა. კიდეც ამიტომ იქმნება ახალი, „თავისუფალი შემოქმედების ეთიკა". აუცილებლობის უბრალო უარყოფის დონეზე თავისუფლების პრობლემა კვლავინდებურად გადაუჭრელი დარჩება. ბერდიაევის აზრით, „იატაკქვეშეთის ჩანაწერებში" დოსტოევსკიმ მხოლოდ დაიწყო „თავისუფლების დიადი დიალექტიკის" კვლევა და დაასრულა იგი განთქმულ „ლეგენდაში დიდ ინკვიზიტორზე".

ამ ლეგენდას, — ივან კარამაზოვის ზეპირ თხზულებას, ანუ, როგორც თვითონ უწოდებს, „პოემას", — რომანში სულ რაღაც ოციოდე გვერდი უჭირავს, მაგრამ შიგ დასმული ფილოსოფიური პრობლემების სიღრმის მიხედვით მას უდიდესად დიდი მნიშვნელობა აქვს. „ლეგენდაზე" ბევრი თქმულა და დაწერილა, მისი კომენტარები, ალბათ, რამდენიმე ტომს გამოადგენდა. ბერდიაევი „ლეგენდას" დოსტოევსკის იდეური დიალექტიკის მწვერვალად თვლის. მისი აზრით, სწორედ აქ უნდა ვეძებოთ მწერლის პოზიტიური რელიგიური მსოფლჭვრეტა

[1] Н. Бердяев, Миросозерцание Достоевского, стр. 52.

[2] Н. Бердяев, «Опыт эсхатологической метафизики, творчество и объективация». Париж, 1947, стр. 61.

ბერდიაევს ერთი წუთითაც არ ეპარება ეჭვი, რომ ივან კარამაზოვის პირით თვითონ დოსტოევსკი ლაპარაკობს და ნიშანდობლივად თვლის, რომ ქრისტეს შესხმა წმინდა ათეისტის მიერაა ნათქვამი და არა ულმერთოს მიერ.

„შუქი ანთებს წყვდიადში“, — წერს ბერდიაევი. „ლეგენდის“ თანახმად, ადამიანს ორი გზა აქვს ცხოვრებაში: ერთია გზა ჭეშმარიტი თავისუფლებისა, ე. ი. გზა, ნაჩვენები ქრისტესგან, მეორე კი დიდი ინკვიზიტორის, ე. ი. ანტიქრისტეს მიერ ნაჩვენები გზა.

ქრისტიანული თავისუფლება გაგებულია არა როგორც ჯილდო, არამედ როგორც ტვირთი, სიმძიმე, პასუხისმგებლობა, სიმშვიდისა და ყოველდღიური ბედნიერების დაკარგვა. ასეთი გაგება განსაკუთრებით ხიბლავს ბერდიაევს, რომელიც მრავალრიცხოვან წიგნებსა და სტატიებში თვითონვე აღიარებს მკაცრ თვალსაზრისს თავისუფლებაზე. ადამიანებს თავისუფლება კი არა, პური უნდათ, — ეუბნება ქრისტეს დიდი ინკვიზიტორი და საზოგადოების კეთილმოწყობის საკუთარ პროექტს აყენებს. დიდი ინკვიზიტორის პროექტის მიხედვით საზოგადოება იყოფა მასად და რჩეულებად, რომლებიც ფლობენ ჭეშმარიტებას, მაგრამ საცნაურად არ ხდიან მასისათვის, ანუ „ჩვილებისათვის“, როგორც მას დიდი ინკვიზიტორი უწოდებს. ანტიქრისტეს ჭეშმარიტება ის არის, რომ არ არსებობს ჭეშმარიტება და არც არსებობს საზრისი. თუკი ასეა, რაღად უნდა გავაუბედუროთ ადამიანები, რატომ უნდა ვაცნობოთ მათ, რომ არ არსებობს ჭეშმარიტება და საზრისი, უკვდავება და მარადიული ცხოვრება, რომ არ არსებობს ღმერთი? განა მათთვისვე უმჯობესი არ იქნება ბედნიერ უმეცრებაში სუფევდნენ? ადამიანებისადმი თანაგრძნობის გამო მათ უნდა მივანიჭოთ უაზრო ბედნიერება მიწიერი არსებობის მყისიერებაში. ადამიანებს არ სჭირდებათ ღმერთი, ადამიანის სახით მოვლინებული, ისინი თავად ღმერთდებიან, ამაღლდებიან და ღმერთებად იქცევიან. არა ღმერთკაცი, არამედ კაცღმერთი, ე. ი. ადამიანი ღმერთის გარეშე, მარტოსული, ბედის ანაბარა მიტოვებული!

დიდ ინკვიზიტორს, კარდინალს, ღვთის მსახურს, თავად არა სწამს ღმერთი. იგი მხოლოდ ფიქრობს და ზრუნავს ადამიანთა ამქვეყნიურ კეთილმოწყობაზე, რომელიც დაფუძნებული იქნება „სასწაულზე, საიდუმლოებაზე და ავტორიტეტზე“. ადამიანი ეძებს არა თავისუფლებას, არამედ იმას, „ვის წინაშეც ქედს მოიხრის, ვისაც თავის სინდისს ჩააბარებს. ასე და ამრიგად ყველანი გაერთიანდებიან, ბოლოს და ბოლოს, ერთ საერთო და ჰარმონიულ ჭიანჭველათა ბუდეში“. ადვილი მისახვედრია, რომ დიდი ინკვიზიტორის ირონია სოციალიზმის თეორიის წინააღმდეგაა მიმართული, მაგრამ, მიუხედავად ამისა, თვითონ პოზიტიურს ვერაფერს გვთავაზობს. „ლეგენდაში“ ხომ ქრისტეც დუმს ამის თაობაზე. ქრისტეს დუმილს ორგვარი ინტერპრეტაცია აქვს: რა უნდა უპასუხოს, ანდა: ჭეშმარიტების გამოთქმა შეუძლებელია.

ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ ცხადია: თუკი არ არის საზრისი, საზოგადოება აუცილებლად იქცევა სოციალურ „ჭიანჭველათა ბუდედ“ და მაშინ ადამიანს ამოძრავებს მხოლოდ ბიოლოგიური არსებობის გაგრძელებისაკენ მისწრაფება. „კარამაზოვებში“ ერთ ეპიზოდში ივანი ეუბნება ალიოშას: „იმისთვის კი არ ვეწამები, რომ ჩემი პიროვნებით, ჩემი ავი საქმეებითა და ტანჯვა-წამებით ვიღაცას მომავალი ჰარმონია გავუპოხიერო“ (УНАВОЗИТЬ).

გაპოხიერების, ანუ „ნაკელის“ თეორია, თუ შეიძლება ასე ითქვას, ხშირად არის რუსი იდეალისტების მსჯელობის საგანი[1] და ცხადია, ამ მხრივ არც ბერდიაევი და შესტოვი გახლავთ გამონაკლისი.

ამ „თეორიის“ მიხედვით, თუკი ადამიანის არსებობის საზრისი მხოლოდ ის არის, რომ ყოველმა მომდევნო თაობამ უკეთ იცხოვროს და ყველათვის მომავალი ჰარმონიული საზოგადოებისაკენ მიდის, მაშინ ყოველი თაობის როლი შეიძლება შევადაროთ როლს იმ ნაკელისას, რომელიც გასანოყიერებლად შეაქვთ ნიადაგში მოსავლის გაუმჯობესების მიზნით. ამრიგად, ადამიანი იქცევა საშუალებად, რაც არავითარი მიზნით არ შეიძლება გამართლდეს. ადამიანის არსებობა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იქნას გამართლებული, თუკი ყოველი, ოდესმე მცხოვრები, ადამიანი მიიღებს მონაწილეობას მომავალ ჰარმონიაში. მაგრამ როგორ უნდა განხორციელდეს ეს? „მკვდრეთით უნდა აღსდგნენ შენი მიცვალებულები, რომლებიც შესაძლოა არასდროსაც არ გარდაცვლილან“, — ეუბნება ალიოშა ივანს.

საყოველთაო მკვდრეთით აღდგომის იდეას გამოთქვამს ივან კარამაზოვიც: „მე მინდა საკუთარი თვალებით ვიხილო, როგორ წამოწვება ირემი ლომის გვერდით, როგორ წამოდგება

1 იხ. შედარებით: С. Франк, Смысл жизни, Париж, 1925.

მოკვდინებული და საკუთარ მკვლელს გადაეხვევა. მე მინდა მაშინ იქვე ვიყო, როცა ყველანი უეცრად შეიტყობენ, რისთვის ხდებოდა ყოველივე ეს, რაც ხდება". არც ერთი ადამიანის სული არ უნდა დაიკარგოს, ყველას აქვს უკვდავების უფლება.

საყოველთაო მკვდრეთით აღდგომის თეორიას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს რუსულ ეგზისტენციალიზმში, განსაკუთრებით შესტოვის შრომებში. შესტოვი ამ თეორიას უკავშირებს კირკეგორისეულ იდეას განმეორებისას.

დოსტოევსკის აზროვნებისა და მხატვრულ სახეთა ანტინომიზმმა, მისმა იდეურმა დიალექტიკამ დიდი გავლენა იქონია ეგზისტენციალიზმზე საერთოდ, და კერძოდ, მის რუს წარმომადგენლებზე. ცხოვრებისეული, მტკივნეული საკითხების მწვავე დაყენებით, ყველა შესაძლებელი „pro" და „contra"-ს ღრმა გააზრებით დოსტოევსკი გვევლინება როგორც სწორუპოვარი გენიოსი, რომელშიც საოცრადაა შერწყმული მხატვრული და იდეური სიმძლავრე. არცაა გასაკვირი, რომ მისი შემოქმედების ძირითადმა იდეებმა ნოყიერი ნიადაგი ჰპოვა ბერდიაევისა და შესტოვის შრომებში. ბევრმა დოსტოევსკისეულმა იდეამ ამ უკანასკნელთა ნაწარმოებებში მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა და სხვა შინაარსი შეიძინა (მით უმეტეს სხვაგვარ, უცხო „კონტექსტში"), მაგრამ მათ შორის და უშუალო ორგანული კავშირის უარყოფა არ შეიძლება.

დასასრულს უნდა ითქვას შემდეგი: დოსტოევსკიმ მართლაც ბევრი რამ მისცა თანამედროვე ფილოსოფიურ აზროვნებას და, ცხადია, ეგზისტენციალიზმსაც, მაგრამ იძლევა თუ არა ეს გარემოება უფლებას ვამტკიცოთ, რომ თვითონ დოსტოევსკის მოეპოვება რაიმე ღირებულს ეგზისტენციალიზმთან კავშირი?

ამ კითხვაზე უარყოფითი პასუხი უნდა გაიცეს. მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ ეგზისტენციალისტები დუმილით უვლიან გვერდს დოსტოევსკის შემოქმედებითი გზის მნიშვნელოვან მონაკვეთს, რომელშიც იგი „დამცირებულთა და შეურაცხყოფილთა" ქომაგად, კაცობრიობის უკეთესი მომავლისათვის მებრძოლად გვევლინება. ეგზისტენციალისტების მიერ ხაზი აქვს გადასმული იმ ნაწარმოებებს, რომლებშიც მწვავე სოციალური პრობლემებია დასმული, რომლებშიც მწერალს სულის სიღრმემდე აღელვებდა დაჩაგრული, „პატარა" ადამიანის ბედი. შესტოვი, მაგალითად, დოსტოევსკის ამ ნაწარმოებთა იგნორირების სურვილმა იქამდე მიიყვანა, რომ წერს: „უმჯობესი იქნებოდა ისინი სამუდამოდ მწერლის თავში დარჩენილიყვნენ"[1].

რუსული ეგზისტენციალიზმი გულმოდგინედ ცდილობს თავის პრინციპებს მოუსადაგოს დოსტოევსკის შემოქმედება, აქცევს იგი „თავისად", მაგრამ ამასთან ავიწყდება, რომ მწერლის ფილოსოფიური პრობლემატიკა გაცილებით უფრო ფართოა და მნიშვნელოვანი.

ერთი რამ კი უდავოა: რუსული ეგზისტენციალიზმის შესწავლისა და კრიტიკისათვის აუცილებელია მისი და დიდი რუსი მწერლის მდიდარი ლიტერატურულ-ფილოსოფიური მემკვიდრეობის შეხების წერტილების ყოველმხრივი ანალიზი.

□

[1] Л. Шестов, «Достоевский и Ницше», Берлин, 1922, стр. 21.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რუსუდან თურნავა

# ფრანგი პროფესორი ჟერარ უტიე და ქართული კულტურა

ქართულ-ფრანგული ლიტერატურული ურთიერთობა საუკუნეებს ითვლის. ქართველთა ურთიერთობა ფრანგებთან ჯერ კიდევ შუა საუკუნეებიდან დაიწყო. ძველ ქართულ ლიტერატურულ ძეგლებში მოხსენიებული არიან ფრანგები, ასევე ფრანგულ წყაროებში — ქართველები. შორს არის ის დრო, როცა საქართველოს თითო-ოროლა მოგზაურის ჩანაწერებით ეცნობოდნენ საფრანგეთში. დროთა განმავლობაში ორ ქვეყანას შორის კონტაქტები ფართო კულტურულ-სამეცნიერო ურთიერთობაში, ერებს შორის მეგობრობაში გადაიზარდა. ამას ხელი შეუწყო ლიტერატურული და მეცნიერული მიღწევების ურთიერთგაცვლამ.

პროფესორი დავით ფანჩულიძე თავის წიგნში „ქართულ-ფრანგული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიისათვის"[1] აღნიშნავს, რომ ქართულ-ფრანგული ლიტერატურული ურთიერთობა განსაკუთრებით ცხოველმყოფელი გახდა მე-19 საუკუნიდან. ქართველი საზოგადოებრიობის მოწინავე წარმომადგენლები: ეგნატე ნინოშვილი, გიორგი წერეთელი, იონა მეუნარგია, ნიკო ნიკოლაძე, სერგეი მესხი და სხვანი საფრანგეთში მოღვაწეობდნენ, სადაც შემოქმედებითი კავშირი დაამყარეს ფრანგ მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებთან.

ქართველი მწერლები: ალექსანდრე ჭავჭავაძე, გიორგი ერისთავი, დავით ერისთავი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, კოტე აბაშიძე, ივანე მაჩაბელი, თედო სახოკია და სხვები იკვლევდნენ და თარგმნიდნენ ფრანგ მწერალთა ნაწარმოებებს. ფრანგების მხრივ საქართველოში იმოგზაურეს ალექსანდრე დიუმა მამამ, მოგზაურმა და არქეოლოგმა ბარონ დე ბაიმ და სხვა ფრანგმა მეგობრებმა. საქართველოთი იყვნენ დაინტერესებულნი: ბალზაკი, სტენდალი, ჰიუგო, შატობრიანი.

საფრანგეთია ის ქვეყანა, სადაც პირველად საფუძველი ჩაეყარა ქართველოლოგიას. პირველმა ევროპელმა ქართველოლოგმა, დიდმა ფრანგმა მეცნიერმა, მარი ბროსემ მშვენიერი მომავალი უწინასწარმეტყველა საქართველოსა და ევროპის ლიტერატურულ ურთიერთობას. „თამარის დროიდან ევროპის მატიანეთაგან მივიწყებული ქვეყანა, — წერს მარი ბროსე, — ახლა თვითონვე მიიქცევს ყურადღებას. მტკიცედ მწამს, რომ საქართველოს აეხდება საბნელის ფარდა და იქ გაბრწყინდება ახალი და ხარბი ლიტერატურა და მაშინ ევროპელნი გაკვირდებიან, როგორ ვერ ვიცნობდით ამ ლიტერატურას აქამდე... დიდებული წარსულის მქონე ქართველ ერს დიდებული მომავალი ექნება".

ამჟამად, როცა ქართული ენა და ლიტერატურა განვითარების მაღალ დონეზე დგას, როცა ქართველი მწერლების ბევრი ნაწარმოები ითარგმნა ფრანგულად როგორც ევროპაში, ასევე ამერიკაში უცხოელი მეცნიერები იკვლევენ ქართულ ენასა და ლიტერატურას, თვალნათლივ ვრწმუნდებით მარი ბროსეს წინასწარმეტყველური სიტყვების სამართლიანობაში. მიუხედავად ამისა, ცხადია, რომ ქართულ-ფრანგული ლიტერატურული ურთიერთობა კიდევ უფრო მეტ ყურადღებას და გაფართოებას მოითხოვს.

საზღვარგარეთ ქართული კულტურის პოპულარიზაციისა და ქართველოლოგიური კვლევის მყარი საფუძველი შეუქმნა და ფართო ასპარეზი გადაუშალა ქართველოლოგიის ჟურნალმა — „რევიუ დე ქართველოლოჟი". ჟურნალი 1957 წელს დააარსეს ცოლ-ქმარმა ნინო და კალის-

[1] დ. ფანჩულიძე — „ქართულ-ფრანგული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიისათვის", თბ., საბჭოთა საქართველო, 1969.

ტრატე სალიებმა. „რევიუ დე ქართველოლოჟი" დიდი ავტორიტეტით სარგებლობს, როგორც საქართველოში, ისე მის საზღვრებს გარეთ. იგი წარმოადგენს დამაკავშირებელ ხიდს ევროპულ, ამერიკულ და კავკასიელ მეცნიერებს შორის, მეცნიერებს მიეცათ საშუალება ყოველმხრივად გაუზიარონ ერთმანეთს თავიანთი მიღწევები.

„რევიუ დე ქართველოლოჟიში" მოღვაწეობდნენ და მოღვაწეობენ ცნობილი უცხოელი საზღვარგარეთელი მეცნიერები, როგორიც არიან: აწ განსვენებული, პარიზის უნივერსიტეტის პროფესორი, თბილისის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი, ბასკოლოგი და ქართველოლოგი — რენე ლაფონი, ლუვენის უნივერსიტეტის პროფესორი, ბელგიის სამეფო აკადემიის წევრი, აღმოსავლეთმცოდნეობის ჟურნალ „მუზეონის" დირექტორი — ჟერარ გარიტი, ოსლოს უნივერსიტეტის პროფესორი, თბილისის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი — ჰანს ფოგტი, მიუნხენის უნივერსიტეტის პროფესორი — იულიუს ასფალგი, „რევიუ დე ქართველოლოჟის" რედაქტორ-გამომცემელი, პარიზის აზიური და ლინგვისტური საზოგადოების, ბიზანტიურ საერთაშორისო შტუდიების, ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების აკადემიის წევრი, პროფესორი კალისტრატე სალია და სხვები.

„რევიუ დე ქართველოლოჟის" თანამშრომელთა შორის ყურადღებას იპყრობს ახალგაზრდა, ნიჭიერი ფრანგი მეცნიერის, აღმოსავლეთის ქრისტიანული ლიტერატურის კარგი სპეციალისტის, ამავე ჟურნალის სამეცნიერო საბჭოს წევრის და რედაქციის მდივნის პროფესორ ბერნარ უტიეს ნაყოფიერი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა ქართველოლოგიის დარგში.

ნიჭიერმა ახალგაზრდამ ადრე დაუკავშირა თავისი ცხოვრება მეცნიერებას რთულ გზას. შეისწავლა ინგლისური, გერმანული, იტალიური, ბერძნული, ლათინური, სომხური, ებრაული, არაბული, სირიული ენები და ამ ცოდნით შეიარაღებული შეუდგა აღმოსავლეთის ქრისტიანული ლიტერატურის კვლევას. ახალგაზრდა ფრანგმა მეცნიერმა ძლიერ შეიყვარა თავისი სპეციალობა. განსაკუთრებით დააინტერესა იგი ახლო აღმოსავლეთის, კერძოდ ეგვიპტის, პალესტინისა და სირიის უდაბნოებში გაშენებული სამონასტრო ცენტრების მწიგნობრულ-შემოქმედებითმა საქმიანობამ. სწორედ ამ მასალებზე მუშაობის დროს წააწყდა პატივცემული მეცნიერი ძველი ქართული კულტურის საზღვარგარეთულ კერებში: საბაწმიდაში, სინაზე, ჯვარისა და შავ მთაზე შექმნილ უძველეს ქართულ ხელნაწერებს, იმდროინდელი საქართველოს სულიერი კულტურის ნიმუშებს. მან დიდი შრომა გასწია, ზედმიწევნით შეისწავლა ძველი ქართული ენა და გახდა ძველი ქართული ენისა და ლიტერატურის დაუცხრომელი მკვლევარი. დღეს პროფესორ ბერნარ უტიეს ისე აღელვებს საზღვარგარეთ გაფანტული ქართული ხელნაწერების ბედი, როგორც ჭეშმარიტ მეცნიერსა და საქართველოს მეგობარს შეეფერება.

ახალგაზრდა მკვლევარმა შეისწავლა აგრეთვე თანამედროვე ქართული ენა და დაუკავშირდა ქართველ მეცნიერებს, რომლებიც მოღვაწეობენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში, შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტსა თუ თბილისის უნივერსიტეტში. ახალმა მეცნიერულმა კონტაქტებმა პროფ. ბერნარ უტიეს საშუალება მისცა კიდევ უფრო გაეფართოებინა და გაეღრმავებინა მის მიერ წარმოებული კვლევა-ძიება. 1977 წლის ზაფხულში იგი ჩამოვიდა საქართველოში და მუშაობდა ხელნაწერთა ინსტიტუტში პროფ. ე. მეტრეველის საერთო ხელმძღვანელობით. თუ რამდენად სასარგებლო და სასიამოვნო იყო საქართველოში გატარებული დღეები, ამის შესახებ თავის წერილში — „ერთი თვე საქართველოში", — ფრანგი მეცნიერი მკითხველებს მოუთხრობს: „...საქართველოს ვიცნობდი წიგნებით, ხელნაწერებით, აგრეთვე ზოგიერთი ქართველი მეცნიერის მეშვეობით, რომლებიც საფრანგეთში მათი ყოფნისას გავიცანი. ხელნაწერთა ინსტიტუტში მრავალი წიგნი და ხელნაწერი ვნახე, აქ ძირითადად ვიმუშავე იერუსალიმის ლექციონარის ცნობილ თუ ჯერ კიდევ უცნობ და გამოუქვეყნებელ ნუსხებზე. ხომ ცნობილია, თუ რა სიხარული ეუფლება მკვლევარს, როდესაც აღმოაჩენს ახალ დოკუმენტს, მის მიერ შერჩეულ თემატიკას რომ ფენს შუქს. ამიტომაც, ადვილი წარმოსადგენია თბილისში ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგებით გამოწვეული ჩემი სიხარული.

ძველად ქართველები არა მხოლოდ გადამწერნი თუ კალიგრაფები ყოფილან, არამედ ხელოსნები, ხელოვანნი, ხუროთმოძღვარნი... მე მივყვები მათ ნაკვალევს არქეოლოგიისა და ისტორიის მუზეუმებში, ეს ორი მუზეუმი გვთავაზობს მდიდარი და თვითმყოფადი ქართული კულტურის შთამბეჭდავ პანორამას. აბა, რომელი მნახველი დაივიწყებს აქ ნანახ ოქრომჭედლობის დიდებულ საგანძურს?

ოპერამ, კინომ, თეატრმა, ცეკვამ შესაძლებლობა მომცა დავრწმუნებულიყავი, თუ რარიგ ცოცხალია დღესაც უძველესი ქართული კულტურა.

არა მგონია, გადაჭარბებული იყოს იმის თქმა, რომ თბილისში ჩამოსული პარიზელი სრულიადაც არა გრძნობს თავს უცხოდ.

ვუსურვებ მრავალ ფრანგს საქართველოს ნახვის სიხარულს".

აღმოსავლეთმცოდნეობის ჟურნალი „მუზეონი" გამოდის 1881 წლიდან ბელგიის ქალაქ ლუვენში. მისი დირექტორია ბელგიის სამეფო აკადემიის წევრი, აღმოსავლეთის ქრისტიანული ლიტერატურის დიდი სპეციალისტი ჟერარ გარიტი. მას უდიდესი წვლილი მიუძღვის საზღვარგარეთ ქართული ენისა და ლიტერატურის პოპულარიზაციისა და კვლევის საქმეში. რაც შეეხება „ანალექტა ბოლანდიანას", ეს არის აგიოგრაფიის კრიტიკული ჟურნალი, რომელიც გამოდის ბრიუსელში ბოლანდისტების საზოგადოების თაოსნობით.

პროფ. ბერნარ უტიეს მეტად საინტერესო და ღრმად მეცნიერული ნაშრომებიდან დავასახელებთ ზოგიერთ მათგანს, ესენია: „მამათა სწავლებანი, არაბულიდან თარგმნილი ქართული კრებული", „ქართული პოემა მარხვისა და მონანიების შესახებ, რომელსაც მიაწერენ წმინდა ეფრემს", „წმინდა ეფრემ სირიელის თხზულებების ქართული კრებულები", „წმინდა პეტრე წმინდა ეფრემის ლიტურგიკულ ჰიმნებში", „სახარების ერთი ახსნა, რომელიც ეკუთვნის წმინდა ეფრემს", „სომხური პატერიკი", „ქართული ხანმეტი ლექციონარის ერთი ფურცელი პარიზში", „ბერძნული ნიმუში აპოთეგმებისა, რომლებიც ქართულად თარგმნა ექვთიმემ", „ქართული ლექციონარის ასომთავრული ფრაგმენტები", „ჰიმნოლოგიის ისტორიისათვის: ძველი ქართული ჰიმნოლოგიები".

ფრანგმა მეცნიერმა აღმოაჩინა ქართული ლექციონარის უცნობი ფრაგმენტები, ერთი ნაწილი პარიზის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, ნაწილი კი — ლიბანის ბზომარის სომხურ მონასტერში. დაუღალავმა მკვლევარმა გადაიღო ამ ფრაგმენტების ფოტოპირები, საფუძვლიანად შეისწავლა ისინი და აღადგინა შელახული ადგილები. მან გამოარკვია, რომ აღნიშნული ხელნაწერები შექმნილია შატბერდში და თარიღდება მე-10 საუკუნით. გამოკვლევა გამოქვეყნდა „რევიუ დე ქართველოლოჟიში" სათაურით: „ქართული ლექციონარის ასომთავრული ფრაგმენტები".

პროფ. ე. მეტრეველისა და პროფ. ბერნარ უტიეს ერთობლივ ნაშრომში: „ჰიმნოლოგიის ისტორიისათვის: ძველი ქართული ჰიმნოლოგიები", განხილულია შემდეგი საკითხები: ქართული ჰიმნოლოგიების შეთხზვის თარიღი, ქართული ჰიმნოლოგიების ტიპები, შედგენილობა და განვითარების ეტაპები. ნაშრომში ქართული ჰიმნოლოგიები შედარებულია ბერძნულ ორიგინალთან და სლავურ თარგმანთან. გამოკვლევა ნათელს ჰფენს მე-10 მე-11 საუკუნეების ქართული პოეტური და მუსიკალური კულტურის საკითხებს, გვიჩვენებს მისი განვითარების მაღალ დონეს.

პროფ. ბერნარ უტიე თავის ნაშრომებში ფართო ადგილს უთმობს ათონის სალიტერატურო სკოლის მამამთავრის, დიდი ქართველი ფილოსოფოსისა და მთარგმნელის, ექვთიმე ათონელის თარგმანების კვლევას. ფრანგი მკვლევარი აღნიშნავს, რომ ექვთიმე ათონელი ხშირად გადმოაკეთებდა ხოლმე ორიგინალს, მიუმატებდა ან გამოაკლებდა ზოგიერთ ნაწილს, რითაც ამაღლებდა სათარგმნი მასალის მხატვრულ დონეს და ამავე დროს ამჟღავნებდა საკუთარ მსოფლმხედველობას. ექვთიმე თარგმნიდა როგორც ბერძნულიდან ქართულად, ასევე ქართულიდან ბერძნულად. გამოკვლევაში — „ექვთიმე ათონელის მიერ ქართულად თარგმნილი აპოთეგმების ბერძნული ნიმუში", პროფ. ბერნარ უტიე წერს: „ქართული სულიერი კულტურის ისტორიკოსი, რომელიც ერთმანეთს შეადარებს ექვთიმეს თარგმანსა და დედანს, უეჭველად საინტერესო დასკვნებს გამოიტანს შედარებიდან".

ჟურნალ „რევიუ დე ქართველოლოჟის" ბოლო, XXXVI ტომში გამოქვეყნდა ახალგაზრდა ფრანგი მეცნიერის ორი გამოკვლევა, რომელიც ამუშავებს ძველ ქართულ ხელნაწერებთან დაკავშირებულ საკითხებს.

პირველი მათგანი ეხება სინას ქართულ ხელნაწერ 25-ში მეცნიერის მიერ აღმოჩენილ ერთ ქართულ ფრაგმენტს. იგი ამტკიცებს, რომ ქართული ვერსია გადმოღებულია ბერძნულიდან, თუმცა უშუალოდ არ არის დაკავშირებული ამჟამად ცნობილ არც ერთ ბერძნულ რედაქციასთან.

ნაშრომში მოტანილია ეს ფრაგმენტი ქართულად და იქვე მოსდევს ფრანგული თარგმანი.

მეორე გამოკვლევა ეძღვნება სინას ქართულ ხელნაწერ 63-ის წარმოშობის საკითხს.

საკვლევი ობიექტის ღრმა ანალიზი ავტორს აფიქრებინებს, რომ სინას ქართული ხელ-

ნაწერი 63 წარმოადგენს ლიტურგიკული სახარების ფრაგმენტს და მიეკუთვნება წმინდა საბას მონასტერს. ეს ხელნაწერი მთლიანობაში იერუსალიმის წესებს ეთანხმება, მაგრამ მასში უკვე ჩანს ბიზანტიური რიტუალის გავლენა, რაც მოწმობს X საუკუნეში პალესტინაში ბიზანტიური ლიტურგიის შეჭრას.

ძველი ქართული ხელნაწერების ახლებურად მოაზრება, პროფესორი ბერნარ უტიე მე-სანიშნავად უთავსებს ერთმანეთს ნაყოფიერ მუშაობას ძველი ქართული ლიტერატურის დარგში და თანამედროვე ქართული ლიტერატურის მნიშვნელოვანი საკითხების შესწავლას. 1972 წლიდან დღემდე „რევიუ დე ქართველოლოგიში“ სისტემატურად ქვეყნდება პატივცემული ბერნარის მიმოხილვა-რეცენზიები ქართველ და უცხოელ მეცნიერთა ახალ ნაშრომებზე. რეცენზიები დაწერილია დიდი ყურადღებით, მეცნიერული ანალიზის საფუძველზე. რეცენზენტი ხშირად იძლევა სასარგებლო შენიშვნებს. ფრანგი მეცნიერის მიმოხილვები ეხმარება ქართველ და უცხოელ მეცნიერებს, დროულად გაეცნონ ერთმანეთის ახალ ნაშრომებს, ყურადღება გაამახვილონ აქტუალურ საკითხებზე.

„რევიუ დე ქართველოლოგის“ ბოლო ნომერში დაბეჭდილია პროფ. ბერნარ უტიეს რამდენიმე მიმოხილვა. მათ შორის ყურადღებას იპყრობს გრიგოლ აბაშიძის რომანის „ცოტნე ანუ ქართველთა დაცემა და ამაღლება“ — განხილვა.

მკვლევარი აღნიშნავს, რომ ცნობილმა პოეტმა და მწერალმა გრიგოლ აბაშიძემ „ქართლის ცხოვრებაში“ მოცემულ ლაკონიურ ისტორიულ ცნობას ცოტნე დადიანის შესახებ ხორცი შეასხა და შექმნა ლირიზმით აღსავსე ნაწარმოები. პროფ. ბერნარ უტიეს აზრით, სწორედ ასეთი რომანი იყო საჭირო, რომ ამ ისტორიულ ამბავს მისთვის შესაფერისი ადგილი დაეჭირა ქართველთა თანამედროვე და მომავალი თაობების შეგნებაში.

რომანს დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია ფრანგ მეცნიერზე. მას დაუნახავს ქართველი მწერლის მიერ გაცოცხლებული იმდროინდელი ეპოქის არამარტო კოლორიტი, არამედ ქართული სული, რომელიც, მისივე აზრით, თანამედროვე ქართული ცხოვრების მამოძრავებელი ძალაა.

„ბედნიერია ქვეყანა, — წერს ფრანგი მკვლევარი, — სადაც ლიტერატურის ყველაზე დიდი წარმომადგენლები ფიქრობენ არ დაამდაბლონ, პირიქით, აამაღლონ მწერლის ჭეშმარიტი მოვალეობა, წერონ იმისათვის, რომ ახალგაზრდობა დააკავშირონ თავიანთ წარსულთან! ბედნიერია ახალგაზრდობა, რომელიც ასეთ წყაროებს ეწაფება!“.

პროფ. ბერნარ უტიეს უთარგმნია აკაკი შანიძის ნაშრომების ბიობიბლიოგრაფია, რომელიც დიდი მეცნიერის დაბადების 90 წლისთავთან დაკავშირებით შეადგინეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა. მთარგმნელს ეს ბიობიბლიოგრაფია მიაჩნია ა. შანიძის დაბადების 80 წლისთავთან დაკავშირებით ჟერარ გარიტის მიერ შედგენილი ბიბლიოგრაფიის გაგრძელებად.

უდავოა, პროფ. ბერნარ უტიემ მეტად სასარგებლო საქმე გააკეთა, რომ უცხოელ მეცნიერებს გააცნო აკაკი შანიძის ახალი ნაშრომების ბიობიბლიოგრაფია. ფრანგი მკვლევარი იმედს გამოთქვამს, რომ ცხრა წელიწადში ზეიმით აღვნიშნავთ მხცოვანი მეცნიერის დაბადების ასი წლისთავს.

პროფ. ბ. უტიე მიმოიხილავს აგრეთვე შემდეგ ნაშრომებს: სერგო თურნავას „უცნობი მასალები ფრანგულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან“, დენის კრეისელის „საბჭოთა კავშირის ენები, ლინგვისტური და სოციალურ-ლინგვისტური ასპექტები“ და ვ. ჯობაძის „მასალები ორონტის ანტიოქიის დასავლეთ მიდამოებში მდებარე ქართული მონასტრების შესწავლისათვის“.

რეცენზენტი აღნიშნავს, რომ დენის კრეისელის ნაშრომში განხილულია საბჭოთა კავშირის ხალხთა ენების თანამედროვე მდგომარეობა, რუსული და სხვა ეროვნული ენების ურთიერთდამოკიდებულება. კერძოდ, III თავში მოკლედ არის დახასიათებული ქართული და ყირგიზული ენები. „სიამოვნებას გვანიჭებს, — წერს ფრანგი მეცნიერი, — ქართულ ენაზე უხვი ციტირებისა და ქართული ენის სტრუქტურული ესკიზის ხილვა ამ ნაშრომის ფურცლებზე“.

პროფ. ბ. უტიეს აზრით, კრეისელის გამოკვლევა გამოირჩევა რეალური და ზუსტი ლინგვისტური, ისტორიული და სოციოლოგიური დაკვირვებებით. იგი დაეხმარება დაინტერესებულ პირებს სწრაფად გაერკვნენ საბჭოთა კავშირის მრავალრიცხოვან ენებში.

განსაკუთრებული ყურადღებით განიხილავს პროფ. ბ. უტიე ვ. ჯობაძის წიგნს, რომელშიც წარმოდგენილია ანტიოქიის დასავლეთით მდებარე ქართულ მონასტრებში შესრუ-

ლებული თითქმის ყველა ხელნაწერი, ერთი შენიშვნა, რომელიც ეფრემ მცირეს დაურთავს ბასილისა და ეფრემ ასირიელის ნაწარმოებთა წინასწარ თარგმანებისათვის და [illegible] შესაბამისი ბიბლიური თარგმანები. აღნიშნული ქართველი მთარგმნელები განსაკუთრებით აქტიურ საქმიანობას ეწეოდნენ მე-11 საუკუნეში.

ფრანგი მეცნიერი მიუთითებს, რომ ეს ხელნაწერები [illegible] აღწერილი იყო პროფ. ე. მეტრეველის მიერ, მაგრამ ჯობაძის დასახელება ის [illegible] სია, დაურთო ბიბლიური თარგმანი და ამგვარად შექმნა მეცნიერული კატალოგი, რითაც საფუძველი შეუქმნა ანალიზურ გამოკვლევებს. ბოლოში ბერნარ უტიე აღნიშნავს ჯობაძის ნაშრომის ზოგიერთ ნაკლოვანებაზე, მაგრამ ეს არ ამცირებს მის მნიშვნელობას. ფრანგი მკვლევარი გამოთქვამს დიდ სურვილს, რომ ჯობაძის ნაშრომის მაგალითზე შეიქმნას და გამოქვეყნდეს მსგავსი მონოგრაფიები სხვა ქართული სამონასტრო ცენტრების შესახებ.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ქართველ მთარგმნელებს დახმარებას უწევს პროფ. ბერნარ უტიეს მიერ მათი თარგმანების შეფასება და სასარგებლო შენიშვნები. ახლახან მან მოიწონა ვაჟა-ფშაველას მოთხრობების ფრანგული თარგმანი, რომელიც შეასრულეს ნინო კალატოზიშვილმა და ნუნუ ქადეიშვილმა.

პროფ. ბერნარ უტიე ქართულ ენაზე აწერს წერილებს ქართველ მეცნიერებს. საიამოვნო სანახავია მისი ხელით გამოყვანილი ქართული ასოები. წერილებში ჩანს პროფ. ბ. უტიეს ღრმა მეცნიერული ინტერესები, ქართული კულტურის კვლევის დიდი სურვილი. ამავე დროს ცხადია, რომ ახალგაზრდა მეცნიერი განიცდის მისთვის საჭირო ქართული სპეციალური ლიტერატურის ნაკლებობას. ერთ-ერთ წერილში იგი იწერება: „როგორც იცით, მაინტერესებს ყოველი წიგნი ძველი ქართული მწერლობის შესახებ, განსაკუთრებით იმიტომ, რომ ძველი ქართული ენის ფრანგულ ლექსიკონს ვამზადებ".

საზღვარგარეთ ქართული ენისა და ლიტერატურის პოპულარიზაციისათვის პროფ. ბ. უტიეს ზრუნვასა და მის დიდ შრომისმოყვარეობაზე მეტყველებს 1978 წლის 16 იანვრით დათარიღებული წერილი, რომელშიც ვკითხულობთ: „რამდენიმე დღის წინ მივიღე თქვენი წერილი და „ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის" საკითხების მე-7—8 ნომერიც, რისთვისაც მადლობას გიხდით.

ჩემი ლექსიკონი ნელ-ნელა წინ მიიწევს. მადლობა ღმერთს, რომ მაქვს ილია აბულაძისა და სულხან-საბას ლექსიკონები. ეს ძალიან დიდი სამუშაოა, მაგრამ ვფიქრობ, რომ ასეთი ლექსიკონი ბიძგს მისცემს ქართული გამოკვლევების შექმნას დასავლეთში. ამ ნაშრომისათვის საჭიროა ძველი ტექსტების წაკითხვა, ზოგიერთი მათგანი გამოცემულია, დანარჩენებს ვამზადებ გამოსაცემად. ამას ემატება ჩემი მუშაობა „რევიუ დე ქართველოლოჟის" რედაქციაში, ანაბეჭდების გასწორება და სხვა. უნდა მოთმინება ვიქონიოთ".

მართლაც მოთმინება და გამძლეობაა საჭირო იმ საქმის სამსახურში, რომელიც იტვირთა პროფესორმა ბერნარ უტიემ. გვჯერა, რომ ფრანგი მეცნიერი არ დაიშურებს ახალგაზრდულ ენერგიას და კვლავაც ერთგულად ემსახურება ქართულ-ფრანგული ლიტერატურული ურთიერთობის განვითარების საპატიო საქმეს. მისი ყოველი ნაშრომი, წინ გადადგმული ნაბიჯია ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლების შესწავლის ძნელ გზაზე. ქართველი და ფრანგი ხალხების მეგობრობის ვრცელ მატიანეს ახალ სასახელო ფურცლებს მატებს პროფ. ბერნარ უტიეს დაუღალავი შრომა. ვუსურვებთ, მგზნებარე მკვლევარს, ჯანმრთელობას, მეცნიერული ძიებით მონიჭებულ სიხარულს და გამარჯვებებს ცხოვრებაში.

□

მხატვრული რედაქტორი ლ. ცუცქირიძე. მხატვარი ა. ვართაგავა. ტექრედაქტორი რ. იმნაიშვილი

გადაეცა წარმოებას 1/VIII-79 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 30/VIII-79 წ. ქაღალდის ზომა 70×108 1/16. სააღრ. საგამომც. თაბახი 19,35. ნაბეჭდი თაბახი 21. ტირაჟი 10.000. შეკვ. № 634

ფასი 1 მან.

საქართველოს სსრ გამსახკომის საგამომცემლო-პოლიგრაფიული გაერთიანება „განათლების" კომბინატი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат издательско-полиграфического объединения «Ганатлеба» Госкомиздата Грузинской ССР, Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.



ვ. სეროვი, პუშკინი სოფელში, 1899 წ.

б 116/149



ნ. რუზვევა. ნიმფა და სატირი